

ԳԻՏԱԿԱՆ

5

1988

ტესტი

370

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

5

ბ ა ი ს ი

1988

თბილისი

საბ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

პროზა და პოეზია

3. რეზა მიშველაძე — ნოველები
38. ლია სტურუა — ლექსები
41. ზაალ ეხანოძე — ლექსები
45. გიგა თუთუაძე — მოთხრობები
57. ვახტა ხორაშული — ლექსები
61. შოთა არაბული — ნივლიწმარი ცხენები
75. ბაღა შალვაშვილი — ლექსები
78. ზაურ კალანდია — ჟამი მისამი. რომანი. გაგრძელება
98. მთერ ჩიგოძე — ლექსები
99. ნატო დვინია — ლექსები
100. თამაზ ბარჯაძე — ლექსები
101. ხათუნა ასლანიკაშვილი — ლექსები

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლეინაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თადეო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

გივი გეგეჭორი
გურამ გეგეჭორი
გიორგი გეგეჭორი
თეიმურაზ
დონაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედიკა ქახიძე
შოთა ნიშინაძე
გურამ შანუაძე
მირიან ურუხიშვილი
ნუგზარ შანიძე
ანთანდილ
ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გორგი ჟარუთაძე
გიორგი ჭანტუაძე
ტარიელ ჭანტუაძე
ბადრი შოხნაძე
მეკა ჯონაძე

განხილვა

102. გიორგი ჯორჯანელი — ლექსები

კუბლიკაცია

104. არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი უიფიანი. გაგრძელება

წერილები

118. შალვა გოგალაშვილი — ეგნატო ნინოშვილის უცნობი კუბლიკისტური მემკვიდრეობიდან
127. თენგიზ სიმეონი — ნიკო ხიუნაშვილის (ურბნელის) ბიოგრაფიის ერთი საკითხის გამო
131. მირიან ხერბიანი — ისტორია „პროკრუსტეს საბეცელზე“

სამეზულო ომის ექვსი

144. გიორგი ბაღაშვილი — როცა დილაბნელს მგლისფარი დაეძღ

რეცენზია

152. ვახტანგ ხარბილაძე — „მოდოლინი“

ხელოვნება

155. ინგა ქარაია — მხიურის ქვეყანა
159. ქ რ ნ ი კ ა



რევაზ მიშველაძე

06060

კონვერტზე ხაზს ქვემოთ ეწერა:
„ცურტავე, № 1 პროფილაქტიკურ-სამ-
კურნალო კოლონია. ი. ნეიძე“ —

— ი. ნეიძე, ი. ნეიძე, ი. ნეიძე, ვინ
უნდა იყოს? — გაიფიქრა ჯიბომ. სანამ
კონვერტს გახსნიდა, გამომგზავნის
ვინაობა უნდოდა სცოდნოდა, მაგრამ
არაფერი გამოუვიდა. აშკარა იყო, წე-
რილს ქალი სწერდა. ქალებს, უმეტეს
შემთხვევაში, მოწაფური, გაუწაფავი,
ლამაზი ხელი აქვთ. სკოლაში ასობის
გადაბმას რომ ასწავლიან, იმგვარ ასო-
ებს სწერენ.

„ბატონო ჯიბო, ვიცი ჩემი წერილი
გაგიკვირდებათ და, იქნებ, ვერც გამი-
ხსენოთ, მაგრამ გამოუვალი მდგომა-
რეობა მამედღინებს თქვენს შეწუხებას.
ამ ორი წლის წინათ, მე ვიყავი თქვენ-
თან, ვინაიდან ძალიან მჭირდებოდა
ფული და გავბედე უცნობ ადამიანთან
მოვსულიყავი. თქვენ მაშინ სიკეთე გა-
მოიჩინეთ. ახლა მე № 1 პროფილაქ-
ტიკურში ვიმყოფები. ვერ გეტყვით,
რომ აქ ტყვილად მომათავსეს, ღირსი
ვიყავი და იმიტომ მოვხვდი, მაგრამ
ვერძნობ, რომ ჩემი ადგილი აქ არ არის.
აქ მე უარესად გავფუჭდები. ერთხელ
დავუშვი ჩემს ცხოვრებაში შეცდომა
და აწი აღარ გავიმეორებ. რომ დავფი-
ქრდი, ვინ ვინ მეთქი და მარტო თქვენ
შეგიძლიათ ჩემი შველა. მე აქ ან მო-

კვდები, ან ადამიანად არ ვივარგებ.
ძალიან გთხოვთ მიშუამდგომლოთ,
რამე გამიხერხოთ, რომ აქედან გამო-
მიშვან. პირობას გაძლევთ, არ შეგარ-
ცხვენთ. კოლონიის უფროსი კალანდა-
ძეა ნიჩვისიდან — თქვენი იმედი მაქვს.
ნახვამდის. ია ნეიძე“. წერილი ოქტომ-
ბრის რევოლუციის სამოცდამეათე
წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებულ
კონვერტში იდო და საფოსტო ბეჭდის-
მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, წინა სა-
მშაბათს იყო გამოგზავნილი.

ჯიბომ გაიხსენა: მაშინაც ოქტომბერი
იწურებოდა. ცოლი და ბავშვები სკო-
ლაში ის-ის იყო წავიდნენ. (ჯიბოს მე-
უფლე მათემატიკას ასწავლიდა და
ღილით სახლიდან დედა-შვილინი ერთად
გადიოდნენ) ზარმაც დარეკა. კარი რომ
გააღო, პარმალზე შევთმინი, ფართო-
თვალეზა, ოდნავ გამხდარი, მაღალყე-
ლიანი, მოზდენილი გოგონა იდგა. ასე
ოცდაორი-ოცდასამი წლისა თუ იქნე-
ლიდა.

— მობრძანდით, — უთხრა ჯიბომ და
სტუმარს თავის კაბინეტში შეუძღვა.

ქალაშვილი დაბნეული ჩანდა. თვა-
ლებს მორცხვად აპარებდა განზე და
სიტყვის დაწყება უჭირდა. იჯდა და თი-
თებს ითვლიდა.

— გისმენთ, — ჯიბომ ხმაში ალერსი
გაუჩინა, რომ სტუმარი შეეცდამებინა

პაქ. სსრ კ. მარქს
სახ. საბ. წესებზე
ბიბლიოთეკა

— მაპატიეთ, მრცხვენია თქმა, — გოგონამ თითების სახსრებს ტკაცატკაცი აუყენა:

— მითხარით, მითხარით არა უშავს. ჯიბო ნახევრადტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი გახლდათ, შარშანწინ დაიკვა საქანდიდატო დისერტაცია მასალათა გამძლეობის განხრით. მოსკოვიდან დამტკიცება ჯერ არ მიუღია, მაგრამ მაინც უხაროდა სტუდენტები ჩათვლის წიგნაკში მისი გეარის გასწვრივ „დოცენტს“ რომ წერდნენ. ეგონა ჩვეულებრივ სტუდენტურ შემთხვევასთან მაქვს საქმე: დაუსწრებელი სწავლების სტუდენტია (დასწრებულებს იცნობდა სახეზე) და ნიშან-შელავათს მთხოვსო.

— ფული მჭირდებოდა ცოტა.

— სესხად? — მცირე პაუზის მერე ჰკითხა ჯიბომ. გოგონას პიროვნების გასაგებად ამ კითხვაზე პასუხს მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა.

— თუნდაც... სესხად.

— რამდენი მაინც?

ქალიშვილი გამოცოცხლდა. შეეტყო, რომ მორცხვობის ზღვარი გადალახა.

— რამდენიც შეგიძლიათ. აუ, ძალიან მჭირდება.

ჯიბო წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

— თუ საიღუმლო არ არის.

— ისა, საქმრო მყავს პატიმარი და ორჯონიკიძეში უნდა ჩავაკითხო, — მაშინ ვერ შეამჩნია ყალბი ხმა გოგონას ნათქვამში ჯიბომ. მართლა რომანტიკული ამბავი წარმოიღვინა. შეყვარებული გოგონა საქმროს სანახავად მიემგზავრება. საქმრო უბრალო შემთხვევის გამო (იქნებ იჩხუბა) ციხეში ზის.

— თქვენი სახელი?

— ია, იამზე.

— ია თბილისელი ხართ?

— დიახ, ჩახრუხაძეზე ცვხობრობ.

— მოვობლები?

— დედა მყავს მარტო. მეც არ ვმუშაობ და, აუ, ძალიან გამიჭირდა, თორემ არ შეგაწუხებდით. ფულს არ შეგიპამთ, ნამდვილად დაგიბრუნებთ.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

— არა.

— სწავლობთ?

— შარშან უნივერსიტეტი დავამთავრე, ფრანგული.

ჯიბო ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია.

— ჩემთან ვინ მოგასწავლა?

— იცით? ერთმა ამხანაგმა მითხრა. აუ, რომ არ დაგიბლოთ, თქვენი მისამართი მომცა. მიდი, კეთილი კაციაო.

— ოპო, ცნობილი ვყოფილვარ.

— გაჭირვებულის დახმარება უყვარსო.

— მადლობა გადაეცი შენს ამხანაგს. მართალი უთქვამს. გაჭირვებულის დახმარება ჩემი მეორე სპეციალობაა. ოღონდ ეგ არის გაჭირვებულები ცოტანი დარჩნენ. ლამის სასოწარკვეთილებლაში ჩავვარდე. სადღა შეხვედები კარგ გაჭირვებულს. როგორ მიხარია, რომ მოხვედი. მეოთხე დღეა გაჭირვებული არ შემხვედრია. განსაკუთრებით ფულის გაცემა მიყვარს.

ია მიუხვდა მასპინძელს ირონიას და წამოდგა.

— მაპატიეთ, თუ არ გაქვთ საშუალება... ცუდად გამომივიდა. უცნობთან არ უნდა მოვსულიყავი.

— რა არის იცი? შენ, ეტყობა მართლა არ მიცნობ, ია. ჩემთან ყველაფერზე მოდიან, ფულის გარდა. ცუდად არ გამიგო, მე სწორედ რომ უფულობით ვარ ცნობილი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ქალიშვილმა კოპები შეჰყარა, მხარზე გადაკიდებული ჩანთა ხელით გაისწორა და კარისკენ გააბიჯა.

— ერთი წუთით, — ჯიბო მეორე ოთახში გავიდა, კარადის უჯრიდან ორი ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და კართან მისულს გაუწოდა.

— თქვენს საქმროს მოკითხვა გადაეცით.

იამ ფული გამოართვა, მოკეა, ჩანთაში ჩაიღო, მადლიერებით სავსე თვა-

ლებით შეხედა მამაკაცს და თავდახ-
როთ, ძლივგასაგონად ამოილაპარაკა.

— აუ, გმადლობთ, უსათუოდ დაგი-
ბრუნებთ.

— მაინცდამაინც ნუ იჩქარებთ და-
ბრუნებას — ჯიბომ კიბეზე პაკიპუკით
ჩამავალს ჩასძახა.

ეს შემთხვევა გაიხსენა და თავის
გულუბრყვილობაზე გაეცინა. თით-
ქოსდა ეშმაკი კაცი ვარ, როგორ მოხდა,
რომ იმ გოგოს ნარკომანობა ვერ შე-
ვატყე. ახლა ხომ აშკარაა, იმ დღეს ჩემ-
ნაირ „კეთილს“ რამდენიმეს შეაცოლა
თავი პატიმარი საქმროთი და ფული
დაცინცლაო.

წერილი მეორეჯერ ჩაიკითხა, პიჯა-
კის ჯიბეში ჩაიდო და ქუჩაში გამოვი-
და. თორმეტზე ლექცია ჰქონდა. სტუ-
დენტები მარშირებაზე გაეყვანათ და
ლექცია გაუცდა. მანქანაში რომ ჯდე-
ბოდა (ძველი, ფურგონული სისტემის
„თიფული“ ჰქონდა) პიჯაკის ჯიბეში
წერილი იგრძნო და მაშინ გაახსენდა,
რომ ცურტავის კოლონიაში ელოდებ-
ოდნენ. ჯერ, რა თქმა უნდა, წერილის
უპასუხოვ დატოვება გადაწყვიტა, მერე
გაიფიქრა, სალანძღავ წერილს მიე-
წერ: რომელი შენი ბიძა-გამზრდელი
ვარ, ასე რომ შემეთამამეო. არც ეს
აზრი მოეწონა. თავისი უბედურება

ჰყოფნის საწყალ გოგოს, საშველად
შინხობს და გული რაღაზე ვატყინოო.
ბოლოს იმ აზრს დაადგა, წავალ ვნახავ,
შეშვებით ვინ შემიშვებს, მაგრამ, იქნებ,
ხმა მაინც მივაწვდინო, რომ მის წე-
რილს გამოვეხმამურე და მოვედიო.

ცურტავის გზას რომ დაადგა, ყოყმანი
შეეპარა. სად მივდივარ, ვისთან მივდი-
ვარ, რამე შარში არ გავება. ვინმემ
ეკანის თვალით არ შემხედოსო. ძალა,
როკელიც ქალიშვილისკენ ეწეოდა,
უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ოღონდ ეგ
იყო, ვერ გაერკვია, რა გრძნობა იყო
ეს, სიბრალულის? ქველმოქმედების,
ინტერესის თუ სამივე ერთად? მართ-
ლაც რომ რაღაც შეუუცნობი ძალები

განაგებენ ზოგჯერ კაცის საქციელს,
ძვირფასო მკითხველო.

კოლონიის მთავარი ექიმი კალანდაძე
როსროხახმიანი, მაღალი, თეთრხალათ-
ჩაჩიანი კაცი ჩამოვლახე იყო და თუმ-
ცა მოსაცდელში ხელისგულზე ყბა-
ჩამოდებული ჯიბო მშვენივრად დაინა-
ხა, მდივან გოგონას მაინც ჰკითხა:

— ჩემთან არის ვინმე?

— დიახ, — გოგონამ ნიკაპით სტუმ-
რისკენ ანიშნა.

— მობრძანდით, — კალანდაძე უც-
ნობს კაბინეტში შეუძღვა, ჩაჩი მოიხა-
და, მაგიდის კუთხეზე ჩამოდო, შუბლ-
ზე ორ ნაკადად ჩამოსული თმა გაის-
წორა, ხელები ერთმანეთზე დააწყო და
სმენად იქცა.

ჯიბოს, თითქოსდა, ყველაფერი მო-
ფიქრებული ჰქონდა: ვიტყვი, რომ ია
ნეიძე შორეული ნათესავია და სანახა-
ვად მოვედი, მთელი ნათესაობა შეწუ-
ხებული ვართ გოგოს მდგომარეობითო,
მაგრამ სანამ პირს გააღებდა, კალან-
დაძის კატეგორიულმა კილომ ჩანაფიქ-
რი შეაცვლევიანა, ბოლოსდაბოლოს,
ვეტყვი როგორც იყო, კაცია, თუ გამი-
გო, ხომ კარგი, თუ არა, ავადგები და წა-
მოვალ უკანო.

ჯერ თავისი ვინაობა და მუშაობის
ადგილი ჩამოაკალა, მერე ორი წლის
წინანდელი შემთხვევა გაიხსენა, ბო-
ლოს დღევანდელი წერილის შინაარსი
უამბო და დამაჯერებლობისთვის კა-
ლანდაძეს წერილიც გაუწოდა.

მთავარმა ექიმმა წერილი არ გამოარ-
თვა.

მჯერა, ჩვეულებრივი ამბავია. ყველა
ჩემი ავადმყოფი ასეთ წერილს დღეში
შვიდი მისამართით მაინც აგზავნის.
ნაცნობ-უცნობს საშველად უხმობენო,
მერე თითქოს შეხვედრის მთავარ მი-
ზანს მიაგნოვო, ჯიბოს ჰკითხა:

— რომელ კათედრაზე ვარო, ბრძა-
ნეთ?

— ლითონთა ცივად დამუშავების.

— გვანცელაძე თქვენთანაა?



— სავლე? სავლე ცხლად დამუშავებ-
ბაზეა. ოქრო კაცი.

მთავარ ექიმს გაცინა, საფანქრედან
ლურჯი ფანქარი ამოიღო, წვერი გა-
უსინჯა და ისევ ჩაღო.

- ქვისლია ჩემი, მაგრამ რად გინდა.
- რა ბრძანეთ?
- თვრება ოთხ ჭიქაზე.

ნაცნობობისთვის მეტი დამაჯერებ-
ლობა რომ მიეცა, ჯიბომ გვანცელაძეს-
თან დაკავშირებული ორიოდ ეპიზო-
დი გაიხსენა, სადეკანო კაციო, დასძი-
ნა და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნ-
და, რომ კოლონიის თავკაცს განკარგუ-
ლება გაეცა და დაახლოებით თხუთმე-
ტი წუთის შემდეგ ჯიბო შეხვედრის
ოთახში უფარდაგო მაგიდას დაყრდ-
ნობილი, იატაკზე მილურსმნულ სკამ-
ზე იჯდა. მარჯვენა მხარეს, კინოსა-
პროექციო ტუპრუტანისხელა ოთხ-
კუთხედ ზვრელში, მორიგე ზედამხედ-
ველის გადაპარსული თავი მოჩანდა.

იას არავინ შემოჰყოლია. შემოსვლის-
თანავე გაღიმება სცადა, ჯიბოს ხელი
ჩამოართვა, დაჯდა, მკლავები ერთმა-
ნეთში ჩაიხვია და იატაკს დააჩერდა.
ამ ორ წელწადში საოცრად გამო-
ცვლილიყო. ქუჩაში რომ შემხვედრო-
და, ვერ ვიცნობდიო, — გაიფიქრა დამ-
ხვედრმა. იას ორი თითის სიმაღლე
თმაზე, შუბლს ზემოთ ლურჯი ზონარი
დაემარებინა. ზონარი ყურების გასწ-
ვრივ კეფასთან შეეკრა და თავის ლამა-
ზი მოხაზულობით ზანგ- მოცეკვავეს
წააგავდა. რომ იტყვიან, ისე გამხდარი-
ყო, რომ თვალგადაღმა ქეტუელიყო.
თვალებს ის იშვიათად და ზარმაცად
ამოძრავებდა, გეგონებოდათ სიგამხ-
დრისაგან წამწამ-ქუთუთოს აწევა უმ-
ძიმსო. შეხედავდა ჯიბოს და ისევ ია-
ტაკს ჩაუბრუნდებოდა. ლოყები ჩავა-
რდნოდა, ყვრიმალეები უფრო გამოკვე-
თოდა. ტუჩებზე ლილისფერი გადა-
ჰკრავდა და მხოლოდ ლამაზ ნესტოებ-
ზე შერჩენოდა სინაზე, ქალურობა.

— როგორა ხართ, ია? — სიჩუმე ჯი-
ბომ დაარღვია და თვითონვე გაუქვირ-

და; ისეთი კილოთი იკთხა, თითქოს
გუშინაც ენახა და, საერთოდ, ვნებ-
ბელი აღამიანი იყო.

— რა ვიცი, შეგაწუხეთ ხომ? — იას
თავი არ აუწევია, — არ მეგონა, თუ
მოხვიდოდი.

ჯიბოს სრულიადაც არ ეხამუშა ქა-
ლის „შენობაზე“ გადასვლა.

— წერილი სხვასაც მიწერე?
გოგონამ დიდრონი, წყლიანი თვა-
ლებით ამოხედა.

— მე აღარავინ მყავს, ვისთვის უნდა
მიმეწერა. დედაჩემი შარშან გაზაფ-
ხულზე გარდაიცვალა.

- რა მოუვიდა?
- კიბო.
- რამდენი ხანია აქა ხარ?

— მარტში მომიყვანეს. მეოთხე თვეა
ხომ? სამი თვე გათავდა. შარშან ზუს-
ტად ორმოცი დღე ვიყავი.

ჯიბომ არც იცოდა, რა ეთქვა, ახლა
უფრო იგრძნო, რა ყალბად ეღერდა
გაზეთურ ნარკვევებს და ტელერეპორ-
ტაჟებში ნარკომანებისთვის სილასავით
გაწული ფრაზები: „ხომ ხედავ სანამ-
დე მიხვედი“, „რატომ არ იფიქრე,
როცა ამ გზას ადგებოდი“, „ახლა რა-
ლას აპირებ?“, „აღამიანი გქვია ახლა
შენ?“ სულ არ ჭირდება ახლა ამ ქალს
ნიშნის მოგება და ჭკუის დარიგება.
ჩემს წინ ღრმა ნარკომანი ზის, მორჩა
და გათავდა. ეს ყველაფერი კარგი, მა-
გრამ მე რატომ ვარ ახლა აქ, ჩემი დარ-
დი მყოფნის და რა მრჯის ამ წყალწალე-
ბული გოგოს ჭირისუფლობასო, გა-
იფიქრა.

— აქედან გასვლა გინდა, ია?

— ძალიან, — ისე ალაღად, შიშით
შეხედა გოგომ, თითქოს ორი წლის
წინანდელი ირონიის ნაკვალევს ეძებ-
და ჯიბოს მზერაში.

— წერილში მწერ „შეცდომა და-
ვუშვი და აღარ გავიმეორებო“.

— იმიტომ რომ აქედან გაგზავნილ
წერილს კითხულობენ. საჭიროა ასეთი
სიტყვები. თუ ის დაწერე, რასაც ფიქ-
რობ, წერილს არ გაგზავნიან.



— რას ფიქრობ, მაინც?
 — რა ვიცი.
 — მორჩენა არ გინდა?
 — რისგან? აუ, შენც ასე ფიქრობ?
 მე ვადადმყოფი არა ვარ.
 — აბა რა ხარ?
 — რა ვიცი. უბრალოდ, რაც მსია-
 მოვნებს, იმას ვაკეთებ.
 — შეგიძლია არ მიიღო?
 — რა?
 — წამალს რომ ეძახით.
 იამ გაიცინა.
 — შენ შეგიძლია წყალი არ დალიო
 სამ დღეს, ხუთ დღეს?
 — რა შუაშია.
 — როგორ არ არის შუაში. გამაგე-
 ბინეთ, ვის რას ვუშაგებთ ჩვენ. — აი,
 ნარკომანებს რომ გვეძახით და ციხეში
 გვსვამთ.
 — თუ ქალი ხარ, შენ გამომძიებელი-
 ვით ნუ მელაპარაკები, თორემ ავღგე-
 ბი და წავალ. ძნელი ვასაგები არ უნდა
 იყოს შენთვის, რომ მიინდა დაგხმარო.
 — მაპატიე, ჰოდა, თუ დახმარება
 გინდა, დამეხმარე აქედან გამოსვლაში.
 მეტი არაფერი მინდა. არც არასოდეს
 შეგაწუხებ.
 — როდის გაიკეთე პირველად?
 — რა?
 — მორფი.
 — არასოდეს გამოიკეთებია და არც
 გავიკეთებ. ნემსებს ვერ ვიტან. აქ, ერთ
 ადგილზე რაღაც ნემსებს მიკეთებენ
 და უნდა ნახო, როგორ ვხტუნავ.
 — აბა?
 — მე ვეწევი. ადრე ვყლაპავდი,
 ახლა აღარ.
 — რას?
 — რა ვიცი, აბებს. რასაც ვმოულობ-
 დი. ახლა კოდინიანი წამალი ჭირს,
 მაგრამ ტკივილგამაყუჩებელი რაც
 უნდა დამელოა, ექვსი-შვიდი ტაბლეტი,
 ყველაფერი მშველოდა.
 — რისგან გშველოდა?
 — ტკივილისგან, დარდისგან.
 — რა ტკივილი გქონდა.
 — გითხრა ყველაფერი? თვეში ერთ-

ხელ საშინლად ამტკივდებოდა მუცე-
 ლი. რისგან, თქვენ მიხვედრა არ გგო-
 ჭირდებათ. ჰოდა, მე მგონი, უფრო მა-
 შინ მივეჩვიე, როგორ არ მიწოდდა,
 ჩვენც ამაზე გველაპარაკა.
 — მერე?
 — მერე აბები მომწყინდა. თირკმე-
 ლებზე მოქმედებსო, მითხრეს, და მო-
 წევა დავიწყე. ადრე ძვირი ღირდა, ახ-
 ლა ისე ძვირი აღარ ღირს. თანდათან
 უფრო გაიაფლება.
 — რატომ უნდა გაიაფდეს?
 — ჩვენ, მწეველები ბევრი ვართ.
 მალე ფართო მოხმარების საგნად გა-
 დაიქცევა. შეიძლება მაღაზიაშიც გა-
 იყიდოს, როგორც თამბაქო.
 — შენ რას ეწევი ძირითადად, ოპი-
 უმს, ჰაშიშს, მარიხუანას?
 — იას ისევე გაეცინა და ქარვისფერი,
 მაგრამ ლამაზად ჩაწიკწიკებული კბი-
 ლები გამოუჩინდა.
 — სახელები გისწავლია. მე რასაც
 ვმოულობ, იმას ვეწევი, მაგრამ თქვენ
 რომ ტანში გაჯერდებით, ისე საშინლად
 არაა საქმე. რა შუაშია ეგ მყვირალა
 სახელები. ჩვენ რომ კაიფს ვიჭერთ,
 ის წამალი თითქმის ყველა ბალახს და-
 ჰყვება.
 — მაინც?
 — სოიოს, მუხუდოს რომ ვეძახით,
 ფესვებზე პარკები აქვს. დაფშვნი, გა-
 აშრობ და მოსწევ. კანაფში, ყაყაჩოს
 ყვავილშიც არის. გაგანათლო კიდევ?
 — არ არის საჭირო.
 — რა მანტერესებს იცი? თამბაქოც
 ხომ ნარკოტიკია თქვენი გაგებით?
 — თითქმის.
 — ნეტავ თამბაქოს წევა რომ დაი-
 წყეს ადამიანებმა, თუ კრძალავდა მაშინ
 კანონი და თუ დასდევდნენ დასაჭერად,
 როგორც ჩვენ.
 — შენ როგორ ფიქრობ, ნარკომანო-
 ბა მოდაა?
 — შეიძლება მოდაც არის.
 — არ დაიჯერო. ოთხი ათასი წლის
 წინათ ეწეოდნენ ეგვიპტეში და აზიის

უძველეს სამარხებში მიცვალბულს
საფლავში ატანდნენ ოპიუმთან ქილებს.

— რა ვიცი, მე მოდისთვის არ დამი-
წყია.

— აბა რატომ დაიწყე?

— ხომ გითხარით. საკვერცხეები
მტკიოდა.

— ახლა, კმაყოფილი ხარ შენი მდგო-
მარეობით?

— ნარკომანს რომ არ მეძახდნენ და
აქ არ მომათრევენდნენ სამკურნალოდ,
მართლა კმაყოფილი ვიქნებოდი. მე
არავის ვერჩი, თუ ცუდს ვაკეთებ, ჩემი
თავისთვის ვაკეთებ.

— ხვალ?

— ხვალე მე კარგა ხანია გადამიკე-
ტეს. მეოთხე წელია დავამთავრე და
სამსახური ვერ მიშოვნია. შვიდ მეტრი-
ან ოთახში გავიზარდე. დედაჩემის
კუბო თოკით ჩავუშვით მესამე სარ-
თულიდან. კიბე ისეთი ვიწრო გვაქვს,
თავი კუდს ვერ მოიქნევს. რომელ
ხვალეზე მელაპარაკებთ. ვინ იზრუნა
ჩვენზე.

— ამიტომ თქვენც აიღეთ ხელი
თქვენს თავზე?

— ან ავიღეთ, ან არა. აუ, როგორ
მომბეზრდა ასეთი ლაპარაკი. ახლა ჩემი
მდგომარეობა მიხარია კიდევ, თქვენი,
საზოგადოების ყურადღება, როგორც
იქნა მივიპყარო.

— როდის მერე იგრძენი, რომ ჩვენ
და თქვენ სხვადასხვა ნაპირზე ვართ.

— პირველი კურსიდანვე. მოსაწევის
შოვნამ ჩვენ უფრო შეგვკავშირა ერთ-
მანეთს. ცხოვრება საინტერესო გახდა.
თითქოს აზარტულ თამაშს გეთამაშე-
ბით, გემალეებით, კონსპირაციულად
გადაცემთ ერთმანეთს წამალს. თი-
თქოს რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია-
ში ვართ გაერთიანებული. მერე, სიმა-
რთლე რომ გითხარათ, ყველა ნარკო-
მანს (როგორც თქვენ დაგვარქვით)
ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთს ვენ-
დობით და ვაფასებთ. რას უნდა დავე-
რაზმეთ ასე კარგად.

— ოჰო. რას და კარგად ყოფნას.

— კარგად ყოფნას რას ეძახით?

— ჯანმრთელად ყოფნას.

— ჩვენ ჯანმრთელობას არ ვუჩივით.

— რა ვიცი. ხუთი წლის განმავლო-
ბაში თანმიმდევრულ ნარკომანს თირ-
კმელები, გული, ღვიძლი უავადდებოა.
ნერვული სისტემა მოეშლებაო, სექ-
სუალურ პოტენციაზე მოქმედებს,
ხოლო მემკვიდრე თუ გაუჩნდა, უსა-
თუოდ პათოლოგიური ბავშვი ება-
დებოა.

— ეგ, მე მგონი, სიცრუეა. ისე, რა
ვიცი გადაჭარბებული არაფერი ვარგა.
ყოველდღე ჩაქაფული რომ ჭამო, ექვს
თვეში ქოლესტერინი მოგკლავს.

— პირველად რომ მოსწიე, რა იგრძე-
ნი?

— პირველად? აღარც მახსოვს, ჰო...
როგორ არა, აბები ისე არ მაკაიფებდა.
მადუნებდა უბრალოდ. თითქოს ბუ-
რანში ხარ, ძილი გინდა, არაფერი
გტკივა, პრობლემები არ გაუწუხებს,
თავში მშვიდი, ლამაზი ფიქრები მოგ-
დის. ეს არის სულ. პირველად რომ მო-
მაწვივინეს, ჩვენ პლანს ვეძახით, იცი
რა დამემართა? უეცრად ნენარგის მო-
ზღვაება ვიგრძენი. მომშივდა, მომ-
შივდა წარმოუდგენლად. სხვებს სხვა-
დასხვანაირად უსწორდებოთ. მე შიმ-
შილით დავიჭირე. ვჭამ, ვჭამ, ლამის
მუცელი გამისკდეს. არ დავტოვე მა-
ცივარში, თუ რამე ჰქონდა ჩემს მეგო-
ბარს. მერე ვიმღერე და დამეძინა. რომ
გამეღვიძა, თავი მტკიოდა ცოტა. აი,
თქვენ რომ პახმელიას ეძახით, ის
გრძნობა მქონდა. მეორე და მესამე მო-
წევაზე ისე აღარ მშივდებოდა, მაგრამ
ისეთ ძალას ვგრძნობდი, მეგონა დევს
დავჭვიდიები-მეთქი. გამოგიცდია ისეთი
წუთები, როცა ირგვლივ ყველაფერი,
ლიტერატურულად რომ ვთქვათ, თვალ-
წარმტაცია? ქვეყანა სამოთხესავითაა.
გინდა ყველას მოეხვიო, მოეფერო.
არაფერი გაუწუხებს. ყველა გიყვარს.
გგონია მეხუთე სართულიდან რომ გა-
დასტე, არაფერი მოგივა და, საერთოდ,
შენი ტანი ჩიტოვით მსუბუქი გეჩვენე-

ბა. გავიწყდება ჩხუბი, ინტრიგა, უფუ-
ლობა, უსამსახურობა. გგონია ეს ქვეყა-
ნა, ეს ხალხი იმისთვის გაჩნდა, რომ
შენ გასიამოვნონ, სხვა არაფერი ესაქ-
მებათ.

— ახლა?

— ახლა, რა თქმა უნდა, ისე აღარ
მოქმედებს. ახლა მაშინ რომ ხუთი
ექვსი ნაფაზით ვვარდებოდი ნირვანაში,
ახლა ისე ვერაა. ხანდახან სამი შეხვევა
ძლივს მყოფნის. ისე მძაფრადც ვერ
ვიჭერ. უბრალოდ კარგად ვარ, ხალისი-
ანად ვარ, მეტი არაფერი.

— ოჯახზე, შთამომავლობაზე თუ
ფიქრობ.

— სანამ მოწვევას დაიწყებდი, არც
მანამდე დაუხვევიათ მთხოვნელებს კალ-
თები. საერთოდ, ფრეგიდული ქალი ვარ.
სექსს ვერაფერი ვერ გავუშვებ. არც
მქონია შემთხვევები კაცმა რომ თქვას.
ჩემი პირველი და მგონი ერთადერთი
მამაკაცი ჩემი მეგობრის საქმრო იყო.
სამჯერ თუ ოთხჯერ შევხვდი. მერე
მეგობრისა შემრცხვა და დავშორდი.
სინდისმა შემაწუხა. ჩემნაირი გოგო
ოჯახს ვერ შექმნის. რატომღაც ასე
მგონია. ლოგინში ძალიან მორცხვი ვარ.
სექსის საკითხში ძლიერი პიროვნება
უნდა იყო და უხერხულობის გრძნობა
არ გიწვავდეს ბეჭებს. სექსში ჭუნგლის
კანონი მოქმედებს. მე სხვა ცხოვრების-
თვის ვარ გაჩენილი. საერთოდ ახლან-
დელი ბიჭების ამბავი ხომ იცი: ოჯახის
შექმნის თოფივით ეშინიათ. ჩვენს
ჯგუფში ყველას ჰყავდა „საქმრო“, გა-
თხოვებით კი დღემდე მხოლოდ ორი
გათხოვდა.

— შეილის გაჩენისთვის აუცილებე-
ლი როდია გათხოვდე.

— ვიცი, მესმის. მე მარტოხელა დე-
დის ტვირთის ტარება არ შემიძლია.
ჩემს თავს ძლივს ვინახავ.

— ოდესმე რომ სხვანაირად დაიწყო
ფიქრი? ავადმყოფი ბავშვი რომ დაგე-
ზადოს?

— თუ ვინმეს შეუყვარდი. ხომ ხე-
დავ, აღარ ვამბობ; თუ ვინმე შემიყვარ-

და-მეთქი, იმდენ ძალასაც ვიპოვი ჩემს
თავში, მოწვევას შევეშვა და სალი
შვი გავაჩინო. თუმცა, შეიძლება, აწი
ამაზე ფიქრიც არ ღირდეს, გუშინწინ
ლექცია წაგვიკითხეს „შიდსი“. დამოკ-
ლეს მახვილივით დაკიდეს ჩვენს თავ-
ზე ახალი ავადმყოფობა.

— შიდსი? ჰო, რაო?

— მთელ მსოფლიოს შავი ჭირივით
ელდებაო. ჩვენშიც შემოაღწიაო. ამ სა-
უკუნის ბოლომდე მსოფლიოს მოსახ-
ლეობის ნახევარი შიდსით დაიღუპებაო.

— მოგვმართვია ხელი.

— შეგეშინდა? რა თქმა უნდა, თქვენ
მამაკაცები კურდღლებივით მშიშრები
ხართ. აფიორაა. ხალხის დასაშინებლად
და ცოლ-ქმრული ერთგულების შე-
სანარჩუნებლად მოგონილი საექიმო-
ყურნალისტური ხრიკია. ბუნებაში
არავითარი შიდსი არ არსებობს.

— ოჰო!?

— მართლა, მართლა. დიდი დაკვირ-
ვება არ უნდა, რომ შიდსის თეორე-
ტიკოსები ტყუილში დაიჭირო. აუ, მე
თითქმის ყველა სტატია წაგიკითხე
შიდსზე, რაც ჩვენში დაიბეჭდა, და
ასეთ დასკვნამდე მივედი. გაინტერე-
სებს?

— ძალიან.

— პირველი: შიდსის თავისი ფორმუ-
ლა და მაჩვენებლები არა აქვს. ზოგი
სულელი მეცნიერი ამ ბოლო დროს
ცდილობს დაამტკიცოს რომ შიდსი
კიბოს და კუჭის წყლულისადაა კი იწვევს.
რაც შეეხება ჭირკვლების გადიდებას,
სიცხიანობას თუ ოფლიანობას, იგი
ყველა ინტოსიკაციური დაავადების
თანამგზავრებია.

მეორე: შიდსის ვირუსის საინკუ-
ბაციო პერიოდი 5 დან 10 წლამდე
გრძელდებაო. ესეც სიცრუეა, გრძელ
ვადაზე გაანგარიშებული. ათ წელი-
წადში ან ვირი ან ვირის პატრონიო,
პაპაჩემი იტყოდა. როგორ შეიძლება,
ათ წელიწადში ორგანიზმში გქონდეს
ავადმყოფობა. ათწლიანი ავადმყოფო-
ბა ავადმყოფობად არ ჩაითვლება. ათ



წელიწადში ისედაც კვდება კაცი. თუ ასეა, ჩვენ დაბადებიდანვე დავცევება ჩვენი სიკვდილი — ჩვენი შიღისი. როგორ შეიძლება ასე შიშის ქვეშ იყოლოო კაცობრიობა. შიღისის სპეციალისტები, მე მგონი, თვითონ ან იმპოტენტები არიან, ან ასაკს ღრმადგადაცილებულნი. მე არა ვარ სექსუალურად გატაცებული, მაგრამ სამი-მეოთხედი მსოფლიო ხომ არის? შეიძლება? აუკრძალო ადამიანს ის, რაც მისი ადამიანობის ერთი ძირითადი ნიშანია? რალა დარჩა ამ ისედაც რადიაციულ საუკუნეში? ვინ დაამტკიცებს, რომ შიღისის შიშით ამ ათ წელიწადში თავშეკავებას სექსუალურ სიამოვნებისაგან, სამოცდაათი წლის მერე რომ „ტბილი სიბერის“ წლები შეგემატება ის აგინაზღაურებს?

მესამე: შიღისი იმუნოსინდრომი ხომ? როგორც ამტკიცებენ. ესე იგი, იმუნიტეტის დაკარგვა. იმუნოსისტემის ნოლზე დასვლა. თუ ასეა, ყველა ადამიანი ბოლოს შიღისით კვდება. ყველა სისიკვდილო ავადმყოფობა შიღისია. ბოლოს, სიკვდილის ბოლო კვირაში, ყოველგვარი მომაკვდინებელი სენი კიბო, განგრენა, ინფარქტი, ჰლექტი იმუნიტეტის გაქრობას იწვევს. ორგანიზმი ველარ ებრძვის სენს და ადამიანი იღუპება.

— შიღისზე გულდასმით გიმუშავია.

— არ მიმუშავია, უბრალოდ ვიფიქრე. სასაცილოდ არ მეყო, როცა მიიხრეს, ძირითადად ნარკომანებს ემართებათო. როგორ შეიძლება ავადმყოფობა არჩევდეს ნარკომანებს და იდეურად მდგრად ამხანაგებს ერთმანეთისაგან?

— აქ საქმე იდეოლოგიაში კი არ არის. უბრალოდ ნარკომანებს ორგანიზმი დაუსტებელი აქვთ და ავადმყოფობა უფრო ადვილად იკიდებს ფეხს.

— თუ ასეა ჩვენი ორგანიზმი სხვა დაავადებების მასპინძლადც მშვენივრად გამოდგება. რატომ არ გვემართება, ვთქვათ, კიბო ან ინფარქტი? თქვენ

იცით, რომ ნარკომანები და ალკოჰოლიკები ინფარქტით ყველაზე ნაკლებად აღდებიან?

— არ ვიცი?

— „ესეც ექიმებისგან გამიგონია.

— როგორ გგონია ია, რაში დაჭირდა მედიცინას შიღისის ისტერია? როგორც შენ ფიქრობ?

— ძნელი მისახვედრი არ არის, ამერიკელი ექიმების ერთმა ჯგუფმა მორიგი სენსაცია წამოიწყო. ჯერ გაუშვებდნენ ინფორმაციის წყაროებში ქსიგს, მერე თითქოსდა, ვაქცინას აღმოაჩენდნენ და მილიონებს ჩაიჯიბავდნენ. მერე ისე ბევრი წამოეგო მსოფლიოში ამ სენსაციას, რომ თვით ამერიკელ მეცნიერებსვე შეეშინდათ და იზრდება ახლა მსოფლიოში შიღისით გარდაცვლილთა უმიზეზო სია. გიმეორებთ, სიკვდილის წინ ყველას შეგიძლიათ დაუსვათ ანალიზი — შიღისი.

— რატომ მიგაჩნია ასე გულუბრყვილოდ მსოფლიოს სამედიცინო აზრი. მართლაც ასე რომ იყოს, მსოფლიო სახელის მქონე აკადემიკოსები მხარს აუბამდნენ? მილიონები იხარჯება შიღისის განკურნების გზების ძიებაზე.

— საერთოდ, აღმოჩენის სათავეში ყოველთვის ერთი ან ორი კაცი დგას. ასეა შიღისის შემთხვევაშიც. დანარჩენები უბრალოდ ფულს ხარჯავენ. რა არის ამაში ცუდი? ფულის შოვნის ახალი წყარო გამოჩნდა. ეს ერთ მხარესაც აწყობს და მეორესაც. ექიმს — ფული რომ იშოვოს, მთავრობას — ქველმოქმედის სახელი რომ დაიგდოს.

— ნეტა მართალი აღმოჩნდებოდე, ია. ვინ დაიჯერებს შენს თეორიას, როცა შიღისს თავისი ბაცილა აქვს და თავისი ფორმულა. შენ რომ ამბობ მაჩვენებლები არა აქვსო. მეტი ჩვენება რა გინდა. სისხლში შიღისის ბაცილა ძნელი აღმოსაჩენი როდია.

— სწორედ ეგ არის ჰორმეცნიერული. აუ, როგორ გაგაგებინო. ადამიანის ორგანიზმში მილიონზე მეტი ბაცილაა, მაშინაც კი, როცა კაცი იდეალ-



ურად ჯანმრთელია. მაგრამ როცა ორგანიზმი დასუსტდება, რომელიმე ბაცილა იმარჯვებს, ანუ ექიმების ენაზე რომ ვთქვათ, ორგანიზმში სუსტ ადგილს იპოვის და აყვავდება. ესეც შენი სიკვდილი. ვინ დაადგენს იმ მილიონ ბაცილიდან რომელმა მოკლა? შიდა რატომ თავისი ხაზით არ კლავს და სხვა ავადმყოფობას იშველიებს? ესე იგი თვით შიდა მომაკვდინებელი არ არის. უკიდურეს შემთხვევაში იგი ადამიანის საერთო სისუსტის, იმუნოუნარის დაქვეითების ავადმყოფობაა. ხოლო იმუნოსინდრომს თითქმის ყველა ავადმყოფობა იწვევს. რა შუაშია შიდა.

— რატომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იმძლავრა მიანცდამიანც იმუნოსინდრომმა? რამ დაასუსტა ორგანიზმი?

— ეგ სხვა საკითხია. ეძიე მიზეზი ადამიანისევე მოწყობილ ხიროსიმასა და ჩერნობილში. გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროში, თანამგზავრების მიერ დახეულ ცაში, შავ წვიმაში, შხამქიმიკატებიან საჭმელში, სტრესებიან დროში, მოწამლულ მდინარეებში. დააბრალე ყველაფერს ერთად, ან რომელსაც გინდა ცალ-ცალკე.

— ესე იგი შიდა ურბანიზმის, ტექნოცივილიზაციის დაავადება?

— მე მგონი.

— ზოგი მეცნიერი რომ ასკვნის, აფრიკის ველურ ტომებში გვხვდებოდაო?

— შეიძლება. ახლა უკეთესი პირობები დაუდგა და გამოვიდა კულისებიდან. ოღონდ იმ სახით არა, როგორც ჭუნგლებში თვლემდა საუკუნეების განმავლობაში.

— აი, ზომ ხედავ, მაინც აღიარე, რომ შიდა არსებობს.

— იმ ნაღვლიანად გაიღიმა თავისი ფართო, მეტყველი თვალებით.

— იმიტომ რომ შენ გასურდა ასე. მე მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შიდა ან ავანტიურისტთა მონაჭორია და ანგარებიანი სენსაციაა, ან ჭერ მხოლოდ ბაცილაა აღმოჩენილი და წარ-

მოდგენა არა აქვთ იგი ვენერიული სენია თუ უბრალოდ ინტოფსიკაციული ბაცილა, ან ვირუსული დაავადება. ყოველ შემთხვევაში მე ჩემს შვილს (რომელიც, ალბათ არ მეყოლება) შიდას შიშით არ გავზრდიდი. ასეთ შემთხვევაში მისთვის ცხოვრება აუტანელი იქნებოდა.

ჯიბოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავგადაპარსულმა მორიგემ რაფაზე დააკაუნა და სლოკინით გამოაცხადა: „შეხვედრის დრო ამოიწურა, ნეიძე პალატაში!“

ორივენი ერთდროულად წამოდგნენ. იამ შუბლს ზემოთ ლურჯი ზონარი შეისხნა, ისევ შეიკრა ახლა უკვე მოშვილდულ წარბებთან ახლოს და ჯიბოს ხელი გაუწოდა.

— კარგად აბა... სხვა რაღაცაზე მინდოდა მელაპარაკე შენთან და გამექცა სიტყვა. აუ, ძალიან შეგაწუხე ხომ ჩემი რატრატით? აწი, ალბათ, აღარ მოხვალ.

— მოვალ.

— მართლა რა... დაელაპარაკე კალანდაძეს. გამიშვას. ნუ მაწვალებს. მე მკურნალობას არ ვექვემდებარები. ვერც გადავეჩვევი და აღარც მინდა გადავეჩვიო.

— ამაზე ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. ნახვამდის.

ჯიბომ თავზე ხელი გადაუსვა, გულზე მიიკრა და შუბლზე აკოცა.

— ია კარისკენ წავიდა. შემოტრიალდა, ხელი ლამაზად გაიქნია და გავიდა.

ჯიბო დანამდვილებით ვერ გეტყობდათ, მართლა უკიანებდა ქალს თვალში ერთადერთი ცრემლი თუ მოეჩვენა.

გამოსვლისას მთავარ ექიმთან შეიარა. კალანდაძეს ლეღვით საგვე თასი ედო წინ და სამოთხის ხილს გაუფცქვენელად ჭამდა. ჯიბო რომ შევიდა, თასი მისკენ გასწია.

— მიირთვი. შემეშველე თუ ძმა ხარ, თორემ მეორე თასს ვათავებ, გავსკდი კაცი.

— გამაღობოთ -- ჯიბომ ხათრისთვის ერთი ლეღვი აიღო და დახეთქილ-

დაკრეცილ კანზე დახედა, — გიყვართ
ლეღვი?

— ძალიან. ნახეთ, ელაპარაკეთ
თქვენს ნეიძეს?

— დიახ.

— ხომ ვითხარით, მაგისგან არაფერი
გამოვა. სხვები თავს მაინც გვაცოდენ-
ბენ; მოვრჩებით, გამოვსწორდებითო,
ყასიდად მაინც გვპირდებიან. ეგ გოგო
გადაჭრით გვეუბნება, თავს არ დაეზნე-
ბებო. შენც ხომ ასე ვითხრა?

— ჰო. არ მოვიშლიო. რა არის იცით,
მთელ მაგის საუბარში ყველაზე მეტად
ეგ მომეწონა. თავზე არაფერს იბრა-
ლებს, არ გვატყუებს, ეგეც ხომ საქმეა.

— ეგ, ბატონო ჩემო, თქვენი სახელი
დამავიწყდა.

— ჯიბო.

— ბატონო ჯიბო, ეგ ნათქვამი ჩვენი
იგნორირების, ჩვენი დასჯის ფორმა
უფროა, ვიდრე მისი ხასიათის თვისე-
ბიდან გამომდინარე, შენ რომ ამბობ,
არ იტყუებო, არ დაიჭერო. ყოველ
ფეხის ნაბიჯზე ცრუობს.

— რა ვიცი, მე ვერ შევატყე.

— საკმაოდ დიდი არამზადაა იმის-
თვის, რომ ნიანგის ცრემლებით თავი
შეგაბრალოს და ჩემთვის ორდღიანი
გასვლის უფლება გათხოვინოს. გასუ-
ლი არ იქნება აქედან, რომ ყოველგვარ
პირობას ფეხებზე დაიკიდებს და თა-
ვის ძიულ ბუდეს მიაკითხავს, სადაც
ხელ-პირსაც არ დაიბანს, გაბრუებამდე
დრო რომ არ დაკარგოს.

— რასაკვირველია, მართალი არ არი,
რასაც ამბობს, მაგრამ ისე დაჭერებუ-
ლად ამბობს და ცოტა არ იყოს ლოგი-
კურადაც.

— საქმეც მაგაშია. რამდენიმე გვეყავს
ისეთი, როგორც ნეიძეა. არც განათლე-
ბა აკლიათ, არც მსჯელობის უნარი.
მაგ ნეიძემ გუშინწინ დოცენტი ჩაფი-
ჩაძე კედელთან მიაყენა. ლექციას კით-
ხულობდა „შიდსზე“ „ცოდნიდან“. რა
უქნა იცი? ჯერ შეკითხვები დააყარა
და ისე კოხტად გამოიჭირა მისსავე
პასუხებში, რომ საწყალ კაცს კინალამ

ხელები ააწვეინა. ისე, ჩვენს შორის
დარჩეს და ბევრი სიბნელეა მაგ შიდას
საკითხშიც.

— ჰო, ჯერ ბოლომდე შესწავლილ-
გამოკვლეული არა აქვთ, მაგრამ ხომ
ფაქტია, რომ არსებობს ასეთი საშინე-
ლება.

— ფაქტი და მერე როგორი. როცა
შიდსს ირწმუნებ, შეიძლება შენს გო-
ნებაში ყველაფერი თავდაყირა დადგეს.
ადამიანის და ამ შემთხვევაში ქალის
მიმართ ის სიფაქიზე და ნდობა დაკარ-
გო, რაც ახლა გაქვს ნორმალურ მამა-
კაცს. სიყვარულიც გადასხვაფერდება.
მერე იქნება სიყვარულზე დაწერილი
ლექსები აღარც წაიკითხო.

— ამიტომ ებრძვის შინაგანად ჩვენი
გონება შიდას. ამიტომ არ უნდა და-
იჭეროს იმ გოგონამ, რომ სწორედ
მისი თაობა იქნება შიდასიანი თაობა.
ამიტომ ადგა და ხელაღებით უარყოფს.

კალანდაძემ გაიციან. მერე სერიო-
ზული სახით დაწვდა ლედს. ზედ
ყუნწთან შეაკვნიტა ნაყოფი, ყუნწი
თეფშს დაუბრუნა და ღმურძვლით თქვა:

— შენ და ნეიძე დაიჭერებთ თუ არა,
შიდსს სულ არ ენადღლება. მიყვა და
ათასეულებს ანადგურებს აფრიკასა და
ამერიკაში.

— ჩვენთანაც ასე ლაღად ივლის?

— რა შეუშლის ხელს? ჩვენი ფარ-
ღალა ამბულატორიები, თუ სამაგა-
ლითოდ დაყენებული პირადი ჰიგიენა?
შიდსს ლოზუნგებით ვერ დაამარცხებ.

— არ ყოფილა საშველი.

— უსაშველო შენს მტერს. ასეთი
პანიკა იყო ევროპაშიც პირველად
სიფილისის ჩხირები რომ აღმოაჩინეს,
ახლა სიფილისი მედიცინისთვის პრობ-
ლემა ხომ აღარ არის? ასე მოუვა ში-
დსსაც. სხვათაშორის, ბუნება ახალ სა-
განს და მის გამანადგურებელ ძალასაც
ერთად შობს.

ცოტა ხანს სდუმდნენ. ჯიბომ „კოს-
მოსის“ კოლოფი დააძრო.

— ალბათ, აქ არ შეიძლება.

— მოსწიე რამდენიც გავგებარდეს —

მასპინძელმა ნება დართო, — მე თვითონ არ ვეწევი.

ჯიბომ მოუკიდა. ერთი ნაფაზი და-არტყა და სიგარეტი საფერფლეს ჩამოაღო.

— არაფერი ეშველება, აბა, იმ გოგოს?

— ნეიძეს? თითქმის არაფერი. ამ თითქმისსაც იმიტომ გეუბნები, რომ ექიმი ვარ. შარშანაც გვყავდა. გავიდა თუ არა იმ დღესვე მოსწია. ახლაც არაფერი ფსიქოლოგიური ძერა არ ეტყობა. რაც მთავარია, თვითონ არ უნდა.

— ესე იგი, ძლიერი ნებისყოფა აქვს.

— გააჩნია რა კუთხიდან შეხედავ. მე მაგას სწორედ რომ უნებისყოფობას ვეძახი.

— როგორ, ასე უერთგულო ნარკოტიკს, მთელმა ქვეყანამ ვერ გადაგაჩვიოს. მაინც ხომ არის რაღაც...

— ნეიძის მდგომარეობაში ხომ გითხარით ხასიათის სიმტკიცეზე ლაპარაკი ზედმეტია. რომელ ნებისყოფაზე შეიძლება ლაპარაკი. იგი საერთოდ უნებისყოფაა: ავადმყოფობამ დიდი ხანია ჩაკლა მისი ნებისყოფა.

— არ შეიძლება მისი სიჯიუტის ძალა სხვა რამეში გამოიყენოს კაცმა? წყალი არ უნდა გადაეწურათ ადამიანს.

— ნეიძემ თვითონ გადაუწურა წყალი თავის ცხოვრებას.

— როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?

— ჩვეულებრივად, როგორც სხვების მთავრდება.

— თუ ნებას დამრთავთ, ხანდახან მოვალ მის სანახავად.

— მობრძანდით, თვეში ერთხელ შემიძლია შეგახვედროთ. ოღონდ, რამეების მოტანისგან, თუ ძმა ხარ, თავი შეიკავე, ეგ მისთვის დიდი ფუფუნება იქნება.

— მაინც რა არ მოვუტანო?

— ფული და კიდევ, ხვდებით მე მგონი რასაც ვგულისხმობ.

— ღმერთმა დამიფაროს.

— ეგ გოგო ისეთი არამზადაა, შეიძ-

ლება თავიც კი შეგაყვაროს და ნარკოტიკის მოტანა შეგაწეროს. გვექონდა ასეთი შემთხვევებიც.

— ნეიძესთან?

— არა, სხვებთან. მოდიან აქ „მიდაშვილები“ და „საქმროები“ პურში ჩაკეხებული ამბულებით.

— ცოდვას ვერ დავიღებ, ჩემთვის მინიშნებითაც კი არ უთქვამს იას.

— ჯერჯერობით ვერ გავიბედა.

...ჯიბოს ყელი გაუშრა. სკამზე მოწყვეტით დაეშვა. პალატუხი მიღრიჯა და მკერდი გაიღლა.

— როდის, რანაირად?

— გუშინ, ვახშმის მერე, დერფანში გამოსულა, თავის პალატასთან იქვე. გადაუჭრია ქილის ნატეხით ვენები და სანამ სისხლისგან დაიცლებოდა, ფეხზე მდგარა რომ არავის დაენახა და არ მიშველებოდნენ.

— არავინ იყო ახლომახლო?

— როცა წაიქცა, მოცვივდნენ, მოცვივდნენ, მაგრამ უკვე მკვდარი იყო. გუშინ რაო, რა გითხრა, ეტყობოდა რამე?

— არაფერი, რომ ვუთხარი, ხვალ მინისტრთან მივდივარ-მეთქი, მაინცდამაინც არ გახარებია. ეგ იყო და ეგ. სხვა არაფერი შემიტყვია.

— რაო მინისტრმა?

ჯიბომ პიჯაკის ჯიბიდან კონვერტში ჩაღებული ქაღალდი ამოიღო.

— ჩემი შუამდგომლობით და პასუხისმგებლობით ერთი კვირით უნდა წამეყვანა.

კალანდაძეს კონვერტი არ გაუხსნია. მაგიდასთან მივიდა, ქაღალდი აიღო და ჯიბოს გაუწოდა.

— ხალათის ჯიბეში ვუპოვეთ. ეგ ასლია. დედანი გამოძიებელმა წაიღო.

სანამ მთავარი ექიმი ამას იტყოდა, ჯიბო უკვე კითხულობდა ია ნეიძის უკანასკნელ სტრიქონებს:

„ჯიბო (როგორ გავითამაზდი)



თავის მოკვლაზე სხვა დროს არასოდეს მიფიქვრია. ახლა, ამ წუთში მგონია, რომ ყველაზე ჭკვიანური, რასაც ჩემს სიცოცხლეში გავაკეთებდი, თავის მოკვლაა.

რომ გადამარჩინონ, გავგყდები.

რალაცნაირად ლამაზია: შენ მოხვალ ჩემი გაშვების ქალღმერთი და მე ცოცხალი აღარ დაგხვდები.

წუხელის მთელი ღამე თეთრად გავათენე.

ასე უკეთესი იყო: შენ მოხვიდოდი

სანახავად. მე დაგხვდებოდი. ვიჭქით შევყურებდით ერთმანეთს.

იცი რისი შემეშინდა? იმ ერთკვირიანი თავისუფლებით მე შენ სამუდამოდ დაგკარგავდი. მე ძალიან სუსტი ვარ. ვერ შევძლებდი თავის მორევას. არ მინდოდა დაცემული გენახე, ახლა სულ ჩემთან იქნები.

ცოტათი მაინც გავალამაზე, მგონი, ჩემი ცხოვრება.

გეხვეწები, მაპატიე ყველაფერი. მე შენ მიყვარხარ“.

გაგებობ

„ახალი კოლონიის“ რაიონს ამასწინათ სახელი გამოუცვალეს და „დემოკრატიის“ რაიონი დაარქვეს. მე ვფიქრობ, კარგადაც მოიქცნენ. „ახალი კოლონიის“ რაიონი ქალაქის ერთ საგარეუბნო რაიონს მაშინ უწოდეს, როცა ორმოცი წლის წინათ ამ შემოგარენში უბნის სიამაყე — შრომა-გასწორების კოლონია გაშენდა. კოლონია ახლაც ასრულებს თავის საპატიო ფუნქციას, მაგრამ რაიონის სახელწოდება ცოტა მოძველებულად ჟღერდა და ადმინისტრაციულ ქვეტექსტს ინარჩუნებდა. „დემოკრატიის რაიონი“ ფონეტიკურადაც მშვენიერია და თანამედროვეობასაც ეხმიანება.

დემოკრატიის რაიონის მკვიდრმა ერვანდი ქერქაძემ პოლიკლინიკის წინ „ჟიგული“ გააჩერა, სამუხრუჭე პედალი და საჭე ერთმანეთს საიდუმლო ბოჭლომით მიაბა და გულდაარხინებულმა იმით, რომ მანქანას არავინ მოჰპარავდა, ღია კარებში შეაბიჯა. გუშინაც აქ იყო ერვანდი. მარჯვენა მეოთხე საღეჭი კბილი დაუპლომბეს, მაგრამ პლომბი ზუსტად ხუთი საათის შემდეგ ამოუვარდა და მარჯვენა მეორე საღეჭი კბილის ზეღმეორედ დასაპლომბად გეახლათ. „დაპლომბეა“ რომ მთლად ქართული და მოხდენილი სიტყვა არ არის (ამ პროცედურის არასასიამოვნობას რომ

თავი გავანებოთ) ნოველის ავტორმა კარგად იცის, მაგრამ კბილის დაზიანებული ნაწილის ჩადუღებ-ჩაეკემენტებას (ზოგი ბეტონ-საბჯენის ორიგინალური სახელით რომ ნათლავს) ლექსიკონებში „დაპლომბება“ ეძახიან და სანამ უფრო მოხუჭურ ტერმინს ვიპოვიდე, მეც იძულებული ვარ პლომბი თავისი რუსული (რუსულია კი?) სახელით მოვიხსენიო. თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჩვენი ენის სჯულმდებელთა — რუსთველის ან სულხან-საბას დროს კბილის დაპლომბვის უსაყვარლესი ოსტატები არ არსებობდნენ. პასუხს შეკითხვაზე: არც იგორის ლაშქრობის დროს იპლომბებოდა კბილები, მაგრამ, ხომ ხედავთ, სამედიცინო ტერმინი არსებობსო, მე არავინ მავალდებულებს, ხოლო ვისაც ამნაირი ამბების ცოდნა მოეთხოვება, მშვენიერად იცის, რომ პლომბი ძველი მნიშვნელობით და პლომბი ახალი მნიშვნელობით სავარძობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საერთოდ კი პლომბის დადება დალუქვას (ლუქის დადება), დაბეჭდვას ნიშნავს.

სამშაბათი იყო. დამკვერელი ურომის სამშაბათი. ქერქაძეს რიცხვით მშვენიერად ახსოვს — ოცდამედი ოქტომბერი. ცაზე, მოსარკულიათ ვერ იტყოდით, მაგრამ არც წვიმას აპირებდა. ფრანებივით ეკიდნენ თეთრი, მსუ-

ბუქი, უნაყოფო ღრუბლები. აღმა-დაღ-
მა დააპროწიალებდა ქარი იმ ღრუბ-
ლებს და საღამოთი დასავლეთისაკენ,
ივერიონის ქედს მიღმა ჩარეკავდა.

ამ დროს — თერთმეტ საათზე სამ-
სახურის ხალხი თავის ვახტს ეწევა. ქუ-
ჩაში ძირითადად მივლინებით ჩამოსუ-
ლნი, გზაბნეული ტურისტები, უმუშე-
ვრები და გუშაგ-მეთვალყურენი და-
აბიჯებენ. კბილს რომ არ შეეწუხებინა,
ერვანდი ქერქაძეც თავის ჩვეულებრივ
ადგილზე — ოპერის თეატრში იქნებო-
და. ერვანდი, ყურნალისტური გამოთქ-
მა რომ ვიხმართ, „წარსულში ცნობი-
ლი“ დირიჟორი გახლავთ. საპენსიო ასა-
კი ჰა და ჰა, ჰქონდა და არც კი ჰქონდა.
მისი ხნის დირიჟორებიც წლების გან-
მავლობაში შეუცვლელად დგანან პულ-
ტთან ჩვენი უკიდევანო ქვეყნის სხვა-
დასხვა ოპერის თეატრებში, მაგრამ
ერვანდს ეს ერთი წელია პენსიაზე
უბიძგეს და დირიჟორ-კონსულტანტად
გაამწესეს, დირიჟორ-კონსულტანტის
შტატი, მართალია, ფინანსთა სამინის-
ტროს მკაცრი ლიმიტით ოპერაში არ
არსებობს, მაგრამ ქერქაძეს გამოუგო-
ნეს — მისი მოხუცური ჭირვეულობა
რომ დაეკმაყოფილებინათ. წამყვანი
დირიჟორობიდან დირიჟორ-კონსულ-
ტანტის საპატიო, მაგრამ ბუნდოვან-
ფუნქციიან სკამზე გადაადგილებით
ღვაწლმოსილი დირიჟორის ცხოვრება-
ში გარეგნულად, თითქმის, არაფერი
შეცვლილა. იგი კვლავინდებურად ცხრა
საათზე ცხადდებოდა თეატრში, სცენის
მუშებისა და განათებლებისათვის
კვლავ სასურველი, მხიარული მაესტ-
რო იყო. ძველებურად, საქმიანად და-
აბიჯებდა ჰოლში მსახიობთა სატუალე-
ტო კაბინეტების წინ პეპელაჰალსტუხი-
ანი და თმაბალდებულნი. ოღონდ ეგ
იყო, რეპეტიცია რომ დაიწყებოდა, სა-
ოცარი სევდა შეიპყრობდა, თავის მომ-
ცრო კაბინეტში შეიკეტებოდა და შე-
სვენებამდე არც გამოიხედავდა. რას
აკეთებდა, ვერ გეტყვით. კარებს შიგნი-
დან კეტავდა, რომ მისთვის ესოდენ

ძვირფასი მყუდროება არავის დერ-
ღვია.

ყოფილ დირიჟორს დღეს სხვა სტო-
მატოლოგთან მოუწია მკურნალობამ.
გუშინდელ ექიმს ცვლა სამზე ეწყებო-
და და, კაცმა რომ თქვას, ერვანდის გა-
ეხარდა კიდეც ეს ამბავი. მართალია,
ამ ექიმმაც ზუსტად ისევე, აუჩქარებ-
ლად, კოლეგებთან მარტივ თემებზე
გადალაპარაკ-გადმოლაპარაკებით და-
უპლომბა კბილი, მაგრამ ქერქაძისათ-
ვის მაინც დიდი ნუგეში იყო ხუთი სა-
ათის გაუტრკვეველი მოლოდინი და, ბო-
ლოსდაბოლოს, ხომ შეიძლებოდა,
პლომბი სამ დღეს მაინც არ ამოვარ-
დნილიყო?

მანქანას რომ უახლოვდებოდა, უკვე
იყო და, რომ ავტოინსპექციის წარმო-
მადგენელმა ნომერი მოუხსნა. რა მი-
ხედრა უნდოდა, შორიდანვე შენიშნა,
წინა პარპრიზზე საწმენდ მკლავჩოქში
შეჩურთული ქაღალდი. უმეკველია, ავ-
ტოინსპექტორის წერილი იქნებოდა,
რადგანაც მოხუც მაესტროს ქალიშვი-
ლები სასიყვარულო ბარათებს კარგა
ხანია აღარ წერდნენ და, ღმერთო შეგ-
ცოდე, არც ჯეელობაში იყო ქალების
ყურადღებით განებივრებული. აწუხებ-
და თუ არა მისი სახელოვანი პერსონი-
სადმი მშვენიერთა სქესის აუხსნელი
უყურადღებობა, ეს სხვა საკითხია. ერ-
ვანდს მოარწიყე კაცებზე თავისი შე-
ხედულება ჰქონდა. ჩვენ უბრალოდ
ფაქტს აღვნიშნავთ, სხვა არაფერი.

ავტოინსპექციის გულისხმიერი მუ-
შაკები ჩვეულებრივ უკანა ნომერს
ხსნიან. ერვანდს „ჟიგულისათვის“ ამ-
ჯერად უკნიდან არც შეუხედავს, ბა-
რათს ჩაუღრმავდა: „თქვენი ნომერი
მოხსნილია არასწორი დგომის გამო,
გთხოვთ გამოცხადდეთ ქალაქის ავტო-
ინსპექციაში. ავტოინსპექტორი რამინა-
შვილი“. ასე მარტივად და გასაგებად
ეწერა ქაღალდზე. ერვანდმა ქაღალდი
ისევ საწმენდს მიამაგრა და მიიხედ-მო-
იხედა. ამ ადგილას აყენებდა იგი თავის
„ჟიგულს“ მძღოლური მოღვაწეობის

ცხრა წლის განმავლობაში და არასოდეს ნომერი არ მოუხსნიათ. ელექტრონის ბოძზე, ჭადრის ტოტებს შორის, მართლაც აღმოაჩინა დგომის ამკრძალავი ნიშანი და თავის თავს გაუწყრა, რატომ დროზე ვერ შევნიშნეთ. ვაკვირვებით გაუკვირდა, მისი ჟიგულის გასწვრივ მდგომ სხვა მანქანებს რომ არ ჰქონდათ ნომერი მოხსნილი, მაგრამ ამის გამოძიება აღარ დაუწყია. ავტონისპექტორი უნდა ენახა, სანამ მოძრაობის უსაფრთხოების დამცველი ნომერს ქალაქის ავტონისპექციაში მიიტანდა. ერვანდისთვის სხვა დროსაც მოუხსნიათ ნომრები, მაგრამ რომ უთქვამს, დირიჟორი ქერქაძე ვარ და მაპატიეთო, თავზიანად უკან დაუბრუნებიათ.

ორახელაშვილის ქუჩას ზემოთ, აბანოსკენ აუყვია და ბუდიონის ბიუსტთან, პატარა მოედანზე ავტონისპექციის მოტოციკლი რომ შენიშნა, გულზე მოეშვა. წრეში შევიდა, „ჟიგული“ დაამუხრუჭა და კარიც არ მიუღდია, მაღალ, ხელჯოხიან ინსპექტორს წერილი გაუწოდა.

— დირიჟორი ქერქაძე ვარ მე.

— გიცნობთ ბატონო, ერთი წუთით, ბოდიში, — წესრიგის დამცველი ატუტუნებული რაციისკენ გამოიქცა — ჭითანავა გისმენ! ჩასძახა მიკროფონს — „ჭითანავა, ჭითანავა! ცხრა ძმის ქუჩაზე გავარდი ახლავე. შემთხვევაა, გესმის? მორიგე ვარ!“

— გასაგებია, მივდივარ. რა ადგილასაა?

— იქვე, დასაწყისში. ნუ კარგავ დროს!

— არის! — ჭითანავამ რაცია გამორთო, მოტოციკლს მოახტა და დირიჟორს მიუბრუნდა — ბოდიშს ვიხდი, შემთხვევაზე გავრბივარ. რამინაშვილს მოუხსნია. კობა ჰქვია. ახალგაზრდაა. აქეთ არც მინახავს ამ დილით. თუ წაღებულ ი არა აქვს, ქვევით, ძველ საკირესთან იქნება! — ქალაღდი დაუბრუნა და მოაძახა. — არაა გლახა ბიჭი, ნახეთ!

საკირე იმ ადგილას კარგა ხანია აღარ

არის. ნეტავი როცა იყო, მაშინაც არ ყოფილიყო. იმ საკირეზეა ლაპარაკი. ძვირფასო მკითხველო, რომელშიც ჭორმეცნიერული ვარაუდით ივანე მახაბელმა თავი დაიწვა. ამ ავადსახსენებელი საკირის გამო ძველად მთელ უბანს საკირისუბანი ერქვა, ქალაქის უძველეს ოთხკუთხედ მოედანს — საკირის მოედანი. ახლა, როგორც მოგახსენეთ, საკირის ჭაჭანება ახლომახლო აღარსადაა და სახელიც უბან-მოედანს სამჯერ შეეცვალა, მაგრამ ხალხი მაინც ძველი სახელით იხსენიებს. მოქალაქეთა კოლექტიური ხსოვნა ძლიერი რამ არის.

შავ-ყვითლად აჭრელებულ „ვოლგასთან“, რომლის თავზეც ცისფერი ნათურა ტრიალ-ბრდღვიანებდა, ორნი იდგნენ. მოძრაობის გუშავნი ერთმანეთს ეკამათებოდნენ, და რატომღაც (რაც იშვიათზე იშვიათად ხდება), ირგვლივ მორიალე მანქანების მდინარეს ყურადღებას არ აქცევდნენ. ქერქაძის „ჟიგულის“ მუხრუჭების ღრჭიალზე ერთდროულად მოიხედეს.

— გამარჯობათ.

ინსპექტორებს სალამზე არ უბასუხნიათ. ზედმეტად მიიჩნიეს. საერთოდ ავტონისპექტორებს დღეში უამრავი ნაცნობ-უცნობი მძღოლი ესალმება და ყველას რომ უბასუხონ, კისრის მალე-ბი დაუცვდებათ.

— რომელია თქვენს შორის კარგი კაცი — რამინიშვილი?

— რამინიშვილი კი არა, რამინაშვილია — უმცროსმა ლეინტენანტმა წერილი გამოართვა, — სად მოგიხსნეს, ბატონო ერვანდ?

— პოლიკლინიკის წინ, აკრძალული იყო მანდ დგომა?

— ახლა აკრძალეს. — ლეინტენანტმა ქალაღდი დაუბრუნა. ერთი საათის წინ ჩამოიარა კობამ, რამინაშვილმა. მარტო იჯდა — გრძელკისრიან კოლეგას გახედა.

— რა ვქნა აბა, სად ვიპოვო? — წყენა დაეტყო ხმაზე ქერქაძეს.

— ინსპექციის მოგიწევთ მისვლა. იქ იქნება უეჭველად. იქ ზის ხოლმე. ახალი მრღებელია. თქვენ არ გეცოდინებათ. ეგ საერთოდ არ ხსნის ნომრებს. არ ეხება მორიგეობა. რა ბზიკმა უბინა. აქ რომ იყოს, გამოუარებელით. ჩაყვით ბოლომდე, იქნებ შეგხვდეთ. „ყოველზე“ ზის, ოცდათერთმეტი-ნოლსამი.

— გმადლობთ, კარგაა, — ქერქაძემ ძრავი აათუხთუხა.

ავტონისპექტორებს არც დამშვიდობებაზე მიუციით პასუხი. კამათი განაგრძეს. ისე, რაზე კამათობდნენ ასე ცხარედ, საინტერესო კია, ხომ?

ორი საპატიო წრეც დაარტყა ქერქაძემ ორახელაშვილის ქუჩას, მაგრამ რამინაშვილის კვალს რომ ვერ მიაგნო, ქალაქის ინტერნაციონალური რაიონისკენ აიღო გეზი და ყაზარმული ტიპის გრძელ შენობას მიაღდა. შენობა რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის წყალობით, მთლიანად ხარაჩოებში იყო ჩასმული, მაგრამ, ეტყობა, ავტონისპექციის საქალაქო კოლონა სხვაგან არ გადაეყვანათ. შესასვლელის თავზე გახეთისჩაჩიანი მუშები ხარაჩოებზე იდგნენ და კედლებს გაჯით ლესავდნენ. ავტონისპექტორი კარებს რომ მიაღვმოადგებოდა, ჯერ მალლა აიხედავდა, მეგაჯეებს რაღაც გაურკვეველს შესძახებდა, მერე სასამსახურო ჩანთას დაიფარებდა თავზე და, თითქოს ხანძრიდან გამორბისო, ორი ნახტომით გამოშორდებოდა საშიმ გაჯონას.

იღბლად, პირველივე კაცი, ვინც რემონტგამეფებულ დერეფანში შეხვდა და მოხუცმა მესტრომ მოწიწებით ჰკითხა, „რამინაშვილს სად ვიპოვიო“, თვით აღმოჩნდა რამინაშვილი. იგი გაჯისა და ბენზინის სუნით აქოთებულ დარბაზში შეუძღვა დირიჟორს. დარბაზში ათიოდე მაგიდა და მაგიდას შემომსხდარი სამდენივე ავტონისპექტორ-თეორეტიკოსი თავის საქმეს ჩაღრმავებოდა. კობამ ცარიელ მაგიდასთან მიიყვანა ქერქაძე, დამტკვარილი სკამი მოშავო ჩერით გადაუწმინდა, დასვა, მაგიდის კუთხე-

ში დადებული ქუდი აიღო, თავზე ფრთხილად მოირგო, დაჯდა, ხედავდა თითები ერთმანეთს მიაღო და თქვა:

— ზემდეგი კობა რამინაშვილი გისმენთ.

— დირიჟორი ერვანდ ქერქაძე გახლავართ მე.

კობა მიხვდა, რომ დღეს მის მიერ მოხსნილ ერთადერთ ნომერზე იყო ეს დარბაისელი კაცი მოსული. ისიც იანგარიშა, რომ დირიჟორისთვის ნომრების დაბრუნება დაუსჯელად მოუწევდა, მაგრამ მაინც, სიტყვის მასალად, ჩაილაპარაკა:

— სასიამოვნოა. რაზე შეწუხდა პატივცემული დირიჟორი, რით ვემსახუროთ?

ქერქაძეს მოეწონა ახალგაზრდა კაცის თავზიანი კილო და დახვეწილი, ინტელიგენტური დამოკიდებულება სტუმრისადმი. რამინაშვილი საშუალოზე დაბალი, ფერმკრთალი, ოცდაათიოდე წლის კაცი იყო. სქელი, კუპრივით შავი უღვაშები და, რატომღაც, მეტყველ თავლისფერ თვალებს ზემოთ, ქერა, თხელი მოშვილდული წარბები ჰქონდა.

— რემონტი გქონიათ, — პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდე, უხერხულიაო, გაიფიქრა სტუმარმა.

— კი ბატონო, ერთი წელია ვიხრბობით მტვერში. არ დაადგა საშველი.

— სამაგიეროდ კარგი გამოდის. გარედან დეაკვირდი, მომეწონა.

— მაგის იმედით ვართ.

— ჩემი ნომერი მოგისხნიათ. ზევით, ორახელაშვილზე, პოლიკლინიკასთან, ორმოცდათხუთმეტი — ორმოცდათოთხმეტი.

კობამ ქვედა უჯრა გამოსწია, ნომერი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ეს არის ხომ, ბატონო ედმუნდ? მასპატიეთ, მგონი სახელი შემეშალა.

— არა უშავს, ერვანდი მქვია, ეს არის.

რედაქციაში მიწვევას
წიგნების

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. ინსპექცია
საქართველო

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო ერვანდ. კი, პოლიკლინიკასთან გეყენათ. მანდ ახლა დაკიდეს ნიშანი.

— რა ვქნათ, აბა პოლიკლინიკაში მიმსვლელებმა, სად გავაჩეროთ მანქანები?

— მაგდენი რომ ვიცოდე, ბატონო ერვანდ მე, აქ ვიქნებოდი?

„მართლაც და ამ ყმაწვილმა რა პასუხი უნდა მომცეს. ააშენა ღმართმა, ურიგო ბიჭი არ ჩანს, ბოდიშს მოვუხდის, მადლობას ვეტყვი და წავიღებ ნომერსო“. გაიფიქრა ქერქაძემ, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ასე იოლი როდი აღმოჩნდა.

— ამ ხნის ასე დამსახურებულ კაცს მეორეჯერ როგორ მოგაყვანათ აქ, ბატონო ერვანდ, ერთი გარემოება რომ არ მაშინებდეს, — რამინაშვილმა ქული მოიხადა, შუბლი შეიწმინდა და ისევ დაიხურა. ქუჩაში მორიგეობა მე არ მეხება. ამ დილით მეც პოლიკლინიკაში მქონდა პატარა საქმე, ძმიშვილისთვის ცნობა უნდა ამეღო. ის იყო, შევავჩერე მანქანა და სიგნალი დამცხო შოფერმა. გავხედე სარკეში, პერსონალური მომსახურების მანქანაა. ჩაკოსტუმ-ჩაპალ-სტუხებული კაცი ხელს მიქნევს. მივედი ახლოს, ვერ ვიცანი. დამიბღერა: „რას აკეთებთ, როგორ გავგივიდათ თავეს, ავტოინსპექტორებსო. ხომ ხედავ, აკრძალვის ნიშანი რომ ჰკიდია, რატომ არ ხსნი ნომრებსო, თქვენს ყიგულზე მიმოითთა. რას ეტყვი. ჩემი უშუალო უფროსი არაა, მაგრამ აშკარად ჩანს, თანამდებობის კაცია; მაგათ შეკამათება არ უყვართ. მოვხსნი, ბატონო, ახლავე-მეთქი. სანამ ქანჩს ამოვიღებდი და თქვენს მანქანასთან დავიხრებოდი, არ დაუძრავს მანქანა. მოვედი აქ და გავარკვიე, ჩვენი სამინისტროს სამმართველოს უფროსი ყოფილა, ფხალაძე. ეს სამმართველო ახალი გახსნილია, ორი წელი არც არი. ადრე კაკაბაძე იყო უფროსი, ის კაკაბაძე მინისტრის მოადგილედ გადაუყვანიათ, ფხალაძე ახალი კაცია. ვერ გეტყვით, ადრე სად მუ-

შაობდა. ნომერს ახლავე გაგატანდით, მაგრამ თქვენც უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში, ფხალაძისთანებმა დამახსოვრება იციან, რომ დარეკოს და მოიკითხოს? ხომ იცით, მე პატარა კაცი ვარ, ჩემს გაგდებას რა უნდა.

დამსაჯე აბა, როგორც მეკუთვნის, რა ვქნა აბა, შენი საქმე რომ გაფუჭდეს, არც ის მინდაო, ქერქაძემ.

თურმე მთავარი სიძნელე ის იყო, რომ რამინაშვილს არც ნომრის მოხსნის უფლება ჰქონდა და, მითუმეტეს, არც დასჯის. სამმართველოს უფროსმა ნომრის მოხსნა უბრძანა, მაგრამ ის კი არ უკითხავს, ვინ ხარ შენ, რა მოხელე-ჩიქვანი ხარო. კობა თვენახევრის მიღებულია ავტოინსპექციაში და ჯერ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და განაცხად-შეტყობინებების აღრიცხვა-შეკრების მოკრძალებული საქმე აბარია.

კარგა ხანს ისაუბრეს და ბოლოს რამინაშვილმა ნომერი დაუბრუნა მოხუც დირიჟორს, მაგრამ სთხოვა, თუ არ შეწყუბნებით, ფხალაძესთან მიბრძანდით და გააცანით თავი, ეშმაკს არ სძინავსო.

მეორე დღეს, ნასადილევს, ერვანდ ქერქაძე ფხალაძის კაბინეტის წინ ბოლთას სცემდა. სამმართველოს უფროსმა სახელდახელო თათბირი დაამთავრა და მესტრო დაუბრკოლებლივ მიიღო:

— გისმენთ, დაბრძანდით, — ფხალაძეს ფორმა რომ არ სცმოდა, შიდსის პოტენციურ მატარებელს დაემსგავსებოდა; გამხდარ-გალეული, ფერგამკრთალი პირისახით და ყურებში ჩასული თმის ძველმოდური ვარცხნილობით.

მესტრო არ დამჯდარა, მაგრამ მასპინძელი ამ გარემოებას დიდად არ შეუწყუბნებია, მან ყოველშემთხვევისთვის, ზრდილობისთვის შესთავაზა სკამი შემოსულს და დირიჟორს რომ შეხედა, გაიფიქრა, იმ ადამიანების კატეგორიას ეკუთვნის, საჩივრების გრძლად თხრობა რომ იციანო.

— ერვანდ ქერქაძე გაწუხებთ, ბა-

ტონო, დირიჟორი,— ხმადაბლა, მუ-
დარის კილოთი დიწყო ქერქაძემ და
რას წარმოიდგენდა, თუ ფხალაძეს დი-
რიჟორები და დირიჟორების მონათე-
სავე სპეციალობის მოქალაქენი საერ-
თოდ არ უყვარდა.

— დიხ, — ცივად თქვა სამმართვე-
ლოს უფროსმა.

— ნომერი მოგხსნევენებიათ ავტო-
ინსპექტორისთვის გუშინ ჩემს მანქა-
ნაზე, პოლიკლინიკასთან, არასწორი
დგომისთვის.

— მერე ჩემთან რატომ მობრძანდით?

— ვიყავი ავტოინსპექციაში. კარგი
ბიჭი აღმოჩნდა რამინაშვილი, ავტონი-
სპექტორი. დარღვევისთვის ბოდიში
მოგუხადე და დამიბრუნა ნომერი.

— ჩემთან რისთვის მობრძანდით-
მეთქი.

— რა არის იცით? — მაესტროს პი-
რი გაუშრა, ასეთი რამ უკანასკნელ
წლებში მხოლოდ დიდი აღლევებისაჲს
ემართებოდნენ — ეშინია თქვენი. თქვენ
დაგვივალეებით ნომრის მოხსნა... ხომ
იცით, ახალგაზრდა კაცია, წინ უნდა
წასვლა... კაცურად მომექცა, რაც მარ-
თალია, მართალია.

— მე რა გავაკეთო-მეთქი, ბატონო,
ქართული ხომ კარგად იცით თქვენ?
მაესტრომ ინანა, მარტო აქ მოსვლა
ქი არა, „უდიგულის“ შეძენა საერთოდ.

— არაფერი... არ დასაჯოთ, უბრა-
ლოდ. შუამდგომლობისთვის მოვედი.
თუ რამედ ვლირვარ საერთოდ... თუ
რამედ გამიკეთებია ხელოვნებისთვის.

— თქვენ მე დაგიბარეთ, პატივცე-
მულო? — ხომ არსებობს გაბრაზებაგა-
რეული, ძალად სიცილი. ასე გაიცინა
ფხალაძემ.

— არა, ბატონო. მე თვითონ მოვე-
დი. ხომ შეიძლება, დაგესაჯათ ავ-
ტოინსპექტორი.

— რაზე?

— მე რომ არ დამსაჯა, სიტყვაზე
ვამბობ... მაგალითად. შენო, დამსახუ-
რებულ დირიჟორს, აღარ ვაგაწითლებ,
არ დაგსჯიო. ოღონდ ფხალაძესთან მი-

შუამდგომლე, შენი დაუსჯელობისთ-
ვის, მე არ დამსაჯოსო.

— ასე გითხრათ რამინაშვილმა?

— კი.

— რომელ ინსპექციაშია ეგა?

— ვინ?

— რამინაშვილი.

— ქალაქისაში.

— მე, პატივცემულო დირიჟორო,
გუშინ დილით თხუთმეტ თანამშრო-
მელს მაინც მივეცი შენიშვნა. თქვენ
გგონიათ, ყველა მათგანს ვიმასხოვრებ,
ან ყველა შენიშვნა მასსოვს? მე თუ
არასწორად მოგახსნევენ ნომერი, რა-
ტომ არ შემეპასუხა, რატომ არ გამარ-
კვია მაშინვე.

— არა, ბატონო, თქვენ სწორად
მოგხსნევენებით.

— აბა რაში ვარ მტყუანი, ვერ გავი-
ბამ.

— მტყუანი ჩვენ ვართ. მე დავარ-
ღვეი და ავტოინსპექტორ რამინაშვილს
უნდა დავესაჯე. არ დამსაჯა. შენო, თე-
ატრის კაცი ხარო, ამ ერთხელ გაბატე-
ბო. ახლა შეშინებულია.

— რამ შეაშინა?

— საერთოდ... არ გამიბრაზდეს ფხა-
ლაძეო. ხომ შეიძლება დამასხოვრებო-
და ეს ამბავიო.

— ნამდვილად გეტყვით, არ მასხოვ-
და. რა გვარია?

— რამინაშვილი.

ფხალაძემ ავტოინსპექტორის გვარი
„ექვსდღიანზე“ მიინიშნა.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— ქერქაძე, დირიჟორი.

— წაბრძანდით, მივიღებ ზომებს,
კარგად ბრძანდებოდეთ.

— თქვენ ვერ გამიგეთ, ზომების მი-
ღება კი არ გვინდა, მე ვშუამდგომ-
ლობ... ერთი სიტყვით, თუ მოსახერხე-
ბელია, რამინაშვილი არ დაისაჯოს.

— ნუ დაშაგვებს და არ დაისჯება.

— არ დაუშაგვებია, ბატონო, არაფე-
რი.

— აბა, არაფრისთვის მობრძანდით
თქვენ ამ ხნის კაცი ჩემთან? არაფრის-
თვის შეწუხდით?

— ჩვენ გვეგონა, გახსოვდათ თქვენ ეს ამბავი.

— რომელი ამბავი?

— ჩემი არასწორი დგომის ეპიზოდი.

— პატივცემულო, რამდენი დირიჟორი არასწორად დააყენებს მანქანას, ეგ რომ ვიმანსოვროთ, სად წავალთ. თქვენ უსაქმო ხომ არ გგონივართ, ბოლოსდაბოლოს?!

— ეგ არ მიკადრებია, ბატონო.

— ხომ აგისენით, წაბრძანდით, მშვიდად იყავით, არ გჯერათ ჩემი?

— როგორ არ გვჯერა. მე საერთოდ მშვიდად ვარ, მე ნომერი უკვე დამიბრუნეს, მე მინდოდა რამინაშვილიც მშვიდად ყოფილიყო. ახალგაზრდა კაცია, ლელავს. ვაი თუ დამსაჯონო.

— არ გჯერათ ჩემი, არ მენდობით ხომ? — წყენა და მრისხანება დაეტყო ფუჭი დიალოგისგან თავმობზრებულ ფხალაძეს, — თქვენ გგონიათ, არ დავრეკავ, არ დაგეხმარებით, არ გცემთ პატივს? რა შემატყვევთ ასეთი უყურადღებობის. რატომ გინდათ ყველას, ახლავე, თქვენი თანდასწრებით გაკეთდეს ყველაფერი? ა, ბატონო, დავრეკავ ახლავე.

ფხალაძემ ჯერ ტელეფონების მოძიქრო, რუხყდიანი წიგნი აიღო. რა გვარი მოძებნა, ვერ გეტყვი, ოთხი ციფრი აკრიფა და ყურმილს მშვიდად ჩაუღებარაკა.

— სალამი, ტავარიშ ბაღბაღოვნიკი, რა ამბავია თქვენსკენ, უძღლებთ? ასე უნდა ვიყოთ, რა მეტი გზაა. შენა, ავტონისპექტორი გყოლიათ რამინაშვილი, ნომერი მოუხსნია დირიჟორისთვის, ჩემთანაა კი. გაერკვიე, თუ კაცი ხარ.

ყურმილი დადო და მაესტროს ხელა.

— მოისმინეთ? დარწმუნდით ახლა მაინც? წაბრძანდით თქვენ, მოგართმევენ ნომერს.

— ნომერი უკვე მომცეს.

— მითუმეტეს, თუ მოგცეს. ყველაფერი კარგად იქნება. მართლა ასე კი არაა ჩვენი საქმე, ზოგიერთს რომ ჰგონია. ჩვენ ხალხი ვართ აქ და ოჯახის პატრონები ვართ. ზოგს მარტო დამსჯელები ვგონივართ. წაბრძანდით და იმუშავეთ მშვიდად.

მაესტრომ მაღლობა მოახსენა, კიდეც უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მასპინძელმა არ დააცალა, კარებამდე გამოაცილა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

●
იმ ამბიდან ზუსტად მეხუთე დღეს, შუადღის პირველ საათზე ერვანდ ქერქაძეს თეატრში მიაკითხა ავტონისპექტორმა კობა რამინაშვილმა და აუწყა, რომ გუშინ მას საყვედური გამოუტყდადეს უკანასკნელი გაფრთხილებით და პირად საქმეში შეტანით; სწორედ ქერქაძის საქმესთან დაკავშირებით, სასახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობისა და ლიბერალობის გამოჩენისათვის.

ხოლო იმავე საღამოს მოხუც დირიჟორს მეორე უსიამოვნება შეხვდა. საღამოს ვაზეთში რუბრიკა — „უდისციპლინო მძღოლები“ ქვეშ მის სახელსა და გვარს მოჰკრა თვალი. იქვე ორმოციოდე სხვა დამრღვევი მძღოლიც იყო დასახელებული, მაგრამ სხვა გვარებით მაესტრო ამჯერად არ დაინტერესებულა.

ტელეფონიკალი

უცნაურზე უფრო უცნაურია ადამიანი. ჯერ იყო და გულში უხაროდა, ერთ კვირას რომ მარტო ყოფნა მოუწევდა, გააცილა წუხელ ცოლ-შვილი

თვითმფრინავზე და შინ მობრუნებული აუხსნელმა სევდამ შეიპყრო. ბინა მიტოვებული და ცარიელი ეჩვენა. ისე მოკრძალებით დააბიჯებდა ოთახიდან

ოთახში, თითქოს სხვის სახლში მოხვდა და თვითონაც მალე უნდა წასულიყო აქედან. დიდი ხანია მარტო არ დარჩენილა და ახალა მიხვდა, რომ მარტოობას ვადაჩვევია. უკვირდა კიდეც, რატომ უხაროდა გუშინ ეულად დარჩენის მოლოდინი. რა მისაჩუქმათებელ-გასაიდუმლოებელი ცხოვრებით კი ცხოვრობდა. მარტო ყოფნა ხსნა რომ ყოფილიყო მისთვის. ვერა და ვერ დაიძინა. „მარტოობის ასი წელი“ იკითხა ერთხანს, მაგრამ ისე ყალბად და მოგონილად, გაჭიანურებულ-გაზვიადებულად წარმოუდგა ამ წიგნში აღწერილი ამბები, რომ გაუკვირდა — პირველად წაკითხვისას რამ მომაწონაო. აივანზე გაიტანა სკამი და დიდხანს ჩასცქეროდა მძინარე ქალაქს. რა მშვიდი ჩანდა ზემოდან თბილისი. ლამპიონების ციმციმით უღიმოდა ძილში აზიის ზეცას გორგასალის ქალაქი. კაცი იფიქრებდა, იმ თვალჩამჭრალ ფანჯრებში არასოდეს გამკრთალიყოს დალატი და შური, დაკარგული ოცნებები და არსებობისთვის გაუთავებელი პირღმეჭა.

დილით გაბურბუსალებულს გაედევნა. საქმე თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ რატომღაც ყველა საქმე ფუჭად და უინტერესოდ ჩათვალა ამ დილით. „ხალხი რას აკეთებს და მე რა საქმეებით ვარ დაკავებული მთელი ცხოვრებაო“, გაიფიქრა, სამსახურში მანც ვიყო წასასვლელი, გულს გადავაყოლებდი, რა გაუთავებელი შეიქნა ეს შეგებულემა წელსო.

ქუჩაში ხეტიალი არ უყვარდა. საქმე არაფერი მაქვს და გამოწყობად არ ღირს დღისით ბუღიან ქალაქში გასვლაო. აკვარიუმს წყალი გამოუცვალა, მინის კედელთან მიჭკვებულ წითელ თევზს ბურღული ჩაუყარა და ტელეფონმაც დარეკა.

— ალო, გისმენთ.

ხმას არავინ იღებდა. ეს არ იყო ტექნიკური მიზეზით შეწყვეტილი ზარი. აშკარად ჩანდა, დამრეკავს ყურმილი ჯერ კიდეც ხელში ეჭირა.

— ალო, ალო, გისმენ. ამოიღე ხმა... კეთილი, როგორც გაგეხარდება.

ყურმილი დადო. უჯრიდან სამართებელი ამოიღო, ოთხთითშუა მოიჭცია და დახედა. მამისეული სამართებელი დაყანგულიყო. კარგა ხანია ელექტრო-სამართებელით იპარსავდა. კალენდრის ჩამოსაკიდებელზე სქელი ქამრის ბალთა მიამაგრა და სამართებლის ალესვას შეუდგა.

კვლავ აწკრილდა ტელეფონი.

— ალო, ალო, გისმენ ბატონო.

იქეთა მხარეს კვლავ ერთგულად სდუმდნენ.

— იქნება სხვაგან ხვდები. შენი თამაშის თავი არა მაქვს. სამადაძის ბინაა, კაკუტა ვარ მე. ხმა ამოიღე, შე კაიდემამიშვილო. ჩაახველე მაინც. ისე, ფასონად.

უცნობმა არ ჩაახველა.

— კარგად იყავი აბა. მომიკითხე თქვენები.

კაკუტამ ყურმილი დადო და სამართებლის ლესვა განაგრძო. საქმეს რომ მორჩა, გაიფიქრა, რისთვის გავლესე ეს სამართებელი. ამით სახის გამპარსავი ვარ მეო?

აბაზანაში რომ შევიდა და გრილ შხაპს თავი შეუშვირა, იცოდა რომ წუთი-წუთზე ტელეფონი აწკრილდებოდა. ალღომ არ უმტყუნა. პირსახოცი თავზე შემოიბრუნა და შლოპანცების ტყაპატყუპით ტელეფონის მაგიდამდე მიიბრინა.

— ალო, ალო... ბატონო, გისმენ... ნუ გრცხვენია, მე ვარ, მარტო ვარ. სახლში... ნუ მომშალე ამ დილით ნერვებზე, სული მაინც შეუბერე ყურმილს...

მარცხენაში ყურმილი ეჭირა, მარჯვენით თავ-კისერს იმშრალებდა. წყალი წურწურით ჩამოდიოდა წვივებზე და ლაკით შეღებილ პარკეტზე იშლეებოდა.

— ალო, აბაზანაში შეგდივარ და, თუ ღმერთი გწამს, აღარ დარეკო. არ მაქვს შენი თავი.

ყურმილი დაღო და აბაზანაში შებრუნდა.

წყლის ჩხრილში ერთი-ორჯერ მოეჩვენა, რომ ტელეფონი წკრიალებდა. ონკანი დაეკეტა, კარი გამოაღო და მიაყურადა. ინკოგნიტო მრეკავმა თხოვნა შეუსრულა, სწორედ იმ დროს დარეკა, კაკუტა პირის პარსვას რომ მოორჩა და ლოყებზე ოდეკალონიან ხელს იტყავაუნებდა.

— ალო, მე ვარ... გეხვეწები ხმა ამოიღე. თუ სხვა ვინმეს ურეკავ, ტყვილად ირჯები, ჩემი ცოლი და ორივე ქალიშვილი სოხუმში გავაცილე წუხელის. ერთ კვირას იქ იქნებიან. სიდედრია ჩემი შეუძლოდ. წელანაც გითხარი, მარტო ვარ. თუ ხმას არ ამოიღებ, გამოვრთავ ტელეფონს და ის იქნება. კარგად მეყოლე...

ყურმილი გადაღო, მაგრამ ახლა სხვა ფიქრმა არ მოასვენა, „იქნებ ვინ აპირებს დარეკვას, ამ ვილაც მოცლილის გულისთვის რატომ უნდა გავეთიშო ქვეყანასო.“ ცოტა ხანს გაზეთი ატრიალა ხელში, მერე ისევ თავის ადგილას დააბრუნა ყურმილი.

ყურმილის დადება და ზარის წკრიალი ერთი იყო.

— ბატონო. მისმენ? ერთი მითხარი, რა დაგიშავე. ხომ უნდა ვიცოდე, რისთვის მსჯის ასე მკაცრად. რა ვიცი, თითქოს ცუდი კაცი არ უნდა ვიყო, ჩემი მოკლე ჭკუით. არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია. ჩემთვის გავდი-გამოვდივარ ჩემს პატარა საჯახირო-წასაგებელში. არც შენთვის უნდა იყოს მთლად სასიამოვნო წამდაუწუმ რეკვა. რაზე იწვალებ თავს.

კაკუტამ ყურმილი დაღო, მაგრამ სრულებითაც არ იყო დარწმუნებული, რომ ჯიუტ უცნობს მისი დარიგება ჭკუაში დაუჯდებოდა და აღარ დარეკავდა. სანადირო თოფი გამოიტანა, დაშალა, ჯერ ზეთიანი ჩვრით გააპრიალა, მერე მშრალი ჩვარი უჩუჩხურა ლულეებში! სანადირო სეზონი ახლოვდებოდა და თოფ-იარაღი მზად უნდა ჰქონოდა.

ძველთაძველი ზაუერი მასობრივი ტირაჟით გამოშვებულ ტულის თოფს კარგად მოუვლიდი, ბარე — ორს დაცივებდა. ტყვია-წამალი გამოიტანა და ჰილზების დატენვას შეუდგა. კაკუტა მუყაოს, გამზადებულ ჰილზებს არ ენდობოდა. ერთი-ორჯერ ფისტონმა უმტყუნა და გული გაუტყდა ფაბრიკის ჰილზებზე.

მაღე ისევ დაირეკა.

— ალო, კი ბატონო, მიაღწიე შენსას, გამომიყვანე მოთმინებიდან, მომიშალე ნერვები. კმაყოფილი ხარ? შენმა აჯობა. ვაკავავ თითს, რა გიყო მეტი. ახლა მაინც ამოიღე ხმა. არ მეტყვი არაფერს? რამდენჯერაც უნდა დარეკო, შეგინებთო მაინც არ შეგაგინებ. კარგად იყავი.

დიდხანს გულმოდგინედ ტენიდა ჰილზებს კაკუტა, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, მაგრამ მთავარი იმ ფიქრთა შორის უცნობი მრეკავის საქციელი იყო. მართალია, შელახული თავმოყვარეობის ხარჯზე, მაგრამ მაინც ხომ შეძლო, აეძულებინა კაკუტა ეფიქრა მასზე. სახლის პატრონმა გონებაში გადათვალა ნაცნობების უმეტესობა, ვისთანაც ბრად იყო და ვისთანაც უბრად. ვერაფერს შეიგულა ისეთი, ასე ერთგულად რომ შეძლებოდა რეკვა. მტრები როგორ არ ჰყავდა, მაგრამ ტელეფონით ანგარიშის გასწორების მეთოდი მისი მტრებისათვის ერთობ უბრალო რამ იყო და ასეთი ნაბიჯი საკუთარივე ღირსების შელახვად მიაჩნდათ.

ამ ფიქრებში გავიდა ერთი საათი, ორი. კაკუტა თოფთან დაკავშირებულ საქმეებს მოორჩა და ერთბაშად იგრძნო, რომ რაღაც აკლდა, რაღაც ჩვეულებრივად ვერ იყო. რა იწვევდა შემფოთებას ოჯახის მამის სულისას? ბევრი რკვევა არ დასჭირებია. ტელეფონი აღარ რეკავდა.

„რა მემართებო, გაიფიქრა, უნდა მიხაროდეს, დაისვენა ყურებმა, მოწყინდა, ეტყობა, ჩემი წვალება და დამანება თავი, რატომ ველოდები ასე გულიანად დარეკვასო.

ტელევიზორი ჩართო და ტახტზე წამოწვა. წვეროსანი დიქტორი კორდილიერების ფლორა-ფაუნაზე საუბრობდა. მშვენიერი გადაცემა იყო, მაგრამ კაკუტამ გულისყური ვერ მიაყოლა. სიტყვები ესმოდა, ეკრანზე გარეულ კამეჩებს და სინდიოფალებს ხედავდა, მაგრამ სიტყვებს და სურათებს ერთმანეთს ვერ აკავშირებდა. ხანდახან ტელეფონისკენ გააპარებდა მზერას. აშკარა იყო, ელოდა. და რაც უფრო აგვიანებდა უცნობი დარეკვას, მით უფრო მოუთმენლობა და სიბრაზე იპყრობდა.

ლოდინით დადლილ-გასავათებულმა უგემურად ისადილა, დაძინება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. წამოდგა, ერთხანს იბუჯურა ოთახში და ისევ ტელევიზორი ჩართო, მაგრამ ვერც ახლა დაუდო გული. არ დაიჭერებს მკითხველი; „მოამბის“ დაწყებას აღარაფერი უკლდა, როცა კაკუტამ ტელეფონის მაგიდასთან სკამი მიიჩოჩა და კარგა ხანს

გაუნძრევლად იჯდა ტელეფონშიშტერებულნი.

როგორც იქნა, გაისმა სანატრელი წკრიალი.

გახარებული კაკუტა ყურმილს ეცა.

— სად ხარ აქამდე? ხომ არაფერი გაწყენინე, რომ არ რეკავდი. დარეკე ხშირად. შენ არ იცი, რა კაი გრძნობაა, ვილაცა რომ ფიქრობს შენზე. ნულარ დარეკავ-მეთქი, მე სულელმა, რომ გთხოვე, არ დაიჯერო. შენ რომ არ დარეკო, მთლად მარტო დავრჩები. ნუ ამოიღებ ხმას. როგორც შენ გაგეხარდებოდა, ისე მოიქეცი. არა აქვს მნიშვნელობა ნაცნობი ხარ თუ უცნობი. დარეკე ხშირად. აი, ახლა ყურმილს დავდებ და ისევ დარეკე. ასე ვიჯდომები ტელეფონთან მთელი დღე. არ დავიძინებ, ოღონდ შენ იყავი კარგად. შენ არ შეგეშალოს ხელი შენს ჩანაფიქრში.

კაკუტამ ყურმილი დადო.

უცნობს მეტი აღარ დაურეკავს.

პირველი

როგორც საკუთარ ძვალს არ ვატყვირავ, ისე არ მინდოდა იმ კრებაზე გამოსვლა, მაგრამ ხანდახან ეშმაკი ჩაგიჯდება ჯანში და თავის ნებაზე ავატროკებს. რა ჩემი საქმე იყო სხვების დატუქსვა-დაჯანჯღარება, რომელი სოლომონ მოძღვარი და გოლა-ქადაგი მე ვიყავი. აქამდე, ვერ მოვიბოძინეო, სხვა რომ მეტყოდა, სიცილს დაეყაროდი. ვერ მოთმენის ჭკუაზე მტერმა იარაღი დღეს. მთელი ცხოვრება ვითმენ და ამ ერთხელაც მომეთინა. რა ბზიკმა მიკბინა, თვითონ არ ვიცი, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ერთხელაა სწორედ კაცი საბედისწერო ჭკუაზე. გროვდება, გროვდება გულში ბოდმა-ვარამი და იმ ერთხელ ამოხეთქავს ვულკანით.

რა კრება იყო, რაში მანტერესებდა. ყოველდღე იყო ამნაირი კრება ჩვენს კლუბში. შემოლაგდებოდნენ

კისერდასივებულნი, ჰალსტუხამობრუნებული კაცები. ჯერ პრეზიდენტი გაიფხვებოდა, მერე დარბაზში დაჩნდებოდნენ ახალნაყარ სკასავით ერთ ადგილას აბუხებული მსმენელები. იქაქანებდნენ ოთხ საათს და ისეთი სახეებით დაიშლებოდნენ, კაცს ეგონებოდა; ახლა კი დააწყვეს ქვეყანა, არ უნდა დააპარაკო. წელიწადნახევარი ვიმუშავე კლუბში და სამჯერ თუ მექნება, მაგათი კრება-თათბირი აქა-იქ, ყურჩაკრულად მოსმენილი. ქურდების ნახევარკბით და ბებრა-ტერმინებით ნათქვამს ვიგებ, კაცო, და ამ კრებაზე ბაიყუშით ვიჯექი კულისებში. მე კი არა, მგონი, თვითონაც არ ესმოდათ ერთმანეთის. განგებ აგებდნენ აზრს ისე, რომ ერთმანეთი დაეზინათ. ასე იყო ნამდვილად. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და ორატორობა ნამეტანი წინაა



წასული. რომელ საუკუნეში და რომელ ქვეყანაში მოახერხებდნენ, შენ მითხარი, ოთხ საათს ელაპარაკათ და ერთი პაწაწინტელა აზრიც არ გაპარვოდათ, საქმეს რომ წაადგებოდა, ისეთი. მე რა, მაგათი ლაყაფ-მუსაიფი ისე მაწუხებდა, როგორც კატას ქალაქის ფხრიწინი. მაგიდას წითელ მაუდს რომ გადავაფარებდი, სცენის სიღრმეში ბელადის ბიუსტს დავდგამდი და მიკროფონებს უზურში მოვიყვანდი, ვიჯექი ჩემთვის და ვთვლემდი. ხანდახან, ტაშს რომ გაახურებდნენ, აეწევდი თავს და „ნეტაი თქვენს ხასიათს-მეთქი“ ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

იმ დღეს პირველად მიმტყუნა მიკროფონმა. შევამოწმე, სანამ კრება დაიწყებოდა. ორივე მუშაობდა. სამი წინადადება არ ჰქონდა წაკითხული მომხსენებელს და მაინცდამაინც ტრიბუნის ტელეფონი გამოირთო, ის დასაწავი. იმაზე უფრო საზიზღარი წუთი არ არსებობს, მეტრიბუნე რომ მიკროფონს თითს უკაქუნებს და შენსკენ იხედება, თავმჯდომარე ფეხზე რომ დგას და იმასაც შენსკენ მოუღრეცია კისერი, პრეზიდენტში მსხდომნი დროს რომ იზოვიან და ქირქილს ატეხავენ. შენ კი ხატანგში გამოიმწყვდეულ ვიროთხასავით ასკდები აქეთ-იქით. სწორედ ამ დღეში ჩავვარდი. მიკროფონს თავი მოუეჭირე, კონტაქტი შევამოწმე, გამტარს გამოვყვევი, არსადაა გაწყვეტილი, რა ქვა გავტეხო, არ ვიცი. ესტაცე ხელი მაგიდის მიკროფონს და ტრიბუნასთან მივარბენინე. დადუმებული მიკროფონი ორივე ხელით ჩავბლუჯე და დროშასავით გამოვიტანე სცენიდან. მომხსენებელმა კითხვა განაგრძო. მე მიკროფონს ვუქირკიტებ. არ გასულა ხეთი წუთი, მეორე მიკროფონმა მოხვერივით დაიზმუვლა და ისარი ნოლზე ჩამოვარდა. ისევ სიცილი დარბაზში, ისევ ჩემსკენ მომართული მწყრალი სახეები. ცივმა ოფლმა დამასხა. ვჯახირობ რაც შემიძლია, მაგრამ არაფერი გამოდის. მაინცდამაინც

ჩვენი დირექტორი თავმჯდომარეობდა იმ დღეს, გეცოდინება, ცახოცადე ერთი უქმური და უჯიგრო კაცი. შესახედავად მიწას ძლივს აჩნია, ტანად მოცოცო და დაფსხრიკულია, მაგრამ რაკი უფროსი მქვია, ხომ უნდა გავამწარო ვილაცაო და, მაშინაც კი, ჩუმად რომ ზის, ყბის ძვლები უთამაშებს. ეტყობა შიგნიდან ლაპარაკობს, უენოდ ეჩხუბება ვილაცას, სულ უკმაყოფილო, სულ ცხვირაბზუებული ეგ რომაა, ჩემი მტერი იქნა ისე. ჩემნაირ პატარაფხარა კაცს თუ მოერევა, თორემ დიდ ღლავებთან, ალბათ, ფინიასავით კუთხეში წკმუტუნებს. ჩემთან, იცოცხლე, ყარამან ყანთელია. წელიწადნახევარი სტამბოლში ნაყიდი მუნჯივით ვემსახურე და მადლობა რაა, ერთი სიტყვიერი მადლობაც არ უთქვამს. არა და კლუბის საქმე, ხომ იცი, როგორია. „ღონისძიებააო“, გეტყვიან და მორჩა. რისი რვასათიანი სამუშაო დღე. სანამ სხდომა არ დამთავრდება, ფეხს ვერ მოიცილი. მე შენ გეტყვი, აგინაზღაურებს ვინმე ზედმეტ საათებს. არა და „ღონისძიებებს“ მაგათ რა გამოუღევს. ღმერთმა გაძლება მოგვეცეს, მშვენიერ გრძელ ლაპარაკს მივეჩვიეთ. სიტყვების საძებრად ჯიბეში ხელს, სხვა კი არა, ხომ ხედავ, მეც არ ვიყოფ.

ერთი სიტყვივით, წამოხტა ცახოცადე და გამომენტო კულისებში. მე ისედაც ცეცხლი მიკილია, შვევრცხვი კაცი და ეს კიდეც ნავთს მასხამს: „რაში გაძლევა ამხელა ხელფასს, შე ყურუშმსალო, შენო. ეს მიკროფონი გაბარია, მეტი ხომ არაფერი, ასე ფეხზემკილია როგორ უნდა იყო ცოცხალი ადამიანი. სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებო, თავმოყვარეობა მაინც სად დაკარგე, შენხელა კაცმაო. როცა არ ვარგა ადამიანიშვილი, არ ვარგა არაფერში, მორჩა და გათავდაო. რომ მცოდნოდა, ამნაირი ზარალი ჰყავდი გამჩენს, როგორ გავაკარებდი კლუბსო. შენი დუხი არ ვნახო ხელიდან ამ ტერიტორიაზეო...“

მოკლედ, თუ რამე საგინებელი სიტ-

ყვა არსებობს, არ დამაკლო ცახოცაქემ. დუხადორივით დამაფრქვეია ლანძღვათათხვის კორიანტელი. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ყელში ბურთივით რომ მომაწვა ნადველი, წამოვდექი, თავმჯდომარე მჭილით განზე გავწიე და გულდაგულ გავედი სცენაზე. ტრიბუნის სიახლოვეს გავჩერდი, დონიჯი გავიკეთე და დარბაზს მივმართე:

— რა იყო-მეთქი, რა აუივყვიდით ბელუტრებივით, მიკროფონი გამორითო, დაიქცა-მეთქი ქვეყანა? ისე გაიკვირვით და შეიცხადეთ, თითქოს სხვა ყველაფერი წესრიგში იყოს და მიკროფონის გამორთვამ მოგვჭრა თავი მთელ დუნიაზე-მეთქი. მოშლილი არაა-მეთქი ყველაფერი? მიკროფონი თორემ გუშინ და გუშინწინ თუ მუშობდა, ხომ წაგვწიეთ მშრომელები ასი თუმნით წინ და ეგ არის-მეთქი. რად გინდათ მიკროფონი, უმიკროფონოდაც მშვენივრად ატყუებთ-მეთქი ერთმანეთს. რაც ნაკლები გაიგონებს თქვენს ლაყაფს, უკეთესია, ნერვები მაინც შეენახება ხალხს-მეთქი. სირცხვილი დაიკარგა ამ ქვეყანაზე, თორემ ტრიბუნაზე დასადგომი და სხვებისთვის ჭკუის დასარიგებელი პირი რომელს გაქვთ ახლა ამ დარბაზში-მეთქი. მე რომ მე ვარ, მარტო ამ კლუბს და მიკროფონს რომ ვიყო შეჩერებული, შიმშილით დამიწყებოდა ცოლ-შვილი-მეთქი. აქედან გასული რაღაცას რომ არ ვჩაღიზობდე, რას მიზამს თქვენი მოცემული ჯამაგირი — ოთხმოცდასამი მანეთი-მეთქი. რავა ყველამ აიშვით და მე მომერით, მე დამაჩქიბთ-მეთქი კისერზე. მეთქი, რომელი ცხოვრობთ სუფთად და ხელფასზე, ადგეს აბა ფიხზე, თუ კაცია-მეთქი. მთავარი ქურდები აქ ბრძანდებით, ამ დარბაზში და, ვინ დაიჯერებს მგლის ნაქადაგებს — ბალახი რომ უკეთესია ხორცზე, როცა თვითონ მგელი ბალახს პირს არ აკარებს-მეთქი. ახლა ეს გლახა დირექტორი რომ მომვარდა და ცუდლუტი მოწაფესავით ყური რაღმე ამხნია, თქვე-

ნით შეგულიანებული აკეთებს ამას, თორემ თქვენ რომ არ ყავდეთ, გავაძვრენდი სკამის ქვეშ, მამაჩემსა აქეს-მეთქი ცხონება. მომხსნით, თორემ ჭილა-გვირგვინი არ მომხადოთ და ციხე-დარბაზები არ დამატოვებინოთ. ჰა, ეს ატვერკა, რომელსაც გავებარდებთ და თქვენ მოუარეთ დღეიდან, ამ თქვენს დანჯღრეულ მიკროფონებს-მეთქი“.

ხმა არავის გაუცია. დავდევი ატვერკა ტრიბუნაზე და ციმციმ მოვშორდი სცენას. პირველი კიბე ჩამოვირბინე, არაფერი, მეორე კიბეზეც არავინ შემხვედრია, გასასვლელში დამაქავეს, ჩამსვეს ვილაცის „უიგულში“ და განყოფილებაში ამომაყოფიეს თავი. ჩვენი რაიონის მილიციაში ყველას ვიცნობ, კი ბიჭებია, მაგრამ ქალაქის ბოლოს ისეთ ადგილას მიმიყვანეს, სადაც არასდროს ვყოფილვარ და არც ვიცოდი, თუ იმ ადგილას ორგანოს პუნქტი არსებობდა.

სამორიგეოში მქისე სუნი იდგა. ვიჩქეი და ვფიქრობდი: „ახლა კი უმჯველი მელოდება ციხის ბელუჯაში და ახიცი იქნება ჩემზე. ვერ დავატიე ენა პირში? რაზე ჩავარდაო ხვალ რომ იკითხავენ ჩემიანები, არ გაშტერდებიან? ასეთ უბრალო საქმეზე შეიძლება თავი დაიღუპო კაცმა?“

ერთ საათში გამომძიებელთან ვიჯექი. თავიდანვე გადავწყვიტე, პირველი ჩვენება ახლა არ მიმეცა. თავბრუს ხვევას, ან გულისრევას მოვიმიზუნებდი (მთვრალი რომ ვყოფილიყავი, აჯობებდა ყველაფერს), საექიმო კონსულტაციაში, იქნებ, ვინმე ნაცნობი აღმოჩენილიყო, საერთოდ ექიმები თავბრუსხვევას მაინცდამაინც ზუსტად ვერ ხვდებიან. „ერთი სიტყვივით, თითქმის გონებადაკარგული ვიდექი-მეთქი ტელეფონთან, რა დამემართა, ვერ გეტყვით-მეთქი, ათასი რადიაცია და შხამია ახლა ჰაერში, რა ვიცი, რამ იმოქმედა-მეთქი“, ასე ვაპირებდი თქმას ჩემი მოკლე ჭკუით.

შეხედვით თუ არა გამოძიებულს, იმედის წყალი გადამესხა. აშკარად ნაცნობი სახე აქვს. ღმერთო, შენ მომავონე. სანამ ჩემს ვინაობას და მისამართს წერდა ოქმში, თავი მოტორივით მიწუოდა. ეს სწორი შუბლი და შეერთებული წარბები, ეს წაწვეტილი ცხვირი და ოთხკუთხედი ულვაშები, სად მინახავს, სად მინახავს-მეთქი და რომ გავიხსენე, ჯერ სიხარულისგან კინალამ ვიყვირე, მერე შემეშინდა და განზე გავიხედე. რომ დავფიქრდი, „უკეთესია თუ ვერ მიცნო-მეთქი“, გულში ვთქვი. რას შვრები ახლა. ამ კაცს შვიდი წლის წინათ ყალბი დიპლომი მივყიდე. სანდუხაძე ცხოვრობს ერთი საფიჩხიაზე, უბედურხანხევარი ჰყავს გამჩენს, მოქონდა რალაცა საქმეები ჩემთან. ხან ვილაცის ხელისმოწერას გადამაღლებებდა, ხან ინვალიდობის მოწმობის ყალბ ასლს. სანამ მარცხენა თვალზე კატარაქტი გამიჩნდებოდა, ვხატავდი კარგად. ბეჭდის იმნაირ ასლს გავაკეთებდი, ნამდვილისგან მარტო ექსპერტის ლუბა თუ გარჩევდა. ერთხელ იმ სანდუხაძემ, საიდანაც შეუვსებელი დიპლომები ჩამოიტანა, ხუთი დიპლომი გამამზადებინა; თავისი სურათ-ბეჭედით, ხელმოწერებით, ნიშნების ფურცლით, რასაკვირველია. ერთი იურიდიულის დიპლომი ამას გავუკეთეთ, კი, ხუთი თითოეული მახსოვს. შეიძლება დამეიწყებოდა, მარა ფული რომ გადაგვიხადა, მეორე დღესაც მოვიდა ჩემთან, რალაცა ჩამასწორებინა. გვარი აღარ მახსოვს, ჩაფიქე თუ ჩაფიჩაძე, რალაცა ამნაირი გვარი ჰქონდა. მერე გაირკვა, ჩაფრაძე აღმოჩნდა. ანკეტა რომ შეავსო, განზე გასწია, თითები ერთმანეთში გაუყარა, ხელები მაგიდაზე დააწყო და შემომაჩერდა:

— ღვინის ქურდი რომ მთხლეს გადააყოლეს, თუ გავიგონია შენ?

„გამიგონია-მეთქი“, თავი დავუქნიე. — რა ჰქვია თუ იცი, შენს დანაშაულს?

— რა ვიცი, ახლაც არ ვარ, რალაცა,

კარგად: შენ გგონია, მახსოვს, ვთქვი? თავბრუ მეხვევა და გულციკიტებს. სამად გიყურებ ახლა, ამ წუთას, შენც.

გაეცინა, კისერზე ხელები შემოიწყო და უკან გადაიწია.

— არ გინდა ჩემთან მაგნაირი ლაპარაკი. თუ არსად გინახივარ, გაგონილი მაინც გექნება ჩაფრაძე ვარ მე, ჯონდო.

„მგონი არ ვახსოვარ. ალბათ, ეს უკეთესია, რომ მიცნოს, ორი ვარიანტია: ან უნდა გამეხსნას და მომეხმაროს, რომ დიპლომის ამბავი არ დავამღერო, ან უნდა ამკიდოს რალაცა-რალაცეები და ჩამძიროს. რაც მეტს მომიხმაროს, უკეთესი იქნება ჩვენი საიდუმლოს დაფარვისთვის. მე თვითონ რომ გამოვეცნაურო, არ ივარგებს, ჯერ ერთი, იუარებს და მეორეც ნაისპუგზე, ეს ისეთი ჭეველი ჩანს, ვერ აიყვან. აშკარაა, ჩემი ცნობა ხელს არ აძლევს. მაგრამ რატომ მომეჩვენა, რომ მიცნო თითქოს და რომ შემომიყვანეს გამილიმა კიდეც?“

ტელეფონმა დარეკა. საერთოდ ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში სამჯერ დარეკა ვილაცამ. ჩაფრაძემ პირველად „კი ბატონო, ჩემთან არისო“ უბასუხა. იმან იქიდან რა ელაპარაკა არ ვიცი, ამან სულ „კი ბატონო“ ეძახა. დანარჩენ ორ დარეკვამზე გულდასმით უსმენდა და მხოლოდ „კი ბატონოს“ ჩასძახოდა ყურმილს, სხვას არაფერს.

— ბოროტი ხელიგნობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, თუ იცი რას ითვალისწინებს კოდექსით?

— რა ვიხულოგნე, ბატონო ჯონდო, — თვალეზი დავიელამე, განზრახ ვიშტერებ თვალს, დრო გამყავს, თორემ არ ვიცი, რა დავაშავე?

— შენ რომ შენ ხარ. ხომ კარგად იცნობ შენს თავს და, იცი, რა მამა აბრამის ბატკანიც ხარ, ჩუმად რომ ჩაგილაპარაკოს ვინმემ, ქუჩაში „თაღლითი და მატრაბაზი ხარო“, ქვას ხეთქავ შუბლში. შენ საჯაროდ დარბაზს „ქურდები“ უძახე, რავა ფიქრობ, არ არის ეს ბოროტი ხელიგნობა?



გავჩუმდები, გადავთვალე მარჯვენაზე ხუთი თითი და ჩავილულულე:

— არ ვარ კარგად-მეთქი ხომ გითხარიოთ. მაინცდამაინც უნდა წავიჭყე ახლა აქანა? გამიშვით ექსპერტზე და ნახავთ, რავარ დღეში ვარ ახლა, ამ წუთას.

— როდის იყო ბიჭო ავადმყოფი და სიცხიანი რეჩა ურტყამდა სცენიდან, გიყი რომ არ ხარ, გამოხედვარზეც გეტყობა და იქნაც მშვენიერ დალაგებულად გილანძლია ის პატიოსანი ხალხი.

— ვინ პატიოსანი ხალხი?

— ვისაც ქურდები უძახე დღეს.

— არ მახსოვს არაფერი-მეთქი გეუბნები და რა ვქნა ახლა. გადამეკეტა ჭკუა. რა ვიბუტუტურე, არ ვიცი. ეგება ქე შევქანდი ცოტა, მაინცდამაინც ქვას უნდა ვისროდე? გარკვევენ ექიმები ყველაფერს და მერე მოგცემთ ჩვენებას.

— რათ მინდა ჩვენება. არ მომცემ და შეინახე კარგად შენთვის. ოთხმოცდაათი კაცი იჯდა დარბაზში და ოთხმოცდაათივე დაადასტურებს შენს დანაშაულს. გამოსაძიებელი არაფერი არაა აქ.

— დაწერე, აბა, ბატონო, და ქენი რავარც გინდა. მე სანამ ექიმები არ მნახვენ, არაფერზე არ მოვაწერ ხელს.

ჩაფრაძე წამოდგა. წელში გაიზნოქა. გაიარ-გამოიარა. მაგიდიდან ქალაღლი და კალამი აიღო და წინ დამიდო.

— მე არაფერს არ დავწერ. შენ დაწერ ახლა და წახვალ აქედან.

„წახვალო? მატყუებს რალაცას, გუშინდელი ბავშვი ვგონივარ ამას მე“.

— არ დავწერ-მეთქი, გასაგებად გითხარო, — გაბუტულივით ფანჯრისკენ გავიხედე.

— კაცო, შენ ჭკუაზე მართლა აფრაკად ხომ არ ხარ? შენმა თავმა ქვა გესროლა ამ დილით? მოკიდე ხელი და დაწერე, „მეტს აღარ გავიმეორებ, მპატივით, შეგცდი-თქო“, ცუდს გეუბნები რამეს?

— ვიცი მე, რას ნიშნავს — მპატივით, შეგცდი-თქვა. მეტი კი არაფერი აღიარება.

— გაბატის უკვე. გესმის შენ? რაზე დამირეკა აბა უფროსმა სამჯერ, თუ იცი? დააწერინე ხელწერილი და გაუშვიო, თვარა მე, ქე იცი, რავარი გამშვები ვარ შენი.

— გენლო აბა? — შევყოყმანდი.

— გეფიცები ორ შეილს.

— არ დამლუპო ჩაფრაძე. ხომ იცი, არაფერი არ დაიკარგება ამ ქვეყანაზე სამაგიეროს მე თუ ვერა, სხვა გადაგიხდის, — ცოტა არ იყოს, დაეკადნე კიდეც.

— როგორ ფიქრობ ახლა, ორ ბავშვს ტყუილზე დავიფიცებ? დაწერე, დაწერე და მოვრჩეთ ამ საქმეს.

მაინც ჩემებურად დავწერე. „გონება ამერია, თავბრუ დამეხვა. არ ვიცოდი, რას ვლაპარაკობდი. ახლაც ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ძალიან ცუდად ვარ. გამომძიებელი ექსპერტზე არ მგზავნის. როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს, პატიოსანი ხალხი გამილანძღავს, რაც გულით არ მინდოდა. თუ მპატივებთ, კარგი იქნება-მეთქი“, ხელი მოვაწერე და ჩაფრაძეს გავუჩოჩე.

წაიკითხა: „კარგი მელა ხარ, ნუ გეშინია შენცო“, უჯრა გამოსწია, ჩემი ნაწერი შეინახა და მომიბრუნდა.

— წადი ახლა და დაუტვირდი შენს საქმეს. კრებაზე გამოსვლობიას ქე დანებებ თავი.

— როდის იყო, კრებაზე გამოსვლისთვის რომ ვიკლავდი თავს? პირველად იყო ჩემს ცხოვრებაში და უკანასკნელად.

მაინც არ მჯერა, რომ გამიშვებენ.

— თვითონაც არ უნდათ ამ საქმის განხილვა, არ უნდათ, ზევით წავიდეს ეს ამბავი. შენ კრინტი არავისთან დაგცდეს, თვარა მეყოლე მერე კარგად. სახლშიც არ ილაპარაკო ეს ამბავი, გაიგე? წადი ახლა.

ავდექი. შეციებულებით წავედი კარისკენ. ჩაფრაძე დამეწია. დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა და ჩურჩულით მითხრა:

— ისე... რომ იცოდე... მაინც, ყოველშემთხვევისთვის, შენი დახატული დიპლომი აღარ მაქვს... შევედი მერე და მართლა დავამთავრე... ნამდვილი დიპლომი მაქვს ახლა. ის მაშინ მჭირდებოდა... საქმეზე... აღარც დამჭირდა...

დავწვი მერე... იცოდე ეს შენ... კარგად იყავი.

კატის შეშინებული შაშვივით გულფართხალებული მოვჭროდი შინისკენ. რას დავეძებდი, რა უყო ჩაფრადემ ჩემს დახატულ დიპლომს.

მესამე სტუდიის ნოველა

მრგვალ მაგიდას შეიდინი უსხდნენ. გადაცემას მესამე სტუდია იწერდა. მესამე სტუდიას პირველ და მეორე სტუდიასთან შედარებით ფართო დარბაზი აქვს, მაგრამ მაინც ცხელოდა და იუპიტერების შუქზე ზანტად აცურებული მტვერი აუტანელს ხდიდა იქ ყოფნას. მრგვალ მაგიდასთან მჯდომი ერთადერთი ქალი — შავთვალეზა, მოხდენილი მაკვანეთელი მეჩაიე ცირა ბაბილოძე, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, კოფტის მოკლე, რეზინიანი სახელოდან მოქარგულ ცხვირსახოცს დააძრობდა, დაცვარულ ცხვირსა და ნესტოებს შეიმშრალებდა, რამდენჯერმე სახესთან გაიქნევდა და დარწმუნებული იმაში, რომ გაგრილების ამო გზას ადგა, ცხვირსახოცს ისევ მხარს ქვემოთ, რეზინიან სახელოში შეჩურთავდა. გადაცემის მონაწილე მამაკაცები შედარებით ყოჩაღად იყვნენ. მექაში ხალიჩაზე ჩამუთაქებული მლოცველებივით რაღაცას ბუტბუტებდნენ, დროდადრო ერთმანეთს ამოხვრით გადახედავდნენ, ყელთან ჰალსტუხს გაისწორებდნენ და კვლავ დაბალ სკამზე დადგმულ მოძრავ ტელევიზორს მიაჩერდებოდნენ. ტელევიზორის ეკრანზე ხან მრგვალ მაგიდასთან შემომსხდარნი გამოჩნდებოდნენ, ხან წითლად აელვებული წარწერა: «ყურადღება!»

მეორე საათი იწურებოდა, რაც ჩაწერა დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ შეწყვიტეს ტელესაუბარი და ხუთჯერ გააგრძელეს. ყოველ შეწყვეტაზე დახვეულ კიბეს რეჟისორი ბაჯე-

ლიძე ჩამოირბენდა, რა ხდებოა, შეშფოთებით შეაცქერდებოდა გადაცემის წამყვანს, პოპულარულ ტელედიქტორს ვილჰელმ ლეიშვილს. რა ვიცი მეო, განზე გაიხედავდა გულშემოყრილი ვილჰელმი — გეუზნებოდი, არ გომოვა ასეო. — ახლა ამის გარკვევის დრო არ არის, ერთი საათი დაგვჩა. რაც არის, არის, უნდა ჩავწეროთ. ვთხოვთ, უფრო თავისუფლად და ბუნებრივად ილაპარაკეთ. ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო, ყველას გასაგონად იტყოდა რეჟისორი, ჯინსის წინა ჯიბეებიდან ხელებს ამოიღებდა, ქურციკის ნახტომებით აათავებდა კიბეს და რამდენიმე წამში დევისთავა ტელეაპარატის თავზე აინთებოდა წითელი ნათურა, ხოლო მოძრავ ტელევიზორზე გაჩნდებოდა წარწერა «ყურადღება!»

როცა გადაცემა ერთხელ კიდევ შეწყვიტეს და რეჟისორმა ბაჯელიძემ ზემოთ უკვე ნათქვამი სიტყვების გასამეორებლად ერთხელ კიდევ ჩამოირბინა, ოპერატორი, ლოტოს კოქის მოყვანილობის ტანის პატრონი კარაპეტიძე აპარატის სახელურებს მკლავებით ჩამოეყრდნო და უკმაყოფილება არ დაუმალავს — მოუშხადებელი გადაცემის ჩაწერა არ გამიგონია მეო.

რა წარმოუდგენლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ოპერატორი ამჯერად მართალი იყო. რეჟისორმა ბაჯელიძემ, რომელიც სტუდიაში ამ თერთმეტი წლის წინათ მოვიდა. (თეატრზე რომ საბოლოოდ გული გაუტყდა), ტელევიზიის საგვემო ნაწილს რეპერტუარში შეა-



ტანინა ერთსაათიანი ტელესაუბარი „საით?“ გადაცემა გარდაქმნის შუქზე თანამედროვეობის მძაფრ პრობლემებს შეეხებაო. უარს ვინ ეტყოდა. ჩაწერის დღეები რომ მოახლოვდა, ავტორიტეტიან რეჟისორ-ავტორს ბაჭელიძეს ცოტა აჯანყევა როდი დაჭირდა, მიეღწია იმის უფლებისათვის, რომ გადაცემა წინასწარ დაწერილი და სამგზისრედაქტირებული ტექსტის გარეშე ჩაეწერა. ჩამოიყვანა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხუთი მამაკაცი, ერთი ქალი — თქვენთვის ნაცნობი ცირა ბაბილოძე (მაკვანეთიდან) დასვა მრგვალ მაგიდასთან ქერობინთა დასივით. დასს შუაში ჩაუსვა დიქტორი ვილჰელმ ლეივილი და გამოუცხადა — თქვით, რაც გაწუხებთ. ილაპარაკეთ ერთმანეთშიო.

ტელედიქტორ ლეივილისთვის ამდენი ახსნაც არ იყო საჭირო. „ილაპარაკე“ საქმარისი იყო, რომ მას ოდნავშეპარული ღიმილითა და მხნე გამომეტყველებით ეუწყებინა ძვირფასი ტელემაყურებლისთვის ამ უკანასკნელთათვის ფრიად აუცილებელი რამე-რუმეები. და ისე დამაჯერებლად ეთქვა ყოველივე, თითქოს სიმართლეს ამბობდა. მაგრამ ქერობინნი ჩავარდნენ ცუდ დღეში. „რას ჰქვია, რაც გვაწუხებს. როდის იყო წუხილზე და დარდზე გვალაპარაკებდნენ ტელევიზორშიო. ე მანდ არ გვატყუებდნენ რაღაცასო“. დაახლოებით ასე, მაგრამ სხვადასხვა სიტყვებით გაიფიქრეს საუბრის მონაწილეებმა და მტკიცედ გადაწყვიტეს ელაპარაკნათ ისე, როგორც საერთოდ ლაპარაკობდნენ. არც ერთი მათგანისთვის ტრიბუნა-მიკროფონთან დგომა ახალი ხილი არ იყო. მაღლობა ღმერთს, წლების განმავლობაში უხდებოდათ ინტერვიუების მიცემა საბჭოთა ადამიანების არნახულ შრომით ენთუზიაზმზე, დღითიდღე უფრო გასაამურებულ ცხოვრებაზე და არნახულ ზეგემით მაჩვენებლებზე. მშვენივრად იყვნენ დაუფლებულნი ისეთ საპრესო გამოთქმებს, როგორიცაა „სადავი“, „უკუ-

გება“, „შრომითი ვახტი“, „ზეგემითი ვალდებულება“, „შრომის ნაყოფიერება“, „ყაირათიანობა“ და სხვა. ამიტომაც დაბნეულობის ელდამ მხოლოდ წამით გაირბინა მათს მზით გარუჯულ სახეებზე. წამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩამოსულ-დამხვედურებმა მშვენივრად იცოდნენ, რა ეთქვათ ერთმანეთისთვის. იტყოდა შესავალ სიტყვას სახეგაბადრული ვილჰელმი, მიაბრუნებდა სახეს რომელიმე მოქადაგისკენ და დასძინდა; რა მდგომარობაა ამ მხრივ თქვენთან, პატივცემულოვო. „პატივცემული“ ჩაახველებდა, თვალებს მალა აღაპყრობდა და სიტყვაგაუხრელად ჩაარაკარაკებდა მითს იმის შესახებ, თუ როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა მისი, ერთ ღროს ჩამორჩენილი სოფელი ამ ბოლო წლების მანძილზე. როგორ შეასხა ფრთები მშრომელთა არნახულ ენთუზიაზმს უკანასკნელი წლების პლენუმებმა და კონფერენციებმა. როგორ იკისრეს მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებანი და როგორ ანადღებენ მიცემულ სიტყვას. ერთი რომ დაამთავრებდა, მეორისთვის სიტყვის მიცემა აღარც იყო საჭირო. აქაოდა, შეიძლება, მე საყვარელმა დიქტორმა ბოლოსთვის მომიტოვოსო, საკუთარი ინიციატივით აღაღადდებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, ვინ ვის შემდეგ იტყოდა, მაინც ხომ მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ? ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა. ჯერ ერთი ნერვიულობ — რაც არ უნდა იყოს, ტელეაპარატის წინ ხარ, მეჩე — დროზე გინდა მოიშორე შენი სათქმელი, რათა სხვამაც უხსტად იგივე არ თქვას, არ დაგასწროს და საძებნი არ გაგიხდეს სიტყვები და ბოლოს, ხომ შეიძლება, გადაცემისთვის განკუთვნილი ღრო ამოიწუროს და შემცირებაში მოგაყოლონ?

რატომ არ აძლევდა ხელს გადაცემის ავტორს ტელედილოგის ოპტიმისტური ტონი, მე თვითონ ვერ გამიგია. ჩამოირბენდა იგი კიბეს, დოინჯშემოყრი-

ლი მიუახლოვდებოდა მრგვალ მაგიდას და მუდარით იტყოდა: „არ ვარგა, არა-ბუნებრივია, ძალიან ვთხოვთ, დარღვე, საქმეზე, წუხილზე ილაპარაკოთ“. სა-უბრის გმირებს ძალიან უნდოდათ და-ხმარებოდნენ რეჟისორს, მაგრამ არა-ფერი გამოსდიოდათ. ვერ გაეგოთ, რას მოითხოვდა მათგან ბაჭელიძე.

ბოლოსდაბოლოს საიდან მოვიტანო, თუ არ მაქვს ეს წუხილიო, ჩაილაპარაკა ლეწურწუმელმა მესიმინდემ კოკი ჯგებიამ. ბატონი კოკი მართალი იყო.

ტელედიქტორი ლეიშვილი ჩაწერის ყოველ თავიდან დაწყებაზე სხვადასხვა შესავალ სიტყვას ამბობდა. რათა რო-გორმე სტუმრები საუბრის ადგილზე გეზიდან გადაეცდინა და ბაჭელიძის ჩანაფიქრისთვის მიეახლოვებინა. ასეც კი ჩაურთო; ჩვენს საუბარში მონაწი-ლეობს მაკვანეთელი მეჩაიე, რომელ-საც ვთხოვოთ ძირითადად ნაკლოვანე-ბებზე გაამახვილოს ყურადღებაო. ცი-რამ თავი დაუქნია და როცა თავის კა-იუტაში გარინდულ რეჟისორს ეგონა, ახლა მაინც იქნება საქმეზე ლაპარაკიო, ბაბილოძის ლამაზმა ქალმა სახე ოპე-რატორისკენ შეაბრუნა (აქაოდა მშვე-ნიერად ვიცი, ჩვენ აქ ერთმანეთთან სამუსიკო კი არ მოგვიწვიეს, არა-მედ მილიონ ტელემაყურებელთან შე-სახვედრად) და ქვეყანას ამცნო რა სკოლის დამთავრების შემდეგ ჯიუტად შინ დარჩენილთა გმირობის ამბავი, ათრთოლებული ხმით პირობა დადო, რომ ამ სატელევიზიო გამოსვლით წა-ხალისებული გადიდებულ ვალდებუ-ლებას აიღებდა და რასაც აქამდე ჰმა-ტებდა, ორჯერ მასზე მეტ მწვანე ოქ-როს შეჰმატებდა სამშობლოს დოე-ლათს.

კი მაგრამ ხარვეზს არაფერს ატყობ ამ ცხოვრებასო? ჰკითხა ვილჰელმმა თავისი საუბრით კმაყოფილ გოგონას და თან რეჟისორის კაბინისკენ გაიხე-და, მეტი რა ვქნა, რანაირად დავსვა შეკითხვა, რომ ტელეშეხვედრის გმირ-

მა ნაკლოვანებებზე გაამახვილოს რადღებო.

— როგორ არ ვატყობ, — ნაწნავი მკერდთან გადმოიგდო ცირამ.

— მაინც? — მიკროფონი ახლოს მი-უჩოჩა მეჩაიეს იმედმიცემულმა ლეი-შვილმა.

— კარგი იქნებოდა გართობის მეტი საშუალება რომ იყოს სოფელში.

— რისი? — დიქტორს მოეჩვენა რომ მაკვანეთელი გოგონა საოცრად ჰგავდა კვერნას და კვერნის სიმარლითვე გაურბოდა მთავარ სათქმელს.

— გართობის, — ამაყად თქვა ბაბი-ლოძემ.

დიქტორმა კაცებს გადახედა, იქ-ნებ რამე დაამატონო. მრგვალ მაგიდას-თან კოხტად ჩამწკრივებულებმა თან-ხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს, დამა-ტებით არაფერი დაუმატებიათ.

რალა ბევრი გავაგრძელო, ჩაწერას სამარცხვინო დასასრული ელოდა. არა და, როგორ უნდოდა რეჟისორს ეს გა-დაცემა მაინც ყოფილიყო რაღაცით სხვა გადაცემათაგან განსხვავებული.

მიკროფონში ბაჭელიძის მკვეთრი ხმა გაისმა:

— შევისვენოთ თხუთმეტი წუთი. ძალიან ვთხოვთ მაგდას არ მოშორ-დეთ. კადრი შეიცვლება და მერე ოპე-რატორს გადასვლა გაუჭირდება. ჩაწე-რას განვაგრძობთ გარაყანიძის სი-ტყვიდან „თვალს მოგტაცებთ ხოდა-ბუნები“. „ხოდაბუნები“ უკვე ნათქვა-მაია! მაშ ასე, შევისვენოთ.

რეჟისორის მკვეთრ ხმაზე საპატიო ყარაულივით გაჭიმული სტუმრები ერთბაშად მოეშვენენ. ცირამ კოწოლი უკან გადაიგდო. სკამზე გადაკიდებული ბულგარული ჩანთა გახსნა, სარკეში ჩაიხედა, განზე, ტურების ნაკეცებში გასული ასკილისფერი პომოდა ორი თითით შეისწორა და დახატული ნიკა-პი ხელისგულს ჩამოადო. კაცებმა ჰალ-სტუხები მოიშლილფეს, მკერდი გაიღე-დეს და თითქოს პირველად ხედავენო, ერთმანეთს მიაჩერდნენ. ჩაწერის დროს

თუ თავები ჟირაფივით აწეული ჰქონდათ და სადღაც სივრცეში იმზირებოდნენ, ახლა შინაურული იერი მიიღეს. თითქოს აქამდე მარიონეტთა თეატრის თოჯინები იყვნენ და მათი ხელ-ყბა მალლა ძაფებით ეჭირათ.

ვილჰელმ ლეიშვილმა ცვილისფერ შუბლზე ცხვირსახოცი მოისვა, თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდასთან დახრილმა, ცოტა არ იყოს, გამწყვრალი ტონით თქვა:

— არ გვენდობით, არა.

— რა გეკადრება, აბა ვის ვენდობით, — შეაგება გარაყანიძემ, და ამ მეყვსეულ პასუხზეც ნათლად შეეტყო, რომ ზრდილობით გამორჩეული კუთხიდან იყო.

— აბა რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. სამი საათია გეხვეწებით უბრალოდ ვილაპარაკოთო. თქვენ თქვენთქვენი რაიკომის მდივნების ქებას მოჰყევით აქ და გვატყუებთ, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს. ვის უნდა ასეთი ლაპარაკი, ტყუილების დრო რომ წავიდა, ვერ გაიგეთ?

— არ გვენდობითო, რომ ბრძანე, რატომ გიკვირს ბიძი. არ გვაქვს მიზეზი? — კოკი ჯგებამ მუჭში ჩაახველა — თქვენ ყველაფერი მშვენივრად იცით, მარა ჩვენგან გინდათ გაიგონოთ. ესაა მეტი არაფერი.

— კი, ვინ მამაძალი არ იტყვის, რაც გულში აქვს, მარა რაი მერე? — გარაყანიძემ დაუმატა — რას ეშველება ამ ლაპარაკით? თქვენ აქ დარჩებით კარგად, მშვენივრად და მე, სოფელში რომ ჩავალ, მეურნეობის დირექტორი ყურებს ხელში მომცემს. რას პრუტუნებდი, არ უნდა გცოდნოდა შენხელა კაცსო?

— აბა ვატყუოთ ძველებურად ერთმანეთი? სოფლის დაცარიელების მთავარი მიზეზი გართობის საშუალებათა ნაკლებობაა; როგორც ძვირფასმა ცირამ ბრძანა, ასე ფიქრობთ თქვენც? ჯგებამ გაიცინა წიკოსმწვეველის გა-

ბმული, ხრინწვა-ხველებში გადასული ხითხითით.

— გართობა კი არა ის. რომელ გართობაზე მელაპარაკები, იქცევა ქვეყანა.

— მაინც? — ლეიშვილს დაღლილი სახე ჰქონდა.

— მუშაობა არ უნდა არავის. პატარა ხანს ვუყურებ მეც და მერე უნდა ვუვანო. რა ვქნა, აბა. თოხს მოვაკლევით თავი?

— რატომ, ბატონო კოკი, რა ხდება ასეთი?

— რა ხდება ძმიშვილო და საკარმიდამო ნაკვეთი რომ არ მქონდეს, შიმშილით ამომძვრებოდა სული. ჩემს ეზოში მოყვანილსაც ათასი პატრონი ჰყავს ახლა. ქათმის კვერცხიდან დაწყებული, ყურძნის კუმპალით გათავებული — ყველაფერი დათვლილი აქვთ. კოლექტივისას რაც შეეხება, დილიდან საღამომდე მთელი წლის განმავლობაში იქ დაღვრილი ოფლით მიღებული გასამრჩელო, გულდაგულ რომ ეკონომიას დაიცავ, მაშინაც კი თვეზე მეტს არ გეყოფა. მიხვდა ხალხი ამ წაგლეჯობიას (რა მიხვედრა უნდოდა) და თავს უშველა. გეიქვა სოფლიდან. ახლა ბევრიც რომ უწრუწუნო, უკან მიმბრუნებელი არ არის. სიმართლე თუ გინდა, ესაა.

— რატომ, რატომ არ გიხდიან, როგორც გეკუთვნით? — ლეიშვილს გულით სურდა სიმართლეში გარკვეულობა.

— ამას ჩვენ კი ნუ გვეკითხები, პატივცემულო. იმათ ჰკითხე, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. ჩვენს შრომას თითქმის ისევე ანაზღაურებენ, როგორც სტალინის დროს გვიხდიდნენ. იმის მერე, სინდისიანად რომ ვთქვათ, რამდენჯერ მეიმატა ბაზრის ფასმა? ბოლოსდაბოლოს, რა ვალი გვაქვს თქვენი სოფლის ხალხს ამნაირი გოდოუხდელი.

— ა, შეხედე ჩემს ხელებს, — ცირამ ხელები მაგიდაზე ისე დააწყო, რომ ვილჰელმს კარგად დაენახა — ოცდაო-

რი წლის გოგოს ხელებია ეეს? თუ ჩა-
გიგლო ბრივადირმა ხელში, სიქას გა-
გაცლის მუშაობით. გეგმა, გეგმაო. ათი
კილოს მაგიერად ორმოც კილოს რომ
მოგაკრეფებენ ის ჩაი ივარგებს რა-
მეთ? რეიზა გვაბდლებენ ჩვენ ან თავს
რეიზა იტყუებენ თვითონ?

— სიძარტლე თქვითო, რომ იძახი,
ღირს ახლა ამის ლაპარაკი ტელევიზორ-
ში? — ნიშნისმოგებით გაუღიმა დი-
ქტორს გარაყანიძემ.

— რატომაც არა — პასუხი მზად
ქონდა ვილჰელმს.

— რატომ მოვუშხამოთ ხასიათი სა-
მუშევრიდან მობრუნებულ და საღამოს
ტელევიზორთან მიმჯდარ კაცს? თავი-
სი გასაჭირი არ ეყოფა?

— თუ არ ვთქვით, თუ ქვეყანას არ
გავაგებინეთ, როგორ ვუწამლოთ აბა
ამ ჭირს? ხომ კარგად ვიცით, ასე გა-
გრძელება რომ არ შეიძლება.

— ქვეყანას, ჩემო ბიძია, გაზეთში
და ტელევიზიაში ლამაზი ლაილით
ვერ უშველი, — კოკი ჯგებიამ განზე
გაძიხედა. — ჩამთავრდა ლაპარაკის და
დაპირების დრო. ახლა საქმით უნდა
მაჩვენო, თუ რამის გამკეთებელი ხარ.

— რა საქმით მაგალითად?

— კანონი უნდა შეცვალო. კანონი
უნდა დამიწერო და მომცე ხელში. ნე-

ლა, გაუბედავად, პუკენა-პუკენით
არა, ერთბაშად უნდა გადაავლო
არ გამოდგა, რამაც არ გაამართლა და
ახალ საქმეს უნდა ეწიო.

სხვა ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ნოვე-
ლის ავტორი აქ შეგნებულად წყვეტს
თხრობას. ჯერ ერთი მრავლისმცოდნე
მკითხველს თვით შეუძლია წარმოიდ-
გინოს, რა გაგრძელებას მიიღებდა სა-
უბარი და, მეორეც რ. მიშველაძემ ისე-
დაც მოგაბეზრათ თავი ავი მუსსაიფით.
კაცმა რომ თქვას არც თვით სურს იმ
თხას დაემსგავსოს, თვისტომთაგან
შეგულიანებული მგელს რომ შეაჭამეს.

— მშვენიერია! დიდი მადლობა —
გაისმა მიკროფონში და კიბეზე ორი ნა-
ხტომით ჩამოსხლეტილი ბაჭელიძე სა-
ხეგაბადრული ართმევდა ხელს შეცბუ-
ნებულ სტუმრებს.

რეჟისორულმა ეშმაკობამ გაჭრა; გა-
დაცემის ყველაზე მართალი ადგილი
სწორედ „შესვენების დროს“ იქნა ჩა-
წერილი.

დიქტორი ვილჰელმ ლეიშვილიც
მოტყუვდა-მეთქი რომ გითხრათ, არ
იქნება მართალი, იგი მშვენიერად
გრძნობდა, რომ ჩაწერა გრძელდებოდა.

მკითხველს, რა თქმა უნდა, აინტერე-
სებს, წავიდა თუ არა ეს გადაცემა
ეთერში.

წავიდა.

პარკში

პენსიონერებთან ლაპარაკი მიყვარს.
ზოგს ჰგონია, თითქოსდა სხედან ეს
ჩამთავრებული კაცები, მზეს ეფიცებ-
ბიან. ამთქნარებენ, აღარაფერი აინტე-
რესებთ. თქვენც არ მომიკვდეთ. მე
მგონი არავინ კამათობს, ისე ცხარედ
დღევანდელობაზე, არავინ მსჯელობს,
ისე პირდაპირ (და უშიშრად-მეთქი
კინალამ წამომცდა) ჩვენს სატკივარზე,
როგორც ესენი; ცისფერ სავარძელზე
გამწკრივებული, ფეხებგაჭიმული და
კალთაშიხელჩაწყობილი, ერთი შეხედ-

ვით მოწყენილი ყოფილი „გულკანე-
ზი“ — ყოფილი მთავრობის თავმჯდომე-
რეები, ყოფილი დეპუტატები, ყოფილი
მინისტრები, ყოფილი სამმართველოს
უფროსები, ყოფილი რაიკომის მდივ-
ნები...

გულდაგული ნაბიჯით მათკენ წამო-
სულს რომ დამინახავენ, უხარიათ, მაგ-
რამ არ იმჩნევენ.

— გამარჯობათ, მამებო!

— გაგიმარჯოს გამჩენმა!

ჩაიწევია, ჩამიმატებენ, ცოტა ხანს

ჩემად არიან. მერე, როცა პაუზა აუტანელი გახდება, ერთი მათგანი მკითხავს:

— წაიკითხე დღეს „პრადა“?

— წავეკითხე?

— ჰოდა, ჭკვიანად იყავი.

მერე დაიწყება ცხარე კამათი. ერთმანეთს არ აკლიან სიტყვის დამთავრებას. საოცრად ენერგიულები და გულწრფელნი ჩანან ამ დროს.

— ძალიან კარგს შვრები. არ შეეყო.

— ნუ გეშინია. ახლა შეიძლება მამაკებზე წერა.

— ბოლოსდაბოლოს სანამდე ვიტყუოთ ერთმანეთი.

— ამხელა ირესურსების ქვეყანა უთავბოლო ცუნდრუკით ლამის თხლებზე დავიყვანეთ. ტუფლს ვერ ვკერავთ, შარვალს ვერ ვკერავთ, კოსტუმს სახელის ვერ ვაკერებთ. კბილის პასტა ჩვენი არ ვარგა და კბილის ჯაგრისი. ერთი პარაშუტი გვაქვს და, მე მგონია, ჩვენი პარაშუტიც შერჩევით იშლება.

— რატომ იცი, ასეთი მოუზომავი ყრანტალი?!

— რა ყრანტალი. არა ვარ მართალი? რა მივეციოთ ხალხს დაპირებების მეტი.

— მასეთი ლაპარაკისთვის იყო, რო გაყურყუტეს კაი ხანს.

— მერე ბოდიშიც მშვენივრად მოიხიდავს.

— იქამდე მივიყვანეთ გლები, რომ ბარი და თოხი სამუდამოდ შევაძულეთ.

— გავავსეთ ციხეები, მარა მოვსპეთ ქურდობა ან მექრთამეობა? პირიქით.

— რწმენა დავუქარგეთ ადამიანს. ყოველ ათწლეულში, ყოველი ახალი უფროსის დროს საბჭოთა კავშირის ახალ ისტორიას ვთავაზობდით.

— ერთი პერიოდი, სამამულო ომი კინალამ ბრეჟნევის მოგებულად გამოვაცხადეთ. სამართალი იყო ეეს?

— ხალხს საარჩევნო ყუთთან მისვლა საშაყრო საქმედ ვუქციეთ. მე ვინ რას მეკითხებაო, მეზობელი მეზობელს

ატანდა ბიულეტენს, — ჩამიგდე, თუ ძმა ხარო.

— არჩევნებზე გამახსენდა. ერთი მილიციელი იყო ჩვენს ქალაქში ბიჭოია ჩაჩხიანი. შინაურ მილიციელს რომ ეძახიან, ბაზრის მილიციელი. ფორმა რომ ტყვილად აცვია ისე, შესახედავად და მასზე საწყალი თუ შეხედება, იმას რომ დაიბრიყვებს, სხვისთვის რომ ხმის გამცემი არ არი. ერთ მშვენიერ დღეს არ აირჩიეს დეპუტატი? აგლახავებდნენ მოქალაქეები. ხომ იცი, ხალხს პირს ვერ აუკრავ. „ბიჭოია დეპუტატი“, ბიჭოია დეპუტატიო“, დასცინოდნენ. მიუბრუნდებოდა ბიჭოია და ეტყოდა: „წადით, ბიძია, საქმე ნახეთ, რავარი ამომრჩევლებიც თქვენ ხართ, დეპუტატიც იმნაირი გყავართო“.

— სტალინი ავიღოთ, თუ გინდა. როცა რუძუტაკის დაჭერაზეა ლაპარაკი, სტალინმა დაიჭირა თურმე, რაც რამე სიგლახეზაა ლაპარაკი — პირადად სტალინს გაუკეთებია, როცა იმ დროის კაი საქმის სხენება გვინდა, ხალხმა გააკეთაო, დაგვიყინია. მაშინ, თუ ასეა, რუძუტაკის და სხვების დაჭერაც ოცდაჩვიდმეტში ხალხს დავაბრალოთ.

— ხალხი არავის არ იჭერდა, ხალხს თვითონ ეშინოდა.

— აბა სტალინი დასდევდა ჩემს ძმას ჭინჭიეთში ბადით? არ ვართ არა, მართალი.

— გაუბედავობამ და „დოგმების“ ერთგულებამ მოგვიყვანა აქამდე. ვიძახით გაფეტიშება არ გვინდაო, თეორიის შემოქმედებითი განვითარების მომხრე ვართო და ასი წლის წინ დაწერილ წიგნებში სადღეისო გაკვეთილებს ვეძებთ.

— სწორია. რა ჭკვიანიც უნდა ყოფილიყო კაცი, ასი წლის წინ დღევანდელი დღის რეცეპტს ვერ გამოგიწერდა.

— გავალიზიანეთ ნახევარი მსოფლიო ამ მოუთავებელი სოციალიზმით.

— რავე?!

რევაზ მიხველაძე
წიგნწერა



— რაღა რავა. ერთი მოსულელი „მოღვაწის“ ჭკუით ახლა სოციალიზმს კაი ხნის გაცილებული უნდა ვყოფილიყავით და კომუნისმში უნდა გვეცხოვრა. მოვიშორეთ ის ქარაქუცა ხელმძღვანელი და გამოირკვა რომ სოციალიზმიც ვერ აგვიშენებია ისე, როგორც საჭიროა. უკან დახევისა შეგვრცხვა და დავიწყეთ მართონი „განვითარებული სოციალიზმის“, „სოციალიზმის შერემონტების“, „სოციალიზმის გრძელვადიანი სრულყოფის“ პერიოდებში. მეცინება რომ გავიხსენებ.

— შეცდომა ვის არ მოსვლია, შეცაო.

— მეერ გაგიგონია, ამ ბოლო დრომდე, შეცდომა მოგვივიდაო? ვთქვით, აქამდე, დავწერეთ სადმე? შეიძლება შენს შეცდომიან ქიჩმაჩს მთელი თაობების ცხოვრება გადააყოლო?

კარგა ხნის მერე, როდის-როდის მთვარე ხელგაშლილი ქალის ქანდაკებას რომ დაადგება და პარკიდან მოსეირნენი გაიკრიფებიან, ჩემი მოხუცებიც დაცხრებიან. სხედან ჩუმად კამათით დაღლილნი, სუნთქვააჩქარებულნი, ნერვებდაჭიმულნი.

ერთი სული მაქვს ვიკითხო: — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? თქვენ არ იყავით? რაზეც ახლა გულისტკივილით ლაპარაკობთ; თქვენ არ დააკანონეთ? თქვენ არ გაუმაგრეთ ღიბო-საძირკველი?

ვიცი, ამ შეკითხვისა ყველაზე მეტად ეშინიათ.

მეც ხმას არ ვიღებ. არ მინდა უხერხული შეკითხვით დაბნეული მათი სახეების დანახვა.

ქნალი, ქნალი

მინისტრობაზე არც მიოცნებია. ბევრიც რომ მეოცნება, რა გამოვიდოდა, მე რომ სამსახური დავიწყე, ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა კარგა ხნის დაკავებული იყო. კადრების უძრაობის ეპოქა გახლდათ, თუ ქვეყანას არ დააქცევდი, არ დაგძრავდნენ „მოკავებული თანამდებობიდან“, ხოლო თუ დააქცევდი ქვეყანას, უთანამდებობოდ მაინც არ დატოვებდნენ; „ორბიტაზე გასული“ კაცია, ბევრი რამ იცის, ემანდ პირი არ მოაღოს და არ ილაპარაკოს. დამყაყებულ საკადრო პოლიტიკას რომ შეუტეის და დემოკრატიზმმა ფრთები გაშალა, იმ თვეებში მოხდა ჩემი დაწინაურება. მინისტრი უნდა ავირჩიოთო, რომ გამოგვიცხადეს, ყურებს არ ვუჭერებდი. გვატყუებენ-მეთქი რალაცას, ალბათ, წინასწარ ჰყავთ დანიშნული და ახლა ჩვენ გვათამაშებენ-მეთქი „არჩევნობის“, როდის იყო დანიშნა-მოხსნას ჩვენ გვითანხმებდნენ-მეთქი.

ამ ფიქრებში ვარ, ეკლებზე ვზივარ, არ მიყვარს კრება-თათბირები, თვალი კარებისაკენ მიჭირავს და ჩემს გვარს მოვკარი ყური. ერიპაა, ესენი არ ხუმრობენ, ჩემი გამასხარავება რაში დაჭირდათ, გამოგვიცხადონ, ვინ იქნება მინისტრი, როგორც აღრე გვეტყოდნენ („წარმომადგენელთა თათბირმა გადაწყვიტაო“) და გაგვიშვან-მეთქი სახლებში. ასე და ამრიგადო, კრების თავმჯდომარემ, ოთხი კანდიდატურაა დასახელებული, ახლა ბიულეტენები დაიბეჭდება და ფარული კენჭისყრით ავირჩევთო მინისტრს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამირჩიეს მინისტრად. დაბნეული დავბრუნდი შინ. რა გჭირს, ადამიანის ფერი აღარ გადევსო, ცოლმა. რომ ავუხსენი დღეს მინისტრად ამირჩიეს-მეთქი, ხმა არ ამოუღია, საკერავს დაუბრუნდა. ვერ გეტყვით, არ დაიჯერა, თუ ეგონა, ასე უნდა ყოფილიყო. ქალებს რას გაუგებ. საღამოს, როგორც იქნა, შევაჩვიე

ოჯახი იმ აზრს, რომ მინისტრი ვარ, მაგრამ, მე თვითონ, გითხრა სიმართლე, ვერა და ვერ ვირწმუნე. მთელი დამე თვალი არ მომიხუჭავს. „საქმეს როგორ ვერ შევძლებ, ჩვენს სამინისტროში თავდაყირაა ყველაფერი დაყენებული და ხვალდანვე შევუდგები მართლად ჭრას და მართლად კერვას — ვფიქრობ ჭერსაშტერებულს — კოლეგიას ბევრ-ჯერ დავსწრებივარ და არც სხდომების ჩატარება გამიჭირდება. სიტყვაც, ასე თუ ისე, მიჭრის, მეტი რა, ერთი სიტყვით, ახლა უკან დასახევი, გზა აღარ გაქვს. აგირჩიეს, გენდნენ, უნდა გასწიო ჭაბანი, შენზე გამოუცდელი და იქნებ შენზე ნაკლები უნარის მქონეც ბევრი იჯდა ამ სკამზე, მაგრამ მციროდენი შეცდომებისათვის ცეცხლი არავისათვის შეუწითიათ. დანარჩენს საქმე გვიჩვენებს“.

რაც ყველაზე ადვილი მეგონა, სწორედ ის გამიჭირდა ყველაზე მეტად — მინისტრული ცხოვრების წესთან შეგუება. რა გეცინება? ფიქრობ, ალბათ, გულში, რა ძნელი შესაგუებელი ეგ არის; მოგაკითხავს შინ შავი „ვოლგა“ ჩაჯდება, მიხვალ სამსახურში, მდივანს გაუღიმებ, შეხვალ კაბინეტში, ვაზეთებს გადახედავ, განცხადებებს გაეცნობი, თათბირს ჩაატარებ, სათანადო უწყებებს მითითებებს მისცემ, მოადგილეებთან ერთად ერთ-ორ საჩივარს განიხილავ; შუადღისას ისევ ჩაჯდება შავ „ვოლგაში“, ისადილებ, სამსახურში მიბრუნებული კვლავ შეეჭიდები მიმდინარე საქმეებს, საღამოთი „ვრემის“ ნახავ და დაიძინებ. ხომ ასე გგონია? არ არის იოლი უბრალო კაცობიდან მინისტრობაზე გადაწყობა.

ყველაზე მარტივ საქმედ პერსონალური მანქანის მოხმარება ჩანს ხომ? ჩახვალ ლიფტით, ჩაჯდება, მძღოლს ეტყვი: იქ მიიყვანე, აქ მომიყვანე და ამით მთავრდება ყველაფერი, ამაზე ადვილი რაღა უნდა იყოს, ხომ? ჩემი მინისტრობის პირველ დღეზე გიამბობ. დანარჩენი შენვე განსაჯე. დამიგდე

ყური, როგორც მოხდა, ზუსტად იხე გიამბობ, და გთხოვ, თუ შეძლებ, სხვათა მოუყვები. ყველა ვერ გაიგებს, როგორც საჭიროა. ხალხის ყბაში ჩაეარდნა მინდა მე? თუ შეძლო-მეთქი, მაგრამ შენ რამე დაგამაგრდება ენაზე? შენგან საიდუმლოს შენახვის დიდი იმედი არა მაქვს. ილაპარაკე, რა გქნა, ამაზე დიდი სირცხვილი ნუ მაჭამოს გამჩენმა.

ჩემი ჩვეულებრივი დღე ასე იწყებოდა. რვის ნახევარზე ვდგებოდი. სახლში მიუღწევე ჩემს თოთხმეტი წლის შვილს ფერება-მუქართი იმ დონემდე მიიყვანდა, რომ ქუჩაში გასვლა შესაძლებელი ყოფილიყო, ლოჯში ჰანტელეებით ვვარჯიშობდი. დედა-შვილი, რომ ფაცხა-ფუცხით ჩაცვივდებოდნენ კიბეზე და სახლში სიჩუმე დაისადგურებდა, ხანძარმოსწრებულთა სუფრასავით მიყრილ-მიტოვებულ მაგიდას მოვავწესრიგებდი, ვისაუზმებდი, ადრიანად ჩავაკითხავდი ჩემს ძველთაძველ „ჟიგულს“. ადრიანად იმიტომ, რომ თუ ნისლიანი დღე იყო ან ციოდა, არ იქოქებოდა და მიწოლის მეთოდით უნდა ამემუშავებინა. ეს საქმეც მოგვარებული მქონდა. ჩემი სახლის უკან თავდალმართია. კარლია მანქანას მხრით მივაწვებოდი და თავდალმართზე, რომ დავეშვებოდა, კარგი ჯომარდივით შევხტებოდი შიგ. მართალია, არც თუ უსაფრთხო შეხტომაა (შეიძლება უეცრად მუხრუჭის მოძებნა გაგიჭირდეს), მაგრამ მიჩვეული გახლდით და, რომ იტყვიან, ოქრო გამომდიოდა ხელიდან.

დღეს კი ჩემი ბებერი „ჟიგული“ არ დამჭირდება, პირველად ჩემს ცხოვრებაში ე. წ. პერსონალური, სახელმწიფო მანქანა მომაკითხავს სახელმწიფო შოფრით.

რვას აღარაფერი უკლდა, ხელში ჰანტელეებით, ტრუსისამარა, აივანზე რომ გავედი და ქუჩაში გადავიხედე. მანქანა მოსული არ იყოს და დიდხანს არ ვალოდინო ჩემი პატიოსანი მძღოლი-მეთქი. ვიცნობ, ყოფილი მინისტ-

რის შოფერს ერთი-ორჯერ გამოვლავა-
რაკებივარ კიდევ; რომელიღაც — ლი-
ლოდან (დიდი, პატარა, ზემო, ქვემო)
უნდა იყოს. ჯერ არ ჩანს. შუბლშე-
კრულმა ჩავუარე შეიღს საწოლთან,
მეგონა სძინავს-მეთქი, ტრუსიკში მტა-
ცა ხელი და კინალამ ჩემი ჰანტელე-
ბიანად წამაქცია.

— არ მოსულა? — მეკითხება.

— არა — გულმოსული ვპასუხობ, —
კინალამ დამამტვრიე, შე ვირო.

იცინის, ღრმად დარწმუნებული იმა-
ში, რომ ასე უწყინარი ხუმრობისთვის
არ გაილახება.

ცოტა ხანში ჩემმა ცოლმა გაალო
აივნის კარი და გადაიხედა. პერანგს
ვიცვამდი, ცივმა ჰაერმა უსიამოვნოდ
შემაჟრჟოლა.

— დაკეტე კარი, გავცივდი კაცი!

— რომელ საათზე გყავს დაბარებუ-
ლი? — მშვიდად მეკითხება ცოლი.

— თქვენ ამ დილით საქმე არაფერი
გაქვთ? თვითონ იცის, რომელზეც უნ-
და მოვიდეს.

საუბრობა, რასაკვირველია, ვერც ამ
დილით მოასწრეს. კარი, რომ გაიხუ-
რეს, გახსნა და უთოს ჩამოვუარე. წესად
მაქვს. სხვათაშორის, ურიგო ჩვევა არ
გახლავთ. გაიქცევიან და ან გახსნა და-
ტოვებენ ანთებულს, ან უთოს ჩარ-
თულს. სახლი რომ მოვაწესრიგე და
ტელეფონით ორ ახლობელ-მომლოც-
ველს მადლობა მოვახსენე (ვერ დავი-
ტრებახებ, მინისტრობა ბევრმა მომი-
ლოცა-მეთქი და არც ის იქნება მართა-
ლი, დაწინაურებასთან დაკავშირებით
უამრავი დებემა მივიღე-მეთქი, რომ
გითხრათ საზღვარშვიგნეთიდან ან სა-
ზღვარგარეთიდან.) ერთხელ კიდევ გა-
დავიხედე აივნიდან. დგას შავი „ვოლ-
გა“. სწორედ ჩემს სადარბაზოსთან
დგას. აქედან ნომრებს ვერ ვხედავ, მა-
გრამ უეჭველად ჩემი მძღოლია. სა-
დარბაზოში კი არა, ჩვენს სახლში, სა-
ერთოდ, თანამდებობების პირი ჩემს
მეტი არაფერ ცხოვრობს.

არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას,

მე რომ დამეუფლა და ამაფორიაქ-
უხერხულობის, მორიდების, სირცხვი-
ლის გრძნობათა სინთეზი შეიძლება
ადამიანს ერთდროულად მოაწვეს შუ-
ბლზე? ჰაიპარად გავიპარსე, სარეკორ-
დო სიჩქარით გადავივლე გრილი წყლის
ჭავლი, მეხანძრესავით სწრაფად ჩავი-
ცვი, ორი ვაშლი გავირეცხე, ჩანთაში
ჩავიწყე და ლიფტს ვეცი. სანახევრო-
დაც არ ვიყავი დაშვებული, ლიფტი
რომ გავაჩერე, ისევ მალლა ავედი, კა-
რის სახელური ერთხელ კიდევ მოვსი-
წე, ნამდვილად დავკეტე თუ არა-მეთ-
ქი და აქლოშინებულმა ლილოვლ
მძღოლს გავუღიმე:

— გამარჯობა — კარი გამოვადე, ჩავ-
ჯექი და დამნაშავესავით — მორცხვად
ვკითხე — დიდი ხანია მელოდები?

— არა ბატონო... რა სათქმელია.

სამინისტროსთან რომ მიმიყვანა, მა-
დლობა მოვახსენე და ისე, ყურადღე-
ბისათვის ვუთხარი:

— ამინდი გამოკეთდა მგონი, რო-
გორც იქნა.

— სალამომდე კიდევ შეიცვლება,
მოასწრებს.

— შენ... სად გააჩერებ მანქანას, სად
დგახარ ხოლმე, საერთოდ?

შენობის გვერდზე დახაზული მო-
ედნისკენ მიმითითა და თან გაკვირვე-
ბით ამოხედა. კაცმა რომ თქვას, რამ
მაკითხვინა, მეც იქ არ ვაყენებდი ჩემს
„ჟიგულს“?

— შენ ახლა... თუ გინდა... წადი...
მიხედე შენს საქმეს... სამ საათს, ალ-
ბათ, არ დამჭირდება. სამი საათის მე-
რე მოდი, — საათზე დავიხედე, — ახლა
ათის ნახევარია.

თავი დამიქნია და მანქანა დაძრა.

თორმეტ საათზე, თათბირზე გამომი-
ძახეს. ჩამოვედი, იქნებ დროზე ადრე
მოვიდა-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არ
ჩანს. პირველის ნახევარზე თათბირი
მეწყება, იღბლად ტაქსმა გამოიარა.
ჩავხტი და მოვუსვი.

თათბირი რომ დამთავრდა, ტაქსითვე
დავბრუნდი სამინისტროში. ასე არ

ივარგებს. მართალია, ხელფასი მომე-
მატა, მაგრამ არც იმდენს ვიღებ, ტაქ-
სებით ვისეირნო და ოჯახის ბიუჯეტს
ავად არ დაეტყოს.

ოთხს აღარაფერი აკლდა, მძღოლმა
კაბინეტში რომ შემოიხედა.

ვუამბე რაც შემემთხვა, ახლა ერთ
საათს აღარ დამჭირდება-მეთქი. სახე-
ზე ვერ შევატყვე; ეწყინა თუ გაეხარდა,
პერსონალური მანქანის მფლობელმა
ტაქსით რომ ვიჯირითე იქეთ-აქეთ.

ხუთზე გამახსენდა, რომ კუკიაზე
უნდა ავსულიყავი, ობიექტისათვის
თვალი უნდა შემეგლო. ჩამოვედი. მა-
ნქანა არ ჩანს. ხომ შეიძლება შეეშა-
ლოს კაცს ხელი, არადა, რამდენ ხანს
ვიდგე ასე, ქუჩაში. ტაქსს დავუქნიე
ხელი. ჩავჯექი და შინისაკენ გავსწიე-
იღბლად ჩემი „ჟიგულის“ დაქოქვა არ
გამჭირვებია. ავვარდი კუკიაზე და
ექვსს აღარაფერი აკლდა სამინისტრო-
ში რომ მოვბრუნდი. ტროტუარზე შე-
ვაყენე მანქანა და კარებისაკენ წასული
შევჩერდი, მივიხედ-მოვიხედე, ჩემი
მძღოლი გაკვირვებით მათვალისწინებდა.

ვითომც არაფერი-მეთქი, სტვენით
ჩავუარე, გავუღიმიე და მანქანის ფრთა-
ზე („კრილო“) თითები ავათამაშე.

საათი თუ საათნახევარი კიდევ წა-
ვიმუშავე კაბინეტში. „წასამუშავებე-
ლი“ ძირითადად ის მქონდა, რომ ორ
განყოფილების გამგეს ერთად ვეხვე-
წებოდი, ნუ გადადგებით თანამდებო-
ბიდან, არას ვერჩით, პირიქით, იდე-
ალურ პირობებს შეგიქმნით-მეთქი,
მაგრამ ვერ დავიყოლიე. წინა მინის-
ტროს იყვნენ ჩაფსკვნილნი და აღარ
მენდნენ, გასაგები გრძნობაა.

რვის ნახევარზე დავეშვი ლიფტით.
ჩავჯექი ჩემს პერსონალურ მანქანაში
ხვნეშით. დალლას ვგრძნობ, მაგრამ რა-
ღაცნაირი უსიამოვნო დაღლილობაა.

ეს მაშინ გემართება კაცს, როცა ვი-
ცი, რისთვის დაიღალე, შედეგს ვერა-
ფერს ხედავ.

— რას იზამს, ნეტავ, ამინდი ხვალ?—
აბა სხვაზე რაზე უნდა ელაპარაკო
შოფერს, რა ვიცი.

— ამაღამ ხუთჯერ შეიცვლება, ვინ
იცის.

ჯერ მიბასუხა, მერე თავი შეაბრუ-
ნა და ცას ახედა.

ჩემს სადარბაზოსთან ადგილი არ
იყო, ცოტა წინ გამიჩერა. გადმოვედი.

— ხვალ, ცხრაზე. კარგად.

— კი ბატონო.

ლიფტთან მისულს გამახსენდა, რომ
ჩემი „ჟიგული“ სამინისტროსთან დავ-
ტოვე და ისიც ტროტუარზე შეყენე-
ბული. ადგილი შესაძლებელია, ნომე-
რი მოხსნილი დამხვდეს.

ტაქსი და მისი ჯანი. ჩვენს ქუჩაზე
ტაქსი ადგილი დასაქერი არაა. რო-
გორც იქნა, გამოიარა, ჩავხტი და ოც
წუთში ჩემი მანქანის სტარტერს ვა-
ტრიალებდი.

გამიჭირდა დაქოქვა. ვიღაც ღვთიან-
მადლიანები წამომეშველნენ, გრიგოლ
ორბელიანის ძეგლისაკენ გამაგორეს,
მეორე სიჩქარეში ჩავაგდე და დაიქოქა.
ხელი დავუქნიე ჩემს მხსენლებს და
კვარაკვანძის დაღმართზე დავეშვი.
ათს აღარაფერი აკლდა, შინ რომ და-
ვბრუნდი. ჩვეულებრივ ექვს საათზე
შინ მყოფ მამაკაცთა რიცხვს ვეკუ-
თვნოდი, მაგრამ ეს იმ დროს იყო, როცა
სამინისტროს რიგითი მუშაკი გახლდით
და პერსონალური მანქანა არ მემსა-
ხურებოდა.

• ასე რომ, ყველამ, ვისაც კარიერის
კიბეზე აღმასვლა გელით, იცოდეთ,
რომ მინისტრობა იოლი საქმე სრუ-
ლიადაც არ არის.



პასტორალი

რა შემოდგომები დაიღუპა!
 თვლებში წვიმა ედგათ,
 გულში — თაფლის ლექი,
 დღეები სანთლისფერი,
 ღამეები — მწიფე ლეღვის,
 ისეთი ლურჯი,
 სინაზით რომ გული გაგისკდება...
 ახლა მეჩვენება, რომ წვიმა
 მხოლოდ ფერების გამოსარეცხად
 მოდის,
 ხეები წითელი საესტრადო
 როიალებივით
 დგანან
 და ქარი უკრავს ისეთ გამყივან მუსიკას
 თითქოს, ენიდან ხვევრდი გადააძვრეს
 და ცარიელი ხორკლი და ბრაზი
 დატოვეს...

მაგრამ ვილაცა ამბობს,
 რომ ქარი შევლაა,
 რადგან ბოლო ფოთლები
 დაიღალნენ ავადმყოფობით
 და უნდა მოასვენოს ისინი,
 მიწაზე დააწვინოს...
 მაშინ მაპატიე,
 წვიმის წვეთში
 და ტოტების ოქროსფერ აბლაბუდაში
 დროებით შეხიზნულ ღმერთო,
 რომ ეჭვი შევიტანე შენს სიკეთეში,
 რომელიც ჩემთვის, იქნებ,
 წვიმიანი თვალბეცაა,
 სხვისთვის კი —
 გულში ჩამდგარი თაფლის ლექი...

კაცზე, რომელიც კოეტია მოკლული

კაცმა თქვა:
 „ვარსკვლავიანი ცა ჩემს თავზე
 და ზნეობრივი კანონი ჩემშიო“
 თქვა და
 ერთი მშვენიერი გოთურე ტაძარი
 ამოუშვა პირიდან და აჩუქა მიწას.
 ეს სიტყვები მაშინ მაგონდება,
 როცა ისეთი თავდახრილი ვცხოვრობ,
 რომ გუბეში უფრო ვხედავ
 ვარსკვლავებს,
 ვიდრე ცაში,
 თან შემძლია გავსრისო კიდეც ისინი
 და ფეხზე წყლის ძონძი ჩამოვიცილო,
 ისე შეუღებლად, როგორც ძაღლმა ან
 კატამ,
 მართალია, ზოგჯერ გამახსენდება,
 რომ უნდა გამოვეპარო
 ტკბილი ცომისგან მოზელილ ეშმაკებს,
 რომლებიც სახლის მყუდრო ნაოჭებში
 სუფევენ

და სიტყვა ვთქვა, დავიწყებული,
 გუმბათოვანი...
 მაგრამ ჩემი ტაძარი
 ალაზნის ველზე დგას
 და გედისყელისფერ სინათლეს
 გამოსცემს ისეთს,
 რომ მე უკეთეს
 ვერანაირი სიტყვით ვერ ავაშენებ
 მე, რომელიც
 მკვდარ ასფალტს ვმწყემსავ
 და გუბე ქვეყნიერების სარკვე მგონია...
 მაგრამ, ზოგჯერ, უძილო ღამეებში
 ყველაზე უფრო მშურს კაცის,
 რომელმაც არა კანონების კრებულს,
 ძვირფას პედაგოგს,
 ან, დედას და მამას,
 არამედ ვარსკვლავიან ცას მოკიდა
 ხელი
 და სათნოების მასწავლებლად
 დავიყენა...

გზაზე გღია ძროხა,
რომელსაც მანქანამ გადაუარა,
გამვლელები ჩერდებიან და უყურებენ.
ზოგი განიცდის,
რა უქმად ყრია
ხორცის მაძლარი კილოგრამები,
ზოგს ებრალება რძის კრიალა სიმღერა,
სისხლით ჩახშობილი

და ქალური მოხაზულობა
ვარდისფერი ტანის,
მაგრამ ვიღაც იმასაც წარმოიდგენს,
რომ დილით ეს ძროხა
მინდორში დადიოდა
და ყელში
იების მთელი თაიგული აქვს
გაჩხერილი...

თანამედროვე სიყვარული

მე, ცხრამთის გადამლახავი
და ცხრაზღვის გამცურავი,
ვისაც ზღაპრის სიყვარული შემრჩება
სიცოცხლის ბოლომდე,
ატმის ხე მომაქვს.
ყველა ნაბიჯის გადადგმაზე,
ატმები ვარდისფერ ზარებს რეკავენ
და მიწაზე ეცემიან
ასეთი ნაყოფიდან კურკას თუ ამოიღებ,
შიგ პატარა, ტყბილი სამოთხე ჩნდება,
მე ეს სამოთხე გამოვიგონე
ჩემთვის და შენთვის,
სადაც თაფლივით ჰაერი
დედინაცვალი ასფალტის ნაცვლად
დედამიწაზე იღვენთება,
რომელსაც უბასუხო სიყვარულით უყვარს
პატარა, მშვიერი ბედურა,
ხოლო ბედურას, შეიძლება,
მე შევეუყვარდე, ან შენ,
რადგან თავის ციკქნა ოცნებაში
მხოლოდ გოლიათებს ათავსებს...
მაგრამ შენ ტელევიზორს უყურებ
სადაც წყალდიდობა ანგრევს ქალაქებს,
ტყეები იწვიან, ვულკანები იფრქვევიან,
ადამიანები სულ უფრო და უფრო
გონივრულად და მოხერხებულად
კლავენ ერთმანეთს
და არც კი გიკვირს,
როგორ ვეტევი ატმის გულში,
ამხელა ქალი,
რასაც ადამიანს მხოლოდ ზღაპარი
შეაძლებინებს,
ან სიყვარული...

რა ესთეტია ეს არსება
 რა ოქროვანი წიგნის ყუები
 ჭვივის მისი კარადებიდან,
 რა ქათქათაა მისი პერანგი,
 რომლის ნაკეცებში ბგერები ბუდობს
 ისეთი,

ხმა რომ ამოიღონ,
 ვარდბულბულიანის მეწამული მუსიკა
 გაფითრდება...

როგორი აბრეშუმის კიბე აქვს
 მიდგმული ვარსკვლავებთან,
 რაინდები სატრფოსთან რომ
 აღიოდნენ!

როგორ იცის ღრუბლების ასავალ-
 დასავალი,

როგორ მიმოირხევა ბაბუაწვერას
 ყვაველივით

განაზებულ ინტერიერში...

ზოგჯერ ფრენასაც ცდილობს;

რაც არ უნდა მოხერხებული კიბე
 ჰქონდეს

ცაში ასასვლელი,
 ფრენა მაინც უნდა იცოდეს
 ესთეტმა კაცმა.
 ხინჯს ვერ მოუნახავ მის
 სრულყოფილებას.

ერთადერთი,
 რაც არავინ არ იცის მის შესახებ,
 სისხლი თუ გამოსდენია ოდესმე,
 ფრჩხილი თუ წამოსტკივებია.

ნეტა, რა მოხდება,
 დანა რომ უჩხვლიტონ?

(არა, დანა უხეშია და ჩემნაირებისთვის
 განკუთვნილი,

მხოლოდ ქინძისთავი, ოქროს
 ქინძისთავი)

ალბათ, ძარღვი არ აუტოკდება

უმწიკვლო შუბლზე

და ცისფერი სისხლის რამდენიმე
 წვეთი

მძივებივით დაეცემა დედამიწას...





მამას

„საყვარელო იანო,
ბროლის თითებიანო,
მე რომ წერილი მოგწერე
არსად გამიხსიანო“.

მამას უყვარდა ეს სიმღერა
ზამთრის ღამეში,
ჩაუდგებოდა სხვა სინაზე
ამ დროს თვალეებში.
თავს აიღებდა,
ღედას ცერად გადმოხედავდა,
ღედა საყვედურს
ხუმრობითაც არ შებედავდა.

წასულან წლები,
წასულან წლები,
რაც აღარა ხარ,
წლები წასულან,
მოგონებების კარავს ვიგებ,
ვზივარ და ვთბები
და უფრო ახლოს
ვრჩები წარსულთან:

ჩაბალახიდან ამომხედავ,
ბუხართან ვსხედვართ,
გარეთ თოვს, გარეთ
დეკემბერის ლიგვი ღამეა,
ეს ის ჟამია,
როცა ჩვენგან წავიდა ღედა
და ოცი კაცის დარდი გვაწევს
ორ ადამიანს.

რა, რა ცოცხლობდა
ჩვენს ღუმილში,
დამლულში იმ დროს?
რა, რა ჰყინავდა
ბუხრის ალზე მიშვერილ ხელებს?
ჩემს თავს კი არა,
მარადიულ საუფლოს მკვიდრო,
შენ გეკითხები, შენი შვილი
ოცი წლის მერე.

შეგაბნეული ღამეებით
გამოღმა ვდგავარ,
შენს სასუფეველს
გაღმა შუქი ევარაყება,
მე კარგად ვიცი
თუ რაშიც გგავარ
და თავი სწორედ
ამის გამო მეამაყება:

რბილი,
დამთმობი ხასიათი,
სიფიცხეც — ზოგჯერ,
მშვიდ გაღიმებას დაუშმატებ
ამ მკრთალ მონახავს,
ვინაც გიცნობდა,
მწამს, დამიმოწმებს —
თუ ჩემი ლექსის წასაკითხად
დროს გამონახავს.

... იქნება ქვეყნად
ის ღამაში „იანოც“ იყო
(იყო თუ არა,
შენ ხომ მაინც ასე გენება), —
ასე ართმევდი
ყოველდღიურ საზრუნავს მიმყოფ
ცხოვრებას, ზოგჯერ
უმნიშვნელო ბედნიერებას.

ალალ! — რა გვიან გესარჩლები,
შენ ველარ ისმენ,
ანდა ისმენ და
მე ვერ ვგებულობ...
გამირბის მზერა
შემოდგომის შეძარცვულ ტყისკენ,
მღუშარებასთან
იძულებით შერიგებული.

ამ ტყეებს ახლა
სხვა სმენა უნდა,
(თავს რომ მაწონებს
ხარისთვალად,

დეკად,
მორკანად), —
ეგ იყო, ვინაც
მესროლა გუნდა —
ბალახი ერთ დღეს შენი ხელით
და მომიყვანა.

გამოკეტილი ორ უსაზღვრო
შეუცნობს შორის,
თრთის შესაცნობი,
შემოსილი ფაფუკი ნისლით;
ვაი თუ ნისლშიც
თავს იმაღავს მარადი ჭორი,
აღმოჩენისას ირონიულ
ღიმილის ღირსი.

ღამეა ახლაც,
უსხეულო ფარდების გარეთ,
მე და შენ ვდგავართ —
მამა და შვილი,
შენ მეტი იცი,
მითხარი ბარემ,
მანდ როგორ ვფასობთ
ამქვეყნიურ შუქით და ჩრდილით?!

თუ საქმე შუქზე უნდა მიდგეს,
თამაში ვხდები, —
მთელი სიცოცხლე
შუქში გალიე,
... გამოენიისას ჭალებიდან
მოიწევეს ხმები —
შენი დაბალი კრინიც ახლავს
მრავალყამიერს.

ეს ის ხმა არის,
აქ რომ დატოვე,
ის ნათელია,
აქ რომ გემოსა...
როგორ გაუძღლო მე უშენოდ
ამ სიმარტოვეს
და იმერეთში
მოქათქათე
მარტის შემოსვლას.

ამ დროს იძახის
„კაფე-თესეს“ გუგული ტყიდან
და მიწა ითხოვს
ხელს და ფერებას;

ჩაიყენებდი ნატერფალში
ყველაზე წმინდანს —
მიწის ოხშივარს —
მარადიულ ბედნიერებას.

ოხშივარიდან გამომღიმი,
იმატებს სვრელი,
შვენის სანახებს თავის დახსნა
ზამთრის მღვიმედან;
ჰა, ნაბოლარაც წამოგვესწრო,
შრომაში ხელი
წამოგვეშველა და ამიტომ
თუ გელიმბა.

... გამიგორდება როცა ფეხქვეშ
გორგალი ფიქრის,
გამიძნელდება წარმოსახვის
მუნჯად შელევა,
და დედამიწაც
მგონია იფქლის
მარცვალი, როცა
ვარსკვლავებით ცა იმტვერება.

შენ, ამ მარცვალის
მოერთგულეს და მონუგეშეს,
არ გიძებნია
სხვა გზა — ფარული;
ნაღვერდალივით შეხვეული
გქონდა უბეში
მომძის,
მოყვასის
ერთგულება და სიყვარული...

წარუვალიდან აშენებდი
ამა წუთიერს,
სხვისი წუხილი როცა გულთან
შენად მიგქონდა...
მე ჩემს ოცი წლის მონატრებას
ღამე ვუთიე
და დამათენდა,
ელეგის მტკივან სტრიქონთან.

ზვარში მოგელი,
ვაზი პირველ კურცხალს იმეტებს, —
გავსხლათ, —
მოგყვები როგორც ვიცილი;
წილნაყარია ვაზის ჯვართან
კაცის სიკეთე

და საიდუმლო
კაცის სიცოცხლის.

როცა მგონია,
ჩემი თხოვნა მართლა ისმინე,
ამ დროს მადნება
ხელში ზმანება;
თვალში — ძვირფასი სამკაული —
ცრემლი ციმციმებს,
„დავდივარ,
ვწუხვარ და მენანება“..

ნაზიარები მიწის სიბრძნეს
გაჩენის დღიდან,
რას მოითხოვდი,

რას ეძებდი საკუთარ თავში?
რომელი ღლიდა,
თუ მართლა ღლიდა
შენში ერთმანეთს —
ბერიკაცი ღლიდა თუ ბავშვი?!

ამ ორთა შორის
გამობმულ სხივზე,
(ყურს რომ მოწვდება:
„მორწმუნენი ნეტარ არიან“...),
ოცი წლის მერეც
ცოცხალივით გამავალს გიმზერ, —
მამა ხარ ჩემი
და მიხარია!

შენი პირადე ტყემლები, იმერეთო ჩემო,
თვალის ერთი შეველებით
მაგრძნობინებს გემოს.

როცა მზით დააღბული
წყარობროლთან ვზივარ
და ცრემლები — ბალღური
ლაბალუპით მცვივა,

მუხის ხეზე ჭრიჭინა თავს ბოლომდე
ხარჯავს
და მეც ხელში მიჭირავს აჯამეთის
მაჯა...

ზოგჯერ სერ-სერ მოძებნილ
ძახველების ცეცხლზეც
შეცივნებულ ოცნების შეფიცებას
შევძლებ.

გლოვის ნარმა და მოვია
ქედებზე ღრუბლის ცეცება;
ისეთი რა მითხოვია,
მოკვდავს რომ არ მიეცემა.

თუ მაინც ზოგჯერ სადაოს
დაპატრონებაც ვისურვე,
ასე მგონია, საბაოთ,
დღეს — არა? ხვალ შემისრულებ.

კონ ისმენს ახლა
რასაც მე ვფიქრობ,
კონ შეიძლება
ახადოს ფარდა
ჩემს საიდუმლოს, —
მითხარი, ფიქქო,
დაწყვილებული
აპრილის ქართან.

ქღურტულებს საყდრის
ფრთაჭრელი ჩიტი
და ეს ხმა ღუმლის
მძივივით შეენის,
და ძეწნის ტოტზე
მსხვილდება კვირტი —
ქვეყნად ყველაზე
მსუბუქი ცრემლი.

ო, როგორ გინდა
ამგვარი წამი
კერავდეს გაბზნილ
სიზმრების რიდეს;

და მისხალ-მისხალ
მომცვრეულ ნამით
ტიროდეს ვინმე
და შვებას მგვრიდეს.

ნადირობა

ტყის ქათამის ჩრდილით გაიხაზება
სამსრობისას საბაჯგის ბელესი,
უკვე ორი ავაშორე,
მაგრამ ვიდრე ჩაჯდება
დაასწრებ და — შენ ესვრი.

მთიდან მთაზე გადაიარს ნახმევი,
სეტერები მოკლულ ქათამს ეძებენ,
შორს — სოფელი...
გაყურსული სახლები
ბინდდება და თვალებს ანაპერწყლებენ.

ქათმის გარდა გვრიტია და შაშვიც,
არ — ხოხობი,
არ — „სასარაკ-სავეათა“...
მაგრამ ამ დღეს, — აი, საქმე რაშია, —
მთელი კვირის
დაღლილობას გავატანთ.

სხვა რა გვინდა,
რას ვეძებთ და რას ველით, —
მეოცნებე სხვას რას უნდა ჰპოვებდეს;
აწესრიგებს ვაჟას ლანდი თვალსველი
ყველა დროის
მონადირე პოეტებს.

შენ ხარ ჩემი, მე ვარ შენი —
აი, რითაც თავი მომწონს,
გამოჩნდება ზედაზენი, —
მიეთბობა თვალი კოცონს.

შებინდული რუხი მთების
თავზე ჭვარი და ტაძარი, —

აგებული უფლის ნებით —
გამოჩნდება სადაც არის.

გალმა ძველი არმაზია,
მთვარის შუქით შენაფერი;
ყველაფერი ლამაზია,
წმინდა არის ყველაფერი.

ვის რა ეწვივება, ვის რა ეღარება? —
აი, უმთავრესი ამოსაცნობარი;
ზოგჯერ ჭირსაშიგან ამოდ საცნობარი
შიშის ჟრუანტელსაც ახლავს ნეტარება.

დღემდე გიცხოვრია შენ ამ ნეტარებით,
დღეის შეჭირვებაც უნდა დათმო
ხვალით...
ჭერ არ დალუბულა თურმე შენდარები,
ჭერ არ გამაგონო გამოსათხოვარი.

ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველებს ვთავაზობთ ახალგაზრდა მწერლის მოთხრობებს. გიგა თუთბერიძე პირველად „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ დაიბეჭდა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა.

აპგაპო

...გვამი ფეხით გადმოაბრუნა, დააკვირდა, მერე იარაღიანი ხელით პირჯვარი გადაიწერა და კარადა გამოაღო...

სადარბაზოსთან შეყოვნდა, მათარა ამოიღო და მოიყუდა. არაყი პირში დაიგუბა, გადაყლაბა და ღიღინით მიადგა კარს. გასაღები მანამდე აჩხაკუნა საკეტთან, სანამ სახლის პატრონი არ გააღვიძა. იმან უკმაყოფილოდ ჰკითხა:

— Накачался да?

— Немножко.

მდგმური თავის ოთახში შედარბაცდა და კარი მიიჯახუნა. იქ წელში გაიმართა. მაგიდიდან ბოთლი აიღო და იატაკზე დააგდო.

„გაღეშილია“, — გაიფიქრა სახლის პატრონმა და ნერწყვი გადაყლაბა.

... მშობლიურ სახლს რომ მიუახლოვდა, კაცი თოვლში ჩაჯდა, პეშვით აიღო და სახეზე მოისვა, გაიღიმა და გუნდა გემრიელად ჩაკბიჩა.

კარი ჩუმად შეაღო. ბაბუა სამზარეულოში ჩაის სვამდა. ერთხანს უყურა. მაგიდაზე მისი წერილი იდო.

— პაპა!..

ბაბუას ხველება აუტყდა...

გვიანობამდე ისხდნენ.

— რამის თქმა თუ მოასწრო? — ბაბუას თვალები გაუფერულებოდა, წყალი მოსძალებოდა.

შვილიშვილმა თავი მღუმარედ გააჩნია.

— მამაშენს რაღა... თორემ... — თავზე ხელი გადაუსვა, კაცს გაეღიმა.

— ის გოგო შემომჩიოდა, ერთხელაც არ მომწერაო, რა მეთქვა! აწი შენ იცი, მიხედე. მე ნუ მიყურებ, ალბათ, სიკვდილსაც დავავიწყდი, აბა ასეთს რომ სული მიდგას... — იდაყვიში წაჭრილი მარცხენა შეარხია მოხუტმა. — ხვალ მამაშენის საფლავზე გავიდეთ, ორი წელი პატრონი არ ჰყოლია. მე რას მოგუვლიდი, მივიდოდი ხუთი წუთით და... ეს რაა, შვილო! — თმა მოსწიწკნა.

— გავქალარავდი.

... ბაბუა სასთუმალთან ჩამოუჯდებოდა, სკოლის ამბებს გამოჰკითხავდა, მერე თავისი ჭველობის ამბებს ზღაპრად ეტყოდა.

მამამისის მკვლელს ყოველდღე ასე ნენებდა. ბიჭს ძვალსა და რბილში გაუჯდა შურისძიების წყურვილი. როცა წამოიზარდა, მერეღა დაფიქრდა ამაზე. ნუთუ აუცილებელი იყო ი-მ-ის მოკვლა?!

ოცდოორი წლისამ თავადვე გადაჭრა ეს საკითხი.

... სასაფლაო გაზრდილი ეჩვენა. მამის საფლავი ძეძვით იყო სავსე.

კაცი მომგვლელი ქალებისკენ გაემართა. იქ ვიღაც მელოტი გაჰყვიროდა წმინდა ხსოვნასა და დანაგვიანებულ საფლავზე.



კაცმა ურიკაზე თუმნიანი დაადგო. ქალები წამოდგნენ. მელოტი გაჩუმდა და თვალი გააყოლა.

გასუფთავებულ საფლავზე მიხაკები მიმოაბანია.

— მოვედი, ბიჭო, — ხმის კანკალით ჩასძახა შვილს ბაბუამ.

კაცი კი სველ სკამზე იჯდა და თავისას ფიქრობდა.

სადილობისას ბაბუა ახალგაზრდა ქალს შემოუძღვა ოთახში. კაცმა გაზეთი გადადო და სტუმარი შეათვალიერა. უფრო ეშხიანი გამხდარიყო.

კაცი მიხვდა, სალაში რომ დაუგვიანდა, გადაეხვია „გათამამებულა,“ — კოცნაზე შეატყო და რადგან არ იცოდა, რა ეთქვა, სიგარეტს მოუქიდა.

— როგორა ხარ?
— კარგად. შენ, შენ როგორა ხარ?
— მე... დეედაა, ჭალარა!

კაცი ხარბად ექაჩებოდა სიგარეტს.
— ბიჭო, გამეცი ხმა.

კაცმა მიმოიხვდა: პაპას ეძებდა თვალებით.

— მარტო დავგტოვა, — გამომწვევად გაუღიმა ქალმა.

„ამას უყურე!“ — გაუკვირდა კაცს და ჰკითხა:

— შენები როგორ არიან?
— გმადლობთ, კარგად, ბორჯომში ისვენებენ... რალცნაირი ხარ, გაუცხოებული.

ისხდნენ, სვამდნენ და იხსენებდნენ.
— როგორ გიხდება ჭალარა...

კაცი მიხვდა და ჩუმად თქვა:
— როგორ დაქალებულხარ...
მან თამამი თვალები მიაპყრო:

— ქალებთან ლაპარაკი კიდევ ვერ ისწავლე, უნდა მითხრა, — დამშვენებული ხარ-თქო.

— ჰოდა, თმის კულუღი თითზე დაიხვია, ნაზად მოქაჩა, ქალმა პირი იბრუნა, მერე მოაბრუნა...

— მამაჩემი ბინას დავგივთმობს.
— მამაშენის ბინა რად მინდა! — ჩაიღრინა კაცმა.
— მოიცა... აბა? — გაკვირვებით

მიაჩერდა ქალი, პერანგი ჩაიცვა ჩაიფრუტუნა: — ამ სოროში რა დაგეგმება რჩენია.

კაცმა არ უპასუხა.
...ინსტიტუტიდან დაბრუნებულს ბაბუა კართან შეეგება:

— იმის მისამართი გავიგე.
— მერე?
— რას აპირებ?
— ვნახოთ.

— შორს ყოფილა გადახვეწილი. მეფურად ცხოვრობსო. არცაა გასაკვირი — რაც მაგან აქ ფული მოხვეტა, მარტო მამაშენი იყო მოწმე. აკი მოკლა კიდევ...

— ოჯახი თუ ჰყავს?
— არა. საყვარელი ჰყოლია იქაური.
— საიდან იცი ეს ყველაფერი, დეტეტივი დაიქირავე?
— მორჩი. მითხარი, რას აპირებ?
— მოვიფიქრებ.

— ჩემი ნუ გედარდება, ინსტიტუტიდან აკადემიურს აიღებ და წახვალ, აქედან მილეთის ხალხი მიდის საშოვარზე.

მთელი ღამე იწრიალა.
„მეფურად ცხოვრობს, მეფურად, მეფე... — კედელს ხელი ჩამოუსვია, იგრძნო, ცარციით რომ გავსიპა, ზიზლით შეაყრყოლა, — უნდა წავიდე“.

საწოლზე გაიჭიმა, საბანი არ ეყო, სისვე მოიკუნტა — „წავალ!“ წასვლის წინ ბაბუამ დაწვრილებით მოუთხრო მამის მკვლელობის ამბავი.

— კი მაგრამ, ყველაფერი თუ იცოდით...

ბაბუამ მშვიდად გააწყვეტინა:
— მოსამართლეებს მოისყიდდა, ათდიდი-დიდი თხუთმეტ წელიწადში მაინც გამოვიდოდა. შემდეგ მისი მოკვლა და შენი დაჭერა ერთი იქნებოდა. ახლა კი მშვიდად ცხოვრობს, თუმცა არც ისე შორსაა აქედან, როგორც მას ჰგონია. ამიტომ ვამჯობინებ გაჩუმება.

ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. პატარა რომ იყავი, საჩუქრები მოჰქონდა, გეფერებოდა. არ გემახსოვრება.

ბიჭი აღარ უსმენდა, მისჩერებოდა სახედლარულ მოხუცს:

„ნუთუ ასე გამოათყევანა შვილის სიკვდილმა?.. ნუთუ მხოლოდ... არა, ეს ხომ სიგიჟეა. არა! — დაფიქრდა — რა, არა?! დიხაც ამისთვის ცოცხლობს, და მეც ამისთვის გამზარდა...“

— გასაგებია, — მოუჭრა მოხუცს,

...და ახლა აქ იყო ისევ, ნატანჯი, აღამიანს გადაჩვეული, მაგრამ, უკვე დამშვიდებული, მდიდარი და ამიტომ ამაყი. თბილ ლოგინში იწვა, მის მკერდზე ლამაზ ქალს ედო თავი და რაღაცას უაზროდ ეტიტინებოდა.

— რაა? — ჩაეკითხა ქალს.

— ქალაქგარეთ წავიდეთ, — გაუმეორა.

„ვინ უნდა წასულიყო ქალაქგარეთ... რამდენს ტლიკინებს ეს შტერი... და დაკვირვებით შეხედა — არადა, სახეზე არ ეტყობა.“

— ბევრი გყავდა? — შიშით ჩაეკითხა ქალი.

— ვინ?

— ქალი.

კაცს გაეცინა — „აი, თურმე...“

— არაა, ისე კი, მერწმუნე, მამაკაცის წარსულზე ეჭვიანობა არ ღირს.

ქალმა სინანულით დაუქნია თავი.

სალამოს პროსპექტზე მიაბიჯებდა. წვრილად თოვდა. ტაქსის გაჩერებაზე ხელიხელგადახვეული გოგო და ბიჭი იდგა. ბიჭმა გოგოს აფუებული თმიდან ფრთხილად ჩამობერტყა ფანტელები და ღიმილით ჩასჩურჩულა რაღაც კაცმა ჩაუარა — „ლლაპები...“

გაქუცულპალტიანი კაცი ეტლიან მოტოციკლეტთან მივიდა, დაქოქა და დაიძახა — დაუჩქარეთ! სადარბაზოდან ურამულით გამოცვივდნენ შარვლებდამოკლებული ბავშვები და მოტოციკლეტზე აიხუნძლნენ. ექვსნი იყვნენ. მამას საჩუქრებს აჩვენებდნენ. ის ბედნიერი ღიმილით აცეცებდა თვალებს, მერე იქვე მდგარ ახალგაზრდა კაცს ახედა კმაყოფილებით. მის გამოციებული მზერას წააწყდა. სადარბაზოდან

ხალსიანი ქალი გამოვიდა, ეტლში ჩაეკვება და მოტოციკლეტზე ათუხთუხებდა.

კაცმა გადააფურთხა და ფული მოსინჯა ჯიბეში. მაღაზიის ვიტრინას რომ გაუსწორდა, ორეული გამომწვევად მიაჩერდა — „ის უნიფბო შენზე ბედნიერია“...

— ჰა? — წამოიძახა კაცმა და მიმოიხედა.

კედელს მიყუდებულმა მთვრალმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

— მე არაფერი მიტყვამს, ჭირიმე.

შინ გვიან დაბრუნდა. ფანჯარა ჩაბნელებელი იყო. მოხუცს ეძინა. კაცმა კარი ჩუმად გააღო და ფეხაკრეფით შევიდა, ხელის ცეცებით მივიდა სააბაზანომდე, კარმა დაიჭრიალა. გაშეშდა, რეტი დაესხა. თვალწინ მკაფიოდ წარმოუდგა დაგრეხილი გვამი.

ღრმად ჩაისუნთქა და ჰაერი პირიდან სისინით გამოუშვა, სცადა ფიქრები ამოსუნთქული ჰაერისთვის გაეყოლებინა. თავი წყლით სავსე აბაზანაში ჩაპყო, სულის შეგუბებამდე დაახანა. ქოშინით მივიდა საწოლამდე და მიეგდო...

უჯრიდან მტვრიანი ალბომი გამოიღო: პირველი გვერდიდან ჩოხიანმა გამოხედა ზვიადად, აღმაცერად — დიდი პაპა!

მერე — ახალგაზრდა ბაბუა ჩვილით ხელში. ისევ ბაბუა ორი წლის შვილთან ერთად. რვა ფოტო — რვა წელი. მერვე და მეცხრე სურათებს შორის დროის დიდი შუალედი. მეცხრეზე ცალხელა, ჭადარაშერეული ბაბუა და წამოჩიტი ბიჭი. მერე — მხოლოდ შვილი მეგობრებთან, ქალებთან, ცხენზე, თანამშრომლების ჯგუფთან. მზერა უსიამო, ცივ ღიმილს წააწყდა. ის! — კაცმა ფოტოს ცეცხლი წაუქიდა.

მისი სურათები სამი წლიდან მეათე კლასამდე. ან ბაბუა ედგა გვერდით, ან თანაკლასელები. არსად — მამასთან ერთად. კაცმა ერთხელაც გადაათვალიერა.

დილით ბაბუას, ჰკითხა: — მამაჩემს
ჩემთან სურათი არ გადაუღია?

მოხუცი მოიქუფრა:

— როდის მოასწრო...

— წლინახევრის ვიყავი, როცა...

და, მანამდე?

მოხუცმა მხრები აჩეჩა: — რაში
გაგახსენდა?!

კაცი გაღიზიანდა. არ ესიამოვნა მო-
ხუცის დაყინებული მხერა.

„რამეს ხომ არ მიმალავს“. — გაუ-
ელვა გონებაში, მაგრამ მალე მიავიწყ-
და.

ქუჩიკი მოისხა და გავიდა. ქალის
ფანჯარა ღია იყო. კაცმა გუნდა ეს-
როლა. ააცილა. მეორე ესროლა. გუნ-
და ფანჯარაში შევარდა და რალაცაზე
ლაწანი გაიღო.

— დედაჰ!.. იდიოტები! — ქალი ფან-
ჯარას მოაწყდა.

— უჰ, შენა ხარ? მოვდივარ.

ჩამოვიდეს, ქუსლი-ქუსლს მიართყა
და გამოეჭიმა:

— გეახელით, ბატონო პორუჩიკო!

„რა გულისამრევად იტყვარტები,
შენი“...

— თავისუფლად! — ქალი მკლავზე
ჩამოეკიდა.

— თქვენები როდის ჩამოდიან?

— ზეგ.

— ჩვენც ხომ არ გაგვესეირნა ქალაქ-
გარეთ?

— როგორც გინდა.

— მინდა.

— როდის წავიდეთ?

— ხვალ. დილით ადრე გამოვივლი.

— პო. ოლონდ გუნდა აღარ ისრო-
ლო. რა საათი გამიტეხე, იცი...

— ვიცი. ყვავიანი.

— გუგულიანი... დღეს რაღაც უც-
ნაურად ლაპარაკობ.

— ხო, გუგულიანი.

— არც მისმენ. რა დაგემართა?

— არაფერი. დავიღალე.

— მოდი, სურათი გადავიღოთ. აგე,
ატელიე.

კაცმა ტუჩი აბრცია.

— წამო რა, გეხვეწები...

— რას ბავშვობ.

— გეხვეწები.

კაცმა მხრები აჩეჩა და გაჰყვა. ფო-
ტოგრაფმა წყვილს ახედა.

— ფერადი?

— არა — თქვა კაცმა.

— რატო? — ჩუმად ჩაილაპარაკა
ქალმა.

— სურათი, მერე ფერადი, — გამო-
სცრა კაცმა და სარკეში ჩაიხედა. ქალი
არ შედავებია.

ღივანზე ჩამოსხდნენ. ქალი მიეყრ-
დნო. ფოტოგრაფმა სინათლე ჩააქრო
და მომცრო პროექტორი მიანათა.

ქალმა აშკარად იგრძნო, როგორ გა-
აყრუოლა კაცს და შეხედა.

— თავი გაასწორეთ. თქვენ... მეგო-
ბარო, ცოტა გაიღიმეთ, რა...

კაცს არ გაუგონია.

— რამდენი დავებუდო?

— სამი, — ფული მაგიდაზე დაყარა.

— გმადლობთ. ხვალ მობრძანდით.

მეორე დღეს მოხუცი გააღვიძა და
ტუმბოზე ფული დაუდო:

— ორი-სამი დღით ქალაქგარეთ მი-
ვივლი. ეს — სახარჯოდ, — ფულზე
მიუთითა.

— ამდენი რად მინდა. იმ ყინვაში
გიმუშავია და ასე ნაშოვნ ფულს გინ-
და ორ დღეში წირვა გამოუყვანო?! —
მოხუცი ფულს დასწვდა და კაცის ჯი-
ბისკენ წაიღო, იმან უხეშად მოიშორა:

— დადე მანდი! — და კარი გაიხურა.

ქალი გარეთ ელოდებოდა.

ავტოსადგურთან მდგარ მძღოლებს
გასძახა:

— ყაზბეგი.

ერთი მივიდა და შეათვალიერა:

— თოვლია.

— აიღე, რამდენიც გინდა, — მოშო-
რებით მდგარ ქალს ანიშნა, — წავედი-
თო.

ვილისში მოთავსდნენ და ქალს ფო-
ტოგრაფი გაახსენდა:

— ბარემ სურათებიც ავიღოთ.

ატელიასთან შეაჩერეს. კაცი შევიდა.



ფოტოგრაფი რალაცას ჩასტკეროდა. კაცის დანახვაზე შეიშმუნა. დაბნეული ჩანდა. მაგიდაზე ფოტო დადო, მხრები აიჩჩია:

— აი... მაინც დავბეჭდე. ვერ მივხვდი, რა მოხდა.

კაცმა ფოტოს დახედა. გამოსახულება ბუნდოვანი იყო, მაგრამ ადამიანის დაგრეხილი სხეული აშკარად გაარჩია, ავეჯის კონტურებიც ეცნო, მაგრამ ვერ გაიაზრა:

— ეს რაა?

— გუშინ რო გადაგიღეთ, — თავისთვის ჩაიბურტყუნა გაოგნებულმა ფოტოგრაფმა. — ჩემ დღეში ეგეთი რამ არ მომსვლია. არადა, ჩემი ბრალი ნაღდად არაა აი. ვიღაც ტიპი წევს... ხო ხედავთ?

კაცს სხეული ცივი ოფლით გაელივდა. სურათი ჯიბეში ჩაიკეტა და გვიდა, ქალს შეეჩება.

— სად ხარ ამდენ ხანს... რა მოხდა?

კაცი უხმოდ ჩაჯდა მანქანაში.

დაიძრნენ.

— მოხდა რამე?

ხელი აიქნია — შემეშვი.

სნოს გადასახვევთან ტყაპუჭში გახვეული კაცი იდგა.

— გაუჩერე.

ტყაპუჭიანი ხენეშით ავიდა მანქანაში:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს.

— ყაზბეგში მიდიხართ?

— კი.

— საუბარი ქალმა განაგრძო.

ბოლოს გვარიც ჰკითხა. იმან უთხრა.

ქალი კაცს მიუბრუნდა — რა საოც...

კაცმა ანიშნა — ჩუმად. მცირე ხნის შემდეგ თავისი პაპის სახელი უხსენა მოხვევს. ვიცნობო, როგორ არა, — ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე კაცს ჰკითხა: — თქვენ საიდანღა იცნობთო, მეზობლად ეცხოვრობდითო.

— ჰოო, მაგარი კაცი იყო. ოცდა... მაიცა, ჰო, ოცდახუთი წლის წინ ვნახე ბოლოს. შეილი დაეღუპა უდროოდ. სულ ჯველი. უშვილძიროდ დარჩა. სო-

ფელში ჩვენი გვარის ბაღს ეძებდა. გავზრდი, სისხლს არ შეარჩენსო. ეგმ... თი იყო.

კაცი თვალდახუჭული უსმენდა.

— მერე?

— ჩაეძინა-მეთქი, ვიფიქრე. ჰოო... პატივს კი სცემდნენ, მაგრამ ბაღს ვინ მისცემდა გასაწირად. ახლა რასა იქმს?

— დიდი ხანია, არ მინახავს. მერე?

მოხევემ გაკვირვებით გადმოხედა:

— მერე ის, რო ვიღაც შეცდენილ გოგოს ბაღლი აუყვანია ქალაქში. მეტი არა ვიცი რა.

ქალი ენაჩავარდნილი შესტკეროდა კაცს. მოხევეს დუმილი არ ეჭაშნიკა:

— რა არი, რო?

კაცმა შოფერს ხელი წაჰკრა! — შეაჩერე, ფეხით წავალ.

— მეც ჩამოვალ, — თქვა ქალმა.

— ყაზბეგში ადი და სასტუმროში დამელოდე, — თვალი თვალში გაუყარა კაცმა. ქალი დარჩა.

მანქანა თვალს მიეფარა. ბარდნიდა. ხედვა ჰირდა.

კაცი გზიდან გადავიდა. გულის რევა დაეწყო. სვიტრის საყელო ჩამოიხია საათი შეიხსნა, მოისროლა. ფეხები თოვლში ეფლობოდა, მაინც მიდიოდა, მიდიოდა უაზროდ, მხოლოდ წინ. გულისრევა არ შესწყვეტია, ცხვირსახოცი მოიძია, ჯიბიდან ფული ამოყარა, მეორე ჯიბიდანაც. ქურქი გაიხადა, თოვლზე დააგდო. შარვლის ჯიბეში ჩაიწყო ხელი, ფული იქიდანაც ამოყარა, უკანა ჯიბიდანაც. გასავათდა, ისევ წინ გასწია...

— Ну, что там случилось?

— ჰკითხა ავტობუსში ასულ ამხანაგს ერთმა და გზის პირთან შეყრილ ხალხს თვალი მოაშორა.

— Да какой-то тип со скалы спрыгнул... Поехали, поехали, —

უდროო ტურისტებით გატენილი ავტობუსი ფრთხილად გაუყვა მოყინულ გზას.

ზიგა თუთუაიძე
მოთხრობები

ერთხელ ბაბუაჩემმა ნაცნობებთან წამოყვანა. იმ ოჯახს თხუთმეტი წლის ძალი ჰყავდა შინ. ძალი პატარა ჯიშისა იყო, ხმაურიანი. ერთ დროს თეთრი იქნებოდა, ახლა კი ბეწვი გაჰყვითლებოდა.

ბაბუა მასპინძლებს ესაუბრებოდა, მე — ძალს. განა დიდი ვიყავი, იმ ძალზე ხუთი წლით უმცროსი ვიქნებოდი. ბევრი ვერაფერი გავაგებინე. ცოტა ხნის შემდეგ წამოიზღაზნა და საწოლი ოთახისაკენ გაემართა. აფუებულ ლოგინზე აფოფხდა, მიმოიარა და ზედ შუა საწოლზე მოშარდა. სიცილი ამიტყდა. მასპინძლებმა მაშინღა შენიშნეს ლამაზ გადასაფარებელზე გაჩაჩხული ძალი. მაგიდიდან დანა-ჩანგალი ესროლეს. მერე ერთმანეთს უსაყვედურეს, ოთახის კარი რატომ არ მიხურეთ. ძალი კი უკვე საწოლის ქვეშიდან იყურებოდა.

— ასე იცის, დააშავეებს და შეძკრება, — თქვა დიასახლისმა და გაოხრებული ლოგინი აივანზე გაიტანა.

ბაბუაჩემმა ამ ამბის შემხედვარემ თფჰუო, და თავის პატარაობის დროინდელ ამბავს მოჰყვა.

მთაში ცხოვრობდნენ. მამამის მონჯრილი ჯოგი ჰყავდა. ჯოგს ექვსი ნაგაზი დარაჯობდა. ერთი ძალი კი ცალკე ჰყავდათ, სახლის სადარაჯოდ. ჩრდილო კავკასიაში ხუთი თხის საფასური მიუციათ. დიდი, ძლიერი და ჰკვიანი ყოფილა, მოკლედ, იმ ჯიშისა, ქართველებს რომ აღარ შემოგვრჩა.

ერთგულად ემსახურათ ეს ძალი. ორი მგელი დაახრჩო, ტურები და მელიები არ უთვლიათ. ერთი მხედარი ცხენიანად დაუგდია ძირს. კარგი ძალი იყო.

დაბერდა. იმდენად დაუძლურდა, დღეში ერთხელ თუ აითრევდა წელს. ლუქმას ვინ დააყვედრიდა და ხელით კვებავდნენ. წამოსწევდა გაჭალარავებულ, ერთ დროს მურა დრუნჩს და

უნიათოდ ლოღნიდა მიწოდებულ საქმელს. მამას სიმწარემდე ეცოდებოდა, მაგრამ რას უშველიდა.

გადიოდა დრო. სახლს ახალი დარაჯი სჭირდებოდა. მამამ ყარაჩაეთში დააბარა ლეკვი.

— ეებს, ცოდა რექ, ცოდა, მარაა!.. — კისერი მოქექა ბებერ ძალს და ბაბუაჩემს უთხრა, ლეკვს რომ მოიყვანენ, შენ მოუვლი, მე რომ ლეკვიც კვებო, ამას გული დასწყებო. ნეტაი რას ლაპარაკობს ეს კაციო — გაუფიქრია ბაბუაჩემს და მამისთვის თავი დაუქნევია — გავიგეო.

... — ვოო, ტოჩჩი! — დაიძახა ერთ დილას ვილაცამ. მამა გავიდა, ბაბუაჩემი მიჰყვა. ნაბადდათრთვილულმა მხედარმა თხის ტყავის გულიდან ბათურა ლეკვი ამოიყვანა და მიწაზე დასვა. ლეკვს ფეხები დაბუქებოდა და ძლივს დაბანდალებდა. ეზო მოათვალიერა და ბებერი ძალი დაინახა. მივიდა, შორიხლოს გაჩერდა, დარწმუნდა, არაფერი მემუქრებოდა და ზედ ცხვირთან მიადგა. ბებერმა დრუნჩი იბრუნა. ლეკვი ახლა თიკანმა დააინტერესა და მისკენ გაეშურა.

მამა და მისი მეგობარი ჯერ კიდევ საუბრობდნენ. ბაბუაჩემი კი თვალყურს ადევნებდა ძალებს. ძველმა დარაჯმა დაჟინებით უყურა ლეკვს ხუთიოდე წუთი, მერე აიშართა და თავი ჩაქინდრული მიეფარა თვალს.

ნაშუადღევს მამამ შეზარხოშებული სტუმარი გააცილა. დაბრუნებულნი, დონჯშემოყრილი, ღიმილით უყურებდა ლეკვს. მერე მიმოიხედა:

— სო რე ჯოღორი, წიე?!*

ბაბუაჩემმა მხრები აიჩეჩა.

— აწი აღარ მოვა მაგი — თქვა მამამ და საძებნელად წავიდა. ვერ ნახა...

ერთი წლის მერე უნახავს ბაბუაჩემს, თავისი სოფლიდან ორმოცი კილო-

* სადაა, ბიჭო, ძალი?! (მეგრ.).



მეტრის მოშორებით, გზისპირა დუქანთან, ისევე უსასოოდ მწოლარე. ლეთისნიერი მელუქნე აჭმევდა თურმე. რამდენი ხანია, რაც აქა გყავსო — უკითხია ბაბუაჩემს. ერთი წელიაო, დიდებული ძაღლია, მაგის გამომგდები პატრონის... არ შემაგინო, ბიძაჩემო, მე ვარ პატრონი და არ გამომიგდია, ასე და ასე იყო — ყველაფერი მოუყოლია ბაბუაჩემს. (რა უნდოდა იმ კაცს დუქანში) — ცრემლი მოსდგომია ამის გამგონეს, ძაღლი რომ ამდენს მიხვდება, ადამიანს რალა მოვთხოვოო. მერე უთხოვია, აქ დარჩესო. ბაბუაჩემსაც რა ეთქმოდა, ემთხვია მხარზე იმ კაცი კაცს და წავიდა თავისი გზით...

დიასახლისმა კიდევ ერთი ჩანგალი ესროლა საწოლის ქვეშ ჩაძინებულ ნაძალარს.

— აიღე, ქალო, ჩანგალი, — შეუღრინა ქმარმა და დაიწყო:

— ძაღლზე გამახსენდა... ერთი დაუჭრებელი ამბავი უნდა გითხრათ, არა ვყვები ხოლმე — იტყუებო. რავი, ეგრე იყო და... პაპაჩემს თეთრი ძაღლი ჰყავდა. ჭკვიანი იყო, მაგრამ უჩიშო, ჰოდა, ეს ძაღლიც ისე მაგრა დაბერდა, რო ძლივსლა დარბოდა. ღორი რა არის, ღორსაც ვეღარ ეწეოდა. მეზობლებიც დასცინოდნენ — მთელ კა-

ხეთში ეგეთი ბებერი არავინ არიო. ჰოდა, აიღო პაპაჩემმა თოფი, წაათრია ეს ძაღლი მდინარის პირას. მეც ავედევნე. არ დაუბია, არც არაფერი, როგორც დააყენა, ეგრევე დარჩა. პაპაჩემმა უკან დაიხია. კინოში როა, „რასტრელზე“ რო გაყავთ ხოლმე, აი, ზუსტად ეგრე იყო. დაუმიზნა თოფი. კარგა ხანს უმიზნა. ეს ძაღლი კი უყურებს ქვეშ-ქვეშ და უცბად არ გადავარდა გულალმა?! მააშ, კაცო, ჭერ ნასროლიც არა ჰქონდა პაპაჩემს, თვითონ მოკვდა. მერე პაპაჩემს უხაროდა, ცოდვა ამაცილაო. ეჰ, პაპაჩემის სული აცხონოს ღმერთმა — თქვა და ჭიქა ასწია.

ღმერთო, შემინდე და ვფიქრობდი — კატა მიაკვდა პაპაშენს იმ ბინძურ სულში-მეთქი.

კიდევაც მკითხა — რათ იბღვირები ეგრე, ბიჭოო. მე ბაბუას სახელოზე მოვკაჩე — სახლში წავიდეთ-მეთქი. ბაბუაჩემიც წამოდგა. გამიკვირდა, ჩემს ჭირვეულობას ანგარიშს არ უწევდა, ახლა კი ადვილად დამყვა.

მერელა მივხვდი, ბაბუაჩემსაც ნაღდად არ უნდოდა იმ პაპის სახსენებლად ჭიქის წაქცევა და იმიტომ წამოხტა.

კიდევ რა... იმ ბიძას, ჩვენთან სტუმრობისას, საკიდზე ჩამოკიდებული ძვირფასი ტყაპუჭის გულის ჯიბე კბილის პასტით ამოვუყვსე და ეზოში გავიქეცი. მეტი რა მექნა.

ქისტური თაფლი და სხვ.

ასსა!!! — თუშმა კავის ორივე ბოლო ჩაბლუჯა. წინ გაიშვირა, მერე ლალად ჩამოუარა, კავი დაბლა დაუშვა და ხელი არ გაუშვია, ისე გადაახტა, ერთიც შეითამაშა და წრე მოხუც წყვილს დაუთმო. დოღმა ბრაგუნს უკლო, ხელებმა — ტაშს, შეძახილებიც მიწყდა.

მოხუცები ყოჩაღად როკავდნენ, მაგრამ ქალი მალე დაიღალა და ჩაიმუხლა.

ბერიკაცმა ერთხანს ცალად იჩინდრიკა, მერე ცოლს მიჰბაძა.

დოღ-გარმონი მაინც არ ეთმობოდათ ამოსულებს. და სანამ თუშის ქალს თითები არ წაერთვა, უკრავდნენ. ქალმა გარმონი ფრთხილად დადო, თითები აატკაცუნა და მედოლეს თვალრი უყო. მედოლემ ერთი ორჯერ ჩაუბრაგუნა და დოღი გაიხა.

ამოსულებს ხასიათი წაუხდათ.

— ეგ არაფერი, — დატყეპნა მე-
ლოლემ.

მასპინძლები და ორი ქალაქელი
არაყს მიუბრუნდნენ. დანარჩენები ისევ
ყველს და მწვანის ციციქნიდნენ.

სუფრაზე ყველი გათავდა. ორი ქა-
ლი გავიდა მოსატანად. კარი გამოიხუ-
რეს, ერთმა გემრიელად გაიზივრა და
მეორეს უთხრა:

— თუ ქალაქელების ყოველ ამოს-
ვლაზე შენმა კაცმა დოლები ხია, თქვე-
ნი ცხვარი სუ სადოლე ტყავში წავა.

— მა რა ვქნათ, ქალო, ამავლენ და
იძახიან, — აი ბუნების შვილებიო. და-
ჯექით და დაუკართო. თვეობით არიან
და ყოველდღე თუ... აიმე, ან დრო სად
მაქ, ან ჯანი.

ყველი შემოიტანეს.

— მარტო ის ორი ბიჭი შუამს ხორ-
ცსა და პურს, სხვები მიადგნენ ყველსა
და უშნოდ იპუწყებთან.

— მა.

შოთა და მასპინძელი აივანზე ეწე-
ოდნენ.

— ეგრე ჩქარა რატო მიდიხართ?

— გავიხედ-გამოვიხედეთ და გვეყო,
თან ამდენი სტუმარი გყავთ.

— კაცო, შენ და წათე ჩემი გივის
ძმაკაცები ხართ, თორე ამათ პირველად
ვხედავ. დილას მოადგენ ჭიშკარს და,
მაინძელოო. მივიღებდი, აბა..

— ვა, მე კიდევ თქვენი ახლობლები
მეგონა.

— არა... მაშ არ იშლით წასვლას?

— არა.

— აბა დაიძინეთ, შორი გზა გიდევთ.
სტუმრებს ლოგინი გაუშალეს.

წათე გვიან შევიდა ოთახში:

— ფანჯრები ღია რატოა?

— ერთი დღით ვარ თუშეთში და ჰა-
ერით მაინც არ გავძღე?

— დილით რომ ვერ აგვაძრობენ სა-
წოლიდან, ნახავ: ღამდამოებით ისე ყი-
ნავს... მესამე ფანჯარაც მიხურა წა-
თემ — თუ გგონია, აქაც ცირა გაგათ-
ბობს?!
— ცირას შეეშვი!

...წათე ნებივრად იწვა ტახტზე და
ალმაცერად მისჩერებოდა გოგონებს.
იამ უთხრა — წამო ჩემთან, კაი „პონ-
ტიო.“

„კაი პონტი“ იას მარჩიელი დაქალი
აღმოჩნდა. მთელ კურსს მოეყარა თავი.
ერთს გენიაალური ხაზები აღმოაჩ-
ნდა, მეორეს ისა, მესამეს ესა, მეოთ-
ხეს...

ვაი!

არა, მარჩიელი ჯერ მუცელზე და-
აკვირდა და მერე უთხრა, — მალე ბავ-
ში გეყოლებათ.

გოგოს ენა ჩაუვარდა.

ერთმა იკითხა, — ქმარი თუ ჰყავსო.
მარჩიელმა ღიმილით აიჩეჩა მხრები.
იმ ერთმა კიდევ იკითხა, — იქნებ
ბევრი ჰქამათ.

გოგოს ისტერიკა დაემართა და სად-
ღაც გაეარდა.

პირველი ია გამოერკვა — ვაიმე, რა-
იმე სისულელე არ ჩაიდინოსო.

— აბაჰ, — ჩაიცინა წათემ.

გოგოები აქოთქოთდნენ — „ბოვში“?
საიდან?

— კომბოსტოში იპოვა!

— წათე, ნუ ხარ ცინიკოსი, ... ვინ
აპოვინა? — საკითხავია?!

წათემ ბოლომდე მოუსმინა. შოთა
არავის დაუსახელებია.

.. — ასე მოქმედებს შენზე ცირას
ხსენება?

— არ მსურს მაგ თემაზე ლაპარაკი.

— ოჰ, უკაცრავად. „აბა, ამხელა გზა-
ზე ტყუილა მათრია? იმის შემდეგ, და-
წვრილებით რო მიამბობდა, როგორ
აბამდა ცირას, ურჩევნია მიწა გაუსკ-
დეს, ვიდრე მითხრას, მიყვარსო... ცირა
გაგათბობს-მეთქი. მეც...“

ცირა ლექციებიდან ბრუნდებოდა.
ბნელი, ცივი საღამო იყო.

ცირამ ქურქის საყელო ჩამოიწია და
სადარბაზოში უნდა შესულიყო, რომ
წინ ვიღაც გალუული აეტუზა:

— გოგონა, საათი ხომ არა გაქვთ?

— არა.

— ბეჭედი? — მკლავში სწვდა გა-
ლეული.

ცირამ სწრაფად მიმოიხედა. ვილაც
ჩუმად უახლოვდებოდათ. მოვიდა.
„შოთა“, — იცნო გოგონამ.

— რა არი, ბიჭო...

გაღეული გაიქცა.

— წათეს მეგობარი, მეხუთე კურ-
სიდან, არა?! — დააზუსტა ცირამ.

კარგა ხანს ისეირნეს.

ცირას გვიან ჩაეძინა.

შოთა კი დინჯად უყვებოდა წათეს...

ინსტიტუტში ცირას კრინტი არ და-
უძრავს.

მესამე დღეს შოთას დაურეკა.

შეხედნენ.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ შოთამ
დამაჯერებლად აუხსნა ცხოვრების
არსი.

მალე შოთამ ოთახი იქირავა.

წათესთან ცირაზე ლაპარაკს თან-
დათან უკლო.

— დედა, რეკავენ, კარი გააღე, —
აბაზანიდან დაიძახა შოთამ.

კართან ფაფახ-ტყაპუჭიანი, წვერიანი
კაცი იდგა.

ქალი შეცბა.

წვერამ იქვე მდგარ ბიღონზე მიუ-
თითა.

— რას ჰყიდი?

წვერა დუმდა.

ქალმა ახლა რუსულად ჰკითხა.

წვერამ ბიღონს სარქველი ახადა და
თქვა:

— ბზზ!..

— შოთა, ნახე რა თაფლი ვიყიდე,
მომეხმარე.

შოთამ ბიღონი ხვნეშით შემოათრია:

— ამდენი თაფლი რად გინდა?

— მასეთ თაფლს კიდევაც იშოვი!
ყველა შაქარს ჰყიდის. ეს კი ვილაც ვე-
ლური იყო, რუსული არ იცოდა, შაქა-
რი, ალბათ, არც უჭამია. თან რა ია-
ფად... ქისტი ვარო.

— რაც უფრო ველურია, მით უფრო
პატიოსანი, გაურყენელი იქნება, არა?!

— ეგ ცნობილია.

— ჰოდა, დედი, სოფელში გაზრდილ,
კაი რძალზე რა იტყოდი?

— მეხუმრები?

შოთა დროზე გაჩუმდა. გეხუმრე-
ბიო, — მერე უთხრა.

ბიღონში კი სურნელოვანი სიროფი
აღმოჩნდა.

..— გძინავს?

— ხო.

— ცირას ბაბუა სადღაც ახლოს
ცხოვრობს, არა?!

— ხო.

— სად?

— უფრო ზევით... წოვების სოფე-
ლია.

— ავიდეთ.

მეორე დღით აღრიანად გავიდნენ.
წყაროსთან მანქანა შეაჩერეს. მოშო-
რებით ბიჭი ცხენს დასდევდა, უცხოე-
ბის დანახვაზე შედგა და მიაშტერდა.

წათემ თერმოსი აავსო და ბალახზე
ფეხი მოირთხა. შოთამ სახე გაიგრილა
და მიუბრუნდა:

— კოშკი რომ მოჩანს, ეგ სოფელი
უნდა იყოს. წათემ ბიჭს გახედა:

— შენ რა მხვერავივით გვიყურებ?
მოდი აქ.

ის ამრეზილი წამოვიდა.

ბაცავ?

ბიჭმა გაკვირვებით დაუქნია თავი.

— იმ სოფლიდან ხარ?

— ჰო.

— ცირას იცნობ, ქალაქელს?

ბიჭმა ავად შეხედა. წათემ კითხვა
გაუმეორა.

— ვინ იქნებით, რო?

შოთას ბიჭის გალახვის სურვილი
დაეტყო სახეზე. წათე სწრაფად წა-
მოდგა, ნათესავებიო, — თქვა და საჭეს
მიუჯდა.

კოშკთან დაამუხრუჭა:

შენ აქ იჯექი, მარტო წავალ, მიმოვი-
ხედავ, იქნებ შენი გამოჩენა... რას
იფხორები? ასე სჯობია. ბაბუამისს...
ანზორა, არა?!

— ხო.

წათემ კარგა ხანს უაზროდ იარა.

ორჯერ ქალების ჯგუფს გაეროდა. ბოლოს, ბავშვიანი ქალი დაინახა, მივიდა, სოფლურად მოუქცია:

— ანზორაანთ ვერ მიმასწავლი?

ქალმა მიასწავლა. მერე წასულს დაედევნა:

— ცირასთან ხაარ?

წათემ წაუყრუა.

ანზორაანთ!

კარ-მიდამოს, გამრჯე ხელი ეტყობოდა. წათე კომპართან შეჩერდა — „ახლა რაღა...“ სახლს შემოუარა. სიჩუმე იდგა. „არ არიან... ძალღი რო... თუმცა არა სჩანს“.

სახლი ერთი მხრით ბორცვს ემიჯნებოდა, წათე ძეძვს გადახტა და პირველი სართული დაათვალიერა. სარეცხის თოკზე ცირას წითელ-ყვითელი მისიური ეკიდა. ეზო გადაჭრა, ბოსლის მაგვარ ფიცრულს მიადგა, გვერდულად რომ იდგა. იქვე აკვანს მოჰკრა თვალი. წათე ჩუმად მიუახლოვდა და დაიხარა. აკვნიდან პატარა ვარდისფერმა სახემ გამოანათა. „შოთიჩ, შე ძველო“, ფიცრულს გახედა. წამოდგა და ფეხებში რაღაც გაებლანდა, გაქონილი, ალაგ-ალაგ გაპრიალებული პიჯაკი ეგდო. ფიცრულთან მიიპარა და სმენა გაამახვილა. ხშირი, დამბული სუნთქვა გაიგონა, ტუჩზე იკბინა. აცალა. მერე ალაპარაკდნენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაარჩია: — „აბა, ქალაქელი ხო არ... ტანი დაიბანე ხოლმე... ოდეკალონსაც, აი“.

წათემ კარი ნელა შეაღო. თმაგადაგლესილი, ჯმუხი ბიჭი ზამბარასავით ავარდა და ისევ ჩაჭდა თივაში.

— წაწლაობ, ტურფავ? — გამოსცრა წათემ და ბიჭის შარვალზე დააწიტა.

ცირამ პირზე იტაცა ხელი. თუშმა იქვე აყუდებული ფიწალი ჩაბლუჯა და წამოდგა.

— დააგდე!

თუშმა მიიწია. წათემ უკან დაიხია, ზღურბლს გადასცდა, დაიხარა, ხელით მიწა მოხვეტა, აიქნია და თუშს სახეში შეაყარა. იმან სიმწრისგან თვალები დახუჭა, მაგრამ ფიწალი მაინც მოუქ-

ნა, წათემ აიციდინა და მკერდს ქვემოთ წიხლი ამოარტყა, თმაში სწვდა და ხე ორჯერ დაარტყმევინა მიწაზე.

— მკლავდი, შეენი...

თუში ისევე ჩამხობილი დარჩა, ამოიზმუვლა, — მოკლავ კიდევაც!

ცირამ თუშს შარვალი მიუგდო, წათეს გაანჩხლებით შეუტია: — რაზე ამოეთრიე, რა გინდა, იქნებ შენი დამპალი ძმაკაცის თხოვნით — ხასა მომიკითხეო, ჰა? — ცრემლები წასკდა, — აქაც არ მანებებთ თავს? რა დავაშავე, ღმერთო, ამის ფასი... — ტირილმა ხმა დაუღბო და ისეთი საცოდავი გახდა, ისე ბავშვურად, მოუქნელად იწმენდა ცრემლებს, რომ წათეს ყელში ბოღმა ბურთივით გაეჩხირა და შოთას მოჭრილი მტევანი ინატრა ანზორაანთ სახლის კედელზე.

— ხომ კარგ, შეგნებულ ბიჭებად მოგაქვთ თავი, ხომ დატენილი გაქვთ ტენი ცოდნით, აი. ამასთან ვერც ერთი ვერ მოხვალთ, ვერც ადამიანობით, ვერც ვაჟკაცობით. ამასთან, ამ გლეხთან, რომელმაც ვილაცის ნათრევი ქალი შემირთო...

— ენა ჩაიგდე, ქალო! — ვაბრაზდა თუში.

წათე ერთხანს ჩუმად იდგა, მერე სახეზე ხელი მაგრად ჩამოისვა:

— ცოლ-ქმარს ბოსელში რა უნდა!

— მაგასაც გვემართლები?! — წამოიწია თუში. ცირა მივიდა და ჩაწითლებულ თვალებზე მიეაღერსა.

— დროებით ვართ აქ, ეს სახლს აშენებს, ბაბუაჩემი კი ლოგინადაა ჩაკარდნილი კარგა ხანია, — წვიმის მერე რომ გამოიღარებს, ისე შეჰკლიმა წათეს. — ასე, წათევ!

წათემ დამნაშავეის სახით გადახედა თუშს და უთხრა:

— მაშ, შენ ცირას ქმარი ყოფილხარ.

— მაშ, შენ შოთა არ ყოფილხარ?! — მაინც ბოღმიანად შეუტირგდა თუში.

— რა ჰქვია? — აკვანზე დაიხარა წათე.

— ჯერ ციკვა... იმის შვილი ხომ არ გგონია?!

წათე მობრუნდა.

— არა, წათე, მკვდარი დაიბადა ის... ეს კი ჩემი მამიდაშვილის შვილია, დამიტოვეს... იმის შვილს მე თვითონ მოვკლავდი.

— აღარ გაჩუმდები, ქალო?! — იღრიალა თუშმა, წამოხტა და პიჯაკი ჩაიცვა.

...წათემ შეჩვენებულ ქალებს ჩაუარა, მიესალმა, იქვე მოჭიდავე ბიჭებს ქოჩრები აუჩეჩა. თუნგით მომავალ

კროლათვალემა გოგოს გადაუდგა და თუნგი დაუცალა.

შოთა მოჩვენებითი სიმშვიდით მიყრდნობოდა მანქანას და უცდიდა, როდის მოაღწევდა დინჯად მომავალი წათე.

წათე ხმის ამოულებლად ჩაჯდა მანქანაში. შოთამ ველარ გაუძლო:

— ჰაა...

— ცირა მოკვდა შოთა, მშობიარობას გადაჰყვა, — მთებს გაჰხედა წათემ. — მოკვდა. — მერე შოთას შეხედა. თვლებმორწყურული ისიც მთებს გასცქეროდა.

პარბუზი

ნაბღიანი მხედარი ნელა მიიჩრწოდა და თებულოს მიჩერებული ხმადაბლა მიიმღეროდა:

წელზედ მარტყია ფრანგულიი,
პირი აქვ ფოლადისაოოო,
მხარზედ მკილია ყირიმოი,
არ მეშინიან მტრისაოოოო!

მერე მიმოიხედა, წელში გაიზნიქა და ხმაამაღლებით დააყოლა: — ოოოო, ჰეეე! — დადინჯებულ ცხენს გაკვირვებით დახედა — ატ, არაშავ, ჩაჰყვირა ყურში და დეზი ჰკრა.

— ყირიმი რო არ გეკიდოს, მაშინ შაშინდები? — მიაწია ვილაცამ უკნიდან. მხედარმა ცხენი შეაყენა და ღიმილით მოხედა:

— შავშინდები, თუშო, მამ! ყველა ჩირგვის უკან რო შენნაირები მეგულეობოდეს, კარში აღარ გავიღოდი.

— გამარჯობა! — მიუახლოვდა თუში.

— გამარჯვება მოგცეს ღმერთმა. რას დარაჯობ აქა?

თუშმა თვლები მოწყურა და ფაფახი უკან გადაიწია:

— შენნაირებსა.

ხევესურს ღიმილი გაუქრა, ყბაზე კუნთები აუთამაშდა, ხელი თოფისკენ წაიღო.

— ჰჰო, შლეგო — გაეცინა თუშს. — განა ყაჩაღი ვარ, რო მიბღვერ.

ხევესური მოეშვა. თუშმა ცხენს შემოუარა:

— დამეხმარები?

— რაში?

— იმ ხევეში, — ხელი გაიშვირა, — კაცი გადაიჩეხა. მარტო ვერ ამოვათრევ.

— კეთილი.

— ეს კარგი ცხენი სად გიშოვნია?

— დიკლოში.

— შორს გივლია. საით მიდიხარ?

ხევესურმა აღმაცერად გადმოხედა:

— არდოტს მივალ. ფეხით რად დავდიხარ?

— ეგე ჩემი ცხენი. —

ხევესურმა უხმოდ შეათვალა ცხენი. მოეწონა და ჩაფიქრდა. თუში თავისას განაგრძობდა.

— ცხენს ტოვებ? — გააწყვეტიდა ხევესურმა.

— ძოვოს. სანამ ამოვათრევთ, დავიხვენებ.

ხევის ციკაბო ნაპირი გაიარეს და მეორეს, უფრო დავაკებულს, მიადგნენ.

— ხედავ?

— ხო, ლეკია?

— ჰო.

ხევესურმა ცხენი შორიახლოს დააბა.

ხევში ჩავიდნენ. ლეკი კარგად შეიარაღებული აღმოჩნდა. თუშმა სატევარს ხელი სტაცა, მიიზომა. ხევსურმა ხელი ჩაიჭნია:

— აქვე დავმარხოთ.

— არა. აქ მიწას ღრმად ვერ გავთხრით, ისე კი ცოდოა, ნადირი ამოთხრის.

— ჰოო.

გვამი ასწიეს. ხევსურმა მოშორებით დავარდნილ დამბაჩას თვალი ჰკიდა. ნახევარი გზა რომ აიარეს, მერეღა დაანახა თუშს:

— მერე ჩამოვალ და ავიღებ.

თუშმა საფლავის ჭრა დაიწყო.

— დამბაჩას ავიღებ, — თქვა ხევსურმა, თავის ცხენთან მივიდა და აუშვა, გავაზეც წაართყა, მერე ხევში ჩავიდა. დამბაჩა აიღო და მოპირდაპირე ციკაბოს სწრაფად აუყვია. როგორც იქნა, ააღწია, თუშის ცხენი მოძებნა, მოახტა. გუნებაში ისევ გაითვალა მანძილი საფლავიდან მის ცხენამდე. მოვასწრებ, თან აშვებულა, — გაიფიქრა და მათრახი დაიჭნია. ცხენი ადგილს მოსწყდა.

— კარგი ხაარ, — სიხარულით აღმოსხდა ხევსურს.

„ოლონდ ჩემი ცხენი არ დაფრთხეს, და გაიქცეს, თორე იმ დევნაში თუშიც

მოვა და შაიძლება მესროლოს, ლება კი არა, მესვრის,“ — ფიქრობდა და ცხენს ერეკებოდა.

უცებ მისკენ ქარივით წამოსული მხედარი შენიშნა. დასცხა.

თუშმა ხევსურის ცხენი ადგილზე დაასო.

— დამპალა!! — გაისმა ორ ხმაში. ორივემ სწრაფად მოკუმა პირი.

იღგნენ.

ცხენები არც გაუცვლიათ, ორივე უხმოდ შებრუნდა და თავ-თავის გზას დაადგა.

ხევსურს ზურგი ეწვოდა — „არ მესროლოს, რაი ვიცი, თუშია, ოხერი“. მაინც დინჯად მიდიოდა.

„ემანდ არ მესროლოს, ხევსურია და...“

— თუშსაც ერთი სული ჰქონდა, მათრახი გადაეჭირა ცხენისთვის, მაგრამ თავს იკავებდა.

დიდი კლდე რომ უკან ჩამოიტოვა, შვეებით ამოისუნთქა და გაიფიქრა — „დაილოცოს ქართველობა, აი, ხო დამპლები ვართ, მაინც კარგები ვართ“.

კლდის გადაღმა ხევსურიც აგრე ფიქრობდა.



ქველისძველი ოქრო

ხან დაბლობების ნისლში ვჭურჩულებ,
 ხან მწვერვალიდან ვკვივი:
 რა ეშველება ამ ულამაზეს,
 ამ მარადიულ ტკივილს?!

ჩვენ ხან ვლიინებთ
 და ხან ვმწუხარებთ
 დედამიწასთან ერთად...
 ერთმანეთს ვუწვდით ძველისძველ
 ოქროს —
 ადამიანურ სევდას.

როცა ბრიალა ყვავილებს შორის
 ბრწყინავს სამარის ჭვარი,
 როცა გაბზარულ კედლების ჩრდილში
 ფეთქავს ბილიკი მკრთალი,
 ო, მაშინ როგორ ნღვლიანია,
 ო, მაშინ როგორ ღვთაებრივია
 ხმა მშობლიური ქარის...

სამოთხის სითბო,
 ზღაპრის ჰაერი,
 სუნთქვა ხავსის და ლელის,
 ხოდბუნების ტბილი სურნელი,
 პირამიდების მტვერი,

ბედი — ნიადაგ გაურკვეველი,
 ვეფხის ტყავივით ჭრელი,
 ცას შერჩენილი წინაპრის კვნესა
 და თვალთა მისთა ფერი —
 ეს ყველაფერი არის სიცოცხლე
 და გადარჩენა ჩვენი.

ჩვენ ვულკანების ხან ამალვებას,
 ხან გარინდებას ვხედავთ,
 ჩვენი სიმდიდრე დღე და ღამეა —
 ორი მაღალი დედა;
 ერთმანეთს ვუწვდით ძველისძველ
 ოქროს —
 ადამიანურ სევდას.

ხან ქვესკნელების ბინდიდან მიმზერ,
 ხან ჩამომცქერი ციდან,
 შენს სინათლეში მიმაქვს აღმართზე
 ტვირთი ძმიმე და წმინდა...

ხან ხეობების ნისლში ვჭურჩულებ,
 ხან მწვერვალიდან ვკვივი:
 რა ეშველება ამ ულამაზეს,
 ამ მარადიულ ტკივილს?!

ქალს როცა უყვარს...

უსიყვარულო დღეების გავლით
 ლამაზ ნაპირთან ვერ მივა ქალი.

ქალს როცა უყვარს და როცა ელის,
 მისია მაშინ ქვეყანა ვრცელი...
 და, განსაცდელის ეამმა თუ დაჰკრა,
 მოკვდება შენსკენ გამოწვდილ ხელით.

უსიყვარულოდ ცოდვია ქალი,
 ვით ეკლესია გარეშე ზარის...

ქალს როცა უყვარს, სივრციდან
 მისთვის
 მზის და ჰაერის გალობა ისმის
 და უკვდავების წყალსაც მოიტანს
 შენთვის და შენი ათასი ძმისთვის.

ქალია გზების ბედნიერება,
 ქალია სითბო დღეის და ხვალის;
 ქალს როცა უყვარს, ამქვეყნად ყველა
 დღესასწაულზე მეტია ქალი.

ჩემმა ბიჭმა
ჩემი ხალათი გადაიკვა
და მხრებში ევიწროვა,
ორივეს გაგველიმა,
ორივეს სულ სხვა შუქი
ჩაგვიდგა თვალეში...
და უცებ დავეჭიდე,
კარადაში ქურჭელი აწკრიალდა,

თაროდან წიგნი ჩამოვარდა,
მეუღლე გვეძახოდა
„გიყვებს“ და „უსაქმურებს“,
ჩვენ კი ვჭიდაობდით
და ამ ჭიდილის დროს
რატომღაც თვალწინ მედგა ტაძარი,
რომლის ზარებსაც
ვერასოდეს დარეკავს მტერი.

ილოცე, მშვენიერო, ილოცე

ილოცე მისთვის,
ვინც გზაშია და აგვიანდება,
ვისთვისაც თანაბრად ძვირფასია
სამოთხის თბილი ბალახი და უდაბნოს ქვიშა,
ვინც მზისგან დაწმენდილი თვალეზით
იჩქარის... სულ ერთია, თუ საით იჩქარის,
მისი მგზავრობის ბედნიერი დასასრულისთვის
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე მისთვის,
ვისი გულიც ერთდროულად ოთხივე მხარისკენ
ყვავილოვანმა ტალღებმა გაიტაცეს,
ვისაც დაუფიქრებლად ხატებს აგონებენ
ფანდურის სახე და თვალეზი სალამურის,
ვინც სიყვარულის მწვანე ღრუბლებიდან
გასცქერის ბილიკებს,
ქალღმერთის კალთიდან გადმოცვენულ ძაფებს რომ ჰგვანან.
მისი ლამაზი სიმღერების ამაღლებისთვის
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე მისთვის,
ვისი ძილიც გაბზარულია,
ვისი სიცილიც
შემოდგომის ნაპირების ბრწყინვას წააგავს,
ვისაც მონატრების ფირუზები უნთია თვალეში,
ვისთვისაც მზე სივრცის ჭრილობაა,
ხოლო ვარსკვლავები — სიხარულის ზარის ნამსხვრევები,
ვისაც ესიზმრება ცა ჩამოხენეჭილი
და მიწა გარღვეული...
ილოცე მისთვის,
მისი ფიქრის გალაღებისთვის
და მის სარკმელში ყვავილების გამოჩენისთვის,
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე მისთვის,
ვინც გაწირეს და უღალატეს,
ვინც მხოლოდ საკუთარ ჩრდილსა და თუ ენდობა,
ვისთვისაც ღამე მფარველია და დღე მტერია;
ილოცე მისთვისაც,
ვინც გაწირა და გაიმეტა,
მისთვისაც ილოცე,
რომ დაბრუნდეს უფლის ქვეყანაში,
უარყოს ავი ზმანებანი და ბნელი ზრახვანი
და ეშმაკს ზურგი შეაქციოს...

ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე მისთვის,
რომ დედამიწა —
სივრცეთა უსასრულობაში მოძრავი ხატი —
არ ასცდეს იმ გზას, ზეციერმა რომ დაულოცა,
და არ ჩაიძიროს
დავიწყების რომელიღაც, შორეულ მხარეში...
არსებობს კიდევ სამყაროში გზა უფრო იდუმალი?
არსებობს კიდევ სამყაროში გზა უფრო უბრალო?

ილოცე ყრმისთვის,
ჰაერს რომ უცინის
და უკვდავების წყალში ამოვლებულ
სამკაულს რომ ჰგავს
და თეთრი კიკებიით
დედის თვალების სიცილს ირეკლავს;
ილოცე ყრმისთვის,
მის ნათელ კოსმოსში
აშრილებულ სასწაულთა გადარჩენისთვის
ილოცე გულმხურვალედ,
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე სიცოცხლისთვის...
სიცოცხლეო, ილოცე სიცოცხლისთვის,
რადგან უფრო მშვენიერი რამ
არაფერი შექმნილა ქვეყანაზე;
ილოცე ისეთი სიცოცხლისთვის,
როდესაც გულში ტყვია გაქვს ჩარჩენილი
და მაინც მეორე ნაპირისკენ მიდიხარ ღიღინით.

სიტყვა „სიცოცხლე“ მაგონებს ქალღმერთს,
რომელსაც აცვია სამოსელი ძველი და უბრალო,
რის გამოც მრავალი ვერ ამჩნევენ...

ბედნიერებაა სიცოცხლე სიცოცხლისთვის
და უფრო დიდი ბედნიერებაა:
სიკვდილი სიცოცხლისთვის!..

თავდავიწყებით
და გულში ტკბილი ტკივილის გაჩენამდე
ილოცე სიცოცხლისთვის,
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე სიკვდილისთვის —
ამ მარადიული, ტანჯული მგზავრისთვის,
რომელსაც სინათლისგან გახუნებულ,
ოქროსფერ თმაში
პრეისტორიული მტვერი ჩარჩენია,
რომელსაც ტკივილისგან დაბინდულ თვალებში
ჩვენზე ლამაზი ცრემლი უკიაფებს,
რომელსაც ვერაფრით გაუგია,
მაინცდამაინც მას რატომ შეაჩეჩეს
ცელი პირბასრი და გაუცვეთელი;
ილოცე სიკვდილისთვის—
ამ დაუფასებელი, უთქმელი მამისთვის,
ილოცე, მშვენიერო, ილოცე...

ილოცე ყველაფრისთვის:
მალლა — ცისთვის და დაბლა — მიწისთვის,
სამოთხის წვიმებისთვის, მზის საგალობლებისთვის
და ჯოჯოხეთში აქა-იქ ამოზრდილი
სიკეთის ნერგისთვის...
ილოცე ისე, რომ სიტყვა ყოველი
სანთლის ფიფქივით მიჰქონდეს ჰაერს,
ილოცე გულმხურვალედ, ილოცე ისე,
თითქოს იცი, რომ ლოცვის მერე გარდაიცვლები
და ველარ მოასწრებ...

ილოცე სიცოცხლისთვის,
სიცოცხლეო, ილოცე სიცოცხლისთვის,
ილოცე, მშვენიერო, ილოცე.



ნოსტრუმი ცხენი

მოთხრობა

სადარა შიშითაი გულს ხეითხვს, გონებასაო, ხან იტყვის — „ხელად მივიდე“, ხან გული ურჩევს ცდასაო. ისრევე არჩივა სიკვდილი, თემსოფლის დაღუპვასაო...

მამუკა ბუტუქურელი, მთელია, განა მამკვლარი, გაითქვა ღუნიახედა მაგის ბალთაში ნაქნარი...“

ხალხური

ცხენის ჭიხვინი, ცხენის ჭიხვინაო, იტყვის კაცი, ნოსტრუმი იქნება ის, აღისფერისა თუ წაბლასი, მაგრამ იმ ორი ნოსტრუმი ცხენის ჭიხვინი მრავალი წლის მანძილზე ახსოვდათ პირაქეთ ხევსურებს. მათ ყველა ცხენის ჭიხვინი იმ ნოსტრუმი ცხენების ჭიხვინს აგონებდა და ახსენებდა მათი პატრონების მამუკა გოგოჭურის — „ბუტუქურელის“ და სადარა არაბულის ნამოქმედარს.

...პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე მიმდგარი მეფის რუსეთის იმპერია რევოლუციის დადარზე დუღდა, მისი ნაპერწყმები კი შორეულ პროვინციებს, მათ შორის, ამიერკავკასიას და საქართველოსაც ცეცხლს უკიდებდა. რუსეთში დატრიალებული ამბები, ალბათ, ისტორიისათვის სრულიად უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც თავისებურ გამოძახილს აუღობდა ხევსურეთშიც.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მეფის რუსეთის უანდარმერიაშ და მსმენ-გამცემლებით დაქსელა მთის სოფლებიც.

ბუნებით ციხისა და პატიმრობის უწოდებდა მოშინარი ხევსურები ტყე-ღრეში ემალეზოდნენ აქ გამოჩენილ მეფის მოხელეებს, სათაფრეზე გაურბოდნენ ჩაფარ-მამახალისებს, ზოგნი კი მორჩილებასა და ერთგულებასაც ეფიცებოდნენ „მეფის კაცებს“.

სწორედ იმ წლებში თურმე ჭერ გუდანის ჭვარში ათენგენობაზე თავმოყრილი ხევსურები დამოძღვრა ვაჟა ფშაველამ მეფის კაცებისათვის ყოველგვარ მორჩილებაზე უარი ეთქვათ, შემდეგ კი მალაროს კარში მოწვეულ ფშაველ-ხევსურთა გაერთიანებულ კრებას შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა.

მიუხედავად გამლიერებული რეპრესიებისა და დაპატიმრებისა, მთაში რა გამოლევდა თა-

ვზე ხელადებულ ვაჟაკებს, რომლებიც ქედს არაფრისა და არავის წინაშე არ იხრიდნენ, მაგრამ ვერავინ მოიცალა მათი ისტორიის დასაწყერად... მათი „სახელის ქნა“ და თავგანწირვა მხოლოდ ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც.



ხევსურეთში პატივდებული, კაცოცხებული ხევსური იმედურთ ხახონი დაღონებული და დაღვრემილი, სახარგე ჭოროთ მიჩაქჩაქებდა სამი ცხენოსნის უკან.

მგზავრები თავდაღმა მიუყვებოდნენ არაგვს, საცაა ფშა-ხევსურეთის საზღვარს ჩააღწევდნენ...

მოხუცი ხახონი წამდაუწუმ უკან იხედებოდა, მოქუფრული თვალებით თითქოს ემშვიდობებოდა ნისლეტში გამტკნარებულ, წვიმით პირდაბანილ ხევსურეთის მთებს. ცხენოსნების წინ მიმავალს კი მგლისფერ მალადის ჩოხაზე ფერგადასული სამხრეები ეკეათ, მკერდზე ვერცხლის ჭვარი ეკიდა.

მეფის მოხელეებთან დაახლოებულ მაშინდელ ხევსურებს თვალის ასახვევად, შემოსამტკიცებლად და წახალისებლად, ვინ იცის, რით არ „აქილდოებდნენ“, რაც ხევსურეთიდან ფეხგაუდგმელ და გაუნათლებელ ხალხს მოწინააღმდეგეობით და რიდით ადავსებდა, აფრთხობდა და „მეფის კაცისადმი“ მორჩილებას უნერგავდა.

ჭვარ-სამხრეებზე მეტად ამ უშუალო სახის მამაკაცის შეთავაზებას და უფლებებს, დანარჩენ ორთან შედარებით, მისი ზვიადი და მკაცრი გამოხედვა უფრო ამტკიცებდა.

ცხენზე ჯდომასა, ხევსურული მათრახის და ცხენის სადავის დაბლუჭულად ჭერაში კი მუღავნდებოდა მისი ხევსურობა. არაგვის ტყით და-



ბურულ ნაპირებს გამოვლი მწერით ბურღავდა, ემჩნეოდა, რომ ზეზე ფოთლის; გატოვებაც არ გამოუპარებოდა მის მახვილ და დადარაჩებულ მწერას.

დანარჩენი ორიდან ერთს რუსი ჭარბკაცის ფორმა ეცვა, იერიოთაც რუსი იყო — ნათრევ-ნაწვალბი, სახენაირვე და ცხოვრებზე ხელჩაქნეული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იგი დაუდევრად გადაჰყურებდა არაგვის მღვრიე ტალღებს და თავისთვის რაღაცას ღლინებდა. მიხსი ცხენის უნაგირის ტახტაზე მეორე, შეუკაშმავი მარქაფა ლურჯი ცხენი იყო სადავით გამობმული. მასა და სახემოქუფურულ მოხუც ხახონს შორის მიმავალი ბოხბოხანი მგზავრი უფრო გამყოლსა თუ დამგზავრებულს ჰგავდა, ვიდრე დამშეთის მავრიდან ამოსულ მფვის მოხელეს. თუმცა მხარზე თოფი მასაც ეკიდა.

ხახონის გამოკლებით, უველანი თოფ-იარაღში ჩამხსდარნი იყვნენ, თუმცა წინ მიმავლის გარდა. მათ მემორისა და მეთოფისა არაფერი ეცხოო.

ლურჯა ცხენი ფრუტუნებდა, განიგან კრთებოდა, უნდობლად და უწადინოდ მიჰყვებოდა ცხენებს.

ცხენონების წინამძღოლს თვალ-უფრი გამახვილებული ჰქონდა, ემჩნეოდა, რომ ვილაყას თუ რაღაცას ელოდა. ეს მოლოდინი უფერად მამაკაცის მუხზე ხმამ დაასრულა:

— სარიდალ ნაკვეთაურო, ცხენიდან ჩამახედ, შენთან სასაუბრო მაქვს — გაიხმა ბილიკის ზემოთ. დაბურული ტყიდან.

წინამძღოლმა მკვეთრად მოზიდა სადავე და ცხენი ადგილზე გაყინა, თავადაც გაქვავდა ბურჩქებზე თვალგაშტერებული.

— თავს ნუ წააგებ, იარაღზე ხელი — კვლავ გაიხმა ტყიდან ბრძანება.

— სასუფრიდან ბრძანებლობა ბალღსაც შეუძლია. — გასძახა სარიდალმა და მალეურისაკენ გაპარებული ხელი უკანვე გამოსწია. — გზაზე ჩამოდი და მესაუბრე თუ ბურჩქურელი ხარ! სარიდალის თანამგზავრები დაბნეულ-გაოცებული გეხედა უსმენდნენ ამ მოულოდნელ და საეჭვო გაძახ-გამოძახილს.

მხოლოდ ხახონმა რაღაც იგუმანა, რაღაცას მიხვდა და უხერხულად მისწი-მოსწია ჭორის სადავე.

სარიდალი თვალდაფაციცებული გაჰყურებდა ტყეს.

— სახოცო სალაპარაკო არაა, ნაკვეთაურო, შენ გარდა. არავინ უნდა გაიგონოს, რასაც მე ვიტყვი — კვლავ ჩამოსახტეს ტყიდან. — თანაც უველგან ბურჩქურელი რად გელანდება?!. მე მამულა არა ვარ!

ამ სიტყვებით შეურაცხყოფილმა სარიდალმა თანამგზავრებს ანიშნა, აქ მომიცადეთო და ცხენი ბურჩქებში შეაგდო.

ფოთლებით დაბურული იფნის ძირას იარაღში ჩამჭდარი, ასე, ოცდახუთი წლის, თხელი

აგებულების, მოხდენილი სახის ახალგაზრდა კაცი იდგა. საგრძნობლად წამოზრდილი მკვეთრ-წვერ-ულვაში ხანსა და სიღინჯეს მატებდა ოღნავ ცალთვალმოჭუტულს. მოჭუტული თვალის ზემოთ, წარბთან, ახალი, იისფერი ნაჭრილობევი ემჩნეოდა. სარიდალს თითქოს სადაც ენახა ეს კაცი, მაგრამ ვერ იხსენებდა სად.

ახალგაზრდა კაცი, წინ ჩამოყუდებული ბერდენკის ტურზე მშვილად ჩამოყრდნობილი, ირონიულად შეღიმებული უყურებდა ამრეულ და გაოცებულ სარიდალს.

— აი, ხომ ხედავ, ბურჩქურელთან არა გაქვს საქმე აჩქერად.

სარიდალმა ირგვლივ მოავლო თვალი და ნადირითი უფრო ალღოთი, თუ ყნოსვით იგრძნო, ვიდრე დაინახა, რომ ზემოთ, ბურჩქებში ვიდაც თუ ვიდაცები იყვნენ ჩასაფრებულები.

— ჩამოხედ, სარიდალ, — თქვა ახალგაზრდამ, — გზა არსად გაგაქცევია, სრუ* მგზავრი ხარ, გასცითე დუშეთ-ბარისახო გზა მისვლა-მოსვლითო.

— ვინა ხარ! — შეშფოთებით და მკვახედ იკითხა სარიდალმა. — რა შენი გასაზომია ჩემი გზა-კვალი?!

— კიდეც რაით გაახარებ ამ გზობას მავრის უფროსს, პრიშტავ-მამახალისებს?! რა მიგაქვ-მიგაჯავ ბეისურეთიდან?! — თქვა ახალგაზრდამ დაცინვით და იქვე, ჭირჭიე ჩამოქდა, თოფი ფეხებშუა ჩაიდგა.

სარიდალს ერთხელაც გაექცა ზემოთკენ მგერა და აშკარად შენისნა, რომ ბურჩქების სიბნელიდან თოფის წყვილი ლულა საბნდისწერად მოსჩერებოდა.

— გემჩნევა შენ, რა გზით მოარულიც ხარ, მაგრამ სარიდალი შენი დასაფრთხობი ნადირი არაა, — თქვა სარიდალმა ნაძალადევი სიმშვიდით და ცხენიდან ჩამოხდა, — კანონს კი წასაყვანი შენ ჰყვებარ და ისინიც, შენსავით იქ ტყეებს უკან რომ იმალდებიან! — მან მათრახი გააქნია ზემოთკენ.

— მაგაზეა, ალბათ, ნათქვამი ნაკვეთაურო, მგელს მგლობა შეერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგლოო...

— მოთხარი ახლა, რა გინდა?! — სარიდალი ამაუდ წაადგა თავზე ახალგაზრდას, — შენთან სარახუნოდ არ მცალია, გზა და საქმე მელის...

ახალგაზრდა კარგა ხანს ჩხრედა თვალებით სარიდალს, მის მკერდზე დაკიდულ ჭვარსაც ცალუბად შეღიმებულმა შეავლო თვალი.

— მე საქმე მაქვს და გზაზე ვდგავარ! — დაგულდულ ხმაზე გააფრთხილა სარიდალმა დამხედური.

— ეგაა საქმე, სარიდალ ნაკვეთაურო. შენ რომ აკეთებ?! — უცბად წარბი შეიკრა უცნობმა, ხმაშიც სულ სხვა სუსხი გაერია.

— გამაგებინე, ვინა ხარ და რა მმართებს შე-

* სრუ — სულ (ხეცს.).



ნი, ან ვისაზე მწვერავ? — სარიდალმა მაუჭერის ტარზე ჩამოღო ცერი.

— მაგას ხელი შეუშვი და იცი, რას გეტყვი: სანაკვეთაურის ჰირს ნუ უჩენ, შენს გვარს ხევისურთი მტრად ნუ გადაქვიდე. შვილებს მაინც ნუ ერჩი... ძაღლების მსახურად რამ დაგაყენა, ხევისური ხარ, თუმცა... ხევისურისა შენ აღარა გცხია რა...

სარიდალმა ისეთი თვლით ახედ-ჩახედა უცნობს, თითქოს რაღაც გაახსენდო, თან ისევ ზევით გააპარა მზერა.

— მე შენ მინახობარ, — თქვა მან, — მგონი, მაღაროსკარში... იმ ფშველ მელექსებთან... ამიტომაც მიწოდე „ძაღლების მსახური“...

— სცდები, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს...

— ვუკაციას რამე რომ გეცხოს, თავის ვინაობას არ დამალავდი, მეტყუალი ვისაი ხარ, გვარ-სახელსა და ჭიშკილაგს.

უცნობი კვლავ გაუჩებული იყო ერთხანს.

— აღარ დაგაგვიანებ ნაკვეთაურო, მისმინე! იმ ბებერ კაცს იმედურთ ხაზონს უკან გაუშვებ, მაგ ბუჩქურელის ლურჯასაც თან გაატან, თავის პატრონს მიმგვრის, შენთვის ეგრე აჰობებს და შენ კი... შენი რუსიანად იარაღაურილი ჩაუხვად მაზრის უფროსს..

სარიდალმა გთივით გადაინახარა.

— კარგად ვერ გცნობია სარიდალი! — თქვა მან.

— როგორ არა, მამაცი ხარ, ვიცი, არც იარაღის ხმარება გესწავლება სხვათაგან, მაგრამ ხევისურთ ავს საქმეს უკეთებ...!

სარიდალი ერთხანს ისეთი თვლით აკვირდებოდა უცნობ ახალგაზრდას, თითქოს ფიქრობდა, ღირდა თუ არა მასთან ლაპარაკის გაგრძელება, მერე წასასვლელად მოემზადა.

— მე მებრალეები შენ, — უთხრა მან ახალგაზრდას. — მებრალეები, რომ მალე თუ ნელა ცხენში დალბები, ან საბრჩობელაზე ჩამეცილები.

— შენსავით ხალხის საწყვეარ-საგინებელ სიცოცხლეს უველანაირი სიკვდილი სჯობია, სარიდალი! — ახალგაზრდას შუბლი დაუნაოჭდა. — როგორი ვაჟების სისხლი გაქვს კისრად, შენი დამებლუბლები დაიხონცხე... ძმა-სახლიკაციანი და კაცრიელი ხარ, თორემ აქამდე ცხრა-ქერ გატოკავდნენ უორიულნი, ან ბერლოჯანანი...

სარიდალი იმაჟად მიდგომოდა ღონიჭუმეოურილი.

— ვის ებრძვი შენ? — იკითხა დაცინვით სარიდალმა, — რა ვალი გიმართებს მეფეს?!

— მეფე დიდი ხანია აღარა მუყავ საქართველოს...

— სამაგვიროდ მშვიდობაა, აღარ გვესევა ურტყული... ეს რუსთმეფის წყალობაა... — დასერიოზულდა სარიდალი.

უცნობმა უღვაშებში ჩაიციან.

— რუსთ მეფის წყალობა ისაა, რომ შენგვრად ვერ სარიდალებად აქციოს ხევისურები, რომელთაც ძმაც უნდა დააეწყოს, სახლიკაციც, რჭულიც, თემიც, სახელ-სირცხვილიც, ხევისურეთიც და საქართველოც!..

უფრო მიუახლოვდა უცნობი სარიდალს:

— იმ სარიდალებად, რომელსაც ბოლოს აღარ ეცოდინება, ვისი ჯიშისა და სისხლისაა, რომელ ხალგავს უყრიდნენ მუხლს მისი მამა-პაპანი, რას ლოცულობდნენ, ვის ებრძოდნენ და ვისთან მოყვრობდნენ, რისთვის ჩნდებოდნენ და რისთვის კვდებოდნენ! აი, შენი რუსთ მეფის წყალობა...

— შენისთანებს სხვაგან ასწავლიან ჭეშუას,

— სარიდალმა ცხენის სადავე აკრიფა, — მე ახლა არ მცალია შენ საწურთანა... ეგ იყო შენი სათქმელი?

— წილან რაც გითხარ: იმ ცხენს პატრონს დაუბრუნებ, პრიშტავისთვის საჩუქრად რომ მიგყავს, იმედურთ ხაზონსაც გაათავისუფლებ, მაგ იარაღსაც აიყრი შენი რუსიანად და მერე წინ გზა და უკან შენი.

სარიდალი უცნობისკენ წაიძაგრა.

— თუ ვერ შეგისრულე ეგ შენი სიტყვა, მაშინ?

— ნაკვეთაურო! — ფეხზე წამოვარდა ახალგაზრდა და ნაგანი იზიშვლა — ეს უბრალო სიტყვა კი არა, ბრძანებაა!

სარიდალს სახე გაუნაცრისფერდა, ხელი მაუჭერისაკენ მიუწვიდა, მაგრამ ზემოთ არაბუნებრივად ატოკებული ბუჩქები აკავებდა, საიდანაც თოფის ლულები მაცილის თვალბევით იმზირებოდა.

ამ დროს ბილიყზე მათკენ მომავალი ხაზონი გამოჩნდა.

ახალგაზრდას არ ესიაშვინა მოხუცის გამოჩენა, წერვილად მიმოიხედა, გვიანდა იყო დამალვის ცდაც, იარაღი დაუშვა და მის მისვლას დელოდა.

— გვარ-მამიშვილობას ნუ გადაშვიდებთ ერთიმეორეს სამტროდ, — წამოიძახა მოხუცმა, სანამ მათთან მოაღწვიდა — არავის ჭალაზე ბერი მგზავრი დიდის, გზა უველას ყოფნის, უტიე გზა ერცხვას და გაიარეთ!

— ზოგი ხევისური არაგვზე ავლა-ჩავლის დიხრის აღარაა! — წამოიძახა ახალგაზრდამ.

— მტყუნ-მართალს უველას შენ ვერ გაასწორებ, საღარავ! — თქვა თხოვნა-შეგონების კილოზე ხაზონმა

სიტყვა „საღარავ“ გაგონებაზე სარიდალი შეტოკდა და ცხენზე შესაქლომად გამწალებული, ისევ უცნობისაკენ შებრუნდა თვალდაუყუბილი.

— „საღარავ“?! — წამოიძახა მან. — მაშ შიშით საღარა შენა ხარ?!

ხაზონმა უხერხულად ჩაახველა, მიხვდა, რომ



რალაც გამოუსწორებელი ჩაიდინა, „მთავრობა-ში ჩამდვართან“ დაასახელა „ველად გახული“.

— ერთი წელია, ჩემი მოხელეა და „გაცნობა“ გენატრება, სარიდალ ნაკეთაურო, — თქვა სადარამ და უფრო ახლოს მივიდა სარიდალთან. — ნაკეთაურთა კი არაი მმართვებს მე...

სარიდალს ცოფის ანაგრელი გადასდიოდა სახეზე, თავს ძალას ატანდა, რომ არაფერი მოემქმედებინა, რაც, აღბათ, სიცოცხლის ფასად დაუჭდებოდა, თავით-ფეხებამდე ჩხრკდა „მთავრობის მოლატას“, რომლის მოკვლის საიდუმლო ბრძანებას დიდი ხანია უბით დაატარებდა, მაგრამ ვერა და ვერ იგებდა „ველად გახულს“ ხელში, არც პირადად იცნობდა. ყაჩაღს მოხუცი დედის გარდა, არც ვინმე წაეთვაი მჟავდა, რომ მათი დაპატიმრებით მიიწვ ჩაეგდო სადარა მთავრობის ხელში.

— შენც მოგხელვენ, შიშიაის შვილო, — თქვა სარიდალმა მწარედ დაცინვით, — დღესა თუ ხვალ მიიწვ მოგხელთენ და თავის მამა-პაპის საფლავ-სამარეში დამარხვაც აღარ გელირსება, ცოცხალსაც დაგჯარგვენ და მკვდარსაც...

— შენ რად სცდილობ ჩემს დაკარგვაში წილის ჩადებას, შენ? — ჩაეკითხა სადარა ღიმილით — მძებნელი, შურისმძებელი რო არვიან მრჩება, უძმო-უშამისძმოზე გათარეშებას რად კადრულობ?!

ზემით ბუჩქები გადაიწია და ახვანი ტანის, ხევსურულ ჩოხა-პერანგში გამოწყობილი ვაჟკაცი გამოვიდა.

მას ხელში თოფი ეჭირა, წელზე კი სპილოს ძვლის თეთრტარაიანი ორი მტკაველი სიგრძის ხანჭალი ეკიდა.

სარიდალმა ისე შეხედა მომავალს, ჩანდა, მოელოდა მის გამოჩენას.

— ვიცოდი, მამუკა ბუჩუკურელიო, რომ მანდ იქედი. — მწარედ ჩაიცინასავით სარიდალმა. დგომის პოზეც შეიცვალა, მოხალვათდა, მაუზერსაც შეეშო, მათრახიანი ხელი უნაგირს ჩამოაღდა და მომავალს დაელოდა.

— შიშით სადარას უპასუხე, სარიდალო, — თქვა წუნარად მოსულმა, — ჩემთან მერე ილაპარაკე.

სარიდალმა უცხად შეიცვალა იერი, დაიძაგრა და ვეფხვივით გადასახტომად გამოდებულნი მიაშტერდა ბუჩუკურელს.

— მეცითედ* მხვდები ორწყალში, — ამოიხიხინა მან. — შენს მეტი ხევსური აღარ დედის საარავგოზე, რომელსაც ხმალიც უჭირის და თოფის ხლაც იცის?!

— როგორ არა, იციან, — თქვა მამუკამ მშვიდად, — მაგრამ შენს ძმა-სახლისკაცებს ტრიდებთან, არავის უნდა ჰიროს გაჩენა...

* მეცითედ — მერამდენედ (ხევის.)

— შენი მომრევი აღარავინა? საყურშიც მიტედ ბოლოს?!

— საყურში ამ კაცის გულისთვის ჩვეტე, სარიდალო, არ მინდოდა ჩემი გამოსობით ეს გეცნა, მან თითი სადარაზე მიაშვირა, — გინდა შენ იცნობდე კაცს, გინდა მოურჩენელი ჰიროს...

მამუკა წუთით გაჩუმდა, კვემოდან ცხენის ჰიხვინი მოისმა. უსაფერხეოდ რად გამწირი, რას მემართლები ცხენის წართმევას? — იკითხა მან ცალყადა.

— მე მთავრობის დავალებას ვასრულებს — თქვა სარიდალმა.

— არ გცხვენისა ეგეთი დავალებების შესრულება? — თითქოს გაოცებით შეეკითხა მამუკა, თან ხელი იქვე მდგომი ხახონისკენ მიაშვირა.

სარიდალმა მის შეკითხვებს უურაღებმა არ მიაქცია.

— შენ რომ მოგვლას მთავრობამ, შვილები დაგჩრება, ძმა-სახლისკაცებიც გყავს, — შეგონებასავით წარმოთქვა სარიდალმა, — ამ შიშიაის შვილს წილის პატრონი რომ აღარ რჩება, ეს რას ფიქრობს?!

მამუკას მისმა სიტყვებმა მართლაც შუბლი შეუკრა, სადარა კი პირივით, დამცინავი ღიმილით უუპურება სარიდალს...

— მისმინე, სარიდალო, — თქვა მამუკამ. — საბოლოოდ და პირდაპირ გეტყვი სათქმელს...

— რას მტყუვი, რას, — არ აცალა სარიდალმა, — პირადად შენი და შიშიაის შვილისა მე არაფერი მმართვებს, ჩამომეხსენით, რა გინდათ ჩემგან?!

ბუჩუკურელმა მკლავში ხელი ჩაავლო სარიდალს და მძღავრად შეაბარგანა:

— იმას გეტყვი, იმას, რომ ორჭერ თოფსაკრავს დღეს კიდევ მესამედ და საბოლოოდ ცოცხალს გიშვებ, იმტომ, რომ იქნება ჩაგვდევს გულამდე ჩემი ეს საბოლოო გაფრთხილება, — მამუკას ხმაში საბედისწერო ზარმა დარეკა, — ნუ დაერიე საარაგვის აფთარივით, ნუ მიერეკები დუშეთისაკენ ხევსურებისთვის წართმევჭორ-ცხენებსა და ცხვარძოხას, თოფ-იარაღს! რუხის მეფე თავად რუხს არ მასწონს, თავად რუხი ცილობს მის თავიდან მოშორებას, ამათი დრო ან აქამედ რას უჭირავ. რომ არ გარდაბრუნდება, შენ ვინდა ხარ, რას ეჩრები ნაჩი მაგ მკვდარძალთ მაგათ, რას გაირდებიან ეგეთს, რომ ხევსურეთს უგირავებ, რასა? — უთხრა ეს, წასწვდა სარიდალის მკერდზე ნაკიდებ ვერცხლის ჭვარს, ჩამომგლიჯა, დაბლა დააგდო და ფეხით გასისა.

მერე ქამრიდან მაუზერი ააგლიჯა თავის ბუღიანად.

— ეს აღუათ გაგას — კი ყმის მკვლავზე გაჩუქეს, ცოლვიანი და სირცხვილიანი იარაღია. მაუზერი მამუკამ არაგვისაკენ ისროლა.

სარიდალმა სისხლიანი მწერა გააყოლა მათს, მაგრამ არ განძრეულა, წუთით ახალ მკვლელობაში მხილებამ დაწაფრა, ფიქრობდა, რომ არავინ იცოდა მისი ჩადენილი ეს საქმე.

— ღირსი კი არ ხარ, მაგრამ შენს გვარს ვსცემ პატივს, დაიხსომე, თოფს არ აგყრა, არც ცხენს წაგართმევ, შენსავით არ ვიძალღებ, წადი, წაიყვანე შენი რუსიც, იქნებ მაგან მაინც დაინახას, რომ შენთვის არავისაა დაუშვებია. სარიდალმა წასვლა დააპირა.

— ტყუილად ინდობ ბუჩქუყურელი! — წამოძახა სადარამ, — მაგ თოფს ისევ ხევისტობზე გამოიყენებს, უნიფხობდ უნდა გაგვეშო, ეგ ღირსია!..

— შიშობის ვაჟო, — გამოსცრა ნაკვეთათრმა კბილებიდან, — უფერ დღეს გაგიოთნებ თუ აქედან ცოცხალი წავედი... თუ ტყვიას არ მკრავ, შენ თავს დააბრალე, ზვალ და ზეგ რა მოგვივა...

სადარა ახლოს მივიდა სარიდალთან, ნაგან-შენაროული სისხლმწოლილ თვალბეჭში ჩაშტრდა და დაბალი ხმით უთხრა:

— გველის მოკვლაზე ნამუსიან კაცს ხელი არ აუკანჯალდება, მე შენ გიტყვი და, ხევისტოების ქალ-რძალი არ გამოგეტყროს, მაგრამ შენ ადგილზე უარეს ძაღლებს ამაგზავნიან სოფლების შესაწებლად, ხალხის დასაფლურებლად, არც ის იქნება საკვირველი, შენი მეცადინეობით ეგზეტუცია ჩაგვიყენონ, თორემ... სადარასთან მოხუცი ხახონი მივიდა და ნაგანმომარტყებული ხელი დაბლა დააშვებინა.

— ნუ, სადარავ, ადამიანის სისხლი აქამდე არ დაგიდვია თავზე, ნუც ახლა დაიმიძიებ სულს, ვაჟო!

კიდევ მეორედ მოისმა ქვემოდან ცხენის ჭიხვინი.

— დიღხანს ვეღარ ივლი სამწეოზე ცოცხალი, — თქვა თავისთვის სარიდალმა და წასასვლელად შეტარუნდა.

— ცოცხალ მოიცა, სარიდალ! — შეაჩერა სადარამ. — შენ რომ კაცს არ დაინდობ, ეგ მთელმა საარაგომ იცის, მაგრამ მაინც გირჩევ, ჩემი გზა-უვალის ძებნას შეეშვი, დასთმე ჩემი მკვლელისთვის მისაღები ჩინ-მენდალი... მე იმად მიიღე ეს გაწამებული სიცოცხლე, რომ კაცურად მოვკვდე... მთელი ჩემი სიცოცხლე სიკვდილისთვის მზადებაა, შენი კი უფრო მძღარი და ცოცხალი სიცოცხლისთვის... ქონება მე არა მაქვ, ერთი ცხენი მყავ და ისიც, ხო იცი, ჩემ გარდა, კაციშვილს არ ისვამს ზურგზე, არც ის გამოგადგება, შემეშვი, სხვაგან იძიე სახელი...

— ორწყალში სარიდალ ნაკვეთათური არ უხვდება მგზავრებს საძარცვავად, არა! — ჩაილაპარაკა თავის ქნევით სარიდალმა და დასადავებული ცხენით ქვევითკენ წავიდა.

მოსწორებით მიშვენივს მას სადარა, მამუკა

და მათ უკან მოხუცი ხახონი, რომელსაც სახეზე გამოაფილებია ემწეოდა, რომ სისხლი არ დაიღვრა.

მარტოკა იყო რუსი, ბოხოხონი აღარსად ჩანდა.

რუსი ცხენიდან ჩამოსულიყო და ხის ძირს მიწოლილი თამბაქოს აბოლებდა. თოფი იქვე, ბალახში მიეგდო დაუდევრად.

სარიდალის გამოჩენაზე წანტლდ წამოდგა, არც ის უკითხავს სად იყო, ან ვინ დაუძახა.

ჩანდა, მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. როცა სარიდალმა უთხრა, ეგ ლურჯა ცხენი გამოხსენო უნაგირიდან, ისე შეუდგა დავალიბის შესრულებას, თითქოს ადრევე იცოდა, რომ ეს ასე უნდა გაეთებულყო.

თან თავისთვის ცხვირში დუღღუნებდა:

— ნუ ი პავილინი! ნე ნადა ბილო ჩუტოვა კანია ბრატ...

მამუკას დანახვაზე ლურჯამ დაიჭიხვინა და მიწა ორ-სამეტრ დატორა.

რუსმა არც შეიარაღებული უცნობების გამოჩენას მიაქცია ყურადღება, მასთან მისულ მამუკას ცხენის სადავე გამოაფილი იერთო გადასცა, მერე მოსართავი მოუსინჯა თავის საფერხეს და მშვიდად შექდა.

მაღე წინ წასულ სარიდალს წამოეწია და ორივენი მოსახვედში თვალს მოეფარნენ.

მათი წასვლიდან არ იქნებოდა წუთიც გასული, რომ ქვემოთ თოფი გავარდა და არაგვის გაღმა-გამოღმა ქარაფების ექმე ბიჭუ-ბიჭუ-ბიჭუობით გადაიგრაოდა.

იარაღმომარტყებულმა მამუკამ და სადარამ ქვემოთ ჩაირბინეს, თან ხეებს ეფარებოდნენ სიფრთხილისათვის.

გზის პირას რუსი ჭარისკაცის ცხენი ფრუტუნებდა, სარიდალი კი უკვე კარგა შორს მიაჭებებდა ცხენს.

ისინი ცხენთან მივიდნენ და ბუჩქებში პირქვე ჩამხობილი რუსი დაინახეს. მას ბეჭედან სისხლი ამოსდიოდა.

მამუკამ ჩაიჩოქა და დაჭრილი გადმოაბრუნა. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, თვალებით უშოშო გაოცებასა და მრისხანებას აფრქვევდა.

— დაიტე ვადი, — ამოიკვნესა, — ცკალი... — თქვა მერე.

სადარამ ქული მოიძრო და მდინარესთან მიიბრინა.

— წყალი რომ არ ვარგა, რუსო?! — უფრო მოხერხებულად დააწვინა მამუკამ დაჭრილი.

— დაიტე ვადი! — კვლავ ითხოვა მან.

სადარამ წყალი დააღვიწა მომაკვდავს.

— რებიატა, ნე შადიტე ეტიხ პადლეცოვ...

— თქვა მან, სული რომ მოითქვა.

შოთა პარბული
ნილსისფერი ცხენი



— ნეტავ რას ამბობს? — იკითხა სადარამ და მამუქას შეხედა, შენ ხომ არაფერი გაიგე...

მამუქამ მხრები აიჩიქა.

— სკორა დრუგაია უიწნ ბუდეტ... უაღ ჩტო ია... — მას თავი გადაუვარდა.

მამუქამ თვალეები დაუხუჭა მკვდარს.

— ალბათ, დაუმარხავი არ დამავადოთო ის ითხოვა ამ ბეჩავმა, — ჩაილაპარაკა მერე.

— ამის ჩამდენმა არ უნდა იცოცხლოს! — იყვირა სადარამ და ცხენისაკენ გაქანდა, მაგრამ მამუქამ შეაჩერა.

ქვევით ბილიკზე ცხენის ტორებისაგან ავარდნილი მტვერილა იცრიცებოდა, სარიდალი აღარსად ჩანდა.

უკან მდევნელებს კი ის იოლად არ დაუთმობდა თავის სიცოცხლეს და შეიძლებოდა სადარას თავი წაეგო.

მათ ხახონი გაგზავნეს მახლობელ სოფელში მტყობიელ*.

— ამის მიხვედრას არ უნდა დიდი ქადაგ-მკითხავი, რისთვისაც გაიმეტა ნაკვეთაურმა ეს უბედური, — ჩაილაპარაკა მამუქამ, როდესაც ხახონი წავიდა.

— ჩვენ დაგვაბრალდეს, ცხადია — თქვა სადარამ და ისევ ქვევით გაიხედა ყელში ბოლმამოწოლილი.



ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან ერთი კვირის თავზე ხევსურეთში ხმა გატყდა, მთავრობას ეგზეკუცია მოყავსო სოფლებში ჩასაყენებლად.

კაცთკითხული კაცები და ხევისბერები გუდანის ჭვარში შეიკრიბნენ. ასეთ ამბავზე ჭვარში შეკრება აუცილებელი არ იყო, მაგრამ ზოგიერთები შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას მოითხოვდნენ, თუ ეგზეკუცია ნამდვილად ამოვიდოდა ხევსურეთში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს კი გუდანის ჭვარის ხევისბერს საომარი დროსა უნდა გამოებრძალებინა, ლაშქარი დაელოცა და საომრად ჭვარი დაეწერა.

... ხევსურებმა კარგად იცოდნენ, რომ მთავრობის დენილებს მამუქა გოგოჭურსა და სადარა არაბულს კაცის სისხლში არ ჰქონდათ ხელი გასვრილი. მაზრიდან ამოგზავნილ ჩაფარ-მამასახლისებს უხვდებოდნენ გზაში და ხევსურეთიდან წაღებულ თუ წაყვანილ საქონელს აყრევინებდნენ სადაც წაასწრებდნენ.

ღურჯა ცხენებზე ამხედრებული ეს ორი „ყაჩაღი“ შიშის ზარს სცემდა მთელ დუშეთის მაზრას, ხევსურეთისაკენ გახედვაც ეშინოდათ მეფის მოხელეებს.

ათასი ჯურის ქურდ-ბაცაცები მართლაც ავაჯაობდნენ მთიულეთ-გუდამაყარსა თუ ფშავ-

ხევსურეთში და ბევრი მათგანი თავის ნაშრომედარს და ავკაცობას მამუქასა და სადარამს აბრალებდა.

ეს კარგად იცოდნენ მაზრაში და მთელს გუბერნიასი რომ ტურები ფარას ანიავებდნენ, მგლებს კი აბრალებდნენ, მაგრამ მთავრობას აწყობდა სახელოვანი „ბუნტოვშიკების“ სახელის გატება ხალხის თვალში, რომ მოსახლეობას აღარ დაედნო და დაეფარა ისინი, რაც მათ გაუაღვილებდა ყაჩაღების ხელში ჩაგდებას...

მოულოდნელი იყო ხევსურებისათვის გუდანის ჭვარში მამუქასა და სადარას გამოჩენა. ტყეს მიჯრდილი სათიბების ნაპირიდან გამოჩნდნენ ისინი თავისი ლურჯა ცხენებით („ნისლისფერებით“, როგორც ხევსურებმა შეარქვეს მათს ცხენებს).

მოსულთ პატივით შეეგებნენ ხევისბერები, ჯარზე მიიპატიუს. ახალგაზრდებმა ცხენების ჩამოართვეს.

მისალმებისა და მოკითხვა-მიკითხვის შემდეგ ყველაზე უხნესმა თეთრწერა ხევსურმა წელან ნათქვამი ახლად მოსული „ველთ გასულეების“ გასაგონად დინჯად გაიმეორა:

— ხევსურეთს თურმე რუსის სალდათი აპირებს შემოსვლას, რა პასუხი ვარჩიოთ, როგორ მგოცქეთ, უნდა შემაზე აქ უმეტესობამ ენა დაიდუმა, სისხლს მოერიდა...

ხევისბერის შეკითხვას კარგა ხანს დუმილით პასუხობდნენ იქ მყოფნი.

ზოგიერთებმა თვალი მამუქასა და სადარასაკენ გააპარეს, მათი აზრით, ხევსურეთში ეგზეკუცეის გამოგზავნის მთავარი მიზეზები რას იტყოდნენ.

ეს კარგად იგჩნეს ახალმოსულებმა და ბუჩუკურელმაც აღარ დააყოვნა.

— ჭერ ვავიგოთ, რა უნდა რუსს, რისთვის მოვიდა, ვინ მოუძღვა, რა უდევს გულში და ისევ უნდა მოქცევა...

— დღეს ბუნტია ყველგან, — თქვა მის გვერდით მჭდომმა ჯმუხმა ხევსურმა, — ეს ქვეყანა ერთი სატივარითაა დაავადებული, იმ ავადობის მორჩენას ცდილობს მთავრობა აღამიანთა სისხლში, მაგრამ უარესი და უარესი ემართება.

— არაა გასაკვირებები, რომ ჩვენც „ბუნტოვჩიკები“ მოგვთხოვონ, — თქვა ისევ თეთრწერა ხევისბერმა და ყალიონი ცერზე დაბერტყა.

— მაგათვის სამძევლოდ მისაცემი ჩვენ არავინ გყავს! — წამოიძახა ჯმუხმა ხევსურმა და მამუქას პირდაპირ თვალბეჭით შეხედა, — მაგრამ დენილები კი უნდა გაშორდნენ ხევსურეთს დროებით მაინც, ან ქისტეთში გადავიდნენ ან საჩაჩნოში...

ბუნტებით ფიცხმა სადარამ მეგობარს აღარ აცალა.

— მაგით თუკი ეშვილება საქმეს და ხევსურეთსაც... მან სიტყვა შუაში გაწყვიტა და თავის დაქვევით დაეთანხმა ხევისბერის წინადადებას.

* მტყობიელ — აღამიანის დაღუპვის მაცნე (ხეგ.)

ისვე დღემილი ჩამოვარდა.

ბოლოს ბურჟუაზიული აჩქარდა.

— არა მგონია, ჩვენს გადაკარგვას დასჯერდეს ეგ ხალხი, მით უმეტეს მათთან მიმდევრალი ჩვენნი მიწა-წყლის ხევსურები თუა...

ხევსურებმა იგუშინეს, ვისაც გულისხმობდა ბურჟუაზიული და თავების დაქვეით დასტური დაუკრეს ეგვებზე.

სადარა თვლი გადაავლო კრებას, მაგრამ ნაკვეთაურთა ვერავინ შეინიშნა.

— მაშინ ქულები იმად გვახურავს, რომ მამულს და თავს იარაღით ვუპატრონოთ, როგორც ეს ჩვენს მამა-პაპას უკეთებია — წამოიძახა ჯართ ბოლოში მჯდომმა ახალგაზრდამ გაცხარებით, რომელიც ჩანდა, თათბირზე თავიდანვე მტერზე ხმაელაბხელ მისვლის მომხრე იყო.

მისმა სიტყვებმა კვლავ მძიმე სიჩუმე ჩამოაგდო, სისხლის ღვრისა ყველას ერიდებოდა, სახელმწიფოსთან შეხამში გამარჯვების ნიშანს ვერ ლანდავდნენ არაგველები და ხაცა არ სჯობდა, იქ გაცლას ამჯობინებდნენ.

არავის ხეობიდან გულანისაკენ ამომავალ ბილიკზე ცხენოსანი გამოჩნდა. ოფლში ვახვითქულ ცხენს მათრახს უტყალაშუნებდა. ცხენი დაბერილი ნესტოებიდან ცხელ ორთქლს ბლუჯა-ბლუჯა ისროდა და ფრუტუნით ამორბოდა აღმარზე.

ახალგაზრდები წამოდგნენ და ხატის გალავანზე გადამდგრები ცხენოსანს დაელოდნენ.

— ეგ არ ჩანს კარგი ამბის მაცნე! — წამოიძახა ვიღაცამ.

როგორც იყო, ამოადწინა ხატამდე მხედარმა, სანამ ცხენს შეაჩერებდა, აქმოინებულმა ამოსძახა გალავანზე წამდგარ ხევსურებს:

— ორწყალს რუს-ქართველების შეიარაღებული ორმოცდაათაკაციანი ცხენოსანთა რაზმი გამოსცდა, ყველას რუსული ხუთსროლიანები ჰქონდა მხარზე, ყუახანის ტალავარი აცვიათ!

ქალბარა მოხუცები წუთით ადგილზე გააქვავა ამ თავზარდამცემმა ცნობამ.

ახალგაზრდები ფეხზე წამოცვივდნენ, მათ შორის სადარა და მამუკაც.

ერთხანს თეთრ, გაბურღულ წვერს ივარცხინდა შვეი, კოტიტა თითები გულანის ჭვარის ხევისბერი, მერე ყავარჯენზე დაყრდნობით წამოიშართა და წამოდგა.

— წალაღეთ სოფლებში მაცნენი, — თქვა მან მშვიდი, ყრუ ხმით — ყველა მიხმდე-მეთოფემ იარაღი და საფერხე მზად იქნო-იყო-ლიოს... რუსის სალდათის ეგზეკუციის შინ შემოჭდომას ცალ-შვილისად ყულების დაჭრა სჯობია. ფშავშიც წალაღეთ კაცი!

კიდევ რამდენიმე დავალება და მოკლე-მოკლე დავალებები ჩაისაურდა ხევისბერმა და ხუთი-ექვსი ხევსური ვავიდა ჭვარის გლავანის ვარეთ, თავიანთ ცხენებზე შესხდნენ და სხვადასხვა მხარეს გაქუსლდეს.

მამუკა და სადარა თითქოს რაღაც განაჩენს ელოდებინათ, თეთრწვერა მოხუცებს მოკრებულ ლებით შესჩერებოდნენ.

კარგა ხანს ხმას არც ერთი არ იღებდა.

ორი-სამი ბებერი ყალიონს აბოლენდა და მტვერში იწიტებოდა.

„გულანურის“ ხევისბერი მიხვდა, რომ „ველთ გასულები“ მისგან რაღაცის თქმასა თუ განსჯას მოელოდნენ.

— ვუბრობ — მიმართა მათ ხევისბერმა — ჯერ არავინ ვიცით, რას მოითხოვს ჩვენგან და რას მოიმოქმედებს რუსის სალდათი, არც ის გამიკვირდება, ისეთი ხევსურიც გამოგვერიოს, გარადებულთა და დევნილთა ხელად მიცემას დათანხმდეს, თუ რუსი იქნას მოითხოვს...

— თუ კი ეს საჭირო იქნება... — აღარ დაამთავრა სიტყვა სადარამ და მამუკას გადახედა.

მამუკამ თავის დაქვეით დაუდასტურა, მზად ვართ, რასაც გადაწყვეტთო.

— ჩვენ სამძევლოდ გასამეტებელი კაცი როს კვლავ გვეყოლია?! — თქვა ხევისბერმა — მიველის მომთხოვს ხევსური რკინას სთავაზობდა... ჯერ ჰქვას გამურჩვის ხევსურთა, არ გამგონისად რკინასაო, ჩაილაპარაკა მან ძველისძველი ლექსი. მერე ჯარზე მსხლმით წინ აუარ-ჩაუარა და მამაშვილურ კილოზე, ძალიან მშვიდად უთხრა:

— წადით ახლა და მაგ ხალხს თვალყური აღევნეთ, რა განზრახვა აქვთ, რისთვის მოდიან, იქნება ავის და შვის მოქმედება არც ფიქრად აქვთ, პოდა, ჩვენც ნულარ გავაუტულ-მართებთ, ლეშ-ნაქამ ძაღლს სიხსიკაობა აღარ უნდა, არგანც უნდა დაუმალო... ხვალ მზე-მარცმანების ხანს სანეს გორზე გადავწყვიტოთ როგორ მოქცევას მოგვთხოვს დრო-შამი.

ხევსურები წავიდ-წამოვიდნენ მდუმარედ, ჩაფიქრებულად, გულმძიმედ, ზოგმა მხარზე თოფადაკიდებულმა გულანის ხატიდან პირად გაიჩაბინა კარტი. თოფი მიაყუდა და ცელს მოჰკიდა ხელი.

სადარა და მამუკა ისევ იმ ბილიკით მიეფარნენ თვალს გულანის ტყეში, საიდანაც წოდან გამოჩნდნენ.

გულანის ჭვარის სამრეკლოსთან დარჩენილმა თეთრწვერა ხევისბერმა ბინდის პირს სამრეკლოს ნიშზე სანთელი აანთო და მუხლმოყრილმა პირჭვარი რამდენჯერმე გადაიწერა ჩურჩულით.

შეიარაღებული სალდათების რაზმი კორშაში დაბანაკდა. კარგები გაშალეს, ცეცხლი დაანთეს და საჭმლის მომზადების თადარიგი დაიჭირეს. მათ მახლობლად საგანგებოდ ავილი ჩავლილ ხევსურებს ყურადღებებს არ აქცევდნენ. სალდათების ცხენები კი თავისუფლად გაშვებულნი ბალახობდნენ ახლომანლო ყანების და სათიბეში.

როდესაც ერთმა უნის პატრონმა ხევესურმა გახედა და, მისი აზრით, ჩინით უფროს სალდათს უთხრა, უნაში ცხენის ძოვება არ შეიძლება, სალდათმა ქართულად მკვახედ უპასუხა, ხევესურების საქმე არაა, რა შეიძლება და რა არ შეიძლება.

შეცუბუნებული ხევესური სალდათს გაშორდა და თავისიანებს აცნობა მისი პასუხი.

ხევესურები აღრიცხნენ.

მეტი დამცირება რაღა გინდობა, თავის მამულსა და მიწა-წყლის გამგებლობაზე უფლებებს ართმევდა ვილაცია.

მეორე დღეს სანეს გორზე თავმოყრილმა ხევესურებმა კაცები შეარჩიეს და დაუპატიუებელ სტუმრებს მიუზღავნეს, რომ ეყიხათ, რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ ხევესურეთში „მეფის უსახანსი“.

ამასთან ერთად, ხევესურები შეიქვედნენ, რომ, იმ ორმოცდაათი კაციდან უმეტესობა ქართველი იყო.

„რუსებმა“ არც აციეს, არც აცხედეს და ხევესურების შუამავლებს მკაცრად მოსთხოვეს „უღანაშაული სალდათის მკვლელის“ „ბუნტოვშიჩისა“ და უჩაღის საღარა შიშის ძე არაბულის მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეგზეციუტია ჩაუდგებოდა სოფლებს: ბარისახოს, ბურჯუყურთას, გველეთსა და მოწმას.

იმ ოჯახების სიაც გააცნეს გაენჩებულ ხევესურებს, სადაც ეგზეციუციის ხალხი განაწილდებოდა.

შიშმა და დაბნეულობამ დაწაფრა ჯემოთ ნახსენების სოფლების მცხოვრებნი.

მამაკაცებმა თოფ-იარაღი აისხეს და მოსალოდნელი შეტაკებისათვის მოემზადდნენ.

საგონებელში ჩავარდნენ მამუკა და საღარა. მთავრობის ხელად მისვლა ნაღდი სიკვდილი იყო, არადა, სოფლებს ააწიოებდნენ, ამას კი, ვინ იცის, რა მოჰყვებოდა.

მოთათბირე ხევესურებისაგან განცალკევებით იდგნენ ისინი.

— ნუთუ ისე უსამართლოდაა ეს ქვეყანა მოწყობილი, რომ ნამდვილი მკვლელის დამტკიცება ვერ შევძლო?! — თქვა საღარამ. — სხვა რა ისეთი დანაშაული მაქვს ჩადენილი, ციმიბირი მივლოდენ... ჩვენთვის წართმეული არ ვანებებდი მაგათ...

— თუ არ უნდა სიმართლის დაჭერება ამ უსამართლო ქვეყნის მოსამართლეს, შენ რას დააჭერებ ძმომ, — უპასუხა მამუკამ. — ვი-თუ, ციმიბირსაც არ დაქტრდნენ, მაშინ ხომ ნებით კუნძუე თავის დადება გამოგვივა...

ამ დროს ხევისბერმა მოიხმო ხევესურები. ყველანი სამრეკლოს ირგვლივ ჩამწყრივდნენ. სინამდვილე ჩამოვარდა.

— სხვა ზეა არაა, იარაღს უნდა ვეითხოთ, ვაჭებო! — თქვა მან და ირგვლივ შემოკრებილთ შეწუხებული მზერა მოავლო, — ხევესურთად კარგის მოქმედი როგორ მივსცეთ

გველემას პირონი... იარაღით დავუდგოთ სოფლებს დარაჯად, ოღონდ ნებით-ნებას პირველად თოფის სროლას ნურავინ გახედავთ, პირველად სისხლის დაღვრას ნურავინ იყისრებთ... ვფიქრობ, ადვილად შებმას ვერ შემოგვებდავს ორმოცდაათი კაცი, ვერც სახლებში შემოგვიცვივებნა იგერიგავდ...

ხევესურთა უმრავლესობამ მოიწონა ხევისბერის რჩევა, ზოგიერთებს კიდევაც გაეხარდათ: დაუდგა უამი, „დედის ქარზეთი ადგომისა“, ხმლის მოქმევის და შკლავის გამოცდისა.

როცა ოღნავ ჩაწყარდა საომრად აღტყუნებული ხალხის ხობორი, ერთმა ნაკვეთაურების გვარის კაცმა ბრალმდებლის კილოზე გადაულაპარაკა ხევისბერს:

— ერთი კაცის გულიისათვის რად უნდა დაიღვაროს სხვების სისხლი, მთავრობის ვალი ვისაც მართებს იმან ზღოს!

წუთით სინამდვილე ჩამოვარდა, ახლო მდგომარება ნაკვეთაურს ავად გაუბღვირეს.

ის იყო, მამუკა გოგოჭურს უნდა ეთქვა რაღაც, რომ სხვამ დაასწრო.

— ხევესურების ვალი და სისხლიც მართებს ზოგს, იმას ვინდა უზღავს?! ვინ უზღავს ყორაიულთა და ბერლოჯანთ კარგი ვაშაკების სიცოცხლეს?! — წამოიძახა კმუხმა ხევესურმა და ხმლის ვადა ჩაბღუჯა.

პასუხი არავის გაუცია ამ კითხვაზე.

ბოლოს მოთათბირენი შეთანხმდნენ, მომხედურისათვის ეცნობებინათ, რომ მათი თხოვნის შესრულება არ შეიძლება, თუ სურდათ, თვითონ ეძებნათ და დაეპირათ უჩაღებში.

— ვის ხტავს ქუდი და ვის უვარგა ჯიშ-ქილაგი, ახლა გამოჩნდებიან! — თქვა ხევისბერმა და ხევესურების მეორე შეკრება ამით დასრულდა.

ქუჭყით გაწინათულ ფურცელზე წვალებით გამოჩყვდა ასოები საღარას.

სულ რამდენიმე სიტყვა დაწერა. ბოლოში თავისი სახელი მიაწერა, ოთხად გაკეცა და წერილი კედლის შუკუნაში შემაღლა, რომ კეცეულების ცნობაში გართული დედის არ დაენახა.

მოსხუცი წაიკითხეთ კი ვერ წაიკითხავდა წერილს, მაგრამ ბოლო დღეებში დედის გული რაღაც განსაკუთრებით სახედისწეროს გრძნობდა შეგილს თავზე და ყოველ წგრილმანს გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს.

დედას ვინ გაუხეხელდა, რომ მთავრობამ მისი შვილის თავი მოსთხოვა ხევესურებს, მაგრამ დედის გული ზოგჯერ, ალბათ, მისანია: შეგილს თვალეში რაღაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კითხულობდა და როცა შეგილმა უთხრა, კისტიეთში გადასვლას ვამბობო, დედა უსიტყვოდ საგზლის მომზადებას შეუდგა. ჭარ ხშირად იმისთვის, მერე კეცეულების გული გააკეთა და ცომიც „წმიდისა“ მოწილა.

— თოფის ჭილღადაც გამიწრდინხარ, ამ მიწის ჩამასაშლელს ამას... — ჩურჩულებდა ქალი თავისთვის ფერგამკრთალი და ტანათრთოლებული, თან ცომა ამრგვლებდა პატარა ხის ვარცულში.

საღამოს ბინდა თანდათან გაშუქდა, ჭერხოს ერთადერთი ვიწრო სარკმელი მუშუმი მოწურა და გააშვა.

დედამ კრომით ახედა სარკმელს. ამ ღროს გარედან ძაღლის შეუეფება შემოესმა.

— შინა ხართ! — გაისმა ჭერხოს კარებთან ქალის გაუბედავი ხმა.

სადარა ამ ხმამ ფეხზე წამოაგდო. დედაც წამოდგა. სადარამ კარი გააღო.

ჭერხოში საწეიმოდ ჭრელ ქათმა-სადიაცოში გამოწყობილი ლამაზი გარეგნობის ქალიშვილი შემოვიდა.

— ღმერთიც აგაშენებს! — თქვა მან. დედა-შვილი გაშტერდა.

გვაღეთიდან კარგად დაშორებულ სოფელში — ლიქოკში ცხოვრობდა იმედურთ ხახონი და ამ ღროს მისი ქალიშვილი რამ მოიყვანა მათთან სტუმრად, ისიც ამ არეულობაში...

— მოგვიხვედი მშვიდობით, ლელო! — თქვა დედამ და მოსული შემოიწვია.

სადარა მონუსხულივით შემყურებდა მოულოდნელ და თანაც სანატრულ სტუმარს.

ქალ-ვაუს ერთიმეორე უყვარდა, ეს გუშინათ იცოდნენ მათმა მშობლებმა, მაგრამ სადარას რომ მთავრობა დასაჭერად დასდევდა, მათი დანიშვნა — დაქორწინება გულშიც არავის გაუვლია.

სადარასა და ლელოს ურთიერთობა ხევისურული „სწორფრობით“, არ დაწყებულა და არც გაგრძელბულა.

მათ ახლობელ ქალ-ვაუებს უკვირდათ, რომ სადარას და ლელოს უყვარდათ ერთმანეთი და არ „სწორფრობდნენ“.

— ხმა გაციე სტუმარს, ბიჭო, რამ გაგაოგნა! — უთხრა დედამ შვილს და ქალიშვილს ჩიკა დაუდგა.

— რამ მოგაყვანა ჩვენსა, ლელო — როგორც იქნა, ამოიღო ხმა სადარამ.

მის ხმაში უსლომო გაცემა და რაღაც გაურკვეველი შიში იგრძნობოდა.

— მაგს ეგურ ერთბაშად ვერ გეტყვი, — თქვა ნაძალადევი სითამიშთ ქალიშვილმა, — ჭირ ცხენს უნაგირი მოხადე და თივაც მიუყარე.

— ცხენით მოხვედი?! — ამან რატომღაც უფრო გააოცა ვაჟი და კარისკენ წავიდა.

— ცხენით მოვდი და თუ არ მიმიღებთ, ცხენითვე წავალ — დაადევნა ქალიშვილმა და ჩუმად ჩაიხიხია.

მოსუცმა ქალმა კეცეულეების კეთება გააგრძელა.

სადარა შემოვიდა და სტუმარს გვერდით ოთახში შეუძღვა.

ჭრქი ოღნაც ანათებდა ოთახს.

მხოლოდ კედელზე ჩამწკრივებული თოფიარად ბრჭვინავდა ქრქის ალზე, სხვა საგნები კარგად ვერ გაარჩია ქალიშვილმა.

— არ გეშინის შინ რომ ხარ? — იკითხა ლელომ.

— გადაწყვეტი, რომ ეს საღამო დედასთან იყო, — თქვა დაბალ ხმაზე სადარამ — არავინ იფიქრებს, რომ დეწნილი კაცი შინ ღამეს გაათენებს, — გაიცინა მან.

ისინი გრძელ საჯარო სკამზე ჩამოსხდნენ. ქალიშვილი ახლოს მიუჩინა.

ვაუს ცეცხლივით შემოენთა ქალიშვილის სიხსლოვე, კინაღამ გვერდზე გაიწია შემკრთალმა.

— ჭარი მოვიდა შენს დასაჭერად, მე როგორ გაშინებ! — ჩაიცინა ლელომ.

სადარა უფრო გააოცა ქალის აეთმა სითამამე, რაც თიელი მათი ურთიერთობის მანძილზე არ შეუწინავეს.

ლელო ყოველთვის მოკრძალებული და მორცხვი იყო, ხევისურული სწორფრობის ხსენებაც წარავდა.

— მაპატიე, ლელო, კიდეც რომ გეკითხები, — წამოწყო სადარამ გაუბედავად, — რამ მოგაყვანა ახლა აქ, ხომ არა მახდა-რა ისეთი... ან იქნება მთხოვარნი მოგვიდნენ...

ქალმა ნაღვლიანად ჩაიცინა.

— მაყარო არ წამოწყებოდი, ყარალო? — უთხრა მან ვაუს და თვალებში ჩაშტერდა.

სადარამ ვერ გაუძლო მის შემოხედვას, თვალი ააჩიდა.

— დღეს შენმა ნახვამ მომიყვანა ახლა აქ, სადარ, — თქვა ლელომ და ხმაში თრთოლა გაერია, — შენ ისეთი ფერი გქონდა და თვალბიცი — მომეჩვენა, რომ ამაღამ თუ ამ გუნახე, ვეღარ გნახავდი საერთოდ...

ვაუს ურუანტელივით დაუარა ქალის სიტყვებმა.

— მე ვიცი, სადარ, შენ ქისტეთში არ მიდიხარ!

სადარას ხმა არ ამოუღია, იჭდა თავჩაღუნული, გაქვავებული.

— იმასაც ვგრძნობ, რომ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას აპირებ... — ქალს წამწამზე ცრემლი გაუბრწყინდა.

ვაჟმა ძალა მოიკრიბა, შუბლი შეიკრა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— შენ იცი, ლელო, თუ რამე გადაწყვეტი, მას ადარაფერი ეშველება! — ის ახლოს მივიდა ქალიშვილთან და თვალებში ჩახედა, — შენ, შენ რამ მოგაყვანა ამ ღროს ჩემთან, ან მამაშენი რას იტყვის, ან ხალხი...

ქალიშვილს მანცდამანც არ შეუცხადებია ვაუს შენიშვნები, ზვიადად ყელმოღერებული წამოდგა, ვაუს ზურგი შეაქცია და კედელზე

ნაკიდებ ხმალ-ხანჭლებს შეახო მორთოლვარე თითები.

— რამ მომიყვანა? ... — განაგრძო ლელომ ჩურჩულით, — იცო, რამ მომიყვანა? აი, ეს ფრანგული, ეს ჩერნური ზანჯარი, ეს ხვესურული გორდა, ეს ჩაჩქან-სამკლავე, ეს არშავიანი და ეს წვერგრძელი... ბერდენკა შენმა შეიღმა, შიშით სადარას შეიღმა, მეფეს შეტივებულეო ყაჩაღის შეიღმა უნდა ატაროს და მოხმაროს, სხვის ხელში არ უნდა ჩავარდეს ენენი, მტრის გული არ უნდა ეცივებოდეს სადარას სახლ-კარს, სადარას მამულს სხვამ არ უნდა გახკიდოს ხარ-სახენიელი... აი, რამ მომიყვანა, ვე-უსო! ... ხახონ ლელოს თუ საცოლედ დაიწუნებ, ის ბნელშიც კარგად გავალებს ცხენს ლიქოისაკენ, მთვარეს არას უგაღებს ყურს...

ვათ სუნთქვაშერული მოჭადოებულებით უსმენდა ქალის სიტყვებს ერთ ალაგზე გახევე-ბული.

— მამა... მამაშენი რას იტყვობ, ლელო? მე ხომ... — მას სიტყვა გაუწვდა.

— ხახონს ქალი მამის უყოთხვად და ურჩევლად არას აკეთებს! — თქვა ქალიშვილმა და მხარზემოდან ამაყად გადახედა ენაჩავარდნილ ვაჟს.

— ეს ერთი ღამე უშველის მთელი სიცოცხლის სიმარტოვებს? — თქვა მან და ქალიშვილისაკენ გადადგა ნახიჯი.

— შენ... სრუ ჩემთან იქნები, ყაჩაღო... ჩემს გულში, ჩემს ხელულში... ჩემს ვეილში... — ლელომ ეს სიტყვები ძლივს გასაგონად თქვა და და ხელები ყელზე შემოახვიო ვაჟს.

სადარამ ხელები გაშალა და ათრთოლებული ქალიშვილი მკერდზე მიიკრა...

შეუხარებისაგან გაოგნებული შემკურნებდა რძალ-დედამთილი.

მხოლოდ ლურჯა ფრუტუნებდა და ტორავ-და მიწას

— ნაკეთაურო, — ამოიგმინა მამუკამ. — ბურჟუაზიის მამას მიაკვდეს ძალი, თუ შენ დიდხანს გვლოოს მზეზე...

იგი უხმოდ შებრუნდა და ცხენზე შექდა. წასასვლელად გაწეული ცხენი უკან მოღრიჯა მამუკამ.

— ბარაქალა შენს ქალობას, ხახონის ქალო! — გადმოსძახა მან ლელოს და ცხენს სადავე მიუშვა.

სახლის ზემოთ ფერდობში ნახამი სადარას ლურჯა სძოვდა ბალახს.

მასთან ამხოლაგებული* ცხენის დანახვანე აცმუკდა, აფრუტუნდა და ტორებით მიწის თხრა დაიწყო.

როცა ბურჟუაზიული ტყინებში მიეფარა თვალს, სადარას ცხენმა ჭიხვინით ახლად ჩამომდგარი სიხნულე შებრტყა. პალო მაგრად იყო მიწაში, ცხენმა კიდევ გაიწია და თოკი გაწყვიტა. ერთხელაც დაიჭიხვინა და მამუკას კვალს გაეკვიდა დაოთხებული.

— ვაიმე, ცხენი დაწეწდა! — წამოიძახა ლელომ.

— მაგის დამბერი ჩვენ აღარავინ გყავ. შეილო, — უთხრა მშვიდად დედამთილმა რძალს, — ზურგზე ეგ არავის შეისვამს ცოცხალი, სადარას გარდა, თუ მოვა, თავად მოვა შინ, თუ არა და, იაროს, სადაც უნდა...

— იაროს... — თქვა ლელომ ჩურჩულით და შინ შებრუნებულ დედამთილს გაშუკა უკან.

ორი კვირის შემდეგ შემწარავი ამბავი მოვიდა ხვესურეთს: ყაჩაღ სადარა არაბულს ქალაქში თავად გუბერნატორის ბრძანებით „უდანაშაულო რუსის სალდათის მოკვლისათვის“ და ყაჩაღობისათვის ჩამოხრჩობით სიკვდილი მიესაჯა, განაჩენიც აღსრულებულიაო.

ხვესურებს თავწარი დასცა. ამ უსამართლოების გაგონებამ. მით უმეტეს, უველამ იცოდა, რომ სალდათი სარიდალ ნაკეთაურის მოკლული იყო და არა სადარა არაბულისა.

ამ ამბავს მალევე მოჰყვა სარიდალ ნაკეთაურის უკვალოდ გაქრობაც და სადარას დასჯით გამოწვეული ტოკილი ხვესურების და დასჯილის ახლობლებს ოდნავ დაუყურა.

ერთხანს სიმშვიდემ დაისადგურა საარაგოზე.

ბურჟუაზიულიც აღარსად ჩანდა, მხოლოდ მკვდარი ყაჩაღის ნისლისფერი ცხენი დარბოდა ფაფარგაშლილი სოფლიდან სოფლად ხო-

მეორე დღეს საარაგოზე ხმა გავარდა, ყაჩაღმა შიშით სადარამ იმედურთ ხახონის ქალი წაიყვანა ცოლად; თავად რუსებს ჩაბარდა, რომ ხვესურეთში სისხლის ღვრა არ მოხდესო.

სადარას ნებით გამოცხადება სალდათებთან და მათი აყრა და ხვესურეთიდან გაბრუნება ერთი იყო.

სალამოს მოვარდა გაქაფული ცხენით მამუკა გოგოჭური სადარას სახლში.

რძალ-დედამთილი გამოეგება ბურჟუაზრებს. — რამ გადააწყვეტინა ხელად მისვლა, რამ?! — შესძახა მან, ცხენიდან რომ ჩამოხტა, — რად გაიმეტა და გასწირა თავი!

სადარას დედამ წერილი გაუწოდა მამუკას. მამუკამ ოთხად გაეცილი ფურცელი გაშალა.

— „მამუკა, ძმაო, მპატიე, რომ მხარი მოგტეხე, მარტო გტოვებ, თანასოფელითა სისხლის დაღვრის მიწეში ვერ გავხდები, უნდა ჩავბარდე“. სადარა.

მამუკა ერთხანს გაქვავებული იდგა.

* ამხოლაგება — შერჩევა (ხეც).



რქმისხმულ ელდასავით, დღისით და ღამით, უფამო უამს ხან აქ გაისმოდა და ხან იქ მისი გულისწამლები ჰიხვინი.

ღლით ჭალები კარს რომ გამოაღებდნენ და გარეთ გაიხედავდნენ სოფლის ნაპირას ქედზე გადმომდგარ ცხენს მოჰყავდნენ თვალს, რომელიც მოჩვენებასავით ერთს მია-
ჰიხვინებდა ჭერ კიდეც მძინარ სოფელს და ახლა სხვა სოფლისაკენ მიქროდა.

დაღონებულ შერკას გააყოლებდნენ ბილიკ-
ზე გათხზებულ ფავარგაშლილ ცხენს.

სარიდალის უკვალოდ დაკარგვამ ააღელვა ნაკვეთარები. გამგებლები ეძებდნენ მის კვალსაც და მის მკვლელსაც.

მამუკა გოგოპურზე ექვობდნენ, მაგრამ ვე-
რაფრით უშტიციებდნენ, ხელმოსაკიდი არაფე-
რი ჰქონდათ.

ხევსურეთში აღარ ედგომებოდა ბურჯუ-
რელს.

სოფელ ბურჯურთაში შერკებლმა ბი-
ძაშვილებმა ხევსურეთიდან წასვლა ურჩიეს მამუკას.

— სადარა არაბულის ამბით დამფრთხალი ხევსურები ვეღარ დაგაფარებენ ხელს, ვეღარ შეგინახავენ და შეიძლება ჩაფრებს თავის ხე-
ლითაც ჩაგაბარონო, — უთხრეს.

შემოდგომის წვიმით გაუღენთილი ნისლი ხევსურულ გუდანურევით ეხურა ბურჯურ-
თასს.

სოფელს ჭერ ისევ ეძინა.

თავის ნისლისფერზე ამხედრებულმა მამუ-
კამ ეწოდან გასვლისას ერთხელ კიდეც მოხე-
და ჰერხოს კარებთან გამომდგარ, ბელურები-
ვით მოსაუზულ, მაგრამ მინც ამაყად მოშწირალ ტიტლიკანა ორ ბალღსა და გაღვირვებულ მელღლეს, რომლის თვალებში ახლა მთელი ცის-
ქვეშეთის სივლა და შიში ჩამდგარყო.

ბაღღების კუშირი მშერა ესიამოვნა.

მაღლა შემართული მთარახაბდუჭული მუშ-
ტით აჩვენა ცოლ-შვილს — მაგრად იყავითო და ცხენი გააქენა.

სოფელ ღელისვაკის ბოლოში შერკერა გაო-
ფლილი ცხენი მამუკამ და მეთივე ხევსურებს მიესალმა.

ხევსურებმა საკრფლები გადაყარეს, ბურჯ-
კურელს გზაში გამოეგებნენ, საღამზე საღამი უთხრეს, მოიკითხეს და, საით გაგიწევიაო, ისიც ჰკითხეს.

— გავერიდები საარაგვოს, — უთხრა მამუკამ. — ვინც ჩემსას რასმე იკითხავს, უთხრილით ყველას, რომ მამუკა ბურჯურელი წავიდა ხე-
სურეთიდან, აღარავინ შეაკრავს გზას ჩაფარ-მა-
შახალხებებს ორწყალში, აღინან, რამდენიც უნ-
და საქონელი ღუშეთისაკენ...

— ჰირსამც მოგპარავთ ბურჯურელიო.

წამოიძახა სახედაჩხილმა მწითურმა ხევსურ-
მა, — შიშით სადარაის მტრის ჭავრი ზო ამა-
ყრილია, შერჩას მარჯვენა და უცხონდეს გამ-
წრდილი...

— აჩქარა სადარა, — თქვა მამუკამ ნაღვლი-
ანად. — ეგონა სამართალს იპოვიდა ამ ძაღლე-
ბთან... სამართლიანობა რომ იყოს, ამ ქვეყანას ცეცხლი ვადაღულს.

— მაინც რომელი მხრისკენ მიგიწევს გული? — ისევ იმ მწითურმა იკითხა.

— ვლადიკავკავში უნდა ჩავიდე, — უპასუხა მამუკამ. — იმას მაინც გავიგებ, ვის ვუმტრო და ვის ვუმყო, ვისკე დავდგე, ვის გავუყარო და ვის შევიყარო...

— ღმერთმა გამარჯვების გზებით გატაროს, ვაჟო! — დალოცეს ხევსურებმა და მამუკამაც გზა განაგრძო საქელის მთის მიმართულებით.

ცოტა ხანს რომეიონებთან შეეკვნა ალმა მიშავალი და ნაშუადღევს საქელის უღელტეხი-
ლზე ავიდა.

ცხენი შერკერა და ქვევით ხეობებში მიყრილ-
მყორილ სოფლებს გახედა, ახლად აკრფილი ნისლიდან რომ გამოჩნდნენ.

გულზე სევდა მოეძალა.

მარჯვნივ, ყვავილივით დაქსოვილ ფერღობზე მწყემსები ისხდნენ და პურს სჭამდნენ.

კიდეც ქვემოთაც ჩანდა ცხვარ-მეცხვარე.

არხოტის გადასახედიდან ყვავილების სურ-
ნელით განწავებული ნიაკი უბერავდა.

ღროღადრო შურთხების გზიასი და სტენა ისმოდა.

როშკის ზორხში კვამლისფერი სიბინი ჩაწო-
ლილიყო.

არილად ჩანდა ღამბერღის ეხი.

ღამბერღის ეხის დაღანდვამ მამუკას კვლავ მეგობარი გაახსენა.

რამდენჯერ მსხდარან ის და სადარა იმ უწა-
რმაზარი ლოდის ქვეშ ქარ-ღელგმისაგან თავშე-
ფარებულნი. შეუწვავთ ჭიხვის მწვადი, უფიქრი-
ათ და უნატრიათ ოჯახები, უღარღიათ ხევსუ-
რეთზე, მძიმე ღროგებაზე და ბუნღოვან მომა-
ვალზე.

მამუკა ცხენიდან ჩამოხდა.

— ჩემო ლურჯო, ჩემო ნისლისფერო! — იგი ცხოველს აღამიანვით ეფერებოდა, — შენ ღუშეთიდან და უნივლიდან გამოპარულიც მოსულხარ შინ, აქედან შენი ერთი გაქცევია ბურჯურთამდე და შენ იცი...

ცხენის საღავე მოკლედ დაიჭირა და მწყემ-
სებთან მივიდა.

მამუკას საღამზე მწყემსებმა უწადინოდ უპა-
სუხეს.

— ვერ ჩანხართ კარგ გუნებაზე, — ჩაიცინა მამუკამ მწყემსების შეცბუნებაზე და ცხენს ღა-
გამი წამოჰყარა პირიდან.

— აბა როგორ ვიქნებით გუნებაზე, ძმაო, —

თქვა ერთმა, — გუშინ ღამეს სამოცამდე სუ-
ლი ცხვარი დაგვისხლიტეს ფარიდან უჩაღე-
ბმა და წაახტეს.

მამუკამ წარბი შეიკრა.

— უჩაღებმა? — გოცდა ის, — მერე სად
წაიყვანეს?

— რას გაიგებ იმათს, — ახლა სხვამ თქვა,
— სინელში მაგ ხეობისაკენ დაიქუხეს, მა-
მუკა გაძლიავართ ბუჩქურთილით, — მოგვაძახა
მოთავებ და თვალს მიფარხნენ.

ბუჩქურთილი შეძრა მწყემსების ნათქვამმა.

სარიღალე ნაკვეთაური აღარ იყო ცოცხლებ-
ში, მაგრამ მის დავალბებას კიდევ ვიღაც ასრუ-
ლებდა ხეცურთით.

— მამ მამუკა ვარო? — კვლავ იკითხა მა-
მუკამ.

— ეგრე კი მოგვაძახა, ძმავო, მაგრამ არა
გვგონია სწორი ეთქვა იმ ავაზაკსა, როდის
იყო ავის მქმნელი და უჩაღე თავის გვარს ასა-
ხლებდა...

— ის ვიღაც ბუჩქურთილი რომ ქვეყნის და-
მქცევი და საშიში კაცია, ვინ არ იცის, მაგრამ
იმნაც ამბობენ, პატიოსან ხალხს არას ერჩისო,
მარტა მთავრობას გაუბრძვისო... — ჩაილაპა-
რაკა მესამემ თავისთვის.

ბუჩქურთელს ცალუხად ჩაეცინა.

კარგა ხანს იღვა მამუკა გარინდებული და მი-
წას ჩააშურებდა.

მწყემსებმა მწყემსურ სუფრაზე მიიწვიეს
მგზავრი, პური შეტამურ.

მამუკამ ხურჩინიდან არაყინი ტიკტორა ამო-
იღო და მწყემსების სუფრაზე დადო. მერე უნა-
გირიდან მრგვალად გაკეცილი ლეკური ნაბადი
ახსნა, ცხენს კიდევ რაღაც ჩაურთრჩულა ყუ-
რში, აღვირო ტახტებ მამაგრა და რომისკენ
შეაბრუნა.

ცხენი ჯერ ნელი ნაბიჯით ჩაუყვია დაღმართს,
მერე დაოთხებული მიფარა თვალს რომის
ხეობაში.

მამუკა მწყემსებთან დაჯდა, გამხმარ პურ-
ყველს აატხმა, იქვე ნაგდე მისთვის ტყავის მა-
თარაში არაყი დაასხა და მწყემსები დალოცა.

— მარჯვენა მოსტუდებს, ვინც მწყემსის ნა-
ოფლარს მოიტაცებს, არმად შეერგოს! — და-
ასრულა მან სადღეგრძელო და დალია.

თითო-თითო მწყემსებსაც რომ დააღვივნა,
მერე გაუმხილა თავისი ვინაობა.

მწყემსებს ენა ჩაუვარდათ, უკან წაიჩოჩეს.

მამუკას სახელის ხსენებაც წარავლდა მთავრი
მეცხვარეებს.

— აბა რითი დაგიშტაცოთ, რომ მაგ სამა-
რცხვირო საქმის ჩამდენი მე არა ვარ, — თქვა
მამუკამ და ხელი ჩაიქმნა.

— არაფერს გედავებით, ძმავო, — ამოიღო
ხმა დამფრთხალმა გულამაყრელმა, — თუნდა
ახლავე დაგიკლავთ ცხვარს, თანაც გაგატანთ.

მამუკამ კეთილად გაუღიმა მეცხვარეებს.

— მადლობელი ვარ, დიდი მადლობელი,
ოღონდ თქვენ და ყველა თქვენმა ნამუშავეებმა
ცხვარებმა იცოდნენ, რომ მამუკა სულ მიდის
ხეცურთიდან და თავის ნაავჯარს მე ნურვინ
დამბარალებს, თორემ თუ ცოცხალი დავბრუ-
ნდი, ავს ავად და შვად ვაწვდევინებ...
იგი წამოღდა, მწყემსებს გამოეშვივებოდა, არა-
ყინი ტიკტორაც მათ დაუგდო, ლეკური ნაბა-
დი მრგვალად გადაიკიდა მხარზე და დაღმართს
დაუყვია ვეშაწუაროს ხეობისაკენ.

ჩოხელათ ბალონას ცხვარი მიწას უმძიმდაო,
იტყოდნენ თურმე მთაში. უფრო კი იმით და-
ამხსოვრდათ ეს კაცი მთიულ მეცხვარეებს, რომ
ორიათასამდე სული ცხვრის პატრონი თავად
ყოველთვის მათხოვარით დახეულ-დაქცილი
დაიარებოდა. ასეთივე დღეში ჰყვავდა მოჭამა-
გირედ დაქირავებული მწყემსებიც, საღამოს ვა-
ხშმის ჭამას უკრძალავდა: მაძღრებს თერზე
ჩაგძინებთ და ცხვარს ნადირი აწარალებსო.
სწორედ ამ ჩოხელათ ბალონასაც გაეგო იმ
მეცხვარეებისაგან იმ დღეს ბუჩქურთელის ვლა-
დიკავაზისაკენ ჩავლა.

ჭოთა, ხნოს წყალი და სტეფანწმინდა ისე ჩა-
იარა მამუკამ, კაციშვილი არ გამოლაპარაკებია.
დაიარებოდა რომ ჩაადწია, კარგად დახსენდა.

მკათათვის მცხრალი მთვარი იდგა ცაზე.
დარიალის კლდეებთან შეტაკებული თერგის
ღრიალი ცას გადიოდა.

ნაბადწამოსხმული მგზავრი ქვეითად მიუყვე-
ბოდა მტვრიან შარავას.

ცხენებზემხული საწიდრებით ან ურმებით
ამვალ-ჩამავალი მგზავრები ხვდებოდნენ ბუ-
ჩქურთელს.

ლარსს რომ გასცდა, პირველად იყივლა მა-
მალმა.

საფრთხეს აქეთ აღარ მოელოდა, არავინ იც-
ნობდა, არავინ იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ
რას გაოგებს კაცი თავისი ბედისწირისას, მიინც
ჩქარობდა, რომ ბალონას საყარულლოს სინე-
ლის ძალით როგორმე გასცლოდა.

გარეგნული იერიით არავინ ჩათვლიდა უჩა-
ღად და დღეწილ კაცად. ხეცურთულ ჭრულ ჭო-
ხაზე შემოხვეულ ქამარზე თავისი საყვარელი
იარაღი — მოკლე თეთრტარა ხანჭალი ეკიდა,
ხეცურთულივე ჭლან-პაიჭი ეცვა, გარედან კი
ლეკური ნაბადი ჰქონდა წამოსხმული.

ჩიშის ბოლოში თეთრ კლდეებზე გადაჭრილ
შარავასს რომ დაუახლოვდა, ცხენის ფეხის ხმა
მოესმა უკანადას.

დაოთხილად ვიღაც მოაქნებდა ცხენს.
ჩემი ნისლიფერი მაინც მყავდეს ახლა, გა-
იფიქრა მამუკამ და ოღნავ გზის ნაპირისკენ
გააბიჯა.

ცხენი მამუკას გასწვრივ მკვეთრად შეჩერდა.



— ძმობილო, — გადმოიწია უნაგირიდან უცნობი, — პაპიროსს ვერ მომაწვივინებ?

მამუკა ითქოს სადღაც ვაგონა ეს ხმა.

— არა ვარ თამბაქოს მუშტარი, ძმაო, — უთხრა მამუკამ მშვიდად.

უცნობი რაგორც გაჩერდა, ასევე მოსხლეთით გავარდა წინ და კარგა ხანს ისმოდა მისი ცხენის ტორების თქარათქური.

სიფრთხილეს შერჩეულ ბურჯუაყურელს არ ენამოვნა ამ კაცის შეხვედრა, თუმცა საქართველოს სახლგარს გაცილებული, ვის რაში ვაგონდები, ან ვინ მცნობსო, გაიფიქრა.

ამოხსავლეთისაკენ სილურჯე შეებარა ცას. რამდენჯერ უნატარია ბურჯუაყურელს გვიან გაბრუნებაც და მალე დაღამებაც, რომ მდევრისათვის გაესწრო, ველის ნალირივით სიხნელისთვის თავი შეეფარებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ვლადიკავაჯში წაცნობი მთიულეები ეგულებოდა, რამდენიმე წლის წინ ჩამოსახლებულები, მამუკა პირველად დაეფიქრდა იმაზე, რომ რუსული ენა არ იცოდა და რუსეთისაკენ კი მიდიოდა. მიჩქაროდა, რომ მხოლოდ საქართველოში, ხეესურეთში წაეშალა თავისი კვალი, გასულიყო ისეთ ქვეყანაში, სადაც ველარავინ იცნობდა, არავინ მოაქცევდა უურადღებს და მოეძებნა ისეთი აღამიანები, რომლებიც მის დღეში იყვნენ, მასავით „მეფეს გაებრძოდნენ“, ერთ ბედში მყოფნი ხომ უენოდაც გაუგებდნენ ერთიმეორეს, გაიზიარებდნენ ერთიმეორის პირ-ვარამს.

ცოლი და ბავშვები დაუდგნენ თვალწინ. „სადამდე ვათენ-ვაღამო სრუ შენი სიკვდილის მოლოდინში“, — უთხრა ატირებულმა მეუღლემ წამოსვლის წინ.

ბაღლებს ცრემლს ნუ ანახებო, გააფრთხილა ბურჯუაყურელმა ცოლი, სიცოცხლე სრუ სიკვდილის მოლოდინია, მეტი არაფერიც, ვითომ ანუგეშა საწყალი ქალი.

გააფხვლამდე დაუღო ლოდიანის პირობა. იქნებ დროება მართლა შეცვლილიყო.

ვინ შესცვლიდა, ან რა ხერხითა და ღონით შესცვლიდა ამ უსამართლობით სავსე ქვეყანას, იმის გაგება უნდოდა და თავისი წილი საქმის გაკეთებაც.

შეტვრეწევი იყო, რაც მოავრობა დასაქვრად დასდევდა.

ამ ხნის მანძილზე თავის დანაშაულს ვერაფერში ხედავდა, სჭეროდა, რომ უსამართლობას ებრძოდა და ახლა უნდოდა იმის კარგად გაგება, რომ მართალი იყო თუ არა, სწორი იყო თუ არა მისგან ამორჩეული გზა, ან გავლილი, ან გასავლილი. ტყვისავით მძიმე საფიქრალით გულდამძიმებული მიახიჭებდა თერგის ნაპირზე გაწოლილ მტკრიან შარაგზაზე თავის მშობლიურ მიწა-წყალსა და თვისკომს მოწყვეტილი ნაბიდან კაცო, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი კაცის სხსელი ედო სიციხრე,

რომელსაც ცოდვად არ თვლიდა ძმანაფიცის დაუღუპავ ვერვის აპატიებდა, აკი არც აპატიებს „ცოდვაც“ ისე ჩაიღინა, რომ ძეხორცემულმა არ იცოდა მის ვარდა, მასთან ერთად დამარხებოდა საფლავში.



სოფელ ბაღთას პატარა ნაკადული ორად ჰყოფს.

ახლა იქ რკინა-ბეტონის ხილია გადებული. ხილი იმისმილგია, ნაკადული აღარც ჩანს, სადღაც, ხილის ზემოთ ჩამჭრალა მიწაში და ქვემოთ მიიარება ჩურჩულით.

წინათ უბრალო ბოგირი იყო ნაკადულზე თურმე, ბოგირის მარჯვნივ, გზის მახლობლად სამხედრო უაზარმა იდგა.

უაზარმის წინ, გზის პირას საღარაჯო ჭიხურის იყო ჩადგმული და ჭიხურთან ყოველთვის თოქიანი საღდათი იდგა.

უაზარმის ევოში საღდათები მიდი-მოდიოდნენ კანტიკუნტად. ზოგნი ქალებსაც ეღლაბუცებოდნენ, ზოგნი უაზარმის ევოში დაბმულ ცხენებს უვლიდნენ, მოკაშმულობას უმოწმებდნენ.

გათენებული იყო, როცა მამუკა ბაღთაში შევიდა.

სოფლის მოპირდაპირე მხარეს ქისტეთის შორ მწვერვალებს ოქროსფერად გაება დილის მზის სხივი.

ბურჯუაყურელს არაერთხელ ჰქონდა ის მწვერვალში დავილი.

ნაღვლიანი მწერა მოავლო ნაცნობ საჩიხვებს. მამუკამ შორიდანვე დაკვირვებული მწერა მიაპყრო საყარაულს ჭიხურს და იქ მოფუსფუსე საღდათებს.

საზრიანობითა და სიფრთხილით არაერთხელ დააღწია თავი სასიკვდილო საფრთხეს, მაგრამ ხეესურეთში გაზრდილ მთიელ კაცს ბედისწერისა მინც სჭეროდა. რაც უწერია კაცს, იმას ვერ ასცდებო, გაივლებდა გულში.

ახე ფიქრობდა ახლა მამუკა და საღარაჯოს გაფაცივებული თვალითა და გარეგნულად დაუღვევარი იერით უახლოვდებოდა...

რაც უფრო უახლოვდებოდა საღარაჯოს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მას ოდნავ ურადღებდასაც არავინ აქცევდა.

მშვიდი ნაბიჯით ჩაუარა ჭიხურს, მაგრამ უაზარმის ევოსაკენ რომ გააპარა მწერა, საღდათებთან მეცხვარულ ტყაბუჭში ჩაიჭულ კაცს მიჰქრა თვალი.

მეცხვარემაც გამოიხედა და მამუკამ ჩონჩელით ბაღთა იცნო.

იქვე, სამხედრო უნაგირებით შეკაშმულ ცხენებთან, უბრალო უნაგირით შეკაშმული ცხენიც ება ახალ ოფლშემშრალი.

რა უნდოდა ამ კაცს რუსის საღდათებთან?

მამუქას' გაცონილი ჰქონდა, რომ „ცხვარ ბევრი“ ბალონა ვიღაც ყაჩაღებს უჩიოდა მთავრობასთან ცხვრის მოტაცებისათვის.

მრავალი წლის მანძილზე გამომუშავებულმა ალღომ მამუქას უცხად მოახლოებული საფრთხე აგრძნობინა. სოფლის ზემოთკენ გაიხედა, კარგა მოშორებით იყო ტყე, გამოცდილ შეთოფეს აქედან მთელი სისწრაფით გაქცეული ირემიც ვერ შეასწრებდა ტყეში.

ამის გაფიქრება ვერც მოასწრო, რომ შარაგზის სხვადასხვა მხრიდან ოთხი თოფმომარჯვებული სალდათი გამოემართა მისკენ.

ყველა მათგანის სახეზე აშკარად ამოიკითხა, რომ მას ელოდნენ და მომზადებულებიც ელოდნენ.

მისკენ პირდაპირ მომავლმა სალდათმა მკაცრი ხმით უბრძანა მამუქას:

— ზღადაბტე არუთუი, რაზბონიკ ბუჩუკუ-რელი!

ყველაფერი აშკარა გახდა. ყაზარმის კუთხესთან ატუფულ ბალონას მოჭკრა თაველი ბუჩუკურელიმა.

— არსად სთქვა ჩოხელათ ბალონავ, რომ გამყიდე, სირცხვილია შენი გვარისათვის, — გასძახა მამუქამ, — ის სთქოდე, რასაც აქ ნახავ, ამათ არ გამიშვეს ჩემი გზით!..

— ზღადაბტე არუთუი! — კვლავ იყვირა სალდათმა.

მამუქამ შეიგინა და ლეკური ნაბადი ხელების აქნევით გადაიძრო.

სალდათები შეცბუნდნენ.

„რაზბონიკს“ პატარა ხანჭლის გარდა, არავითარი იარაღი არ ჰქონდა ტანზე.

ამის დამნახავი სალდათები თამამად მიუახლოვდნენ მამუქას.

საღარაჯოს მოშორებით მდგომი ცხენ-ურმიანი მგზავრები გაშტერებულები უყურებდნენ სალდათებს და მათ შუაში მოქცეულ ჭრელ-ჩოხიან ხევსურს.

— დაიბტე კინუალ! — უკვე ოდნავ შერბილებული ხმით უთხრა სალდათმა და ხანჭალზე მიუთითა მამუქას.

მეორემ მკლავშიც გამოსდო ხელი.

ბუჩუკურელიმა ერთხელაც გაიხედა ტყისკენ, თვალით მოლომა მანძილი და სანამ სალდათი მისწვდებოდა მის ხანჭალს, თვითონ გაჭკრა ხელი.

მთელოდნელობისაგან გაცოცხლებულმა სალდათებმა ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს, რომ

სამი დაბლა დაგორდა მუცელზე ხელშემოვლილი.

მეოთხემ, მამუქას ზურგთან მდგომმა, ქისტურად რაღაც დაიყვირა, ისეუბა და მამუქას ბეჭებზე დააცხრა.

მარცხენა მხარეშიდან გადუქნა მამუქამ ხანჯალი და ქისტიც ზურგიდან მოშვებული ჩაახლტა.

„ქისტო, გიცხონდეს გამზრდელი, ზედ მიხვედ შორით გამხტარი, ხელუკლუმ გადმოქნეულმა დაგაჭრა უბის მასრანი, გულზეთი გადმოწადენმა სისხლმ შავილებმა კალთანი“... იტყვის მერე შედექებ.

ბუჩუკურელი აფართხალებულ სულმობრძავებს გადაევილო და ტყისკენ გაიჭრა.

რამდენიმე ნახტომიც და ტყის შეეფარებოდა, როცა ყაზარმის ეწოდან გამოცვენილმა სალდათებმა ზღაბით მიაყარეს ტყვეები.

მამუქა წაიქცა.

„მეცხრე სანამდე არ დახერეს, მაკლული ვერ თქვეს რვისაო“...

●

გვიან შემოდგომაში დაქიხვინებდა საარაგვოზე ორი ნისლისფერი ცხენი.

ხან გველეთის მთებში გაისმოდა მათი გულისწამლები ჭიხვინი ხან ბუჩუკურეთის ქედზე და ხან არაგვის ნაპირებზე.

არავის უცდია ცხენების დაქერა და შეკაშვა.

ერთ საღამოსაც არაგვის ტირიფიან ქალაში ორი ჭრელბერანგა, ოფლში გაღვრილი ცხრა-ათი წლის ბაღლი კარგა ხანს უტრიალებდა გაქსულებულ ცხენებს, ამოად ცდილობდნენ მათთან მიახლოებას. ცხენებს სახელებს უძახოდნენ, ქერიანი, მოქარგულ თოფრებს უშვერდნენ, მაგრამ ნისლისფერები დაუნდობლად ფრუტუნებდნენ, ნესტოებს ბერავდნენ, ტორებს აბაყუნებდნენ და გან-გან კრთებოდნენ.

ბაღლები იმედს არ მკარგავდნენ, წამდაუწყობი სახეზე ჩაშოდვარულ ოფლს იწმინდნენ პერანგების სახელოებით და ხელახლად იწყებდნენ ცხენების „გაონ მოყვანას“.

ის ღღეც დაღამდა.

მერე მძიმე წამთარმა წაშალა ის ზაფხულიწველი ამბების კვალი ხევსურეთში.

ნისლისფერი ცხენების ჭიხვინი კი გვიანობამდე შემორჩა ჭერსობებში გარინდებული, ნაღველმორეთული ხევსურების სმენას.



ვით აკაკის ლექსი

ქედრს გიტარა, ოდითგან იმერთ სეფე
საკრავი,
სულსა სწვდება გიტარა, ჰანგი გულის
საკლავი.

ლალბს ჰანგი კაცივით და, თუმც
კიდევ კენესის,
ლალი არის იმერეთი, ვით აკაკის ლექსი.

აქ წითელი ხეგია და ყოველი მწვანეა,
ყველაფერი ტკბილია, ისიც, რაც კი
მწარეა.

აქ სინათლეს ყოველგან გამდგარი აქვს
ფესვი,
ნათელია იმერეთი, ვით აკაკის ლექსი.

იმერელის სიცოცხლით განათებულ
ხატებას
უყურებ და სიცოცხლის უნიც
მოგემატება.

მიყვარს ეს ტკბილ-ქართული იმერული
კილო,

იმერეთი... უფლის ყალმით დაატული
ტილო...

საყვარელო იმერეთო! შენ აკაკის ხატი
ხარ,
გულის გულს მაწერიხარ, სულის სულს
მახატიხარ.

შენი შემოგარენი — ელვარე და
კიანთა —
დიდკუნჭულო, ვარციხე, დიმი და
სარკიათი...

ღრმა არის და მსუბუქი შენი ადათ-
წესი,
ისე ღრმა და მსუბუქი, ვით აკაკის
ლექსი...

ღმერთო, ანუ იმერეთო, იმერეთო ანუ
ღმერთო!

სწორედ ისე ერთადერთობ, ვით აკაკი
ერთადერთობს!

რადგან ცას ვჭვრეტდით...

ო, ქალბატონო, თქვენ ისე სანდო,
ისე ნათელი ჭალარა გქონდათ,
გაჩენდათ ისე წრფელსა და სათნოს,
რომ უნებლიეთ გავკიცხე მოდა;
ვერავითარი სხვა ფერის თმებით,
ასე, ამგვარად, ნათელს და მზიანს
ვერ აღგიქვამდით... გითრთოდათ
მხრები,

ამასთანავე, თქვენ გერქვათ ია!
და უფრო მეტიც: თავგადაკლულად
ამეტყველებულ აღუბლებს შორის
მოსიარულე ჩანდით უნაკლო

და ზღვა ქალებში არ გყავდათ სწორი.
და კიდევ მეტიც: ეს იყო ფერსათს
და გარემოსიც კი იყო ბრალი,
რომ ანათებდა თქვენი თმის ფერსაც
და ყველას თქვენსკენ მოეპყრო თვალი.
თქვენ კი ლამაზად აწყობდით სუფრას
და იმწუთს არცრას ნიშნავდა სუფრა,
რადგან ცას ვჭვრეტდით კრიალას,
სუფთას
და იმერთ — ზრდილი ზნე-წესის
უფალთ!



ჭყვიში. რიონისპირა სახლი —
 დგას სიტყვის უღევი მადანივით,
 დავდივარ ამ სახლის ახლოს
 მთლიანად ჟრუანტელატანილი.
 საღამო აქატი მოსულა, —
 ვერც ვიგრძენ საღამოს მობრძანება...
 მიღამო, ბეემედით მოსილი,
 მკარნახობს თაყვანს და მოკრძალებას;

რა მადლი წაეცხო ამ აკვანს,
 რა გზნება იმ ცხოველ იაღონს...
 ამ სახლთან რიონი ამაყად
 და ვალმოხდილივით ხშიანობს...
 ჭყვიში. რიონისპირა სახლი —
 დგას ლექსის უღევი მადანივით,
 დავდივარ ამ სახლის ნახვით
 თრთოლვა და ჟრუანტელატანილი.

მარტოობას რომ გაუმკლავდე

წაბლარისხევთან დგას ვეება, ბუბუნა
 მუხა, —
 ნუგეშისმგვრელად მოჩანს იგი, მწვანით
 ახალით,
 ის მარტოსული, ქარიშხალებს მარტოდ
 ნახალი,
 ვერ დაიმონა მარტოობის მცხუნვარე
 სუსხმა.

და სასაუბროდ გაუქროლებს
 ხანდისხან ქარი.

რაგინდაც სული დაეჩაგროს ობლობით
 მწუხარს,
 მარტოსულიც კი მუხა მაინც მუხადვე
 რჩება...
 დარსა და ავდარს იგი მუხის
 ღირსებით ხვდება...

შესაბრალია, თვით მუხაც კი, ეულად
 მდგარი, —
 რადგან საწუხარს ვერავის და
 ვერაფერს ანდობს...
 ეგ არის მხოლოდ, ამწვანდება
 ყოველწელს ამდროს

და სივრცეს ძალას მუხისებურს
 სთავაზობს უხვად...
 თუკი არსებობ ამ ქვეყნად და, მარტო
 თუ ხარ,
 მარტოობას რომ გაუმკლავდე, ხამს,
 იყო მუხა!

პაწია პასიეთი

პაწია სოფელი — პასიეთი, —
 ხელი აგიწვდება ცამდე,
 თუკი აგეწია ხასიათი
 და ხელის აწევაც სცადე.
 ვდგავარ და ეზოებს ვითვლი,
 ზეატაბებული ეგზომ...
 ვხედავ სარეკსა და ითხვისს,
 აბღუშელიშვილის ეზოს;
 ნიგვზები, ცაცხვები, ნიგვზები, —
 ნიგოზს აქ კაკლის ხეს ჰხმობენ...
 პაწია სოფელით ვიზრდები,
 ბინდი რთავს პაწია სოფელს.

არსით მანქანები... სიჩუმეა
 და ამ მყუდროების, მღუმარის
 დამრღვევი მარტოდენ ცაცხვის ხეა,
 ისიც, ქარი თუ ჰყავს სტუმარი.
 აქ მეტონიძეებს ვეწვიე,
 სტუმარი მათთვის უფალია...
 როგორაც იტყვიან, ცას ეწივნენ,
 ჩემი დანახვა უხარიათ;
 სოფელი დიდიაო, ამბობენ,
 დიდია პაწია პასიეთიც, —
 პაწია, ისე ვით ამბორი,
 და ცამდე ამწევი ხასიათის.

ერთხანს ვიდექით ჩხერიმელასთან,
შეთქმულეზივით — უსიტყვოდ,
უხზოდ;
ირგვლივ სიმწვანე დუღდა, დელავდა,—
მარადიული, უჟამო, უხნო.
და ჩხერის ციხეც იღგა მდუმარი, —
დარბაისლური, წყნარი იერის,
გულგადახსნილი და იდუმალი,
იდუმალი და იდილიური.

აქაც იგრძნობა ბრძოლების კვალი, —
ვინ ააგებდა უბრალოდ ციხეს...
დღეის სიმშვიდე და კარგი დარი
თავის. წიაღში უომრად მიხვევს.
ამ სივრცეს გულის ფიცარზე ვიწერ,
ჩხერიმელა კი დუღუნით მიდის...
თანდისთან ბინდში ეხვევა მიწა,
სულისშემძვრელი იწყება ბინდი.

მეც... გაწყვეტა ვალი

ფერსათი, დიმი, ზეგანი, ობჩა,
ჩირგვეთის და კორიშის მთები...
რაც ვნახე და რაც თავისით მოჩანს,
ყოველივეთი ვტკბები და ვთვრები.
ეს ნერგვეთი, ეს საკრალა,
ეს წყალთაშუა, ხანი და როხი...

მესალბუნება რა სასწაულად
მიწის გნებებით ნაქარგი ნოხი;
მაგრამ ბაღდათი მაინც სხვა არი, —
კრიალა ცითა და ხანის წყალით...
ვგრძნობ, ამ იმერთა მადლიან მხარის
მეც უსათუოდ გამყვება ვალი!

როცა...

როცა ამგვარი საფლავიც კი გვარგუნა
ბედმა,
როგორიც არის უწმინდესი საფლავი
გელათს,
ხანდისხან კიდევ მეჩვენება, ამოდ
ვღელავ,
და მომავალზე ოცნებასაც თამამად
ვბედავ.

გახსოვდეს, ვისი გორის ხარო, თანაც
გახსენებს.
ეს საფლავები არ ითვლება მიწად და
ქვებად,
ისინი ბრძოლის მოწოდებად ექცნენ
გონებას...
ეს საფლავები უტყვი მიწა ნუ
გეგონებათ,

როცა ძვირფასი სხვა საფლავიც
გვერგო ასევე,
რომელს „მწუხარე საქართველო“
ჰქვია სახელად;
ეს... თითქოს მიწა გაიძულეს თვალის
ახელას,

მათი ხსენებით ჩნდება ბრძოლის ყინი
და გზნება,
როს საფლავებიც ამნაირად გვაქვს
ღირსეული,
ვერ უნდა იქნე ვერავითარ მტრისგან
ძლეული.

ჟაბი მესამე

60850

ოთახში ბნელოდა.

გუძამ კარი მიიხურა და შედგა.

მასურიათ მაგიდაზე მბეჭუტავი ლამპა კუთხისკენ მოიჩოჩა, პატრუქს აუწია და სუფთა, ვაკრიალეზული ოთახიც ერთბაშად განათდა. სკამი გამოსწია, რას დგახარო, ბიჭს გაკვირვებულმა გამოხედა, თან აქ, მაგიდასთან დაჯექით, ხელით ანიშნა.

გუძა დაჯდა.

— რა გქვია? — ქალი ტახტზე მოხეჩხებულად შესკუბდა.

— გუძა.

— გუძა... — გაიმეორა ფიქრიანად და ნიკაპქვეშ მუჭამობჯენილი ტახტზე გადაიწწა.

ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ.

გუძამ ქალის სიჩუმით ისარგებლა და ირგვლივ მალულად მიმოიხედა. მის ხელმარჯვენე კიდეც ერთი კარი იყო, რომელიც მეორე ოთახში გადიოდა.

— სახლიდან ხარ გამოქცეული, ხომ?

— მასურია დაინტერესდა და, ეს გაუხარდა თუ ბიჭის ამჟამინდელი ფარული შიში ამოიცნო, სახეგაბადრულმა მოკლედ გაიცინა.

— არა...

თვალი ისევ ხელმარჯვენე, კარისკენ გააპარა... გულში შემოპარულმა ფიქრმა დაძაბა და სკამზე დააქვავა, ქალი მარტო რომ არ იყო... უფრო სწორად ვილაცა იყო იმ ოთახში, მის სიტყვასა და მოქმედებაზე სუნთქვაგაფაციცებული და ჩასაფრებული; — კაცი, რომელიც აგერ-აგერ შემოაღებდა კარს და მკაცრი, მოუაშული სახით ჰკითხავდა

— ვინ იყო, რა უნდოდა ამ სახლში, საერთოდ, რა ჩაიდინა და რისთვის გამოექცა სოფელს; არც ბაგის მკვლელობა იქნებოდა მისთვის დამალული და უმალ წააჩიქიქებდა, სადაც ჯერ არს... სასჯელს იოლად ვერ წაუვიდოდა. ავი ბაგისაც უთქვამს მისთვის, ფხიზელს მამაშვილურად დაურიგებია: ჩვენს საქმეში მარტო გაბედულება არ კმარა, ჩემო გუძა. მტერი მტერია და უნდა დაასწრო, მარა აქაც ფრთხილად უნდა იყო, ეცადე, სიკვილის წინ ველარ შემოგხედოს, თორე შენი სახე ასი წლის მერეც იქნება მის მზერაში აღბეჭდილი და საშიშია, პატრონი თუ გამოუჩნდა, შენს სამართალს რაღას დაგიდგენსო... ეხ... ბაგის პატრონი ვინ არ იყო და, შემოხედვა მაინც თუ მოასწრო, გადაგდავა.

— ტყუილად შიშობ, იქ არავინაა, — ხმა გაემკაცრებინა მასურიას, — როდის ჩამოხვედი?

— გუშინ... სამუშაოს ვეძებ... ლევარსა ბიძია... — თავს იმართლებსო, საცოდავად ალულლულდა, — დედა მომიკვდა და... — ველარ დაასრულა, ხმა ჩაუწყდა, თითქოს ხორხში ჩაეხა... არა, ნამდვილად არ უნდოდა ამის თქმა, თავისდა უნებურად, წამოსცდა, მომიკვდაო და ტყუილის შერცხვა, თავი ჩაღუნა და ტალახში ამოთხვრილ ქალამნებს დააშტერდა.

მასურიას ქვედა ტუჩი გაბუტული ბავშვივით შეებუხნა. ბიჭი გულწრფელად შეეცოდა, მკერდშიც (იმ ცოცხალი, ბაყაყისტოლა არსებისგან განსხვავებით) რაღაც უსაშველოდ თბილად,

სევდიანად აღმოძრავდა და, თავად გულშეპირვებულს, თითქოს მის კარზე მოგდებული უპატრონო ბავშვი იპოვაო, მასთან მისვლა და უბეში ჩაკვრა, ჩახუტება მოუნდა.

— მეც მამა არა მყავს, — თქვა და განზრახვისგან თავი შეიკავა, — შარშან, ზამთარში მატარებელმა მომიკლა...

— რატო? — გაიკვირვა, თუმცა, უმალ მიხვდა, რალაც ისე ვერ თქვა, მაგრამ არც ის წარმოედგინა, მატარებლებიც რომ კლავდნენ ადამიანებს.

— რამდენი წლისა იყო? — დაინტერესდა მაშურია.

— ვინ? დედა? ოცდა-ოცდათერთმეტის-ცამეტის...

ლოყებზე სიწითლემ აპკრა, მერე: ჩემთვის სამუდამოდ მკვდარია, აბა, რა არისო, ხელად გაუელვა, ბრაზი ყიყვივით წამოეჩხირა ყელში და ქალს თვალი თამამად გაუსწორა.

— ოცდაცამეტის?..

ჩუმად იკითხა მაშურიამ და სახე გუძაზე არანაკლებ შეეფაკლა, საფეთქლებიც აეწვა, მერე ნერვის ძალეში ფეთქვა იგრძნო და ხელისგულები ღონივრად მიიბჯინა, მოისრისა... კარგა ხანს იჭდა გასუსული, გაკვირვებული.

შეხედა. თვალი კვლავ თვალში მოუხვდა და არ მოეწონა ქალს ბიჭის ერთობ გათამამებული, უბოდიშო მხერადა, გაიბუტასავით, ვინ ოხერიოო, გაბრაზდა.

ბიჭი მართლაც უცნაურად მისჩერებოდა მაშურიას, რომელსაც, განაწყენების გამო სქელი, მარწყვისფერი ტუჩები იმოდენაზე წამოზურცებოდა, უმალ თვალში (ზედ მოჭარბებული სისხლივით) გეცემოდა და გუძას გააყრეოლა, რალაც გაბუნდოვანებული ფორიაქი თუ ვნება ჩაედვარა სხეულში... რა თქმა უნდა, იცოდა, ვინც იყო და რატომ იჭდა ასე, დალურსმულივით. ნათესავების გამოჩენამდე შეკედლებულს, საიდანაც ჩამოხინკულ გლახაკს, ცოდვიან მათხოვარს, რაიმეს გაფიქრების უფლება კი არა, სკამზე ზურვის წესიერად გამართვის ნება არ

ქონდა, ალბათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტახტზე შემოსკუპებული ქალის შიშველი მუხლისთავეები თუ ზედმეტად წამოზუსხული ბაგეები მხერას უშტერებდა და სხეულში კვლავ ამაღლეგბლად უვლიდა...

მაშურიას ყურებმა შხუილი დაუწყო, ისევ წამოჭარხლდა, ახვარხვალდა და ტახტიდან ჩახტა.

— მშვიერი იქნები. — ამის გახსენებამ შეება მოჰგვარა და გაიხარა, — ლობიო მაქვს და... პური. — კუთხეში, ნავთქურასთან მივიდა და ჩაიმუხლა,

— ახლავე გაგიცხელებ... ხომ შეჭამ?

— კი-ი...

შიშვლის ტლანქმა შეგრძნებამ ყელში წაუჭირა, კუჭმაც საგანგებოდ, თითქოს გაავებული ლეკვი შიგ ჩაძვრომიოო, შემოულრინა და ააწრიალა, მერე ზურგში მოიხარა, იდაყუები ცარიელ მუცელზე მიიჭირა და იმდენად დააწვა, სახე გადაუფითრდა.

მაშურიამ ნავთქურას მოუკიდა, ბუჯერიდან თუჯის მომცრო ქვაბი გადმოიღო და ზედ შედგა.

— მამამ დედინაცვალი მოგიყვანა სახლში და გამოუქეცი, არა? — უხერხულად ჩამუხლულმა, გამოუხედა.

— არა... დედა ერთი კვირის წინ მომიკვდა...

ეს რაებს ვროშავო, ისევ წამოწითლდა გუძა და წელში გასწორდა.

ნავთქურასთან მაშურია იდგა, თუჯის ქვაბი კი ნელ ცეცხლზე თბებოდა და ეამა, გულზეც მოეშვა.

— მერე? — ქალი კითხვად იქცა, — მერე? — გაიმეორა და ბიჭისკენ ნაბიჯი გადმოდგა.

გუძამ დუმილი არჩია.

ქალი მიხვდა, საუბარი რომ უჭირდა და თავი ანება, ისევ ბუჯერთან მივიდა.

— კარგი, თუ არ ვინდა, ნურაფერს იტყვი, — ჯამი გამოიტანა და წინ დაუდგა, — პური ცოტა მაქვს, მაგრამ შენ გეყოფა... მჭადის ფქვილი გაგიტავდა და დედა ბიძასთან წავიდა სოფელში. — რალაც უფერულ ქინძში შეხვეული გახსნა და მუჭისტოლა შავი



პური მაგიდაზე დადო, მერე დანისთვის შებრუნდა.

გუძამ პურს თვალი ვედარ მოაცილა, ვერც ნერწყვი შეიკავა და პურზე რომ არ ეტაცა ხელი, თითები ერთმანეთში ჩახლართა, ლაჭებშუა მოიქცია და სკამზე გადაირჩა.

— გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, — თქვა მამურამ და, რას იტყვისო, გაისუსა. ბიჭის გულგრილობამ თუ იმან, ვააბრაზა, რომ გამხმარ, დაფარულ პურს ვერ ჭრიდა ხეირიანად, ვერც მაგიდას სწვდებოდა თავისუფლად, — იქნებ შენ დაჭრაო, დანა უხეშად დაუგდო მაგიდაზე, თან ჯამი ცხვირწინ ააცალა.

გუძამ დანა აიღო და თითები ისე ღონივრად მოუჭირა, მუშტი გადაუთეთრდა. რად უნდოდა პურს დაჭრა, ისე არ შეიჭმეოდა თუ რა? დანა დაუსვა და შავი, გამოფშუტული ცომის გუნდა კიდევამოუმწვარ თიხასავით შემოეფშვნა.. მამურისას გახედა და, დრო თუ იხელთაო, მაგიდაზე მიმოზნეული ნამცეცები მოხვეტა და პირში მუჭით ჩაიყარა, ჩაყლაბა.

— იცი, რამდენი წლისა გავხდი? — ორთქლადენილი ლობიოს ჯამი ფეხაკრეფით მოჰქონდა მამურისას, — ოცდაოცდა...

ხელიდან არ გაუვარდესო, გუძამ შიშით შეხედა, მაგრამ მისაშველებლად წამოწევა ვერ გაბედა.

— რა გიკვირს? გგონია, ვტყუი? — ხმაგანაწყენებული შეყოვნდა, მერე ჯამი წინ დაუდგა და განზე გადგა, თვალები უაზროდ გაუშტერდა, — ჩემთვის ისედაც სულ ერთია, რამდენის ვიქნები... არავის ვახსოვარ და იმიტომ! — თქვა ჩუმად, რაღაც სინანულით.

გუძამ ცხვირში გაურკვეველად წაილულღულა...

ლობიოს გამაღიზიანებელი ოხშივარი ეცა ნესტოებში და ხელი კინაღამ ყელზე იტაცა, მზერა ძლივს მოაცილა ჯამს და, სკამზე აწრიალებულმა, ქალამნიდან გამოფშევილი ცერი, მეორე ფეხის ტერფით დაიფარა.

— ჭამე, ნუ გერიდება...
სულმოუთქმელად და ხარბად დასვა და... თითქოს პირველად გაუსინჯა გემო ასე ამო და სანუკვარ კერძს...

სული მოითქვა. უკვე მაძღრისად და გაბადრულად ილუქმებოდა, აწობდა პურს ჯამში და ლობიოიან თითებს გემრიელად ილოკავდა.

მამურია კი კვლავ ტახტზე იყო წამოსკუბებული; მსხვილ, კუნტულა ფეხებს უდარდელად აქნევდა და ბიჭს თვალმოკუთული შეჭყურებდა.

გუძამ თავი აიღო, პირზე მოჩერებული ქალის დანახვაზე დაიმორცხვა, მაგრამ ჭამა მიანიც არ შეუწყვეტია.

მამურისასაც მოერიდა და ტახტიდან ჩახტა; ხან ბიჭის ზურგს ამოეფარა, ხან ბუჭერთან იფოთილა, იწრიალა, მერე მეორე ოთახში გავიდა. მალე გამოვიდა და შუშის მრგვალი, ვიწროყელიანი მომცრო ჭურჭელი და სათითურებივით ორი სირჩა გამოიტანა.

— არაყია. იქნებ ვინმე მოვიდეს-მეთქი და გადამაღული მქონდა. აი, მარტომ რამდენი დავლიე გუშინ. — შეანჯღრია და ჩანახევრებული ჭურჭელი უჩვენა, — ხომ დაგიღვეია?

— არაყი? — პირგამოტენილმა ბიჭმა წყენით იციოხა.

მამურისას გაელიმა და არაყი ჩამოუსხა. სირჩა მოიქაფა, მერე დადგა, ჯაჭვი ჩაიტხა.

და, გუძამაც, აბა, თუ არ დამიღვევიაო, სირჩა უმალ აიღო, — უჰო! — თქვა და გადაჰკრა, მერე პურის ნაფხვენები წამოკრიფა და ერთბაშად პირში ჩაიყარა.

— რა მაგარი ყოფილხარ, — განაწყენდა მამურია, სახე წამოუწითლდა, მერე ხელში შერჩენილი ცარიელი სირჩა მაგიდაზე ბრაზით დადგა, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა.

გუძა ვერაფერს მიხვდა, რატომ განაწყენდა, თუ ნათქვამს წაუყრუა, ქალს თვალი ბეცივით მიადევნა და, კარი რომ გაიხურა, ჯამი ცერით პირწმინდად ამოასუფთავა, გაილოკა, მერე გულსავსე და მზერადაწმენდილი, სკამის ზურგს



მისკენა, მუხლი გაშალა, მუცელზე კმაყოფილმა მოისვა ხელი და, რახან მამურია ოთახში აღარ იყო, ირგვლივ თამამად მიმოიხედა.

ოთახში მაგინა, ორი მაღალბურჯიანი სკამი და კედელსმიდგმული წარღვნისდროინდელი ტახტი — კიდობანი იდგა. ნავთქურის გვერდით, იატაკიდან ჰერამდე ფიცრის ღია ბუჯერი იყო, სადაც სხვადასხვა ზომის თიხის, ხის ჭურჭლეულობა ელაგა.

მამურია კი სიბნელეში იდგა და თავად ვერ მიმხვდარა იყო, ბიჭისგან რა ეწყინა, გარეთ რისთვის გავიდა. უკან შემობრუნება დააპირა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა და სახლის ლაფაროს უჩუმრად მოშორდა. ფეხს ისე მსუბუქად და შიშით ადგამდა, თითქოს გრილ, ცვარშებარულ ბალახზე პირველად გაველო ფეხშიშველას — ნემსებივით რომ იჩხვლიტებოდნენ და სხეულში ყრუანტელად უვლიდნენ...

ოლაგესთან შედგა. შორდიების სახლის ფანჯრები ჩაწყვარებულიყო.

მაინც სად უნდა წასულიყო დედო, დაიფიქრა, ოლაგეს მოხერხებულად გადაადლოდა და მეზობლის სახლისკენ უაზროდ წაჩერჩეტდა.

სანამ შორდიების ლაფაროს მიაღწევდა, ოდესღაც აკვიატებული ლექსი გაახსენდა და, თავისდა უნებურად, მოჰყვა ჩურჩულს (მამამისის საყვარელი ლექსი იყო, ერთციცქნა მამურისას ცალ მუხლზე დაისვამდა, ზევით-ქვევით ახტუნებდა, აცეკვებდა და წამლერებით ასწავლიდა): ათ გულდა ნაცარს ვიშოვი, ათ გულდა მახათს ვიშოვი, ნაცარს თვალელებში შეგაყრი, მახათს გულში გაგიყრიო...

შედგა. გაუქვირდა, რა უნდოდა აქ. შორდიების ეზოში, ან ეს ლექსი რა იყო, ვისთვის და რატომ უნდა გაეყარა მახათი გულში...

ფეხის ხმა მოესმა... ვერ მიხვდა, საიდან უახლოვდებოდა ეს ხმა, შიშით ვერც უკან მოიხედა... ჰა, მარწუხებივით ხელეები ეცა ილღიე-

ბში, მიწას ერთბაშად მოსწყვიტა და ზეიარტაცა... იმდენად ღონივრად ჰქონდა და ვილაცის უხეში, დათვის ტორივით ხელი ცხვირ-პირზე აფარებული და სახე მასში ჩაკარგული, რომ შეეყვირებაც ველარ შეძლო და რალაც სუსტად, გაგუდულივით, მიაწვილა... მეორე, მკერდქვეშ სიგანეში შემოსალტულ მკლავს ჰაერშივე ჰყავდა გაქვავებული და შებოჭილი.

სუ, მე ვარ, მამურია, ნუ გეშინიაო, თითქოს ზემოდან გადმოებნა და თმა შემოუტრუსა ვილაცის ჩახლჩილმა, ნალვერდალივით მწველმა და ფუთფუთა ბგერებმა... რალაცის თქმა მოუნდა, უფრო სწორად — დააპირა ეთხოვა, ნუ დამახჩიო... ხმა რომ ვერ ამოიღო, მამაკაცის გაოფლილი, აყროლებულივით ხელისგული კვლავ პირზე დააკვდა, დაესრისა და თავადაც გამოუვიდა ოფლი კბილებიდან... რომ ვერ დაუსხლტა ასე მომგუდვდ, ვახჩიობელა მკლავს, მაშინ საშინლად გამწარდა და, როცა უცნობის ნეკიც მოხვდა პირში შემთხვევით, მწარედ უქბინა...

კაცმა დაიზამუვლა და ისე უხეშად ჰკრა ხელი ზურგში, მამურია წინ გადავარდა, ორივე მუხლი დაჰკრა ლაფაროს დატყეპნილ მიწას.

უმალ წამოფუტცხუნდა და გან-გან, სახლის კედელს ატმასნილი გასხლტა, ორსამ ნაბიჯზე გაიყინა.

ხელად ეცნო... მათი უბნელი კაცი იყო, ნავთის წერტის მუშა... დედეს ეზოშიც ხშირად მოუკრავს თვალი მისთვის და შედამებულზე შიგ რომ გაუჩინარებულა, ის ბაყაყისტოლა ლეკვი, სხეულში რომ ჰყავდა მშიერ-მწყურვალი დამწყვდეული, მისდა უნებურად, აწრიალებულა.

რა იყო, შე გომბიო? — ავად იღრინებოდა მეზობელი, თან ნაკბენ ცერს სულს გამალეებული უბერავდა. დედეს სახლში აღარაა და... — მისი არყოფნა გაასაიდუმლოვასავით, მერე: ხომ არ გინახავსო? — ხმაც ერთობ მოუღბა.

ზაურ კალანდია
თამი მისამი

„არაო“, — ბნელში თავი უაზროდ გადაუქნია მაშურია.

კაცმა კარგა ხანს უყურა გამოღენჩებულ, ბენტერა ქალს, თავს აქეთ-იქით რომ აქიციებდა და: თფუი, შენია!.. — უკვე ბილწად შეიგინა, ზიზლით გადააფურთხა, მაშურიაზე არანაკლებ თავის თავზე გაბრაზებულმა და ჭიშკრისკენ ფეხაჩქარებული გავარდა.

მენათე ჭიშკარს გასცდა, მისი ფეხის ხმა რომ მიწყდა, ჯერ კიდევ გაოგნებულ მაშურიას ტირილი მოუწდა. მაინც ვერ გაეგო, რა მოხდა, რისთვის მოეპარა და რას ერჩოდა ის კაცი საწყალ მაშურიას? ან თავად ასე მწარედ როგორ უკბინა?

ბნელში, საბძლის კარივით უხეშად, ყურწამლებად გაიჭრიალა რაღაცამ და, ხომ არ მობრუნდაო, პირი სახლისკენ იბრუნა, გაიქცა...

მაშურიაო, ნაცნობი ხმა მოესმა და გაქვავდა. დედეს ხმა იყო, ჩურჩულით. საიდუმლოდ მოუხმობდა ღია ფანჯრიდან.

— ვინ ოხერი იყო, გოგო? — იკითხა დედემ.

მაშურია მთლად დაიბნა.

„ვინ იყო და, ის კაციო“ — ფიქრში გაეპასუხა სულელივით.

— რამ გამოვაბენტერა, გოგო? — ქალის ხმას სუსხი გაერია.

თეთრი, ქათქათა, მთვარესავით გულამოჭრილი პერანგი ეცვა დედეს, ძუძუშეკრდიც ისე სასვედ უთიმთიმებდა და უნათებდა, თითქოს სახლის ღია და ღამეზე უფრო ჩაწყვარამებული ცალი თვალი მით უნდა ამოავსოსო... მართლაც, ისეთი ლამაზი და გაფაშფაშებულ იყო დედე, მაშურიათ თვალი ვერ მოსწყვიტა, მერე თითქოს შერცხვავო, ზანტად შეტრიალდა და სახლისკენ თავჩაღუნული წავიდა.

დედე, დეიდაო, ოლაგესთან შედგა.

ვინაა, გოგო, შენი დეიდაო? — გაწყრა ქალი, მერე: წადი და „იმას“ მიმიხედე, როგორმე არ გამიცოიო, მკვახედ ესროლა, გადაიკისკისა და ფანჯარა ხმაურით მიიხურა.

მაშურია შეცბა, ნაბიჯი ველარ შორნაცვლა და იქვე ჩაიძუხლა, ყურფიხე ხელები შემოიწყყო, ატირდა.

ოთახში შემოსულ ქალს გუძამ გაღიმებული მზერა მიაგება. მაშურიას, ეტყობა, ჯერ არ განელეობდა წყენა და ისე ცივად შეხედა, გუძას ტანში გასცრა.

— ჯერ არ ჩანან, — თქვა ჩუმად და კარს დაძაბული მიეყრდნო, გონება მოიკრება, — ლევარსა ბიძია არ მოვა, ალბათ... როგორც ვიცი, ღამეს შინ იშვიათად ათევს და იმიტომ...

— ბიცოლა?

— დედე? — რამე უკმეხი არ წამომცდესო, შემცბარამ პირზე ხელი აიფარა. მაგიდას მიუახლოვდა, სუფთა, გლოკილი ჯამი ცხვირწინ ააცალა, მეორე ოთახში გაიტანა, კარი ღიად დატოვა, — ვინ იცის, დედე სადაა.. — იქიდან მოესმა.

— რატო? — კარისკენ ფიცხლად შეტრიალდა.

— არა, შეიძლება, შინაა... — თავი შეიკავა მაშურიათ. — იქნებ გასულიყავი და გენახა? — კარში ჩადგა, წირთხლს ზურგით გაეხახუნა, მიესვენა, ხელში შერჩენილი ცარიელი ჯამი გადაატრიალ-გადმოატრიალა, — რამდენი წლისა ხარ?

— ჩვიდმეტის...

— ამდენის თუ ხარ, კი უნდა ხვდებოდე რაღაცას!.. — მკვახედ თქვა და ბიჭზე, იმ მეზობელ მენავთეზე თუ ვიღაცაზე უაზროდ აღრენილმა, ისევ გარეთ გასვლა ამჯობინა.

რა მოუვიდაო, გუძა ვერ მიუხვდა.

მაშურია კი არ ჩანდა, იგვიანებდა და უკვე გამძღარ, თვლემამორეულ ბიჭს გააზმორა. იმ ორ ყლოუზ არაყსაც საგრძნობლად ემოქმედა და... ეხ, რა სჯობია ახლა ძილს... ერთი, ორი, სამი დღე-ღამისო, ინატრა, ტახტისკენ მალულად გაიხედა, მერე ქუსლიც დააბაკუნა ქვევით, ის აინტერესებდა, მართლა ფიცრისა იყო თუ არა იატაკი...

მაშურია შორს არ წასულა. გარეთ,



ლაფაროში, კედელს აკრულივით იდგა და განაწყენებულ თუ უცნაურად აფორიაქებულ გულ-გვამს სიგრილეში იმცხრალეზდა. ძნელი იყო, ტანი უფრო უხურდა, მენავთის მკლავის ნაკვალევზე (ცერზე რომ უკბინა და ის მარწყუხიც დაგრეხილი წნელივით სხეულზე უხეშად აუსხლტა), ხორცი დამწვარდათუთქულივით ჰქონდა... თურმე სახელიც კი სცოდნია მამურიასი! არადა, ადრე საღმის ღირსადაც არ თვლიდა ის კაცი და წედან რა მოელანდაო, უკვირდა, ასეთი უხეშობა მაინც რაღა იყო! დედესავით თუ არ უთიმთიმებდა გულ-მკერდ-კისერი, ისიც ქალი იყო და, ჩვეულებრივ, მასაც უქიქინებდა ნიავი კაბისქვეშ, არც სხვაზე ნაკლებ გამოუწურავს და დღესაც გამოუწურავდა გულისწორს ოფლსა და ვნებას... ან დედე თუ იყო სახლში, რატომ არ შეუშვა, მაგრამ სხვა ვინმე ეყოლებოდაო, მოულოდნელად დაასკვნა და ამას რომ მიხვდა, გაუხარდა.

რაღაც გაახსენდა, უფრო სწორად, მამამისის ნათქვამი და ნერვიულად გაიციინა.

ერთხელ, საღამო ხანს, მამა, დედე და მამურია ჭიშკართან ისხდნენ და საუბრობდნენ. ვიღაც კაცმა ჩამოიარა. მამა-შვილი მიხვდა, დედეს ნაცნობთაგანი რომ იყო, მაგრამ მათი ერთსაც მოერიდა და მეორესაც. ის კაცი შორდიების ჭიშკარს რომ ვასცილდა, დედე აწრიალდა და, მაშინ მოულოდნელად თქვა მამამ: ერთი კაცი საკმარისია ქალისთვის, ორი კი — ცოტა, ჩემო დედეო... მამურია ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა მამა, მაგრამ შეკითხვა ვერ გაუბედა, რატომ იყო „ერთი საკმარისი, ორი კი — ცოტა...“

სამაგიეროდ, ახლა ხომ ვიცოი, გაიფიქრა და ხელში შერჩენილ ჯამს უაზროდ დააშტერდა. უცებ გაბრაზდა და ჯამი დაანარცხა, მერე, თითქოს ჯავრი მასზე უნდა იყაროსო, ზედ ფეხებით შედგა და მიწაში წიხლებით ჩაჭყლიტა.

— ისეთი არეული ღროა, ათასი ძა-

ლი-მამაძალი დაძრწის... — მამურია შემოვიდა და კარს ურდული გაუყარა. — აწი არ მოვლენ... — ბიჭს თვალი ააჩინა და, — რომც მოვიდეს, დედეს იმედი მაინც ნუ გექნება, — გაბრაზებულმა წაიღუდუნა.

უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ბიჭი ამ ღამით თავისთან დაეტოვებინა და თამაზად შეჩედა. აშკარა იყო, არც გუმა აპირებდა სადმე წასვლას. იჯდა კმაყოფილი, მამძარი, მამლიმალ თავხედური მზერაც რომ გამოუსხლტებოდა ქალისკენ და მამურიაც მიხვდა, რომც მოენდომებინა, გაგდებთაც ვერ გააგდებდა დღეს აქედან და, ასეთ სითამამეს რომ არ მოელოდა, შეცბუნდა: რა იყო, პირველად ხომ არ მხედავო, ნაძალადევად თუ რაღაც ორჭოფულად გაუღიმა.

— რას მიყურებ?

— რა? არაფერი... — გუძამ დაიმორცხვა.

— კარგი. დამშვიდდი, — თქვა მოგვიანებით, ბიჭი შეიცოდა, — აგერ, ტატზე წამოწევი... ოღონდ ეგენი გაიხადე. — ტალახიან ქალამებზე მკაცრად მიუთითა.

ნავთქურა ჩააქრო, ლამბას ბოლომდე დაუწია, ჩამოაბნელა იქაურობა, მერე — ნუ გეშინია, აქ არავინ მოვაო, ბიჭი დაიბედა, შეტრიალდა და მეორე ოთახში გავიდა. კარი შიგნიდან ხმაურით გადარაზა.

გუმა გამოცოცხლდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მამურის არ გადაეფიქრა და ეს ღამეც, წუხანდელივით, ქუჩაში თუ ტობაწყურის პირას, შიშსა და ცახცახში არ გადაეთენებინა.

ქალამები გაიხადა, ტატზე წამოწევა და ფეხები უღარდელად გაშვართა.

რა საოცარი შვება იყო, რაღაც უსაზღვრო ბედნიერება — ასე მამდრისად კოტრიალი და ძილი, ძილი...

კარმა გაიჭრიალა...

თავი წამოყო და კარს მიაჩერდა.

მამურის მკერდზე მუთათა მიეხუტებინა და გრძელ, კოჭებამდე პერანგში

(თავდაც მუთაქსავით მრგვალი და პუტკუნა) მოგორავდა...

წამოჭდა, ფეხები ქვევით ჩამოყარა.

— იწეჟი. უმუთაქოდ ცოდო ხარ...

თავით დაუდო, მზრუნველად გაუსწორა, მერე თავზე ხელი გადაუსვა და თმა აუჩეჩა...

ბიჭი გაილურსა.

ქალი დაიხარა: რა საწყალი ვინმე ხარო, ყურში თბილად უჩურჩულა, თბილადაც აკოცა და შებრუნდა.

— მადლობა...

ხმა კართან მიაწია.

და, მადლობა თუ ეუცხოვავო, ქალი შედგა, გაოცებულმა გამოხედა, რაღაცის თქმა დააბირა და ასე; ყოყმან-ყოყმანში კარი გაიხურა, მერე უფრო ხმაურით გადაკეტა.

გუძა ისევ გაწვა და ხელები თავქვეშ ამოიღო.

მაინც სხვა იყო თავის სახლში ორარშინიან კიღობანზე უხერხულად ფეხმოკეცილი რომ იწვა... ნეტავ რა ამბავი იყო ახლა იქ?

არაფერიც! თითქოს გონება ჰქონდა სამუდამოდ დახშული, ვერაფერი მოიგონა, ვერც წარმოიდგინა, ისე უმალ წაართვა ძიღმა თავი და მალე მისი ფრთხილი და ნარბენი კაცივით აჩქარებული, წყვეტილი სუნთქვა გაისმა ოთახში...

რაღაც სასიამოვნო გრძნობამ გამოაღვიძა...

არა, კარგა ხანს მაინც ვერ გაერკვა — ჯერ კიდევ სიზმარში იყო, მის მსუბუქ ფრთებზე მიიჩწეოდა, თავად სიზმარივით ამჩატებული და მონუსხული, თუ ცხადში ხდებოდა ყველაფერი... არადა, სიზმარშიც ქალს ხედავდა; უცხოსა და მასზე მზრუნველს, ახლობელსა და აღტკინებულს, ვნება ტუჩებზე სისხლივით რომ ასკდებოდა და...

უცებ გაშიშვლებულ მკერდზე იტაცა ხელები, თან, როდის გავიხადეო, შეშფოთდა. თუმცა, ეს კიდევ არაფერი! ვიღაცა მხრებში ჰყავდა ჩაფრენილი, ანჯღრევდა, ღონივრად ბურჯნიდა... ვიღაცა კი არა — სხარტად მოძრავი

არსება: მკერდს, მხრებს, მუცელს ხარბად, გახელებით რომ უკოცნიდა და შეშინებული ბიჭი უკან-უკან, კედლისა და ტახტის ზურგის სამკუთხედს მიეჭეჭეჭა... არ ანებებდა იგი თავს, ათრთოლებული და თვალმდამოკიდებული მისკენ ჯიუტად მობობდავდა, შურშურით ხდიდა ხალათს, ატიტვლებდა, თან — რა თბილი, რა საყვარელი ხარო, დასიცხვლივით ჩურჩულებდა. უკვე არც გუძა უძალიანდებოდა ამ გამოგნებელ და უცხო, რაღაც სიზმრისებულ მდგომარეობას თუ სინამდვილეს... ციებიანივით ცახცახებდა, თითქოს თითოეული კოცნა გულ-მუცელს უწვავდა, ძვლებს ურბილებდა და ღვენთავდა... ნუ გეშინია, ჩემი ბიჭი, მხოლოდ მოფერება მინდა, შენ არ იცი, რა მარტოსული და უბედური ვარო, მაშურისას აქოშინებული ხმა-კანკალი უეღუოდ აყურებში, სავსე, თეთრი ქაფივით ფოშფოშა სხეულის სიმკვრივე კი მის გაჩხინკულ სხეულს ზემოდან ღონივრად აწვევებოდა, ფარავდა და ისიც საბოლოოდ მოეშვა თუ მინებდა, წელში კმაყოფილი, დამტკბარივით, გაიდრიაკა...

ქალმა მკლავები იღლიებში შეუტურა, მიიზიდა და ქაფქაფა, კერტებდაცქვეტილ ძუძუებშია ჩაიკრა ბიჭის დასიცხვლი, ლოყებაღუებუნი პირისახე და ახლა: შენც, შენც მაკოცეო, თხოვა...

არა, ეს მართლაც სიზმარი უნდა იყოსო, დაასკვნა გუძამ, მერე, რახან სიზმარია, მეც რომ ვაკოცო, რა მოხდებოდა და, თამამად აკოცა. აკოცა ერთხელ; მეორედ და... თითქოს რაღაც საოცარ სიმხურვალე-სიამეში ჩაყვინთაო, საბოლოოდ გაბრუვდა და მალე მართლაც სიზმარს დაემსგავსა ყველაფერი...

3.

თენდებოდა.

მდინარე ტობაწყური არ ჩანდა, თითქოს დილის ნისლს ერთბაშად შეესრუტა, გაეჭრო და ახლა აქეთ, რიყისკენ

მოიწვედა ღრუბელივით მკვრივი, რძისფერი ბურუსი...

ჰერი ცივი, მსუსხავი და კრიალა იყო.

სანაპიროზე, დაშლილ ყორესთან, ვილაც კაცი იწვა ნაბადში მჭიდროდ გახვეული.

კაცმა გამოიღვიძა, პატარა, მელოტო თავი ნაბდიდან მკვირცხლად გამოყო და მდინარის ხმაურს კისერწყაყუნცულმა მიაყურადა, მერე ცას, ნისლში რომ დანთქმულიყო, უაზროდ ახედა და გაყურდა.

კუქნათავიანი კაცი ფიქრს მიეცა...

მართლაცდა, სად იყო და რა უნდოდა აქ კინჭული კუდას — უცნობ ქალაქში, ტობაწყურის პირას, ეამთასვლისგან დაშლილი ყორის გვერდით, ახლა უშნოდ ახირხლული ქვეები ქვეებზე გროვავ-გროვად რომ ეყარა — მათ შორის ვითომ უშიშრად შემძვრალს და ჩაწნებხილს... არადა, გუშინ საკუთარი სახლ-კარი და, რაც მთავარია, ქალაქის ფულით სანახევროდ ამოზებილი ზანდუკი ჰქონდა, დღეს — არაფრისმქონე, ნაქურდალ ნაბადში გახვეული, ცოდვილიც რომ იყო და, რიყეზე გარჩენილი კალმახივით, სულს ღაფავდა. ასეთი რა შესცოდა განგების წინაშე; მათხვრად არ ექცია, არ ექურდა, ემამაძალა და ლუკმაპური ისე არ ეშოვა, ერთ დროს მუხლჩაუხრელ და სიცოცხლეხარბ, მშრომელ გლეხკაცს... არადა, დღეს ღამეს სად გადაითენებდა, დილით არ იცოდა. სადაც ნაბადს გაშლიდა, იქვე მცირე ხნით ჩათვლემდა და ეგ იყო.

გაზაფხული იწურებოდა...

თბილი, მთვარიანი ღამეები იდგა და კვირაც ილეოდა, ბოლო დროს აქ, რიყეზე, მორღვეულ ყორესთან ეგდო ლეშვივით კინჭული კუდა, თავისსავე მსხვერპლის — ძოდო ლოგუას ნაბადში გახვეული, შიშით ძილდამფრთხალი და შიმშილისგან მომჩვარული... თუმცა, ძილი ისედაც კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა, ძნელად სტუმრობდა, თუნდაც დღეს ოდესღაც საოცნებო ლოგუ-

ების ჯალაბობას მისთვის სანეფო ლოგინი გაეშალა ოდა-სახლის „ზალაშ“ ფეხები თბილი წყლით დაეთუნებინა თვალტანმაკვარანცხ მაცირიას, იცოდა, მშვიდი ძილი მაინც არ ეღირსებოდა. ზოგჯერ თავს ძალად იმშვიდებდა; ღია ცის ქვეშ წოლას და წყლისპირა ღამის სინოტივეს აბრალიდა უძილობას, ხან კიდევ — გაზაფხულზე შესამჩნევად მოდიდებული და ბნელში ერთი-ორად გაზრდილი მდინარის ყურისწამლებ შხუილს, მაგრამ გულისგულში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ერთი იყო ან მეორე...

კაცმა რომ თქვას, იმ მეხვივით თავს დამტყდარ უბედურებამდეც იყო თავის ბედ-იღბალზე თუ ახალ დროებაზე აღრენილი და სოფლიდან გაქცევა ისედაც განზრახული ჰქონდა, მაგრამ ვინ აცალა! ჰმ, ხომ ვიცი, იმათმა უფრო ადრე გამწირესო, წუხდა და თავადაც მზად იყო, არც არავინ დაენდო...

იმ დღეს, რომ შეღამდა, უკვე გადაწყვეტილებამიღებული კინჭული კუდა ადგა. სამზადიდან ჭრაქი გამოიტანა და გომურში შევიდა. კარი შიგნიდან ჩაქეტა, ბარი მოძებნა და ერთ კუთხეში მიდგა.

დიდხანს იწვალა, იჯახირა და, როგორც იქნა, ღრმა ორბოდან ამოთხარა რკინის მომცრო, ოთხკუთხა ზანდუკი...

გომურის შუაგულისკენ გამოაჩოჩა... ლამივით მიწა ბარის პირით შემოუფხიკა, თითებიც მიაშველა, ჩოხის კალთით გადაუპრიალა თავსახური, მერე ჭრაქი უფრო ახლოს მოიჩოჩა და დანის პირი ხუფს შეუტყურა...

ობის მძაღე სუნი ეცა...

ხომ არ დავიღუპეო, შეშფოთდა, ხელი შიგ ჩაყო და ერთბაშად მობოჭილი ფული შიშით დაყნოსა. დანესტილიყო ფართო, ლობიოს ფურცლისტოლა ქალაქის ფულეები, დასტა-დასტად რომ ეწყო ზანდუკში, მაგრამ ხომ ეწყო უენებელი, უფრო სწორად — ვარგისი და, ნესტს და სუნს რაღას და-

ექებდა, იღებდა და უწაუწა ითვლიდა, თან მომცრო ტომისკაში ჩურთავდა

ძუნწი, ქვაწურია კაცი იყო კინჭულ-კულა. ფულზე სულს ლევდა, კაპიკს კაპიკზე აწებებდა და მიწაში დებდა. თხუთმეტი წელიწადი ინახავდა ამ რკინის ყუთს... თავიდან სხვა განზრახვა ჰქონდა, უფრორე — ფული იმისთვის მჭირდებო, ფეჭობდა; წაბლის ჩუქურთმებიანი მეგრული ოდა-სახლი, შინდისფერი ჩოხა-ახალუხი, ქალაქელი ხელოსნის ნახელავი წულამესტები და, რაც მთავარია, იმ ბედნიერი დღისთვისო, როცა პატარა, მაგრამ ძანძახეს კუპატივით ჩაპუტყუნებულ ლოგუახე ქალს შემოაბრძანებდა ხვე-ბარაქით გადადიდლაგებულ ოჯახში, კვერცხივით შემოიგორებდა მაკვარანცხ მაცირიას რკინის ჭრაჭუნა, ზამბარებიან საწოლში, წინა კვირას ტობა ქალაქიდან რომ ამოიტანდა საკუთარი ხარ-ურმით...

ოცი წლისა იყო, ლოგუების ოჯახს უფროსი ძმა გებენი და ორი ახლობელი კაცი რომ მიუგზავნა — თქვენთან დამოყვრება მინდაო და უმცროსი ქალიშვილის — მაცირიას ხელი ითხოვა. მაცირია მაშინ ცამეტისა იყო და ჯერ რა დროს მისი ვაზთოვებაა, მასზე უფროსები სახლში მიზიანო, საპატარძლოს მამა შეწუხდა და თავზიანი უარით გამოისტუმრა კინჭულის მაჭანკლები. კიდევ სამი წელი დაელოდა და უკვე თავისი ფეხით ეახლა სასიამოროს. არც ახლა გადაუშლიათ გული კინჭულისათვის, რაღაც მიუკიბ-მოუკიბებს. ისიც არ მოეშვა (ხელობა კარგი მაქვს, მტერ-მოყვარეც ვიცი, ზოგიერთივით ვოდორში კი არ ვაგზრდილვარო, ქალის მშობლებს ჯიუტად უმეორა), მაგრამ უშედევოდ. ნამეტანი უქონელი ხარო, საბოლოოდ აღარ დაუმალეს და შინ კუდამოძუებული გამოისტუმრეს.

ეს მართლაც შეურაცხყოფელი იყო! ბოლოს და ბოლოს, არც ლოგუებს გადასდიოდათ თავზე ერბო და გულზე შემოენთო, მაგრამ განაწყენება რალას უშველიდა, ქალის მოტაცება კი, მაცირიას ხუთი ძმის შიშით, ვეღარ გაბედა.

იმოდენა ფული უნდა ვიზოვო, ლოგუებს თვალი დაუყენო და აქეთ უმეორე მხებვეწონო, მეორე დღეს ახლობლებში დაიქანდა. ასეც იზამდა, ცოტაც რომ დასცლოდა! მართლაც, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, სიტყვა საქმედ ექცია. უფრო მეტიც! თუმცა, რაც დრო გადიოდა, იმდენად მაცდური და ხელმანკი აღმოჩნდა ეს დაქადნება თუ წაღილი, ზოგჯერ თავად ვაჭარავდა ეჭვი, ქალზე მეტად გულში ფულის სიყვარული ხომ არ ამომჭრიაო. ისე კი, სანამ რაიმეს იზოვიდა, საკმაოდ შეაგვიანდა.

კინჭული კულა დღეს ორმოცს იყო მიტანებული, მაგრამ ამხელა ზანდუკის (თუნდაც სანახევროდ!) ფულით ამოხევა ხომ არც ისე იოლია! თან, თითქოს მის ჯინაზე, წლებიც სასწაულად ჩქარა გარბოდნენ, ცხოვრება ჯიბრში ჩასდგომოდა საწყალ კაცს; დღითი დღე ძვირდებოდა და ძვირდებოდა, და ამ გასაჭირის ყამს ინახე ფული მიწაში, თუ ბიჭი ხარ!

თუმცა, ჯერ სად იყო! ნახევარ ზანდუკს ძლივს მოუქუჩა თავი. კაცმა რომ თქვას, დიდად არ ფასობდა ქალაღლის ფული და იმიტომ! სიმიინდის ფუჩეჩივით გამხდარიყო, ერთი კოლოფი ასანთი ათასი მანეთი ღირდა ქალაქ ტობაში, არადა, იმსიფართე იყო ასმანეთიანი, ცეცხლი რომ წაგეკიდებინა, ტობადან ნახარებაომდე ნახევარ გზას კვარვივით გაგინათებდა...

საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ხალხის მტრებს ყოფა ეტირაო, რომ მოახარეს კინჭულის, მეც ამ დროს ველოდიო, თოხი მოისროლა და როგორც ბევრმა, მანაც სოფლის ცენტრში სიარულს მოუხშირა. რომ გაიხედ-გამოიხედა, მალე დარწმუნდა, დიდად არაფერი შეცვლილიყო! ვისაც აქობამდე გაღლეთილს და კუჭგამომხმარს ცნობდა, ახლაც მშოიერი და უკანალზე ხელაფარებული დადიოდა, ეს კია, საკვირველ სითამამეს იჩენდა ზოგიერთი ყაზახი, გაქცეულ მამასახლისის და სალდათებს (ხეციებსაც, რა თქმა უნდა!) წარამარა ლანძღავდნენ, ერთობ ლაზათი-



ანად უტრიალებდნენ დედ-მამის სულს... მიხვდა, არც იქით იყო, არც აქეთ და, ამათი აყოლა მე რაში მარგიაო, ისევ ხელები წაიკაპიწა, ისევ თოხს, ბარს, წალდს, ქაფჩას მოჰკიდა ხელი. ან კი სად ეცალა! ჭერ კიდევ ფული ბლომად ჰქონდა მოსაგროვებელი. ისე, რაც რევოლუცია მომხდარიყო, კინჭულისაც ეგრძნო თავის თავში ცვლილებები, თითქოს სხვა და რაღაც უცნაური სენი შეჰყოფდა ამ არეულობის დროს, ერთბაშად სხვა ადამიანი გამხდარიყო. ლოგუაზე ქალი, ოღონდ სურვილი ავისრულოო, რომ ოცნებობდა და მისთვის მუხლჩაუქცავად შრომობდა, უკვე არც ახსოვდა, ან არ ემეტებოდა ნაღვაწი იმ ბედნიერებისათვის, რისთვისაც ამდენი წელიწადი ეოცნება, ეთმინა, ეწვალა, ეჯახინრა... პირიქით, მხოლოდ ფული აბოლებდა ძილში და დღემუდამ იმის ცდაში იყო, სად მეტი ეშოვა...

ზანდუკი მიყორს ეფშა ფართო, ანდა კოჩიში ნატყაბარაო.¹ მღეროდა ჩუმად, მარტოკა და ოცნებადქცეული, უცნაურად აღტიენებული კინჭული კუდა. ისე, მკვირცხლი და ვერცხლის წყალივით მოძრავი კაცი იყო, ყველაფერი ემარჯვებოდა; დურგლობაც და ბუხრის შენებაც, ჯარგვლის, ნალიის დაშლა-აწყობაც... სვეს ისე გაიტანდა ღომის, სიმინდის ყანაში, წელს არ გაიმართავდა.

... იმ ჰეჰა-ქუხილის ღამეს, თეთრჩოხიანთა მხედრობამ რომ ჩამოიქროლა მათ სოფელში, კანტორის შენობა ცეცხლს მისცა და — ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ პირი გადაუხსნა — გაუჩინარდა, მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ძლივს დაწყობილი ჰქეყანა ისევ არ აირიაო, რევოლუციის ზოგიერთ მომხრესაც შეჰპარვოდა ეჭვი და მძიმე საფიქრალს მისცემოდა. იმათ კი, მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი რომ იყო (მშრომელ და გამარჯვებულსაც)

ან, ვისაც თავიდან მოსდევდა ხე-ბარაქა ოჯახში) სხვა სადარდებელი გასწავნიდა. როგორც ამბობდნენ, ისეთი გადაწყვეტილება ჰქონდათ ახალი ცხოვრების მესვეურთ ცენტრიდან მიღებული, რომელიც არა მარტო კინჭულისთანებს, მათაც ხელს არ აძლევდა და რა გასაკვირი ეს იყო, უკვე აქ აღარ დაიდგომებო, კინჭულიც თუ ფიქრობდა.

ნუთუ აქამდე ვერ გაიგეთ, ლატაკები-საა ეს ჰქეყანა... ლიკვიდაცია, ლიკვიდაციაო! ვილა-ვილაყეების ჰიშკართან გაჰკიოდნენ ხოლმე ბევრისთვის გაუგებარ სიტყვას, კინჭულის აზრით — თავად არაფრის მქონენი და, სადაც წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, მუხლამდე დათრეულ მაუხერზე იკრავდნენ ხელს ყინჩად...

არადა, კინჭული ლატაკი არ იყო! მთელმა სოფელმა იცოდა, ფულს რომ აგროვებდა და ამიტომ ზოგიერთი უნიფზო, „ყარტაყურტა“ მეზობელი ცოტა ამრეზილი უყურებდა. მისი ნაოფლარი იყო და, ვის რა ხელი ჰქონდა, რომ შეედეგობდა (ლოგუები არ მაძლევენ ქალს ისე და, რა ვქნაო, თავიდან ერთორ ამხანაგს შესჩივლა), მაგრამ, ატყობდა, ისინიც ვერ უგებდნენ...

მანამდეც, ამ რამდენიმე წლის წინათ, აბრაგობა უფრო ხშირი იყო და ერთხელ მასაც შემოუფარდნენ შემოდგომის ქარიან ღამეს სამზადში. თუ არ იტყვი, ფულს სად ინახავ, მოგკლავთო, დაემუქრნენ დაუპატიჟებელი სტუმრები. რა მმართველს თქვენი, პატენიო, შეიცხადა.

კინჭული კუდა იყო, მუჭში ცვარი არ გაუვიდოდა იოლად და რას ათქმევინებდნენ. მაშინ გაკოტეს, მერე ფეხქვეშ ამოიღეს და გვარიანად უზაგუნეს, თუმცა სიტყვა მაინც ვერ დააძრვევინეს. მარტო ცემაც არ აკმარეს; წინა ორი კბილი მათრახის ტარით ჩაუშხვრიეს, თან გავარვარებული მუგუზალი დაუდეს კველაზე — შენ რომ ამაზე გსვამთ, ამ დროს ძანძახეს კუპატივით ჩაპუტკუნებული მაცირია... დაციენეს,

¹ ზანდუკი მიყვარს ფულით სავსე, ათასი ვინმესთვის წალღუტილი.



ერთ ადგილზეც უსირცხვილოდ მიანიშნეს — იქნებ ახლა მაინც გამოტყდეს, ფულს სად ინახავო, მაგრამ მათ ჯიბრზე უფრო გაეკრპდა და უკვე გამთენიისას, ჩამქრალ კერიაზე რომ ეგდო გონება-მიბნედილი და ხელფეხგაკოჭილი, შემთხვევით შემოსულმა მეზობელმა შეკრული კრიჭა ძლივს გააღებინა, სისხლი და ჩამსხვრეული კბილები რომ გადმოეფურთხებინა.

ისე, ცოტა მკვებარაც კი იყო კინჭული და, ფული რომ არ ჰქონდა, იმაზე მეტს ამბობდა; ღმერთმა უწყის, ამით პატივს იღებდა სოფელში თუ ლოგუებს უვსებდა თვალს, დასჯით კი დაისაჯა.

რახან სოფელი ორად გაიხლიჩა, ცხადია, წინააღმდეგობაც დიდი იყო. ცხოვრება გაჭირდა; ერთმანეთის დალატი, უნდობლობა, შური გაბატონებულიყო... უფრო მეტიც! მათში ღვარძლს და სიძულვილს თითქოს სხვა, ანუ მესამე — უჩინარი ხელი თესდა და ხშირად ძალიან პატრონს ვედარ სცნობდა. ამრიგად, სხვა რომ არაფერი, ისევ შენიანი არ გინდობდა.

აგერ, მისმა ტუტუცმა ძმისშვილმა რაეიკომ გასცა უფროსი ბიძა, ყველას გამზრდელი ძმა — გებენი.

კულაკია ბიძაჩემი, ლუკმა ღომს სამი თითის სისქე სულგუნის ყველს მიატეხავს და ისე ვახშობსო, რომელიდაც კრებაზე წამოუყრანტალებია, დაუსმენია ალალი ბიძა, თითქოს მას არ ასმევდა და არ აჭმევდა. ათი შვილი ჰყავდა უხანო რაეიკოს მშობლებს და გებენიც თავისთან ზრდიდა ძმისშვილს სამადლოდ, უმცროსი ძმის მრავალრიცხოვან ოჯახს ნატეხ მჭადს უზოგავდა.

იმედამ მიადგინე გებენის სახლს კრებიდან დაშლილი „სპარტაკელები“, რაეიკოც მათ შორის ყოფილა თურმე.

მე ვარ, ბიძაჩემო, დაუძახა და კარი გააღებინა.

ბიჭები თითო-თითოდ შემოლაგდნენ „ზალაში“.

საქმე გვაქვს შენთან და წინ დაგვი-

ჯექიო, უკვე რალაცაში დაეპყვებულ ბენს ცივად განუცხადეს, თავად დალაზურგიან სკამებზე ბატონკაცურად მოიკალათეს.

გებენი ბრმა კი არ იყო, უმალ მიხვდა, რა მუცლის გვრემაც სჭირდათ ამ ბაღნებს და თვალი კედელზე ჩამოკიდებული ხანჯლისკენ გაექცა, თან, გაეთრიეთ ჩემი სახლიდანო, ომახიანად დასტყვილა.

ა, ხომ ხედავთ, ჩემი სახლიდან თქვაო, რაეიკომ ბიჭებს ნიშნისმოგებით გადახედა და ჩაიცინა.

მაშინ, ნებით თუ გინდოდაო და... ერთმა საფეთქელზე მაუზერის ტუჩი მიაბჯინა, მეორე კედელს ეცა და ხანჯალი ჩამოგლიჯა... გებენი თითქოს არ შედრკა, ნირი არ შეიცვალა.. ნახეთ, ნახეთ, გვეწინააღმდეგება კიდევო, რომელიდაცამ გაიკვირვა, წიხლი ფერდში ჩასცხო და გარეთ, სახელდახელოდ გასატანთან ერთად, თავადაც წინ ჯიკავ-ჯიკავით წაიფლეს.

სამი დღე-ღამე აყურყუტეს ჰაუბტვახტში.

კიდევ კარგი, იმ დღეებში ვილაც მთლად უფროსი ამოვიდა ტობა ქალაქიდან „თეთრნაბლიანთა“ გამო, გებენითაც დაინტერესდა და საქმის ვითარებაში რომ გაერკვა, ახლავე გაათავისუფლეთო, ბრძანა. ასეთი რამ მეორედ არ გავიგოო ყმაწვილებზეც დასცდენია საყვედური. გებენი ჰაუბტვახტიდან რომ ამოუყვანიათ, მაშინაც იმ აზრზე მდგარან — ჰკუა ხომ ვასწავლეთო! რაეიკოც იქვე მდგარა.

შენს გავრდას გოჭი რომ გამეზარდა, არ სჯობდა, საშობაოდ მაინც დაგვკლავდიო! უთქვამს ბიძას ძმისშვილისთვის, არც ტობელ უფროსს მორიდებია და არც არავის. ის კი არა, გებენის ნათქვამზე სტუმარი ისე ახარხარებულა, რომელიდაცას ხელი რომ არ შეეშველებინა, სკამიდან ვარდებოდაო, მეორე დღეს კინჭულის საიდუმლოდ უყვებოდა ამბის შემსწრე ახლო მეზობელი.

კი მოიფხანა ბიძამ თურმე გული გამ-

ცემ მძისწვილზე, მაგრამ ეს მაინც რას უშველიდა. მადლი მატლად მიქციაო, კაცი გადარევას იყო. იმ ღამეს ორჯერ მიბრუნებულან ბიჭები გებენისთან, თითზე გადასახვევი არაფერი დაუტოვებიათ შინ, იმ უბედურისთვის და წარბს რა გაუხსნიდა!

მისი გაზრდილია და უარესის ღირსია, რას უკაცლავდა — რა ჰქონდა და რა არ ჰქონდაო, წუხდა კინჭული, თან ისიც აზინებდა — მეც არ წამიმძღვა-რიოს წინ იმ არგასაზრდელმაო!..

კულაკი იყო თურმე გებზნი კულა! კულაკი იქნებოდა კინჭულიც, ნახევარი ზანდუკი ქალაღდის ფული ჰქონდა და, რა დღეს, რა ხვალ, მეც მომაკითხავენო, გული ამას უგრძნობდა. ამიტომ ტენიდა ფულს გამალეებით ტომსიკაში, მათ რომ ხელიდან დაძვრენოდა, წასულიყო აქედან შორს... როგორც ესმოდა და თავადაც სჯეროდა, ყველგან კი არ იყო ასეთი ამბავი.

არც ლოგუახე ქალი მინდა და არც არაფერი, წყალსაც კი არ დავლევ ამ სოფლისასო, გუშინდამ გებზნის გაუმხილა, ოღონდაც საით აპირებდა წასვლას, იმასაც დაუმალა. ახლა: თურქეთში წაეალ და თქვენ მაინც არ მოგცემთ ჩემს კაბიკ-კაბიკ მონაქუჩ ფარასო, დუღტუნებდა ნახარებოდან გადასაკარგავად ამობოჭრებული კინჭული.

ცარიელ ბაგაში ძროხა იცოხნებოდა. პირუტყვემა მოფუსფუსე პატრონს გამოხედა და, ბაკში არაფერი მიყრიაო, მოაზმუვლა... ერთი თვის შუბლთეთრა ხბო ცურქვეშ შეუქვრა, ფურმა ისე გააბაჯიგვა ფეხები, ვერ მიუდგა და მოცილდა, მერე თავითი და ბანცალბანცალით მოუყარა... ბაკი ორი დღის ცარიელი იყო, ეტყობა, მისთვის არავის ეცალა და გამშრალი ჰქონდა რძე ძროხას, ხბოც დილიდან აღარ გაიყარა. ხბომ საწყლად დაიზმუვლა და წინ გაუჩერდა. დედამ შუბლი გადაულოკა, მერე კისერი ენერგიულად მოიღრცა და მათდამი გულგრილა პატრონს მოაბღავლა...

მისთვის ეცალა სწორედ კინჭულის!

თუმცა, წამით გამოუხედა და, რა ჰქონდა გეტაკა, შე სამგლეო, დაუტაცხანა. ხბო-ფური ნაღვლიანად, თითქოს კაცის გულგრილობით ღია თვალებში ნისლი გაუზოზინდათო, მოაჩერდნენ და კინჭულის, თავისდა უნებურად, გაელიმა.

შინაბერა, ორმოცს გადაცილებულ დას ტოვებდა სახლში და ლუქმა სანათხოვრო აღარ ექნებოა, მათმა არსებობამ თუ ზმუილმა ეს გააფიქრებინა და ამან მცირე შევბაც კი მოჰგვარა... ფული კი მისი იყო, თხუთმეტი წელიწადი რომ იშომილა, აგროვა და ვის რა ხელი ჰქონდა!

ძახილი შემოესმა...

კინჭულიო, ვიღაცა იჭაჭებოდა ლაფაროში.

აქეთ არ შემოვიდეს და თავაზდელი ზანდუკი არ მინახოსო, ძახილს შეშინებული მიეგება.

ძოძო ლოგუა იყო, კინჭულის თანშეზრდილი და მედაჩხირე! მეზობელი.

ძოძო მისი საცოლის — მაცირიას მოგვარე და შორეული ნათესავიც იყო და, როგორც თვითონ ამბობდა ზოლმე, არაფერს იშურებდა იმისათვის, მათი ამბავი ქორწინებით დაგვირგვინებულიყო, მაგრამ, აგერ ა, ორი ათეული წელი ილეოდა, ლოგუები კვლავ ფეხს რომ ითრევდნენ... თავად ძოძო დღიდან რევოლუციისა, ბოლშევიკებს ედგა მხარში. ჰქუას მოუხმე, განზე დგომას ვინ გაპატიებსო, კინჭულისაც ურჩევდა და ასეთ დროს მისი გამოჩენა ცუდადაც ენიშნა.

გისმენთ, ძოძო, პატონიო, დოინჯშემოყრილი კინჭული წინ გამოეჯგომა და, რაც მთავარია, ბოსლისკენ გზა გადაუკეტა.

დილიდან მინდორში ვარ, თივას ვაბულულებ ზამთრისთვისო, ძოძო ლოგუამ მობოდიშებით წამოიწყო. კინჭულიმ ველარ მოთმინა და; მერე, პატონიო, თავი შეახსენა. ცოლ-შვილი აქ არა მყავს, ორი-სამი დღით წავიდნენ

1 მეცეცხური.



სიამართან, ვიფიქრე, მარა... — თითქოს იცოხნებაო, სათქმელს წელავდა მეზობელი. რა მოხდა, აღარ იტყვიოთ, ძოძო პატონიო? — გაწამდა კინჭული. რა და, კერიის ცეცხლი ჩამიქრა, ვერ გავალცივე ვერაფრით ნალვერდალი და მუგუზალზე გადმოვედიო, როგორც იქნა, ამოდერდა. დია, მუგუზალს როგორ დაგიკავებ, ახლავეო! — გახარებული კინჭული მკვირცხლად შეტრიალდა, ოღონდ შენ აქ დამელოდეო, მოაძახა და სამზადისკენ თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, შეყოვნდა, გაახსენდა, ორშაბათი დღე იყო, კერიის ცეცხლი არ გაიცემოდა, მაგრამ ეს ცრუ რწმენა ახლა რა მოსატანი იყო, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოეცილებინა ძოძო ლოგუა თავიდან და რცხილის მბოლავი, ავიზგოზებული მუგუზალი წამიწუთში გამოურბენინა, მერე უცნაურად აცუნდრუკებულმა მიაცილა ჭიშკრამდე — ერთობ გაკვირვებული და რალაცაში დაქვებულის, თავზემოთ მუგუზალის ქნევა-ქნევით ბნელს შერწყმული მეზობელი.

რომ მობრუნდა, ასე გვიან ცეცხლი რაში დასჭირდაო, ძოძოს სტუმრობა ახლა უფრო არ მოეწონა.

შუა ეზოში შედგა. მიმოიხედა, ბნელში თვალ-ყური გაიფაციცა, მერე ბოსელს ორჯერ შემოუარა და შიგ მოგვიანებით შევიდა.

გახედა. წამით თვალს არ დაუჯერა, მერე კი იბღავლა...

ხბო ზანდუქს, ფური — ტომსიკას მისდგომოდა და... კაცის ბლავილზე კისრები მისკენ ერთდროულად და გაკვირვებით წაიღრიცეს პირუტყვებმა, თან, როგორც გულდაგულ ამოსუფთავებულ ბაკში — დრუნჩები კვლავ შიგ ჩაჰყვეს, მერე ხელახლა გამოხედეს ჯერ კიდევ გაოგნებულ პატრონს და, ამჯერად — უკანასკნელი დასტა ფულის ღეჭვა გულგრილად განაგრძეს...

— დობჭვი დო დობგიბიო!¹

ისევ იბღავლა კინჭულიმ და ძოძოს ლობრგადმოსულ ლაშზე ეცა. ტყვემა იუცხოვა და თავი ჯიქურ აუქნია, შემოაზმუვლა... კაცი მთლად გაცოფდა და ამჯერად ჩიჩვზე ატაკა მუშტი ღონივრად, შუბლზეც ზედიზედ რეხვა და რეხვა, ხბოს კი წიხლი მიაზილა და სამ-ოთხ ნაბიჯს იქით, კედელს ბაყვანით მიანარცხა...

უცებ რალაცა იაზრა და შედგა, ხბო-ფურს თავი ანება, მერე კარს ფეხაკრეფით მიუახლოვდა და ზედ აეტყუა...

— მომიწყვეთ, ხომ?!. დამლუბეთ, ხომ?!. ყველამ პირი შეჰკარით ჩემს წინააღმდეგ, ხომ?!. — ჩურჩულებდა არეულად, პირუტყვეული ზმუილით, გარე სამყაროსათვის მიყურადებული და ყურებდაცქვეტილი, თითქოს იმისი შიშით ჰქონდა, რომ ეს-ეს არის, მთელი სოფელი, ბნელით მოცული, დაუნდობელი ქვეყანა უკლებლივ მის ეზო-კარს მოაწყდებოდა... მერე ატყდებოდა ერთი ხარხარ-ხორხოცი, ხბო-ფურს კი, ახლა კედელს მიწყვეტილები ერთმანეთს შეთქმულებივით რომ შეზმუოდნენ, ბოსლიდან გამორეკავდნენ და ვინც კულაკი იყო, მარტო თავისთვის ითლიდა, ფულს მიწაში მარხავდა, ერთობას გაურბოდა, იმათ კარდაკარ — აწი მაინც ხომ ისწავლით ჭკუასო; ჩამოატარებდნენ და... იქნება გავასწროო, გარეთ გიყივით გავარდა.

იმ ღამეს კიდევ ერთი უბედურება დატრიალდა სოფელ ნახარებაოში.

ძოძო ლოგუას მეუღლეს — ცუცას, რალაც საშინელი სიზმარი უნახავდა და მშობლებთან არ გაჩერებულა, ალიონზე წამოუყრია ხუთივე — ორჭობორჭო ასაკის ბაღნები და დაფეთებულს შინ წამოუყვანია.

ჯარგვალში რომ შემოუხედავს ქალს, ქმარი ლოგინში დახვედრია: მკლავის სიგრძე რცხილის მუგუზალი ჰქონია პირში ყანყრატომდე ჩანახშირებული...

კაცმა რომ თქვას, რატომ და რისთვის გაიწირა ასე უღვთოდ ძოძო ლოგუა, როგორც დობლებულ ცოლ-

¹ დამჭვი და დამნაცრო!

შვილს, ისევე სოფელს გაურკვეველად, სხვა ათასს საჭოჭმანო ამბად დაურჩა... თავიდან ისე დალია სული, არც კი უგრძენია უბედურს, რა ღვთის რისხვაც დაატყდა თავს. პირადმა და თავქვეშ მარჯვენა მკლავამოდებული ხვრინავდა გემრიელად, წელან მეზობლისგან გადმოტანილი, კარგა მხრჩოლავი მუგუზალი ღია პირში რომ ჩასჩარა ფოცხვერივით სწრაფმა, მოქნილმა არსებამ და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

ნაბიდან ახალგამომძვრალი კინჭული კუდას დილის სუსხი კბილს კბილზე აცემინებდა, ქვიშა-ხრეშში ნაწოლი სხეული დაბეჯვოდა და გაეშეშებოდა.

აქეთ-იქით მიმოიხედა. ახლომახლო რომ ვერავინ იგულა, იქნებ გავთბეო, თავს ძალა დაატანა და ფეხები ამოძრავა, ერთგან, საკმაოდ მოზრდილ ქვაზე შედგა, შეიკუნტრუშა, მერე ჩახტა და მხრებმოზუზული, რიყეზე კელობით მდინარისკენ გაიქცა.

მდინარეზე ნისლი გაფანტულიყო.

ტობაწყური მკვრივი, მღვრიე, ტალახისფერი მიედინებოდა, დაბლობზე ორ ტოტად იშლებოდა, იბარჯლებოდა და სადღაც შორს, უფორმო სივრცეში იკარგებოდა.

ჩნა კაცი იყო კინჭული, სუსტ მხრებზე მელოტი, ნალევა კვერცხივით კინკრიხოწაგრძელებული თავი, ყიფმატი თვალეები და ფერდაკარგული სახე ჰქონდა.

წყალში ხელი ჩაყო; ყინულივით იყო და, სახეში თუ შეესხაო, დაიფრუტუნა, გააქრჟოლა და უკან გადგა. თითებზე შერჩენილი წვეთები თვალეებზე შეიპკურა, ცერით ამოიჭიყუნა, ხელი აბურღულ წვერზე მოისვა და ცხვირ-პირი დამფრთხალი ცხოველივით მოიფუცქა...

ქვაზე ჩამოჯდა და ჩექმები გაიძრო, ფეხები გულმოდგინედ ვადაიხვია დაფლეთილი, ზუზლიანი ქინჭით... თუთუნინ ინატრა, სახემოდრუბლულმა და ფიქრიანმა წყალს გააყოლა თვალი, გა-

დააწია, გაირინდა... ნეკი სუთივით ატრიალა კიხანს ცხვირში.

საფიქრალი მართლაც რომ ჰქონდა კინჭული კუდას! სად წასულიყო ან როდემდე მჯდარიყო აქ — რიყის ქვალოდზე მოზუზული და უარაფროდ დარჩენილი!

გუშინ ვინმე ყაბალახიანი ახმახი ყახახი ტობაწყურის ძველი ხიდის თავში დამდგარიყო და მათი კუთხის საამაყო შვილის, დღეს რევოლუციის ერთერთი ლიდერის ბიოგრაფიას გაზეთის ამონაჭრებიდან ხმამაღლა უკითხავდა ირგვლივ შემოკრებილ ხალხს. კინჭულიც მათში გაერია. ყველაზე მეტად კი იმან განაცვიფრა, რომ ის საჭევენოდ ცნობილი ადამიანი და თვითონ ერთ წელიწადს ყოფილან თურმე დაბადებულნი და ახლა ამაზე ფიქრობდა, წუხდა: წერა-კითხვა მაინც ვიცოდე, არ მიცნობს, მარა აქაური კაცია, ტოლები ვყოფილვართ და ჩემს გაჭირვებას რომ მიეწერ, ეგება გამიგოსო...

ჰაერში ყვავები აყრანტალდნენ...

ცას ახედა.

ისე დაბლა ფრენდა ყვავების გუნდი, ისედაც უღიმღამო ცა ერთიანად ჩამოეშავებინათ და, ეგ მძორიჭამიები მაკლდა ახლა მეო, გამწარდა და ქვას დასწვდა.

რიყეზე ყაბალახიანი უცნობი გამოჩნდა და ის გუშინდელი მენცარი¹ ხომ არ არისო, იფიქრა.

შეცდა.

უცნობი ერთი წოწოლა, ძვალტყავა კაცი იყო. მოკლე, შემოფლეთილი ჩაქურა ეცვა და კინჭულისკენ მხრებმოხრილი, მოშვებულად მოდიოდა. ეტყობოდა, მარჯვენა ფეხი ტკიოდა; ქვებზე, ქვიშასავით წვრილ ხრეშში განგან მოითრევედა.

კინჭული დააკვირა. ასე გამხდარი, ცარიელი ჩონჩხი არც ენახა და, ვინ ოხერიაო, არ მოეწონა, ყვავების დასაფრთხობად ხელში შერჩენილი ქვაბრაზით მოისროლა, ზურგი შეაქცია.

¹ მეცნიერი.

კაცის ნაბიჯების ხმა რომ მოახლოვდა, იქნებ თუთუნის ჰქონდესო, ახლა გაახსენდა, გამოცოცხლდა და კარგა ნაცნობივით მიეგება.

ყაბალახიანი მართლაც შემზარავი სანახავი იყო და აქ ისევ შეყოვნდა. რაღაც საშინელი მძულვარება და სიმკაცრე მქლე, წვერგაბურძენილ, მიწისფერ სახეზე ტყავივით ჰქონდა გადაჭიმული. ჩამოფანჩულ წარბებქვეშ თვალები თითქმის არ უჩანდა, მაგრამ უამისოდაც ეტყობოდა, რა (იქნებ საუკუნოც!) სატანჯველიც გამოევლო, მაგრამ ერთიც საცნაური იყო, ანუ უკვე შეჭვებოდა თავის ხვედრს, ვინაიდან როგორც პირველი, ისე მეორე — უაზრო თუ უმიზნო ცხოვრების დამლა — ზედვე, შუბლზე ნიშანივით ესვა.

უცნობმა მისკენ თამამად წამოსული ჩია კაცი დაინახა, მაგრამ არ შეყოვნებულა, გზა ჩვეულებრივ განაგრძო.

კინჭული შედგა, ამას ვის ვხედავო, გაიოცა, პირდაბჩენილი და შუბლმოჩრდილული მიაჩერდა. მან კი, არც ახლა შეიხარა წარბი, შემხვედრს ბრმასავით ჩაუარა, თავისი გზით წავიდა.

ვერ მიცნო, თორემ გვერდს როგორ ამივლიდაო, არ გაჰკვირვებია კინჭულის და, უკვე საკმაოდ დაცილებულს, თხაფათხუფით მიეწია, წინ გადაასწრო, სახით ყაბალახიანისკენ შემობრუნდა და უკან-უკან, ხრეშში აჯაბაჯად და სასაცილოდ წაკვანჭალდა, მერე: ჯოღორია ხარ, კაცო, შენო?! — შეჭყვირა.

ყაბალახიანი შეჩერდა, წელშიც გასწორდა და წინ უტიფრად წამოჯგიმულ კინჭულის მხერა თავზემით გადაატარა, სიშორეს გაუშტერა... საღღაც მიკარგული, ნაღველჩახისტული თვალები თანდათან წამოეზარდნენ და უცნაურად აუღვარდნენ... ახლა, ამწამს, მის ჩამომხმარ-დაბეჩავებულ სხეულში, როგორც არსებული ტანჯვა და უღონობა, ისე შესამჩნევი ძვალმაგრობა თვალში უმალ გეცემოდა, ხოლო წედან უაზრობა აღბეჭდილ სახეზე — მტკიცე და უღრეკი ხასიათი...

— ჯოღორია, კაცო?!

არ ეშვებოდა კინჭული.

— არ ვარ მე ჯოღორია...

ყრუ, ჩახრინწული ხმით მიუგდო და არც ახლა შეუხედავს კინჭულისთვის, უბრალოდ, გზა მიტიეო, თავჩალუნული ჭიქურ წავიდა მისკენ.

შეცბუნებული კინჭული განზე გახტა.

ნუთუ შეეცდითო, მხრებმომჩვარულ, წოწოლა კაცს თვალი სინანულით მიადევნა. თუთუნის მაინც მეთხოვაო, ახალა გაახსენდა, თან გულისგულში არ სჯეროდა, ეს ძვალტყავა კაცი ჯოღორია ფაჟა რომ არ იყო. ჩემი შეეშინდა და არ გამემხილაო, დაასკვნა, რა უნდობლობაც გულზე ერთბაშად შემოაწვა, გაბრაზდა და: კი ხარ, შენ, ჯოღორია, მარა არ გინდა და რა ვქნაო! — უკმეხად მიაძახა.

ყაბალახიანი ისევ შედგა, თითქოს უკან მობრუნება დააპირაო, მხარზემით გამოხედა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, რაღაც ჩიბურტყუნა და გზა კვლავ განაგრძო.

კი, ნამდვილად მიცნოო, კინჭული აღვილზე აცმუკდა და ამჯერად მეტი სითამამით შეუძახა:

— კინჭული ვარ მე კუდა! მებუხრე! რავა ვერ მიცანი, შე კაცო?!

და, ამით გათამამებული, მიეწია, ფეხდაფეხ და თავდრეკიად აედევნა.

ყაბალახიანი მიხვდა, ასე იოლად ვერ მოიცილებდა მისი ნახვით უზომოდ გახარებულ, აცუნდრუკებულ ჩია კაცს და მოუტრიალდა, თავით-ფეხამდე შეათვალიერა.

— კი, ვიცანი, მარა... ეგება არ მინდა დღეს შენი ცნობა, ხომ შეიძლება?

— იკითხა ყრუდ, რაღაც უხეშად, თუმცა, აშკარად ნაღველშეპარული, დაღლილი ხმით. მერე უტყვი, არაფრისმთქმელი მხერით კვლავ ახედ-დახედა და: — ხომ ხედავ, მაწუხებს რაღაცა... არა ვარ კარგად. — კი არ თქვა, დაიჩვილასავით და ნაბიჯი გადადგა.

— ვიცი, ჯოღორია, რა დღეშიც ხარ...

— და, არ გამეკეცსო, ისევ წინ გადაუწრო, შემოურბინა და გვერდით აედ-

გნა, — შენც შეამჩნევდი, ალბათ, არც მე ვარ დალხინებული, — სიტყვებს ისე სხაპასუხობი აყრიდა, თითქოს ყველაფრის თქმა ერთი ამოსუნთქვით უნდა მოასწროსო, — დამიჯერე, არავისზე ნაკლები დღე არ მადგას! არ გიკვირს, ჯოღორია ფაჟა, რავე ვარ გაუბედურებული?!

— მერე? — შეიმშუშნა, მხრებაყრილი და გაკვირებული მიაჩერდა, — რას მთხოვ მაინც, კინჭულია კულა, ჩემგან რაღა გინდა?

— დია, რა უნდა მინდოდეს? დაგინახე და გამიხარდა, შე კაცო! — შესცინა, მიეპირფერა, — მეც შენსავით უსამართლობის მსხვერპლი გავხდი, ჯოღორია! ამიტომ გამოვექეცი სოფელს და ვიბრძვი... რა ვქნა, აბა, თავი ვის... იმ უნიფხო, ყარტაყურტა ბრბოს როგორ დავაჩაგვინო?! — თვალი თვალში თამამად გაუყარა და ხმას უფრო აუწია, — მირჩევნია აქ ვეგდო, რიყეზე, მშვიერ-მწყურვალი და პირამოხახული, ვიდრე... მითქვამს ეს და ცოცხალი თავით არც ვაპირებ დანებებას!

— მე არავის ვებრძვი, — თქვა მშვიდად ჯოღორიამ და აჩქარდა.

კარგა ხანს უხმოდ მიაბიჯებდნენ.

— მეც რა... — კინჭულიმ სიტყვა გააბრტყელა, გაწელა, მერე, ჩემი ამბავი თუ იცისო, ცერად ახედა. აბა, საიდანო, თავი დაიმშვიდა, ცოტაც წაიყოყმანა და გაავრძელა, — დამჩაგრეს და ვეღარ მოვითმინე. ხომ ვიცი, რომ მომიწყვეს, გიდელში კი არა ვარ გავრდილი! ჩემს ნაოფლარზე იყვნენ ტურებივით ჩასაფრებულები... — შედგა.

რას იტყვისო, სულგანებული მიაჩერდა. მიხვდა, შეპასუხებას რომ არ აპირებდა ჯოღორია და ისევ მან განაგრძო, ხმაში ნალღველიც გაერია, — ეხ, კი იცი შენ ამ ხელების ფასი... — სახელოები აიკარწყახა და წვრილი, დაძარღვული, მწითურბალნიანი მკლავები ფართოდ გაუშალა, — აღარ გახსოვს, ორ დღეში პატარძალივით ბუხარი რომ ამოგიყვანე ოდაში... ხო, ხო, რა

ვიქეიფეთ მაშინ! — დოინჯი შემოიყვარა და სახეგაბადრული მიაცივდა.

ისეთმა რბილმა ფერმა გადაურბინა ჯოღორიას, თითქოს მოღუშული სახე გაულღვა ან გამოფიტულ მკერდში რაღაც უსაშველოდ მსუბუქად და კეთილად აჟომოძრავდაო, მხრებში გაიშალა...

— აქეთ საით მიდიხარ? — კინჭულიმ სულის მოთქმა არ აცალა.

— საად? — ისევ მოეღრუბლა სახე ჯოღორიას, — თავად რომ არ ვიცი. — თავი ჩალუნა და მძიმედ დაიძრა.

— არა, განა არ მესმის, შენ — ჯოღორია ფაჟას, რა დღეშიც გხედავ. კი მიცნობ, მართლის თქმა რომ მიყვარს და პირდაპირ გეტყვი, არც მკვდარს დაუნდიხარ და არც ცოცხალს! — უფრო გათამამდა, ხმაც დაიდინჯა, — მარა არც ქედის მოდრეკა გეკადრება... თუმცა, მაგი არ შეგეშლება შენ! ხომ სწორს ვამბობ? აბა რა! ჩემი მოკლე ჭკუითაც ვხედები, ამ არეულმა დრომ ქნა ეგ! წახდა ქვეყანა, ჯიმაგე! ამიტომ მგელი უნდა იყო დღეს და, თუ გაგიჭირდა, მგელზე უარესიც! კი, მე და ჩემმა სულმა! განა რამდენს ვცხოვრობთ, ასე რომ ვიტანჯოთ თავი, ჯოღორია ფაჟა?! ჭკვიანი კაცი ხარ შენ და, რას გვარგებს, შენი პირით მითხარი?! — ჯოღორია კვლავ დუმდა და, ეტყობა, მისმა გაუტეხაობამ უცებ გააბრაზა კინჭული, ერთი ფეხით ჩამორჩა და ჩაიბუზღუნა, — არა, თუ კაცი ყრუა, დარიგება არაფერს უშველის...

— რას მომდევ, კინჭულია კულა, მითხარი?! — ჯოღორია მკაცრად მოუტრიალდა, თან თვალი არ მოაშორა.

კინჭულიმ ჯოღორიას სუსხიან მზერას ვერ გაუძლო, მოდრკა, თავი დახარა, — მტვრიანი და აქა-იქ დატეტკილი, მელოტი თავი დილის მზის სხივებმა გადაულაპლაპეს...

— ხელს გიშლით, ჯოღორია პატენი?

— მიშლი, ალბათ, რახან ვამბობ.

— კაი, აბა. — ხმა გაეზარა ჩია

1 ძამიკო.

კაცს. — ჩემს გზას მეც ვეწევი... მაგი არ შემშლია ჯერ, ძმობა და მეგობრობა ერთმანეთის ნება-სურვილზე როა... გოდორში კი არა ვარ გაზრდილი.

ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ.

— შენი ამბავი რომ გავიგე, ერთი სიკვდილი გავათავე. მაშინ მოგიკვდეს კინჭული კუდა, ტყუილს თუ ვამბობდე... — ხმა დაუნდვლიანდა და აუკან-კალდა, — ის დედაბერი მაინც რამ გადარია, კაცო?! იშო,¹ ქარბორიას! ასეთი რამ გაგონილა?!

ჯოდორიას მკვდრისფერი დაედო.

— ცუდად ხომ არა ხარ?

უმალ მიეახლა კინჭული.

ჯოდორია შეკრთა, თვალებიდან ბინდი წამში გადაეცალა...

არავინ იცოდა, რა მძიმე ლოდიც აწვა გულზე ამ კაცს! წარსულს ვერაფრით გაქცეოდა, აწმყო კი — უბადრუკი, უგვანი, ტანჯული, — უაზრო ცხოვრების ცხრა წელიწადზე მეტს რომ ითვლიდა, თითქოს აღთქმა ჰქონდა უფლისთვის მიცემული — მხოლოდ ნამყო დროის უარყოფა, მისი დასამარების ცდა გამხდარიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა.

— მართალი იყო ის ქალი, — თქვა უცებ ჯოდორიამ, — დედა იყო და სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

— როგორ, კაცო! ასეთი რამ სად გაგონილა?! — მაინც თავისაზე იღვა კინჭული.

ჯოდორიამ ყაბალახი ნერვიულად მოიშვლია, ზურგზე გადაიგდო, ოფლ-გადახვეთქული შუბლი მკლავით მოიწმინდა.

— რას მერჩი, კინჭულია კუდა, ა! კაცი აღარა ხარ?!

— მე? — შეიცხადა, რომ შეხედა, უმალ შეშინებულ მხერად იქცა, — რას უნდა გერჩოდეთ, ჯოდორია პატენი?.. ახლობლები ვართ მგონია და თუ რამე გაწყენინეთ, ამან გამაბედვინა.

— გითხარი, მე არავის ვებრძვი-მეთქი! — გაჩუმდა, აბურღული წვერი კაიხანს იქეჭა, აწვალა... — ვიცი მე, რა

ჯოჯოხეთიც დავიმსახურე და ვიტან, რამდენადაც შემიძლია. შენ მაინც ეშმაკად გინდა, როცა მე თვითონ აღარ მსურს იმისი გახსენება, რა და როგორ იყო! ვიყავი როდისმე თუ არ ვიყავი... რომც ვთქვა, რაიმეს შევცვლი-მეთქი, ტყუილი გამომივა... ვიცი, ჩემს ძალას აღემატება და იმიტომ! — გაჩუმდა, გამბურღავი მხერა შუბლზე მიაჭედა, — ვიბრძვიო, რომ მითხარი, ხომ უნდა იცოდე, რატომ და რისთვის იბრძვი?.. თუმცა, იცი, ალბათ, რახან ამბობ და ღმერთმაც ხელი მოგიმართოს!

ჩია კაცი საბოლოოდ მოტყდა, ყურები ჩამოყარა...

რა ექნა, რით ენუგეშებინა თავი, როცა გვერდით არავინ ჰყავდა დღეს კინჭულის. ტობაწყურის პირას, რიყეზე, ქვასავით ოხრად, ცისა და მიწის ანაბარა, როდემდე უნდა გდებულიყო... არადა, ერთადერთი ნაცნობი, უშიშარი, არანაკლებ სანდო და მასზე არანაკლებ ცოდვილი კაცი იმ უბედურებიდან პირველად ნახა ამ ქალაქში და, იქნებ არ გამიჭირდეს აწიო, იფიქრა, რაღაცის იმედი მოეცა, მაგრამ ჯოდორიას თავი შორს დაეჭირა, ახლოს არ იკარებდა და სასო წარეკვეთა, ერთბაშად მოეშვა, დაჩივდა... უძლური, ბუნებით მშიშარა, მკვლელი კაცი იყო; სუსტთან — ავი და დაუნდობელი, ძლიერთან — უენო, ტყავივით ლბილი, დამყოლი და, როგორც წესი, ამ უკანასკნელმა არა მარტო სახე, თითქოს თვალების ფერიც შეუცვალა, მხერა თბილი და დამორცხვებული, რაღაცნაირად, უცოდველიც კი გაუხდა.

— კი ხარ სწორი, ჯოდორია პატენი, კაცს აღარ ვგავარ... — გაჩუმდა, ცრემლი არ დამინახოსო, თვალი მოარიდა, — ეხ, დავგვგა ახლა შენს მარანში... ხარის სისხლივით ოჯალეშით და ელარჯით გამაძლო და მომკლა მერე!..

ჯოდორია გაკვირვებულიყო, ასეთი რა უნდა დამართოდა ამ კაცს, რომ ტირისო, დაიბნა, გულზეც მოხვდა.

— კინჭული...

— ჰო, პატენი!

¹ იქით

ჯოლორია მიხვდა, რომ მასზე არანაკლებ უჭირდა ამ კაცს. მის წინ ერთი დაბეჩავებული, მიუსაფარი, ტანჯული ცოდვილი იდგა, რომლის თვალებიდან ცრემლებთან ერთად საოცრად მიმდობი, მამებლური მზერა და ერთგულეზა გამოსჭვიროდა...

— მაინც რას მთავაზობ, ჩემო კინკუთლი, ა? — გვიან, ერთობ ინტერესით იკითხა ფაქამ.

4.

დედაბერი ლოგინად ჩავარდა. შვილს უბედურებამ უცებ მოტეხა და დააბერა. მაშინ, სასაფლაოდან გონდაკარგული შინ რომ მოასვენეს და მერეც, სანამ ფეხზე იდგა, დღის შუქზე არ გასულა; ჭარგვალში იჯდა, კველაზე,¹ ქუჩის მიბუთულ ცეცხლს ჩაშტერებულს. წელს რომ გაიმართავდა, დაიკვნესებდა, ამოაყოლებდა უშველებელ მწუხარებას, მერე ორად მოკაკული საწოლთან მილასლასდებოდა და გაუხედლად მიეგდებოდა ზედ. ძილი არ ეკარებოდა მოხუცს, თვალები კირივით თეთრი და გამომშრალი, დამჟკნარდალარული სახე — გახევებული ჰქონდა ყოველთვის. არ ეყურებოდა უკვე და არც თვალს ადევნებდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ, ვინ მოდიოდა და მიდიოდა. ეს სამი თვე, თუ რამეს ხედავდა, ისევ თავის ერთადერთ იმედს და სიყვარულს... შვილის ხატება ედგა თვალწინ, როცა კველაზე იჯდა მობღუნებული თუ გაკვამულ-გამტვერიანებული ისლის სახურავზე ჰქონდა მზერა მიციებული.

სხვა რა უნდოდა! შვილი სულ გვერდით ჰყავდა, მისი ნაღვლიანი და ბაგეზე ღიმილშეყინული სახე შემოსიქეროდა ჭარგვალის ყოველი კუთხე-კუნტულიდან. თარბის მიხრა-მოხრით, სუნთქვით, სიცილით იყო იქაურობა ჯერაც გაჯერებული და სულიც ამით ედგა, მხოლოდ მას ესიტყვებოდა გულში და ელოლიავებოდა... ეს ზმანება ზოგჯერ იმდენად და ცხადივით იყო, ხშირად

ვერც კი გრძნობდა, რა უბედურება უსჭირდა.

გიორგობის თვეს, ჯეგე-მისარონის² დღესასწაულზე, სულწაყმედილმა ჯოლორია ფაქამ სიცოცხლე მოუსწრაფა ოცდაშვიდი წლის თარბი ყოლანდარის! დედაბრის ერთადერთ შვილს ყამა ბეჭებშია გაუყარა და სული წამში გააფრთხოვინა.

შვილი გვიან, ოცდაცამეტი წლისას გაუჩნდა დეა შონხეს. ძლივს შეინარჩუნა ნაყოფი, არც ვაჟის შექმნა და გადარჩენა გახარებია, ვინაიდან უკვე ექვსი თვის დაქვრივებული იყო; ქმარმა — სისო ყოლანდარიამ — მეგვიდრის დაბადებამდე გაინაწილა მსგავსი ხვედარი: ზუგდიდ-სამურზაყანოს გზაზე ვიდაცის როყო ტყვიამ იმსხვერპლა...

ულამაზესი ქალი იყო დეა შონხე ახალგაზრდობაში. თხელი, ნატიფი, აშხვართული... სანთელს ჰგავდა — თაფლისას. კი არ მიდიოდა, მიირხეოდა მსუბუქად, უხორცოსავით, თითქოს ჰაერსა და ჰაერშია სხლტებო... გოგო რომ დაიბადებოდა სოფელში — შონხეს სილამაზეო, ბებიაქალები ლოცავდნენ. ქალის მძებნელ კაცს მზითევი თუ ეცოტავებოდა: კი, ბატონო, კარგია თქვენი ძღაბი,³ მარა არც შონხეაო, და ფეხს ითრევდა. ლექსიც გამოუთქვამთ მის სილამაზეზე: „შონხეჯგუა მოჭყუდუსია, მუში სისქვამე გოჭყუდუსნია...“⁴

შვილი არ უჩნდებოდა დეას და ეს ჰქონდა ცოლ-ქმარს საწუხარ-სადარდებელი. სად არ ჰყავდა და როგორ არ უფლიდა სისო ყოლანდარი თავის ქალს. მარიამობის დამეს ხატქვეშ აწვენდა ჭიხაშკარის ეკლესიაში, მოსკეწაჩხურშიც,⁵ იყვნენ გამოსალოცავად; კაცის სიგრძე სანთლებს, ვერცხლის ძაფს, კირიბს,⁶ ხარს სწირავდა ჩვილ-

² წმინდა გიორგის დღესასწაული;

³ გოგო;

⁴ შონისთანა პატარძალს საკუთარი სილამაზე გამზითვებდსო;

⁵ შვილებს მომცემი ხატი;

⁶ ბატკანი

¹ დაბალი სკამი

მეტი წელიწადი... ღმერთმა რომ არ ისმინა და არ უშველა მათ საწუხარს, სისომ ცოლი ურემზე დასვა და იმ კუთხეში ცნობილ ექიმბაშს — ციცხვიას ქალს ტობა ქალაქში ჩაუყვანა.

სამი დღე-ღამე დარჩნენ ტობაში.

ციცხვია ექიმბაში ხელს არ აკლებდა; დილა-საღამოს ულოცავდა, სხვადასხვა ბალახისგან დამზადებულ წამლებს ასმევდა, ოდის უკანა მხარეს, მზის გულზე კვერცხის ფორმის ქვაზე სვამდა, მერე წალდს აიღებდა (ამ წალდით წითელი გველი ჰყოლია თურმე მოკლული), მუცელზე სამჯერ შემოუტარებდა და, მკურნალობას რომ მორჩა, შინ დაიმედებულები გამოისტუმრა.

იმ შემოდგომაზე, ვიღაც მთვრალი სტუმარი აუხირდა სისოს მეზობლის ქორწილში: ქვაზე დასმა რას უშველის ქალს, ჩემო პატონი... კაცი ბილწად გაეჭილიკა და მანაც ვერ მოითმინა, მარცხენა ყბა ყამით სანახევროდ ჩამოათავლა.

მას მერე დიდი დრო არ გასულა, სისო ყოლანდარია ზუგდიდ-სამურზაყანოს გზაზე რომ იპოვეს მკვდარი.

რა ჭორი არ დაირხა სოფელში. ვინ — იმ ყბაჩამოთლილ კაცს აბრალებდა მკვლელობას, ვინ კიდევ — ძმებ ხანდრებს. საქმე იმაში გახლდათ, ამ მხარეში სისო ცხენის ცნობილი ქურდი იყო, ხანდრებსაც კი გამოუყვანა თავლიდან სამურზაყანოში ჩაჩბასთვის მოპარული ფეხაკეშა, ყაბარდოული ბედაური და ისევ აფხაზეთს, გუდაუთში გაუყიდა.

სისოს შუბლის ძვალი ფილთა თოფით ჰქონდა შეღეწილი.

ცხადი იყო, მკვლელობა გაქურდვის მიზნით არ მომხდარა. ფული თან ჰქონდა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც ზედ ერტყა მიცვალებულს. გვამი რომ უპოვნიათ, ტანმორჩილი მეგრული ცხენიც თავით ედგა თურმე პატრონს და მიწას გააფთრებთ ტორავდა.

ხანდრების ამბავია, შეურაცხყოფას ვის აპატიებდნენო, ირწმუნებოდ-

ნენ ცხენიპარია ყაზახები. ამბობენ, ქურდის ქურდი ცხონდაო, მკურნადა, ჩანს, ასე არ ფიქრობდნენ ხანდრები და არც ყოლანდარიებს დაუთმობდნენ ამ საქმეში პირველობას, რა თქმა უნდა! ისე, ყველაზე უკეთ თვით ცოდვილმა და, ღმერთმა იცოდა, ალბათ, თავისი სამართლისა.

იმ სანთელ-საკმეველს, მოსკე-წაჩხურსა და ჭიხაშკარის ეკლესიებში რომ უნთებდნენ გამჩენს, ეტყობა, თავისი გზა-კვალი ეპოვნა, ან ტობელი მკურნალის ბალახბუღაშმა და შელოცვებმა არგო ქალს, ვინაიდან სისო რომ მოკლეს, დეა უკვე ფეხმძიმედ იყო — სამი თვის თარბი ჰყავდა თურმე მუცელში.

ამ ცოტა ხნის წინათ კი, ჯეგე-მისარონის დღესასწაულზე, ეკლესიის ზარმა თარბი ყოლანდარიის მკვლელობის ამბავი ამცნო სოფელ ნახარებაოს.

როცა შვილს უჭირს, დედა ნათელმხილველი ხდებაო, ძველ ხალხს უთქვამს. იმ ტრაგიკულ დღეს, დეა დილიდან არეულად იყო, სული ეხუთებოდა, გულ-მკერდი ეწვოდა, ძუძუებში ნემსები ჩხვლუტდნენ. რომ შეღამდა, რძალმა ვარცლით თბილი წყალი შემოუტანა ფეხის დასაბანად. საოცარი რამ მოხდა! ჩაყო თუ არა ფეხის ცერი ვარცლში, წყალი უცებ გავარდისფერდა, სისხლივით გაწითლდა და, ახლა თუ მიხვდაო, რაც სჭირდა მის თავს, იკვილა, ზეზე წამოვარდა.

მერე ფეხშიშველი ქალი გარბოდა შუკაში... სოფელს რომ გასცდა და ჯეგე-მისარონის ეკლესიის გზას დაადგა, თარბის გაციებულ სხეულს აქეთ მოასვენებდნენ მოდღესასწაულე მეზობლები...

მოხუცი დედა და რამდენიმე თვის ახალმოყვანილი, ორსული მეუღლე დარჩა მიცვალებულს.

გუშინ თარბის ცოლისძმები ამოვიდნენ, თან თექვით გაწყობილი ურემი ჭიშკარს მოაყენეს: უკვე თვეშია ქალი, აქ ველარ მივხედავთ და ჩვენთან მოილოგინოსო.

არა. პატრონი მართლაც სჭირდებოდა. დღე-დღეზე შვილს მოელოდა ახალგაზრდა. გაუბედურებული ქალი, აქ კი ვის უნდა მიეხედა, მაგრამ მარტო დედაბერიც ხომ ცოდვა იყო, თუ რამე გამოახედებდა. მხოლოდ იმისი შეგრძნება და იმედი, ორსული რძლის მუცელში მომავლის სხივი რომ ჭიატებდა...

ჯარგვალში, სადაც დედაბერი იწვა, თითო-თითოდ შემოდიოდნენ თარბის ცოლისძებნი. თავჩაქინდრულები იდგნენ და ბურტყუნებდნენ თავისთვის რალაცას, თან თვალებს გან-გან აპარებდნენ, თითქოს მწოლიარე დედაბრისა რცხვენიათო.

მოლონიერდება ცოტა... ერთის ნაცვლად შინ ორი სული დაგიბრუნდება და კერა არ ჩაეკრებაო, მერამდნედ ამბობდა ყველაზე უფროსი — ორმოცს გადაცილებული ჩონთა ლავილა.

დედაბერმა რძალს გახედა. ის კერიასთან უხერხულად იჯდა კველაზე. კონიტს არ ძრავდა, მაგრამ, ეტყობოდა, თავის სახლში წასვლა რომ უნდოდა.

ყველაზე უმცროსი ძმა — ლოთია დასთან მივიდა და მოხუცის გასაგონად უთხრა: შავები გაიხადე, ვაშინერსო,* მერე იღლიაში ამოჩრილი შეხვეული გახსნა, ყვაილებიანი ბამბის კაბა კალთაში ჩაუღო და გარეთ თავდახრილი გავიდა.

სწორიც იყო! მშობიარე ქალს, წესით. შავები უნდა გაეხადა, მაგრამ დედაბრისთვის საოცრად მძიმე და გულმომკველელი იყო ამისი ყურება, თითქოს იმ ერთ ყლუბ იმედს, მისი ორსულობა რომ უციაგებდა სულის კუნჭულში, ქალის ძმები ართმევდნენ, ერთბაშად უხშობდნენ ყველაფერს, რითაც ჯარგვალში ჯერ კიდევ მოფარფატე შვილის ხატებას, მის ღიმილშეყინულ

სახეს, სხეულის მედიდურ მიხრა-მოხრას — გაქრობა, სახელ-გვარს — მუდამო დავიწყება ეწერა.

იქნებ უკეთესიც იყო! სხვა ვინაა და რა — დედაშვილობაზე ძვირფასი და მეტი?!

მართლაცდა, ვინ იყო ეს ქალი — გუშინ თუ გუშინწინ მოყვანილი ყოლანდარიების სახლში? ან მას წლობით რატომ უნდა ეტანჯა, ეგლოვა, ევიშვიშა დედაბრის ცხოვრების, მისი სუნთქვის, არსებობის გამო?! არ სჯობდა, თავის ბედს დროულად სწეოდა! უფრო მეტიც! მაღლობა ეთქვა რძლისთვის, თავისიანებში რომ მიდიოდა. სამაგიეროდ, თარბი მხოლოდ მასთან თუ მასში დაიდებდა საბოლოო ბინას, გამხმარ სხეულში, სულში ჩაეკირებოდა სამარადეამოდ! ეს ახალგაზრდა ქალი, კველაზე მოლორებული პატარძალივით თავჩალუნული, იძულებით რომ იჯდა, ვთქვათ, დედაბრის ცრემლის ჯამს წყვილი ცრემლით შეეზიარებოდა, წუხილს მისას გაიყოფდა, გაინახევრებდა, მაგრამ განა მის გულს ლოდს ააცილიდა?! იქნებ პირიქითაც მომხდარიყო! მოხუცი დედის ახანხალებულ სულს თუ იმ მარადიულ დედაშვილობას, უფრო ღიდი და მნიშვნელოვანი რამ დაჰკლებოდა?!

დედაბერი ლოგინში იწვა და უხმოდ იტანდა ყველაფერს.

ისევე თარბი ედგა თვალწინ: სევდიანად მოღიშარი, ოდნავ შეშფოთებულიც... მხოლოდ მაშინ, როცა რძალმა თავზე უხერხულად გადაიძრო კაბა, მერე პერანგიც აღარ დაიტოვა და მოხუცმა მის კვერცხივით შემრგვალებულ და ქათქათა მუცელს რომ ჰკიდა თვალი, მკერდქვეშ რალაც უსაშველოდ აუმოძრავდა, თითქოს დამუკნარ ძუძუებში დაგროვილი შხამი და ბალღამი წამით გაუქრა, გაუღღვა და, თავისდა უნებურად, თვალის გუგები ნალვლიანმა სევდა-სიხარულმა ცერის სიმსხო თითო ცრემლით ამოუვსო...

* არ შეიძლება, ტაბუ ადევს.

შენ ხარ გვირილა

არ დაიძინოთ, ყვავილებო,
არ დაიძინოთ.
გახედეთ, მთვარეც მოიჩქარის,
შუქსხივოსანი,
თქვენთან კარგია, მეგობრებო,
და... ადვილია,
შენ ხარ გვირილა,
შენ ხარ ია,
შენ ხარ შროშანი...
რომ არ დაირღვეს ჰარმონია

გასაოცარი,
ვის ეპყრას კვერთხი,
მწყემსის ცხვარი,
ერქვას მგოსანი,
თქვენთან კარგია, მეგობრებო,
და... ადვილია,
შენ ხარ გვირილა,
შენ ხარ ია,
შენ ხარ შროშანი...

ზ ღ ვ ა

დაიღლებოდი, მზეც სხიმფინარო,
გადმოგივლია სივრცე რამხელა...
ზღვა რომ არ იყოს, თუ მოხვიდოდი
ეგზომ სითბოდ და ეგზომ ნათელად...

ზღვა ნაპირს ლოკავს და არას ითხოვს,
წყნარ ზღვას არ უყვარს გრძნობის გამხელა...
შორს, თეთრ ტალღაზე წევს აფროდიტე
და ეზარება თვალის გახელა...

ისე უცებ დაიწალა
ამოდენა სამყარო,
ალარ ვიცი, ვის ვესტუმრო,
თავი სად შევაფარო,

ოცნებაო, გევედრები,
ზეცა შემომატარო,
რა იქნება, ნიავს ენდო,
ფრთები გამოატანო...

ჩ ი ტ ი

აფრინდა ჩიტი, აფრინდა,
ლაყვარდი გადაიარა,
ძირს დამიტოვა ოცნებად
„— რად მოველ ადამიანად...“

ჩიტო, ფრთალადო, შექმნილო
ცისა და მიწის ზიარად,
ნეტავ თუ მოისურვებდი
გაჩენას ადამიანად...

კონსტანტინე არსაკიძის განხილვა

ჰა, შენი სულის დიდი ტაძარი,
ეს სისხლი ჩვენი, გონი და ძალი,
გადაწყდა: — უნდა მოგკვეთონ მკლავი,

სიყვარულის წილ გოლგოთა მძიმე,
მაწვალებს: — როგორ გეჭირა თავი,
შეეწირე თუ არ შეეწირე...

მიტოვებული ქვეყანა

სიცხადეშიც ამედევნა
თავხედური სიზმარი,
მახსოვხარ და მიყვარხარო,
თითქოს ასჯერ მითხარი.

იცი, როგორ გამიკვირდა,
იცი, როგორ მიჭირდა,
იცი, როგორ მეშინოდა
გამორკვევა სიზმრიდან.

ნუთუ ასე მომენატრე,
ნუთუ სუნთქვით გიცანი,
უკვე უცხო, შორეული,
მაინც დასაფიცარი...

ღმერთო, როგორ მიხაროდა,
ღმერთო, როგორ მიკვირდა,
ღმერთო, როგორ არ მინდოდა
გამორკვევა სიზმრიდან.

მართლაც, როგორ დამაბნე,
მაინც რატომ მაწამე?
ღმერთო, სიზმრად რად მაახლე,
რაც წარსულს გავატანე...

იცი, თითქოს არც მიყვარდი,
მაგრამ მაინც მეტკინა...
ზმანებათა გაელვება,
გაფრენილი წლებიდან.
მიტოვებულ ქვეყნიდან.

იქნებ,
ყვავილთა ფანტელების
ფურცლებად...
არა?
ალუბლის,
ატმის,
ბროწეულის
შეხების გვარად,

შენს სხეულზე
სასწაულად
მომაგდოს
ქარმა...
და არ მომიძებნოს,
ვერ მომაგნოს
სულმოკლე ქმარმა.

ნეტარებისთვის
რა ცოტა რამ
არის საჭირო...

შეიცნო,
გწამდეს,
თავი გასწირო.

ყველაზე უფრო
თოვლის ფიფქის
შეხება
მიყვარს.
ნუ გაიოცებ,
თავად მიჩვენე,

ვნებით მადნება,
ხმას არ იღებს,
ლამაზად ქრება...

არაფერს მთხოვეს!
იმიტომ მახსოვს.

მომწონს ეს ფერი...
 ცოტა ნისლი აკლია ყვითელს,
 მომწონს ამინდი,
 გაუჩუოლება რომ შეუძლია;
 ო, აგერ ახლა
 ჩამოვედი ეკლიან ხიდან,
 ო, აგერ ახლა
 გამოვედი დევის მუცლიდან!

მეუცხოება ეს სამყარო,
 მზე და ქაოსი
 და აღარ ვიცი,
 თვალზე ცრემლი რას დაგებრალო,
 და ნისლებს შორის
 გაყვანილი გზები მაოცებს,
 როგორც ნისლების საარკმელიდან
 ვრცელი სამყარო!

მიპოვნის მაშინ...

ლამეში შევდივარ
 როგორც ტაძარში...
 ნეტავ ვინ იყო
 აქ ჩემამდე
 ვარსკვლავების ურიცხვ სანთლებით? —
 ხელაპყრობილი

დავიჩოქებ მის მკრთალ ფრესკებთან
 და როცა ლოცვით
 მთვარის სხივებს გავყვები ცაში,
 მიპოვნის მაშინ,
 ვინც მთელი დღე სადღაც მეძებდა,
 მიპოვნის მაშინ...

რალა თქმა უნდა,
 ვერ დავუტრავ ძველებურ პანგებს,
 თუკი ესაა სიყვარულის ბედის
 საზღვარი,

და გავუყვები
 ცხელი ცრემლის გრძელ ლიანდაგებს
 დამცირებული, როგორც მასხარა.

ინთება ცაზე ზოლიაქოს
 გამკრთალი ლამპა,
 მე უკვე ვიცი,
 რომ აისის ბედი მომელის,

გაიმეორებს გაზაფხული
 შარშანდელ ზღაპარს —
 მოწყენილი და შეუტკდომელი.

ვინლა დააფენს ცას, ამღვრეულს,
 ციმციმ ხალიჩებს,
 რომ სამკურნალო ბალახებით
 დათვრნენ კბოდენი,
 და სანამ ღამე ფრთხილად ითვლის
 ცდომილ ნაბიჯებს
 მაჩუქე სითბო მცირეოდენი...

წვიმს და...
 საარკმელიდან მოსჩანს ღამე,
 რომელშიც მე აღმოვაჩინე
 ჩემი პორტრეტი...
 არაფერს ისე არ უხდება წვიმა,
 როგორც ღამეს
 და ღამის ტილოზე დახატულ
 ჩემს პორტრეტს...
 მე მზე იმიტომ მიყვარს,
 რომ დაღამება შეჩქდილია...

ახლა დედამიწის მეორე მხარეს დღეა
 და რა უსუსურია იქაური ადამიანი,
 რომელიც
 დღეში დაინახავს საკუთარ პორტრეტს...
 წვიმს და...
 მე მახსენდება
 წუხანდელი ჩემი სიზმარი,
 რომელმაც გამომადვიძა
 და კიდევ ერთი ღამე შემინარჩუნა!..

მეგობრებს

ო, მომენტრეთ ახლა ისე, ისე ძალიან, ჩემი გულიდან ასე ჩუმად
 ვით ქვას, ხორკლიანს, ენატრება ამოფრენილი,
 უყაჩოები ალბათ, თქვენი სიზმრებისკენ
 და უცნაური სიყვარულის ჭიამაიაც, მოეშურება.


მოდის ღამე, მიწას ყვითლად
 მოფენილს
 ქარი გლეჯს და მალე სულ მთლად
 შეშლის...
 ვწევარ ახლა, ყველას უარყოფელი
 გადამწვარი ოცნებების ფერფლში.

მოდის ღამე, ჩემი მეფისტოფელი...
 ამ უგრძესი ღამეების დასმა
 დაახანა, მგონი, წუფესოფელი,
 სულო, გმართებს საჭურველის ასხმა!

ო, გაზაფხულო, ზეცისკენ თვალბაპყრობილი ისე გელოდი,
 ვით ბუდეები მოვლიან წეროს მოფრენას.
 შენ კი მიწიდან ბალახის ღერთან ერთად ჩუმად ამოპარულხარ
 დად ტიტლიკანას გირბენია თურმე იმდენ ხანს,
 რომ მთელი ტანი, ზამთრისაგან ნატანჯი მიწის
 ერთიანად გადაგინათლავს.

ტახტთან ერთგული ძაღლებივით წვანან ფიქრები,
 მუხის კუნძიდან გამომძვრალი ცეცხლის ენებით დახურულ
 ღამეს ხარბად ლოკავენ,

ჩემს ოხვრაზე იტრუნებიან, ყურებს ცქვეტენ
 და ასაშლელად მხოლოდღა ნიშანს ელოდებიან.
 სიციხით გაღველფილ სასანთლეზე მოწვეთავს ღამე
 და ყვითელ ალში ილანდება დღე გარდასული:
 გამტყდარი სარკე, ობობას ქსელი
 და ნაცრისფერი სასაფლაოსკენ თუ როგორ
 მიჰყავთ შუა ზამთარში მკვდრები მოკვდავებს...
 მძიმე ქანქარა შეირხევა მკრთალი შებერვით,
 ვეძებ საკრეფად ილუზიის ედეღვაისებს,
 ვწვალობ ამაოდ
 უნდა მოვუხმო ჩემს ერთგულ ძაღლებს — შეწყვეტილ ფიქრებს,
 ახლა ტახტის ფეხებთან რომ სუნთქავენ მშვიდად მიწოლილები.
 მაგრამ, ვაი, რომ ვერ გავუძლებ იმათი ენის ლორწოიან მღვრიე სისველეს,
 ხოლო გაქცეულს, ვით აქტეონს, ისე დამგლეჯენ.



გიორგი ჯორჯანელი

●
ღამე უცხოდ იმოსება
თეთრი ვარსკვლავებით
და ვენერა მილოსელმაც
შეარხია თმები.

შორს წავიდა შენი ფიქრი
ზმანებებით მთვრალი,
რომ ყვავილებს დღეს შენს ირგვლივ
დაუხრიათ თავი.

●
იყო ოცნება მზისთვის
დაუეწყარი ლანდის
და მე არ ვიცი, რისთვის
შემომეჩვია დარდი.

მოგენატრება, სძლევდ
გულის იღუმალ კენესას,

●
გადაწყვეტილი სიმების
იყო წუხილი ფარული
და თეთრი ფანტაზიები
კვდებოდნენ მზის სიყვარულით.

გაფითრებული ბგერები
აცრემლებული თვალებით
კვდებოდნენ ბედნიერების
უკანასკნელი წამებით.

●
სულს მწუხარება აწევს,
გაზაფხულია ირგვლივ,
სადღაც ღმერთებმა დაწვეს
ჩვენი ცხოვრების წიგნი.

უნაზესი გულის თრთოლვა,
ოცნებას რომ ჰბადებს,
ჩვენ ვიცოდით მხოლოდ ორმა
ყვავილებზე აღრე.

და დღეს ვერც ეს მიმოზები.
ვერც ჩურჩული ქართა,
ვერც ვენერა მილოსელი
ველარ გეტყვის მართალს.

წავა ხალისი — შემდეგ
ველარ იპოვი ვერსად.

ოცნებას სული მისდის,
ჩვენც ხომ ოცნებას ვგავდით,
შენ ხარ ოცნება მზისთვის,
დაუეწყარი ლანდი.

ქარმა გზა საით წაიღო
ცისფერ ხაზებით ფერილი,
უკანასკნელი გზა იყო
უკანასკნელი გენიის.

ანგელოსების ლოცვამდის
გაფითრებულნი სრულებით
იხოცებოდნენ მოცარტის
საფლავის თაიგულები.

ქარი იალქნებს ურწევს,
მიდის უნიჩბოდ გემი,
აღბათ, დანაცრულ ფურცლებს
მისდევს ცხოვრება ჩვენი.

ო. დღეს რამდენია ჩემს სულში
სინაზე,
რამდენი სინათლე და წმინდა
ოცნება,
ნუთუ კვლავ ავყევი გარდასულ
მირაუებს
და მიტომ მაკვირვებს დღეს ეს
საოცრება.

რა უსაზღვრო არის სიწრფელე
სულისა.

გაქრა და წავიდა წარსული წამება,
მე მოციქული ვარ იმ სასწაულისა,
რომელსაც გვაუწყებს გრძნობის
უკვდავება.

არა, დღეს არ მივსდევ მე წარსულ
მირაუებს,
დღეს აღარც კი მინდა მე მათი
ხსენება.

ეს ტკბილი ოცნება და სულის სინაზე
შენ შემოიტანე ჩემში სიმღერებად.

ისევ გაპყევი მზეს,
თუ მზე გადაპყვა თვალებს,
ვისთან წავიდე დღეს,
ვისთან წავიდე ხვალე.

ცისფერი შხამით ვთვრები,
შენთან მოველი შეყრას,
ნეტავი შენი თმები
სულ არ მენახა ქვეყნად.

ტანდარწეული ჩრდილი
როგორ ვიხილო სხვა,
მზეს ვეხვეწები დილით,
შენსკენ მასწავლოს გზა.

ისევ გაპყევი მზეს,
თუ მზე გადაპყვა თვალებს
და განშორების დღეც
მოახლოვდება მალე.

უცნაური ქარებით
ირხვიან სიმები,
ჩუმი ფერისცვალებით,
მზეო, ნუ იღიმები.

მაგრამ იმ სიმღერებით
სულმა სევდა დალია,
ლამე რამ გადარია?!
ქარი რამ გადარია?!

როცა გაიშლებიან
ცისფერი ყვავილები,
მზეო, ნუ დაიღევი,
მთვარეც, ნუ დაიღევი.

რად დახარე თვალები
ფერიულ გაღიმებით,
უცნაური ქარებით
ირხვიან სიმები.

გზები მეტად შორია.
მზემ ოცნება მრავალი,
აღბათ. გაიყოლია
სიმღერებით მავალი.

სულშიც გაიშლებიან
ცისფერი ყვავილები,
მთვარეც, ნუ დაიღევი
მზეო, ნუ დაიღევი.



არჩილ ჯორჯაძე

ლიბიტრი ყიფიანი

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, არ შევეცაობით ამ ხასიათის არგუმენტაციას. დოგმატიურ, უსაზღვრო რწმენას დიდი ადგილი ეჭირა ჩვენი მოღვაწის აზროვნებაში. ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი ლიბიტრის ლოიალიზმის შესახებ და ახლა ჩვენ ვიცით, რა სიმტიცეს და შეურყეველობას ანიჭებდა მას გრძნობა განუსაზღვრელის თავუანისმცემლობისა თვითმპყრობელობის პრინციპის წინაშე. თავის შინაარსით იგი გრძნობა ფრიად მარტივია, ხოლო ძალა ადამიანის, რომელიც აღიარებს მას, სწორედ რომ ამ მთლიან სიმარტივეშია. ლიბიტრი ყიფიანის ლოიალიზმი, წინააღმდეგე ქართულ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის ლოიალიზმისა, პოლიტიკური ხასიათისა არ იყო. ცოლთან მოწერილ ერთ თავის პეტერბურგულ წერილში ლიბიტრი ამბობს: „კვირას, I მაისს, ბედნიერება მქონდა და წარვუღდექ ბელმწიფეს ცარსკოე სელოში. ჩემთან ისე, როგორც სხვებთანაც, მოწყალებდა და უურადლებით იყო... და მგონი იმ შემთხვევაშიაც გავადმერთებდი მას, ქართველი რომ არ ვყოფილიყავი. და შენ ხომ იცი, ჩვენ, ქართველებს, რა რიგად გვიყვარს იგი“. აქ წმინდა გრძნობაა, უანგარო და ძლიერი გრძნობა. აქ არავითარ ეჭვს არა აქვს ადგილი. აქ სწორედ ის არის, რასაც ამბობს ცნობილი რუსენისკოპოსი ნიკონი: „ყოველთვის, როდესაც ღმერთს შემთხვევა მოუცია ჩემთვის და მე შევხვედრივარ ბელმწიფეს, მე განვიციდიდი რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას, [განსაკუთრებულ მისტიურ განწყობილებას... როგორ გამოვსთქვა სიტყვით ეს გრძნობა? ვიტყვი, რომ ეს მთელი ჩემი არსების გრძნობიერებაა უმაღლეს მბრძანებლის მამობრივობისა, რომელიც ისახება უსაზღვრო სიყვარულში და ერთგულებაში ხალხისა და თავის მეფისადმი და მამა-მეფისა თავის ხალხისადმი“. ეს თეოლოგიური კონცეპცია, საშუალო საუკუნოებში შემუშავებული

ბული. განსაზღვრულ ხანაში ყველა კულტურულ ერთა აზროვნების თვისებას შეადგენს. ამ ხასიათის აზროვნებას საქართველოშიაც მქონდა ადგილი. და მეცხრამეტე საუკუნეში ლიბიტრი ყიფიანი ერთი იმთავანი იყო, რომელშიაც ჭერ კიდევ უმწიკვლოდ იყო შენახული ამ ხასიათის სულიერი განწყობილება. ლიბიტრი უჩინარის ძალებით რომანტიულ და საგმირო ეპოქასთან იყო გადაბმული

ასე იყო თუ ისე. ლიბიტრის ამგვარ განწყობილებას ანგარიში უნდა გაუწიოთ, თუ გვინდა, რომ ადამიანის ცხოვრება გაუგებარი და განუ. მარტავი არ დარჩეს ჩვენთვის ამ კრიტიკის დახმარებით ბეგბე-ალალართა მოწესრიგების პროექტი განვიხილოთ. ახლა რომ ბატონუმობის საკითხის გარკვევას შეუდგეთ და ნათელვყოთ დ. ყიფიანის აზროვნება და მოქმედება ამ საკითხში. ჩვენ უკვე საქმარისი ფაქტორი მასალა გვექნება ლიბიტრის სოციალ-პოლიტიკურის მრწამსის შეგნება-შეთვისებისათვის.

ლიბიტრი ყიფიანი მემამულე იყო და ყმებიც ჰყავდა: მართალია, მისი დამოკიდებულება ყმებთან ჰუმანური ხასიათისაა, მაგრამ ბატონუმობის ინსტიტუტი კი იმის თვალში შეურყეველი იყო. მე, როგორც მებატონეს, შემოდესაც აქ და ასე მოვექცეე ჩემ უმას (ამის უფლება მაქვს და ამ უფლებას არ უარყოფ), მხოლოდ ამა და ამ მოსაზრებათა ძალით ჩემს უფლებით სავსებით არ ვხარებდობ და ასე და ასე ვეპურობი ჩემს ყმებში. აი, თვალსაზრისი ლიბიტრი ყიფიანისა იმ ხანაში, როდესაც ჭერ კიდევ გადავარდნილი არ იყო ბატონუმობა. 1851 წელს ლიბიტრი სწერს გორის მაზრის უფროსს: „ჩემმა ყმამ ბლუაშვილმა და მისმა ცოლმა გუშინ ჩემს სახლში საწოლარი საქციელი ჩაიდინეს. თუ სამართლიანად არ დავსაჯე, ცუდ ზნეს წავაქეზებ. ამიტომ ვგზავნი რა ამ კაცს თქვენს ბრწყინვალეობასთან. უმორჩილესად გთხოვთ გამოუცხადოთ, რომ მე ფიზიკურად არ დავსჯი, რადგან სუსტი ჩანისაა, რომ მე არ გადავასახა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ციცქარი“ № 4.



ლებს სამუშაოდ შორეულ ციხეში, რადგან პატრუხვა ვცემ მის ჩემთან ხანგრძლივ უწინდელ სახსარს, რომელიც გუშინდლის საცივლითი სახეობის გააბათილა — და ამ წყალობას ვიჩინ მისდამი, რადგან ერთგულ კაცად ვთვლიდი და მის გარჯას ვვაფასებდი, მის ცოლს, რომელიც კიდევ ზედმეტად არის დამნაშავე, არა ვსჩი სასტიკად, რადგან შვილები გამოიზარდა, მაგრამ ამ ცოლ-ქმარს ჩემს ხალხში ვიღარ დავტოვებ. გობოვ დამწყვედიოთ სამი დღით სიმონ ბლუ-ეშვილი, შემდეგ კი გაისტუმრეთ შორაინი მანარაში, სოფ. ზედუბანში მამასთან, ლაშარე ბლუაშვილთან, სახარჯით ვაწავნი სამ მანეთს, ცოლსაც აქედან პირდაპირ ვავაწავნი“. დავაკორდით ამ წერილს. აქ მისჩანს კეთილი და სათნოიანი ადამიანი, ერთის მხრით, ხოლო თავის უფლების შემცნე მეტაონე, მეორეს მხრით. ამ უფლებას მხოლოდ იმაში იყენებს, რომ თავიდან იშორებს დამნაშავე უმას, გზის ხარჯდაც სამ მანეთს აძლევს, მაგრამ ამასთან, სიტყვით მაინც მეტატონის უფლებებსაც აღიარებს: შემდეგო მეცემა, შემდეგო შორეულ ციხეში გადამხსალდებინა და სხვა ამისთანა, ეს ჩემი უფლებაა, საუკუნრებით დაწესებული და ამ უფლებას არ უარყვოვ; მაგრამ სათნოიანი გული თითქმის აქარწყლებს მის ხელში ამ უფლებას, დამნაშავე ცოლ-ქმარმა შოლები გამოუწარდეს, დიდხანს სინდისიერადაც ემსახურეს, ამა, როგორ უნდა დისახოს სასტიკად ამისთანა მოამავე ცოლ-ქმარი და დიმიტრიც არა სჯის და აქ, ამ წერილში მთელი დიმიტრი, საინდ წესი კანონიერად არსებობს, ეს წესი პატრიარქისადაც. თუ იგი არ ეგუება ჭუმანურ გრძნობას, ადამიანის ხელშია ამ ჭუმანუო გრძნობების გამოჩენა თვით უვარჯის წყობილების ფარგალში, და დიმიტრის გულმ უოველითვის იყო უფრო ფართო, ვიდრე მისი პოლიტიკური აზროვნება, ეს ვარემოება კონფლიქტის წყარო იყო მის ცხოვრებაში, მაგრამ რადგან ჩვენ ამ კონფლიქტის საკითხის გამორკვევას შემდეგში ვაპირებთ, ანიტომ გერ-ნზობიო ისევ ბატონყმობის საკითხს დაუბრუნდეთ.

1861 წელს მოუხდა დიმიტრი უფიფანს პეტერბურგში უოფნა, კვემით გვექნება საუბარი, თუ რად იყო არ და რას არიგებდა რუსეთის დედაქალაქში, ახლამ კი გადავქოთობთ რამდენიმე წერილს, რომელმაც იქიდან ცოლთან მოუწერა. 19 თებერვალს 1861 წ. იგი სწერს: „ხმები დადიოდა, რომ დღეს გამოაცხადებენ გლეხთა განთავისუფლებას, ხოლო არ გამოუცხადებიათ, მაგრამ საქმე სავსებით დაბოლოებულია და წინააღმდეგ ვაგრცელებულ ხმებიისა — არ არის დაბოლოებული მემამულეთა საზიაროდ“. ერთი თვის შემდეგ კიდევ სწერს: „გლეხთა განთავისუფლება მშვიდობიანად სწარმოებს, ახსად არავითარი უსიმოვნება და არც შეიძლება რომ უოფილიყო უსიმოვნება.

რადგან საქმე ორივე მხარისთვის საუკეთესოდ გადაწყდა: გლეხებიც კმაყოფილი არიან და არც მემამულენი დაზარალდნენ. ამ საქმის შიშით აქვთ იმით, ვისაც არ ესმის ეგ საქმე, და თუ საქართველოსთვის ჭერ კიდევ არ გადაწყვეტილა ეს საქმე, არ უნდა გვიხაროდეს, არამედ უნდა ვწუხდეთ“. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ სწერს: „მინდოდა წირვაზედ წასვლა, მაგრამ, დმერთო შეგაცადე, საპატიო მიწვევა ვიგონებ და ვამართლებ ჩემს წაუსვლელობას, დამე თოვდა, დღეს საშინელი ტალახია, ეტლიო წასვლა შეიძლება, რასაკვირველია, მაგრამ ისეიყვივის სობორში ქედაა ხალხისა, წინ ვერ გახვალ და უკან დგომით წირვასაც ვერ მოისმენ, ახლა დიდძალი ხალხი დადის, ეს მოვალეობაა ყველა წოდებთა — მეფისთვის ილოცონ, რადგან მან მიანიჭა ხალხს ადამიანის უფლებები, გლეხთა განთავისუფლება მშვენივრად მიმდინარეობს, ორივე მხარის სასიამოვნოდ, დივი არეულობა მოხდებოა, ბევრს ეგონა, მაგრამ მე ჩვენში მუსულმანთა საქმის გამოცდილებით ვიცოდი და აღარწმუნებული ვიყავი, რომ არავითარ არეულობას აქ ადგილი არა აქვს და გულწრფელად გახარებული ვარ, რომ ჩემი მოლოდინი მართლდება“.

ერთ წერილში კი (28 თებ. 1861 წ.) სწერს ამგვარად: „გლეხთა საკითხი გადაწყდა და, ღვთი ნებით, ისე კარგად გადაწყდა მემამულეებისათვის, რომ უკეთესად არც კი შეიძლება, თუ ჩვენშიაც ასე გადაწყდა — რაშიაც არავითარი ეჭვი არა მაქვს, — გულით მოხარული ვიქნებ და არავითარ უურადლებას არ მივაქცევ არც ოთხფეხის ცხოველების ეუფასა და დმუილსა, რც, მით უმეტესად, ორფეხიანებისა“.

ამჟარა არ არის განა, რომ ამ სტიქიონების დამწერი არ იყო „მესამოციანი“ და შორს დგარუსეთის იმ რადიკალურ წრეებისგან, სადაც უდიო უკმაყოფილება იყო იმის გამო, რომ განთავისუფლება სრულად და სავსებით არ მოხდა და რომ ძველი წესი კიდევ დიდხნობით უნდა დარჩენილიყო რუსეთში, და შორს იყო იგი ხალხისაგანაც, სადაც ჭერ კიდევ განთავისუფლების აქტის წინათ შფოთი და დრტვივის იყო და რომ ამ შფოთისა და დრტვივის ძალდატანებით, საკითხის გამწვავების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ იკისრა თავისუფლების რეფორმების განხორციელება, დიმიტრი უფიფანს შესაძლებლად მიანიჭდა დიდ სოციალურ ცვლილებების დამყარება ისე, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული და ნასიამოვნები უოფილიყო, ნამდვილად კი არც ერთი მხარე არ იყო დაკმაყოფილებული — ერთი მხარე იმითომ, რომ მეტს მოელოდნენ, მეორენი იმითომ, რომ ნაკლების გაღება უნდოდათ, ყოველ შემთხვევაში, კმაყოფილება უფრო მემამულეთა წრეებში იყო, რადგან, მართლაც, უფიფანისა არ იყოს, საქმე უფრო მათ სახარებლოდ გადაწყდა.

ყდა. და რაკი, ყოფიანის აზრით, სოციალური ცვლილება ასე დინჯად და მშვიდად მოხდა რუსეთში, სასურველია, რომ ჩვენშიც მოხდეს. ვისაც ეწინაინ, გარემოების უცოდინარობით მოსდით ეგ, რადგან თუკი რუსეთში დაბოლოვდა ყოველივე მემამულეთა სასარგებლოდ, აშკარაა, ჩვენშიც საქმე ამგვარად დაგვირგვინდება. და დიმიტრი ყოფიანი მართლაც და გულმხურვალედ მუშაობდა ამ საქმეში. და მას ასულდგმულდება ორი აზრი, — ერთის მხრით, იგი აღფრთოვანებული იყო ადამიანის თავისუფლების იდეით, მეორეს მხრით, ამ დიდი იდეის განხორციელება ისე უნდოდა, რომ არ შერყეულიყო სოციალური წყობილების მშვიდობიანობა და მემამულენი ძალიან არ დაზარალებულიყვნენ. უფლებრივი თავისუფლება, ხოლო ეკონომიური დამოუკიდებლობა — აი, ფორმულა დ. ყოფიანის პროექტისა. მაგრამ ამის შესახებ დაწვრილობით უნდა გამოვესახებოთ. მკითხველს. ხოლო ბატონყმობისაგან განთავისუფლება ჩვენში მოხდა 1864 წელს, როდესაც დ. ყოფიანი უკვე თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. ამიტომ მკითხველმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც მოხდა იმ ხანებში, რა მარცხი მოუვიდა სამსახურის დროს სამეგრელოს საქმეების თაობაზე, როგორ გაიმარჯვა საბოლოოდ, და შემდეგ ამისა, რა პირობებში იყო არჩეული თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

პარტი IV.

სამეგრელოს საკითხი თავისთავად ფრიად საყურადღებოა. 1857 წელს სამეგრელოში გლეხთა არეულობა მოხდა, არეულობის დროს სამეგრელოს მთავრის ცოლი ეკატერინე მოსკოვში იყო აღექსნარე II გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზე. რუსეთის მთავრობამ წესიერების დასაცავად სამეგრელოში ჯარი შეიყვანა და დააწესა იქ სამეგრელოს უმაღლესი მმართველობა, რომლის სათავეში გენ. კოლუბიაკინი დაყენა.

სამეგრელოს მთავრის ცოლს ურჩიეს პეტერბურგში დასახლება, რათა იქ შესაფერი აღზრდა მიეცა თავის მცირე წილგან შვილისათვის, ნიკოლოზისთვის. რაც შეეხება მთავრის ქონებას, უნდა დანიშნულიყო მზრუნველი, რომელსაც სავსებით უნდა დაეცვა მთავრის ქონება. მზრუნველობის დანიშნის წინ მთავრობის განკარგულებაში მოხდა ინვენტარული აღწერილობა ქონებისა. აღწერილობის საქმე დავალებული ჰქონდა ნამესტნიკის საბუღის წევრს; დიმიტრი ყოფიანს, რომელმაც, სხვა ოფიციალურ მოხელეთა თანდასწრებით, ცნობაში მოიყვანა კონების რაოდენობა და დაწვრილებით ინვენტარიც შეადგინა. ამ აღწერილობის მიხედვით მთავრის შემოსავალი 80 ათას მანეთს უდრდა წელიწადში. ამასობაში მზრუნველნიც დანიშნა მთავრის ცოლმა: ბარონ ნიკოლაი და

თ-დ. ჰაჰვაძე, თავისი ძმა (დ. ჰაჰვაძე და მთავრის ცოლი ეკატერინე აღ. ჰაჰვაძის). პოეტის შვილები იყვნენ. „სამეგრელოს“ საქმე ვერ წაიყვანეს რიგინად. ადგილობრივი აგენტები აღუყვანდნენ და 1858 წ. მთავრის ცოლს მხოლოდ 277 მან. შემოსავალი შემოუვიდა. საჭირო იყო უფრო მხნე მზრუნველის გამოიხვედა მთავრის ცოლმა დიმიტრი ყოფიანსა სთხოვა ამ მოვალეობის ასრულება. მაშინდელ ნამესტნიკს თ-დ. ბარიატინსკისაც ყოფიანი უნდოდა. დიმიტრი უარზე იყო. ბარიატინსკის აუხსნა კიდევ, თუ რისი ეწინოდა. საქმე ის არის, რომ სამეგრელოში რაღაც ორმაგი მმართველობა დამყარდა. ყოფიანს ეწინოდა, ვითო მზრუნველი, რომელიც მთავრის წარმომადგენელი იქნება, ვერ შეთანხმდეს აღმინისტრაციასთან, ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელთან. მეც მთავრობის კაცი ვარ, — ეუბნებოდა დიმიტრი ყოფიანი თავ. ბარიატინსკის და თუ ეს მოხდა, ჩემი მდგომარეობა ფრიად უხერხული იქნება. ბარიატინსკი დაარწმუნა, რომ აქ კონფლიქტი შეუძლებელია. თვით ხელმწიფე უწყეს მფარველობას მთავარს და ხაზინის და მზრუნველობის ინტერესები შეთანხმებულნი არიან. ხოლო თუ არ არიან, მე გაგვიწვი დახმარებას და ჩემი იმედი გქონდეთო. ამასთან, მთავრის ცოლიც ემუდარებოდა დიმიტრის, უარს ნუ მეტყვი და სახლს ნუ ჰმუშავო, შენს მეტი გამოსადეგი ამ საქმისათვის სხვა კინემ არ მეგულებოდა. ცარსკოე სელო. დამ კნ. ეკატერინე სწერდა დ. ყოფიანს: „ვიცოცი გაიგო, გაკვირვებულია, რომ სამეგრელოს მთავარს წმინდა შემოსავალი 277 მ. აქვს. ბარონ ნიკოლაიმ და ძმამ არაფერი შემატებინეს, თუ როდის წავგვაროვებს ბაზრების, რიონის, ჩალვადრების და ბილიეთების შემოსავალი“. დიმიტრი ყოფიანი დათანხმდა, მაგრამ ადგილზე მისვლისთანავე დარწმუნდა, რომ მას უსაფუძვლო ეჭვები არ ჰქონდა და რომ მზრუნველს მეომარი პოზიცია უნდა სჭეროდა „სამეგრელოს“ ინტერესების დასაცავად. დიმიტრი ყოფიანმა უარ დახვდა არ იცოდა. რაკი რომელიმე მოვალეობის აღსრულება თავზე იღვა. დაბრკოლებას არ შეუშინდებოდა. და აქაც პირველშივე შეტბაჟა გენ. კოლუბიაკინს, რომელთანაც კერძო ცხოვრებაში დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყო და შენობითაც ელაპარაკებოდა. სანამ განვადრებდეთ ამ შეტბაჟების ამბავს, საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა სამთავროს საქმეებზე.

არეულობა რომ მოხდა სამეგრელოში, მთავრობამ ხელზე დაიხვია ეს გარემოება და, როგორც ვსთქვი, სამეგრელოს საქმეებში ჩარევის შემთხვევა იპოვნა. და მართლაც იქ საქმე აწვილდა-დაწვილი იყო. ხალხი შფოთავდა უზომო და უსამართლო შევიწროებისგან. მთავრის ცოლს ეკატერინეს სწერდნენ სანამესტნიკოდა,

თქვენი სამფლობელოში საქმე ისე არის არეულ-დარეული, რომ თქვენი იქ ყოფნა მვენებელია. „უკველავრით დავრწმუნდი, — სწერს მოხელე დიუკრუასი, — რომ ვერსად ნახავთ მეტს არეულობას. მაღალი წოდება გარყვნილი და გაუნათლებელია, ხალხი დაჩაგრულია, სიღატაკემდე მიყვანილი, კანონი დავიწყებულია, მოხელენი ბოროტმოქმედებენ და თავიანთი კიბის გასაქვლებლად ზრუნავენ, ავაზაკობა დაუსჯელი რჩება, საზოგადო საპირობებაზე არავინ ზრუნავს... ყოველივე ეს მოწმობს, რომ სამეგრელოში ძირითადი ცვლილებების მოხდენა საპირო მმართველობაში... თქვენი უუგანო მმართველობის სურვილია, რომ ამბოხება გარბა სძლიოს, მაგრამ რუსეთის მთავრობის ღირსება ვერ მოითმენს, რომ ისეთ მმართველებს დაუჭიროს მხარი, რომელნიც ავირობენდენ მათ ქვეშ მყოფ ხალხს... მეტსაც ვიტყვი. გარეულების უკიდურესობა მიიძღვება, გულწრფელად ვთქვა ჩემი აზრი. სამეგრელოს და მშვიდება და იქ წესის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უუგანო მმართველობა დათანხმდება და დროებით მინც მოშორდება სამეგრელოს... იმედო მაქვს, რომ თქვენს კერა დაკისრებულ მოვალეობას გარდა ასწონ-დასწონავთ, მოვალეობას მის იმპერატორობითი დიდებულების ერთგულ ქვეშევრდომისა და სამეგრელოს მმართველისა, რომელმაც თავის ქვეყნის დასამშვიდებლად მსხვირპი უნდა მოიტანოს და იზრუნოს თავის შვილების მომავლისათვის. თქვენი უუგანო მმართველობა, ჩაუკვირდება რა ამას, დარწმუნდება, რომ უნდა დაეთანხმეთ ჩემ რჩევას, რომელსაც გაძლევთ, ერთის მხრივ, ჩემზე დაკისრებულ მოვალეობის მიხედვით, მეორეს მხრივ, თქვენდამი და თქვენი სახლისადმი მუდმივ პატივისცემის გულიანათვის...“ ამ წერილის მიღების რამდენიმე თვის შემდეგ მთავრის ცოლის სწერს თვით ხელმწიფე ალექსანდრე II, წერილში ხელმწიფე მწუხარებას აღნიშნავს სამეგრელოში მომხდარი არეულობის გამო, დასტურებს ზომების ნამესტნიკის მიერ მიღებულს და იმ აზრს აღიარებს, რომ სამეგრელოს ხალხის კეთილდღეობა მომავალში იმაზედ იქნება დამოკიდებული, რამდენად საფუძვლიანად განათლებული იქნება მისი მთავარი, „ამიტომ, — განაცხადებს იმპერატორი, — გეპატავებით დროებით პეტერბურგში შვილების აღზრდის გულისათვის. აქ იპოვნით საპირო პირობებს და თქვენის განათლებულის მეცადინეობით და ცხოველ დედობრივ გრძობის წყალობით თავად ნიკოლოზს ღირსეულად გაზრდით მის მაღალ მოწოდების აღსრულებისათვის. ამ საქმისათვის და თქვენი და თქვენი შვილების ღირსების მიხედვით გინიშნავთ მთავრის სრულ მოვალეობაზე წელიწადში 30 ათას მანეთს. და ამას მიიღებთ თქვენ, როგორც მოწმობას ჩემის

თქვენი სახლისადმი კეთილმოყვარეობისა. სიამოვნებით გარწმუნებთ, რომ მომავალშიც დავშთები თქვენდამი კეთილის მოსურნე (ხელს აწერს ალექსანდრე). ამ გარემოებათა ძალდატანებით სამეგრელოს მთავრის ცოლი შვილებით გადასახლდა პეტერბურგში.

ჭრე ხნობით მთავრის უფლებები გაუქმებული არ არიან. პატარა ნიკოლოზი იზრდება პეტერბურგში, რათა სრულ მოვალეობაში, ინვესტიტურის მიღების შემდეგ, შეუდგეს სამეგრელოს მართვას. მთავარს მფარველობას უწევს ხელმწიფე. ხელმწიფის სურვილია, რომ მისი ქონება დაცული იყოს, როგორც ქონება სამეგრელოს მმართველისა. დიმიტრი ყიფიანმაც საქმეს სწორედ ამ თვლით შეხედა. გენ. კოლუბიაკინსა და ყიფიანს შორის გამართულ მიწერ-მოწერას რომ დავაკვირდეთ, ჩვენთვის სავსებით გამორჩევა როგორც დ. ყიფიანის პოლიტიკური პოზიცია, ისე მთავრობის წარმომადგენლისა. დიმიტრი ყიფიანის აზრით სამეგრელოს საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ორნაირად: ან ხელუხლებელი რჩება სამეგრელოს სამთავროს უფლებანი და მთავარიც სრულმოვალეობის მიღწევის დროს დაიშვილებს მემკვიდრეობით ტახტს. ან კიდევ, მთავრის უფლებები მოსპობილი იქნება და მისი ქონება სახელმწიფო ქონებად გახდება. „პირველ შემთხვევაში, — სწერს იგი გენ. კოლუბიაკინს, — მთავარს არ უნდა ჰქონდეს არც ერთი მიზეზი, რომ უსაყვედურლოს მის მფარველ მმართველობას, ქონება გამოვლანგეთო. მეორე შემთხვევაში, არც ხაზინას უნდა მიეცეს შემთხვევა ეპვი შეიტანოს ვისმეზე და დამნაშავენი ეძიოს, თუ რომ დაკარგული ან უკანონოდ მითვისებული აღმოჩნდა ქონება. მაშასადამე, როგორც მზრუნველობას, „ოპეკას“, ისე სამეგრელოს მმართველობას ერთი და იგივე მიზანი უნდა ჰქონდეთ — მთავრის ქონების და შემოსავლის ხელუხლებლად დაცვა“.

მაგრამ სამეგრელოში მოსვლისთანავე დ. ყიფიანი რწმუნდება, რომ იქ მოხელეთა წრეში თითქოს უკვე გადაუწყვეტიათ, რომ სამთავრო აღარ არსებობს და რომ ადმინისტრაცია მხოლოდ იმას უნდა ადევნებდეს თვალყურს, რათა მთავრის ქონება დაცული იყოს მხოლოდ როგორც კერძო მემამულის ქონება. გენ. კოლუბიაკინი უპასუხებს ყიფიანს: „თქვენი აღმატებულება მხოლოდ ორ გამოსავალს ჰხედავს სამეგრელოს საკითხის გადასაწყვეტად. ან მთავრის დაბრუნებას, ან მის ქონების სახელმწიფო ქონებად აღიარებას. ჩემის აზრით კი, კიდევ შესაძლებელია მესამე გზაც: ჰქუასთან ახლოა, რომ სამეგრელოს მთავარი, აქ დაბრუნებისას, თავის ნებით, აიღებს ხელს სამთავროს უფლებებზე და დარჩება როგორც კერძო მემამულე. ნაადრევად მიმაჩნია ამ ქონების დაცვა, როგორც სახელმწიფო ქონებისა მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში იგი შეიძლება ხაზინის ხელში



გადვიდეს. მცირე წლოვან მთავრის ქონება ეხლა დაცულია ყოველგვარ კანონიერის წომეობით, როგორც ყოველი კერძო ქონებაა დაცული და სამეგრელოს მმართველობას ამაზე მეტი მზრუნველობის გამოჩენა არ შეუძლია. ან ორ სხვა და სხვა აზრიდან დაიბადა დიდი უთანხმოება „მზრუნველობისა“ და სამეგრელოს მმართველობის შუა. კონფლიქტი აუცილებელი იყო. თუ სამთავრო არსებობს, მისი წესი და უფლებანიც უნდა პატივდებულ იქნენ, ხოლო თუ ამ პატივდებას მას აკლებენ, სამთავროც გაუქმებული ყოფილა. გაუქმებული კი იყო კანონიერად? არა. მაშ, თუ კანონიერად იგი ჯერ უთარყოფილი იყო არის, იმისი უარყოფითი თვითნებობას სჩადიან და უკანონობას აწესებენ. ეს აზრი გამოირკვა დიმი. ყიფიანისთვის და იგი მზურვალედ, როგორადაც ეგ მის მთლიან და გახედულ პირიყენებს შეეფერებოდა, კანონიერების დარაჯად დადგა. კანონისა და ლოდიკის მოთხოვნილების მიხედვით მისი პოლიცია შეურყეველი იყო, ხოლო ობიექტურად რომ შევხედოთ საქმეს, იგი გამოვიდა მცველად იმგვარ სოციალურის წესისა, რომელმაც გამოიწვია სამეგრელოს გლეხთა არეულობა: რაკი მთავრის უფლებებს იცავდა, არ შეეძლო არ დაეცვა სოციალური წესიც ამ სამთავროში გაბატონებული. ამ კონფლიქტის ისტორია ფრიალ საყურადღებოა.

გენ. კოლუბიაკინი სწერდა: „სასოფლო პოლიციის მსახურებთან „ოპიკას“ არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. ამ პოლიციელთა არჩევის, დამტკიცების და დათხოვნის საქმეში არ უნდა ერეოდეს. თუ პოლიცია განთავისუფლეთ მთავრის მამულში საქმეების გარჩევის მოვალეობიდან და „ოპიკას“ მიერ დანიშნულ პირების ხელში გადავიდეთ, ეს წინააღმდეგი იქნება უმადლესად დამტკიცებულ სამეგრელოს მმართველობის დებულებისა და აგრეთვე სამეგრელოს გლეხთა ყოვაცხოვრებასაც არ შეესაბამება. სამეგრელოში მემამულეთ პოლიტიკური უფლებები არას დროს არ ჰქონიათ და ისინი არ ჰგრომბოდნენ იმ პასუხის მგებლობას, რომელიც დაკავშირებულია ამ უფლების განხორციელებასთან. გლეხი ბატონს მხოლოდ განსაზღვრულ ხარჯს აძლევდა და ბატონი აღარ შედიოდა გლეხის წინების და მატერიალური მდგომარეობის გამოძიებაში. თანახმად ამისა, სამთავროს მამულებშიაც მოხელეთა მოქმედება ისაზღვრებოდა ხარჯების აკრფით და სამუშაოს განწესებით. ამ მრხელეთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება უმთავრესად მიზეზი იყო გლეხთა არეულობისა სამეგრელოში. ამიტომ მშვიდობიანობის დაცვის გულისხმავის საჭიროდ დაინახეს ამ მოხელეთა მოქმედების თვალყურის დევნა ჩაუბარებინათ ადგილობრივ პოლიციის უფროსებს“. რას იტყვიან ამის წინააღმდეგ? მართალია, კოლუბიაკინს სწორი წარმოდგენა არა ჰქონდა საქართ-

ველოში არსებულ ბატონ-ყმობის ხასიათს შესახებ. მას სრულიად დაავიწყდა ფეოდალური სტრუქტურა ბატონ-ყმობის ინსტიტუტისა, რომელიც არსებობდა ჩვენში. მაგრამ ასედაც რომ ყოფილიყო გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობა, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა გენ. კოლუბიაკინს, სამთავროს საზღვრებში ამ კრიტიკიუმს ძალია სრულიად ეკარგებოდა. მთავარი რის მთავარია, თუ კი სასამართლო და აღმინისტრაციულია მის გავლენას და ძალას იქვემდებარება. ისტორიული დასაბუთება კოლუბიაკინისა სუსტია. მაგრამ იმავე ობიექტურის სოციალურის საწომით რომ გავჯვროთ საგანი, მას თითქმის გასამართლებელი საბუთი ეძლეოდა- სტრუქტურა, სამთავროს წესებს რომ ანგარიშს არ უწევდა. მისი „უკანონობა“ თითქმის ლიბერალურის მოსაზრებით იყო გამოწვეული. მართალია, ჩვენ არა გვჭერა მთავრობის აგენტების ლიბერალიზმის გულწრფელობა, ხოლო ექვს გარეშე, რომ მთავრობისთვის იმ ხანებში სასარგებლო იყო ეს პოლიცია. ხოლო დიმიტრი ყიფიანი ამ ხასიათის კომპრომის ვერ ურიგდებოდა, მით უმეტეს, რომ მის თვალში მზრუნველობა იმგვარ წესებს იცავდა, რომელნიც სასარგებლონი იყვნენ ხალხის კეთილდღეობისათვის.

რაკი კოლუბიაკინს ვერ მოუხრიადა, ქუთაისის გენ. გუბერნატორს, თ. რომან გიორგის ძე ერისთავს დაეკითხა, სცნობდა თუ არა კანონიერად, რომ „მზრუნველობაში“ მოახდინოს მთავრის სოფლებში სასოფლო მმართველობის ამორჩევა და მან დადასტურებს არჩეულ მოხელეთა კანონიერება? თ. ერისთავი ყიფიანის აზრს დაეთანხმა და შემოუთვალა, დაუბრკოლებლივ შეიძლიან შეუდგენ არჩევნების საქმეს. დ. ყიფიანმაც კოლუბიაკინს აღარა ჰკითხა, შეატყობინა მხოლოდ, ოციცალიური ნება-რთვა მომივიდაო და შეუდგა საქმეს. მაგრამ პირველისავე ნაბიჯზე სასტიკ წინააღმდეგობა შეეჩაბა. სამეგრელოს მმართველობის მოხელენი, მაზრის უფროსნი არ იწყნარებდნენ „მზრუნველობის“ მიერ დადასტურებულ არჩევნებს და დიმიტრი ყიფიანის ცდა და შრომა დამარცხებით დაგვირგვინდა. შეატყობინა გენერალ-გუბერნატორს. თ. ერისთავმა კერძო წერილი მოსწერა, კოლუბიაკინს საქციელს ვკიცხავო, მაგრამ გიორგი, დროებით ნუ წამოედევით, ქუთაისში მოდი, იქ ნამესტნიკს მიველიო, ყოველივე მოვახსენოთ და იმედია სავსებით იქნები დაქმყოფდებულეო. მაგრამ ნამესტნიკი დროზედ აღარ მივიდა ქუთაისში. დიმიტრი ყიფიანის მდგომარეობა კი აუტანელი სხდომისა როგორ, ამბობდა ის, „ნამესტნიკის“ საბჭოს წევრი თ. დადიანის ხარჯის ამკრეფად უნდა გახადონ? თუ ასეა საქმე, მე აქ დამდგომი არა ვარ და გამოძრუნდა ტფილისში. აქ. თ. ბარიატინსკის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბარიატინსკი კოლუბიაკინის მხა-

რეზე იუ. თ.-დ. ერისთავის (ქუთაისის გენ-გუბერნატორის) და ყიფიანის პოლიტიკას ჭი-ცხვდა. თ. ერისთავმა ამის გამო სამსახურს დაანება თავი. ყიფიანს კი ნება არ მისცეს მზრუნველის თანამდებობაზე ხელი აეღო.

— „თქვენო ბრწყინვალეობა, — მივებრუნ-დი თ. ბარიატინსკის, — ვკითხულობთ დ. ყი-ფიანის „მოგონებებში“, — თქვენი გაღწევე-ტილების შემდეგ მე აღარა მესმის რა ჩემი მო-ველობის. და რაკი აღარ მესმის, რაშია ჩემი მოვალეობა, ვერც ავსარულებ მას. ამიტომ ნება უნდა მომცეთ მზრუნველობას თავი და-ვანებო.

— ვიცოდი, რომ ასე იქნება. მაგრამ, გთხოვთ ამ უნად ნუ იზამთ ამას. ერთი წლის ან რვა თვის შემდეგ შეგიძლიათ.

— ამ ხნის განმავლობაში კი ქონება, რომე-ლსაც ვითომ ვპატრონობ, საბოლოოდ დაიქ-საქსება და პასუხის მგებელი ხომ მართო მე ვიქნები როგორც ღმერთისა, კანონისა, ისე ჩემი შეილები წინაშე. ნება მიბოძეთ, კნინას შევატყობინო მაინც უკველივც როგორც მზრუნველი მას ვეჭვემდებარები“.

ამის ნება მისცა ბარიატინსკიმ. მისწერა კნ. ეკატერინეს. და მალე პეტერბურგშიაც დაბა-რეს. ხოლო პეტერბურგში წასვლამდე დ. ყი-ფიანმა დასწერა დასახუთებული მოხსენება, სადაც შეეცადა თავისი პოლიტიკის გამართლებას. რათა ეს საქითხი სავსებით გამოირკვეს ჩვენ-თვის, ვსთქვათ ორიოდ სიტყვა ამ მოხსენების შესახებაც. როგორც ვიცით, კამათი დატრიალ-და მთავრის უფლებების გარშემო. ამ უფლე-ბების განუსაზღვრელობა იყო მიზეზი შეტა-კებისა ყიფიანსა და კოლუმბიაკის შორის. მო-ხსენებაში დ. ყიფიანი, სხვათა შორის, ამბობს: „ყოველივე, რაც მთავარს ეკუთვნის, ხალხი მახასო, ხაზინისას ეძახის, უძრავი ქონება, რო-მელსაც არა მფლობენ კერძო მესაკუთრნი, სა-ხასოა, ან სამთავრო, სადაღიანო და უყველა ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. გლეხები განსაზღვრულ გადასახადს იხდიდნენ სახასოდ, ხაზინაში, ვისაც კერძო მემამულისა-გან განთავისუფლება უნდოდა, თავისუფლებას სახასოდ დაეძებდნენ და თავიანთ თავს უწო-დებდნენ სახასო, სამთავრო, სადაღიანო გლე-ხებს. პირიქით, ისინი, ვინც ეკუთვნოდნენ ეკ-ლესიას, თ. დაღიანებს, მთავრის ნათესავებს და მთავარის, არა მთავრის სახლობის წევრებს, აგროთებს, კერძო მესაკუთრებს, თავადებს და აზნაურებს — ეძახიან საეკლესიო, საბატო-ნიშვილო და საბატონო გლეხებს. აი, რატომაც სამეგრელოს, მთავრის მამულს რაც შეეხება ამ უნად, არ ვხედავ კერძოდ სახელმწიფო სა-კუთრების შესახებ განსხვავებას და ამიტომ, სანამ უმალესად დაწესებულ მოვალეობას ვასრულებ და ვგანაგებ მთავრის ქონებას და სანამ მთავრის მოქალაქეობრივი უფლებანი უმ-ალესად დამტკიცებულ საზღვრებში რჩება,

ჩემ-მოვალეობად ვთვლი ყოველივე ამას უმა-ტრონო მზრუნველის უფლებით. მთავრის უფ-ლებების და ინტერესების დაცვის საქითხში კი შესაძლებლად მიმჩნია ერთმანეთში არ გაუ-რიოთ უფლება თ. ნიკოლოზ დაღიანისა, რო-გორც კერძო პირისა და უფლება მისი, რო-გორც სამეგრელოს მთავრისა“.

პეტერბურგში წამოსვლას მთავრის ცოლი, კნ. ეკატერინე აშურებდა. იგი სწერდა დ. ყიფიანს: „გთხოვთ, დააშუროთ თქვენი წამო-სვლა... გზის ხარჯი, რასაკვირველია, ჩემი იქ-ნება... არ შეიძლება, რომ არ მოხვიდეთ, ჩვენი საქმე დაილუპება. რა დროს ეკონომიის გა-წვევა? რადენიც დაჭირდეთ ფული, „ოპეი-დამ“ ისარგებლით, თავს ნურაფერია ნუ შეი-ვიწროვებთ. ოღონდ აქ მზვიდობიანად მობრ-ძანდეთ. გელით მოუთმინლად“. დიმიტრი ყი-ფიანსაც აღარ დაუგვიანებია. ძლიერ იყო აღშ-ფოთებული და სურვილი ჰქონდა თავი ემარ-თლებინა უმალეს წრეებში. ბოლოს, როგორც იყო, დღის ლოდინს და მეცადინეობის შემ-დეგ „ოპეის“ საქმეც გამოირკვა. დ. ყიფიანი აღტაცებული სწერს თავის ცოლს: „მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე საუკეთესოდ დაბოლოვ-და, ისე როგორც არავინ მოელოდა, არავინ ოცენებოდა. და მე, ღვთის შეწევნით 7 დღის შემდეგ წამოსვლას ვასრებ... გუშინ გავიგეთ გადაწყვეტილება, და დღეს უკვე ოფიციალური ქალაქი მოგვივიდა, დიდად ვართ აღელვებუ-ლნი, რადგან გადაწყვეტილება გვახარებს და გავმხნელებს. მადლობა ღმერთს, მართალი საქმე არ დაიღუპა და დამიფარა და არ მომანაღიებინა, რომ მის გულისთვის სინდისის და რწმენის თანახმად, ობლებს გამოვექომაგე უმალესს მმართველთა სამართლიანობაში. ეჭვი არას დროს არა მქონდა. მაგრამ არ მოველოდი ასეთ ერთსულოვან გამოსარჩლებას, როგორადაც გა-მოგსარჩლენე კნინას. ახლა აქ მართო ამაზეა ლაპარაკი. ერთმანეთს ულოცავენ, განსაკუთ-რებით მე მილოცავენ“.

ამაყი და გამარჯვებული დაბრუნდა დ. ყი-ფიანი ტფილისში. თავის „მოგონებებში“ დი-მიტრი სწერს: „1861 წ. აპრილში გამოვეყენებ უმალესად დამტკიცებულ აზრი კავკასიის კო-მიტეტისა, რის ძალითაც აღდგენილ იქმნენ შე-რეუქულნი ქონებრივი უფლებები სამეგრელოს მთავრისა, ხოლო თ. ბარიატინსკის მიერ მოწო-ნებული მოქმედება ადგილობრივი ადმინისტ-რაციის, გადაჭრით უარყოფილი იქმნა. თ. ბა-რიატინსკიმ განსაკუთრებული პატივი დამდო, რომ ჩემ გავლენას მიაწერა ამგვარ გადაწყვე-ტილების გამოტანა და საუღვარგარეთილად ტფილისში მოწერა ბრძანება — ამის შემდეგ ჩემი საბჭოს წევრად ვეღარ დარჩება ყიფი-ანი, მოახსენეთ თ. გროგოლ ორბელიანს, რომ მის ადგილზე სტარიციკი დაინიშნოს. ასე დამ-თავრდა — დასძენს დიმიტრი — 1862 წელს ჩემი სახელმწიფო სამსახური“.



დ. ყიფიანი სამსახურს თავს ანებებს, მაგრამ ეს გარემოება აღარ აწუხებდა. მისი აზრი, რწმენა, მსოფლმხედველობა გამარჯვებული იყო. მოხელეებთან ბრძოლაში უმაღლესმა მთავრობამ მისცა მხარი. თავის თავს დამარცხებულად აღარ გრძნობს დიმიტრი და მხიარულის გულით და გამხნეებულის იმედებით შესცქერის მომავალს. მომავალმაც მალე გაუღიმა. 1864 წელს თავად-აზნაურობამ წინამძღოლად აირჩია. და ეხლა საჭიროა გავცნოთ იმას, თუ რა პირობებში მოხდა დ. ყიფიანის არჩევა.

ბარბი V

1868 წლის ბოლოში ასარჩევი იყო ტფილისის თავდაზნაურთა წინამძღოლი. დიმიტრი ყიფიანი ამ დროს სამეგრელოს საქმეების თაობაზე წუგადდში იყო. დაიბარეს ტფილისში. ტფილისში თავად-აზნაურთა წრეებში დიდი აღელვება და მითქმა-მოთქმა. ამბობდნენ, თ-დ. გრ. ორბელიანი და თ-დ. ივ. მუხრან-ბატონი წინააღმდეგნი არიან დ. ყიფიანის მარშლად არჩევას. უბრალო აზნაურიშვილის ამორჩევა შეუძლებელია. ამგვარ თანამდებობას ყოველთვის დიდი გვარის შვილნი ასრულებდნენო. ამ საკითხის შესახებ კრებები იმართებოდა. ვალა-პარაკით თვით დიმიტრი ყიფიანის შემუარები:

— „ამ შემთხვევაში ჩვენს გავლენას მოვიხმართ და ხელს შევუშლით მის არჩევას, — სთქვს თ-დ. გრ. ორბელიანმა და თ-დ. ივ. მუხრან-ბატონმა. ყოველივე ეს ჩემი მოსვლის დღესვე გადმოვიცეს სხვა და სხვა ვარიანტებით. ჩემი თავმოყვარეობა უსომოდ იყო შელახული, მწყინდა, რომ ჩვენი არისტოკრატები უმრავლესობის სურვილს არაფრად აჯღებდნენ. და თუმცა არას დროს აზრადაც არა მქონდა თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობა მეკისრა, მაგრამ ეხლა გადავწყვიტე დავემორჩილო უმრავლესობის გადაწყვეტილებას. საგუბერნიო კრება გაიხსნა თებერვლის დასაწყისში, 1864 წელს. კრების მოწვევამდე ბარონ ნიკოლაისთან მიმიწვიეს. ბარონი ნიკოლაი მირჩევდა, ხელი ამელო არჩევებზე, მაგრამ მგონი დავარწყმუნე, რომ სამსახურის გარეშე მეოფეს აზნაურს ნება არა აქვს უარი სთქვას თავის საზოგადოების სამსახურზე, თუ საზოგადოება ითხოვს მისგან ამგვარ სამსახურს. ამიტომ უარს ვერ ვიტყვი-მეთოქ. სასახლეში თურმე, როგორც გადმოვიცა მის. ტარიელის ძე ლორის-მელიქიშვიმა, რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ იმაზე იყო ლაპარაკი, თუ რა გვარად აღელვებულნი არიან ქართველი არისტოკრატები. თუ დავმარცხდითო, მთავრობის თვალში შევრცხვებით, რადგან ეს იქნება მომასწავებელი ჩვენი გავლენის შესუსტებისაო. დადგა არჩევების დღეც... კრების თავმჯდომარემ, ტფილისის მაზრის წინამძღოლმა, გამოაცხადა, რომ დიმიტრი ყიფიანი, გიმნაზიის საპატიო მზრუნველი, იდგამს ყუთსო. ამ დროს თ. ივ.

მუხრან-ბატონი აწვდის რაღაც ქალაქს და სთხოვს, რომ კრებას წაუკითხონ. თანადაა ბარათაშვილმა წაიკითხა ეს ქალაქი, სადაც იყო ნათქვამი, რომ ნამესტნიკის ნებართვა არის, თუ რომ გენ-ლიიტენანტი თ. რევაზ ანდრონიკაშვილი მოინდომებს ყუთის დადგმას. სრული სიჩუმე. ამ სიჩუმის დროს წამოდგება სიღნაღის მაზრის უფროსი, თ. სოლომონ ანდრონიკაშვილი, თ. რევაზის ძმა, და განაცხადებს, რომ თ. რევაზ ანდრონიკაშვილი უარს ამბობს კენჭის ყრაზე. განცხადება დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდეგ ამისა დგება პირველი რიგში მჭდომი თ. გრიგოლ ორბელიანი, მიუბრუნდება კრებას და მისთვის არა ჩვეულებრივის აღელვებით აცხადებს, რომ საზოგადოებისთვის შეურაცხყოფა იქნება, თუ რომ წინამძღოლად არჩეული იქნება უბრალო აზნაურიშვილი. ხოლო ყიფიანის არჩევა კიდევ იმითმ იქნება შეურაცხყოფა ამ საზოგადოებისა, რომ იგი გამოგდებულია სამსახურიდან.

— ვიცით, ვიცით, — გაისმა ხმა აქეთ-იქიდან. გამოვდებოდა, რომ გავიგონე, მოთინებიდან გამოვდეი და ამ საქარო შეურაცხყოფის გამო შემდეგი ვუპასუხე: „ძალიან მწყინს, რომ უნდა ვილაპარაკო თ. გრ. დიმიტრის ძის წინააღმდეგ, რომელსაც ყოველთვის დიდად ვცემდი პატივს. მაგრამ კრებას უნდა გაუმარტო ზოგიერთი ფაქტები. შარშან ნამესტნიკის თანამდებობის ასრულების დროს და მისი ბრძანების ძალით თ. ორბელიანმა უმაღლესად წარადგინა წინააღმდეგა ჩემი სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ბრძანება გამოიცა, დაიბოხეთ თანახმად თხოვნისა (ე. ი. ვითომ მე ვითხოვე). მე არ ვთხოვნი დამითხოვეთო. მაგრამ არც პენსია, არც მუნდირი მითხოვია. ვისაც აჯღებენ სამსახურიდან, ასე არ ეპყრობიან.

— ვიცით, ვიცით, გვინდა ყიფიანი. უკენჭოთ, უკენჭოთ!

როდესაც ხმაურობა დაწყნარდა, წამოვდექი და ვსთქვი კიდევ შემდეგი:

— მგონი დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ყოველნივე, რომ თქვენი მარშლომა მე ფიქრადაც არას დროს არა მქონიყოს. მიწუნი მარვალი მაქვს, რომ ამ წოდებას ვერიდებოდე, რადგან დიდად სასიქაღულოა, მართალია, მაგრამ თან დართული ვალდებულებაც დიდად მძიმეა. მე ვერც ვიტყუი, რომ არ მესმოდეს ესა, ვერც დავგიმაღაუთ, რომ ვიწინებე, ვი თუ ვერ შევძლო აღსრულება ამ ვალდებულებისა. მაგრამ ერთხელვე (1862) წარმომითქვამს თქვენთან, რომ ვისაც საზოგადოება თავის წევრთაგანს დასაქმებს რასმე, ან სამსახურს მოსთხოვს რასმე, უარს არავინ უნდა იტყოდეს, მეტადრე ვინაც სხვა უფრო სასარგებლო სამსახურისაგან თავისუფალი არის. მე მონა ვარ ერთხელვე წარმოთქმულის ჩემის სიტყვისა. და თუ საზოგადოება სამსახურს

მოთხოვნ, უარის ყოფა აღარ შემიძლია აღარც სვინდისთა, აღარც კანონით, მხოლოდ ამის ვითხოვ, რომ ამ შემთხვევაშიაც არა გამოვივიდეს-რა განდრეკილება ვითარიმე კანონთან და სურვილი თქვენი გამოცხადდეს ექნებო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ექნეს იყრის დ. ყოფიანი. მაშინ თ. გრ. ორბელიანი ადარა, ამ ექნების ყრაში მონაწილეობას არ მივიღებო და განუე დადვა. მას მიჰყვანე გენერლები: თ. ივ. მუხრან-ბატონი, თ. გ. რ. ერისთავი, თ. ივ. შალიკაშვილი, მიხ. ყაზბეგი, ალ. დიმი. საგინაშვილი. მათ შემოუერთდნენ კიდევ მშ კაცი, რომლებმაც ცალკე გამოყოფილი ჭკუფი შეადგინეს. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექნეს ექნების ყრაში მონაწილეობას არ იღებს, არ დასწრათა სიაში ჩაირიცხებიან და ამ სხდომაზე ექნები აღარ ექნებათ. მას შემდეგ ექნების ყრას შეუდგნენ, რომელიც წესიერად დამთავრდა. ექნების ყრის შედეგი იყო 278 თეთრი ექნები, 4 შავი (მშ კაციც მიემხრო უმრავლესობას). და როცა არჩევნები დამთავრდა, კიდევ მივმართე სიტყვით ჩემს ამომრჩევლებს და ვუთხარი ჭერ ქართულად:

„ჩემი გრძნობა მოგვხსენებთ ყოველთავე და ამაზე თქვენთან ლაპარაკი საჭირო აღარ არის. საჭირო ეს არის ეხლა, რომ გარეთაც იცოდნენ და ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა რუსულად მოგახსენათ.

„ბატონებო თქვენ დიდი და გაბედული ნაბიჯი გადადგით დღევანდელ დღეს თქვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენის ექნებით თქვენ უკუაგდეთ და წარსულს მიბაძრეთ ჩვენს წრეებში გაბატონებული ცრუ-მორწმუნეობანი. დიდი პატივი მეცით და ღირსად ჩამთვლით თქვენს სათავეში, ქართველი უფძველესი თავად-აზნაურობის სათავეში დაყენებით. წინამძღოლის უფლება-მოვალეობანი ხომ ცნობილია: მთავრობის წინაშე იგი თავისი წოდების წარმომადგენელია, ამ წოდების ინტერესების მოსარჩელი, ხოლო წოდების წინაშე იგი განამხორციელებელია მთავრობის განკარახულებათა. ყოველივე ეს დაწვრილებით კანონებშია განსაზღვრული. თქვენ კარგად იცით, ბატონებო, რომ კანონების დაყენის საკითხში მე ულმობელი ვარ და მაგონი ამავსა ჩემი დამსახურება თქვენდამი. და მეც დარწმუნებული ვარ, რომ არა და როს არ მიმოხვით ამ საქმეში მხნეობის შესუსტებას. არც ამირჩევდით, ეგ რომ გდომებოდათ. მაგრამ დაწერილი კანონების გარდა, თითოეული ჩვენი სინდისის მოთხოვნასაც ემორჩილება ამის შესახებ მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა. ჩვენი ერთგულება ხელმწიფე-იმპერატორისადმი და უმაღლეს ტახტისადმი უსაზღვროა. სინდისის ქვეშ და ჩემი ძალ-ღონის მიხედვით ამ გრძნობის ერთგულ მოსახსარებელ ვიქნები. პირდაპირ გუებნებით, რომ ამ პირინციპის გა-

რეშე ვერ წარმომიდგენია რაიმე სხვა ინტერესი. ეს გრძნობა თანდაყოლილი შემეცნება ჩვენის მოვალეობისა და ღირსებისა. სათავად-წინაურ ღირსება — უმწიკვლო სამსახურშია ტახტისადმი. აი, ამ მხრით შეგიძლიათ მომოხვით, რომ ხელი შევუწყო თქვენს კანონიერ წარმართვას მომავლისაკენ. მაღლობას გითვლით პატივისცემისათვის. ეს პატივისცემა ისეთი დიდა, რომ მე ოცნებაშიაც არ მინატრია იგი. მერწმუნეთ, რომ დავაფასებ ყოველ შემთხვევაში“.

„ასე ვიყავ ამორჩეული, — დასძენს დიმიტრი, — 16 თებ. 1864 წ. სამის წლით (1864-1866). თ. გრ. ორბელიანი ამის შემდეგ ავად გახდა, თვენახევარი იწვა. ნამესტიკი ნახულოხდა ხოლმე და აღუდგებდა, რომ ყოფიანის არჩევა დამტკიცებული არ იქნებო. უმაღლესად დამტკიცება მოხდა მხოლოდ აპრილში“.

„ზემოთ მოთხრობილ ამბავის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში რამდენიმე ვარიანტი ტრიალებს. რაკი ვაუცვანთ ამ ამბავს იმ სახით, როგორც ჩაუწერია თავის მემუარებში დიმიტრი ყოფიანს, სხვა ვარიანტებს მნიშვნელობა უნდა დაუკარგოთ. მით უმეტესად, რომ ამ ვარიანტების დედა-აზრი სავსებით არ ეგუება მემუარებში მოთხრობილ ამბავს: ნ. ყოფიანის მიერ „მოამბეში“ დაბეჭდილ დიმიტრის ბიოგრაფიაში ნათქვამია, ვითომც დიდმა მთავარმა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ, იმ დროინდელმა ნამესტიკმა, არჩევნების დღესვე მიულოცა დიმიტრის დეკლარაცია და მეორე დღეს მიიწვია ცოლითურთ სასახლეში. მემუარები კი გვეუბნებიან, რომ დიმიტრის დამტკიცება მოხდა ორი თვის შემდეგ, ასე, რომ საუკვოა, დამტკიცებამდე მიულოცა დიდ მთავარს. აღნიშნულ ბიოგრაფიაში წარმოთქმულ სიტყვების შინაარსიც ის არ არის, რომელსაც ვეცნობით დიმიტრის ნაამბოში. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ვარიანტების ტენდენციაა, ისე დაასურათონ ეს ამბავი, ვითომც აქ მოხდა შეტაკება პროგრესულ, ლიბერალურ და კონსერვატორულ მიმართულებათა შორის. რამდენიმე ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ ამ გარემოების გავზიადება არ ივარგებს. თავის სიტყვაში დიმიტრიმ ნათლად გამოსთქვა, რაშიც იყო საქმე. თავად-აზნაურობას მიულოცა გაბედული ნაბიჯი გადადგით და წარსულიდან გადმოცემული ცრუ-მორწმუნეობა დაჰგმეთო. და ეს წარსული ცრუ-მორწმუნეობა გვართა შორის ქიშპობა და ბრძოლაა. აღნიშნულ შემთხვევაში ამ ბრძოლის გამოძახილს ჰქონდა ადგილი და ამბავს ის ისტორიული ინტერესი აქვს, რომ გრ. ორბელიანის დემონსტრაცია უყანასენი დემონსტრაცია იყო ფეოდალურ წყობილებაში წარმოშობილ წოდებრივობის სისტემისა, სადაც თავადს და აზნაურს სხვა და სხვა საფეხურებზე ჰქონდათ მიკუთვნილი სოციალური პოზიცია და სადაც ამ პოზიციების ერთმან-

თში გათანაწილება შეუძლებელი იყო. ამ თვალთა რომ შევხედოთ საქითს, აქ მართლაც მოხდა შეჯახება კონსერვატიულის და პროგრესულისა, რადგან ვალაშქრება გადაბერებულ აზროვნების წინააღმდეგ პროგრესულ მოკლედან უნდა ჩაითვალოს. მაგრამ საზოგადოებაში დატრიალებული ვარიანტების აზრი უფრო შორს მიდის და სცდილობს დავკარწმუნოს, რომ აქ შეტაკება იყო სხვა და სხვა სოციალური პროგრამებისა, ზომიერისა და რადიკალურისა. ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება; საგულსხმობა, რომ ბარიატინსკის დროს 1859 წლ. გრ. ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი ერთად მუშაობდნენ და ადგენდნენ მოხსენებებს ბაქონსკის შესახებ წინსტინკის დაავლებით, რომელსაც უნდოდა წინდაწინვე დაეშალებინა მასალები განწარხული რეფორმების მოლოდინში. მათი თანამშრომლობა და ერთის მოსაზრების შემუშავება შეუძლებელი იქნებოდა, მათ შორის რომ ძირითადი განსხვავება ყოფილიყო ბაქონსკის საქითში. და კვემით, როდესაც შევეხებით ამ საგანს, ჩვენ აშკარად დავრწმუნდებით, რომ დიმიტრი ყიფიანის სოციალური პოზიცია არც რადიკალური იყო, არც ლიბერალური. ამბობენ, გრ. ორბელიანმა აღნიშნულ კრებაზე წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „საპროთელმო მამინ დაილუპა, როცა მე და წვიმიტივე ერთმანეთს შეგვასწორისო“. თუ მართლა სთქვა ეს სიტყვები ორბელიანმა, ამ სიტყვების აზრი ის კი არა არის, ვითომ ორბელიანი დემოკრატიის შემოსებას მგულსხმობდა, არამედ მხოლოდ იმას, რომ მას, ორბელიანს, მეფეების მონათესავეს, დღეს იგივე პატივი აქვს, როგორც, აი, თუნდაც დიმიტრი ყიფიანს, თუმცა ღირსეულ ადამიანს, მაგრამ თ. აბაშიძიან ნაწინაურებს. ერთის სიტყვით, ეს იყო დიდი თვადის ბუტიანობა უბრალო აწაურის წინააღმდეგ, არც მეტი, არც ნაკლები.

უნდა ვსთქვათ ისიც, რომ ის ბუტიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. პირველმა ისევ დიმიტრიმ გაუწოდა ხელი ორბელიანს, თუმცა ბ. ყიფიანი „თემში“ დაბეჭდილ ერთ წერილში მოკვითობრობს, ვითომც არჩევნების მესამე დღეს გრ. ორბელიანი მივიდა დიმიტრი ყიფიანთან და მეგობრულად გადაეხვიაო. მაგრამ ეს მესამე დღეს არ უნდა ყოფილიყო, არამედ რამდენიმე თვის შემდეგ. დ. ყიფიანის მოგონებებში ვკითხვით, რომ არჩევნების შემდეგ გრ. ორბელიანი ავად გახდა. არის კიდევ სხვა საბუთი: დიმიტრის წერილი 31 აგვისტოს, 1864 წ. თარიღით, საიდანაც ვცუობილობთ, რომ დიმიტრის ორბელიანთან ამ წერილის მიწერამდე მეგობრული განწყობილება არა ჰქონდა. მანკის საქმეში საქირო იყო გრ. ორბელიანის დახმარება. და დიმიტრი ყიფიანიც, მიუხედავად იმისა, რომ ნაწყენი იყო, საზოგადო ინტერესების გამორკვევის გულსხმვის, იგნწყებს პირად წყე-

ნას და სწერს გრ. ორბელიანს: „კერძობითად მე იქნება დანაშაული მიმიძლოდეს რამე, თუ თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყუე წყრომისა, თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევისანიებდი, რომ ვიცოდა ჩემი დანაშაული, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მოგმართავთ თქვენს ბრწყინვალეობას. დიდს შემწეობას გვევდრებით არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც უძვეველია ყურადღებასაც მიაპრობდით და არც თქვენი კეთილი გულისაგან შეუწყნარებელი განაგებდეთ... თუ თქვენი სახიერი გრძნობით სასარგებლო მკოვით ეს საქმე ჩვენი საზოგადოებისათვის, პირად ჩემს დამდურებას ნულარ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენი სიტყვებითა და მონაწილობით“.

არის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ დ. ყიფიანსა და გრ. ორბელიანს შორის სრული შერიგება მოხდა 1871 წ. ორმოცდა ათი წლის აფიცრობის შესრულების გამო დიმიტრი ყიფიანი ულოცავს გრ. ორბელიანს: „ულოცავ თქვენს ბრწყინვალეობას ორმოცდაათი წლის აფიცრობა ხარისხში პატიოსან, კეთილშობილ და უმწყველო სამსახურს“.

აღსანიშნავია კიდევ დ. ყიფიანის მიერ კრებაზე წარმოქმნილი სიტყვა ამას წინათ ერთ თავის წერილში კ. ყიფიანს „თემში“ ჰქონდა მოყვანილი ამ სიტყვის ნაწყვეტი და ზოგიერთებმა არც კი დააჩქრეს, რომ დ. ყიფიანმა მართლა წარმოსთქვა ამგვარი სიტყვა; ბ. ყიფიანთან საკავშირო წერილში ბ. ანტ. ფერცელაძეც ეკვიანობს. კ. ყიფიანს, ამბობს იგი, მოჰყავს სიტყვა თავის მამისა, წარმოთქმული კრებაზე შედგომ ამორჩევის, სიტყვა, რომლის დაწამებისათვის, საფლავიდან რომ პასუხის გასენა შეიძლებოდა, არა მგონია, მაღლობა მოახსენის მამამ შვილს. ამ სიტყვიდან გამომდის, რომ ყიფიანი იყო თავით ფეხამდე გაუღენითილი „ჩინოვნიყური“ თვალთახედვით და არაკითარი ქვეყნის სამსახური არცა სდებოდა გულში და არცა გაჰგებოდა, არა არის ქვეყნის სამსახური და რა უჭირს იმის ქვეყანასო. საგულსხმობა აზრია, იმის მაჩვენებელი, რომ დ. ყიფიანს ნაკლებად იცნობენ ჩვენს საზოგადოებაში ისინიც კი, ვინც მის დროს მოღვაწეობდა და მის მახლობლად იმყოფებოდა. სიტყვა „ჩინოვნიყურიაო“ — თითქოს პირველი გაგონებაა, რომ დიმიტრი ყიფიანი ერთი უერთგულესი მოხელე იყო, ხოლო მიუხედავად ამისა, იგი არ იყო „ბიუროკრატი“. ამ სიტყვის პოლიტიკურის მნიშვნელობით. მის კონცეფციად მეფე ბიუროკრატი არ უნდა დარღვეულიყო. მისი სამსახური ბრძოლა იყო ბიუროკრატიის წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის პრინციპის დასაცავად, იმ პრინციპის, საიდანაც, მისი აზრით, ყოველი სიკეთე გამომდინარეობდა. დ. ყიფიანი არასდროს არ იყო „რადიკალი“. ბერს კი



სწორედ ამისთანა ჰგონია დიმიტრი და ძალიან გაუკვირდებოდა ხოლმე, როდესაც დოკუმენტების მიხედვით ალაპარაკებენ ისე, როგორც არ ლაპარაკობენ „რადიკალებში“. მაგრამ თავდა-აზნაურთა კრებაზე დ. ყოფიანს მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ სხვა რამეც მივიღოთ მხედველობაში. გავიხსენოთ, რომ ერთი წლის წინათ თ. ბარიატინსკიმ დაითხოვა სამხსურდიამ ეს უმწიკვლო აღმასრულებელი კანონიერების, გავიხსენოთ ისიც, რომ უმაღლესი წრეებში დიმიტრი ყოფიანის მოქმედება სავსებით იყო გამართლებული. და აი, ეხლა, როდესაც არჩეულ იქმნა წინამძღოლად, მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელითაც თითქოს უნდოდა ეთქვა: აი, მიყურეთ, როგორ მემისნა წინამძღოლის მოვალეობა. იგია აღმასრულებელი მთავრობის განზრახვებისა და მცველი კანონიერებისა. და ვერ შემიწყნარეს ბიუროკრატებმა, კანონიერება აღმათ მათთვის ცარიელი სიტყვა ყოფილაო. ექვ გარეშეა, რომ ბარიატინსკის მიერ ნაწყენი დ. ყოფიანი ამ მოტყუებითაც ხელმძღვანელობდა, როდესაც ასე ხაზგასმით ლაპარაკობდა კანონიერების შესახებ. მაგრამ ეგვეც რომ არ იყოს, მისი სიტყვა სრული გამოსახვაა მისი რწმენისა და აქ არავითარი შეცდომა არ არის. საქმე მხოლოდ ის არის, რომ აღამიანს დაფასების დროს მისთვის შესაფერ საზომით უნდა მიუღებოდ. ნუ დაეთანხმებით, სთქვით. რომ იგი სცდებოდა. მხოლოდ ნუ იტყვიან, რომ იგი თავის თავს ეწინააღმდეგებოდა თავის თავს ამტყუებდა. დიმიტრი ყოფიანი მთლიანი და უკომპრომისო მოღვაწე იყო. იმნი ბრ იხლო აზროვნებით რადიკალი. იმნი რადიკალიურად იცავდა თავის აზროვნებას და რწმენას.

მაშ, დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს. ახლა შეგვიძლიან შევხებთ ბატონ-ყმობის გაუქმების საკითხსაც და ავენიშნოთ ის შრომა, რომელიც გასწია დიმიტრი ყოფიანმა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს. აქ უკვე სავსებით გამოჩნდება, თუ რაგვარ სოციალურ იდეალებს აღიარებდა დ. ყოფიანი, რაგვარად სწყვეტდა იგი ამ დიდ სოციალურ საბოლბემას წარსული საუყუნისას.

ბარბი 11

29 მარტი 1861 წ. ხელმოწეფ იმპერატორის ბრძანებით კავკასიის ნამესტნიკი თ. ბარიატინსკი შეუდგა თადარიგს ბატონ-ყმობის საკითხის გამორკვევის შესახებ ამირკავკასიაში. ბარიატინსკიმ საკიროდ დაინახა იმ მაზრებში, სადაც ბატონ-ყმობა არსებობდა, დაეარსებინა სამაზრო კომიტეტები. ხოლო ტფლისში გულენოა მდგომარეობის მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტი. სამაზრო კომიტეტებს უნდა შეეგროვებინათ მასალა ბატონ-ყმობის შესახებ და გამოერკვიათ. რაგვარი დამოკიდებულება არსებობდა გლეხთა და მემამულეთა შორის.

ხოლო ცენტრალურ კომიტეტს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია და საზოგადოდ შეეხებოდა შავებინა ახალი დებულება. ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა სტას-სეკრეტარი კრუსენბერგი, მაზრის კომიტეტების თავმჯდომარეებად კიდევ თავ.-აზნაურთა წინამძღოლნი უნდა ყოფილიყვნენ. ცენტრალურმა კომიტეტმა, 18 აპრ. 1861 წ. დადგენილების ძალით, აუწყა სამაზრო კომიტეტებს, რომ თავდა-აზნაურობას სრული უფლება ეძლეოდათ ისე გადაწყვიტათ და შეემუშავებინათ საკითხი, როგორც მათი აზრი და სურვილი იყო, მაგრამ მაზრებში თავდა-აზნაურობას კომიტეტების არჩევა არ უნდოდა, მისი სურვილი იყო სამაზრო კრებებზე აღეძრა ეს საკითხი, რათა მის გადაწყვეტილებაში ყველას მიეღო მონაწილეობა. მოვარობას ამისი წინააღმდეგი არა ჰქონდა რა. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. ორბელიანმა ნება დაართო გუბერნატორს საგუბერნიო კრების მოწვევისა 10 იანვრისათვის 1862 წ. კრება იყო მოწვეული 2 აპრელს 1862 წ. რათა საქმე არ გართულებულიყო, მთავრობის სურვილისამებრ, თითოეულ მაზრას თავისი რწმუნებულები უნდა აერჩია და ამ რწმუნებულებისთვის მიენდოთ საქმის შესწავლა და განმარტება. კრების თათბირი გაგრძელდა 30 აპრილამდე. ამ კრებაზე გამოიკვია სურვილი, რომ რწმუნებულებათა მაგიერ, რომელთაც უნდა შეემუშავებინათ საკითხი, დიმიტრი ყოფიანს დაევალოს ეგ საქმე. დიმიტრი ყოფიანი უნდა ყოფილიყო მოხსენებელი და ამწერი. დიმიტრი თავის საქმეს შეუდგა და მასალების შეგროვებისათვის უნდა მიემართა იმ პირთათვის, რომელნიც საქმის წარმოებისათვის უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი მაზრებში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამგვარი პირები თითქმის არსადა არ აურჩევიათ. ამ უცნაური გარემოების განსამარტავად, დიმიტრი ყოფიანი ამბობს თავის მოხსენებაში: „თავდა-აზნაურობას შიში ჰქონდა, რომ არჩეულ კაცების აზრს რაიმე კომიტეტის ან ოფიციალური ხასიათის მნიშვნელობა არ მიენიჭებინათ. ამის შიშით, სანამ მთავრობა არ დაეცობა აპრილის სხდომების შესახებ, თავდა-აზნაურობა არას ატყობინებდა. და რაკი თანამშრომლობა არა ყუავდა დიმიტრი ყოფიანს, თვითონ გაიჩინა. ტფილისის მაზრაში 10 კაცს დაეცობა, გორის მაზრაში — სამს, სიღნაღისაში — შვიდს და თელავის მაზრაში — თორმეტს. ყველა ამ პირთ სთხოვა თავიანთი აზრი დაწერილებით შეემუშავებინათ. მაგრამ 28 მაისს დიმიტრი ყოფიანს უსიამოვნება შეემთხვა დიდი მთავართან. ბორჯომის ხეობის გლეხთა ერთ საქმის თაობაზე სათხოვნელად მივიდა დიდი მთავართან, მთავარს

ბარბილ ჯორჯაძემ
დიმიტრი ყოფიანი



არ ესია მოცნა ამ საქმეში დ. ყიფიანის ჩარევად და წყრომით გაისტუმრა უკან. საყურადღებოა, რომ ოთხმოციან წლებში კიდევ განმეორდება ასეთი ამბავი: გამოცხადდება ბორჯომის ხელოსან გლეხობას და ამ გამოსარჩევას კიდევ ერთხელ არ მოუწონებენ. მაგრამ ამაზე საუბარი შემდეგში გვექნება. ესლა კი უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ რაკი უმაღლესი მთავრობა შემოსწყრა, დ. ყიფიანს ეჭვი დაეძადა, ვითუ ჩემი დგომა და ხელმძღვანელობა საკლდეო საქმის არ ესია მოცნოთ და ვითუ ამითი საქმე დაბრკოლდესო. ამ მოსაზრების ძალით, მან უარი შეუთვალა თავად-აზნაურობას, ვერ ვიკისრებ თქვენგან ნაკისრ საქმეს ამა და ამ მოსაზრებითო. მაგრამ თავად-აზნაურობა ერთმანდ სოხოვდა საქმის გაგრძელებას. არწმუნებდა, რომ სრული ნდობა აქვს მისი და ისიც, რომ დიმიტრი ყიფიანზე უკეთ ამ საგანს ვერავინ გამოიძიებს და გამოიკვლევს. დიმიტრი ყიფიანი დასთანხმდა და ისევ შეუდგა ცნობების შეგროვებას. საბოლოოდ მას 240 კაცისგან 21 სხვა და სხვა მოსაზრება მოუვიდა.

ეს მოსაზრებანი შეისწავლა და შეიმუშავა და შეადგინა აღნიშნული მოხსენება, სადაც ხავესებით გამოისახა იმ დროინდელ თავად-აზნაურობის სულისკვეთება და აზროვნება, რომლის მცველად და მოსარჩელედ გამოვიდა დ. ყიფიანი.

რადგან ჩვენ აქ ბატონ-ყმობის განთავისუფლების ისტორიას არა ვწერთ, არამედ გვწავდა დიმიტრი ყიფიანის აზროვნების გამარკვევა, თანამედ არსებულ საბუთებისა; ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ ზემოთ აღნიშნულ მოხსენებას და სხვა დოკუმენტებსაც მხოლოდ იმ განზრახვით და იმ მხრით, რომ სახსენებთ იუსტ გამუქებული დ. ყიფიანის აზრი როგორც ბატონ-ყმობის, ისე მის გაუქმების და გადადების შესახებ. ამ საქითის განმარტება მით უფრო არის ღირსსაცნობი, რომ დიმიტრი ყიფიანის მოხსენებაში ისახება თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობის აზროვნებაც. იგი იყო ნამდვილი იდეოლოგი ამ წოდების სულისკვეთებისა. დიმიტრის ქაღალდეში არის მისი ხელით დაწერილი ხელთაწერი, სახელად „ბატონ-ყმობა“. ეს დოკუმენტი ექსტრაქტია ვრცელ მოხსენებაში განვითარებული აზრებისა. გვეცნოთ ამ „ბატონ-ყმობას“:

„ძველთ დროინდელს... ამბობს ყიფიანი, — ჩვენსა და ჩვენ ყმათ. შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დღათ ემგავსება დამოკიდებულებას ერთის ოჯახოს; ერთის სახლის შვილებისას. ჩვენ ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებს და ტყვეებსა, ყოველთვის ისე მივაჩინდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემეშუავებელნი ჩვენის საერთო საჭირნახულოსი. იმათაც ასე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებელნი და მტარვალები, ისე

მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და ერთო ყოფა-ცხოვრების განმგებელნი და მფარველნი და მფარველნი იყო ჩვენს შორის კირიცა და ლხინიც. ერთმანეთის დასაცავად და დასაფარვად ერთად ყოთხედითი სისხლსა და ერთო ერთმანეთს ხელს ვუმართავდით ყოველს საქმეში და ყოველს გაპირებაში. მართალია, ამგვარს ცხოვრებაში შემოგვეპარებოდა ოდესმე აქა-იქ უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველს გვარს ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მინც არასდროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის, ამისთვის რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითი ერთგულებისა ჩვენდა მიმართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვალად.

ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც იმუარებოდა სიმტკიცე ჩვენის სარწმუნოებისა და შემუშუავებულობა ჩვენი მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვივნენ და მძვივნვარებდნენ საუკუნოებით მომდინარეობისა შინა.

რადგან აღსასრულებლად უმაღლესის ნებისა ხელფუკოთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაშლილად — არ შეგვიძლია გულის სიწრფელით არ ვისურვოთ, რომ ამიერიდან მათ შორის, რომელნი თავისუფალნი იქნებიან ჩვენის უფლებისგან და ჩვენს შორის, რომელნი ვართ აქამედ მფლობელნი მათნი, და მკვიდრდეს ახალი განწყობილება ისეთი, რომ შეესაბამებოდეს ჩვენს მაღლობითს გპრძობასა და იმ სიკეთით დაუფიწყებლობას, რომელნიც არსებობენ ჩვენს შორის და გვახსოვს ორთავე მხარესა.

ამის გამო ჩვენ გავსურს ისეთი მდგომარეობა მივანიჭოთ ჩვენს ყმებს, ჩვენს გამომზრდელებსა, ისეთს ყოფა-ცხოვრებაზე დავაყენოთ, რომ თვით შეიძლებდნენ კეთილად წარმართვას თავის ოჯახობისა, თავისუფლად განაგებდნენ თავის შრომას. და ჩვენც შევიძლებდით ჩვენთვის ძალას ჩვენის საოჯახო საქმეებისას.

სამართალი მიწაზე, კანონთამებრ და უფროსდა ჩვეულებათამებრ ზემოხსენებულზე უკრცელესი და უსაცილოდ დასაყურებელი მფლობელებისადმი, სრულს უფლებას ამძევს მფლობელთა იხმარებდეს და განაგებდეს მიწას თავისის საყურთარის ნებისამებრ. ვინც უნდა იყვეს შემეშუავებელი მიწისა, მიწის პატრონს ეძლევა მისგან დაწესებული წილი ნაყოფისა და მოხმარებდა მუშა მისს საოჯახო საქმეებში, ზომა ამ წილისა და ზომა ამ მოხმარებისა სხვა და სხვა გვარ არიან — დაწესებულ არიან ყოველგან მიწის თვისებისა და სასოფლოს ჩვეულების მიხედვით. უნდა ავლახსნათ ყმათა ჩვენთა ყოველი ყმური ჩვენდამი ვალდებულება, უნდა ვაპატიოთ ყოველის პირველის გვა-

რის გადასახადი, თავისუფალი ვყოთ ყოველის ყმობის ვალდებულებისაგან.

ამაწადაც ვერ შევსადგებთ, სხვა მსხვერპლიც დაგვჭირდება, რადგან უნდა სრულიქმნეს კეთილსაყოფელი მათთვის და დასამადლებელი სურვილი ჩვენი, რათა სამართალს ვყოთ ცხოვრება მათი. ამ სურვილისამებრ ჩვენისა არა თუ ახლანდელს სახლობს არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილ-მამულებსაც მივანებებთ, რაც რომ ამჟამად ხელში უჭირავთ, იმხარონ და ისარგებლონ, როგორც თვით არჩევდნენ, ერთითა მხოლოდ პირობითა მით, რომლითაც ყოველი თავისუფალი კაცი, გინა ხიზანი, ჰმზარობს და მსარგებლობს სხვის ადგილ-მამულსა, ესე იგი, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ წესებულთა პირობითა, რომ სადაც რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წილის ძლიერისა პატრონისადმი და მუშის მიმართებისა, იგი ზომა დარჩეს უცვლელად, წლის განმავლობაში, ხოლო რა ვადა ესე გათავდება, მაშინ მოხდეს ცვლილება მიწის შემფუძვლებელთა და მიწის პატრონის ურთიერთის შორის — ნებაყოფლობითა და დათანხმებითა. ორთავე მხარეთათვის უმჯობესად ვრაცხთ, რომ მუშით მოხმარება დაფასდეს ეხლავე, რათამცა ფული გარდინალოს ვინც მუშაში გამოსვლას არ არჩევს. ამ პირობით არ დაეშლება სარგებლობაც ჩვენის საძოვრებისა, წყლისა და ტყისა, სადაც ახლა მსარგებლობდნენ, მათის საზიანო საჭიროებისათვის და არა ვაჭრობისა და აღებმიცემობისათვის.

ესრეთ ყმათა ჩვენთვის შესაძენად ჩვენ უნდა დავსთმოთ: 1. წლის შემოსავალი კომლზედ 5 თუმანიდან 45 თუმანამდე და 2. ყოვლის მომატება გადასახადისა მიწის სარგებლობისათვის, თვინიერ მათთან დათანხმებისა...

რა არა ამას ყოველსავე წარმოვგვსთქვამთ, ახლა იმას უნდა მიუბრუნდეთ, რომ მსხვერპლი ეს ჩვენი — თუმცა ყმათა ჩვენათვის უსათუოდ საჭირო არის და სამართალს ღვთიურისა ესაბამება — მაგრამ ჩვენთვის ისე ძნელი არის, რომ თუ უსაზიაროდ შეგვხვდა შეწირვა მისი, ჩვენ შევიქნებით მაშინ ვერშემძლებელ ცხოვრებისა და საზრუნველ მმართველობისათვის და მმართველობამ რომ ამ მიძიმე საქმის დასაბოლოვებლად ჩვენს მდგომარეობაშიც მოაწილონ არ მიიღოს, ამას ვერ ვიტიქრებთ, რადგან იმავე მღვთიური სამართლის ვალისამებრ და სადღესასწაულოთა თვისთა აღთქმათაებრ — უნდა ჭეოვანად პატივდებულ ჰყოს ჩვენი წინაპართან მეგვიდრეობით მიღებულ და აწ შესაშლად დაწყობილება ჩვენის ქვეყნისა, — და არ შეგვაშუსვრიოს ჩვენის ხელით ყოფა-ცხოვრება ჩვენი უნუგეშოდ და უსაფუძვლოდ მომავალში წარმატებისათვის.

ამის გამო სასოებით უნდა მივმართოთ მმართველობას ჩვენის თხოვნითა, რომ ერთ-დროე-

ბით მაინც აღვიადგინოს და შემოგვიბრუნოს ნაწილი რომელიმე ამ ჩვენის უზომოს მსხვერპლისა.

ამ შემთხვევაშიაც ცხად ვყოფი უკიდურესი ზომიერება ჩვენის სურვილისა და უმცირესი ზომა დავინშნოთ იმ სასყიდლისა, რომელსაც ვითხოვთ მმართველობისაგან. და რომლითაც შევიძლებდით განაწილოთ თავი ჩვენი უმძიმეს გაჭირვებას...

დაეკარდით ამ დოკუმენტს. იგი ფრიად საგულისხმოა, ძველ დროში თურმე მამა-შვილური დამოკიდებულება იყო ყმათა და ბატონთა შორის, ყმები ისე მიჩნდნენ ბატონებს, როგორც „თანამშრომელი“ და მათთან ერთად „შემფუძვებელნი საერთო საჭირნახულონი“. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ამ მამა-შვილურ ოჯახში მებატონეთ ჰქონდათ „სამართალი“ (უფლება) კაცებზე და მიწაზე. პირველი სამართლის ძალით დაწესებული ყოფილა „მრატლგავარი პირადი სამსახური და გადასახადი ყმისა“, მეორე სამართლის ძალით კიდევ განსაზღვრული იყო მიწის საკუთრებიდან გამომდინარე სარგებლობა. და რაკი ასე ყოფილა საქმე, რაკი ერთის ხელში ადამიანის პიროვნებაც იყო და ქონებაც, ამიტომ ფრიად დატკივლად ხდება ნახსენები მამა-შვილური დამოკიდებულება. თანამშრომლობა თანასწორუფლებიანთა შორის არის შესაძლებელი და არა ყმისა და მებატონეს შორის. თუმცა ეს აშკარა წინააღმდეგობა თავად-აზნაურთათვის დაფარული იყო, რადგან თავად-აზნაურობისათვის ისარგებლო იყო ამ ნიადაგზე დგომა. თუ ასეთი დამოკიდებულება იყო, შეიძლება არც კი იყოს საჭირო ბატონ-ყმობის გადაგდება. ხოლო თუ მაინც და მაინც არ დაიშლიან, უნდა იცოდნენ, რომ ამ დაწყობილების შეცვლით თავად-აზნაურობა ფრიად დაზარალდება და გადება არ შემძლე და საზრუნავი მთავრობისათვის. მაგრამ რადგან მისი აცილება თავიდან, როგორც ჩანს, შეუძლებელია, ამიტომ თავად-აზნაურობა იჩენს თავის კეთილშობილებას და მზად არის მსხვერპლი შესწიროს. მაგრამ ამ „მსხვერპლს“ რომ შეიგნეულობა გაუხინჯოთ, დარწმუნდებით, რომ იგი სრულიადაც არა ჰგავს მსხვერპლს. თავად-აზნაურობის „მსხვერპლი“ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ანთავისუფლებდნენ ქალის ყმურის ვალდებულებებისაგან, ხოლო სანაცვლედ მთავრობას სთხოვდნენ კომლზე ოთხას მანეთამდე. სახლკარს და მიწასაც „უთმობდნენ“ გლეხებს, ხოლო ისე, როგორც უთმობენ მოქაჩარდრეს ანუ ხიზნებს, განსაზღვრულ გადასახადის სანაცვლოდ. ასე რომ, ამგვარი მსხვერპლი მაინც და მაინც მიძიმე არ უნდა ყოფილიყო თავად-აზნაურობისათვის. მაგრამ იგი ისე იყო დაშინებული იმ ცვლილებებით, რომელნიც უნდა მომხდარიყო, რომ თავისი მდგომარეობა უნუგეშო მდგომარეობად მიჩნდა და თავისი პოზიციის

დასაცავად შეუფერებელ საბუთებს ხმარობდა. ერთის მხრით, სურვილი ჰქონდა ქვეყნის თვალში არ დამცირებულიყო და დაენახებინა, რომ მასში ისე არის განვითარებული ღირსება, რომ დათვალიერებულნი გრძნობა, რომ იგი არავითარ გარემოებას არ შეუშინდება, თუ კი საქირო იქნება ხელმწიფე იმპერატორის სურვილის დაკმაყოფილება. მეორეს მხრით იგი უნებლიეთ აშკარავებს კლასიკურ გრძნობას და ამ გრძნობის ძალდატანებით ცდილობს თავის წოდებრივ პოზიციების დაცვას. ასე რომ, ერთის მხრით იგი განწირული გმირია, მეორე მხრით ვიწრო ანგარებით შეპყრობილი წოდება, რომელიც თავის გამორჩენაზე პიყვითობს.

და რაკი გმირია, მსხვერპლზედ უნდა ილაპარაკოს. ლაპარაკობს კიდევაც, ხოლო არამც თუ არ ივიწყებს ანგარიშებს, პირიქით, საბოლოოდ მომგებნიანდ აწესრიგებს თავის საქმეებს.

ღიმიტრი ყიფიანის აზროვნება ამ მხრივ სავსებით იყო შეთანხმებული თავდა-აწინაურების აზროვნებასთან. იგი ნამდვილი შვილი იყო თავის წოდებისა და მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის მე არ მეგულება სხვა ვინმე მოღვაწე, რომელიც ისეთი მხურვალებით, გულწრფელობით იცავდა და ელორიავებოდა თავდა-აწინაურულ ინტერესებს. ეს რწინთვის უცლობელი გახდება, გავიცნობთ რა მის ვრცელ მოხსენებას, რომელიც შეიმუშავა თავდა-აწინაურების დავალებით და წარუდგინა მას სახელმძღვანელოდ და მთავრობასთან წარსაგებად.

„ერთს ძველ შენობაში უძველეს ღრობიდან ერთი პატროსანი და ძველი გვარის სახლობა სცხოვრობდა, — ასე იწყებს თავის მოხსენებას დ. ყიფიანი, — თუმცა ეს ოჯახი ღარიბად სცხოვრობდა, მაგრამ ბედის ცვალებადობისგან ასე თუ ისე უზრუნველყო იყო. იყვნენ უკეთეს მომავლის მოლოდინში. მაგრამ ერთ დღეს ხუროთმოძღვრებმა უთხრეს, შენობა უნდა დასცალიყო, შიშია, არ ჩამოინგრესო. გაღის რამდენიმე ხანი და მართლაც ხან-ერთ კედელს დაეტყო წიანი, ხან მეორეს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ამ ძველ შენობის დაცლაა საჭირო, რადგან მისი დანგრევა მოსალოდნელი გახდა. საღ შეფარონ თავი იმ ოჯახის წევრებმა? დაცალეს შენობა იმ იმედით, რომ ღმერთი და ხელმწიფე უნუგეგოდდ არ დატკოვებს.

აი, როგორც ეს ოჯახი იყო შეშინებული, კიდევ უფრო მეტად ვიყავით შეშინებულნი ჩვენც იმ აზრით, რომ ინგრევა ჩვენი ბატონყმობა. თუმცა აშკარა იყო ამ ხმების სიმართლე, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვეტროდა; ეხლანდელი ჩვენი წესი და დამოკიდებულება გლეხებთან უძველეს ღრობიდანვე არსებობდა და ასე ადვილად რა ნაირად უნდა მოისახოს! ხოლო როცა ამ ცვლილების შესახებ დაბეჭიტიბით იწყეს ლაპარაკი და ჩვენი სულის სიმშვიდეც

უფრო და უფრო ირდევოდა, როდესაც დაეარწუნდით მთავრობის წარმომადგენლებთან ლაპარაკით და რუსეთიდან მოსულ ცნობებით, რომ საქმე შენამდინაც აღწევს, მაშინ გარემოება გავიფიქროვალეთ ჩვენი ღირსების მიხედვით, დავიწყეთ ბჭობა როგორც შენაურულად ისე სამაზრო კრებებზე. მართალია ამ კრებების და ბჭობის კვალად არ დარჩა არავითარი საბუთი, რადგან ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით წერილობით გამოგვეთქვა ჩვენი აზრი — იმ საერთო უბედურობაში ერთმანეთსაც კი აღარ ვენდობოდით. ასე გავატარეთ ოთხი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში, ცოტა არ იყოს, შევაჩვიეთ თავი ამ მოულოდნელს და ფრიალ სამწუხარო საქმეს. და შემდეგ ანისა ვიწყეთ ზრუნვა მის კეთილად დაბოლოვებისათვის. მთავრობის მოწვევით მთელი გუბერნიის მემამულეებმა ტფილისში მოვიყარეთ თავი და შევადგინეთ კანონიერი კრება 25 აპრ. 1882 წ.“ აი, უტყუარი სურათი თავდა-აწინაურობის სულის განწყობილებისა. ამ განწყობილებას სავსებით იზიარებდა დ. ყიფიანიც. მას ცალკე არ გამოუყვია თავისი თავი. რაც სხვას გამოუცლია, მის გულსაც ხვედბოდა, ყველანი მოულოდნელი ცვლილების წინ გაშტერებულნი იყვნენ, დაშინებულნი. უბედურება ახლოვდებოდა, ხსნა კი არსად სჩანდა. გული ისეთი მწუხარებით იყო შეპყრობილი, რომ ლაპარაკსაც კი ვერ ბედავდნენ, სიტყვით კიდევ რასმეს იტყოდნენ, ხოლო წერილობით თავის აზრს არ მასხავდნენ, ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ და შიში ჰქონდათ, ვაი თუ ვინმემ ბოროტად გამოიყენა რაიმე წერილობითი საბუთი. მაგრამ ადამიანი ყოველ უბედურებას შეეჩვევა, თუ იცის, რომ მას თავს ვეღარ აპირდებს. თავდა-აწინაურობასაც მეტი გზა არ ჰქონდა: უნდა შესულიყო ამ საქმის ვარაუდში, მით უფრო, რომ ეს მთავრობის სურვილიც იყო და აბა მთავრობის სურვილისათვის როგორ არ უნდა გაეწია ანგარიში. მაშ, რა გადასწყვიტეს ამ დიდ კრებაზე? რა მოხდა? მივმართეთ ისევ მოხსენებას:

„რა მოხდა? მოხდა თათბირი იმგვარ მნიშვნელოვან საქმეზე, რომლის მსგავსი არამც თუ ჩვენს ღრობში არ გვინახავს, ჩვენს მამა-პაპათა ნაამბობშიც არ გავიგონია. რა გავაკეთეთ? ის გავაკეთეთ, რაც შეეფერებოდა საქართველოს პირველ შვილებს, რომელთაც ძველმა გმირულმა ღრობ უანდერძა მაღალ-წინებობა და რომელთა გულში ღვივის მეომართა გრძნობა — ღვივის ნებით, უშიშრად, აუჩქარებელი შევხედოთ იმ საქმეს, რომელიც აშკარა იყო, ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას უბედურების მეტს არას გვიქადა, რა გამოვიდა აქედამ?

ის, რომ კრებაზე დამსწრე არც ერთი ქართველი მემამულე წყრობის და უსიამოვნების გრძნობით არ იყო შეპყრობილი. ვერც ეგოიზმმა და პირადი ინტერესებისადმი ღტოლივი-

ლებამ, ვერც გამოურკვეველ მომავლის წინაშე შეიშმა, ვერც — ესტე-უნდა ითქვას, — გაუნათლებლობამ და უსწავლელობამ, არაფერმა მსგავსმა ამისამ ვერ შეგვიშალა ხელი. და როდესაც საქმე გავარჩიეთ, ერთობლივ, როგორც სამშა და ოთხმა მოსიყვარულე ქმამ, ერთხმად წამოვიძახეთ: ჩვენს გლებებს მივანიჭოთ თავისუფლება! დღე შეცნირებმა და განათლებულეობმა გვითხრან: რომელ დაწინაურებულ ქვეყანაში მსგავსი რამ საქმე მეტის დამშვიდებით და მეტის ღირსებით გადაუწყვეტიათ. მეტი რა საქმე. კარგად დააკვირდით მას“.

სწორედ რომ შესანიშნავი აღსარებაა. ამაზე ითქმის: აი, დოკუმენტი, სადაც დრო და მისი ვითარებაა აღბეჭდილი, აი, სიტყვები, სადაც გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე სჩანს პირველის შეხედვით. განა აქ გამოსახული ფსიხიკა არა ჰგავს იმ ავადმყოფის ფსიხიკას, რომელსაც დოსტაქვის დანისა ეშინიან, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ოპერაციას, არც კი სჭერა, რომ მის გადარჩენისთვის საჭიროა ამგვარი ოპერაცია, ხოლო თანდათან ქედს იხრის აუცილებლობის წინაშე, რწმუნდება, რომ სხვა გზა არა აქვს და მეტი, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდება ამაში, თავსაც იწონებს. მიუხრეთ, რა გულადი ვარ, მე თვითონ მინდა, რომ მოხდეს ოპერაცია, გმირულად ავიტან და გავაკვირებ კიდეც ქვეყანას ჩემის გულადობით და გმირობით. მართლაც, განა ვაბედულო გადაწყვეტილება არ არის: დღე მონებიც იყვნენ თავისუფალნი! განა არ არის ეს თავგანწირულება, მსხვერპლი, ქვეყნის ჭირ-ვარამისადმი სიყვარული? განა მეტის ღირსებით სადმე გადაწყვეტილა ამგვარი საგმირო საქმე? და ამ სიტყვებს რომ კითხულობს კაცი, მართლა ჰგო-

ნია, რომ საქმე სწორედ ასე მოხდა — სიტყვის მივანიჭოთ თავისუფლება, ჩვენ არა გვინდა ჩვენ კმაყოფილნი ვართ, რომ ძველ გმირთა სულგრძელობამ, მიემკვიდრებით გადმოცემულმა, ასე კეთილშობილად აამეტყველა ჩვენი ენა. ჩვენთვის ამ გრძნობის შეგნებაც ბედნიერებაა და სხვას არას დაეკებთო. ნამდვილად კი საქმე ასე არ იყო. მოხსენებაში, სადაც დაწვრილებით არის ნაამბობი ყოველივე, როგორც მოხდა, რა ითხოვეს და რა უნდოდათ სამაგიეროდ, მაღალი სტილი და კეთილშობილური კილო ბოლომდე არის დაცული. მაღლის და მჭევრმეტყველ სიტყვებით ზნეობასა და მსხვერპლზეა ლაპარაკი.

ხოლო აქვე გვერდით დაწვრილებითი ვაჭრული ანგარიშებიცაა წარმოდგენილი. ეს უკვირვითი ზემონათქვამიდან; მაგრამ მეტი არ იქნება მოხსენების ამ მხარესაც გავცნოთ. მეტად საინტერესო ისტორიული დოკუმენტია არავის ეგონოს, რომ ამ ხასიათის აზროვნება და მოქმედება მართო ქართველ თავად-აზნაურობის დამახასიათებელი თვისება იყო. ქვეყნიერებაზე არც ერთ წოდებას და არც ერთ კლასს ნებაყოფლობით არ დაუთმია თავის პოზიციები. ისტორიკოსები აღფრთოვანებით იხსენიებენ საფრანგეთის კონვენტს, სადაც დიდებული მემამულენი საფრანგეთისა რევოლუციის დასაგვირგვინებლად და გასამარჯვებლად ხელს იღებენ თავიანთ საკუთრებაზე. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ მემამულეთ მაშინ სხვა გზა არა ჰქონდათ, რადგან რევოლუციამ უკვე დაისაკუთრა მათი საკუთრება. კეთილშობილური სიტყვა კი, კიდეც მეტად ლამაზი და მიტყველი, ბებრი ითქვა იმ შფოთიან ხანაში.

გაკრძელება იქნება



შალვა გოზალიშვილი

ეგნატე ნინოზვილის უსწორი პუბლიცისტური ეპიკრიზოებიდან

ეგნატე ინგოროყვა, ნინოზვილის ფსევდონიმით, სამწერლო ასპარეზზე სწორედ იმ პერიოდში გამოვიდა, როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდებოდა დიდი სოციალური ცვლილებები; მძაფრდებოდა კლასობრივი ბრძოლა. ეს იყო საქართველოში მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების მუშათა რევოლუციური მოძრაობის დიადი გარიჟრაჟის ეპოქა, დასაწყისი განაღებებისა!

ეგნატე ინგოროყვამ სამწერლო მოღვაწეობა პუბლიცისტური სტატიებით დაიწყო. ცნობილია ეგნატე ინგოროყვას პირველი პუბლიცისტურ-იუმორისტული ფელეტონი „გურიის ამბები“, რომელიც 1887 წლის 11 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ეგ-ინ-ის ინიციალური ხელმოწერით დაიბეჭდა. მომდევნო 1888 წელს იმავე „ივერიაში“, ხანგამოშვებით, ე-ი-ის ხელმოწერით გამოქვეყნდა სამი კორესპონდენცია — „გურია“, ხოლო დანარჩენი სამი პუბლიცისტური სტატია: — „წერილი დაღესტნიდან“, „ძველი დავა ახალ ქერქში“, „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ დაიბეჭდა 1891, 1892 წლებში „ივერიაში“ და „ქვალში“.

აი, სულ ეს არის და ეს, რაც ვიცოდით მწერლის ამ პერიოდში გამოქვეყნებული სტატიების თუ ბელეტრისტული თხზულებების შესახებ, რომლებმაც ავტორს პოპულარობა მოუპოვეს.

როცა ამ გარემოებას ვუკვირდებით, ჩვენს წინაშე იხსნა კითხვა: მართლაც ასე იყო? 1887 წლამდე, უკვე 28 წლის უნიტიერეს ახალგაზრდა ეგნატე ინგოროყვას თუ არაფერი ჰქონია დაბეჭდილი, მაშ, რითი იყო იგი საზოგადოების წინაშე სახელდებული? რატომ მიიჩნდათ აღიარებულ ნიჭიერ ახალგაზრდად, რომელსაც

შეიძლება სახალხო დახმარება აღმოუჩინონ, მაგროვილი ფულით საზღვარგარეთ სასწავლებლად გააგზავნონ, რომ მომავალში საზოგადოებას, ხალხს ემსახუროს? ან რატომ მიიჩნევდნენ საეჭვო პირად და რად განიცდიდა შეუწყობელ დევნას საშულებელი მთავრობის მოხელეებისაგან?

1878 წელს 19 წლის ჭაბუკი ეგნატე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან, მოწაფეთა გაფიცვის გამო, ე. წ. „მგლის ბილეთით“ გაირიცხა. გარიცხულ მოსწავლეთა დასაცავად მაშინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა და პრესა, „ობზორი“ და სხვ. ხმას იმაღლებს, მაგრამ მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. რეაქციამ გაიმარჯვა. პოლიტიკურად „არაკეთილსამიედლო“ აღიარებული ეგნატე მუდმივ დევნას განიცდიდა. 1887 წლამდე განცხლილი თითქმის ერთი ათეული წელი მის ცხოვრებაში შრომისა და ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპია: სოფლის სახალხო მასწავლებელი, რკინიგზის მუშა, ტელეგრაფისტი, სოფლის მამასახლისის მწერალი, დიდი ფეოდალის ოჯახში მდივნად მომუშავე, სტამბის მუშა-ასოთამწყობი, ქარხნის დღიური მუშა და, რაც მთავარია დღეს ჩვენთვის, ეგნატე ინგოროყვა, 1877-89 წლებში ქართულ პრესაში ჭრე კიდევ უცნობი ფსევდონიმებით დაბეჭდილი პუბლიცისტურ-უოცავცხოვრებითი ხასიათის სტატიებისა და წერილების ავტორია.

აი, რატომ შეიძლებოდა ეგნატე ინგოროყვა გამუდმებული დევნის საგანი უოფილიუო ძველი სამყაროს ბნელითის მოციქულთა და მოხელეთა მხრივ. ეს რომ სინამდვილეში ასე იყო, თანმიმდევრობით გავვყეთ საძიებელ კვალს, ქემ-მარტების სრული სურათის აღსადგენად.

თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეგნატე ნინოზვილის მთელ მხატვრულ მემკვიდ-

რეობას (1889-1894 წ.) წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი (1877-1888), როდესაც მწერალმა შექმნა პუბლიცისტური სტატიები, კორესპონდენციები და წერილები, რომლებშიც აისახა და გამოკვეთა მთელი იმდროინდელი გურიისა და სამრეწველო განვითარების გზაზე ახლად ფუნდამენტული ბათუმის საზოგადოებრივი და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი სურათები.

ამ მიმართულებით მწერლის პუბლიცისტური მოუზაობის შედეგი. რამდენადაც შესაძლებელი იყო, გასაიდუმლოებული გახლდათ. მხოლოდ მცირერიცხოვან მეგობართა და პრესის რედაქციების იმ მუშაუთაღვის თუ იყო ცნობილი, სადაც ისინი იბეჭდებოდნენ. ამის გამოა, რომ ეგნატე ნინოშვილის ადრეული პერიოდის პუბლიცისტური წერილები და სტატიები დღემდე სრულიად უცნობი იყო იმ დროის ქართული პრესის ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში. მათი მოძიება, ამოსხნა, თავმოყრა და ავტორობის დადგენა, რასაკვირველია, მეტად საფრთხილია და დიდ სიძნელესაც წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც შესაძლებელი გახდა ლიტერატურული კვლევა-ძიებით არსებითი კვალის გავლენა და ეგნატე ინგოროყვას ავტორობის სინამდვილის დადგენა.

ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის პირადი ფონდი (არქივი) რომ შემონახულიყო და შთამომავლობას გადასცემოდა, საქმეებიც არაფერი იქნებოდა. მაგრამ მწერლის მწარე ზედრი მისმა ნაწერებმაც გაიზიარეს.

ეგნატეს თანამედროვე „ბარნაბა ინგოროყვას მოგონება“ გვაუწყებს:

„ეგნატე რომ მოკვდა, მ წლისა ვიყავი. მიცვალებულთან მოვიდა ერთი ჩვენი სახლი-კაცი და ჭირისუფალს ჰკითხა: ეგნატეს სეფეთი (წანდუკი) სად არისო.“

უპასუხეს: ეგერ დაეწვიოთ ბლის ძირშიო... მოსამძიმრე მივიდა იმ ხის ძირში და ხმით დაიწყო ტირილი: — შენ ჭლებს არ მოუკლავხარ, ძმეო ეგნატე, უფიცმა შენთანგმა მოკლეს, შენი სეფეთი რომ დაწვეს, მოსპეს, რაც შენს სახელს კიდევ უფრო გაზრდიდაო...“

ზემოთ მოხსენებული მომხდარი ფაქტის მომსწრე ბარნაბა ინგოროყვა სწორედ იმ მცირე „კონსპირაციული“ ჭკუების წერეთაგანია, რომელმაც შესანიშნავად იცოდა და ესმოდა ეგნატე ნინოშვილის სეფეთში (წანდუკში) დაცული ხელნაწერების უღაოდ დიდი მნიშვნელობა, რომელთა დაწვით დიდი ზიანი მოაქენეს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას!

„სწორედ იმ დამწერალი ხელნაწერებით წაიშალა კვალი ეგნატე ნინოშვილის ღირსსახსოვარი პუბლიცისტურ-მხატვრული და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახვე-

ლი დაუნჯებული ავტორაფებისა და ხელნაწერებისა, რომელთა აღდგენა შეუძლებელია ამიტომ არის, რომ დღეს მწერლისა და პუბლიცისტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ავტორობის საკითხების გადასაწყვეტად, მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის, ბევრ შემთხვევაში, რთული ვითარება იქმნება.

კვლევა-ძიებისათვის შექმნილ რთულ ვითარებას, ზემოაღნიშნულის გარდა, მთი უფრო ისიც ათულებს, რომ აგრეთვე დიდი ნაწილი ეგნატეს ხელნაწერებისა და არქივისა დაღუპულა ცნობილ სილიბისტრო ჭიბლაძის ოჯახში, ხოლო მისი კერძო წერილები მეგობრებისადმი გაწავსდებოდა უმთავრესად რედაქციის ხანაში“.

ამას გარდა... „ეგნატეს კერძო წერილები, ამხანაგებთან და მეგობრებთან მიწერ-მოწერა, რომელშიაც ნათლად გამოსკვივოდა, როგორც ამ დიდებული ადამიანის სეტყავი სული, ისე ის საქმე, რომელსაც ისა და მისი ამხანაგები ისახავდნენ ცხოვრების მიზნათ, — დაიკარგა“.

ეგნატე ნინოშვილის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფთაგანი პეტრე გელიშვილიც წერს, რომ „არ შენახულა არც მისი მიწერ-მოწერა, ამხანაგებთან, ჩვენ არა ერთი შემთხვევა ვციოთ ასეთი, როცა ეგნატეს წერილები მისმა ამხანაგებმა დაწვეს, რადგანაც ეშინოდათ, რომ ისინი უანდარმებს არ ჩაეგდოთ ხელში და მითი გზა არ გაეკლიათ ეგნატესი და მისი მეგობრების ნაფიქრალ-ნააზრებისაკენ. ეს არის მიზეზი, რომ ეგნატეს მრავალი წერილი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის, დაიღუპა. უეპირ-გაღმაცემებით კი ძნელია მწერლის სრული სახის აღდგენა, მისი იდეალებისა და მსოფლმხედველობის გაგება“.

აღნიშნული ფაქტების მიხედვით, მწერლის ნაწერთა ავტორაფების, ხელნაწერებისა და ცალკეული მიმწერის (უმთავრესად წერილები ეგნატესადმი) მოსპობის გარდა, სხვა უფრო გულდასაწყვეტ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

„ივერიასა“ და „კვალში“ გაგზავნილი დასახებულად გამოაღებული თხზულებების ტექსტები (ავტორაფები) თვით რედაქციაში დაიკარგა უკვალოდ, რაც უფრო მეტად აუნაწაღურებელი დანაკლისია ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის.

1 იოსებ მეგრელიძე, ეგნატე ნინოშვილი, გამბა „საბჭოთა აპარა“, ბათუმი 1984, „ბარნაბა ინგოროყვას მოგონება“, გვ. 84.

2 ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული სიმონ ზუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით. ტომი პირველი, 1983, რედაქტორისაგან, გვ. XIII.

ამასთან დაკავშირებით, დანიტრეგებულ მკითხველს უნდა მოხსენდეს, რომ ჯერ კიდევ ადრე 1888 წლის 7 ნოემბერს ლუზრგებიდან ეგნატ ინგოროვს მგლობარ ალფონს ბარამიძეს სწერდა: „... ჩემი მოთხოვნაა, „ღვთ“... ხომ ჩაილურის წყალს გააუღლეს“; აქედან ცხადად ჩანს, რომ ეგნატ ინგოროვს იმ დროისათვის დაწერილი პქონია ჩვენთვის უცნობი, მხოლოდ სამი ასოთა — „ღვთ“... აღნიშნული მოთხოვნა, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში დაიკარგა. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მხოლოდ რედაქციის გულგრილობის შედეგად დაკარგულიყოს მოთხოვნა. შეიძლება აქ ერთადერთი მიზეზი იყოს მხოლოდ ცენზურა, რომელმაც დასაბუქდად წარდგენილი მოთხოვნა აქაძალა და მისი ტექსტი რედაქციას ადარ უბრუნდა და უკვალოდ დაგვიტოვა?.

ამას გარდა, შემდეგშიც 1893 წლის 8 დეკემბერს სოფ. ჩოჩხათიდან ეგ. ინგოროვსამ გიორგი წერეთელს „კვალში“ დასაბუქდად გაუგავნა პუბლიცისტური სტატია „ძველი, თუ ახალი“. ამის შესახებ ეგნატ გ. წერეთელს ატყობინებდა: „... გიგავნიც ცალგე ზანდეროვლით სტატიას „ძველი, თუ ახალი“ — ეს სტატია, ჩემი ფიქრით, ყველა აქამდეღ ჩემს სტატიებს სჯობია. ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, შეუმოღებლად დაიბეჭდოს. რასაკვირველია, რომ თქვენ შესწორით სტატია, მე ამის წინააღმდეგი არა ვარ. შესწორება სტილის მხრივ მაინც, უტყველად დასკირდება, რადგანაც მე ისე დასუსტებული ვარ ავადმყოფობით, რომ მეორეჯერ წაიბთხვა და შესწორებაც ვერ შევიძელი.

რაც შეეხება რუსულ და ფრანგულ ციტატებს, პირველი არის ამოღებული ნ. ჩერნიშევსკის სტატიიდან «Критика философских предубреждений против общинного землевладения», ეჭვი არ არის, გეხსმებოთ, რომ ამ სათაურით იყო დაბეჭდილი ჩერნიშევსკის სტატია «Современник»-ში. მეორე ფრანგული ციტატა ამოღებულია ფრანგულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „Lagrutti“-დან, № 42, 1893 წ. რასაკვირველია, თუ ცენზორმა განიო სიდანაც არის ამოღებული ან ერთი და ან მეორე ციტატა, წაუსობს წითელ მელანს“.

როგორც ვხედავთ, ეგნატის ეს პუბლიცისტური სტატია მეტად მნიშვნელოვან და მარჩნდა მანამდე მის მიერ დაწერილ სტატიებს შორის, ძალიან უნდოდა, რომ გ. წერეთელს, ცენზურის დაბრკოლების გადალახვით, „კვალის“ ორ ნომერში დაბეჭდოდა. „როგორმე ცენზორი უნდა გავაცუროთ. — სწერდა იგი გ. წერეთელს. — სხვა, მგონია, საშიში არა არის რა. ვინცობაა სტატია თქვენ თქვენობით არ მოგეწონოს (მე კი არ ვფიქრობ, რომ თქვენ ამ სტატიის წინააღმდეგი შექმნეთ), იმ შემთხვევაში შემინახეთ, ან გადაეცით შესანახათ მიხა ცხაკაიას“.

აღნიშნული სტატიის „კვალში“ გამოქვეყნებას ცენზურა საშველი არ დააყენა, ოდესღაც სტატიად დაბეჭდვის ნაცვლად იგი ისე შეამცირეს, დამახინჯეს, რომ ავტორს მისი იმ სახით დაბეჭდვა შეუძლებლად მიჩნდა. ამიტომაც იყო, რომ იმედგადაწურული ეგნატე, ჩვენამდე თავნაკლულად მოღწეულ დაზიანებულ წერილში 1894 წლის თებერვალს სოფ. ჩოჩხათიდან გ. წერეთელს სწერდა „(რაც) სოციალურს და ეკონომიკურ კითხვებს ეხება, წავუშალოთ თავში რუსული ციტატა და დავამატოთ მხოლოდ ის, რაც კაროდ მეველეზეა ნათქვამი. — ერთ სტატიათ მაინც იკმარებს, თუ ეგეც არ შეიძლება, იმ შემთხვევაში დარჩეს ის სტატია დაუბეჭდელი; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გულშიაც არ გამოვიღის სამდღურავი დაუბეჭდაობის გამო. მხოლოდ იმხარად შეცვლა, როგორც თქვენ ბრძანებთ, განვიმეორებ, არ ივარგებს; ეს იქნება ეკლექტიკში, შეურთავებლობის შერეგება“.

და ბოლოდ დიდი დანაკლისია მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის, რომ ეს საუკეთესო პუბლიცისტური სტატია „ძველი, თუ ახალი“ სრულიად უკვალოდ გაქრა იმ შავნელი ეპოქის უღმობელი ცენზურის ჭურღმულში.

დღეისათვის გარკვეულია, რომ ასეთივე ბედი ეწია ჩვენამდე მხოლოდ მცირედი სახით მოღწეულ მოთხოვნასა თუ რაობის — „ბათუ მის მუშათა თავშესაფარი“.

მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღნიშნული უცნობი ნაწარმოების ნაწყვეტო, რომლის არც სათაურია ცნობილი, არც შინაარსი და არც დაწერის თარიღი. ნაწყვეტის პირობითად დასათაურება — „მუშათა თავშესაფარი“ პროფ. სიმონ ხუნდაძეს ეკუთვნის, თვით ნაწყვეტადან ამოღებული ავტორისეული სიტყვების მიხედვით.

ეგნატის ამ დაუშთავრებელი თუ დამთავრებული მოთხოვნისა თუ რაობის შესახებ დღეს გარკვეულად რაიმეს თქმა ძნელია, ამ მხრივ საგულისხმოა პროფ. სიმონ ხუნდაძის მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ „...დაკარგული მოთხოვნა, რომელიც დაუშთავრებელი დარჩენია ავტორს, მით იქნებოდა შესანიშნავი და საყურადღებო, რომ იგი გადაგვიშლიდა ბათუმის მუშათა ცხოვრებასა და ბრძოლას იმ პერიოდში, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ მუშათა კლასი არ წარმოადგენდა კლასს თავისთვის. შეგნებულ მებრძოლს თავისი კლასიკური ინტერესებისათვის. ეგნატე თითქმის ამ მოთხოვნის დაწერით ახალ ერას იწყებდა თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში: იგი აფართოვებდა თავისი მოთხოვნების თემატიკას და გურიის გაჭირვებულ გლეხთა ცხოვრების აწერადან გადადიოდა „ქალაქურ“ თემებზე, გლეხთა ფენებიდან

წარმოშობილ მუშათა წრეების ცხოვრების აწერაზე.

ამრიგად, ჩვენთვის დღეს მინც ფაქტი ფაქტად რჩება: მოცემულ პერიოდში, მწერლის სიცოცხლეშივე, მის მიერ რედაქციებში დასახტამავად გადაგზავნილი მხატვრულ-პუბლიცისტურ თხზულებათა ხელნაწერი ტექსტები (ავტოგრაფები) „ღვთ...“, პუბლიცისტური წერილი „ჟველი, თუ ახალი“; ბათუმური პერიოდის მუშათა ცხოვრების ამსახველი „ბათუმის მუშათა თავშესაფარი“ და სხვაც ბევრი რამ, გამოქვეყნების მაგიერ უკვლოდ გაქრა და სამუდამოდ დაგვეკარგა.

ცხადია, ახლა ნაკლები იმედი უნდა გვქონდეს; ცნობის მიერ აკრძალულ ფონდებში რაიმეს მივაკვლიოთ, თუმცა არც ის არის გარანტირებული, რომ მომავალში რაიმე კიდევ აღმოჩნდეს.

ეგნატე ნინოშვილის ხანმოკლე სიცოცხლის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის გარშემო, მისი გარდაცვალების შემდეგ, მეტად საინტერესო მემორიული ლიტერატურა შეიქმნა. მთ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აწორედ ის ნაწილი მოგონებებისა თუ გადმოცემებისა რომელიც ეხება მწერლის ადრეულ პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეობას, ფსევდონიმებსა და ინიციალურ ხელმოწერებს ამოფარებულა მისი ავტორობის ამოცნობასა თუ ამოხსნას, მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ცალკეულ კონკრეტულ მომენტებს ამა თუ იმ საკითხზე; რაც ჰემარტივად ხელს უწყობს მწერლის შემოქმედებითი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოვლენების შესწავლასა და გარკვევას.

შეიძლება თავიდანვე აღინიშნოს, რომ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი ცხოვრება, თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ თითქმის ერთი ათეული წლით უფრო ადრე (1877-78 წწ.) დაიწყო და არა 1887 წლიდან, როგორც დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორიაშია ცნობილი.

ამის ნათელსაყოფად საჭიროა კვალდაკვალ მივუვლით ეგნატეს ჯერ კიდევ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლის წლებიდან (1874 წ.). სანამ მას 1878 წლის ეგრეთ წოდებული „მგლის ბილეითი“ გარიცხავდნენ და სწავლა-განათლებისათვის სამუდამოდ დაუხშობდნენ სასწავლებლის კარებს.

ეგნატე ნინოშვილის ანობოტილი და თანამედროვე, იმ დროის თვალთ მიხილველი და ბევრის მომხსრე მწერლის უფაცხოვრების მცოდნე პეტრე გელიევილი თავის ბიოგრაფიულ-მემორიულ ნაშრომში — „ეგნატე ინგოროვა (ნინოშვილი, მასალები მისი ბიოგრაფიისათვის)“¹ უდაოდ ანგარიშგასაწევ სარწმუნო

ცნობებს. გადმოგვცემს მწერლის მოღვაწეობის შესახებ; რაც აქ უნდა მოვიტანოთ. იგი ეგნატე 20-21 წლის იქნებოდა, როცა გაზეთ-„ნიწა და იანუო. ის წერდა გაზეთ „ივერიაში“ პატარა კორესპონდენციებს და ცდიდა კალამს მიუმორბოდა ევლიტონებსა და პატარა მოთხრობებზე. ძნელია ახლა აღდგენა ეგნატეს კალმის პირველ ცდის ნაყოფისა, ვინაიდან ის თავის კორესპონდენციებს ხან რას აწერდა და ხან რას...“ (გვ. 8.).

მაშინაც, როცა ეგნატე სოფლის მწერლად იყო და თავად გრ. გურიელთან მდივნად მსახურობდა, თვით პეტრე გელიევილის დამოწმებითაც — „ცხადია ვხედავთ, რომ ეგნატე 1888 წელს კი არ ეპირება „ივერიაში“ წერის დაწყებას, ის ლაპარაკობს წერის მოხშობებაზე, ესე იგი, ფიქრობს უფრო ზნობნილად წერას, ვიდრე ამდენ ხანს უწერია. აქედან ცხადია, რომ ის უკვე სწერდა გაზეთებში დაახლოებით იმ დროს, როცა ის სოფლის მწერალი იყო და შემდეგ — როცა გრიგოლ გურიელთან მდივნად მსახურობდა“ (გვ. 87).

„როცა ეგნატეს მიერ შემოთ ნაჩვენებ ვაჟს მივყვებით და მისი კალმის პირველ ცდას „ივერიაში“ დავუწყებთ ძებნას, — განაგრძობს პეტრე გელიევილი, — ჩვენ მართლაც ვხედავთ ამ გაზეთში აქა-იქ განხეულ კორესპონდენციებს და უფრო იშვიათად ფელეტონებს რომელთა დავიკრებული შესწავლი გვარწმუნებს, რომ ისინი უაპკვლად ეგნატეს კალამს ეკუთვნის. მაგალითად, 1887 წლის „ივერიაში“ 23 ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ერთს ნახევარად სახუმარო ფელეტონს, რომელსაც სათაურად აქვს: „ოზურგეთის უფაცხოვრება“ და კვებ ფსევდონიმ აქვს მიწერილი: „ბა და ახი ი ს სალ და თი“.

პეტრე გელიევილი თავის დასახელებულ ნაშრომში აგრძელებს დაწვრილებით მსჯელობას მოცემულ პერიოდში ეგნატე ნინოშვილის საყოფიერ თანამშრომლობაზე „ივერიაში“ და საერთოდაც ქართული პრესის ორგანიზების, მისი როგორც პუბლიცისტური წერილების ავტორზე, იგი თუმცა ზოგადად, მაგრამ, მინც პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ „ეგრეჯრობით სრულიად უწყობადღებოდ არის დატოვებული ნინოშვილი, როგორც პუბლიცისტი“ და იძლევა დამირებებს: — „ვეცდებით, ცოტაოდინა მინც დავეხმაროთ დაინტერესებულ მკითხველს ნინოშვილის ამ მხრით შესასწავლო“.

თავისი მოსაზრებების ნათელსაყოფად პ. გელიევილი იმორწმუნად აგრეთვე ეგნატეს ახლობელ მეგობრებს: მიხა ცხაკაიას, სილიბის ტრო ჭიბლაძეს, რაუდენ კალაძეს და სხვებს.

¹ ექობ. „კოეოლუციის მატარაჟი“, № 1 (6), 1924, გვ. 101-151, № 2-3, (7-8), 1924, გვ. 87-140.

რომლებსაც მწერალთან მსჯელობაში არა ერთი დღე გაუტარებიათ და ერთხმად აღიარებდნენ, ეგნატეს ცხოვრების მოვლენების მსატკრული ასახვისა და დეკორაციების გარდა დიდი პუბლიცისტური ნიჭი და მეტროლი ტემპერამენტი ჰქონდა და ამ მიმართულებით ძალიანაც ბევრს მუშაობდა.

3. გელეიშვილის მოსაზრება იმითაც არის საყურადღუო, რომ მისი შეფასებით — „ნიწოშვილი აქტიური ძალა იყო, რომელიც ცხოვრების ჰიდილის გარეშე ვერ დარჩებოდა, რომელსაც თვით ამ ცხოვრების ჰიდილში უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა. ეგნატე უპირველეს ყოვლისა მეტროლი იყო და შემდეგ ბელეტრისტი. ამიტომაც ის უფრო გამოსადეგ იარაღად თვლიდა პუბლიცისტის მკვეთრ კლამს ვიდრე მხატვრისას“.

მისი შეფასების მიხედვით, როგორც პუბლიცისტი — ეგნატე ნიწოშვილი მეტროლია იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ცხოვრობს, მუშაობს, მოქმედებს, ბრძოლის აქტიური მონაწილეა, სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენებს. ყველაფერს ანალიზებს, ირკვევს, ებრძვის ყოველივეს, რაც უარსაყოფია და მოსასპობია.

თავიდანვე ეგნატე ნიწოშვილის პუბლიცისტურ-ყოფაცხოვრებითი ხასიათის კორესპონდენციები, წერილები, სტატიები თუ ფელეტონები, ერთად თავმოყრილი, წარმოადგენს ფონს, რომლის საფუძველზედაც მწერალი ჰქმნიდა თავისი მოთხრობების სიუჟეტებს, მაგრამ მწერლის პუბლიცისტური პროდუქცია, იმ დროის პრესის ფურცლებზე („დროება“, „თებრთი“, „მწყემსი“, „ივერია“, „კვალი“) გაბნეული და სხვადასხვა ფსევდონიმებით ხელმოწერილი თუ ხელმოუწერილიც, მეტად მცირე ნაწილის გამოკლებით, დღემდე მიუკვლეველი, უცნობი დარჩა, მათი სრულად გამოშვება, აღებენა და შესწავლა დღევანდელი მეთად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მწერლის ლიტერატურულ-ბელეტრისტული და პუბლიცისტურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრულყოფილად შესწავლა-აღგენის საქმეში.

ამრიგად, პეტრე გელეიშვილის საყურადღებო ბიოგრაფიულ-მემორიული ნაშრომი უთუოდ ინტერესს აღგვიძრავს ეგნატე ნიწოშვილის შემოქმედებითი პუბლიცისტური მემკვიდრეობის როგ საკითხებზე, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, მაშინ მას ჯერ კიდევ არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ჩვენთვის საჭირო საკითხებზე კონკრეტულად აღენუსხა, მიეთითებინა თუ როდის, რა ფსევდონიმით, სად და რა დაიბეჭდა ეგნატის ეს ყოველივე ჩვენთვის კვლავ ისევ უპასუხოდ, კითხვის ქვეშ დარჩა. ამ გარემოების გამო ჩვენ მიზნად დავისახეთ ჯერაც შეუსწავლელი ადრეული წლების პერიოდის პრესის

ფურცლებზე — 1877/78 წლებიდან დაწყებული ვიდრე 1888 წლამდე და შემდეგი მომდევნო წლებისაც ვეძიოთ, შევისწავლოთ თუ სად, როდის, რა ფსევდონიმით და რა დაიბეჭდა ეგნატე ნიწოშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან. მხოლოდ ამით და ამ გზით ნათეს მთავრად მწერლის შემოქმედების მნიშვნელოვან მხარეს.

ეგნატე ნიწოშვილის ახლობელ თანამედროვეთაგან, პეტრე გელეიშვილის შემდეგ, ცნობილმა პარტიულმა მუშეებმა, ლიტერატორმა და საზოგადო მოღვაწემ რაუდენ კალაძემ, მწერალზე ყველაზე მეტი, ყოველმხრივ აწარმოგასაწვევი, საგულისხმო ცნობები დაგვიტოვა.

რ. კალაძე თავის წიგნში — „ეგნატე ნიწოშვილი“ აღნიშნავს, რომ მწერლის შესახებ არსებული მემკვიდრეობიდან „დოკუმენტები მეტად მცირე აღმოჩნდა.“ ამას ავტორი შემდეგნაირად გვიხსნის: „ამის მიზეზი ერთი ისაა, რომ ეგნატისთან, როგორც რევოლუციონერთან, რაიმე კავშირის და დამოკიდებულების გამოშხატვლი დოკუმენტის შენახვას უნდარმერიის შიშით ყველა უფროხოდა და ამიტომ ასეთ დოკუმენტებს სპობდა.“

მეორე, ამხანაგები, რომლებთანაც ყველა ასეთი დოკუმენტები და ეგნატეს ხელნაწერებიც უნდა შენახულიყო, კონსპირაციულ და რევოლუციურ პირობებში ამას ვერ ახერხებდნენ, მაგალითად სილიბისტროს ჯიბლამის დედასთან შენახული ეგნატეს ხელნაწერები, რომლებიც მიწაში ჩაფლან სილიბისტროს დედამ, სულერთიანად დაიღუპა-ჩაღაპა“.

რ. კალაძის გადმოცემით უფრო ნათელი ეფინება იმ გარემოებას, რომ ადრეულ წლებიდანვე ეგნატე ნიწოშვილი... „სოფელში ახლა საქამოდ ცნობილი, პატივდებული შეიქმნა, აქ ის დიდად განათლებული, მცოდნე და გამოცდილი სჩანდა, ამიტომ ყველასაგან დაფასებული იყო. მის გარშემო უკვე შესდგა მისი პატივისმცემელთა წრე. ეგნატემ ამ დროიდანვე სილიბის ყოფაცხოვრებიდან კორესპონდენციების მიწოდებაც დაიწყო ქართულ გაზეთებში სხვადასხვა ფსევდონიმებით“.

აღნიშნავდა რა დარწმუნებით რ. კალაძე ამას, იქვე დართულ შენიშვნაში წერდა: „როგორც ირკვევა, ეგნატეს გაზეთებში წერილების გზავნა 1885-6 წწ. დაუწყია, რისთვისაც სასტიკად სდევნიდა მას ბოქაული სიყო ჭაფარიძე“.

ამ აზრს, სხვა ფაქტებთან დადასტურებითაც მტკიცებაც აღარ სჭირდება და სინამდვილეში ეს ასეც იყო. ეგნატემ აქტიური საზოგადოებრივ-ურნალისტური მოღვაწეობა და ცხოვრება 1877-78 წლიდან დაიწყო. მით უმეტეს მა-

შენ, როცა მან სოფლის სკოლის მასწავლებლის მოწმობაზე გამოცდები ჩააბარა (1879 წ.) და ამის შემდეგ სოფლად უფრო აქტიურ მუშაობასა და ცხოვრებას ეწეოდა.

რ. კალაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მწერლის ფსევდონიმებზე მსჯელობას. თავის ნაშრომში — „ივ. ინგოროვას ფსევდონიმები“, მოტანილი აქვს მეტად საჭირო ფაქტიური ბიბლიოგრაფიული-საცნობარო მასალა, რომლის სისრულით წარმოდგენა აქ საჭიროა, როგორც ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დასამტკიცებელი პირველწყარო.

რ. კალაძე წერს: „მეტად ძნელია იმ თარიღის გამორკვევა, თუ სახელდობრ როდის დაიბეჭდა ეგ. ნინოშვილის პირველი ნაწერი. მისი უახლოესი მეგობრების გადმოცემით, ეგნატე ნინოშვილს თითქოს 1881 წლიდან დაუწყია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში კორესპონდენციების ბეჭდვა. მას ჰქონია ბევრნაირი ფსევდონიმები, მაგრამ სახელდობრ რა ფსევდონიმებით წერდა, ეს დღემდე გამოურკვეველი დარჩა.“

ამის გამო გულდასმით გადავსინჯეთ ქართული ჟურნალ-გაზეთები 1881 წლიდან მოყოლებული, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას მხოლოდ ის, რომ ეგნატე ნინოშვილს 1888 წლიდან დაუწყია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა, გაზ. „ივერიაში“ და ჟურ. „თეატრში“.

მაგალითად, ვფიქრობთ, რომ მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს: 1) კორესპონდენციები ბათუმიდან 1888 წ. ხ უ მ ა რ ა ს ფსევდონიმით („ივერია“, №24,44,53,94).

2) ჟურ. „თეატრში“ (1886 წ.) — წერილები გურიიდან ბ-ოვს ხელმოწერით.

3) წერილი შორაპნის მაზრიდან „სხვათა შორის“ („თეატრი“, 1886 წ. № 16) ფსევდონიმად აწერია ზეტი, Z, რომელიც ასე თავდება:

„ტ რ ე წ ა ს რ ძ ა ლ ო
ა ხ ლ ა ვ ი ს ი ხ ა რ ო ო.“

4) „თეატრი“, 1886, № 20, „სოფ. ჩიბათი“.

5) „თეატრი“, 1886, № 26 — „ლანჩხუთი“ ფსევდონიმით ხელმოწერილი — გ უ რ უ ლ თ ო გ ა ვ ა ნ ი.

6) „ივერია“, 1887 წ. № 237, 12 ნოემბერი. ფელეტონი „ოზურგეთის ყოფაცხოვრება“, რომელსაც ფსევდონიმად აწერია — ბ ა ლ დ ა ხ ი ნ ი ს ხ ა ლ დ ა თ ი.

ეს ფელეტონი იმ დროინდელია, როდესაც ეგ. ნინოშვილი თ-დ გურიელთან მსახურობდა, ფელეტონი ასე თავდება: „ი, ამ შექცევას და ვადაყრუებას“.

7) „ივერია“ 1887, № 250 — სოფ. ნიგოთი (წერილი ეხება სკოლას), ხელს აწერს ნ ი გ ო ო თ ე ლ ი.

მაგრამ დაბეჭდვით ვერ ვიტყვი, რომ ეს

წერილები უსათუოდ მისია, ან რომ მხოლოდ ეს წერილები ეკუთვნის მის კალამს იმ ხანაში, როცა ამ წერილთაგანი საზღვარგარეთ გამგზავრებადმა ნაწერი, ზოგი კი დაბრუნების შემდეგ (1887). საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, ალბათ მისმა საგაზეთო წერილებმაც იქონია გავლენა მის გარშემო შემოკრებილ წრეზე, რომ განსაკუთრებულს მზრუნველობას იჩენენ მასზე და კომლექსურადაც კი ფულს უგროვებენ საზღვარგარეთ გასამგზავრებად“.

ღვაწლმობილმა მეცნიერ-მკვლევარმა, პროფესორმა სიმონ ხუნდაძემ დიდი ამაგი დასდო ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის მეოთხე აკადემიურ გამოცემას. გამოცემისათვის გაწეული დიდი მუშაობის შესახებ სიმონ ხუნდაძე წერდა: „... უნდა აღვნიშნოთ, რომ „ივერიაში“ (და არა მარტო „ივერიაში“) ეგნატეს უფრო მეტი წერილები აქვს მოთავსებული, მაგრამ მათი დადგენა ერთობ ძნელი ხდება... რასაკვირველია, ეგნატეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ აღმოჩენებით არ ამოიწურება. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ კიდევ აღმოჩნდება შემდეგში ნინოშვილის ხელნაწერები, უმთავრესად კერძო წერილები“...

ეგნატე ნინოშვილის ადრეული წერილების უცნობი ფსევდონიმების არსებობის შესახებ მკვლევარი კარბუხ ღონაძეც ერთგან თავისი ნაშრომის შენიშვნაში, წყაროს დაუსახელებლად, აღნიშნავს: „ეგნატეს სხვა ფსევდონიმებიც ჰქონია, რაც, სამწუხაროდ, ჭირ კიდევ შეუსწავილი და საბოლოოდ დაუდგენელია; ეგნატეს, რამდენადაც ეს დღეს უკვე გამორკვეულია, ნინოშვილის გარდა, შემდეგი ფსევდონიმები ჰქონია: ხ უ მ ა რ ა, D, Z, გ უ რ უ ლ თ ო გ ა ვ ა ნ ი, ბ ა ლ დ ა ხ ი ნ ი ს, ხ ა ლ დ ა თ ი, ნ ი გ ო ო თ ე ლ ი, ე გ ა ნ ი.“

ამრიგად, თითქმის ყველა მოცემული პერიოდის არსებული ბიოგრაფიულ-საცნობარო ლიტერატურის დახმარებითა და შესწავლით ჩვენს თვალქვეშ მოექცა მთელი ნაბეჭდი არქივებიც. მათ მეცნიერულ შესწავლასა და კვლევადობას კი თავის დროზე ძლიერ ხელს უშლიდა ქართული ჟურნალ-გაზეთების სრული ბიბლიოგრაფიის უქონლობა.

ამ მიმართულებით დიდი საშვილიშვილო მუშაობა გასწია კარლ შარქის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილების ბიბლიოგრაფიულმა კოლექტივმა, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოგრაფის ქალბატონ თამარ მაჭავარიანის უანგარო, დაუღალავი შრომითი მოწაწილობითა და მოღვაწეობით, ამ კოლექტივის ღვაწლით შეიქმნა და დღეს ჩვენს ხელთაა მაღალ მეცნიერულ დონეზე გა-

1 კარპ. ღონაძე, ეგნატე ნინოშვილი, ცხოვრება და შექოქმელება, თბილისი 1940 გვ. 8.

მოცემული ქართული ურწინაღობის, კრებულებისა და გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ტომეულები.

როგორც მკითხველიც ნათლად ხედავს, ეგნატე ნინოშვილის უცნობი ნაბეჭდი პუბლიცისტური მეგვიდრეობის — სხვადასხვა გამოკონილი ფსევდონიმებით ხელმოწერილი (და ხელმოუწერილიც) წერილებისა და სტატიების ავტორობის დადგენის შესახებ პირველი გადაწყვეტილი სიტყვა უანგარო მოღვაწე-ბიბლიოგრაფს, აწ განხვეწებულ თამარ მაჭავარიანს ეკუთვნის. ესენია: ხ უ მ ა რ ა ს ფსევდონიმით გამოკვეთებული სერია წერილებისა, 1888 წლის ივრიის“ ათ ნომერში (№№ 11, 24, 44, 58, 94, 107, 156, 165, 186, 205); ამავე ფსევდონიმით ხელმოწერილი სტატია „სახალწლო მეგვიდრეობის“ (მოლოცვა)“, „ივერია“ (1888 წ. № 4); ხელმოწერილი ფსევდონიმით ბ ა ლ დ ა ხ ი ნ ი ს ხ ა ლ დ ა თ ი — წერილი „ოზურგეთის ყოფაცხოვრება“, დაბეჭდილია „ივერიაში“ (1887, № 287); ფსევდონიმით ნ ი გ ე თ ე ლ ი ხელმოწერილი სამი წერილი დაბეჭდილი „ივერიაში“, 1) სოფ. რჯანა, 6 დღონობისთვის (1888, № 222); 2) სოფ. ნიგოთი (ოზურგეთის მაზრა), 18 ნოემბერი (1887, № 250); 3) სოფ. ნიგოთი (გურია) (1889, № 189); ხელმოუწერილია სათაურით: ქ. ოზურგეთი (გურია), („ივერია“, 1889, № 189).

აღნიშნული ფსევდონიმებით დაბეჭდილი წერილების ავტორად ეგნატე ნინოშვილის აღიარება ჩვენ ზუსტად გვიხსნის მწერლის შემოქმედების სათავისაყენ მივაპყროთ ყურადღება.

ხ უ მ ა რ ა ს ფსევდონიმით ეგნატე ნინოშვილი ბათუმური შესანიშნავი პუბლიცისტური სერიის წიგნებიდან 1886 წლის 18 მაისს ერთ-ერთ წერილში სხვათა შორის წერდა: „...ამ გარდამოცემასთან უთუოდ რაიმე კავშირი უნდა ჰქონდეთ იმ გარემოებს, რომ დღესაც ოსმალეთის მთავრობისაგან არავითარიმე „თაფები“ არა აქვთ ჩაგველებს მიწა-წყალზე, მთა და ბარზე. „თაფმა“, როგორც ადრევეც ვამბობდით „დროებაში“, ბათუმის მაზრა ოსმალეთის პოლიტიკურს ურთიერთობას, წყობილებას შეახორცა. „თაფით“ მიწა არავისი საკუთრება არ არის, მხოლოდ იგი მიწა არის ალლახისა და საულტანისა. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოა, რომ ჩაგველებს თუ „თაფები“ არ მიცეს, მაშ იმათ ისევ საქართველოს მეფეების სიგელებით უნდა სწეროდნენ მიწები“.¹

ამ წერილით ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი გვიდასტურდება. თვით ეგნატე, თავისი ნაწერი თუ დაოს ხდის, რომ იგი ადრეულ წლებიდანვე კი არა „აღუშდა“, არამედ გვეუბნება, რომ „დროებაშიც“ და მანამდეც სხვა პერიოდულ გამოცემებშიც თანამშრომლობდა, იღვე-

ვოდა! ამ ფაქტის დადასტურებით უდავოდ ერთო პორიზონტი იშლება მწერლის მუშაობის წინა წლებიდანვე.

მაშ, „ადრევეც რას ამბობდა“ ეგნატე ინგოროყვა „დროებაში“? 1885 წლის 11 იანვარს ეგნატე ინგოროყვა, მთელი პუბლიცისტური სითამამითა და გატაცებით, სერგეი მესხის „დროებაში“ „ბათუმელის“ ფსევდონიმით აი რას წერდა: „ბეგრის მხრით არის საინტერესო ბათუმის მაზრის განსხვავებული და თავისებური ფორმა მიწის მფლობელობისა. ის კანონი, რომელმაც ეს მფლობელობის ფორმა განავითარა, ბათუმში იწოდება „თაფად“... „თაფი ს“ ფაქტური მოქმედების ზოგიერთთა სურათთა სააღუსტრაციოდ შეიძლება თვითოეული ფაქტების მოყვანაც. ჭრჭრეობით ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ როგორ დაწესდა ეს კანონი საზოგადოდ მესხეთში...

გამოცა ბრძანება, რომლითაც მესხეთში ისე უნდა მოთავსებულიყო მიწისმფლობელობა, როგორც სხვა ოსმალეთის საბრძანებელში. მოხელეებს სასტატი ბრძანება მისცა მთავრობამ — ყოველს მცხოვრებს მისცემოდა მიწაწყალზე ოსმალეთის მთავრობის სიგელები „თაფები“. აქედამ აშკარად იხატება ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკური განზრახვა. რაკი „თაფები“ გაცეს — მთავრობამ აშკარად გამოუცხადა ხალხსა, რომ ამერიადგან პირველული საკუთრება მიწა-წყალზე მოისპოვო, მიწა-წყალი ეკუთვნის ჭერ ალლახს და მეურ ხონიქარსა...

არ ვიცი რა აზრისანი არიან ის ჩვენი ისტორიული ძმები მესხელები „თაფებზე“, მხოლოდ არ შემიძლიან არ ვალიარო — განსვენებულის (აბაში)-ძისთვის რომ დაეჭრებინათ, დღეს ყველა მთავარი მყუდრელი და მშვიდობით იქნებოდა თავის მამა-პაპულად ნაივრნაბულევზე“.

საადგილ-მამულო მფლობელობის ოსმალურ-თურქული ფორმით, თავისებური გამოხატულების ე. წ. სიგელების — „თაფების“ („თაფის“) სახით, საკითხის გარკვევა-გარჩევას ბათუმელი სხვადასხვა ადგილებში თურმე იწყო რილებშიც მოგვცა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ავტორი „ბათუმელი“ 1885 წლის 21 მარტს „დროებაში“ აღნიშნავდა: „დღეი ხანია მესმის ბათუმელი მესხელებისაგან, რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, როცა რუსეთმა ეს მხარე ჩაიბარა, ოსმალეთის სხვადასხვა ადგილებში თურმე იწყო გაცხარებული მუშაობა ესრედწოდებულმა თაფების „ქარხანამ“. ფაქტების უქონლობის გამო ამ „ქარხანაზე“ ბეჭდვითს ლაპარაკს ვერა ვხედავდი“...

იგივე ბათუმელი, სამი წლის შემდეგ, 1888 წლის 1 მარტს ამავე საკითხზე „ივერიაში“ წერდა: „ბათუმელი მოქალაქენი მოუთმენლად მოელიან დიმიტრი ბაქრაძის დაბრუნე-

1 გაზ. „ივერია“, 20. V, 1886, № 107, გვ. 2-3.

ბას სტამბოლიდან, განსაკუთრებით ისინი, ვი-
საც დიდი დავა აქვს ქალაქთან მამულის თა-
ბაზე და საქალაქო ბაღს ედავებიან ქალაქს, ეს
საქმე ძალიან საინტერესო საქმეა. ამ ბაღის პა-
ტრონების სიგელი „თაფი“ საადგილ-მამულო
კომისიას შეუმოწმებია და კანონიერ „თაფად“
უცნია, მაგრამ მეორედ იმავე კომისიას თავი-
სივე წარწერა წაუშლია და დაუწერია, რომ ეს
„თაფი“ უკანონო „თაფიაო“. ამაზე დიდი სა-
ჩივრებია გუბერნატორთან და პალატაში ტფი-
ლისსა“.

მეტად საგულისხმოა, რომ იგივე ავტორი
ბათუმელი ერთი წლის შემდეგ, 1889 წლის
25 თებერვალს „ივერიაში“ წერდა: „გუბერნა-
ტორის პროექტში სხვათა შორის ერთი ფრიად
საყურადღებო აზრია და ამ აზრის შესახებ ური-
გო არ იქნება ორიოდე სიტყვა ითქვას. დღემ-
დის ბათუმში მთავრობის განყარვლებით ნე-
ბა არავის არა აქვს გაპყიდოს მამული ოსმა-
ლურის „თაფებით“ შექმნილი საკუთრებად. ბა-
თუმში, როგორც ოსმალეთის საკუთრებად ნამ-
უცვს ადგილ-მამულო, საადგილ-მამულო სა-
კუთრება „თაფებზე“ დამყარებულნი...“

ზემოაღნიშნული მოსაზრებანი, უყველგვარი
ეჭვის გარეშე იმაზე მიგვიანწინებს, რომ ბა-
თუმელისა და ხუმარას ფსევდონიმებით „დრო-
ება“ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილების ავ-
ტორი ერთი და იგივე პიროვნებაა და ეს ერ-
თი და იგივე პიროვნება სხვა არავინაა, თუ არა
ეგნატე ინგოროყვა.

ამრიგად, მოტანილი ამონაწერებით უდაოდ
დადასტურდა, რომ ბათუმელი ფსევდო-
ნიმით „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიის ავ-
ტორი ეგნატე ინგოროყვა არის. ამასთან ერთად,
მნიშვნელოვანია სწორედ ის გარემოება, რომ
ამ ფსევდონიმით „დროებაში“ ბეჭდვა ეგნა-
ტემ პირველად 1878 წლის 7 ნოემბრიდან და-
იწყო, გაგრძელდა 1885 წლის 21 მარტამდე და
სრულით — „დროების“ კორექსორდენციები —
ნ წერილი გამოაქვეყნა, 1. „ბათუმი, 24 ოქტო-
მბერს“, რომელშიც გადმოცემულია სამეგრე-
ლოდან მოტაცებული ქალის გაყიდვა და მისი
ძალით გამოპადაიანების ცდა; 2. ქართული ტრ-
უზა ბათუმში, სადაც ცვანცობებს რმ დროის
უნობლით ქართველი მსახიობების მონაწილეო-
ბით მიეხება: „ძალათ ექიმისა“ და „აუღამა-
ყალი ცოლ-ქმარს შუა“ წარმოდგენის დადგ-
მის შესახებ; 3. „წერილი რედაქტორთან“ 4.
„ბათუმი იანვრის 11-ს“, რომელშიც მოგვითხ-
რობს მარაში გავრცელებული მიწის მფლო-
ბელობის ერთგვარი თავისებური ფორმის ე.
წ. „თაფის“ შესახებ და ბოლოს 5. „დროებაში“
დაბეჭდილი უკანასკნელი წერილი „ბათუმი“.

ბათუმელი ფსევდონიმით დაბეჭდილი
წერილები სერიის ავტორს განეკუთვნება ახე-
ვად „დროებაში“ ხელმოუწერილად გამოქვეყნე-
ბული ერთი წერილიც — „დროების“ კორექს-
პონდენცია — „ბათუმი, 8 იანვრს“.

1885 წელს „დროების“ გამოცემის შეწყვე-
ტის შემდეგ, ეგნატე ინგოროყვამ „ხუმარა-
ფსევდონიმით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
1886 წლის დასაწყისიდან მთელი წლის განმ-
ვლობაში (1886 წლის 23. IX-მდე) ბათუმშიდან
„ივერიაში“ მოწერილი ამბების სერიაში, ქალა-
ქის საზოგადოებრივ-სოციალური ყოფის ამსახ-
ველი 11 წერილი გამოაქვეყნა.

ეგნატე ინგოროყვას ხუმარას ფსევდონი-
მით „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილების
სერიას „დაბა და სოფელი“ (მოწერილი ამბავი)
განეკუთვნება ერთი ხელმოუწერილი წერილიც
— „ბათუმი, 26 ივნისს,“ რომელშიც ავტორი
აღწერს ბათუმის საბჭოს მიერ ხალხის შევიწ-
როებას, რამაზანის დღესასწაულს, ოსმალეთში
ადამიანის გაყიდვის საშინელ ჩვეულებას და სხვ.

ამგვარად, ეგნატე ინგოროყვა ბათუმელი
ფსევდონიმით „დროებაში“ ბეჭდვის შე-
წყვეტის შემდეგ, 1886 წელს „ივერიაში“ აგრ-
ძელებს წერილების გამოქვეყნებას ხუმარას
ფსევდონიმით, ხოლო 1887 წლიდან ბათუმელის
ფსევდონიმით ანახლებს ბეჭდვას „ივერიაში“
და აქვეყნებს სულ 18 წერილს სერიებად „დრო-
ური კორექციებისა“ ბათუმიდან და „დაბა და
სოფელი“ (მოწერილი ამბავი ბათუმიდან).

ასევე, სრულიად მოულოდნელად, დადგინდა,
რომ ეგნატე ინგოროყვამ ბათუმელი ს და
ხუმარას დღემდე უცნობი ფსევდონიმით
„დროებაში“ „ივერიაში“ 1878-1890 წლების გან-
მავლობაში, დროადრო, თანამიმდევრობით, ბა-
თუმ-აჭარის თემაზე მიძღვნილი მ წერილი გა-
მოაქვეყნა; ამთგან ორი წერილი ხელმოუწე-
რელია.

ამასთანავე, საყურადღებო ფაქტია, რომ ხუ-
მარას ფსევდონიმით მითითებულ 11 წერი-
ლს, ბათუმელი ს ხელმოწერით 28 წერილს
და მათთან მითვლილ ორ ბელმოუწერილს,
სულ მ წერილს აერთიანებს ავტორის ენო-
ბრივი და იდეურ-თემატური თხრობის ერთი-
ანი ქარგა, სოციალურ-საზოგადოებრივი აზროვ-
ნების სტილი და მათი ერთადერთი ავტორი
მხოლოდ ეგნატე ინგოროყვაა. ეს რომ ნამდვი-
ლად ასეა, აღნიშნული წერილების სერიიდან
ერთი ავტორის მსჯელობისათვის დამახასიათე-
ბელი შესატყვისი ამონაწერების მოტანაც გვი-
დასტურებს. დღეს ჩვენ უკვე მყარი საფუძვე-
ლი გვაქვს სხვადასხვა გამოგონილი ფსევდონი-
მებით თუ ხელმოუწერილად გამოქვეყნებულ
წარმოდგენილი უცნობი პუბლიცისტური წე-
რილების ეგნატე ინგოროყვას ავტორობის სა-
კითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.

ეგნატე ინგოროყვა ღრმა გულსიტყვილით
და სიჭარულით, მამულოშვილური გატაცებით
და პატრიოტული შემართებით წერს ახლად
შემოერთებულ სამხრეთ საქართველოს უშეშე-
ნიერეს მხარეზე: „ძველს მესხეთს შეადგენენ
შავშეთი, ლივანა, ქობულეთი, აჭარა, ერუმიდ-

თი და ქანეთი. ეს მხარე დღეს ბათუმის მაზრად იწოდება. ამ მაზრის მკვიდრთა შორის მომეტებული ნაწილი ქართველები არიან... ქართული ენა შენახულა უფრო აჭარა-ქობულეთში. აქ ქართული ენა საოჯახო ენაა, სხვა მხარეებში იგივე ქართული ენაა. მაგრამ ძალიან გარყვნილი ოსმალეთის სიტყვების არევიდარევიტ. მთელს ამ მაზრაში ჯერ არც ერთ ადგილს არ არსებობს სასწავლებელი გარდა „მედარებისა“, სადაც, რასაკვირველია, სულ სხვა საძიკველზე და საფუძველზე დაყენებული სწავლება და აღწერა ახალთაობისა, ქუთაისის საერთო სკოლების დირექციას უკვე დაუნიშნავს მასწავლებელი სოფელს მარადიდში, რომელიც ბათუმიდან 25 ვერსის მანძილზეა, ამ ახლად დაარსებულ სკოლაში მასწავლებლად იქმნება ბ. პეტროვი. მარადიდებლი სახლშიაც და გარედაც სულ ქართულად ლაპარაკობენ მომეტებულ ნაწილად, ან კი რასაკვირველია, რომ ძველმა მესხელმა, ძველმა ქართველმა ქართულად ილაპარაკოს? დიდება შენს სიცოცხლეს, ქართულს ენაც, მე და ჩემმა დემრთა! ორას წელი დაუნდობელი და მძინეარე ისლამის ქელბვი იგივე ქართული ენა ხალხს ისევ შერჩენია. იმ სკოლებს, რომლებსაც მმართველობა მმართველ ბათუმის მაზრაში, როგორც მიტხრეს, სახელად სამმართველოს სკოლები ერქმევა. როგორც გავიგე ნამდვილი წყარობიდან, ისეთივე სკოლა, როგორც მარადიდისა, ქობულეთშიც გაიხსნება“.

ეგნატე ინგოროყვამ 17 წლისამ, თავისი ბიძის ალექსი ინგოროყვას, იმ დროისათვის აქტიური, გლეხის მზრუნველობით, 1878 წლის თებერვალში ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის კარი შეადო.

იქ დამხვედური მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე, მაღლით ცხებული პედაგოგ-მასწავლებლების — ივანე ლიპისა და ანდრია ბენაშვილის წყალობით ცნობილი ვახდა ეგნატე ინგოროყვას არაჩვეულებრივი ნიჭიერება, რითაც მან თავიდანვე უურადლება მიიპყრო. 1878 წლის სექტემბერს ეგნატე მესამე კლასიდან მეოთხე კლასში გადაიყვანეს.

ამავე პერიოდში, ამ მოწინავე მასწავლებლების ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით ეგნატე, საკლასო მეცადინეობასთან ერთად, აქტიური მკითხველია გაზეთების „ივერია“, „დროებისა“. მან ამ გაზეთების რედაქციების გზავალი მალე გაიგნო და თვითონაც დაიწყო (1877 წლიდან) გურიისა და აჭარის (ბათუმის) საციალური ყოფისათვის დამახასიათებელი კორესპონდენციებისა და წერილების ბეჭდვა.

ამ დროისათვის ეგნატე უკვე კარგად იცნობს ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებს: ილია ჭავჭავაძეს, სერგეი მესხს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი წერეთელს და სხვებს; იგი ვატაცებით კითხულობს ქართულ და რუსულ ლიტერატურას; მაგრამ, სამწუხაროდ, მან მალე მოუღდა სწავლისათვის თავის დანებება...

თავიდანვე არცთუ ისე დაღიწიებულ, ცხოვრებადამძიმებულ, სიცოცხლე შევიწროებულ და გამწარებულ ეგნატე ინგოროყვას ჯოჯობეთად უქცია ცხოვრება ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის რეაქციონერმა ზედამხედველმა, დეკანოზმა სიმონ ქიქოძემ. სრულიად ვასაგები ხდება ჩვენთვის ბელეტრისტ თ. ხუსკივაძის მოგონება ეგნატეს შესახებ, მისივე სიტყვებით, რომ გადმოცემის: „— ჩემს გარშემო ბოროტების პარაშუს გვერდი ვერ ავუარე. — ეუბნება ეგნატე ი. ხუსკივაძეს. — ჩემმა გრძობიერმა გულმა კარი გაუღო გაჭირვებულთა წუხილვარამს, უსამართლობის უღლის ქვეშ ხალხის კვნესა-ტანჯვებს შეუერთა მან თავისი ტკივილმც, შეაზავა თავის სიღრმეში, მოაწიფა და მოაშადა იგი ვასაკეთად, ჩირქის გადმოსახევად, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანას დრო, ალაგი და საშუალება უნდოდა... მე ამის საშუალებად პატარა ფოლადის კალამი ევიჩიე... შევიარადლი ამით და ჩემი კალმის წვერით ვაკვეთე ეს დაჩირქებული, დღის ხნით დამწიფებული, წამოსული დაკეთილი ჩირქი, კალმის ტარში ვავატარე და შავი მელნის სახით ადგილობრივ გაზეთების ფურცლებზე გადავანთხე. არ იამა ეს ზოგირითებს... არ იამათ განსაუთრებით დიდ ბობოლებს. შევიარადლენ მწვეარ-მეძებრების და შეუდგენ „შინაური მტრის“ — წერილების ავტორის ძებნას. თუმცა კი პირდაპირ ვერ მომაგნეს, მაგრამ ქვიმინც ჩემზე შემოიტანეს და ასე თუ ისე იძულებული გამხადეს, სოფლისათვის ფეხი დამეკრა და ისევ სხვაგან მეძია ლუკმა პური“.

და ეხლა უკვე, როდესაც ჩვენს ხელთაა კვლევა-ძიებით მოპოვებული მწერლის პუბლიცისტური მეშვიდერობა (1877-1891 წწ.) უცნობი სხვადასხვა ფსევდონიმით, ინიციალური ხელმოწერითა თუ ხელმოწერელი ნაბეჭდი კორესპონდენციები, წერილები, ფელეტონები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ჩანაწერები თუ პუბლიცისტური სტატიები, ყოველივე ეს გზას გვიკავავს მწერალ-პუბლიცისტის დიდი რუღუნებით დაწყებული და განვლილი შემოქმედებით ცხოვრების სათავისაკენ.

1 თეოფ. ხუსკივაძე, „ეგნატე ნინოშვილი“, გაზ. „სამშობლო“, 1916, № 257.

ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის) ბიოგრაფიის პირთი საკითხის გამო

1908 წლის 15 დეკემბერს მოკლეს ცნობილი პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, საქართველოს ისტორიის მკვლევარი ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი). ბიოგრაფიკების ხელმა ქართული ეროვნული ინტელიგენციის რიგებს ჩამოაშორა აქტიური მოღვაწე, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მებრძოლს, ილია ჭავჭავაძეს, ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი.

ი. დოლიძე წერს: ნ. ხიზანაშვილის მკვლელთა ვინაობა ბურჟუაზიის არის მოცული. ერთი ვერსიით იგი მოკლეს ი. ბერიკაშვილის საქმის გამო. მეორე ვერსიით ნ. ხიზანაშვილი სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, რადგან იგი ილიას ერთგული დამცველი იყო.

მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია ასეთია: „უცვლელად იცოდა, რომ ნიკოს სძულდა თავისი გერი ნუცა მარბელი (ელისაბედის ქალიშვილი პირველი ქმრიდან, რომელიც თავს რევოლუციონერად ახალებდა და ტერორისტთა ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო კარნელი ილიარიონის ძე კასრაძე, რომელიც მეგობრობდა ნუცას და ნიკოს ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ნიკო დაბეჭდებით მოითხოვდა გერის თავიდან მოშორებას, ელისაბედი კი ვერ ელეოდა მას. ამ ნიადაგზე ოჯახში 1905-1906 წლებში დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. შესაძლოა სწორედ ამ გარემოების გამო წარმოიშვა ნ. ურბნელის მკვლელობის ის ვერსია, რომელიც ბიოგრაფიკების ჩადენაში ბრალს ე. კასრაძეს სდებდა“ (ნიკო ხიზანაშვილი, „ჩრდიული იურიდიული ნაწერები“, 1981 წ., გვ. 618).

ი. დოლიძეს ზემოთ მოყვანილი ვერსიები სპეციალურად არ შეუსწავლია. მისი აზრით, „თუმცა ნ. ურბნელის მკვლელთა ვინაობა დღემდე დაუდგენელია, ერთი რამ უდავოდ ცხადია, ნ. ურბნელს მუხანათურად ანგარიში გაუსწორეს იმ ავანკურმა ძალებმა, რომლებმაც მალე ერის დიდება ილია ჭავჭავაძე განგმირეს“.

ი. დოლიძემ სამართლიანად გაავლო პარალელი ილია ჭავჭავაძის და ნიკო ხიზანაშვილის

მკვლელობებს შორის. ჩვენს მიერ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მოძიებული მასალებიდან ირკვევა, ნიკო ხიზანაშვილის მკვლელთა მოაწყვს მეფის რუსეთის პოლიტიკური ძიების ორგანოებმა, მათ თავისი ბინძური საქმე განახორციელეს ე. კასრაძის ხელით.

ნ. ხიზანაშვილის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1905 წლის 9 ნოემბერს, დღის 8 საათზე, უცნობმა პირმა ქუჩაში ესროლა და დაჭრა. საქმის გამოძიება პროკურორის პირადი წინადადებით აიღო საგანგებო საქმეთა გამოძიებულმა ნ. ფ. ილიაშვილმა. გამოძიების მასალიდან ჩანს, გამოძიებულმა უფლებბეულო დაზარალებულის ჩვენებაში და ასევე მოწმეთა ჩვენებებში არსებული გამოძიებისათვის საინტერესო ფაქტები. მაგალითად — ნ. ხიზანაშვილს იმ ხანებში პროკურორის თანაშემწემ, ტერბოვიჩმა დაზარალებული გამოძიებისათვის დაუბრუნა მის მიერ უკვე გამოძიებული და დამთავრებული ი. ბერიკაშვილის საქმე, რომელსაც მდიდარი ვაჭრის მკვლელთა ედებოდა ბრალად. საქმის დაბრუნებისას ცოცხალი ხნის გასვლის შემდეგ უცნობმა პირმა ი. ბერიკაშვილის გათავისუფლება მოითხოვა და ნიკოს დაემუქრა, მაგრამ ნ. ხიზანაშვილმა მკვლელი არ გაათავისუფლა. თავდასხმულმა, მანამ ისროლა, ნ. ხიზანაშვილს შესძახა — „შე არამოწადვ, არ შეასრულე!“ ნ. ხიზანაშვილი თვლიდა, რომ ეს გარემოება უნდა ქცეულიყო ამოსავალ წერტილად თავდასხმულის ვინაობის გასარკვევად.

გამომძიებელმა კი 1906 წლის 8 ივნისს საქმე დახუთა, იმის მომიჯნავეთ, რომ დაზარალებულმა ნ. ხიზანაშვილმა ვერ მისცა გამოძიებას ვერავითარი გადამწყვეტი მითითება, თუ ვის შეეძლო მასზე თავდასხმა.

ნ. ხიზანაშვილი გამოძიებით კმაყოფილი არ იყო. საქმეში არის ნ. ხიზანაშვილის თხოვნა, სადაც იგი პირდაპირ წერს გამოძიებულს, გამოძიება არასწორი გზით მიმდინარეობს. იგი უჩვენებდა გამოძიებას გზებს ძიების სწრაფად და სწორად წასამართავად. ნ. ხიზანაშვილის

1. დიდი ქართველი მსახიობი ელისაბედი ჩეჩეზიშვილი ნ. ხიზანაშვილის მეუღლე იყო.

თხოვნაზე გამოძიებულმა არავითარი რეაგირება არ მოახდინა.

ჩვენ დავინტერესდით გამოძიებულ ილიაშენკოს პიროვნებით. საარქივო მასალიდან გაიჩვენა, რომ ნ. ხიზანაშვილი და ილიაშენკო რამდენიმე წელი ერთად მუშაობდნენ თბილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში. ნ. ხიზანაშვილს რამდენჯერმე გადაბარებული ჰქონია ილიაშენკოსაგან გამოსაძიებელი საქმეები, როცა ეს უკანასკნელი შვებულებაში გადმოდა.

ილიაშენკოს პირადი საქმის ნუსხიდან ირკვევა, რომ იგი 1906 წლის 12 მაისს ითხოვდა შვებულებას, რაზეც თბილისის საოლქო სასამართლოს განყოფილების საერთო კრებამ უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მას აქვს სასწრაფოდ გამოსაძიებელი საქმეები. შესაძლებელია, აქ საუბარია ნ. ხიზანაშვილზე თავდასხმის გამოძიებაზე. ამ უარიდან 4 დღის შემდეგ მიიღო ილიაშენკომ ნ. ხიზანაშვილის ზემოთ აღნიშნულის თხოვნა საქმის სწრაფი და სწორი გამოძიების შესახებ. ილიაშენკომ ამჯერად შვებულებაში გასვლის თხოვნით მიმართა სამსამართლო პალატას, რომელიც თბილისის საოლქო სასამართლოსთან შედარებით უფრო მაღალი ინსტანცია იყო. მას შვებულებაში გასვლის ნება დართეს 1 ივლისიდან, ილიაშენკომ 8 ივლისს დახურა ნ. ხიზანაშვილის საქმე, შვებულებაში კი 18 ივლისს გავიდა.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ილიაშენკო ნ. ხიზანაშვილის საქმის სწორ გამოძიებას თავს არიდებდა.

ილიაშენკომ გამოსაძიებლად პროკურორის პირადი წინადადებით აიღო ნ. ხიზანაშვილის დაქრის საქმე, გამოძიება პროკურორის ზედამხედველობით მიმდინარეობდა, მაშასადამე, იმავე პროკურორმა იცოდა, ილიაშენკოს საქმე სწორად არ ჰქონდა გამოძიებული. საქმე საბოლოოდ დახურა საოლქო სასამართლომ, სწორედ პროკურორის თხოვნის საფუძველზე 1906 წლის აგვისტოში.

ნ. ხიზანაშვილს 1891 წლიდან სამსახური არ გამოუცვლია, ოღონდ ძიების პერიოდში და საქმის დახურვის შემდეგ, 5 თვეში სამჯერ გადაიყვანეს უფრო მაღალ თანამდებობაზე. 9 ივლისს ნ. ხიზანაშვილი გადაიყვანეს თბილისის პირველი განყოფილების სამემკვიდრეო უზნის გამგედ. 8 ივლისს ილიაშენკომ საქმე დახურა. 21 აგვისტოდან ნ. ხიზანაშვილი პირველი განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეა — 21 აგვისტოს საოლქო სასამართლომ საქმის გამოძიება საბოლოოდ დახურა.

საინტერესოა, რომ ნ. ხიზანაშვილი დაქრის პოლიციის მეტუთე ნაწილის მახლობლად, თავდამსხმელი სროლის შემდეგ აკიშოვის ქუჩაზე დაეშვა, სწორედ ამ ქუჩაზე მდებარეობდა პოლიციის მეტუთე ნაწილი. მანამ დაქრილი ნ. ხი-

ზანაშვილი თვითონ არ მივიდა პოლიციის ხუთე ნაწილში, მათ ვერაფერი გაიგეს ამრიგად, მეფის სასამართლოს მოხელეებმა, ზემოთ მოყვანილი მასალიდან გამომდინარე, ხელიც კი შეუწყვეტ გამოძიებულს დამნაშავეს აღმოუჩენლობაში.

ჩვენი აზრით, სწორედ დაუსჯელობით გათამაზებული ბოროტმოქმედები დაეხსნენ თავს ნ. ხიზანაშვილს 1906 წლის 15 დეკემბერს დღის 10 საათზე, პირველი სამომრიგებლო განყოფილების გვერდით. თავდამსხმელები ორნი იყვნენ. მძიმედ დაჭრილი ნ. ხიზანაშვილი იმავე საღამოს გარდაიცვალა.

მკვლელობის საქმის გამოძიება ჩაიბარა პირველი განყოფილების გამოძიებულმა. ნ. ხიზანაშვილის მკვლელობის საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებები ურთიერთ საწინააღმდეგაა. გამოძიებულმა მათ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, არ გამოიჩინა სათანადო თანმიმდევრობა ძიებისას. მან ნ. ხიზანაშვილის მკვლელობის საქმის გამოძიება 8 თვეში დახურა. საქმე საბოლოოდ დაიხურა საოლქო სასამართლოს მიერ 1907 წლის ოქტომბერში. დამნაშავეები ახლაც ვერ აღმოაჩინეს.

ძიება არ განახლებულა არც მას შემდეგ, რაც 1907 წლის ნოემბერში თბილისის გუბერნიის უნდარბთა სამმართველოს საქმეში, რომელიც ეწება „სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის საერთო-რუსული სამხედრო კავშირის თბილისის ორგანიზაციას“, გაჩნდა პირველი ცნობა ნ. ხიზანაშვილის მკვლელის ვინაობის შესახებ. ორგანიზაცია ჩავარდა 1907 წლის მაისში. მისი აქტიური წევრი ყოფილა ნუცა მაჩაბელი. სწორედ ამ მასალაში შეგვხვდა პირველი ცნობა, რომ ქ. კასრაძემ მოკლა ნ. ხიზანაშვილი. მკვლელობის მოტივი ასეა ახსნილი: ნ. მაჩაბელი იყო ქ. კასრაძეზე უფროდ შეუკარბებელი და მან მოაკვლევინა საყვარელს ნ. ხიზანაშვილი.

თბილისის საგუბერნიო უნდარბთა სამმართველოს და თბილისის „ოხრანის“ განყოფილების მიერ ქ. კასრაძეზე შექმნილია რამდენიმე საქმე. ირკვევა, რომ ქ. კასრაძე იყო სოციალისტ-რევოლუციონისტების მებრძოლი რაზმის წევრი. შედიოდა გორის მაზრაში შექმნილ წითელ რაზმში, 1906 წელს მოახდინა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია, მიიღო მონაწილეობა მაკარის უფროს გუგუშვილის მკვლელობაში, მოკლა ვინმე ვარამიძე, გამოძიებული ნ. ხიზანაშვილი და სხვა პირები.

უნდარბერიის და „ოხრანის“ განყოფილების ზემოთ დასახელებულ საქმეებში ნ. ხიზანაშვილის მკვლელად ქ. კასრაძეს ასახელებენ. მეფის რუსეთის პოლიტიკური ძიების ორგანიზაციის მოხელეებს არ სჭირდებოდათ არასწორი ფაქტები თავის საქმეებში. ისინი საზოგადოებისათვის თვალის ასახვევად არ იყო განუთვნილი.

ი. დოლიძე წერს; იოსებ გრიშაშვილი და მხცოვანი თეატრმცოდნე სერგი გერსამია ნ.



ბიზანაშვილის მკვლელად მიიჩნევენ კ. კასრატს. მათი აზრით, ნუცა მაჩაბელმა ოქახური უსიამოვნების ნიადაგზე მოაკლევინა კ. კასრატს ნ. ხიზანაშვილი. გამოჩინილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრი თედო სახოკია ნ. ხიზანაშვილს თვლიდა „პასუხისმგებლობაში მიცემული ბულივანების ძმათა კასრატეთა მსხვერპლად“.

უწადამერიის და „ობრანის“ განუყოფლების ცნობებით კ. კასრატე 1904 წლიდან მიტყველდა ტერორისტებს. იგი ნ. მაჩაბელთან ერთად ფიგურირებს „სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის“ საქმის გამოძიებაში. მოიხსენიება სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მებრძოლი რაზმის წევრად.

კ. კასრატის პიროვნების წარმოსახინად ხანტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ წერილი, რომელიც მას 1909 წელს, დაპატიმრების დროს ჩამართვეს. წერილი პარიზში მყოფ ძმასთან გასაგავანად იყო განკუთვნილი: „იმისათვის, რომ კარგი მოსავალი მივიღო. უნდა დავიცადო, ...ძან ვჭაჭრობო, მაგრამ ასეთი აჩქარება საჭირო არ არის. მოკლე ხანში აუცილებელია რომ არ მოხდეს... მე ამერიკისაკენ მოვუსვამ და არა იქ. დამართა ქნას ეს მოხდეს.“

... არ გამწარდე. იდექი მტკიცედ ეს — დეკო (იქნებ კადეტო).

... ჩემი საქმე „ობლასტნი“ კომიტეტში ირჩევა, რომ გაგლიშვილის ბრალდება მომხადონ“. თან დართულ მასალაში აღნიშნულია, ამ წერილში ლაპარაკია ექსპროპრიაციული აქტის მოწყობაზე, რომლის შემსახებ ცნობები ჩვენთან არის შემოსული. ამრიგად, კ. კასრატე 1909 წელს კვლავ ტერორისტული ორგანიზაციის წევრია, წერილიდან ჩანს, იგი ექსპროპრიაციით მოპოვებული ფულით აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას.

წერილი თქმულიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ ნ. ხიზანაშვილის მკვლელობა კ. კასრატემ ჩაიდინა პოლიტიკური საფარველით: მეფის სასამართლოს მოხელეების ფიზიკური განადგურება სოციალისტ-რევოლუციონერების საბრძოლო პროგრამაში ხომ ცალკე პუნქტად იყო აღნიშნული.

თბილისის „ობრანის“ განუყოფლების მასალაში არის საქმე, რომელიც იწყება 1905 წლის 10 იანვრით და მთავრდება იმავე წლის 10 ნოემბრით. ამ საქმის ბოლოს მოთავსებულია 1905 წლის 9 ნოემბრით დათარიღებული წერილი, რომელსაც კავკასიის პოლიციის გამგე უგზავნის თბილისის „ობრანის“ განუყოფლების უფროსს. ობრანის განუყოფლების უფროსს აცნობებენ, რომ პოლიციემა აღფტანის მოთხოვნა კ. კასრატის და სხვა პირების დაპატიმრების შესახებ, რომლებიც, მისი ცნობებით, თბილისში იმ-

ყოფებიან, ამჟამად აღმინისტრაციული წესით შეხარულებას არ ექვემდებარება.

სწორედ ამ წერილის გაგზავნის დღეს, 1905 წლის 9 ნოემბერს მოხდა ნ. ხიზანაშვილზე პირველი თავდასხმა. როგორც ირკვევა, ამ დროს კ. კასრატე თბილისში იმყოფებოდა. მის დაპატიმრებაზე „ობრანას“ უარს უცხადებს პოლიცია(!). საქმე იწყება 1905 წლის 10 იანვარს და წყდება 10 ნოემბერს ამ მასალიდან გამომდინარე, ვფიქრობო, მეფის მოხელეებმა არა მარტო იცოდნენ, ვინ დაესხა თავს პირველად ნ. ხიზანაშვილს, არამედ თვითონვე აქეზებდნენ ტერორისტებს. ჩვენი აზრით, კ. კასრატე ამ დროს არ დააპატიმრეს იმის გამო, რომ ელოდნენ ნ. ხიზანაშვილზე მეორე, „შედეგიან“ თავდასხმას.

კ. კასრატის ტერორისტულ „მოღვაწეობას“ თბილისში ადასტურებს მასზე შექმნილი სხვა საქმიდან ამოღებული მასალა. ვინე დავით ზაქროს ძე ციციანოვი დასახელებულია კ. თბილისში ოპირირებული კ. კასრატის ბანდის წევრად, კ. კასრატის „მარჯვენა ხელად“ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის და სხვადასხვა პირის მკვლელობის თანამონაწილედ. აღნიშნულია, რომ იგი მონაწილეობდა ტერორისტების ბანდაში, რომელიც თავს დაესხა თბილისელ მდიან ვაჭარს.

ცხადია, დღესდღეობით ძნელია, დანამდვილებით გაირკვეს, რა მოტივით მოკლა კ. კასრატემ ნ. ხიზანაშვილი, მაგრამ ფაქტია: მეფის მოხელეების დამნაშავეებს ხელს უწყობდნენ.

კ. კასრატე 1907 წელს საზღვარგარეთ გაიქცა. 1909 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა, რის შემდეგაც დააპატიმრეს, და წაუყენეს ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებები. სასამართლომ კ. კასრატე გამართლდა და პირადი თხოვნით გადაახსლეს ნახიჭევანში. კ. კასრატე გადაახსლების ადგილიდან თვითნებურად დაბრუნდა გორის მაზრაში. უწადამერიის ცნობებით, არავითარ პოლიტიკურ მოღვაწეობას აღარ ეწეოდა. 1911 წელს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

1905-07 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ობრანის განუყოფლების აგენტები რევოლუციაში სტიქიურად ჩაბმულ შეუგნებელ პირებს აქეზებდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს, ნ. ხიზანაშვილის მკვლელობიდან 8 თვის შემდეგ. თბილისის საოლქო სასამართლოს

თენგიზ სიმეშვილი
ნიკო ხიზანაშვილის (უზნაელის) ბიობრაზიის ერთი საპითხის ბამო

პროკურორმა საქმის გამოძიება დაავალა საგანგებო საქმეთა გამოძიებელ ილიაშენკოვს. პარალელურად საქმეს იძიებდა დუშეთის მაზრის უფროსი ყ. ფაღავა.

ილიაშენკოვს თავდადებული „შრომა“ დააფასა მეფის მთავრობამ — ჯერ კიდევ 1905 წლის 28 ნოემბერს მიუმატეს ჩინი, ვფიჭრობთ, ეს იყო ავანსი ნ. ხიზანაშვილის დაჭრის საქმის გამოძიების საჭირო მიმართულებით წასაყვანად. 1908 წლის 21 იანვარს გადაიყვანეს თბილისის საოლქო სასამართლოს წევრად — ეს კი იყო ი. ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის არასწორი გამოძიების საფასური.

ჩვენი აზრით, ილიას მკვლელობის ფესვები ნ. ხიზანაშვილზე პირველი თავდასხმიდან მოდის. სწორედ ნ. ხიზანაშვილის მკვლელობა იყო

ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი და ზადებელი ნაწილი.

ნ. ხიზანაშვილი ნიჭიერი გამოძიებელი იყო. დასაშვებია — იგი მონაწილეობას მიიღებდა ილიას მკვლელობის გამოძიებაში, ამიტომ მისი თავიდან მოშორება სჭირდებოდათ ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე დამნაშავეების აღმოჩენლობით დაინტერესებულ პირებს.

ნ. ხიზანაშვილის და ი. ჭავჭავაძის მკვლელობები ქართველი საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ამ პერიოდში ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე მომხდარი თავდასხმები — შიო ჩიტაძის მკვლელობა 1908 წლის ზაფხულში, ია კარგარეთელის დაჭრა 1908 წლის 14 დეკემბერს და სხვები, მეტყველებენ ტერორის დიდ მასშტაბებზე.

ისტორია „პროკრუსტეს სარკველზე“...

1981 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა სვანეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი ჩვენი მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევი — „ხუთასი კოშკის მხარეში“, ამასთან დაკავშირებით სხვა დადებით გამოხმაურებასთან ერთად რედაქციამ მადლობის ბარათი მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან, რომელსაც ხელს აწერდნენ სვანეთის მეცნიერული ფესვების კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი შოთა ძიძიგური და სხვა მეცნიერები. ისინი გვთხოვდნენ გაგვეგრძელებინა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. გამოიწვევს ალ-მოხდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. გასვიანი, რომელმაც თავის წერილში — „საქართველოს მთიანეთის ისტორიის არქაიზების ნიმუში“ („ცისკარი“, 1984 წ. № 12), იმთავითვე რატომღაც მტრული პოზიცია დაიკავა და ერთ-ერთ რესპოდენტთან, პატივცემულ მიხეილ ჩართოლანსა და სხვა ცნობილ თანამედროვე ეთნოგრაფებთან ერთად ჩვენაც „ცარიზმის“ მოხელეთა“ ანტიეროვნული პოლიტიკის ამბორძინებლად, საქართველოს ისტორიის „ბენელით მოცულობის“, „ჩამორჩენილობის“, „პირველყოფილობის“, „ერთ ადგილზე გაქცევებულობის“ მქადაგებლად, ჩვენი „მთისა და ბარის გამთიშველად“ მოგვანათლა...

რადგანაც იმჟამად „ცისკარში“ არ მოგვიხერხდა, საპასუხო წერილი გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“ (იხ. „თაყას ამბავი“ № 9, 1985 წ.) და ამით, ფიქტორდით, რომ ჩვენი პოლემიკა დამთავრდებოდა. მაგრამ, როგორც ხედავთ, ვარაუდი არ გამართლდა — გასვიანმა „პასუხის-პასუხი“ გაამზადა და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში წაარადგინა. რედაქციამ, არსებული წესის თანახმად, აღნიშნული წერილი სარეცენზიოდ მეცნიერებათა აკადემიას გადაუგზავნა, რომელმაც უარყოფითად შეაფასა იგი, როგორც ადრე მის მიერ გამოქვეყნებული წერილის მცდარი ვარაიკა... გ. გასვიანმა ამჟამად ისტორიის ინსტიტუტის პარტორგანისხაციაში იჩივლა (თვითონაც ამ ინსტიტუტის თანამშრომელია) არიქათ, მჩაგრავენო და საკითხის განსა-

ხილველად კომისია გამოაყოფინა (!) კომისიაში ღირსეული ადამიანები აღმოჩნდნენ, რომელთაც არ უღალატეს მეცნიერულ სინდისს და კოლეგას უამრავი პრინციპული შენიშვნა მისცეს, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში მისი წერილიდან აღარაფერი რჩებოდა. მაგრამ ყოველივე ამას ვინ დაგიდევდა...

ასლა კი, როგორც შემატანე იტყოდა, „დაშთომილსა სიტყვასა მიმართ აღვიდეთ“ და ჩვენი ოპონენტის მორიგი ინსინუაციების არსში ჩაწვდომას შევეცადოთ. უფრო ნათლად და ამავე დროს ოპერატიულად რომ გავერკვეთ მეცნიერული პაექრობის გასვიანისეულ მეთოდებსა და ხერხებში, ასე ვთქვათ, „შემოწმებას ადვილად რომ ექვემდებარება“, ისეთი ბრალდებიდან დაიწყეთ: გ. გასვიანი წერს: „მ. ხერგიაძე ბოლო წლებში გამოაქვეყნა ნარკვევები — „ხუთასი კოშკის მხარეში“ და „დღემამოა კი მარადის რჩება“ (იხ. ჟურნ. „მნათობი“ 1981, №10 და №11. წიგნი — „დღეს რამე უთენებია“, 1983)“, ხოლო შემდეგ აღნიშნავს „მ. ხერგიაძე ჩვენს წინააღმდეგ კვლავ გამოაქვეყნა წერილები: „თაყას ამბავი“ — „მნათობი“, 1985, № 9) და „სვანეთი ერთი თვალის გადავლებით“ (უნდა იყოს... თვალის ერთი გადავლებით“ მ. ხ.) იხ. წიგნი — „პირშითნი“, სადაც ავტორმა მეცნიერული კამათის ეთიკის ხელყოფით კვლავ სცადა...“ (ისტორია თვალის ერთი გადავლებით არ იწერება“ „ცისკარი“, № 3, 1988).

გავერკვეთ ვითარებაში: სინამდვილეში „ხუთასი კოშკის მხარეში“ და „დღემამოა კი მარადის რჩება“ ერთი და იგივე ნაწარმოებია, რომელიც უსუსულია პუბლიცისტურ კრებულში — „დღეს რამე უთენებია“ (ამაზე უკვე ითქვა), ხოლო ნარკვევი „სვანეთი თვალის ერთი გადავლებით“, ჟურნალ „დილას“ თხოვნით დაიწერა (ეს სათაურიც, ჩვენს ოპონენტს მეცნიერული დავის საგნად რომ უქცევიდა, საბავშვო ჟურნალის ტრადიციულ რუბრიკიდან მოჰყვა). მაგრამ მთავარი მაინც ის ვახლავთ, რომ არც ამ ნარკვევში და საერთოდ ჩვენს ნაწერებში მისი სახელი არც ავად და არც კარგად საერთოდ



არ გაქაზანებულა, გარდა ერთადერთი ზემოთ მოხსენიებული ჩვენი საპასუხო წერილისა — „თავის ამბავი“. აი, როგორ ტენდენციურად გააზვიდა და გააბუქა გ. გასვიანმა რეალობა.

ახლა, გამოღმა რომ გვედავება, მის „საინტერესო“ მეცნიერულ ეთიკასაც გადავხედოთ: როცა გაიგო, რომ ჩვენი ორი კრებულ — „დღეს ღამე უთენებია“ და „საღამე ივლის ქარავანი“ საქართველოს მინისტრთა სამკვლევარ სახელმწიფო პრემიამ წარადგინა (პირველ კრებულში მრავალ სხვა ნარკვევთან ერთად, „ხუთასი კოშკის მხარეში“ ანუ იგივე — დედამიწა“ კი მარადის რჩებაც“ შედიოდა) „რადიკალური ღონისძიებები“ განახორციელა, — ყალბი დისკრედიტირების გზით ჩვენი წიგნების „ჩაგდება“ განიზრახა. ამასთან მან ე. წ. „კომპლექსურ დეზინფორმირებას“ მიმართა: სახელწოდებას კრებულისას იმეფებდა, თითქოს საკითხი ეხებოდა მთელ წიგნს და არა აქ შესული თერთმეტი ნაწარმოებიდან მხოლოდ ერთ მათგანს, ციტატები კი შესაბამისად... საუბრნალო ვარიანტად მოჰყავდა!

რაკი „გამოქვეყნების ზღაპრულ შესავალბლოებზე“ გვიკეთინებს, ახლა გ. გასვიანის „საგამომცემლო ნუსხასაც“ გადავკოთ თვალი — ერთგან იგი თავმოწონედ აღნიშნავს: „ჩვენი შეხედულებები გადმოცემულია (გამქლავებულია) სამ მონოგრაფიაში... ასევე რამდენიმე წერლობში“ (ი.ხ. სარეცენზო ნაშრომი, გვ. 137), რადგან სიტყვამ მოიტანა, ტენდენციურობა რომ არ შეგვჩამონ, მოდით, მის „საგამომცემლო პროდუქციაზე“ სხვისეულ შეფასებას ვენდოთ: „გ. გასვიანის „მეორე წიგნს თან ახლავს: „დამატება“, რაც ფაქტურად პირველი წიგნის შესაბამისი მასალების განმეორებაა. ხოლო მესამე წიგნი პირველი წიგნის პირველი თავის განმეორებაა უმნიშვნელო ცვლილებებით“ (გ. გულბანი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიიდან. „ირისტონი“, 1983, გვ. 75). ხოლო რაც შეხება მის სარეცენზო წერილს, იგი ზემოთ დასახლებული „მონოგრაფიის“ შექავალი წერილის მცირეოდენ სახეცვლილებას წარმოადგენს და ლამის ზუსტი ასლია მისი „ცისკარში“ აღრე გამოქვეყნებული „საქართველოს მთიანეთის არქივების ნიმუშისა“.

სარეცენზო წერილში ჩვენი ოპონენტი კვლავ პყვება მომამბურებელ ტირადებს „სვანეთის ჩამორჩენილობის“ შექლავებულ ეთნოგრაფიების ვითომ „სამარცხენო საქმიანობაზე“, იგივე ბრალდებს ჩვენს გვიმეორებს, წინა წერილიდან უცვლელად გადმოაქვს თითქმის ორგვერდიანი „საბრალდებულო დასკვნა“, სადაც დიდის გულმოდგინებით იხსენებს, ათადან და ბაბადან მოყოლებული, თუ ვინმეს საუგო რამ წამოსცდ-

ნია სვანეთის. წარსულისადმი, ჩვენს თვალწინ აცოცხლებს რიგითი მოგზაურებზე ხელეების, მეორეხარისხოვანი მკვლევარების მივიწყების არქივებში დავანებულ არაკვალიფიციურ თუ ტენდენციურ ცნობებსა და ჩანაწერებს, თანამედროვე მეცნიერული აზროვნების პროცესთან რომ საერთო არაფერი აქვს. ნუთუ მართლა მოიხებნება ჩვენ შორის ვინმე ისეთი, საქართველოს მთისა და ბარის ისტორიული ერთიანობის საკითხი რომ საეჭვოდ ეჩვენებოდას, რაშიც თანამედროვე ქართველი მეცნიერების მაგალითზე ასე საგულდაგულოდ „გვარწმუნებს“ გ. გასვიანი? განა შეიძლება ადამიანმა სპექულაციის საგნად აქციოს ისეთი მნიშვნელოვანი, მე ვიტყვოდი, წმინდათა-წმიდა საგანი, როგორც ერთნელ ფენომენთან ჩვენი დამოკიდებულების საკითხია? სვხათაშორის, მთელ რიგ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, ამ საშიშროებაზეც იყო მითითებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ სარეცენზო წერილის შეფასებაში (ზემოთ უკვე ითქვა ამის თაობაზე), რომელსაც ხელს აწერდა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ალექსი რობაქიძე, ამ კომპეტენტურ დასკვნაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ მეცნიერული „მასალის ასეთ კონტრესტში მოყვანასა“ და ისტორიული სინამდვილის გასვიანისეულ „არასწორ გაშუქებას“, შეუძლია მცდარი შეხედულებების შექმნა, სვანი მოსახლეობის დაქვევა თანამედროვე ეთნოგრაფიის მიზნებისა და ამოცანებისადმი“, „უნდობლობის გამოწვევა ქართული ისტორიული მეცნიერების ვითომცდა ისეთი ტენდენციის მიმართ, — რომელიც თითქოს სვანეთის პირველყოფილებას ქადაგებს“, „გამთიშველური ტენდენციის გაღვივება“ „საქართველოს მთისა და ბარის შორის...“

ჩვენს მთიანეთში ბარის რეგიონებისაგან განსხვავებული საზოგადოებრივ-ისტორიული ვითარების აღიარება, ადგილობრივი სპეციფიკური თავისებურებების ცნობა ნუთუ მართლა ქვეყნისაგან „გათიშვლობას“ და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისაგან განდგომას გულისხმობს, როგორც ამას გვარწმუნებს გ. გასვიანი? (იქვე გვ. 153). „ფრანგებს, მაგალითად, სულაც არ ეტყვიანებოდა და არც როდისმე უარუყვია, რომ მათთან ქვეყნის მაღალმთიანეთში ფეოდალიზაციის განვითარების დონე ბარისსა საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ეს ოლიოზურობის მაჩვენებელი როდი იყო. და, ბუნებრივია, არც იმაზე მიუთითებდა რომ აქაური მთიანეთი თითქოს განზე იდგა და საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს უპირისპირდებოდა. ამ საკითხს ეხმაურება ფენგელის ცნობილი მოსაზრება იმის თა-



ბაზე, რომ „ცალკე ქვეყნებსა, პროვინციებსა და თვით ადგილებს შორისაც კი ყოველთვის იქნება ცხოვრების პირობების განმსაზღვრელი უთანასწორობა, რომლის მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება, მაგრამ სრულიად მისაძობა კი — არა. ალბებში მცხოვრებთ ყოველთვის სხვა საარსებო პირობები ექნებათ, ვიდრე ბარის მცხოვრებთ“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. 2, გვ. 41). აღნიშნული განსხვავება თავისი არსით რომ ზოგადი ხასიათისაა, ამაზე მეტყველებს ა. ლუბოვსკისა და მოსახლეობა, რომელიც დამოწმებული აქვს გ. ძიძიგურს თავის სტატიამ — „ზოგიერთი შენიშვნა გ. გასვიანის შრომებზე შუა საუკუნეების სვანეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საკითხთან დაკავშირებით“: „შემთხვევითი არ არის, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში მთის საზოგადოებები გაცილებით დემოკრატიული იყო, ვიდრე ბარისა. თვით საფრანგეთშიც კი, რომელიც ფეოდალური სისტემის ეტალონადაა მიჩნეული, მთის მოსახლეობა ვალაურჩა პირად დამოკიდებულებს...“ როგორც ვხედავთ, ეს განსხვავებულობა სრულიადაც არ გულისხმობს „გათიშულობას“, „დაპირისპირებას“ „განდგომას“, „ბნელით მოცულობას“ „პრიმიტივიზმს“, „უმიდაბლეს საფეხურზე გაყინულობას“, „გვაროვნულ წყობილებზე გაქვავებულობას“ და კიდევ რას არა... როგორც დავინახეთ, არავითარ ძირგამომთხრელ საქმიანობასთან არა გვქონია აქ საქმე. ასე, რომ გ. გასვიანი შიშისა და განგაზის ავადმოსავლენარი ატმოსფეროს პროვოცირებით ამაოდ ირჯება (აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი ოპონენტის ამ ე. წ. „პატრიოტული მოტივებით“ მანიპულირებასთან თვალმისაცემ სტილისტურ და შინაარსობრივ ნათესაობას ამქადაგებენ მის მიერ წინამდებარე წერილში „წიგნის სამყაროდან“ თუ სხვა ორგანოდან ლამის თავიდან ბოლომდე გადმოწერილი რეცენზიები, რომლებშიც გ. გასვიანი ასევე „საქართველოს ისტორიის გამყალბებულებთან, პირველყოფილობის მქადაგებულებთან, ჩვენი მთისა და ბარის გაითიშველებთან“ მებრძოლად არის აღიარებული!!! აქვე ორიოდ სიტყვით უნდა შევნიშნოთ, რომ როცა ავადმეიყოს გ. ჩიტაიას ჩვენს ნარკვევზე — „ოქ სადაც მახვშის საკარცულა“ ვრცელი და გულმხურვაულ გამოხმაურებისათვის (იხ. „სოფლის ცხოვრება“, 1984 № 176 მაღლობა მოვახსენეთ, როგორადაც საუბარი ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ რეცენზიასაც შეეხო. უნდა ითქვას, რომ ღვაწლმოსილმა მეცნიერმა მის შედგენაში თავისი თანაავტორობა რატომღაც ვერ გაიხსენა. ხოლო შემდგომ გამოქვეყნებულ ვრცელ კოლექტი-

ურ წერილში (იხ. გ. ჩიტაია, ალ. რობაქიძე, გ. ჯალაბაძე, შამილაძე, „ლიტერატ. საქმე“, თველო“, 1986 წ. № 26), გასვიანის მეცნიერული ნააზრების მწვავე კრიტიკას რომ შეიცავს, სარეცენზიო წერილში ჩვენი ოპონენტის მიერ ციტირებული სხვაგან პოლარულად განსხვავებული მოსაზრებები გაამჟღავნა...

კვლავ მოვუსმინოთ გ. გასვიანს: „ვერც ის მოსაზრება იმსახურებს მხარდაჭერას, რომლის თანახმად (სვანეთის) საზოგადოების განვითარება ქვეყნის ბარის განვითარებას კი არ უნდა დაეუკავშიროთ, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრიმიტიული ხალხების ისტორიას (საინტერესოა, ვინ არიან ეს ანონიმი მკვლევარები, შუასაუკუნეებში ჩვენი საზოგადოების სოციალური განვითარების საკითხებს პაუზის ტომების, ანდა ამაზონკის ჯუნგლებში ახლად აღმოჩენილი რომელიღაც აბორიგენული მოდგმის ისტორიას რომ უკავშირებენ? მ. ხ.) საკითხისადმი ამგვარი, ასე ვთქვათ, „გლობალური“ (თანაც თურმე ასეთი „დაკავშირება“ „გლობალურადაც“ ესახებათ მ. ხ.) მიდგომით საქართველოს მთა-ბარის მოსახლეობა ხელოვნურად ითიშება, ეს მაშინ, როცა საქართველოს მთა-ბარის მოსახლეობა ძირითადად ერთიანი ისტორიული ბედის მოზიარე, ერთიანი კულტურის შემოქმედი იყო“ (იქვე).

აქ უკვე, რაკი ჩვენ თურმე ჩინით და ხარისხით ვერ მოვიწონებთ თავს, აღნიშნულ საკითხზე მოვუსმინოთ გასვიანსავე კოლეგებს: „საქართველოს მთიანეთის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე სრულიადაც არ ყოფილა ერთნაირი და ამიტომ ცალკეული კუთხეებისადმი საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა. ამის შესახებ სწორად აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, რომ კავკასიის მთიელთა სხვადასხვა საზოგადოებამ... სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეს მიაღწია“ (დ. გოგოლაძე, ზემ. დასახ. წიგნი), „ერთი და იმავე საზომით მთისა და ბარის განვითარების დონის განსაზღვრა შეუძლებელია...“ (გ. ძიძიგური).

„კულტურის განვითარების ისტორიაში ყოველთვის სავალდებულო არაა მამარი კლასობრივი ურთიერთობა და ექსპლოატაციის მძიმე ფორმები. სვანეთმა ეს მაღალი კულტურული მიღწევები მიიღო განვითარებული ფეოდალიზმისა და ბატონყმობის გარეშე. სვანეთი მე-11, მე-18 საუკუნეებში გავრითიანებული საქართველოს მონარქიაში მოქცეული და მისი ორგანული ნაწილია, თუმცა საქართველოს ბარისაგან რიგი კონკრეტული თავისებურებებით ხასიათდება“ (დ. გოგოლაძე, იქვე).

აღნიშნული შეფასება სვანეთის იმეამინდე-



ლი ვითარებისა, მართლაც რომ იდეალურად გვესახება, სწორედ ამ შეფასების ფარგლებში უნდა წარმართულიყო ამ კუთხის ისტორიის კვლევა და არა ოპონენტისული აკვირებელი სტერეოტიპების მიხედვით.

იქნებ არც ნ. ბერძენიშვილს დავეთანხმოთ და ისიც პირველყოფილობის მქადაგებლად, რეგიონალური სეპარატიზმის იდეოლოგიად მოვანთლოთ, როცა ამბობს: „ბარის კულტურა ფეოდალურ-ბატონყმური იდეოლოგიით ძლიერ გავლენას ახდენს მთიანეთის ტომებზე, ხელს უწყობს მთის კავშირს ბართან, იჩენს მთის საზოგადოებაში ბარის სოციალური წყობის აგენტებს (ერისთავებს, ვარგებს, გამგებლებს, აზნაურებს) შეაქვს ქრისტიანობა, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობა იმ ძალისა არასოდეს ყოფილა, რომ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ბარისათვის გაეგვიძეინა, სრულიად ბარისათვის დაემსგავსებინა, ბარული იდეოლოგია გაებატონებინა. მთაში ერისთავი სულ სხვა შინაარსისა იყო, ვიდრე ბარში, მთაში გლეხი, ის-ის იყო, ისახებოდა, მაგრამ შესაფერწილადგს მოკლებული, არ ვითარდებოდა. მთაში ქრისტიანობა, კერძოდ, სვანეთში, განსაკუთრებით თავისებური იყო, შეიძლება ითქვას, „სვანური“ იყო... თითოეულ გვარს თავისი ღმერთი ჰყავდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 8. 435. თბილისი, 1974). აი, თურმე როგორი ვითარება გვექონდა სინამდვილეში ნუთუ ვინმე გამოჩნდება ისეთი, რომ ამ თავისებურების აღიარების გამო ღვწლმოსილი მეცნიერის ზოგადეროვნულ სულსკეთებაში ექვი შეიტანოს? მაშ, ვის ებრძვის გ. გასვიანი? ერთგან იგი წერს: მ. ხერგიანი ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ ნ. ბერძენიშვილისა და სხვა მეცნიერთა შეხედულებით სწორედ ეს თავისებური ფეოდალიზმის ვითარება თუ სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთის პოლიტიკურ აქტივობას გაცილებით მეტ ცხოველყოფელობასა და ოპერატიულობას ანიჭებდა“.

აი, რას მბობს იგივე საკითხზე ცნობილი ისტორიკოსი შ. ბაღრიძე: „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების წინაშე მდგომი პრაქტიკული ამოცანები მეტ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებენ მთიელთა სოციალ-ეკონომიკურ ინტერესებს. თავისუფალი მოლაშქრე აქ უფრო მეტი სარგებლობის მომტანია თავისი თავისა და ქვეყნისათვის“ (საქ. მთიანეთის სოც. ეკონომიკური განვითარების თავისებურ. ფეოდ. ხანაში. „მეცნიერება“. 1983 წ.) გ. გასვიანი მიიწვით თავისას გაიძახის — ჩვენი მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იდენტურობა რომ „დამატიცა“, ახლა უფრო შორ-

საც წავიდა — სვანეთის თემებს შორისაც წარმოდგენილად ეჩვენება რაიმე განსხვავებები: „ვინც ოდნავ მიიწვით ჩაუკვირდება საქმის არსს... დანახავს, რომ არსებითი განსხვავება არ არსებობს მოცემული ხანის სვანეთის ნაწილში შორის. არსებითი განსხვავება არ არის არც მეურნეობის წესში, აღებ-მიცემობაში, ხალხურ შემოქმედებაში...“ („ციცკარი“, 1967. №7, გვ. 113). მაგრამ მოვიშველიოთ „ფაქტების ლაქმში“ და კვლავ გაეჩრკოთ მისი ეს თვალსაზრისი: „თავისუფალი სვანეთის აზნაური ვერ მებატონებდა. აზნაურის მეურნეობა თავისი ხასიათით არსებითად არც კი განსხვავდებოდა მესაკუთრე გლეხის მეურნეობისაგან, რადგანაც მისთვის თითქმის უცხო იყო ყმის შრომის გამოყენება. თავისუფალი სვანეთის აზნაურები მცირე მამულების მფლობელები იყვნენ“ (ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967. გვ. 84). გ. გასვიანი კი შავს თეთრად ასაღებს და ამბობს: „საბუთებიდან ჩანს, რომ მიწის უდიდესი ნაწილი გაბატონებული წოდებისა და ეკლესიის ხელშია, მაგრამ მცირე ნაწილი გლეხთა კერძო საკუთრებაშიც ყოფილა“ (ზემოთ დასახ. წიგ. გვ. 97).

აი, რას წერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი მკვლევარი გ. გულბანი:

„ვერ გავიზარებთ გ. გასვიანის თეზისს საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით სვანეთის ნიველირების შესახებ... მართლაც წარმოდგენილია, ვერ შეამჩნიო სცადიანო-სადადეშქლიანო და თავისუფალი სვანეთში... არსებული განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური ვითარება აქ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ერთობრივად კერძო მეურნე გლეხები არიან, რომლებიც არაფრით არ არიან აზნაურებზე დამოკიდებულნი...“ (იხ. ზემოთ დასახ. წიგნი).

მთელს სვანეთში ბატონყმური ვითარების ერთნაზობის სურათი რომ დახატოს გ. გასვიანი ისეთი სოციალური ხასიათის ტერმინებს იშველიებს, როგორიცაა ფაშლი, ქორსმერდე, ლუდიანე, ჯალჩი და სხვა, მისი აზრით ესენი ყმა-გლეხის კატეგორიას განეკუთვნებიან (იხ. გ. გასვიანი, დასავეთი საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ. 1973 წ. გვ. 26). სინამდვილეში თავისუფალი სვანეთში ფაშლი, ქორსმერდე და ლუდიანი ცნობილია, როგორც ოჯახის დროებითი შინამოსამსახურე და ისინი ვერ ქმნიან სოციალურ ფენას. ამვე დროს ჯალჩია და ქორსმერდეც ჰყავდათ როგორც „აზნაურებს“, ისე გლეხებსაც. გასვიანი სვანეთში აზნაურთა ასობით გვარს ვარაუდობს, მაშინ, როცა ვახუშტი ბატონიშვილმა ცრთადერთი „დიდგვაროვანი“ დაახსელა და ისიც



საბატონო სვანეთიდან: აზნაური არიან... „რაჰს წულუკიძე, იაშვილი, ჭაფარიძე, ინასარიძე, ლასხიშვილი, ხლო სვანეთს — გელოვანი და არღარა ეგოდენისა ძალინა და უფლებისა მქონე სვანთა ზედა...“ (ქართ. პროზა. 404) მართლაც და განა ასეთ ვითარებაში შეიძლება რაიმე ნიველირებაზე საუბარი? მით უმეტეს, რომ ვახუშტი საბატონო სვანეთის აზნაურის უფლებამოსილებას ეხება, რომელიც დანარჩენი საქართველოს მთავრებთან და აზნაურების მდგომარეობის — ფონზე მეტად საცოდავად გამოყურება, აქნაღა გამოძინარე ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ვითარება გვექნებოდა ამ მხრივ თავისუფალ სვანეთში! მართლაც და საინტერესოა, რატომ არსად ახსენებს აქურა აზნაურებს ისტორიკოსი? ვახტანგის სამართლის მიხედვით აზნაურს „აქუნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებო, და ძალედვას გამოსვლა მარქაფითა, კარვითა და მთათა განწყობილებითა და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“. (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 14). აი, ამოწურავი პასუხი იმაზე, თუ რატომ არ დაასახელა ისტორიკოსმა გ. გასვიანის მიერ წარჩინებულთა რანგში შერაცხული ფეოდალური აზნაურები თავისუფალი სვანეთიდან, მათ, შესაძლოა, ოდესღაც ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ან იქნებ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოსაზრებითაც ცენტრალური ხელისუფლებისაგან დაიმსახურეს კიდევაც „პრივილეგიებულის“ ტიტული, მაგრამ რეგიონალური და სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკური ფაქტორების გავლენით, გარანტირებულ ცენტრიდანულ გრძელვადიან მხარდაჭერას მოკლებულმა აზნაურობის პრეტენდენტებმა, ამ უფლებათა რეალიზაცია ვერ მოახერხეს. ძალაუფლების შესუსტების ანალოგიური პროცესი უცხო მოვლენა როდეს იყო ჩვენი ისტორიული სინამდვილისათვის: ოდესღაც „გაზაზნაურიშვილებული... რომელინიც ამალდებულან და რომელინიც დამდაბლებულან თამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმთათა“ (ვახუშტი, ქართ. პროზა).

გ. გასვიანი მიამბობდა შეგენიშნავს: „საკითხავია, რატომ ბარში არსად იყვნენ ასეთი „ავტონომისტები“, რომლებიც თავიანთ პოზიციებს არ დათმობდნენ? ბარში რატომ არ უყვარდათ თავისუფლება?“ (სარეც. წერილი, გვ. 140). იგი სხვაგანაც ეხება ამ საკითხს: „ნუთუ საქართველოს სხვა კუთხეებში არსად შემორჩა „ისტორიული გვარები“ და იქ ვერაფერ დამიხსნოვრა ფეოდალური ხანის მამაპაპური მიყნევი?“ (სარეც. წერ. გვ. 139).

რა თქმა უნდა, შემორჩა. დამიხსნოვრა და უყვარდათ კიდევაც თავისუფლება: „დიდ

საგვარეულოებს, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, მე-19 საუკუნეშიაც კი არაა გახსნილი საგვარეულო მამული გაუყოფელი და საგვარეულო მიწათმფლობელობა ჰქონდათ“ (ივ. ჭავჭავაძე, ქართ. სამართ. ისტ. 1, გვ. 152, 156). „პატარძეულებს მინდორი საზოგადო აქეთ და ვისაც როგორ უნდა ისე ხმარობს და ისე მოქმედებს და ამის მოწინააღმდეგედ მას არავინ მიაჩინა... ყოფილი სული თავის საკუთარ სურვილისამებრ აწარმოებს საქმეს: სთესს, ჰხნავს, სთიბავს, ჰხერხს, საქონელს აძოვებს და სხვ.“ (ნ. ვე-ლისციხელი. გაზ. „მეურნე“, 1889, № 24).

„1889 წელს პატარძელის მოსახლეობის ნაწილმა მოახსენა მთავრობას, რომ პატარძელის სახსენ-საითბო მინდვრები ჭერ ისევ გასაყოფიან, მიწები თემურ მფლობელობაში იყო გაქირის ყანდაურის, კაკაბეთის, ანაგის და სხვ. თემებში“ (მიუბნ. თვ. 111, 111, გვ. 68-69) ხედავთ, თურმე აქაც ყოფილან „ავტონომისტები“, მსგავსი ცნობების მოძიება ქიზიყელებზეც შეიძლება, რომ არაფერი ვთქვათ თუშ-ფშავ-ხევსურების შესახებ, ასე, რომ საქართველოშიაც და სხვაგანაც ისტორიულ-საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ზეწარბივით დაუთოვებელი კი არ ყოფილა, როგორც ეს გ. გასვიანს სურს წარმოგიდგინოს, ამა თუ იმ მოცემული ფორმაციის ფარგლებშიაც კი მას ახსიათებდა მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური და რეგიონალური თავისებურებანი, განსხვავებანი, პერიოდულად ეს თავისებურებანი მკვეთრდებოდა, ან პირიქით, სუსტდებოდა, ან სულაც ქრებოდა, კაცობრიობის ისტორია ცოცხალი მატერია და არა ერთფეროვანი ტრამაი და თუკი ჩვენი წარსულის მეცნიერული კონსტანტირება დაუხსახავს მიზნად პირად ამბიციებზე უნდა ამალდეს მკვლევარი და აღიქვას იგი სამყაროსეული მრავალფეროვნებითა და პარადოქსებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამის შესახებ „თეას ამბავშიც“ ვწერდით, ჩვენი ოპონენტისეული შეპუდრულ-შელამაზებელი სინამდვილე შეგვრჩება ხელში.

სვანეთის ფეოდალიზაციის გზაზე, ბუნებრივია, ოპონენტს „ხელს არ აძლევს“ ჩვენი მიერ ჩენილების, მახვებების ხსენება, რადგანაც თავისუფალი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი ატრიბუტები წყალს უყენებენ ბატონყმური ვითარების გასვიანისეულ სულისკვეთებას. მისი აზრით თურმე ყველაფერი ეს „ეთნოგრაფიაში გახმაურებული გეარისა და თემის ზღაპრული მახვების (ბელადის) გვაროვნული ინსტიტუტის ასოციაციის გამოსაწყვედადა გამიზნული“ (გ. გასვიანი „ცისკარი“, 12. 1984). აღნიშნულ წერილში და საერთოდაც თვალში საცემდალა გამოკვეთი-

ლი ავტორის (გ. გასვიანის) — მისწრაფება ყველაფერს ძველსა და არქაულს განურჩევლად არასახარბილო იარაღად მიაწვდოს, ჩამორჩენილობა, გვაროვნულად მონათლოს. ნუთუ მართლა ასე ერთი ხელის მოსმით წყალში გადასაყრელა ჩვენი წარსულის მდიდარი სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა? გნებავთ, მახვშის ინსტიტუტი ავიღოთ, რითა იგი სამარცხვინო და შეურაცხველყოფელი? ვინ ჰქუთამყოფელს წამოსცდება აუცი ისეთი ინსტიტუტების მიმართ, ჰუმბერტად დემოკრატიულ პრინციპებზე, მთელი საზოგადოების თვითმართვის უნარი რომ შესწევდეთ? მართლაც და სამარცხვინო ამის გახსენება თუ პირიქით — მრავალმხრივ საყურადღებო? თუმცა კვლავ ოპონენტისავე სიტყვებით რომ მოვიშველიოთ, „ყველაზე სარწმუნო წერილობით წყაროებს“ მოვუხსნიოთ:

„ბალსზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა სასისხლო წიგნში“, რომელიც 1503 წელსა შედგენილი, ერთგან ვკითხულობთ: „მერმე შევიყარენით სრულიად ჩენილები და ვქენით ვაზირობა“ (სვ. წერ. ძეგ. გვ. 32). „მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები“ (იქვე). აი, თურმე საიდან მომდინარეობს „ჩენილობისა“ და „მახვშობის“ ტრადიცია და რა შუაშია აქ რაღაც „გვაროვნული ინსტიტუტის ასოციაციები“. ეს „ასოციაციები“ კი არ გახლავთ, არამედ რეალური ისტორიული ვითარების ამსახველი ფაქტები, უფრო მეტიც — სწორედ ის, ჩვენი ოპონენტისაგან მოწონებული წერილობითი წყაროებია!

„ყროლობის შეუძლიან შეცოხალოს მახვში. ამავე დროს „მახვშები“ გამოდიან მთელი საზოგადოების ინტერესების გამოხატველად და არა საზოგადოების რომელიმე ცალკეულ ფენების დამცველებად“ (გ. გულბანი. ზემოთ დასახ. წიგნი). „ჩვენ ვიცით სარწმუნო წყაროებიდან, რომ მახვში არასდროს წინასწარ არჩეული არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, სათემო ყრილობის მოწვევამდე“ (ე. გაბლიანი. თავისუფალი სვანეთი, 1927). შესაძლოა, სწორედ ეს მახვშები იგულისხმებოდნენ „ქართლის ცხოვრებაში“ ხმარებული ტერმინების მნიშვნელობაში: „...სუანნი დიდებულნი და მახვშენი“ (ქ. ც. 2. 54) გ. გასვიანი მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, „დიდ და მცირე აზნაურებად“ ნათლავს (იხ. ზემოთ ხსენებული წიგნი. გვ. 58) არა და „მახვშე“ ხომ სვანური გავებით ხვეინ განმგებელს, მახვშს ნიშნავს.

„მახვშობის ინსტიტუტთან“ დაკავშირებულ მიუღ რიგ ზემოთ ჩამოთვლილ რეალებს ვითვალისწინებდით, როცა ჩვენს პუბლიცისტურ ნარკვევში „სვანეთი თვალის ერთი გადავლებით“, ვწერდით: „ბალსზემო სვანეთში

ფეოდალები და ბატონები არასოდეს ყოფილან ჩვეულებრივი მნიშვნელობით ნენ ჩენილები, სოფლის მახვშები — რჩეული ადამიანები, „მართალი კაცები“, ჰქუითა და გონებით, ცოდნითა და გამჭრიახობის წყალობით მრავალფეროვანი სხვადასხვა გვარის წარმომადგენელნი... ცალკეულ გვართა აზრებების ცდები სახალხო მმართველობის პირობებში არ ამართლებდა, მოსახლეობის თავის პოზიციებს არ თმობდა. იგი ურყევი იყო საყოველთაო ავტონომიის დაცვის საქმეში და იურიდიულ და ეკონომიკურ თავისუფლებას თვალისჩინებით უფროხილდებოდა (იხ. „პირშინი“ გვ. 6) ზემოთქმულთან დაკავშირებით ოპონენტი შეგვიწმინდავს: „ნუთუ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდ მაინც არ არის ცნობილი, რომ ყოველი საზოგადოება პირველყოფილი გვაროვნული გარდა (დავიმასხოვროთ ეს სიტყვები მ. ხ.) კლახებად იყოფა, რომ კლასობრივ-წოდებრივ საზოგადოებაში ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და უთანასწორობას აქვს ადგილი“ (სარტ. წერ. გვ. 140). საინტერესოა, რა აზრის გამოტანა შეიძლება ამ „ფილოსოფიიდან“?

გ. გასვიანი „არგუმენტირებას“ მიმართავს და იმასაც კი მოგვეკრძაღვს, თითქმის ბატონყმობის წინააღმდეგ ემიტომ ვილაშქრებდეთ, რომ ბალსზემოელი, ე. ი. მესტიელი და ამავე დროს „გლეხური ჩამომავლობისა“ ვიყოთ! ოპონენტი მკითხველის წინაშე კომიკურად იმართლებს თავს და უტიპლოდაც ხუმრობს: „ისე გამოდის, რომ შუა საუკუნეების სვანეთში გლეხთა (მათ შორის ხერგვიანების) ბეგარა-გადასახადების წერილობითი საბუთების გაფორმება ჩვენი ბრალი ყოფილა“ (გვ. 154). ასე ცდილობს დაატყუებაცოს ჩვენი მოსაზრებანი სვანეთში საზოგადოებრივი განვითარების საკითხებზე, წყალს შეუყენოს მათ, დაიყვანოს აბსურდამდე, ვიწრო-პირადული ინტერესების დონემდე. გ. გასვიანის მიერ აკვიტებული სტერეოტიპული სქემის მიხედვით გამოდის, რომ სვანეთის ისტორია საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა მთელი არმია — (ივ. ჯავახიშვილით, ალ. რობაქიძით, გ. ჩიტაიათ დაწყებული და გ. ჯალაბაძით, ვ. შამილაძით, შ. ბაღრიძით, ვ. სილოგავით, გ. გულბანით, თ. მიბჩუანით, დ. გოგოლაძით, მ. და შ. ჩართოლანებით, ჩ. ნარკვიანით, გ. ძიძიყორით, ლ. ბელუკიძით, ნ. ლოლაბერიძით დამთავრებული, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა) წარმოშობით ბალსზემოელები და ჩვენსავით „გლეხური გვარწარმომავლობისა“ ყოფილა! — ავი ჩვენი დასკვნები ამ პატივცემულ მეცნიერთა შეხედულებებს ეყრდნობა და იმათი ნააზრების პუბლიცისტური კონსტრუქცია გახლავთ? აქვე იგი ერთ მიამიტურ ბრალდებასაც გვიყენებს!

...მ. ხერგიანის ნარკვევებში (ზემოთ ხომ დავრწმუნდით, რომ სინამდვილეში ერთადერთ ნარკვევებზეა საუბარი — კვლავ მორიგი მიწერა-გაზვიადება! მ. ხ.) წარმოდგენილი ტენდენციური „ინტერვიუ“ ერთგვარად ჩქმალავს აგრეთვე ჩვენი დიდი კომპოზიტორებისა და მუსიკათმცოდნეების — ზაქარია ფალიაშვილის, დმიტრი არაყიშვილის... დამახსურებს“ ზემოთ სვანეთის მკვლევართა ნუსხა ჩამოგვიწერა, თურმე იმათი ღვაწლიც მიგვიჩქმალავს და ახლა კიდევ კომპოზიტორების წინაშე ჩადენილი დანაშაულიც მოგვათვალა! შეუთუ ჩვენი წერილის ხასიათსა და მიზანს მუესხაბამებოდა ასეთი ამოცანა? განა მონოგრაფიას ვწერდით სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად? ჩვენი მიზანი ხომ — თანამედროვეობის ფონზე წარსულის ზოგიერთი საკითხის მხატვრულ-რეტროსპექტული ჩვენება იყო!

ერთგან გ. გასვიანი აცხადებს: „საზოგადოების ფორმატიული განვითარების პროგრესული ხასიათის არცნობა საბჭოთა მეცნიერებაში, მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებრობა“ (გვ. 148). მაშ, რალა გამოიღის? ძველი და ახალი თაობის წამყვანი ქართველი ისტორიკოსები, უკლებლივ ყველა, შუა საუკუნეების სვანეთში საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებებს რომ აღიარებენ, რბილად რომ ვთქვათ, შემცდარნი ყოფილან!

კვლავ მოვუსმინოთ ოპონენტს: „მიუხედავად იმისა, რომ საბუთი ბუნდოვანია, კარგად ჩანს, რომ ვიღაც მებატონეს ძველი ტრადიცია დაურღვევა“ (იქვე). როგორია — „ბუნდოვანია“ და „კარგად ჩანს“? ოღონდ კაცმა მოინდომოს და რას არ დაამტკიცებს! „სათანადო საბუთების არარსებობის გამო ძნელია მიწის მფლობელობის თანაფარდობის ზუსტი სურათის დადგენა, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში მიწის უდიდესი ნაწილი გაბატონებული წოდების ხელში იყო“. (იქვე, გვ. 108). ვინ ერწმუნება ასეთ არგუმენტაციას?! აი, რა საშინელი რისხვა დაატეხა თავს საწყალ გლეხებს გ. გასვიანმა, რომელთაც ვერც წერილობითი საბუთები შველით და ვერაფერი. ეს ისტორია მგლისა და კრავის ამბავსა ჰგავს — ყველა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კრავია (ე. ი. გლეხია) მტყუანი. რას იზამ, „დიდი საქმე“ მსხვერპლს მოითხოვს.

ერთგან, როცა გველის კულტის თაობაზე თემატება მიხეილ ჩართოლანს, მოწმებებად თავის ნაცნობებს — „სვან მობუცებს თუ ახალგაზრდებს“ იშველიებს (სარეც. წერილი. გვ. 143). იგივე პრინციპის თანახმად, აბა, დაეკითხოს აქაურ მკვიდრთ — მარგია-ნებს, ნიგურიანებს, ჩართოლანებს, ფალი-

ნებს, ხერგიანებს, გვარლიანებს, ფილთაძეებს, ზუკანებს, გულედანებს, ნანსყანებს, ლიანებს, გიგანებს, კახიანებს, ლიდვანებს, მურ-ლანებს, ქოჩიანებს, ხარძიანებს, ნავერიანებს, მიბჩუანებს, ხალდელებს, წვირმელებს, იფარ-ლებს, უშგულელებს, კალელებს ვინ იყო მათი ბატონი, სად ცხოვრობდნენ, სად ბინა-რობდნენ, სად იყო მათი სასახლეები, მამა-პაპური მიჯნები? რომელ სიმღერებში და თქმულებებში, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მოიხსენებიან ისინი? რა პასუხს მიიღებს ნეტავი? წარსულის მახსოვრობის ისეთი უტყუარი ფენომენი, როგორცაა ხალხური ზეპირსიტყვიერება, სადაც ისტორიული ყოფის უძველესი და ყოვლისმომკველი შრეებია წარმოდგენილი, რატომ არაფერს ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით? ერთი-ორგან თუ სადმე აისახა ფეოდალიზაციის თემა, იქაც „მშვიერ-ტიტულბადა“ და „ყვერის ცხენებზე შემოს-კუბებულად“ არიან აქაური „დიდგვაროვნები“ წარმოსახულნი. ბარში კი, ამ დროს „მუხრან ბატონის ყმობაზე“ ვრცელდებოდა სიმღერე-ბა და ამ თემაზე სხვადასხვა ისტორიები იწერებოდა... როგორ უთავსდება ეს ორი მდგომარეობა ერთმანეთს, თუ კი მაინცდამაინც გვესურს ვამტკიცოთ, ბარსა და მთას შორის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით რაიმე განსხვავებას არ ჰქონდა ადგილიო? თუმცა, ვინ მოგახსენათ — არ ჰქონდაო? ოპონენტი საწინააღმდეგოსაც დაგიმტკიცებთ, თუ დასჭირდა! სწორედ ამით არის „საინტერესო“ მისი ნაშრომები, ანუ, მონოგრაფიები, რომ იქ „შუანდასახვი გზებიც“ ბლომდაა მოტოვებული, სამალავებაც არის შიგა და შიგ საჭიროებისათვის შემონახული, ასე რომ არ უნდა გაგვიკვირდეს, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ასეთი განცხადებაც რომ მოვისმინოთ: „ბალსზემო სვანეთში ვერც ერთმა აზნაურმა ვერ მოილოვა პირველობა და სვანეთის ამ კუთხეს ვერ დაეუფლა“ (ზემოთ დას. წიგნი. გვ. 110).

გ. გასვიანი წინა წერილშიაც შეგვინშინავდა და ამჭვრავდაც ორგზის შეგვახსენებს, თითქოს ჩვენ „მთათა და მწვერვალთა ტოლფერდი მურყვამები“ გვეწეროს სადმე (იხ. სარეც. წერილი. 136 და 140 გვ.), რაც ასევე მტკარია სიცრუეა! ჩვენ გარკვევით გვიწერია: „...თავისუფალ სვანეთს ეკონომიკური გასაქანი საშუალებას აძლევდა მთათა და მწვერვალთა ტოლფერი მურყვამები მოემრავლებინა“ (იხ. „პირმზინი“. გვ. 11. და ასევე — „მნათობი“, 1981 წ. № 10, გვ. 114). რა ჩვენი ბრალა ოპონენტის „ტოლფერის“ მნიშვნელობა თუ არ იცის? ერთგანაც იგი მოგვეკრძავეს, თითქოს გვეწეროს: „სვანეთის ეთნოგრაფიული ძეგლების განხრით...

ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებას... სინამდვილეში აქ ვკითხულობთ: „კულტურის ძეგლია შესწავლას სვანეთში ხელმძღვანელობდა მ. ჩართოლანი. ამ საკითხში კომპეტენტურ პიროვნებას, ბატონ მიხეილს, ასეთი შეკითხვა მიეცით...“ (დღეს ღამე უთენებია“, გვ. 11).

ნარკვევში — „ხუთასი კოშკის მხარეში“, სვანური არქიტექტურის საკითხებზე მსჯელობისას, მოგვეყვად მ. ჩართოლანის მისაზრება: „აქაური კოშკების განუყოფელი და მეტად ორიგინალური არქიტექტურა მრავალ საიდუმლოს მოიცავს. სვანური მურყავებების მოხაზულობის გათვალისწინება დაეხმარა მეცნიერებს შემერული დამწერლობისათვის გასაღების „მორგებაში“ („დღეს ღამე უთენებია“).

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ოპონენტს თავის ადრე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში და ასევე სარეცენზიო წერილში უკვე მერამდენდ შეგვენიშნავს: „...უხერხულია... მტკიცება, თითქოს შემერული დამწერლობა სვანური კოშკების მოხაზულობით გაშიფრეს — ვინ და როდის?“ (გვ. 147) და მით კიდევ ერთხელ ავლენს „შორით მიტყვეობას“ არა მარტო „ეთნოგრაფიული საბუთებისადმი“, რაზედაც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი, არამედ მისგან აკვიტებული, მაგრამ ამჯერად „არახელსაყრელი“ წერილობითი წყაროებისა და კოლეგების საინტერესო მეცნიერული შეხედულებების მიმართაც, თორემ „ჩინიან“ მკვლევარს უჩვენოდაც კარგად უნდა მოეხსენებოდეს ცნობილი მეცნიერის ქალბატონ მარიამ ჭანდღერის საკვლევ თემისთან არც თუ შორეულად დაკავშირებული საინტერესო ნაშრომის არსებობა — «**Древние истоки башенного жилища в горной Грузии**». «**Мецниереба**», 1983, სადაც მეტად საყურადღებო ცნობებია მოცემული სვანური კოშკური ტიპის საცხოვრისის გავრცელების არეალზე, ამ ტიპის ნაგებობათა მიმართების ხასიათზე აღწერასობრივი საზოგადოების მონუმენტური არქიტექტურის მსოფლიო ნიმუშებთან. ამომწურავი მასალებია მოცემული ასევე ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებითაც, კერძოდ, სვანური არქიტექტურისა და შემერული და არა მარტო შემერული, ნიშან-დამწერლობის ურთიერთმიმართების თაობაზე. ნაშრომში ვკითხულობთ:

«**Древние источники и иероглифические тексты Двуречья, Египта, Хеттов... указывают на широкое распространение башенной архитектуры. Реликтовые ансамбли оборонного жилища горных районов Грузии... обнаруживают удивительное типологическое сходство с многими древнейшими башенными сооружениями или их изображениями в предметах искусства. Три шумерских пиктографических знака архаического и клас-**

сического периодов после сопоставления их со сванскими постройками получили новое прочтение: так, знак (рис. 5,25) стал означать дом с башней; знак (рис. 5,26) дом с башней, в котором содержится скот и знак (рис. 5,27), где хранится зерно (т. е. склад). Следует заметить, что в группе древних хеттских строительных иероглифов... есть знаки, повторяющие очертания домов с башней шумерского пиктографического знака».

როგორც შემდგომ გვაშინებს წიგნის ავტორი, ანალოგიური ურთიერთკავშირები და გავლენები ასირიულსა და ბაბილონურ პიქტოგრაფიაშიც შეინიშნება (იქვე. გვ. 25). თავის ნაშრომს პატივცემულმა მკვლევარმა შესაბამისი ტაბულებიც დაურთო, სადაც, სხვათაშორის, ნიმუშად ხერგიანების ცნობილი საცხოვრებელი სახლის კომპლექსიც მოიყვანა, რომელიც, კარგა ხანია, იუნესკოს მიერ აღრიცხვავა აყვანილი. ბუნებრივად ისმის კითხვა — შექმლოთ კი გ. გასვიანისაგან ყმა-მდაბიორებად შერაცხულ გვარებს ასეთი მონუმენტური, მართლაც უნიკალური ხეროთომოდერული ძეგლების შექმნა და ფლობა? აშკარად პარალელსულად ხომ არ უღერეს, როცა ვითომ „დაბეჩავებული“ ყმა-გლეხი სათავისოდ სასახლეს იშენებს, ხოლო „დიდგვაროვანი“ მასთან შედარებით მოკრძალებულ „მაჩუბს“ სჯერდება? ასე, რომ ჩვენს ზოგად ვარაუდებში საუხერხულოს ვერაფერს ვხედავთ, გარდა ოპონენტის საქმის არსში გაუთვითცნობიერებლობისა. მართალია, „არცოდნა — არცოდვაო“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვას მოახვოთ თავს გაუმართლებელი ბრალდებები?

კვლავ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ჩვენს მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევის უპრეცედენტული გაბიაბრუებისა, ტენდენციური ცოტირება ინტერპრეტირებისა: მ. ხერგიანის დასტურით, „კვამლს მრავალი დადებითი თვისება ახასიათებდა... და არავის არ უნახავს მისგან შეუუხებელი ვინმე“ (გვ. 144). იქვე გვაქილიკებს „კოწახურის ღირებთან“ დაკავშირებითაც.

ახლა შევაჯეროთ გ. გასვიანისეული ინტერპრეტაციები აღნიშნული ნაწარმოების არსთან, მის სულისკვეთებასთან: მოქმედება ხდება მესტიაში — მარგიანების სახლ-მუხუმის ეზოში უამრავ ტურისტს მოუყრია თავი. ცნობის-მოყვარე კარგებში ათასნაირ შეკითხვებს აძლევენ გვარის უფროსს — ოთხმოცდაათ წელს მიტანებულ მამილა მარგიანს, თავისი ღალი ოპტიმიზმითა და მოხდენილი მკვერმეტყველებით ცნობილ ადამიანს, ფანტაზიის უნართაც რომ არის დაჭილღობებული და იუმორის გრანობაც მოუმადლებია ღმერთს. „ბევრ შეკითხვავე

პასუხის გაცემა არც ისე იოლი იყო, ყოველ-
შემთხვევაში, **დამაჯერებელი და სარწმუნო პა-
სუხისა...** მაბილას სიტყვა და მისი დარბაის-
ლური ტონი **ზოგიერთ დაუჭერებელ ამბავსაც**
კი (ხაზგასმა ჩვენსა. მ. ხ.) სარწმუნოს ხლიდა
წვერთ ჩვენს შესავალ ნაწილში (იხ.
„ღდეს ღამე უთენებია“. გვ. 60-61). ოპონენტმა
ეს წინაპირობა უტყერმონოდ ამოგლიჯა ჩვე-
ნი ნაწერიდან, ასევე ამოგლიჯა მან მეორე წი-
ნაპირობა: „**სტუმრობა საქმე არ იყო — დაუ-
ჭერებელი უნდა ერწმუნებინა ამ ხალხისათვის**“
(იქვე) და ამით ამ პასაჟს ერთიან უტყვალა ნი-
რი — მაბილას ოპტიმისტურ მონოლოგს მეც-
ნიერული პრეტენზიები წაუყვანა. ეს ხომ იგი-
ვით ფანტასტიკურს რეალისტურის თვალსაზ-
რისით მიუღდა, ანდა პირქით — რეალისტური
ფანტასტიკურის პრინციპებით შეაფასო, უფ-
რო მეტიც — უარყო სულაც პირობითობის
მხატვრული ხერხი, სტილიზაციის მეთოდები.
მეტიც არც ამას სჯერდება ოპონენტი — მო-
ხერცი მთხრობელის მსჯელობას თავის დუხბური
ყოფა-ცხოვრებაზე, წარსული დროების შელა-
მაზებისა თუ გამართლების ბუნებრივ სურვი-
ლში კონდენსირებულ შეხედულებებს“ მთლი-
ანად ჩვენ მოგაწერს და თავისი ჭკუით ვი-
თემოდ გვაშარყებს. საინტერესოა, როგორ მო-
იქცეოდა ოპონენტი მაბილას ადგილზე? ეტყო-
და ამ ხალხს — ბოლისაგან დიდ-პატარიანად
ყველას თვალები ჰქონდა დათხრილი, მთელი
სუანეთი დაბრმავებული დაბორილობდა და
ციცაბო ფლატეებიდან ენგურში გაჰქონდათ
ტყაბა-ტყუბი?

კვლავ მოუხსენიოთ მაბილას:
„...ისიც მახსოვს, ლენჯერში რომ ერთ ოჯახს
ასკილისა თუ კოწახურის დირეები აღმოაჩნდა.
ჭერ არავის სჯეროდა ამ უბადრუკ ბუჩქებს
ამოდენა წინაპრები როგორ ეყოლებოდათო,
რომ შეამოწმებ და მართლაც კოწახური თუ ას-
კილი გამოდგა, გაცდებისთანა მხრებს იჩეჩავდა
ხალხი (იქვე).“

სოსო ფილფანი, განათლებით ისტორიკოსი,
ამ ხალხის პატრონი, მომსწრეა დირეს გამოც-
ვლისა. მაშინ ბატონმა სოსომ მისი ერთი ნა-
ჭერი შეინახა კიდევაც, მაგრამ დავეშვათ, რომ
ყოველივე ზემოთქმული მაინც ვარაუდობის,
პირობების სფეროს განეკუთვნება და ოპო-
ნენტმა შეიძლება ამჯერადაც ყავლგასულ „ეთ-
ნოგრაფიულ საბუთად“ ჩაგვითვალოს, დამა-
ჯერებლობისათვის, ეტყობა, წერილობითი წყა-
რის მოშველიებაც მოგვიწევს. აი, ისიც: „საწ-
ნახლებით განთქმულა სოფელი თხმორი.
თხმორელ ოსტატებს ამ საქმეში გოგოლათ-
ლებიც არ ჩამორჩებიან. გოგოლათში თხილის
საწნახლებიც უკეთებით, იქ თხილის ხისაგან
ნაკეთებ ბელღებსაც შეხედავით“ („ლ. ფრუიძე,
მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში
ეთნოგრაფიული მასალების მსხვერპლნი. წიგნი

1. რაჟა. „მეცნიერება“. 1974 წ. გვ. 140). კაც-
მა რომ თქვას, მაინცდამაინც, რა დიდი განს-
ვებაა „ტანადობის“ მხრივ კოწახურსა და
თხილის ბუჩქებს შორის? თუ ერთი იმოდენა
იზრდებოდა, რომ მისგან საწნახლეობისა და
ბელღების დამზადება შეიძლებოდა, მეორეს
რა ღმერთი გაუწყრებოდა ისეთი, სადი-
რედ ვერ მოეყარა ტანი? თანაც, რა შორ-
სა ერთმანეთისაგან ტერიტორიულად რა-
კა-ლეჩხუმი და სვანეთი? ანდა, ვერძირის ხეების
გიაგნტურობის მეცნიერულ კვირადს როგორ-
ღა უყურებს ოპონენტი? მამ რა ნახა კეთილი
მოხუცის — მაბილა მარგინის ამ ყოველდ უპ-
რეტენზიო სიტყვებში სასაცილო და სახით-
ხითო?

„ეთნოგრაფიული საბუთების“ დისკრედი-
ტირების გაცვიანისეულ ცდას („ცისკარი“,
1984, № 12) უკავშირდება ჩვენს მიერ „თაყას
ამბავში“ წამოჭრილი ისტორიული სანიმდვილი-
სადმი „შორით მაქქერლობის“ პრობლემაც,
რასაც ჩვენი ოპონენტი დიდად გაუნაწყენებია:
„...მივანი მკვლევარები გვერდს უვლიან სი-
ნამდვილეს და სვანეთის ისტორიასა და წარ-
სულს რაღაც ხელოვნური პირობების ასაქე-
ტში განიხილავენ, თითქოს ეს ხალხმრავალი,
ადათებითა და წეს-ჩვეულებებით, ისტორიული
ძველებითა და უძველესი რწმენა-წარმოდგენე-
ბით, მითოლოგიითა და ფოლკლორული ნიმუ-
შებით მდიდარი კუთხე კი არა, რომელიღაც
ძველისძველი ნამოსახლარი, აწ გადაშენებული
ცივილიზაცია, ანდა ჩაძირული კონტინენტი
ატლანტიდა იყოს... მით უმეტეს, უფრო მიუ-
ტყებელია „შორით მაქქერლობა“ აქაურ
მკვიდრ მეცნიერთათვის, რომლებსაც ელემენ-
ტარული შეცდომები მართლაც არ უნდა მოს-
დიოდეთ. ამ შეცდომებს, როგორც კომპეტენ-
ტურ ცნობებს, შემდგომად სხვები და სხვები
ეყრდნობიან და იყენებენ. ამ გზით, მართლაც
რომ მახინჯდება ამ კუთხის ისტორია და არა
ისე, როგორც ეს პატივცემულ გ. გაცვიანს წა-
რმოუდგენია. ალბათ ამ შორით მაქქერლობისა
და „ეთნოგრაფიული საბუთებისადმი“ უნდობ-
ლობის ბრალი ის ამბავი, რომ თავის წიგნში
— „დასავლეთ საქართველოს მითიანეთის ისტო-
რიიდან“ — ერთმანეთში აქვს არეული სოფ-
ლებისა და ეკლესიების სახელწოდებები. ერთ-
გან იგი წერს: „ცალკე ეკლესიის პატრონები
ყოფილან ჭაფარიძეები, რასაც აღასტურებს
სოფ. ლანჩავლის ღვთისმშობლის ეკლესიის
ფრესკები და მათზე გაკეთებული წარწერები“
(ზემოთ დასახელებული ნაშრომი). სინამდვი-
ლეში ლანჩავლში ასეთი ეკლესია საერთოდ არ
არსებობს, აქ არის მარგინების მთავარანგე-
ლოზის ეკლესია, ხოლო ღვთისმშობლის ეკლეს-
ია სოფელ ლებთაგში ჩართოლანების უბანში
მდებარეობს. ამიტომაც, არის, რომ აქაური
მკვიდრნი გაოგნებისაგან მხრებს იჩეჩავენ —

„რამე ცვლილება-ვადაადგილებს ხომ არ ჰქონია ადგილი და ჩვენ ამის შესახებ ვერაფერი ვავიგეთ“ — ვწერთ „თყის ამბავში“.

გ. ვასვიანი დაფინებული გვიმტკიცებს, — წერილობითი წყაროები ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიული კვლევისათვის. ჩვენს აზრით კი ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, მიუხედავად მცენიერული კვლევა-ძიების ისეთ უბანზე, უშუალოდ რომ არის დაკავშირებული ფართო ერუდციასთან, ფილოლოგიური განათლებასთან, ენობრივ-არქეოგრაფიული კვლევის უნართან. ხელშესახები წარმატებების მისაღწევად ისტორიისა და კულტურის სფეროში მართო თარიღების ცოდნა როდია საკმარისი, აუცილებელია ასევე ჰუმანიტარული მცენიერებების მიღწევების ფლობა, ზოგადი განათლება.

გამოთქმული მოსაზრების ქუმშარიტებაში კიდევ უფრო დავგარწმუნა გ. ვასვიანის ნაშრომების გაცნობამ, სადაც წინა პლანზე წამოწეული ოპონენტის სურვილი თვითონ შვად ვასალიძისა, ისტორიული რეალობის უზურბირებისა და ამ გზით შუა საუკუნეების სენეთის საზოგადოებრივი ვითარების გაყალბებისა. გ. ვასვიანი ამ საბუთებს ისე ეპყრობა, როგორც გასახედნ ულაცს, რომელსაც აღმა-დაღმა „დააკენავებს“ სათავისო, ე. ი. „საბატონეზო ბილიკებით“. როგორც ზემოთაც იტყვა, ოპონენტმა სულმოუთქმელად „ამოხაბა“ ამ საბუთებიდან, მისი აზრით, ფეოდალურ-წოდებრივ-დამოკიდებულებითი ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი ტერმინები — „პატრონი“, „ბეგარი“, „სანახშირო“, „ჭაოჩი“, „ქურსმერღ“ და სხვა. ხოლო თუ სადმე გუჟირდა, უმაღლვე „პროკრუსტეს სარეცელი“ მოიშველია — „მოკლ“ — დააბრძელა, „გრძელ“ — დაამოკლსა და ასე შემდეგ... „წერილობითი წყაროები“ რაც არ უნდა იყოს, უსულეთი არიან და ამავეარ „გაუბი-გამოჟივას“ უანესთეზობილად ეტანენ! „მულახელთა დაწერილთა“ დაკავშირებით იგი გვამცნობს: „საგულისხმოა ისიც, რომ ორევე საბუთს ხელს აწერენ მესტიასა და მულახში ვაბატონებული აზნაურები“. მაგრამ როცა სხვა საბუთებში „მართალ-კაცებად“ — მორეებად, მის მიერ „გა-გაღებებად“ შერაცხული გვარების წარმომადგენლები გვევლინებიან, იგი, რა თქმა უნდა, გატრუნულია. მისი ტენდენციური მსჯელობა კულმინაციას აღწევს და შემდეგი სქემით მიმდინარობს: „იმან“ „იმას“ ყანა მიჰყიდა, ესე იგი „ის“ „იმისი“ ყმასა მაგრამ სხვა დროს და სხვა ადგილას, რომ შეიცვალა ვითარება და ახლა „იმან“ მიჰყიდა „ამას“ ყანა, აქ როგორღა მოვიქცეთ?

სინამდვილეში კი ამ წერილობით ძეგლებში, როგორც სპექტრში, ისე რეკლება იმჟამინდელი ცხოვრებისეული პანორამა; ისინი მთელი სისავსით ასახავენ მრავალფეროვან, ინტენსიურ საზოგადოებრივ კონტაქტებს და განწყობილებებს. ეს არის რთული და მრავალწახანგოვანი

ცხოვრების საინტერესო წიგნი, რომელიც თავი ღირსეულ წამოთხველსა და ინტერპრეტაციას ელოდება: გ. ვასვიანისაგან აზნაურებად შერაცხულმა გვარებმა ყანა იყიდეს, მერე ვითარების და კვალობაზე, კიდევ გაყიდეს, როგორც ეს ხდება, საერთოდ, ყველა დროსა და ეპოქაში და მათ შორის ჩვენს ყოველდღიურობაშიც. ცხოვრების კანონია ასეთი. იმ ვითომ ბატონებმა ვიღაცა დაქრეს, თვითონაც „დაკოდეს“, „მოურავებმა“, იგივე მორვეებმა (სვანურად), მედიატორებმა წყაიებული შერაიგეს, დამნაშავე დაზარალებულის სასარგებლოდ „დააქარიმეს“. შერაიგების აქტებში ვითხვლობთ: „მე, ჯამნარ ჯადარისძემან თქუნს სეტელსა იაკობს და შენსა ძმასა მიქაელს მტკიცე და უქცეველი... მას ყმასა ოდეს დაღობასა შენა მხარეა მიტინე, მერმე ვაგუბნეს მართალთა კაცთა, რომელი ვავიჩინეს — გარდახადე, არაი დაგრჩება ჩემი სასარგლო, არც დიდი არც პატარაი...“ (სვ. წერ. ძეგლები, გვ. 181-182). ახლა იგივე სეტელთა მიხეზით „ნავაგოციანის ასახიობასა შიგა დაკოდელთა შახმატ კომპერიაის“ (იქვე, გვ. 182). აქაც მორვეები — „მოურავნი“ შეუყრიათ საქმის გასარჩევად. სოფლის ჩენილებს — „წმინდა კაცებს“ დამნაშავეისათვის „წორი“ მიუსჯიათ დაზარალებულის სასარგებლოდ. სხვაგან კიდევ ხერგინები და კაფთაიქები წყაიდებულნი. აქაც მართალ კაცებს წორის გადახდა მიუსჯიათ ხერგინებისათვის — „ამისათვის რომე ჩუნდ დახოცა გაიორეთ“ (იქვე, გვ. 203). ვაჟილა ვახდავიანის „დაწერილში“ ვითხვლობთ: „დავიღვეთ და მოგვციოთ დაწერილი ესე... მას ყმასა ოდეს ჩემისა ძმისა სიყულილი დაგწამეთ, მერმე ფიცით და ნებით დაგვაყრეთ...“ ეს ორი ოჯახიც შერაიგეს „მართალმა კაცებმა“ — პატრონილ ჯადარბიქმე, პატარაი ხრთავიანმა, ივანე ხრთავიანმა, ივანე ივანიაანმა, გიორგი მარგინამ, ივანე ჭედლიანმა“ გ. ვასვიანის კლასიფიკაციით უნდა ვივარაუდოთ — სენეთის მებატონებმა. აქი გვიმტკიცებდა ერთგან: „არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სენეთის საისტორიო ძეგლებში ასოლოტურ უმრავლესობას ამოწმებენ ხელისუფალი ამ მოხვედ აზნაურები...“ (ზემოთ დასახ. წიგნი, გვ. 147) სინამდვილეში კი ამ „დაწერილებსა“ და გარიგებებში ჩამოთვლილი „დიდგვაროვნებისა“ და გ. ვასვიანისაგან დაყმევებული რეგუბის მონაწილეობის „ღონე“ შეიძლება აისახოს ფორმულით — ხუთი შეფარდებული ერთთან — „გლეგების“ სასარგებლოდ (ნათქვამის საილუსტრაციოდ ზემოთ მოყვანილი ვაჟილა ხვადავიანის „დაწერილიც“ გამოდგება)

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი გარიგებანი და კონფლიქტური სიტუაციები არც დღეს არის გამორიცხული საკვლევ რეგიონში და ამ დროს, როგორც წესი, ძველებური წესჩვეულებით „მორვებიც“ ერთვებიან საქმეში



და კვლავ მამამაპურად „ქრიონ და კერავენ“ — გამოაქვთ განაჩენი, უსკიანი დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ. ხშირად სათანადო საბუთოდ დგება შერიგების თაობაზე. დიუშვით და ეს საბუთები ნახეს საუქუნეების მერვე ისტორიკოსებმა და მკვლევარებმა, გ ვასვიანის მეთოდოლოგიით რა დასკვნამდე მივლენ ისინი? მათი აღმოჩენა მართლაც სენსაციური იქნება — თურმე მეოცე საუკუნის მიწურულს, სოციალიზმის ხანაში, მთელი სვანეთის მასშტაბით ბატონულობა ყოფილა განვითარებული!

ბ. ვასვიანი კვლავ გამოიბა შემოდაგების ნაცად ხერხს მიმართავს. იგი წერს: „მ. ხერგიანის „ისტორიული ნარკვევები (ხედავთ, როგორ გვიქცია მხატვრული — „ისტორიულად“? მ. ხ.) და ვრცელი პოლიმიტიური ნაწერები არ შეიცავენ ანგარიშგასაწეე აზრებს, ახალ ფაქტებს, და, რაც მთავარია, მოკლებულნი არიან სიმართლეს“ (სარეც. წერილი. გვ. 146) ვასვიანისეული საზომით სიმართლის გაცხადება, ეტყობა, მხოლოდ სამეცნიერო სტატუსის ძალით ყოფილა შესაძლებელი, სილო უჩინოსი, უეპოლეტოსი, ხარისხის არამქონეს ამისი უფლება არცა აქვს და ნურც ოდესმე ეიმედება, თუნდაც თვითმიზილველი და საქმეში ჩახედული იყოს. ჩვენც სხვა რა გზა დავგრჩენია, თუკი ჩვენი „ნაწერები მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს“ ასეთ შემთხვევაში ჰემეპარტების დასადგენად სვანეთის წერილობითი ძეგლებისადმი მიძღვნილი მართლაც უნიკალური გამოკვლევის ავტორს, პატივცემულ ვალერი სილოგავას მაინც ვერწმუნოთ ოპონენტის მეცნიერული ნაღვარის შეფასებაში. იგი წერს: „...1972 წელს მოსახსენებელთა ტექსტი... გამოაქვეყნა გ. ვასვიანმა, რომლისთვისაც დედნის არსებობა უცნობი დარჩა... (სქოლიოში): საწუხაროდ, მისთვის უცნობი დარჩა არა მარტო ამ დედნის არსებობა, არამედ ამ დედნის არსებობის შესახებ გამოქვეყნებული ცნობის არსებობაც... გ. ვასვიანს შეუშინეველი დარჩა რომ არსებობს (...) ნუსხის კიდევ ერთი ასლი (ასლიეული შეცდომები ასევეა გამოვლენილი პუბლიკაციაში, რასაც თავის მხრივ ამ ასლიდან გამოცემელის (ე. ი. გ. ვასვიანის. მ. ხ.) მიერ ტექსტის არც თუ ზუსტად გადმოღობის შეცდომებიც ემატება... პუბლიკაციაში ერთად არის წარმოდგენილი ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი ორი სხვადასხვა წერილობითი ძეგლის — „მატთან სუანეთისა კობრისასი“ — და საოჭახო — სავკარეული მოსახსენებლების ნაწილები... იგი, როგორც ჩანს, მექანიკურად იყო გადაკრებული სხვა ნუსხას, ახლის გადმოღობამაც ტექსტი ასევე მექანიკურად გადმოწორა და ასე მივიღეთ სულ ცოტა სამი საუკუნით მაინც დაშორებული (აბა, რა ღირებულება აქვს ასეთ უქულმართად ინტერპრეტირებულ წერილობით წყაროებს და მათზე დაყრდნობით გაკეთებულ ვითომ მეცნიერულ დასკვნებს? მ. ხ.) და ტიპობრივად სხვადასხვა სახით შედგენილი მოსახსენებლების კრებულს (იხ. აღნიშნული წიგნი. გვ. 258). უფრო ახლოს გავეცნოთ ამ „პირველხარისხოვანი“ წერილობითი წყაროების გასიანიეული წაკითხვის დონეს... კვლავ მოვუხსნოთ პატივცემულ ვალერი სილოგავას: პუბლიკაციაში „...არსებითი ხასიათის შეცდომებიც გვხვდება: „მაგ. შეუყდ გოშუანი წაკითხულია „გუაშხადს ანმურუხვად“, ... მარხი გადმოცემულია, როგორც „მართა“, ჯანსუფ დადიშგელიანის სახელი წაკითხულია, როგორც „ჯანსუვა“. ხოლო სათუთ დადიშგელიანის სახელი, როგორც „ასთიულ“. წაუეთხავია რუჩგეიანის სახელი ათაბუყუ; ბლგუ და ვაშახ დადიშგელიანების სახელი წაკითხულია, როგორც შახსო... მირზა დადიშგელიანის სახელი წაკითხულია, როგორც „მარატი“. იქვე მირზა დადიშგელიანის მოსახსენებელი გაყოფილია ორი სხვადასხვა პირის მოსახსენებლად: პირველი მირზასია, ხოლო მეორე არარსებული „დადიშქელ დადიშქელიანისა“. რომის სახელი და გვარი მიღებულია „დადიშქელიანის“ არასწორად წაკითხვის შედეგად... .. ციოყ დადიშქელიანის მეუღლე იუსილიანი დასახელებულია, როგორც „ახლა იოსელიანი“ — ნაცვლად „სულხა ციოყის ერთგულს კვირიკეს მუშუდელანს შეუნდვენ ღმერთმან“, წაკითხულია „ციოყ დადიშქელიანს შეუნდვენ ღმერთმან, კვირიკე, მუშუდელანს სულს“. აქ კვირიკე, როგორც ჩანს, წმინდანის სახელადაა მიჩნეული და ამავ დროს, ამ არარსებულ „მუშუდელანზე“ დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ „მუშუდელიანი (სვანი, მუ-შვი-ნი-მუ-შვიანი) — გვარი უნდა იყოს“ (იქვე. მართლაც „სილიდან სადაო, წმინდაო საბაო“. მ. ხ.)

... აბრამა წაკითხულია, როგორც „ბარამა“... მახი სახელი წაკითხულია, როგორც „შახი“... მოსახსენებელში წარმოდგენილია ზედმეტი აღდგენა — „ყ/რ“ მა „შვილი“. აქ ნუსხაში წერია — „გიორგის ყმა შვილი მიეც ღმერთო“... როგორც ჩანს, გამოცემელს (გ. ვასვიანს მ. ხ.) სვანურ წერილობით ძეგლებში ყმა სოციალური მნიშვნელობის ტერმინი ბგონია და... მოსახსენებლის დამწერს „უსწორებს“. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ „ყრმა“ სოციალური მნიშვნელობით სვანეთში არასოდეს არ გამოიყენებოდა, უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ „ყრმათა“ ინსტიტუტი, ბატონყმონისათვის დამახასიათებელი ფორმით, იქ საერთოდ არ არსებობდა. გ. ვასვიანი ერთგან წერს: იოსელიანები, ისე როგორც ჯაფარიძეები და სხვა აზნაურები, მრავალ შემთხვევაში მოიხსენიებიან ყმათა მფლობელებად, მათ შორის ისეთებისაც, რომელთაც სიგალები ჰქონიათ“ (ზემოთ დასახ. წიგნი. გვ. 126) და ამის საბუთად მოჰყავს ნაწყვეტი ერთი სვანური დოკუმენტიდან: „რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უღს“ ჯერ ერთი, ავტორი არსად

არ ასახელებს, თუ ვინ არიან იოსელიანებისა და ჭაფარიძეების ყმა სვანები, მეორეც, არათუ მრავალშემთხვევაში არ იხსენებიათ ისინი უშუალო მფლობელებად, არამედ სულ ორი შემთხვევაა მესანურ საბუთებში „ყმის“ დასახელები და მისამეც, ამ ორ შემთხვევაშიც ეს ტერმინი სოციალური მნიშვნელობისა არც არის“ (იქვე, გვ. 259). მართლაც, მგონი საკმარისია!

ახლა კი გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ — არ ახალ აღმოჩენებზე, თუნდაც საზოგადოების ისტორიულ-სოციალური განვითარების არსში ელემენტარულ წვდომასა და სარწმუნო მეცნიერულ კონცეფციებზე შეიძლება აქ ლაბარაკი? წერილობითი წყაროები ენობრივ-არქეოგრაფიულად თუ კი არ შეისწავლე, კრიტიკულად არ გაანალიზე, როგორც ამისი ბრწყინვალე (სხვა სიტყვა ვერც მოგვიძებნია) მაგალითი მოგვცა პატიცემულმა ვალერი სილოგავამ ზემოთ დასახელებული ნაშრომის სახით, „აბრაამა“ — „ბარამად“ გაასაღე, „მაზი“ — „შახალ“ მონათლე, „კაერი“ — „კაციოდ“, „ნაღაღური“ — „ანალირად“ დამიდგინე, სამი საუკუნით დაშორებული, შინაარსითა და დანიშნულებით პოლარულად განსხვავებული ნაწარმოებები შეაერთე და ერთმანეთს გადააბი, ერთ მთლიანად „მომასაღე“, „უბატონო“ — „დამიყმევე“ და, ვინ მოთვლის კიდევ, რა... ვითომ რა ხეირი დაგვადგება ასეთი მეცნიერებისაგან? ყველაზე სამწუხარო მიანიც ის არის, რომ ამ აკვირებულ თეორიების ზეგავლენით, წყაროების ამგვარი მოძალადური უზურპაციისა და მანიპულირების გზით, გ. გასვიანმა თავის „მონოგრაფიებში“ შემოგვთავაზა საეპოქო თვალსაზრისი თავისუფალი სვანეთის ძველი ყოფის თავისებურებებზე, საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათზე, რამაც, უკვე ჩვენს დროში, უარყოფითი განწყობილებები გამოიწვია ამ რეგიონის მოსახლეობაში, სერიოზული კონფლიქტური სიტუაციები შექმნა და ერთმანეთს წაჰკიდა ღრმად სამოყვროდ განწყობილი გვარები. აი, სადამდე მიგვიყვანა „აბრაამა“ — „ბარამობამ“, „კაერის“ — „კაციობამ“, „ნაღაღურის“ — „ანალირობამ“, „მაზის“ — „შახობამ“!

აქვე ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება: ჩვენი წერილი — „თაყას ამბავი“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1985 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, აქ ჩვენს მიერ ციტირებულ „სვანეთის წერილობითი ძეგლების“ გამოცემაზე გაცილებით ადრე და ბუნებრივია, მოხსენებული გამოკე-

ლევების ავტორის, პატიცემულ ვალერი სილოგავას საფუძვლიანი, კრიტიკული კომენტარები გ. გასვიანის „მონოგრაფიებზე“, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა, მაგრამ როგორც ზემოთ დაწვრივნილი, იდენტური დასკვნების გამოტანისათვის ამას ხელი არ შეუშლია. ეს ზოგადი თვალსაზრისი კი, ოპონენტის სარეცენზიო წერილის სათაურის პერიფრაზირებას რომ მივმართოთ, ის გახლავთ, რომ ისტორია მართლაც ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით არ იწყებდა ხოლო რაც შეეხება ჩვენს მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებას და არა მეცნიერულ პუბლიკაციებს, როგორადაც ეს ჩვენს ოპონენტს მიუჩნევია, ვაცილებით ფართო და განსხვავებულ მიზნებს ვისახავდით, ვიდრე „გ. გასვიანის თვალსაზრისის გადასინჯვა“ (იხ. სარეც. წერ. გვ. 146).

P. S.

თითქოს საძრახისი საქმე რამ მოგვემოქმედოს — ოპონენტი წარამარა გვიკეთინებს — „მ. ხერგიანმა კონსულტაციისათვის თავის მასწავლებელს მიმართა (ე. ი. მ. ჩართოლანს. მ. ხ.) (37 გვ.). „აი ამისთანა ეთნოგრაფიულ საბუთებს გვთავაზობენ მ. ხერგიანი და მისი მასწავლებელი“ (გვ. 144). და სხვა. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ბატონი მიხეილი უშუალოდ ჩვენი მასწავლებელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მისი პიროვნება ზნობისა და კეთილშობილების მაგალითს წარმოადგენდა არა მარტო ჩემთვის... მსცოვანი მეცნიერი ჩვენგან დაფასებას იმსახურებს და არა ასეთ უპატიცემულობას, მით უმეტეს უმცროსი კოლეგებისაგან. ადამიანს თავმდაბლობა ყოველთვის ამკობდა, ამგვის დაუფასებლობა, მეტი რომ არ ვთქვათ, უმადურობაა გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, დემოკრაფიულ ძვრებთან დაკავშირებით, ვითარება საგრძობლად შეიცვალა და ეს შექმნილი სიტუაცია თითოეული ჩვენგანისაგან შესაბამის ზნობრივ და მორალურ-ეთიკურ კორექციას ითხოვს, სვანების „ღიღი ჩამოგაყების“ პირობებში უკვე სხვანაირად იკვეთება. „კაი ყმის“ (ოლონდ არა ოპონენტისეული გაგებით) მარადიული პრობლემა. ამ ფონზე მეტის გულისყურით გვმართებს „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერის“ მორტივისადმი მიყურადება, სიკეთისა და პატიოსნების მსახურება. სხვა ალტერნატივა არ გაგვანჩინია ამაზე მართლაც ღირს დაფიქრება!

უკვე რამდენიმე წელია გრძელდება კამათი სვანეთის ისტორიის საკითხებზე გ. გასვიანსა და მ. ხერგიანს შორის. ეს კამათი კიდევ ერთი ნიმუშია იმ უსარგებლო პაექრობისა, რომელიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ასე მომრავლდა.

ვერავინ დასწამებს გ. გასვიანსა და მ. ხერგიანს, თითქოს მათ გულწრფელად არ უყვარდეთ თავიანთი მშობლიური კუთხე — სვანეთი. ვერც იმას იტყვის ვერავინ, თითქოს სვანეთის ისტორია სრულყოფილად იყოს შესწავლილი და ზედმეტი იყოს გ. გასვიანისა და მ. ხერგიანის გარჯა. ბევრი რამ არის შესასწავლი და დასაუწესებელი, მაგრამ ამჟერადაც მოხდა ის, რაც ჩვეულებრივ ხდება ჩვენს მწერლობასა და მეცნიერებაში. მეცნიერული საკითხების ობიექტური კვლევის ამოცანამ მეორე რიგში გადაინაცვლა და ადგილი დაუთმო ანგარიშსწორების ვნებათაღელვასა და სურვილს. ასეთ დროს, ნებისთ თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად მეცნიერული საკითხები მოგვევლინებიან არა ქვაკუთხედად, რომელსაც ჭეშმარიტება უნდა დაეფუძნოს, არამედ კინკლაობის მიზეზად. ავტორებს აღარ აინტერესებთ მოპაექრის არგუმენტი, ლოგიკა და მტკიცება. ერთსაც და მეორესაც არგუმენტი, ლოგიკა და მტკიცება მოხმობილ აქვს მოპირდაპირის განსაქიქებლად. ჭეშმარიტება დავაში ამა თუ იმ საგანზე საიდან დადგინდება, თუკი ოპონენტის სამართლიანი შენიშვნის მიღება არ შეგვიძლია, თუკი გვახრჩობს წყურვილი, მართებული და უმართებულო შენიშვნაც დაუხანებლად უკუვადლოთ და კამათისას მსჭელობა ისე წარვმართოთ, რომ მოპაექრის მოსაზრებებისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩეს.

ასე დაგროვდა პასუხები, პასუხის-პასუხები, პასუხის-პასუხის-პასუხები... „მოპაექრენი“ „შთასა და ბარს შეაჭერებენ“, ოღონდ კი თავიანთი გაიტანონ, შეპყრობილი არიან მოურევნელი უნით, თვითონ თქვან საბოლოო სიტყვა, რადგან მათი რწმენით, ვინც საბოლოო სიტყვას იტყვის, ის იქნება გამარჯვებული! ამგვარი ხასიათის პაექრობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცალ-ცალკე ორივე მართალი იყოს, სწორედ ამაში მჟღავნდება კამათის არამეცნიერული სტრუქტურა, სწორედ ამიტომ ეწირება მეცნიერული და ლიტერატურული პრობლემები პირად ინტერესებს. ამიტომაც უნდა დაეხვას საბოლოო წერტილი გ. გასვიანისა და მ. ხერგიანის კამათს, მით უმეტეს, ისეთი ჟურნალების ფურცლებზე, როგორებიცაა „მნათობი“ და „ციცკარი“.

გიორგი გელაშვილი

როცა დილაბნელს მგლისფარი დაედო

ქალაქის ამ უბანში ახალი გადმოსულები ვი-
ყავით. ჩვენს ორსართულიან სახლს ცირად
გადებულ ბქენებზე დაურდნობილი რიკულე-
ბიანი აივანი, თლილი აგურის ძველთბილისური
ფასადი და ბროწეულისფერი ქართული კრამი-
ტი ამშვენებდა.

კალოსოდენა. ეზოს შუაგულში ონკანი გულშა-
გვივით იდგა. როგორც არ უნდა აგვერიდებინა
თავი ერთმანეთისათვის, ამ ონკანთან და გრძელ
რიკულეზიან აივანზე მეზობლები უფვილაჯვერ
უნდა შევხვედროდით.

იქნებ ამიტომაც, ამ ერთი მუჟა ეზოს მობი-
ნადრენი მიუშტავით იყვნენ შეკრულნი, ჭირსა
და ლბინში თანადგომობით ბადალი არ მოეძე-
ვნებოდათ. გულიანი ხალხი იყო. არც ჩვენ დაგ-
ვიკლია მათთვის აღამიანური სითბო და სულ
მალე გაგვითავისებს. უკვე ერთი კვირის შემდ-
ეგ ამ კარმიდამოში თავს ისე შინაურულად
გვრძნობდით, თითქოს თანაუბნელებთან ცხოვ-
რების ჭაპანი ათი წელი ერთად გვეტარებინა.

მეზობელთაგან ყველაზე ადრე ჩვენს ოჯახს
ერთი ქალი დაუახლოვდა — კატო კაციტაძე.
თავდაპირველად შორიდებით შემოაღო კარი,
ახანთი ითხოვა. მეორე თუ მესამე დღეს ისევე
გვეტყუროს და თავდაზურული მათლაფა მაგი-
დაზე ჩამოედგა — კოკოტობაა დღეს, მიირო-
ვითო, ჩემი გარდაცვლილი მეუღლის სულის
მოსახსენებლად...

მერე და მერე სულ უფრო ხშირად მოაკითხ-
ავდა ხოლმე დედაჩემსა და ბებიაჩემს, ისე,
უზრალოდ, საშისლაათოდ. ხელი აქნევაზე, ყვა-
ვი აფრენაზეო, ერთი პატარა სახაბი უნდოდა,
რომ ტახტზე ჩამომგდარყო და ენად გაკრე-
ფილიყო. სულ სხაპახსებით მოგიყვებოდათ
ჭვეუნის ამბებს — მთისას თუ ბარისას. ისევე,
სიმართლე უნდა თქვას კაცმა, მიძივით ასმ-
უღი, ჩამოგვირისტიტებული საუბარი იცოდა და
მსმენელთა ყურადღებასაც იოლად იქცევდა.

წელთა სიმრავლე კატოს მძიმე ხურჩინივით
ეიღა მხრებზე. ყავლგასულ ხილამაზეც ფერ-
უმართული ძველებურ პეწს ველარ უბრუნებდა

და ტუჩის კუთხეებში ღრმად ჩამჭდარი ნაოჭე-
ბი მაშინვე ააშკარავებდნენ ხანდაზმულობის
საიდუმლოს.

სხვა „სიკეთისთან“ ერთად, კატოს წინა სამი
კბილი აკლდა და საუბრისას ენის წვერი ბუდე-
ში დაუტეველი გუგულივით მალ-მალე გარეთ
უხტებოდა. იქნებ ამიტომაც მეზობლები ხში-
რად ჩაიჭირებდნენ ხოლმე: პირში ენა ვერ
დაუტევეიაო. არც ტყუოდნენ.

ლაპარაკის ეშხში რომ შევიდოდა, გოცე-
ბულ ცისფერ თვალეზში ნაბერწკლები აუცი-
ციმდებოდა, მერმე უპიებს თანდათან მოკუტა-
და, ლოყებზე ხელისგულეზს შემოიტყაპუნებ-
და და სასოწარკვეთით წამოიძახებდა: ოი,
კაშმარ, კაშმარ!!

კატოს ნამდვილი სახელით თითქმის არავინ
იხსენებდა. რაღა არ შეარქვეს: „ენაპატალა“,
„ჭუტალა“, „ლაპარაკის გულა...“ ბოლოს ისევე
„კაშმარაზე“ შეჩერდნენ და მას ნათლობის სა-
ხელივითაც შერჩა.

გაუთავებელი ლაპარაკის გამო მეზობლებს
მაინცდამაინც გულზე არ ეხატათ, მაგრამ ვერც
უიმისოდ გაეძლოთ. უფრო მამაკაცებს არ მოხ-
ლილოდათ თვალში: ხაყმარისი იყო, კაშმარა ენ-
ის მოსაქავებლად რომელიმე მეზობელთან ჩა-
მომჭდარიყო, რომ იმ დღეს დიასახლისს სახლი
დასალაგებულ, სადილი გასაკეთებელი, სარე-
ცხი დასარეცხ-გასაუთოებელი დარჩენოდა და
ოჯახის უფროსის რისხვა დაემსახურებინა.

და აი, ერთხელ კაშმარა შუადღისას გვეწვია.
ეს დიდი შედავათი იყო: დედაჩემს მისი სტუმ-
რობის დრო, თურმე, წინასწარ სცოდნოდა და
უთენია ადგა, რომ გადაუღებელი საოჯახო სა-
ჭმეობის გაკეთება მოეწრო.

მაშინ მე შედარევა წლისა თუ ვიქნებოდი.
წინა დღით ვეად გავხდი. არცთუ მაღალი ხიცხე
მქონდა, მაგრამ სკოლაში მაინც არ გამოშვებს
და ლოგინში ვნებებოდი.

კაშმარამ რომ პირის გაღებისთანავე, გოცე-
ბის ნიშნად, საყვარელი სიტყვა სამჭერ ახსენა,
მეც დავიტერქნები, თავი მოვიმინარე და

სმენად გადავიქვეცი. თავი იმითომ მოვიმძინარე, რომ „სასუფროსო ამბებზე“ ჩემთვის აკრძალულ ბილად თვლიდნენ და, როგორც კი ჩვენთან მოსული კაშმარა ლაპარაკის ეშხში შევიდოდა, მე უპანდულოდ მერტე ოთახში მიმბარძანებდნენ ხოლმე.

—ოი, ქალებო, ყურებს არ გაეგონება, ისეთი რამ მიაბებს ამ დილას, კაშმარ, კაშმარ, კაშმარ!!! ბრეა, ნეტა როგორ წიდავს დედამეოფა ანდეს? ცოდავს? ვანა დამიანის სიცოცხლესი არ ეყოფა ჭახირი, ჭაპანწყევტა, რომ მერმეც ანე უსაშველოდ არ გაიტანჯოს...

— შე კი ქალო, რა შორიდან უვლი, ნუ დაგვახვავს, ამოდერდე ბარემ, რისი თქმაც გსურს! — უსაყვედურა ბებიაჩემმა.

კაშმარამ სიმერის ოფლი მოიწმინდა, ერთხელ კიდევ გაასავსავა ხელები და დაიწყო:

— ამას წინათ ავლაბარში, შორს აქაურობას, ერთი ახალგაზრდა ქალი უტყვრად გარდაცვილია. ისეთი გახადრული, მშვიდი სახე მქონდა საცოდავს, რომ ახლად ჩაძინებულნი გეგონებოდათ. დაუსაფლავებიათ... — ბოლო სიტყვის წარმოთქმისას კაშმარას ვაი-ვაგლანით ჩაუღაპული ნერწყვი კინაღამ უელში გაეჩხირა, სიტყვა „კაშმარის“ ხსენებით, როგორც იქნა, უელი ჩაიწმინდა და, სულში რომ მოითქვა, განაგრძო: — ჯერ ერთი კვირის გამოტირებულნიც არ ყოფილა ის ბედამწვარი, რომ ამ ოჯახს ობლიგაციით ძალიან დიდი მოგება დასცემია. ვინ მოთვლის, მერამდენად გადაურჩებოდა-გადაუქოთნებიათ იქაურობა, მაგრამ, თქვენ არ მომიტყვედით, მომგებიათ ბილიეთსათვის ვერსად მიუგნიათ. ბოლოს ღრმად მოხუცებულ ბებიას გახსენებია, რომ ის ობლიგაცია გარდაცვლილს ჩიბეში სდებია.

...რალას იწამდნენ, სამარე ხელახლა გაუთხროთ, კუბოს სახურავი აუხდლიათ და, მთი, კაშმარ!!! მიცვალებული კუბოში პირქვე მწოლარე არ დახვედრიათ?!.. ყორანივით შავი, ხუჭუჭა თმა ერთიანად გათეთრებოდა, ორივე ხელით ჩაებლუჭა დაგლეგილი, ფერმეცვლილი თმა, ლოყები ჩამოეღარა, ვადმოაკრულული თვალები დიად დარჩენოდა გატანჯულ სახეზე. თურმე, ის უბედური სამარეში გაცოცხლებულია... წარმოგადგენათ, რა ჯოჯოხეთს გადაიტანდა!..

კაშმარას ისევ გაეჩხირა ნერწყვი უელში, გადაფორდა, სიტყვა „კაშმარ“ ერთხელ კიდევ მოწმინდი აბვიით ძლივს გადაეღაპა და, როგორც იქნა, ბოლომდე მიიყვანა სათქმელი:

— ექიმებს უთქვამთ, აჩქარებულხარო, ცოცხალი დაგიმარხავთო, ექიმებს რას ვერჩით, შინაურთა სიჭიუტის ბრალი უფრო ყოფილა, ბოლოს აღარ უღირსებიათ ექიმო: აბა, საექიმო რაღა სჭირსო, არც გახაკეთადა გაუშეტრბიათ ის საცოდავი და, აი, რით დასრულდა... კაშმარ, კაშმარ!!!

თვლები ოდნავ გავახილდე და მოხაუბრეთ მძლულად გადავხედე.

— ღმერთო, შენი სახელისა და მადლის კრიმე, შორს ჩვენგან, შორს ჩვენგან, შორს ჩვენგან! — ჩიფჩიფით თქვა ბებიაჩემმა და პირჯვარი გადაიხაზა.

იგივე გაიმეორა დედაჩემმა პირჯვრის გადაუსახავად.

იგივე გაიმეორე მეც ღმერთის უხსენებლად. ეს უჩვეულო ამბავი კი — მოჭოროილი თუ ნამდვილი — კარგად დამახსოვრდა და პანარა გულში დიდი შიში შემეპარა. მერმე კი, რამდენდაც ვიზრდებოდი, ეს შიში სულ უფრო ჩიავდებოდა და ბოლოს, უფრო მაშინ, ჭაბუჯობაში ახლად ფეხგადადგმული ფრონტზე გვარდული ნაწილში რომ მოვხვდი და სიკვდილს ერთი-ორჯერ ძველნაცნობივით ჩახხედე თავლებში, ეს შიში შარშანდელი თოვლივით გაქრა.

მეხსიერებას მაინც მოუცილებელ ლაქახავით შემეორჩა და ერთხელ, სწორედ მაშინ, სულ რომ არ მოველოდი, თავში საცემად გამიხდა საქმე. ვანა მარტო თავში საცემად?...
●

1945 წლის 17 აპრილი ცრიატი დღე დაიჭირა. დილიდანვე გაწვიმა. ყველგან ნისლი ჩამოწვა. ნისლი სქელმა ჭანღმა შეცვალა. ერთხანს ჭანღი გაიცრია. მერმე თითქმის მთელი დღე ხინსლავდა.

გერმანიის ისედაც ნოტიო გარემო ერთიანად გაიფიქნა, გაილუმბა.

იმხანად ჩვენს ბატალიონს ფრონტის სათაღარიგო ხაზი ეყავა. სანგრებში კანტიკუნტად განლაგებული ბრძოლით მოღლილი, ნაჭავი ჭარისკაცები, საბრძოლო ვახტზე მდგარი მეომრების გარდა, ძელმიწურებში ისვენებდნენ.

ნარებზე მჭიდროდ ჩამწკრივებულ ჭარისკაცებს გულშიაღე ეძინათ. ვისაც ნარებზე ადგილი აღარ ეყო, ძელმიწურის კედელთან მოკცილიყო და მადიანად ფშვინავდა.

— შტაბიდან განკარგულების მიღებამდე არავინ შეაწუხოთ, დაე, ეძინოთ, ვიდრე თვითონ არ გაღვიძებებოთ, — გვითხრა ასეულის მეთაურმა ვლადიმერ ეგროვმა.

ახეთ განკარგულებას, თუნდაც ფრონტის სათაღარიგო ხაზზე, იშვიათად გაცემდნენ ხოლმე და მე გუმანით მივხვდი, რაღაც დიდი საბრძოლო დავალების შესასრულებლად გავმანდებდნენ, ძალ-ღონეს გვაკრებინებდნენ. ვეფხვის საეჭვო გაუჩრებას დიდი ნახტომი უნდა მოხყოლოდა და მოხყვა კიდევ.

ბინდბუნდი მოახლოვდა თუ არა, სანგრების გადმოღმა, ტრახასთან მეომრები ათეულეზად დაგვამწკრივებინეს. მერმე ათეულები ოცეულს, ოცეულები ასეულს შეერწყვა და გაისმა ასეულის მეთაურის მტეპარე ხმა:

ბიორკი ბელაშვილი

როცა დილანდელს მგლისფერი დაეძღო

— მეომრებო, მეგობრებო, ძმებო, დებო და შევილებო! დადგა უამი, კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ საბჭოთა იარაღის ძლიერება...

მეთაურმა მოყვლივ გაგაცნო საბრძოლო ამოცანა: ჩვენს გვარდული დივიზიას მტრის შეუმჩნევლად ფეხით უნდა გაველო დიდი მანძილი, მისულიყო დანიშნულების ადგილას, გართულების შეტევაზე გადასულიყო, გადაეღობა მდინარე ნების და შემდეგ ჩვენი გვარდული არმიის სხვა დივიზიების მხარდახმარებელი ნიშნავდა აქვს გეზი.

ბატალიონი ძნელსა და გრძელ გზას გაუყვა. აპრილი თუ ხაღმე ასეთი ცივი იქნებოდა, ამის წარმოდგენაც არ შემეძლო. წვიმას გადაეღო. კვალში აჩრდილივით ადევნებული ქარი სტეპნითა და სისხით გვაცდლებდა. მართალია, ზურგში ჩამდგარი, ერთგვარად წინსვლაში გვიყვებოდა ხელს, მაგრამ სამაგიეროდ, ძვალსა და რბილს გვითოშავდა.

მებრძოლებმა სტარტი ენერგიულად აიღეს, მერე და მერე კი, თორმეტიოდე კილომეტრის გადლის შემდეგ (ეს ქერ გზის ნახევარიც არ იყო), ერთმანეთზე დამდურებულივით, ხმის ამოუღებლად მიახიჩებდნენ.

მართლ ჩქვმების რიტმში მშლილი ბრაგა-ბრუგი, ქარის სტეპსა და ასპიტივით სისინი ხმობდა. ჭანლი კარგა ხანია გადაიწმინდა, მაგრამ უმთვარო ღამეში ახლო მანძილზეც ვერაფერს ვხედავდით. ასეთი ღამე ზედგამოჭრილია შეუმჩნევლად გადანაცვლებიხათვის, რასაც ჩვენი დივიზიის სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრის ხორცშესახმებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ყოველ გასაჭირს ჭიუტი მოთმინებით ვიტანდით.

მეომრები თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ. გასავთებულნი, ცხადია, ლაპარაკის იშტაზე არ იქნებოდნენ და, თუ ხანდახან ვინმე რაიმის თქმას მოიწადინებდა, ჭარისკაცთა ფრანკა ბევრი-ბევრი ორ-სამსიტყვიანი თუ იქნებოდა.

„მხორკის“ მოწვევაც კი აგვიკრძალა. ყველაფერს ვიკლებდით, ყველაფერს ვითმენდით, ოღონდ ეს გადაწყვეტი დარტყმა ჩვენი საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინებულყო.

ოცდელს კარგა ხანს გვერდიგვედებ მიყვებოდით. სიცივემ რომ ხელი დამრია, ვამჯობინე ჭარისკაცთა მწკრივნი ჩავმდგარიყავი. ივანე სიდოროვმა და ბაშირ მამედკულიოვმა შუაში მომიქციეს.

ვისაც ფრონტის ჭირ-ვარამი არ გადაუტანია, იმას გაუჭირდება გაიგოს, რა არის თანამებრძოლთა მხარში დგომის ძალა. მეომართა იდაყვის შეხებათ თითქოს სიმხნევე შემებატა.

— გვივით, ბიჭებო? — ხმადაბლა ვეკითხებო.
— არ... რა, — მბასუხობს მამედკულიოვი კბილების კაწკაწით.

— ნახევარი გზალა დაგვრჩა... — ვამშვიდებ მათ... მოულოდნელად ფაშისტთა თვითმფრინავებმა მოტორთა გაბმული გუგუნით გადაგვიქრო-

ლეს. ტრანსის ორივე მხარეს გაშლილ მინდორზე კოლონა სწრაფად დაიქსაქსა. ჭარისკაცები მიწას გაეკრნენ. ცოტა ხნის მერმე ისევ წაშოვიმართინეთ, გრძელ მწკრივად დავეწყვეთ და გზა განავაგრძეთ.

ქანცაწყვეტილნი და გათოშნილები ლასლასით მივახიჩებდით. შუა გზაზე მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ, თუ სველ მინდორზე მცირე ხნით ჩამუხლდებო შესვენება ჰქვია. ისევ წაშოვიმართინეთ და გზას ბარაქა დავადგენეთ.

მარცხენა მკლავი ჩემდა უნებურად სიდოროვის მხარზე ჩამოვდევ.

— რა მძიმე ხელი გაქვთ, ლეიტენანტო! არაფერი მიბასუხია.

წინა ღამით ძილგატეხილს, სხეული მომეთენთა. ვაკუბო, რომ ჩქვმების რიტმში მშლილი ბრაგაბრუგი, კვალში ადევნებული ქარის სტეპნა-სისინი იავნანასავით ჩამსმის...

ქუთუთოები მიმძიმდებო... ცოტაც და... ძილბურანში მივცურავ... თვალის მოხუჭვით ზმანებას ფარად ეხდებო.

...ახელის მეთაური გამომეცხადო... ხელისგულები პირთან მიაქვს და გვეუბნება:

— მეომრებო, მეგობრებო, ძმებო, დებო, შევილებო, გაიხარეთ, გაიხარეთ... როგორც იქნა, გვეღირსა, ომი დამთავრდა. დანიშნულნი..

უცებ რალაც საგანს ფეხი წამოგვარია...

უვებარბადი... ჭარისკაცებმა ხელი შემამეველეს..

ძილბურანიდან ვერკვევი...

ახელის მეთაურის გამოსახულება ისევე უცებ გაქრა, როგორც გამოჩნდა.

— რა გემართებათ? ლეიტენანტო, ცუდად ხომ არა ხართ? — მეკითხებთან გაოცებული ჭარისკაცები.

— არაფერია, ბიჭებო, რალაც თარსად წამთვლია. სიწმარიც ვნახე, მგონი...

— სიწმარი? როგორ, ამწუთას ჩვენს მხარდამხარ არ მოახიჩებდით? — სიდოროვი და მამედკულიოვი ერთმანეთს გაოცებულინი შემსუტრებენ.

პირქმუ სიბნელეში ჭარისკაცთა გაფართოებული თვლები და ავტომატთა ლაბლაბა ლულები ერთმანეთს დამგავებოდა, ერთნაირად კვებავენ უკუნეთს...

დანიშნულ ადგილს რომ მივალწვიეთ, გათინებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ქარს ჭანლი გეფანტა. სიბნელეს შეგუებული თვლებით, ასე თუ ისე, ვარჩევდით დეკავებული მიდამოს კონტურებს.

მეჩხერი ტყე გვარტყია გარს, ოღნავ დაფერებული, ალაგ-ალაგ ხეები გაერჩებო. გაღანაქრებას და მორებზე ჩამოვსხედით.

საეკვო ღუმლის მოუცვას გარემო. საღლაც, შორს მივიოტის მსგავსი მოძახილი არღვევს დამეუბლ მღღმარებას.



მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი მოგვიახლოვდა. ხმაზე შევიცანი არკადი მოროზოვი — ასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. ქუედის საჩხე ჩამოფხატა. წარმოვიდგინე მისი ნათელი, ღაფღაფა სახე, თაფლისფერი, მომწუხველი თვალები, უტეხი რწმენა რომ ჩამგუებოდა. რბილი, ხვერდოვანი ხმა ჰქონდა. რომ ეთქვა, მდინარე აღმა მიდისო, ეგვს ვერ შეიტანდით, ისე დამაჭერებოდა გეტყვოდათ.

გულწრფელად გვეწამა მისი. გვეყვარა ეს კეთილი, მამაცი ოფიცერი.

ხის გადანებარე თავიდანებულ ერთ მებრძოლს მოროზოვმა ღონივრად დაჰკრა მხარზე ხელი, მკლავები ჩასჭიდა, წამოყენა, მკერდზე მიიხუტა, მივალერსა, მერმე ჩვენ მოგვიბრუნდა და თანაგრძობით გვეცოცხა.

— დიდალეთ, ბიჭუქო? არა უშავს, ცოტაც გავიჭირვით და მალე ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული...

ახლაც დავიჭირეთ მისი ნათქვამი, თითქოს დალილილბამ გადაგვიარა, ძალა მოგვემატა. ახალი საბრძოლო განკარგულების მოლოდინში წამბარებით მომართულნი ვისხედით.

ღამეს თანდათან მივლია ფერი, გაიცრია და, აი, უკვე ქანცაწყვეტილი, ფარხმალაყრილი ებრძოდა მოახლოებულ ღონემოკრეფილ განთიანს.

ქარი მისხუტბუღიყო, ხეებს ლერჩაჰევით მოცხხათ ენწეროებზე ჯანდის ნაფლეთები.

ამ ფერიცვალების თვალთვალმა მთელი ახსებით გაშიტაცა. თითქოს ჩემს სულშიც თენდებოდა, როგორც ბუნებაში.

ანაწლად ქოხიყელი სპაჩემი გამახსენდა. ჩამისვამდა კითხვაში ოცლის ეს ბრძენკაცი. ო, რა გემრიელი მოყვლა იყო და იმ ცხონებულმა ძილისპირზე.

— პაპა, პაპა, მითხარი, როგორ მიუსწრო ცხრათვიან დევს გამოქვაბულში ღამენათევამ მწველმა?

— როგორა და, ჩემო გვრიტო, აი, იმ ფარლალა ქონიდან მაშინ გამოვიდა, კარგა რო იმგლიფერა...

— იმგლიფერა, რა არის, პაპა?

— რა და, შვილო, დილაბნელს რომ მგლისფერი დავილება, ის არი, მამა...

აი, ახლაც სწორედ ისე იმგლიფერა და ცოტა ხანში, როგორც კი ცის კიდე ტუკვისფრად შეილება, ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. თითქოს ვულკანის ხანადაღრნილი კრატერიდან ფცბადღე ლავამ ამოხეთქა და უთვალავი ცეცხლოვანი ზვავი გადმოაფინა და დამიწიწას.

ჩვენს უკან ყველა ყალიბის ქვეშების ერთობაშად ამეტყველდა, აგრუხუნდა, აგრიგალდა ომის ღმერთი — არტილერია.

„კატუღემაძე“ ანთებული თითებით გადავარცხენი დილაბნელი და ჩვენს წინ, მდინარის გადასწვრივ, ყველაფერი გადაიბუგა, ადულდა, აყუალუა, აველელდა...

სურისწამლებმა კანონიდან ორმოც წუთს გასტანა.

არტილერისტები მტრის მოწინავე პოზიციებს უშენდნენ, სეტყვასავით აყრიდნენ მძიმე ტურვებს, ნადმებს.

მერმე არემარე ისევ მიყურდა.

ამ დროს არტილერისტთა ნამუსრევის კვალდაკვალ, ჩვეულებრივად, შეტევაზე გადავიდოდით ხოლმე. ჩვენც საამისოდ გავემზადეთ, წამოვიმართეთ კიდეც, მაგრამ შეტევის მაცნე ბრძანება აყვრიდა.

დაძაბულ მოლოდინში ნახევარი საათი მიილია და მაშინ, როცა სათადარიგო ხაზზე გადანაცვლებულმა ფაშისტებმა მოწინავე ხაზი კვლავ დაიკავეს, არტილერია ისევ დასცხო მოტყუებულთ.

წითელმა მახალამ გადარკალა თუ არა ზეცა, ფერდობზე ზვავით დავეშვით. ჩვენ წინ ქარქაშდაკარგული ხმალივით გაწოლილიყო მდინარე ნაისე.

ხილს მივუახლოვდით. ვიდრე ფებს შევდგამდით, ხიდი ხუხულასავით ჩაიშალა მდინარეში.

ჩვენი ასეული შემტევი დივიზიის ავანგარდში იყო მოქცეული, ამიტომ შეყვანება არ შეიძლებოდა, ფონი სახელდახელოდ მოგძებნეთ და ცივ წყალში შეეტკაპეთ. ავტომატები ზემოთ აღმართული გვეჭირა, რომ არ დასველებულიყო.

ჩემის ყელში შხუილით ჩაჭრილმა და მალე მხრებამდე მომდგარმა წყალმა უსიამოდ შეგვაძაგაგა. უთვალავმა ცივმა ჭიანჭველამ ელვის სისწრაფით დაგვიარა ძარღვებში.

ჩემს წინ ვიავაგლახით მივაგულ ჩიხა ტანის ჯარისკაცს ჯაფარ ჯავდოვს წყალი ნიკაპამდე მოსდგომოდა. უცებ იხვივით ჩაყვინთა. დავინახარე. ქამარში ვტაცე ხელი და ამოვწიე... ამასობაში ჩემი ავტომატის დიხყო წყლის ზედაპირს შეხეო, დასველდა. გულმა რეჩხი მიყო...

როგორც იქნა, მდინარის გაღმა ჩაპარს მივადღიეთ. თითქოს სხეულში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დავმომიდით, წყალი წურწურით გაგვდიოდა. ზურგზე დავწექით და ფეხები ზემოთ აღვმართეთ, რომ ჩემებინდან მაინც წამოღვრილიყო წყალი.

მერმე, თითქოს ჩვენს ჯიბრზე, ქარმაც დაუხებრა და ძვალხორციანად გათოშოლები ისე შევწუნდით, ცოდვა გამოტენილი სჭობია, იყო წუთი, როცა ტუკვის შუბლში მოხვედრას არცთუ დიდ უბედურებად ჩავთვლიდით.

ჭიქურ მივიწყდით წინ უხორცილავით უშიშარნი, შეუპოვარნი და დაუთმობნი. ზურგს უკან დაგვრჩა სიკვდილის შიში, სიცივის უნდომი განცდა.

რაც უფრო სწრაფად მივდიოდით, მით უფრო მჩატდებოდა სხეული, ტანში სითბო, გულში სიმხნევე მატულოვდა.

ვერ ვიტყვი, რომ ვერმანელები იმ დღეს თავქუდმოსაღვრეკილნი გარბოდნენ. რაც უფრო



მცირე მანძილი გვარჩობდა მათ შთავარ ბუნ-
გამდე, მით უფრო ასპიტდებოდნენ, დროდა-
დრო ტახვით შემოგვიბრუნდებოდნენ ზოლმე,
უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ, რომ რო-
გორში შეფერხებინათ გვარდიელთა ძლიერ-
მოსილი წინსვლა.

მდინარის გადალახვის შემდეგ ტყის ვიწრო
წოლი დაუბრკოლებლად განვლით.

ერთბაშად ჩვენს წინ, ტყის შუაგულში, ვეება
გაული გაღაიშალა, ველის შუაგულამდე უშხ-
ვერპლოდ მივაღწიეთ.

მერმე ბეტონის საფარით შეჩვენულმა
ტყვიამფრქვევმა მიწას გაგვაკრა. თავის წამო-
წვევაც კი გაძნელდა.

ბატალიონის მეთაურის მეკავშირე ხოხვით
მომიხალვდა. უთქმელად მივუხვდი დანაბარ-
ებს. ჩემი ოცუელიდან სამი ყველაზე გულადი
ქარისკაცი შევარჩიე და ვაიყოლიე. ხელმარჯ-
ვნივ, ტყის წოლს ხოხვით მივუახლოვდით.
ჩვენ ბედად ტყის პირს ღრმა თხრილი გასდ-
ევდა, შოგ ჩავცივიდით და წინ გაიჭიქითი.

ცოტაც და, ტყვიამფრქვევის უკანა მხარეს
აღმოვჩნდით. ტყის წოლიდან ტყვიამფრქვევის
ბეტონის ქავშნამდე ასილივ მეტრი თუ იქნე-
ბოდა.

ბაშორ მამედულავს თვალი ჩავუყარი. მან
ტანკაწინააღმდეგო ხელუშებარა მოიმარჯვა და
დაუყოვნებლივ გახოხდა წინ. შუა გზაზე შერე-
რდა, გაისუსა, მერმე ბეტონის საფარს თანდა-
თან მიუახლოვდა, ხელუშებარა მოხერხებულად
სტყარცნა და აკაენებულმა ტყვიამფრქვევმა
სამუდამოდ ჩაიწყვიტა ხმა.

გავიხედეთ ტყის წოლისაკენ, საიდანაც ჩვენი
ასეული ცოტა ხნის წინათ ჩვენთან ერთად გა-
მოვიდა და ველის შუაგულამდე შემჭრილი,
ტყვიამფრქვევით გზაგადღობილი, მიწას გა-
ეკრა.

ტყის წოლიდან, მათ შურგს უკან, გერმანე-
ლთა ბატალიონი გამოჩნდა, მჭიდროდ გამწკრი-
ვებულთს მხარზე თასმით მოჩვენებული ავტო-
მატები მეკრდზე მოექციათ. ხან გაბუბდვად
გამოჩნდებოდნენ ტყის წოლის გასწვრივ, ხან
ისევ ტყეს შუაფარებდნენ თავს.

მაშინდა მივხვდით, რომ გერმანელები ტყის
პირას ბალახ-ბულახით, ხავსითა და ხის ტოტე-
ბით ოსტატურად შენიღბულ ხანგარში ვანლა-
გებულყოყნენ. გადმოგვატარეს თუ არა, ცოტა
ხნის მერე წამომიმართნენ. თუ წინა ხაზს დრო-
ულად ვერ გავარდევდით, ველზე განლაგებ-
ულ ჩვენს ბატალიონს, მათი ვარაუდით, ალყა-
ში მოქცევა არ ასცდებოდა.

რა იცოდნენ, რომ ჩვენს უკან მეორე ეშელ-
ონად სარეზერვო ნაწილიც მოდიოდა. როგორც
კი შურგს უკან მათი მოახლოება იგრძნეს, ფა-
შისხტა მწკრივი ფრხდაბიჭებული ჰიანჭველებ-
ის ბუდესავით აირ-დაირია. იხტიბარი წაუხ-
დათ: თავიანთ დაგებულ მახშირ თვითონვე გა-
ენდნენ...

ამასობაში მამედულავი ისევ ჩვენთან გადა-
მოცოდდა. ეტობა, ფაშისტებმა ფლანგიდან
შეგვიწინეს, სროლა ავციტებეს, მიწას გავეკა-
რით, შეტევაზე წამოსულ ჩვენს ბატალიონს
დავეულოდით.

ეფრეიტორ ბორის ბონდარენკოს ლყა სის-
ხლით შევებოდა, გადაფორებულს, სიცოცხლის
წიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ტყვის საფთო-
ქელში გაეულო. ჩამოეჭულ ავტომატს ცვიად
ველზეა ხელი და სილი დალია...

სროლა უფრო გაძლიერდა. უცებ მარცხენა
მხარზე ცეცხლი წამეკიდა, ვატყობ, ცალი ხე-
ლი აღარ მიმარჩილებდა, ავტომატი მარჯვენაში
მოვიჭიქეთ, სასხლტს თითი დავაჭირეთ, ავტომა-
ტი ღელს. მდინარეში დახველებულმა დისკომ
ცუდ დროს მიმუხთოლა...

საწყალი ბონდარენკოს ავტომატი ავიდე, ჩე-
მი იქვე მივაღდე. ვგრძნობ, თანდათან ძალა მე-
ღევს... აღარც ტყავის პლანშეტი მაქვს, სამხ-
რეთსამა ტყვის გადაუღლებქია. პლანშეტი ჩემ-
გან ოროდოდ მეტრის იქით გლია, მისი აღების
თავი ახლა ვისა აქვს...

„ჭრილობა უნდა შევიხვიო როგორმე“, —
გავიფიქრე, მაგრამ ვინ გაცდის, ვერც თანამე-
ბრძოლებს წამოუწყვიათ თავი, რომ ხელი შე-
მაშველონ. ერთი გამოსავალია — ჩემს თავს
თვითონვე უნდა მივხედო.

ხელმარცხნივ, ტყის წოლი სულ ახლოსაა.
დიდი გაპირვებით გადავხოხდი იქ, ხეს ამოვე-
ფარე, პაექტი კბილებით გავგლიჯე და ჭრილ-
ობის შეხვევა დავიწყე, მაგრამ...

უცებ ყურისწამდები სტენიონ სივრცეს მძიმე
ჭურჭე გადმოვგელო და მი ადგილას, სადაც
ჩვენი ჯარისკაცები იწვნენ, მიწას ვეება შადრე-
ვანი აიხვეტა...

მაღე მეორე ჭურვმაც სახარლად დაიგრუხუ-
ნა ჩემს წინაოიახლო. ჭარის ტალღამ ჯერ წემოთ
ამტყარცნა, მაგონი, ხს ტოტებს წამოვედეთ, მე-
რმე ძირს დავეშვი...

...თვალეში ჩამდგარი ბურუსი თანდათან
ჩამუქდა... გონება წყვდიაღმა შთანთქა...

როდის-როდის ნაცარში შემონახული ნაპერ-
წყალივით გონებამ კვლავ გაიღვიძა.

სიხელივა ირგვლივ, თვალთან თითს ვერ მი-
იტან, თუმცა სადა მაქვს თითის მიტანის თავი.
უატყობ, მარცხენა ხელი მოკვეთილივით უმო-
ძრაა. მხოლოდ მარჯვენა ხელის თითებსა და
ფეხის ცერებს ვამოძრავებ, ისიც უნიათოდ,
უღონოდ...

ვერ გამოვრკვეულვარ, თვალეში ღია მაქვს
თუ არა თითქოს ქუთუთოები უკვალოდ გამქ-
რალანო გუგებზე. კუპრით ჩამვებულა გა-
რემო — ამაზრუნე, ნოტიო და წებოვანი, სა-
ევეო გარინდებაში ჩაფლული. ირგვლივ ნეშ-
ოს, დაობებული ბალახისა და სიდამპლის სუნი



ტრიადებს, დასშულო ერთი ნაღველის გამოხე-
რებელი სინოტივილი გაულდენილია...

რაღაც საშინელი მარტოა და დაწოლია მკე-
რღზე — შრავალფეხას მსგავსი, ბანჭკვლიანი
და მყარალი. საწარელი კიდურები მარწუხები-
ვით მოუჭერია და სულს მიხუთავს უფრო მა-
შინ, როცა წართმეული ცნობიერება ისევ და
ისევ მიბრუნდება...

მომეფურა, რაღაც ფეოქავს ამ იდუმალებაში,
მაგრამ სად, ამას ვერც სმენით ვაგნებ, ვერც
გუმანით. გვიან ვხვდები, წყალი მოყოლავს სა-
ოდანღაც, წვეთ-წვეთად მცემა ჩემის უღლზე
და იხეთ ხმას გამოსცემს, თითქოს კენესისო
დღედაძინა.

დღედაძინა კი არა, გული მიკვნიხის ცუდის
შეგრძნების მოლოდინში...

უცებ უღლზე რაღაც გადამალოდა. ბუსუსა
ქია იყო მგონი... მინდა მოვიცილო, მაგრამ
როგორ? ხელები არ მემორჩილება. ძალ-ღონეს
ვიკრებ, ნიკაპით ვცდილობ გავსრისო, მაგრამ
ამაოდ. ქიის ელასტიური ბუსუსები უფრო საგ-
რანობლად მუხახუნება ყელთან და მამაგაგებს.
მთელ სხეულზე ზიზღის ცკლები იმ ქიის ბუ-
სუსებივით მეფინება. ძარღვეში ავბედიდალ
დაწურიაღებ ქიანჭველები...

„ცოტაც და ჩემი სხეული ქია-ღუის მკვებავ
ლენად იქცევა, ეს ბუსუსა კი, აღბათ, იმის
შესატყობად მოვიდა, როდის მოვკვდები...“ —
ვუქრობ გულგადალაული.

მარტვენა ხედის თითები რაღაც ცივ, ხორკ-
ლიან საგანს ეხება. ოღნავ ვუჭერ. ხის ნედლ
ფესვს ვგრძნობ მუჭში... სახე მივიბრუნე... ბო-
ღმამორეული, კბილებით ვღრღნი ფესვს... ნეს-
ტობეში აჰამდე ვანუტედილი სუნი მილიტინებს,
ბალღამივით ნერწყვი მიეთუქავს ყელს...

მიზნელი გონება ისევ იღვიძებს, გუმანი
მახვილდება და ვასკვნი:

ხის ნედლი ფესვი?.. ესე იგი, მიწაში ვწე-
ვარ, იქნებ სამარეშიც... მაგრამ თუ ეს სამარეა,
როგორ ვამჩნევ სიბნელეს, როგორ მესმის, რო-
გორ ვანვიციდი, როგორ ვაწროვებ, როგორ
მეუფლება კოშმარული ფიქრები?!

რაა?.. კოშმარულია?.. და მცხსიერებაში თა-
ვისთავად ტიტვიდება კაშმარას ნამბობი...

აკი ვამბობდი, — გული მიკვნიხის-მთუქი
ცუდის შეგრძნების მოლოდინში. ამაზე ცუდი
რაღა შეიძლება იყოს... ნთუ მეც სამარეში
გავცოცხლდი?!

სისუსტისაგან ვითენთები, შენაცვლებით
ცივ-ცხელ ოფლს მახსამს, ვპატარავდები, ვჩი-
ავდები. გული ჭერ მიწვრილდება, შემდეგ ღრუ-
ბელივით სივდება, უსაშველოდ იჭრდება...
ვგრძნობ, ადრინდებურად გული კი აღარ მი-
ღევს საგულეში, მე, დაკნინებული, ლოკოი-
ნასავით ვწივარ საყუთარ გასივებულ გულში,
რომელსაც ერთი პატარა ბიძგილა ეყოფა, რომ
გასკდეს და დასრულდეს გატანული სიცოცხ-
ლე...

„ღმერთო, დამიბნეულ გონება, მაკმარე ამ
ქვეყნიური ჭოჭოებით!“ — ვიხვეწები ყელზე
მოწული.

... ვატყობ, ცნობიერება ისევ მერთმევა...
მგონი ზმანების საშუაროში მივცურავ...
ბებიჩენი გამომცხადა დაბარებულებით...
თერთი დასაბვევი ჭანღვით შემოტმანნია ნა-
ოქებით მოსარულ, დარღით მოქუფრულ სა-
ხეზე. თვალბეშიც ბოღმა ჩამგუბებია. გამოხუ-
ნებულ წამწამებზე ცრემლი შეჭმინვია.

— შენ მოგაკვდეს ბებია, შვილო, ე რა დღე-
ში ხარ! — მეუბნება და მკერდზე მჭილს
იტმას, — ადრეც მითქამს, რაც უნდა და-
გემართოს, ჩემი ნუგუმო, რა ხიფათშიც არ
უნდა ჩავარდე, ტანსაცმელს შიგნით დარდი არ
შეუშვა და გადარჩები...

ეგრე დემკვებული რატომ მიუტრებ, შემოგე-
ვლი, როგორ, ჩემი არა გჯერა? ხვალინდელი
დღე არ გამითენდეს, ღოგინის ტუსადი ვავხ-
დე, თუ ვამტყუნდე. რაც მე შენთვის მილო-
ცნია, ბიჭო, სიკვდილი როგორ მოგეკარება,
ეგ როგო გაივლუ გუნებაში, გენაცვალე, სიკ-
ვდილი ბორცია, შენ კეთილი. ვეთ გენახ-
ლისება შენთან, გიგანებს, გიგანებს, გიგა-
ნებს...

ვგრძნობ, პირი მიშრება, წყურვილი მასრ-
ჩობს...

ბებიას სწყდება წამწამებზე შეყინული ცრე-
მლები, დალაღობით ჩამოსდის დაწვებზე. ლო-
ყებზე ასხლეტილი ცრემლები ჩემამდე აღწე-
ვენ, ბაგებზე მეპკურებიან...

ტურებს ვაცმაცუნებ, ხარბად ვეწაფები მა-
სულდამგულეებელ სითხეს...

ბებიას ახარებს ჩემი ოღნავი შვების მოგვ-
რა. ტირილს წვეტს, თოკით დაგრძელებულ
მკლავებს ჩემენ იხვერს, მაგრამ ვერ მიწვდენს
და გულდაწვეტილი წყვილაღვი უჩინარდება...

მისი სიტყვები კი ჩემთან რჩება, როგორც
ფარი და მახვილი.

ჭოჭოხეთს ერთი მუგუწალი აკლდა და ისიც
შემატისო. ჰოი, საოცრება, ახლა ის წყუელი
კაშმარა არ გამომცხადა თავისი ჩაცვივული
წინა კბილებით?..

გული გადამიქანდა.

ნირი შესცვლია კაშმარას. გამოცივებულ, ცი-
სფერ თვალბეში ნაპერწკლები ჩასდგომა. კე-
თილად მიღიმის, სულ ახლოს მოდის და თან-
გრძნობით ჩამაძახის ურბი:

— ნუ გეშინია, ბიჭო, ნუ ეს სამარე არ არის,
ორმოა, ორმო... ამოდი, ამოდი, ამოდი!..

კაშმარაც უცებ ქრება თავისი ნათქვამი სიტ-
ყეზებით...

ორმაგად მასიამოვნა კაშმარამ: ჭერ ერთი,
ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მოკლედ გადმო-
ცა სათქმელი, მეორეც, საშინელი ეჭვი გამი-
ქარვა, დამთრგუნავი დარღის სიმძიმე მხრები-
დან ჩამომხსნა.

დაბუებული მარტვენა წვალებით მოვლენე,

ლოუაზე ვიჭქმით. მეტინა. ამით მიხვდები, რომ სიზმართიდან გამოვსულიყავი.

გამახსენდა, კრილობის შეხვევა რომ ვერ მოვასწარი...

ნეტა რა დრო გავიდა მას შემდეგ?..

ნიკაპით ვაწვები მხრისთვის. მაზარის ბუსუნებთან შედარირზე ალაგ-ალაგ შემხმარ ბლანტ სისხელეს ვგვრძნობ. ასე რა ჯანდაბამ მიმასავათა?..

სიცვიემ, შიმშილმა, სისუტემ, გაუსაძლისმა წყურვილმა ერთად შემომიტეს.

კვლავ მემის ჩექმის ყელზე დაცემული წვეთების წკაპაწყუპი, მაგრამ იმის თავი სადა მაქვს, მივწვდევ და პირი გავისველო.

ტურებს ისევ ვაცმაცუნებ, როგორც სიზმარში. წვეთები კვლავ მეციმა ბაგეებზე, სახეზეც... მართო სახე კი არა, მგონი, სხეულიც მიხველდება...

წვიმს, წვიმს... ნამდვილად წვიმს...

გამოდის, რომ კაშმარამ სიმართლე მოთხრა?..

იქნებ მართლა ორმოში ვგდივარ?..

მეკრღვე დამხობილი მაჭლაჭუნა კვლავ მბოჭავს, მაგრამ ისე ღონივრად ვეღარ. ეტყობა, ისიც დაიღალა, ძალა მიელია.

მტანჯველი მღუმარების ერთფეროვნება კი ისევ სახარობელას ყულფივით მიჭერს ყელში.

აბეზარი უკუნეთი ავბეღითად მიმჭერს თავლებში.

„თუ არაფერი ვიღონე, დავიღუპები...“

ხის ფეხს ჩავეჭვიდე, თავის წამოწევას ვცდილობ, არაფერი გამოდის.

ნოტიო მიწას ავჯანში არტახებით შებოჭილი ჩველივით ვუკვარ ჩახუტებულნი. არ ვეთმობი, არ მიშვებ...

გამიშვი, გამიშვი, გამიშვი... — ვჩურჩულებ გუნებაში.

მიწის დახშული მღუმარება ბანგივით ედება აქაურობას...

სიცოცხლე და სიკვდილი მხარიმხარ მიწვანან. რომელიც იმძლავრებს, იმას დავრჩები ნადავლად... ჰო, რომელიც იმძლავრებს...

„თუ არაფერი ვიღონე, დავიღუპები, მაგრამ, რა ვიღონო?..“

მთელი ჩემი აზრი და ფიქრი, გულის იღუმალი ძახილი და სიკვდილ-სიცოცხლეს შორის სცემს ბოლთას.

ფიქრთა დაუსრულებელ ჰილილში, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიგანა სიკვდილმა, რამდენჯერ დაეუხსლტი ბრჭყალებიდან და სიცოცხლეს ძალისძალ მივეტმასნე.

სადაც, ზემოთ, თვალსაწიერის ასწვრივ, დაბილულ წრეში კუბრით ღამე თითქოს გახუნდა, გაფერმქრთალდა. ცოტა ხანიც და, დაბილული წრის კონტურებიც აშკარად გამოიკვეთა ხის ტოტებად, წვრილ-წვრილ დეროებად, წიწვებად...

ხახხასა სიმწვანეში მომწყვედულ სივრცეში თანდათან ნაცობი ფერი ეღებოდა. ეს ფერი ნაცობა-ნება მეღვრება თვალბეში და მე ბავშვივით ასლუკუნებული ვიძახი:

— იმგლიფერა, პაპა, იმგლიფერა!!!

ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, ორმოში ვარ.

ჩემ ზემოთ მწვანე ჩარჩოში მოქცეულ ზეცის მონაკვეთს სულ უფრო მეტად შეეპარა სინათლე და ვანიტადის მოკრძალებულმა შუქმა ორმოშიც ჩამოაღწია.

ჰოი, რა უსუსურია ადამიანის გული. ეწყინება რამე კაცს, გული მისდის, გაუხარდება და მძიმე განცდა ისევ გულს აწევბა ტვირთად.

გრძნობა ისევ დავკარგე, ეს მაშინ, როცა სიცოცხლემ თითქოსდა საიშელოდ ჩამხედა თვალბეში და სულ ცოტა რამდა იყო საჭირო, რომ სიკვდილის მარწუხებიდან თავი დამეღწია ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ზეცის ნაცობი მონაკვეთი მეწამულისფრად შედებოდა. ცივი შვის ცივი სხივები მაშველი თიკე-ბივით ჩამოშვებულყო ორმოში.

— ამოდი, ამოდი, ამოდი! — კვლავ ჩამხემის იღუმალი ძახილი.

— განა მე არ მინდა საშეოზე ასვლა, მაგრამ როგორ?

„თუ არაფერი იღონე, დაიღუპები“, — მაფრთხილებს ვიღაცა.

კაკ-კუკ, კაკ-კუკ... — ყრუდ ჩამხემის სადღაც, შორიდან. ნეტა კოდალაა თუ მეტყვევებ? — ვეკითხები ჩემს თავს. ამ გაგანია ოში მეტყვევსა და კოდალას ნეტა აქ რა უნდა! — პასუხს თვითონვე ვიძლევი.

„მეტი გზა არ არის, მაშველს უნდა მოვუბნო როგორმე...“

— ჰეეე, ჰეეე... გაგუდული ხავილი ამომდის დახშული ყელიდან, სხვის ხმას უფრო მიაგავს. „ალბათ, ამგვარად უხმობენ წინაპრებს სიკვდილის წინ...“

— ჰეეე, ჰეეე, ეეე, ჰეეე!.. — დროგამოშვებით ისევ ვიმეორებ და, ვატყობ, წამომახილი თანდათან ჩემს ხმას ემსგავსება.

კარგა დრო გადის.

რალაც ფაჩიფუჩი ჩამხემის...

ორმოში შუქი კლებულობს...

მგონი ვიღაცებმა ჩამოიხედეს!.. ცხადია თუ სიზმარი?..

ხორკლიანი კეტი ეშვება ორმოში და მეკრღვე მეტყინება...

იმის თავი სადა მაქვს, ჩავეჭვიდო და ზემოთ ავბობდევ...

ცოტა ხნის შემდეგ ორმოს თავზე წყვილი ჩექმა ჩამოეყუდა. ქუსლებზე გვერდულად მიკრულ რკინის საცვეთებს ლაბლაპი გაუღის.

მერმე კიდეც ორი ჩექმა ჩამოსრიალდა...

ვიღაცები ციმციმ მწყვეენ ზემოთ...

ერთი სული მაქვს, დავინახო, ვინ არიან...

მკვეთრი სინათლე ცოფიანი ძაღლივით მიდგერა სიბნელენაჩვევ თვლებში, ჭერ თვალთა ჩინი დამიხშო, მერმე გონება...

●
თვალი რომ გავახილდე, ქათქათა სითეთრემ მომკვეთა მწერა.

პირზე დოღბანდაფარებული სანდომიანი ასული თავს დამდგომია. მიღიმის.

სიფრთხანა დოღბანდის ქვეშ ბაგეებს აკვარა იუმის კედელს მობჭენილი თევზის დრუნჩივით აცმაცუნებს. ეტყობა, რაღაცას მეუბნება, მაგრამ რას, ბაიბურში არა ვარ.

— სად ვიმყოფები?.. — მისუსტებული ხმით ვკითხვები.

— ჰოსპიტალში.

— რა თვეა?

— მაისი.

— რიცხვი?

— სამი.

— რა გქვიათ?

— გაჩუმდით, თქვენთვის ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, ბევრი სისხლი გაქვთ დაკარგული. ჭერ სიცხვეც არ გამოგნელდებათ. დამშვიდდით, დაიძინეთ და, როცა მოლონიერდებით, მაშინაც მოვასწრებთ ერთმანეთის გაცნობას...

მესამე თუ მეოთხე დღეს, ბალიშზე თავის წამოწევის ნება რომ მიწუალობეს, ფეხები იატაკზე გადმოვიტანე და წამოჭლომაც დავაპირე. ლარისა იმწამსვე ჩემთან გაჩნდა, სიმკაცრე გაერა ხმაში:

— ხომ გითხარით, არ შეიძლება, დაწეკითი დავემორჩილე.

მაჩაზე ხელი მომკიდა. ბანგივით მათრობელა ურუანტელმა დამიარა. რაღაც უჩვეულო, ძალიან მომეცემი ნეტარი სითბო იბულებდა ჩემში.

— ამ კეთილ ფერიას უმაღლოდ შენს გადაჩენას, ლეიტენანტო, — მეუბნება პალატის ექიმი ვერა სოლოვიოვა, — სისხლის გადასხმა რომ დაჭირდა, ლარისას ვერავინ დაასწრო... ასე რომ შენს ძარღვებში მაგისი სისხლიც ურევია...

ლარისა სულ ახლოს მოდის ჩემთან, მხარზე ხელს მადებს, მაკვირდება და დანადვლიანებულნი მეკითხება:

— ასე ახალგაზრდას, ოცი წლისას, საფეთქლებთან ჰქვიათ რამ გაგიჩინათ?

— არ გიკვირთ, სულ რომ არ გავეთვრიდი?.. იმ დღეს, — ცხრა მაისს, — შეიქმლოთ თუ არა, ყვარაჩენიანებმა თუ უყვარაჩენებმა ჰოს-

პიტლის ეზოს მიაშურეს. პალატა თითქმის ცარიელდა.

მეც ამიყოლიეს.

ახლადებიანებულ მოღვე- დავსხედით, ზოგიერთებმა ძირს გაფენილ პირსახოცებზე სახელდახელო პურ-მარილიც გააწყეს.

გამარჯვების დღის საღებგრძელოს, ვინც როგორ მოახერხა, ისე ვსამდა, ზოგი სასმელით, ზოგნიც უთმისოდ.

იყო ერთი ქულების სროლა, ზვევან-კოცნა, ზარზემიძი...

ავდექი, იქვე, ხის ძირს მივეყრდენე, სიამაყით ვუმწერ მოწვიმეთ.

ვილაც ოფიცერი უცებ შეცბუნებულივით გამოეყო ერთ ჭგუფს, ჩვენს შორიანლოს რომ მოეყარა თავი.

მაკვირდება. მერმე ზღვის დინებასავით ხან წინ წამოვა, გაუბედავად გადმოალაქებს, ხან უკან-უკან იხევს ბარბაცით..

„სასმელი თუ მოეკიდა ნადარევად“, — ვფიქრობ.

ახლოს მოდის, საჩვენებელ თითს მკერდზე მაბჭებს...

გადაფითრებულს, უბა ოდნავ გვერდზე მოქცევია. ნიკაპი უცახცახებს. მთელი სხეული უთრთის. ხედები ციებ-ციხელებიანივით უკანკალებს, ყელში ჩაბრუნებულ სათქმელს, როგორც იქნა, თავს უყრის:

— ბიჭო, მოჩვენება ხარ თუ სინამდვილე?.. ეს როგორ, საიდან... აქ რამ მოგაყვანა... აი, ამ ხელებით გავაწყე შენი სასაფლაო სოფელ ემლეცის შუაგულში... გესმის?!. წითელ ვარსკვლავთან პირადობის მოწმობიდან ამოხეული შენი სურათიც მივაწებე... ქულები მოვიხადეთ... ავტომატები ზეცას მივაშვირეთ, დისკოები დავცალიეთ... შენ კი აქ... — მღელვარებისაგან ენა ებმება.

არკადი მორაოვოვი იყო...

გადამეხვია, სახე მხარზე დამაყრდნო; მხრის-თავზე სისველე ვიგრძენი. მეც ამიწყლიანდა თვალები.

— სასაფლაო?! — გაოგნებული ვიმეორებ.

— ჰო, ჭარისკაცთა დაფლეთილ გვამებთან შენი ავტომატი და პლანშეტი ვიპოვეთ, ჰოდა, რაღა მარჩიელობა გვინდოდა? მხედრული პატივითა და ღირსებით წეის აგიგეთ... აი, საოცრება, სასწაულზე სასწაული... თურმე, სიცოცხლეს სიკვდილივით სჩვევია აფართხლებდა, კულის მოქნევა...



პოეტური კუთხით ჭვრეტის მოთხოვნილება თან სდევს თ. ხმალიას უველა მოთხრობას. ეს თავისებურება განსაკუთრებით კარგად ჩანს მის ერთ მოთხრობაში „სისხლი“. უველა სოფელში თითო ჰამლეტი მაინც ცხოვრობს, მაგრამ იმათგან ერთეულებს თუ შეუძლიათ მისი ტვირთის ბოლომდე წიღვა.

არ აპირებს ფეხის მოცვლას ცის უფსკრულებიდან დაშვებული დამე. კბილებით ებღაუბება კლდის ნაპრალებს, ზეხება და ბალახებს ჩაჭვრენია, არ ეთმობა საბრძანებელი.

ვერაფერს შეტყენს, თორღვავ, არწივის მხრები, ვერც ეს ნაცრით სავსე ტომრები. ფშავი გაკვირვებული უფროა, ვიდრე შეგირვებული ამ უცნაური ბეგარისგან, მაგრამ ვერც ამას მოგათმენს დიდხანს.

რას ეძებ, თორღვავ, რას? მე გეტყვი მაშინ: ჩოთას მგვარტლიან ისარს ეძებ ბებებშია გაყრალს. მაღლიანია ის ისარი, ზეგსურეთსაც დასვენებს და ფშავსაც, შენც დაგასვენებს და შენს ტანში დაბინადრებულ ვეშასაც.

იელოვანი გადაწითლდა შენი დაუცხრომელი სისხლით. ესლა დაცხრება!

სხვე სისხლი, სისხლი. როდის ამოსუნთქავს შევით ცოდეილი მიწა.

საუკუნეებს გადმოუარა ანაკვირჩხლებულ ლეგენდებში შეფუთულმა შენმა სახელმა და დღესაც გვიფორიაქებს სულს. გვეყო, დაგვახვენე, დარჩი შენს დროსაში.

ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ამაღლებული, ხაზგასმული პოეტური სტილით იყო დაწერილი სხვა მოთხრობებიც. ფრაზის ამგვარი უღერადობით და პოეტურ სინტაქსთან გამორჩეული სიახლოვით იგი ცალკე დგას მიელ კრეულში, მაგრამ სხვა მოთხრობებშიც აშკარად ჩანს ლტოლვა ფრაზის პოეტურობისაკენ.

როგორც ვთქვით, „სისხლი“ მაინც ხაზგასმულად პოეტური სინტაქსით არის დაწერილი (იქნებ ამიტომ იგი მაღალფარდოვანიც კი მოეჩვენოს მკითხველს). სხვა მოთხრობების ენა უფრო სინთეზური ხასიათისაა — მეტაფორულ, პოეტურ მეტყველებას ხშირად ენაცვლება სადა, მშვიდი, დარბაისლური თხრობა.

თ. ხმალიას მოთხრობების მთავარი გმირი, შეიძლება ითქვას, ქართული სოფელია. ისეთი სოხბეჭდილება იქმნება თითქოს უველა პერსონაჟი ამ ერთ სოფელში ცხოვრობდეს; ამ ერთი სოფლიდან იყოს...

მისი სოფელი არ არის იდილიური, პასტორალური სიმშვიდით და ჰარმონიით გაჭერებული გარემო, სადაც უდრტივინელი, აუმღვრეველი ყუფა მკვიდრობს. ეს სოფელი ქრეთის, ხმაურიათი, მაგრამ ამავე დროს რაღაც შინაგანი ტკივილით და ნადველით არის სავსე, ძნელი სათქმელია, საიდან მოდის ეს ტკივილი, ეს თანამდევე ნადველი. იქნებ სოფლიდან წამოსული კაცის, მიწას მოწყვეტილი კაცის

ნოსტალგია იგი? არა მგონია მარტოოდნ მწერლის სუბიექტური განწყობილება აწარდობდეს ამ ტკივილს. იგი უფრო ღრმა, ზოგადი, ფესვისმირი ჩანს...

თ. ხმალიას სოფელი თითქოს ორ დროში ცხოვრობს ერთდროულად — აწმყოსი და წარსულში. ისტორიული ბედ-იბაბი ქართული სოფლისა, მისი წარსული — ვაების, სისხლის, პარტახის, აკლების უამი, მისი ტკივილიანი ბიოგრაფია არც აწმყოსი სტოვებს მწერალს. სხვადასრეს წარსულისა მარად მასთანა და ტკივილიც აქედან იღებს სათავეს...

გავიხსენოთ მოთხრობა „ორნი ღუმელთან“. პაპა და შვილიშვილი მარტო დარჩენილან. ზამთარია. გარეთ თოვს. დედ-მამის მოვლამდე როგორმე რომ შეიქციოს. პაპა ათასგვარ ამბებს უყვება ბიჭს, მათ შორის გოჩიბისა და ბარამის მეგობრობის ამბავსაც. ბრძენმა პაპამ კარგად იცის, რომ ამ ამბით ბიჭს მეგობრობის, ვაჟკაცობის, კაცურკაცობის პირველ გაკვეთილებს აძლევს. იმასაც ახსენებს ბიჭს თუ ვისი გორისაა, ვინ იყვენ მისი წინაპრები, რა მრწამსით და სინდის-ნამუსით ცხოვრობდნენ. პაპის მოთხრობილმა ამბავმა წარსულსა და აწმყოს შორის ხიდი გასდო. ამ ხიდზე უნდა გადაიაროს ბიჭმა, რომ დაკაცდეს, დავაჟკაცდეს, ისე რომ თავის ფესვებს არ მოსწყდეს, ჭიშხა და ჯიღავს არ უგანოს.

წარსულის სხოვნა მასწავლებელი, მეგზური და აღმზრდელია. ადამიანს რომ თავისი ქვეყნის წარსული წაართვა, ეს იმას ნიშნავს, საყრდენი გამოაცალო ფეხქვეშ. ეს კარგად იცის პაპამ. დრო გაივლის და ამას პატარა ბიჭიც მიხვდება. ის დღეც დადგება, როცა ახლა ის გადაატარებს თავის შვილიშვილს იმ ხიდზე, რომელიც წარსულსა და აწმყოს მომავალთან აერთებს.

„როდესაც ბუნება გადაწყვეტს შენს დაბადებას, ამ ქვეყანა უმიწოდ და უაწროდ არ მოგავლენს. ადგილი თავიდანვე აქვს ჩაეჭირებული შენთვის და დანიშნულებაც. შენ ამ ადგილის მოძებნა გვეალბება. ეს ნიშნავს, საკუთარ ბედნიერებას მიაგრო“ — ამბობს მწერალი მოთხრობაში „გზა“, რომელიც ერთგვარ ლოგიკურ კავშირშია ზემოთხსენებულ მოთხრობასთან. აქაც ადამიანის დანიშნულების, მისი ცხოვრების უმთავრესი აზრის ძიებაზე ფიქრია წინ წამოწეული. თუ პირველ შემთხვევაში ბიჭს გონიერი მოძღვარი ჰყავს პაპის სახით, მეორე მოთხრობაში ახალგაზრდა კაცი თვითონ, დამოუკიდებლად ცდილობს მოძებნოს თავისი ადგილი, თავისი ბედნიერება, ამქვეყნად თავისი მოვლინების გამართლება და დანიშნულება. მოთხრობის გმირს, წუნობრივად სუფთა, ყოველგვარ უმსგავსობას დაპირისპირებულ პიროვნებას ერთი ნაკლი აქვს: უკეთურობასთან შეგუება არ შეუძლია და აქედან

იღებს სათავეს ის უსიამოვნებანი, რომელიც განუწყვეტლივ თან სდევს. ხანდახან ძალიან უჭირს მას: „არ ჭონდა გარაუში დავაბედულ-ოყავი, ავტობუსი ვიქნებოდი, ჩემი საქმე მე-ცოდინებოდა“ — ამბობს იგი, მაგრამ ასეთი სკეპტიციზმი წამიერი ვალგატეხილობის ნი-შანია მხოლოდ, რომელიც მალე გაივლის და იგი ისევ ჭიუტად გააგრძელებს გზას, რომელიც საკეთისკენ, სინათლისკენ, მშვენიერების-კენ მიიღს.

ძნელია და რთული ეს გზა. ადამიანობაც ძა-ლზე მძიმე ტვირთია და ამ ტვირთის პატიოს-ნად ზედვა ყველას არ ძალუძს... ადამიანი კი მხოლოდ მაშინ რჩება ადამიანად, თუ ამ სიმ-ძიმეს გაუძლებს, დასძლებს, არ შეუშინდება... მხოლოდ ასე შეიძლება ბედნიერებას მივაგნო, ბედნიერებას, ანუ საკუთარ თავს, საკუთარ სიმაართეს...

შეიძლება ბედნიერებას მართლაც მივაგნო, მაგრამ ვერ მიხვდეთ, რომ სწორედ ესაა შენი ბედნიერება. ვერ მიხვდეთ და ხელიდან გაუშვებ. მხოლოდ გვიან, დიდი ხნის შემდეგ, იგრძნო, რა შეცდომაც ჩაიდინე... მაგრამ უკვე გვიანია: — ბედნიერებას ერთი უცნაური თვისება აქვს — უკან დაბრუნება არ ჩვევია!

დაკარგული ბედნიერების გამო, გამოუს-წორებელი შეცდომის გამო, მწვარე სინანულს შეუპყრია თემო („კიდევ ერთი შემოდგომა“) კაცი, რომელსაც შვიდი გრძელი წელიწადი და-სჭირდა, რომ მიმხვდარიყო, თუ სად იყო მი-სი ბედნიერება. და, აი, შვიდი წლის შემდეგ, იგი საყვარელ ქალთან ბრუნდება, იმ ქალთან, ერთდროს ასე დაუფიქრებლად და გაულბა-რილად რომ მიატოვა. დაბრუნდა, მაგრამ ის შვიდი წელი ყინულის კედელივით აღმართულა მას და ქალს შორის. ორჯერ გაულით სწადია გააღლოს ყინულის კედელი, მაგრამ ამის გა-კეთება მათ ნება-სურვილს ადემატება. უღმობ-ბელმა დრომ თავისი გაიტანა. ბედნიერებამ ჩაიარა და მისი უკან მობრუნება შეუძლებე-ლია.

ორიოდ სიტყვა თამაზ ხმალიძის მოთხრო-ბების არქიტექტონიკაზე. მისი მოთხრობების უმრავლესობა მოზაიკური წყობისაა: შორეუ-ლი ასოციაციები, დანაწევრებული, დაფანტუ-ლი დეტალები და ფრაგმენტები, რომლებიც ერთმანეთთან ფარული, უხილავი ძაფებითაა შეკავშირებული. თხრობის ასეთი განტოტეუ-ლი დინებები საბოლოოდ ერთი მთავარი სათქ-მელის გარშემო იყრის თავს, მაგრამ ეს რომ მო-ხდეს, აუცილებელია მკითხველის აქტიურობა, მკითხველის აქტიური ჩართვა, მისი თანამონა-წილეობა თხრობის პროცესში, რომ მან თვით-ონ შეძლოს ამ ერთი შეხედვით ქაოსურად გაფანტული დეტალების ერთ მთლიანობაში შეკვრა.

ხასიათების ხატვის გაწაფულ ოსტატად წა-

რომელიც თამაზ ხმალიძე მოთხრობებში: „გაბო“, „ნასყიდას ვატერლო“, „რიკუტაში“ აივანზე“. ეს სამი მოთხრობა დანარჩენთაგან იმითაც არის განსხვავებული, რომ მათში მწე-რალი თხრობის ტრადიციულ, ნაცნობ გზას მისდევს. თუ პირველ მოთხრობაში („გაბო“) მიხეილ ჭავჭავაძის მოთხრობების შორეული გამოძახილი ისმის (რასაც ნაკლად სრულები-თაც არ ვუთვლი ავტორს...), მეორე და მესამე მოთხრობა უფრო კოლორიტული და თავისთა-ვადი მეჩვენა.

უფრადლებას იქცევს ამ მოთხრობების ენა: მსუყე, ძარღვიანი ქართული, ალაგ-ალაგ კახუ-რი დიალექტიდან წამოდებული სიტყვებითა და მოსწრებულ გამოქმედებით ზომიერად შეხვე-ბული. ამ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს მწე-რლის სურვილი უხვად შემოუშვას ლექსიკაში სალიტერატურო ქართულისთვის ნაკლებად ცნობილი სიტყვები, ზომიერად გამოიყენოს ფოლკლორული მასალა.

თამაზ ხმალიძე ამ მოთხრობებით კიდევ ერთ კარგ თვისებას ამჟღავნებს — ესაა იუმორის დახვეწილი გრძნობა. მისი იუმორი მეტწილად ხალხური იუმორით არის ნასაზრდოები. პერ-სონაჟთა მეტყველება მოზომილი, დარბაისლუ-რი იუმორით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით გამოირჩევა. აი, რამგორ კენწლას თამრო ბე-ბო იასეს, რომელსაც თურმე ბევრი ძილი ყვა-რებია: „ჩვენს ძველებს უთქვამთ: ძილი მქონ-და უყვედური, იმან გამახდა უბედურიო. შენ ღმერთმა საკეთე მოგცეს და ბევრ ძილითაც არა ყრია რა, მართო ნესვი იზრდება წოლითა“. აზ-რიანი, ღრმა ქვეტექსტით და სიბრძნით გაჯე-რებული მოსწრებელი სიტყვა, ელვარე იუმორი ბევრჯერ შეგხვდება ამ ნაწარმოებებში.

ორი პლასტი, ორი ხაზი, ორი მიმართულება შეიმჩნევა თამაზ ხმალიძის შემოქმედებაში: ერთი — ლირიკული, მეორე — ყოფითი, ერთი ტრადიციული თხრობისკენ მიდრეკილება, მეო-რე, ფრაგმენტული, იმპულსური მოზაიკური წყობა. თხრობისა, მე ვერ გამოვდგები იმის მრჩველად თუ რომელი გზა უნდა აირჩიოს მწერალმა. იქნებ ორივე პარალელურად განვი-თარდეს მის შემოქმედებაში, იქნებ ისინი არც უშლიდნენ ხელს ერთმანეთს. ვერც იმას ვიტ-ყვით, სად უფრო ძლიერია იგი, დრო გავა და ამას მწერალი თვითონვე მიხვდება და არჩევან-საც თვითონვე გააკეთებს. ერთი რამის თქმა-კი თამაზად შემიძლია: ამ მოთხრობებში აშკა-რად ჩანს ნიჭიერი, დაკვირვებული მწერალი, ამ მოთხრობებში ისიც ნათლად ჩანს, რომ მათ ავ-ტორს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია; ჩანს პოეტიცია, ნიჭიერება, რომლებსაც მწერლის შრომისმოყვარეობაც და მეტი მწერლური სი-თამამეც უნდა დამატოს, რომ მისი შესაძლებ-ლობა სრული სახით წარმოჩინდეს მკითხველის წინაშე.

პასხტანტ ხარჩილპაპა.

ინგა ქარაია

გზიური ქვეყანა

გზიური წერეთლის გრაფიკულ ძეგლებში განსხეულებას პოეზიას ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციანი წლების დასაწყისში ჩვენს ცხოვრებასა და მხატვრულ-სახეობრივ აზროვნებაში მომხდარი გარკვეული ცვლილებები, რამაც განაპირობა ბევრი აღიარებული შეხედულების გადაფასება, კონცეფტუალისტური თუ ესთეტიკური (ხასიათის მიგნებები, პრიმიტიული სიხატების შეტანა თემატიკასა და პრობლემატიკაში, გარემომცველი სინამდვილისა და ხელოვნების ამა თუ იმ უანრისადმი დამოკიდებულებაში. მხატვრის ინდივიდუალური მსოფლშეგრძნებით გამოჩრჩეული შემოქმედება ანალიტიკური ძალით შეიმეცნება ობიექტურ სინამდვილეს, ხოლო სამყაროებში პოეტური საწყისის მარადიულობის, მის საკრალურ მნიშვნელობაში წვდომის სურვილი განსაკუთრებულ ემოციურ ხმანობას ანიჭებს თითოეულ გრაფიკულ ფურცელს.

გოგი წერეთელმა 1970 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი (ლადო გრიგოლიასა და ლადო ქუთათელაძის კლასი). შემოქმედების პირველ წლებში შექმნილი ნამუშევრებშივე (დიპლომი — ლინოგრაფიურების სერია „გურია“) მკაფიოდ გამოიკვეთა ხელოვანის მხატვრული პოზიცია — ლირიული, რომანტიული შეფერილობით გახსნას შინაარსის მხრივ განსხვავებული მოტივები, შექმნას მუდმივად ცვალებადი სამყაროს განვითარებადი სურათი, გვაგრძნობინოს მისი რიტმულობის კანონზომიერება, დაგვანახოს აწ გარდასულისა და მერმისის განუწყვეტილი „სივრცობრივი კავშირის“ სიმშვენიერე, ის ილუმინალი და შეუცნობი, რომელიც ადამიანებს შთააგონებს მარადიული სიყვარულის სიმღერას, აძლევს სულიერ საზრდოს ოცნებისა და აღმავრუნისათვის.

მხატვრის მოქნილი ხაზის უღერადობა მუსიკალური, პოეტური ასოციაციებით თხზავს თითოეული ნაწარმოების სტრუქტურას. კართული გრაფიკული სკოლისათვის ნიშანდობლივი და-

ხვეწილობა შერწყმულია ორიგინალური სახეობრივი აზროვნებით გაჭერებულ ხედვასთან; ლითოგრაფიის მასალა კი სირბილესა და გამომხახველობას მატებს გრაფიკულ კომპოზიციებს, ფართო გასაქანს აძლევს შემოქმედისეულ ფანტაზიას (მხატვრის ხელი ზოგან თითქოს ჰაეროვნად ეხება მასალას და ქმნის მჭრქალ, გამჭვირვალე გრაფიკას, ზოგან ძლიერი, მკვეთრი პლასტიკური ხაზით, მუქი დეკორატიული ლაქებით იმერწება ფორმა, ხშირ შემთხვევაში კი მსუბუქი და მყარი ხაზების ჰარმონიული მონაცვლეობით იკვეთება შთამბეჭდავი მხატვრული სახეები). გოგი წერეთლის გრაფიკის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია განუწყვეტილი, სისხლმორცეული კავშირი მშობლიურ მიწა-წყალთან, მის თვითმყოფად ბუნებასთან. რა ხასიათისაც უნდა იყოს ნახატი, რა შინაარსიც უნდა მქონდეს საფუძვლად, ამოსავალი წერტილი, რითაც კომპოზიციას ეძლევა დასრულებული სახე, არის პეიზაჟი; მაგრამ არა კონკრეტული ხედი ამა თუ იმ ადგილმდებარეობისა, არამედ განზოგადება, ნაკრები ზუსტი დაკვირვებებისა, ფსიქოლოგიური დამოკიდებულებებისა, უმეტეს შემთხვევაში, განცდებისა და შთაბეჭდილებებისა.

გოგი წერეთელი, როგორც წესი, დაზგურ გრაფიკაში მუშაობს დიდი ციკლებით, სერიებით, რაც მას საშუალებას აძლევს სრულად გახსნას ნაწარმოების დედააზრი. გრაფიკოსი მამართავს ჩვეულებრივ, ტრადიციულ თემებს, მაგრამ ამ ჩვეულებრივობაშიც ნათლად ჩანს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, უნარი — სულიერად აითვისოს სინამდვილე, მხატვრულად დააკონკრეტოს ცნობიერი ფაქტები და ქვეცნობიერი იმპულსები. მხატვრის შემოქმედებაში ჭარბადაა პოეტური რემინისცენციები, კონტრასტულობით გამოწვეული ეფექტები, რომლებშიც პეიზაჟი, ფიქრი, განცდა ორგანულად აზიან შერწყმული, ერთმეორეს ავსებენ და ამდიდრებენ. გრაფიკული ფურცლების პერსონაჟებად გვევლინებიან არა კონკრეტ-



ტული საგნები ან ადამიანები, არამედ სამყარო, რომელსაც ისინი აწვავდებენ. სწორედ ფილოსოფიურ ლირიკასთან შეინფერტებული ადამიანისა და ბუნების მარმონიული ერთიანობა, მათი ურთიერთმიმართების მრავალწანავოვან ნიუანსებში წვდომა განსაზღვრავს გაცივრეთლის შემოქმედებითი აზრის ძირითად ხაზს (ლითოგრაფიაში „მხატვარი“ თითქოს ვაცხადებულა ანა ხელშეიხსნეული კრედი, ხაზგასმულია შემოქმედითი ადამიანის დამოკიდებულება მუდმივად ცვალებადი სამყაროს — ხეების, ბუჩქების, ყვავილების, ფოთლებისა და სხვათა მიმართ, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი, მეტყველნი და მგრძობიარნი არიან. კომპოზიციაში „სახალაო“, რომელიც ძველქართული ოჯახური ფოტოგრაფიის ასოციაციას იწვევს, პერსაჟური გარემო პიროვნებათა დახასიათების საშუალებას იძლევა და უფრო მათ ცნობებს გვაწვდის მისიუტებზე, ვიდრე მათ პორტრეტული გამოხახულება. გრაფიკულ ფურცელში სერიიდან „ჩემი მეგობრები“ ორი გარემოს ურთიერთდამოკიდებულება ხაზგასმული: ფანჯრის რაფაზედ ქმნილად განლაგებული საგნები მხოლოდ და მხოლოდ ოდნავი მინიშნება ოთახისეულ სამყაროზე, მთელი ძირითადი მოქმედება კი მიმდინარეობს გარეთ, სადაც ყოველივე ახლადგამოვლიძებული გაზაფხულის სურნელით სუნთქავს; ხოლო ლითოგრაფიაში „ადამი“ ოთახისეული სამყარო ჭარბობს, მაგრამ იგი ვანუყოფელია დამის პერსაჟისაგან — მუქ ფონზე გამოკვეთილი ცხენის თეთრი ფიგურა, მთვარის შუქის ანარკელი ყვავილის ქოთანზე, თვით ნახატის ტონირება სიმშვიდის, ვაწონასწორებულობის განწყობილებას ხაზებს. პერსაჟი და ნატურმორტს აერთიანებს სურათი „დილა“, რომელშიც ასახულია არა მარტო ადამიანისა და ბუნების ერთიანობა, არამედ ყოფის ის განსაკუთრებული დრამატიზმი, მოვლენის ის მრავალმხატვარბურთა, რაც თვით ადამიანთა ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

სიმბოლოების, აქსესუარების შერჩევასა და გამოყენებაში გოგი წერეთელი დიდ მრავალფეროვნებასა და ოსტატობას ამჟღავნებს. მის გრაფიკაში უხვდაა წარმოდგენილი და თავის დანიშნულებაში მუდამ ხალხლოვად ასრულებენ, როგორც ჩვეულებრივი, ტრადიციული, ასევე იშვიათი, მეტწილად რთული შედგენილობის მოქნილი, ხატოვანი სიმბოლოები, და ყველა შემთხვევაში მათი არსებობა მხატვრული აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ნამუშევართა უმრავლესობაში გამორჩეულ პერსონაჟებად ხეთა ფოთლები და რტოები გვევლინებიან, რომლებიც თითქოს ადამიანური განცდებისა თუ ფიქრების თვითმხილველნი და მრავლის გადამტანნი არიან. ავტორი მათი საშუალებით გვესახუბრება ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენასა და შეგრძნებაზე. ხეთა ფოთლებს შორის იკვეთება ადამიანებისა და ცხოველების

ფიგურები, შენობების კედლები და სახურავები, იშლება მთებისა და მინდვრების პანორამები, ნიშანდობლივია, რომ ბევრ შემთხვევაში სიმბოლოვად ხშირ შემთხვევაში ცხენი გვხვდება, რომელიც ყოველთვის ჭადოსნურ გარემოში იმყოფება და ამ გარემოს შექმნის ხელშემწყობად გვევლინება, ამასთანავე ნამუშევარში განსაკუთრებული, მხოლოდ გოგი წერეთლისთვის დამახასიათებელი ლირიზმი შემოაქვს.

მხატვრის გრაფიკული ფურცლები ერთი და იგივე სამყაროს განცუფუნებიან, ერთი და იგივე სუბსტანციიდან არიან გამოძერწილი, თუმცა ერთი მეორისგან განსხვავდება ცხოვრებისეული სინაღვლის მძაფრი, შეუნუნებელი რიტმის გადმოცემით; იმ პერსპექტივის განცდლით, რომელიც შემოქმედისავე მხოვლშეგრძნებისთვისაა დამახასიათებელი — წარსულისა და მომავლის მარმონიული ურთიერთგავსების განსხვავებული ასპექტით რომ თერმოგვედგის გრაფიკოსის სულის მოძრაობას. გოგი წერეთლის შემოქმედებაში რადენიმე პერიოდის გამოყოფა შეიძლება, რაც თავის მხრივ, განვითარების ახალ-ახალ, მრავალწანავოვან სტადიებს გავლის. მხატვარს ძალუქს ერთდროულად შეასრულოს განსხვავებული აზრისა და გრაფიკული ამოცანის მქონე კომპოზიციები, რომელთაც თვითონ ერთგვარ შემამაადებელ პერიოდად მიიჩნევს, თუმცა ისინი დამოუკიდებელი უღრმეობის დასრულებულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. ნაირგვარი სახვითი ხერხების გამოყენებით შექმნილი გრაფიკული ფურცლები მუდმივი ძიებების, ექსპერიმენტების ნათელი შედეგია და ამავე დროს, თითოეულ ნამუშევარში შენარჩუნებულია უღრმესად ლაკონური, პოეტური მხატვრული ენა, რის გამოც ისინი ლირიულ მინიატურებს მოგვაგონებენ, და როგორც ლექსებს, მათაც აერთიანებთ არა გარკვეული თემა, არამედ შინაგანი რიტმულობა. სახლების, ხეების, ზღვის ზემოთ განათებულ სივრცეში მოფარვატე შემოადგომის ფოთოლი წამით შერჩერებულა, თითქოს უქანასქენლად გადმოპურტებს არემარეს, ემშვიდობება ქვეყნიერებას, და ეს წამიერი გარინდება გაურკვევლი ბედისაღმდეგ, სვედასინ ერთად წარსულის ტქილმწარი მოგონებებსაც იტევს. ჭადოსნური ფრინველი და თეთრი ცხენი, ძველებური ღარნკი მინდვრის გამხმარი ყვავილებით და ზღვაზე მფრინავი თოლიებით, მეოცნებე გოგონა და ფერადოვანი ცისარტყელა, ხეთა რტოები და მრავალფეროვანი პერსაჟური მოტოები — ის პოეტური მეტაფორებია, რომლებიც ასოციაციური აზროვნებით გამორჩეულ ნატიფ გრაფიკას ქმნიან.

მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნამუშევრის სტილს, ენობრივ ქსოვილს, ხაზის ინტონაციას, ტონალობასა და ნახატის სტრუქტურის შესაბამისობას. გარდა ტრადიციული



შავ-თეთრი ლითოგრაფიისა, ხშირად მის ნაწარმოებებში დომინირებს თბილი მომწვანო, მონაცრისფრო-მოფერცხლისფრო, მოყვანისფრო, მოლურჯო-ციცფერი ტონები; ფერადი ტონირება გრაფიკის საშუალებას აძლევს გააძლიეროს სურათის ემოციური უდრეადობის დაბაზონი, რის შედეგადაც ისინი სულ სხვანაირი კუთხით, სხვა განწყობილებით წარმოჩინდებიან მხანკელის წინაშე. გოგი წერეთლის ინტერესი ფერისადმი არ არის შემთხვევითი. მის სახელოწამო ინახება შერბული ტექნიკით (გუაშითა და აჭვარლის საღებავებით, ზეთის მასალაში) შესრულებული რამდენიმე ნამუშევარი, რაც გრაფიკის-მხატვრის მიღობი ფერწერულ შეაძლებლობებზე მიგვანოშნებს. უკანასკნელი წლების კომპოზიციებში განცდის უშუალობა, შთაბეჭდილებათა სიახლის გრძნობა ვლინდება (გუაშის ტექნიკა). ფაქონი მოცერცხლისფრო-ციცფრის ნიუანსები ტონალბათა რბილ გადასვლებზე და მყარბული, ხოლო წითლის აქცენტბრებით მიღწეულია ფერის ზუსტი მგრძნობიარება, მრავალმნიანობა. ამ ნამუშევრებშიც მთავარია არა კონკრეტული პეიზაჟები, ადამიანები ან საგნები, არამედ ყოფა, რომელსაც ისინი ავსებენ. ეს ყოფა გოგი წერეთლის გრაფიკულ ნაწარმოებებში გამოტურბებული სიცოცხლის მაჩისცემის შეგრძენებას ბადებს.

გარდასული დღეების შთაბეჭდილება, ზოგჯერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი ან ფაქტი ხშირად საშუალო კვალს ტოვებს შემოქმედის მეხსიერებაში და თბილი ცხოვრების მანძილზე მიიწყება, ემოციურ დამოკიდებულებათა გარკვეულ სფეროს მოიცავს. შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთ სერიაში მხატვარს შემოაყვას ახალი „პერსონაჟი“ — ცისარტყელა, რომელიც მის შემდგომ ფურცლებში შეუცვლელ კომპონენტად გველინება. უკანასკნელი წლების სერიებში, სურათის ტონალური შეფერილობისდა მიხედვით, ცისარტყელა ზოგან მომწვანოა, მეორეგან ცივი, თითქმის სიშავმდე მუქი, ცისფრის ოდნავ შესაშინევი აქცენტბრებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ნამუშევრის შინაარსის, იდეის გახსნის ფუნქცია აკისრია და კომპოზიციურად შეკრულ ნახატში ტონთა ჰეროვნებას, ღირიულ-აბაღლებულ განწყობილებას უფრო მკაფიოა და ხელშეახნებს ხლის. ხელბეჭდული გოგონა თითქოს მიცურავს მოლურჯო-მოციხფრო სივრცეში, მის წინ მჭრინავი ჩიტი აღქმულისკენ სწრაფვას განახახიერებს, ხოლო ფონზე ცისარტყელას ფერადოვანი ანარკელი სათანადო ეფექტს ახდენს და ოცნებისკენ ლტოლვის სიმბოლოად აღიქმება).

გოგი წერეთლის შემოქმედების ეროვნული ფესვები ვლინდება, როგორც თემატკაში, ისე ხალხურ ფოლკლორთან, მის ტრადიციებთან განუყოფლობაში. ტექნიკის სრულყოფილი ფლობის ნიშნით აღბეჭდილ ნაწარმოებებში შენივთებულია ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების მრავალსახიერი იმპულსები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისათვის განსაიათებელი სულიერი ცხოვრების სირთულის, შენივთებული, დაძაბული ცხოვრებისეული რიტმის ნათელ ასახვას წარმოადგენს. სწორედ ერის სულის, ეროვნული ფესვების ძიებას, დროისა და სივრცის კავშირის საიდუმლო შრებში წვდომის სურვილს მიიყვას მხატვარი მშობლიური ბუნების წიაღში ჩაღრმავებამდე, ბუნებასთან იმპულსურ ზიარებაამდე. „ოდა საქართველოს“ ორი ინტონაციითაა უკრავდებამისაქცივი — წარსულის მხატვრული გააზრება, ერთგვარი ნოსტალგიაც ქართველი კაცის ათასწლეულ ძიებზე და რევრენი — გადასვლა აწმყალად წარსულზე, რაც ქმნის ზეაწეული მუსიკალური მელოდიის შთაბეჭდილებას: თითქოს შემოქმედი გრძნობს, რომ მხოლოდ აწმყოთი არსებობა შეუძლებელია, რომ სულიერი სიცოცხლე წარსულთან, ისტორიასთან მჭიდრო კავშირში ხორციელდება. საცარი ადამიანობა სახავს მხატვარი ქართული ყოფიისათვის ნაცნობ სახეებს: ცას, რომელსაც განსაკუთრებული ფერი დაჰკრავს, დვინის ქვევრებს, კრამიტის სახურავებს, ოლებს, მისი სურათებისათვის ჩვეულ პერსონაჟებს — ხეებსა და ბუჩქებს, მთებისა და ქალების სილუეტებს (სერია „ქართველი“). ნამუშევრებში შემავალი აქსესუარები სულ ახალსა და ახალ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, მხატვრისათვის ნიშანდობლივი პოეტური სიმბოლიკა უფრო და უფრო ახლებურ საღებავს იძენს. სერია თითქოს რამდენიმე ფენად — მხატვრულ სახედ იშლება, ავტორისეული სათქმელი კი რომელიმე კონკრეტული „პერსონაჟის“ ირგვლივ ერთიანდება — ქართული ნატურმორტი, პეიზაჟი, რომელთა ფონზე ადამიანთა გამოახალული და ყოველივე სწორედ მისი თვალთაა დანახული და აღქმული. რეკლებიანი სახლის კონტურები, ბორჯღალა ორნამენტი, თუ სხვა ეროვნული ანტურაჟიდან ნაცნობი დეტალები ნამუშევრებს შესაბამის აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს, რაც შეთავსებულია მასალის სპეციფიკის ფაქტს შეგრძენებასთან და ჩანაფიქრის სიღრმისეულ არსში ზედმიწევნით წვდომასთან.

გოგი წერეთლის უკანასკნელ ნამუშევრებში შემინევა მრავალფეროვნება როგორც სახეობრივი ყოფის, ისე შესრულების მანერის მხრივ. ძლიერი ხელით მოსმული მყარი ხაზები, მიგვანიშნებენ მხატვრის გრაფიკის განვითარების ახალ ტენდენციაზე, რომელიც გულისხმობს მატ მასშტაბურობას, ფილოსოფიურ აზროვნებას, არა ცოცხალ შთაბეჭდილებებზე ან შეგრძენებზე დამყარებულს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიდი და მნიშვნელოვანი აზროდანი, იდეიდან გამომდინარე. ადრინდელი გრაფიკული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი სპონტანური ემოციურობა ხშირად ადგილს უთმობს ღრმად გააზრებულ, სურბულოზურად

გამომდრწილ სტრუქტურულობას. გარემომცველ სამყაროსთან კავშირი არაა შესუსტებული, მაგრამ ხდება უფრო წოგადი, ასოციაციური. არაიშვიათად დაშიფრული, რაკ მყურებლისაგან მოითხოვს ნამუშევრის ანალიზსა და ერთგვარ თანავეტორობასაც კი. მისი ხელოვნება ამ შემთხვევაში არ არის მზა გადაწყვეტილება და პასუხების ხელოვნება, არამედ რთული და მნიშვნელოვანი საკითხების შემცველია და მიმართულია საკუთარი თავისაკენ, უკვლასკენ. აქ სიუჟეტური ხაზის გამოყოფა ძნელია. ადამიანი და ბუნება, ადამიანი და გარემომცველი სახეა, სამყარო პირველასწყისი და ადამიანის მიერ შექმნილი — ახეთია იმ ინტერსების სფერო, რაც ხელოვანს აღეღებებს; ამასთანავე აქ ერთი რომელიმე ალტერნატივა კი არ ფიგურირებს, არამედ ამა თუ იმ თემას მრავალგვარად გადაწყვეტა და ახსნა ეძებნება. ერთი შეხედვით, მხატვარი ასახავს ერთმეორისაგან აზრობრივ-ფუნქციონალურად დაშორებულ საგნებს, მაგრამ მათს დაშიფრულ ურთიერთმიმართებაში თანდათანობით იხსნება რაღაც ახალი სიმბოლურ-მეტაფორული კავშირები, რომლებიც წარმოსახვას, აზროვნებას ფართო ვასაქს აძლევს, ჩვეულებრივ მოვლენებს ახლებური კუთხით წარმოგვიჩენს. დეკორატიული სახეები (მუქი მკვეთრი ლაქები. გეომეტრიული სხეულების მინამგვანი ფორმები) არ კარგვენ კავშირს ჩვენთვის ნაცნობ ხეთა ფოთლებთან, ჩიტებთან, ათასგვარ ორნამენტებთან თუ სიმბოლოებთან, უბრალოდ ეს კავშირი აქ სულ სხვა იერს იძენს (მხატვრის სწრაფვა ფორმათა გეომეტრიულობისაკენ აღრინდელი, სამოღვაათიანი წლების რამდენიმე ნამუშევარშიც შეიმჩნეობა, რაც აქ უფრო კომპოზიციური ორგანიზაციის ახალ ხაზს გამოჰკვეთავს). სერია „კოსმოსი“ რეალური და ირეალური სამყაროს ურთიერთობას ასახავს. ერთი მხრივ, ტაძართა გუმბათები, ხეთა რტობები, ქართული სახლის კონტურები და მეორეს მხრივ, კოსმიური, ფანტასტიკური სხეულები რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან და ხელოვანის კოსმოლოგიური ხედვის მანამდე თითქოს უხილავ პოტენციალშია გამოვლენილი. საკუთარი თავისადმი საოცრად მომთხოვნი მხატვარი დაჟინებით ეძიებს შეტყველ ხაზს, ახალ ფორმას. ხეწს მას როგორც ტონალურად, ისე შინაარსობრივად, ავხებს პოეტური ელემენტებით და ამით სახვითი ენის სამოქმედო ასპარეზს აფართოვებს. გოგი წერეთლის შემოქმედებაში თავისებურ განსხეულებას პოულობს თანამედროვე სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ინფორმაციული ნაკადი. ბერძნული მითოლოგიიდან თუ იაპონური ხლოვნებიდან მომდინარე იმპულსებით მიღებული შთაბეჭდილებები აზრობრივ-ემოციურად დახვეწილ სურათებს ქმნიან და კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ შემოქმედის მხატვრული ენის რესურსების

ამოუწურავ შესაძლებლობებსა და მასშტაბურობაში. შემთხვევითი არაა, რომ ცნობილ ქართველ პოეტთა კრებულების გაფორმების მხატვრული ინტერპრეტაცია შესანიშნავად ესადაგება ავტორთა ჩანაფიქრს, ხელშესახებად გვახლოებს მათ სულიერ განცდებსა და მისწრაფებებთან. შეიძლება ითქვას, რომ გოგი წერეთელმა შექმნა ქართული წიგნის გრაფიკის ახლებური მხატვრულ-სახეობრივი აზროვნებით გამორჩეული ხელოვნება, რომელიც ღრმად წვდება სიტყვის ხატოვან ფუნქციასა და შინაგან წყობას, უამრავი ვარიანტიდან, რომელითაც ნაწარმოებთა განწყობილების, აზრისა და ემოციის ურთიერთკავშირის გადმოსაცემად იუენებს, მხატვარი ირჩევს საუკეთესოს, ზედმიწევნით რომ შეესატყვისება ავტორისეულ ინტონაციას, მერმან ლებანიძის, ანა კალანდოშის, შოთა ნიშინიანძის, ტარიელ ქანტორიას, მურხან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძის, ვივი გეგეჰკორის, თედო ბეიშვილის, მამუკა წიკლაურისა და სხვათა წიგნების მხატვრულ გაფორმებაში შენარჩუნებულია გოგი წერეთლისეული გრაფიკული ენის საერთო პოეტური წყობა და მსუბუქი, მოქნილი ხელწერის თავისთავადობაც.

გრაფიკოსი — მხატვრის შემოქმედების უღვაფო აღიარებაზე მეტყველებს მისი ნამუშევრების არაერთგზის ექსპონირება მსოფლიო მრავალ ქვეყანაში (იტალიაში, შვეიცარიაში, დანიის, საბერძნეთში, ბელგიაში, პორტუგალიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთში და სხვ.) სადაც მათ ფართო მოწონება და მრავალი სახის ჭიღოლცხედათ წილად, ხოლო ბულგარეთის უკანასკნელ საერთაშორისო ბიენალეზე გოგი წერეთელი მიწვეული იყო ეთერის წევრად. 1980-81 წლებში შექმნილი გრაფიკულ ნაწარმოებთა სერიებისათვის მხატვარს მიენიჭა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატთან“, 1985 წელს კი საქართველოს დამახაურებული მხატვრის საპატიო წოდება.

ცალკე საუბრის თემაა გოგი წერეთლის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, უურნალ „ციკლის“ რედკოლეგის წევრი, მთარგმნელობითი კოლეგიის მხატვრული რედაქტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიაში მომავალ ხელოვანთა აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება.

თავისი ხალხის კულტურის ღრმა ფესვებთან წილნაყარმა შემოქმედმა ქართულ სახვით ხელოვნებაში საკუთარი სტილი, მხატვრული ფორმის ინდივიდუალური ინტონაცია შემოიტანა, გაამდიდრა იგი შინაგანი დრამატიზმითა და ლირიზმით გამსჭვალული სახეებით და სწორედ ამიტომაცაა, რომ გოგი წერეთლის ნაწარმოებები თანამედროვე ადამიანის სულიერი წყობის, ტემპერამენტისა და განვებრივი მისწრაფებების თავისებურ გამოხატულებად რომ აღიქმება.

„ძალიან რომ ვეცადოთ და შევადწიოთ მისი ნაწარმოებების სამყაროში, მაინც ვერ შევძლებთ მთელი რიგი საოცარი ინტელექტუალური აღმოჩენების შემცენებას. ამ გონებრივი ლაბირინთიდან თავის დაღწევა შეუძლებელია მანამ, სანამ არ მივხვდებით, რომ უნდა მივადწიოთ ჩვენი ცნობიერების ისეთ სიმაღლეებს, რომელთა არსებობაც კი ჩვენთვის წარმოუდგენელია“.

ეს სტრიქონები ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილ გენიალურ მწერალ — ტაცუშიკო სიგუძავეს შესახებად დაწერილი. მაგრამ როგორ ესადაგება იგი იუტაკა მანაის.

მწერალსა და კრიტიკოსს იუტაკა ბენიბს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე იაპონურ ლიტერატურაში. დაწყებული 80-იანი წლებიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იგი რადიკალურად განწყობილი იაპონელი ინტელიგენციის ბელ ოზირებდა: პოლიტიკური მოღვაწეობა, პატივობა, ცხენ, შემდეგ იძულებითი დემილი ომის წლებში. პატივობაში იგი ეცნობა „წმინდა გონების კრიტიკას“. კანტის ფილოსოფიასთან შეხვედრა მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა. გონების მიღმიერი ლოგიკა იგი აღტაცებაში მოჰყავდა. 1945 წელს მანიას დარსა უურნალი „თანამედროვეობის ლიტერატურა“, რომელიც საინტერესო ახალ ნაწარმოებებს აცნობდა და, ამასთან, 20 წლის განმავლობაში იდეოლოგიური კამათის არედა იყო. მწერლის რომანი „გარდაცვლილთა სულები“ დიდი მოვლენა იყო იაპონიის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს რომანი, რომელიც აუხდენელი ოცნებების თავისებური ძეგლია, მან ჭერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო და ახლა, 48 წლის შემდეგაც აგრძელებს მასზე მუშაობას. მაგრამ ეს არაა მთავარი. უკველაზე მნიშვნელოვანია ის უნიკალური „ხმა“, რომლითაც გამოირჩევა მანაის არა მარტო რომანები, არამედ მისი კრიტიკული სტატიები, ნარკვევები და ჩანაწერები. მწერალი ყურადღებას იქცევს როგორც პუბლიცისტიც. მისი შეხედულებები ლიტერატურასა და პოლიტიკაზე მთელი გულახდილობითაა გამოთქმული ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა „პოლიტიკა მალუციანიციის ძალაუფლების ქვეშ“ (ეს ფიქრებია პოლიტიკური ძალაუფლების წარმოშობასა და ხასიათზე), „ჩინურ აჩრდილთა სამყარო“ (მწერლის ავტობიოგრაფიული მოთხრობა), „ოთხი ცხენი წყვილადში“ (მოთხრობათა კრებული), მ ვარიაცია თემაზე: ფიქრები სიწმინდად, ფიქ-

რები წყვილადში, ფიქრები სარკეებში. ეს მოთხრობები, სადაც ავტორის წარმოსახვისა და პოეტური ხედვის ძალით აბსტრაქტული, ფილოსოფიური განსჯაინა სახეობად ყალიბდებიან ისეთივე თვითმოყოფანი არიან, როგორც რომანი „გარდაცვლილთა სულები“.

მანაისა და მისი თანამედროვეებიდან მოყოლებული, ისინი ხომ მწერალთა „პირველი ომის“ შემდგომ სკოლას? განეუთვნებიან, თვით მასპიკო სიამადას ჩათვლით, რომელსაც ჭერ ოცდაათიც არ შესრულებია, თანამედროვე იაპონური ლიტერატურის განვითარება მკიდროდა და ევანგელური მოძრაობასთან, რომელიც მიწინადა ისახავდა იაპონური საზოგადოების გარდაქმნას. როცა 48 წლის წინ იუტაკა მანამ, კენ ჰირანო და სხვა მწერლებმა შექმნეს „ურნალი“ „თანამედროვეობის ლიტერატურა“, მათ ჭერ კიდევ სწამდათ ლიტერატურის პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ დროთა განმავლობაში მათ „რევოლუცია ხელოვნებაში“ და „რევოლუციური ხელოვნება“ ერთმანეთში აერიათ, ამის გამო მათი გავლენა შესუსტდა. მაგრამ რომანი „გარდაცვლილთა სულები“ მისი „პირმანენტული რევოლუციის“ თვით ძველებურად გამოირჩევა სხვა ნაწარმოებთაგან: მანაის „ხმა“ ისევ აფორიაქებს მკითხველთა სულს.

ცნობილ მწერალთა რიცხვს განეუთვნება სიოპი ოკაჯი. მის შემოქმედებას სტენდალის გავლენა იტყობა. ომის მონაწილემ რომანით „ბრძოლა ლიტატაზე“ თავისი ამხანაგების სსოვნას მიაგო პატივი და ომის დროს ანალიზიც მოგვცა.

აღსანიშნავია ასევე მასუძი იბუსეს ტალანტი. ამ მწერლის ნაწარმოებები ე. წ. „ეგრომანის“ თავისებურ კომბინაციას წარმოადგენს (ამ მიმდინარეობის მწერლები ძირითადად ადამიანის პირად ცხოვრებაზე ამხვდებენ ყურადღებას) „წმინდა ლიტერატურასთან“, რომლის ტიპური წარმომადგენელი იყო მილეო კობაისიც. იბუსეს მრავალი ნაწარმოებისაგან, რომლებიც დახვეწილი სტილითა და იუმორით გამოირჩევიან, აღსანიშნავია რომანი „შავი წვიმა“, რომელიც ხიროსიმას ტრადიციას ეძღვნება.

იაპონელი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისეთ ცნებებს, როგორცაა სამართლიანობა და პატივსენება. ეს ტენდენცია დღესდღეობით „წმინდა ლიტერატურაში“ ვლინდება. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ომამდელი „ეთიკის“, რომელსაც დაწყებით

სკოლებში აწავლიდნენ, პრინციპებს იზიარებენ. მისი ძირები უნდა ვეძიოთ კონფუციუს მოწარმულ პრინციპებში, რომლებმაც იაპონელი ინტელიგენციის გონებასა და გულში ღრმა კვალი დატოვეს. კონფუციური ეთიკის მთავარი კითხვა ქრისტიანულისაგან განსხვავებით არის არა „რისთვის ვიცხოვროთ“?, არამედ „როგორ სჭობა ვიცხოვროთ?“

ომის შემდგომი პერიოდის ე. წ. „მესამე ტალღის“ წარმომადგენელი მწერლები უარყოფდნენ, მათი აზრით, „წმინდა ლიტერატურის“ წმინდა ინტელექტუალიზმს, უარყოფდნენ ლიტერატურის გავლენას პოლიტიკაზე. თუმცა დღესდღეობით სწორედ ისინი არიან აკუტაგავას პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტისა და იაპონიის ხელოვნებათა აკადემიის წევრები. ასე რომ ახლა ისინი შეიძლება ჩავთვალოთ „წმინდა ლიტერატურის“ დამცველებად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სულაც არ ეკუთვნიან ამ მიმდინარეობას, როგორც, სხვათა შორის, იასუსი ინოუე, რომელიც ახლა ნობელის პრემიის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია.

იაპონიაში ყველამ კარგად იცის თუ რა განსხვავებაა აკუტაგავასა და ნაკის პრემიას შორის. პირველი „წმინდა“, მეორე კი პოპულარული ლიტერატურისათვის ენიჭება. აკუტაგავას პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტი უპირატესობას ზოგჯერ მართლაც ორიგინალურ ნა-

წარმოებს აძლევს. საკმარისია დავასახელოთ იოსიკიტი ფურუის „იოკო“, მასუო ნაკეუდის „ძღვენი ეგეოსის ზღვას“.

პრეტენდენტის შემოქმედებით პოტენციალს ყურადღება არ ექცევა და პრემიას ჩვეულებრივ პატარა მოთხრობების ავტორებს აძლევენ: ამ მოთხრობებს დახვეწილი სტილი და ე. წ. საბი აქვთ.

80-იან წლებში იაპონურ ლიტერატურაში ახალი სახეები გამოჩნდნენ: მიტიცუნა ტაკაჰასი, მასაჰირო მიტა, სი აონო, ჰარუკი მურაკამი და სხვ. ამ პლედარიდან ოფიციალური ლიტერატურული წრეების აღიარება მხოლოდ კენძი ნაკაგამიმ მოიპოვა მშვენიერი მოთხრობისათვის „კონცხი“. მის გაგრძელებად იქცა რომანი „მკვდარი ხეების ზღვა“ და „ბალზამინი“. ასე შეიქმნა ერთგვარი ტრილოგია.

ბოლო რომანი „ბალზამინი“ სტილით უილიამ ფოლკნერისას ჩამოგავს. მზით გადატრუსულ კუმანოს პროვინციით, მისი უამრავი ლეგენდებითა და თქმულებებით, გმირებით ნაკაგამი ქმნის ნათელ სამყაროს, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ფოლკნერის იოკნაპატოფას ოლქის გმირებს.

1 საბი — მშვიდი, ელევანტური უბრალოება. თვისება, რომელიც ტრადიციულად ძლიერ ფასობდა იაპონურ ლიტერატურაში.

ჩვენ მიხამართი: თბილისი, 880007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 89-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82.
პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78. განყოფილებათა განყოფილებები — 72-26-85
პრისის — 72-26-80, „ციხისის“ დამატება — 72-17-01, ხაიორქტორი — 72-47-82.

გადეცა ასაწყობად 10. 03, 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 05, 88 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 648 უე 09334 ტირაჟი 70. 350.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფანის 60 კპკ.

0502160 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ